

გუსტავ ფლობერი

საღამო

თბილისი 2017 წ.

ფრანგულიდან თარგმნეს

კარლო ქილარჯიანმა (I –VII თავები)

მანანა გიგინეიშვილმა (VII-XV თავები)

დაკაბადონება: ლია მოსეშვილი

მხატვარი **ელგუჯა ბერძენიშვილი**

წიგნი დაიბეჭდა მანანა გიგინეიშვილის ხარჯით

მეხუთე გამოცემა

© მანანა გიგინეიშვილი

ISBN 978-9941-27-026-0

წინათქმა

გუსტავ ფლობერის „სალამბოს“ კვლავ გამოქვეყნება გადამაწყვეტინა ამ რომანის „პალიტრა L“-ისეულმა გამოცემამ (2014 წ.).

„სიტყვიერ ფოიერვერკად“ მიჩნეული ამ რომანის ტექსტში რედაქციამ შეიტანა უამრავი ცვლილება, რომელთა უმრავლესობა ან არაფრის მაქნისია, ან თავად არის კურიოზული შეცდომა.

„სალამბოს“ 2014 წლის გამოცემას აღარაფერი ეშველება, იგი „პალიტრა L“-ის რედაქციის გუნება-განწყობის მიხედვით დაჩეხილი და ნაჯიჯგნ-ნასწორები გავრცელდა მკითხველთა შორის. კარლო ქილარჯიანისა და ჩემი სახელით, ჩვენი პასუხისმგებლობით რედაქციამ საზოგადოებას მიაწოდა ნაყალბევი, გამოცხრილული და რედაქტორის ცოდნა-განათლებისა და გემოვნების მიხედვით ჩამატებული ფრაზებითა და უხეში შეცდომებით დახუნძლული ტექსტი. რედაქციის არცერთი ჩარევა არ არის შედეგი ფრანგული დედნის გათვალისწინებისა.

„სალამბოს“ მეოთხე გამოცემის რედაქტირება (უფრო სწორად – დამახინჯება) მოხდა ჩემგან ფარულად, მე მხოლოდ წიგნის გამოცემის შემდეგ აღმოვჩნდი ფაქტის წინაშე.

წინამდებარე მეხუთე გამოცემის მიზანია „სალამბოს“ ქართული თარგმანისთვის თავისი სახის დაბრუნება.

გუსტავ ფლობერი მსოფლიო დონის ის ავტორია, რომელიც ალბათ კვლავაც გამოიცემა საქართველოში. ჩემი უმორჩილესი თხოვნაა: ოდესმე თუ გაჩნდება სურვილი ჩვენი თარგმნილი „სალამბოს“ გამოცემისა, არ გაიმეოროთ „პალიტრა L“-ის ტექსტი, ანუ „სალამბოს“ მეოთხე გამოცემა, რადგან ეს არც ფლობერის ტექსტია, არც კარლო ქილარჯიანისა და ჩემი თარგმანია. ეს

არის ფლობერისა და მისი ორი ქართველი მთარგმნელის სახელით მკითხველი საზოგადოებისთვის მიწოდებული სამარცხვინო ტექსტი. ესაა ქართული წიგნის გამოცემის საქმეში მომხდარი დიდად სავალალო ფაქტი (იხ. ამ წიგნის ბოლოს ჩემი წერილი: „გუსტავ ფლობერის ქართული თავგადასავალი“).

წინამდებარე გამოცემას დართული აქვს ადრინდელ გამოცემებთან შედარებით ბევრად სრული კომენტარები. „სალამბოს“ პალიტრისეულმა გამოცემამ, ჩემდა სამწუხაროდ, დამანახვა არაიშვიათ სიტყვათა განმარტების აუცილებლობაც კი და ნათელი გახადა, რომ ქართულის ცოდნა იკლებს იმ წრეშიც, რომელსაც ენაზე ზრუნვა და წიგნის საქმე აბარია.

მანანა გიგინეიშვილი

გუსტავ ფლობერის სალამბო

დიდ ფრანგ მწერალს გუსტავ ფლობერს (1821-1880) ეკროპული რომანის დიდოსტატად მიიჩნევენ და აღიარებენ მის გავლენას თანამედროვე რომანის განვითარებაზე. ქართველი მკითხველისთვის ცნობილია მისი „მადამ ბოვარი“, „გრძნობათა აღზრდა“, „წმინდა ანტუანის ცთუნებანი“, „ბიუკარი და პეკიუშე“, აგრეთვე – მოთხრობები: „ჰეროდია“, „ლეგენდა მწირთა შემფარებელ წმინდა ჟიულიენზე“ და „გულმართალი“.

1862 წელს ფლობერმა გამოაქვეყნა თავისი ახალი რომანი „სალამბო“. „მადამ ბოვარიში“ აღწერილი XIX საუკუნის საყოფაცხოვრებო დრამიდან მან წარსულს მიაშურა, როგორც თვითონ წერს, გაექცა ირგვლივ თავმოყრილ საშინელებებს, საუკუნეებს შეაფარა თავი და ანტიკურობით თრობა ამჯობინა.

„სალამბოს“ ქარგად აღებულია ჩვენს ერამდე III საუკუნის ამბავი, პუნიკური ომების ხანა, კერძოდ, პირველი პუნიკური ომის შემდგომი პერიოდი. ხმელთაშუა ზღვაზე გაბატონებული კართაგენისა და ახლად მომძლავრებული რომის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. ეგატის კუნძულებთან რომმა გაანადგურა კართაგენის ფლოტი. დამარცხებულმა კართაგენმა ჯაშაგირი ეკრ გადაუხადა ბარბაროსთა დაქირავებულ ლაშქარს, როქის სპას, რაც აჯანყების მიზეზად იქცა. ამ ისტორიულ ფონზეა გაშლილი ბარბაროსთა სარდლის, მათოს, და კართაგენის მხედართმთავრის ასულის, სალამბოს, სიყვარულის თემა.

XIX საუკუნემ და რომანტიზმმა წარსულის ცხოველი განცდა მოიტანა. „საოცრად მიევარს ისტორია. წარსულის ეს სიყვარული სრულიად ახალი რამაა. წარსულის გრძნობა,

დიდი ხანი არაა, რაც გაჩნდა. ეგებ სწორედ ეს იყოს ყველაზე მოსაწონი XIX საუკუნეში. მესმის გადაშენებულ ხალხთა მოთქმა, გლადიატორთა კენესა და ანტიკური სამყაროს მონას არანაკლებ თანავუგრძნობ, ვიდრე თანამედროვე მუშებს“, – წერდა ფლობერი. ამასთანავე თანამედროვეობისგან უკან არ იხევდა, პირიქით, ფიქრობდა, რომ ისტორიული რომანი მხოლოდ მაშინაა ხელოვნების ნიმუში, თუ იგი თანამედროვეცაა. ფლობერმა თავისი წვლილი შეიტანა ისტორიული რომანის განვითარებაში, იგი თანამედროვე რომანის პრინციპებით მიუღმა წარსულს. ერთი მხრივ, საჭირო იყო კართაგენის აღდგენა, იმდროინდელი ადამიანის ფსიქიკისა და გარემოს დახატვა, საჭირო იყო კოლორიტის ზუსტად მიგნება; მეორე მხრივ, ფლობერი არ უნდა დაშორებოდა თანამედროვეობას.

ფლობერის გმირები, ისტორიული სპეციფიკურობისა და ქრონოლოგიური დისტანციის მიუხედავად, ალელვებენ მკითხველს. მან ძველი კართაგენი ისეთივე ხელშესახები გახადა, როგორც რომელიმე თანამედროვე ქალაქი. ფლობერს მიზნად ჰქონდა ისე გაეცოცხლებინა კართაგენი, რომ მკითხველისთვის დაევიწყებინა დისტანცია, რომელიც, ჩვეულებრივ, იგრძნობა ისტორიულ რომანში. დისტანცია მკითხველს უნდა ეგრძნო გმირების ფსიქიკაში. სურდა აღეწერა ისე, რომ მკითხველს გვერდში ამოსდგომოდნენ „სალამბოს“ გმირები, მაგრამ ეს გმირები უნდა ყოფილიყვნენ ძველი ეპოქის ადამიანები. ამას გულისხმობდა ფლობერი, როცა წერდა ისტორიული თემის გაშლისას თანამედროვე რომანის ხერხების გამოყენების შესახებ.

ფლობერი წერის დაწყებამდე ძირფესვიანად სწავლობდა არჩეულ ეპოქას. როგორც თვითონვე აღნიშნავს, მან „ბუვარ და პეკიუშეზე“ მუშაობისას 1500 ტომი დაამუშავა. არანაკლები შრომაა გაწეული „სალამბოს“ სამზადისშიც. ფლობერისთვის ძირითადი წყარო იყო პოლიბიუსის „ისტორია“. შეისწავლა აპიანეს „ფინიკია“, დიოდორეს „ისტორია“, ნეპოტის „ჰამილკარის ცხოვრება“, არისტოტელეს, ათენეოსის, ელიანეს, პეროდოტეს, სტრაბონის, ტერტულიანეს, პლუტარქეს,

ციცერონისა და სხვათა თხზულებები. ჰანონის ავადმყოფობის აღწერას რომანში რამდენიმე წინადადება ეთმობა, მაგრამ ამისთვის ფლობერი გაეცნო არაბულ მედიცინას, აღმოსავლურ კარაბადინებს; „სალამბოს“ პატიოსან თვალთათვისებების გასათვალისწინებლად შეისწავლა თეოფრასტეს ტრაქტატი „თვალთათვის“; იმოგზაურა ტუნისში, დაათვალიერა ის ადგილები, სადაც „სალამბოს“ გმირებს უნდა ეცხოვრათ.

ფლობერი ისეთი გულისყურით ეკიდებოდა ნაწარმოების ისტორიულ მხარეს და ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პირველწყაროებს, რომ მისი დროის ლიტერატურულმა კრიტიკამ „სალამბო“ მიიჩნია „არქეოლოგიურ რომანად“ და ჟანრულად თეოფილ გოტიეს „მუმიათა რომანს“ გაუთანაბრა. ამ მხრივ ფლობერის მთავარი ბრალმდებლები იყვნენ ცნობილი კრიტიკოსი სენტ-ბევი და გერმანელი მეცნიერი ფრენერი. „არქეოლოგიურ რომანში“ არქეოლოგია თვითმიზანს წარმოადგენს, ოღონდ შემოსილია სასიამოვნო ფორმით. ფლობერს არქეოლოგია აინტერესებდა საკითხის შესწავლისას; წერის დაწყებამდე იგი სწავლობდა და შეესისხლხორცებოდა ხოლმე ეპოქას, მაგრამ წერის დროს მისთვის აღარ არსებობდა არავითარი მეცნიერული ლიტერატურა. ფლობერმა სენტ-ბევს გაღიზიანებულმა უპასუხა: „რაში მენადვლება არქეოლოგია! თუ მთელ ნაწარმოებში ერთი ტონი არ ბატონობს, თუ დეტალები ერთმანეთს არ შეესაბამება, ზნე-ჩვეულებები თუ რელიგიის თავისებურებათაგან არ გამომდინარეობენ, მოქმედებანი კი – ვნებათაგან, თუ ხასიათები არაა შესაბამისი, სამოსი თუ ზნეს არ შეესატყვისება, შენობები კი ჰავას, – მაშინ ჩემი წიგნი ნატყუარია, თუ არა და... ყველაფერი რიგზეა“.

მეცნიერული სიზუსტე დიდ როლს ასრულებდა ფლობერის შემოქმედებაში, მაგრამ იგი სიზუსტეში არ ხედავდა ხელოვნების ხიბლს. მასალის შესწავლის შემდეგ განზე გადგებოდა და ზოგჯერ საჭიროებისამებრ ცვლიდა ისტორიულ წყაროებში წარმოდგენილ ფაქტებს. სალამბო და მათო ისტორიული პირები არიან. ჰამილკარს ჰყავდა ასული, რომელიც ნუმიდიელთა მეფეს, ნარპავასს, მიათხოვა. ფლობერმა ჰამილკარის ასულ-

თან მათოს გამიჯნურება დაუმატა პოლიბიუსის ქრონიკას. ამით სამიჯნურო ინტრიგა დააკავშირა ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებასთან; ისტორიული პირები არიან ჰამილკარი, პატარა ჰანიბალი, გისკონი, ჰანონი, ნარჰავასი და სპენდიუსიც. პოლიბიუსის მიხედვით, აჯანყება გამოიწვია უმოქმედობამ, უსაქმურობამ წაახდინა როქის სპა, ხოლო ბრძოლის საბაბი გახდა ბარბაროსთაგან გისკონისა და მისი თანამემამულეების დაპატიმრება. ფლობერმა კი ღრმად გააშუქა სოციალური კონფლიქტი, დაუმატა კართაგენიდან ჯარის სიკაში გატყუება და მეშურდულეთა დახოცვა. ჰანონი სარდინიაში აცვეს ჯვარს, ფლობერმა მისი დასჯა ტუნისში გადმოიტანა; არ არის ცნობილი, კართაგენში აკვედუკი არსებობდა თუ არა, მაგრამ მისი გამოყენებით ქალაქის აღება არაერთგზის დადასტურებული ფაქტია. რომის აკვედუკი ასე გადახსნა ველიზარიუსმა, ვესპასიანეც აკვედუკით შევიდა რომში.

ფლობერს ადრევე ჰქონია მიზნად დასახული ანტიკურ სიუჟეტზე რომანის შექმნა. მისი სათაური უნდა ყოფილიყო „ანუბისი“. ფლობერს სურდა გაეშალა ფლავიუსის „იუდეველთა სიძველენში“ დაცული ცნობა ღვთისმოსავი ქალის სატროფილო თავგადასავლის შესახებ, ამქვეყნიური და საღვთო მიჯნურობის ერთმანეთთან ურთიერთობის საკითხი აინტერესებდა. რომაელ ქალს სწყურია ღმერთის – ანუბისის სიყვარული. ქურუმის შთაგონებით იზიდას ტაძარში იგი სარეცელს სთავაზობს რომაელ მხედარს, რადგან დარწმუნებულია, რომ განკაცებული ანუბისი გამოეცხადა. ქალი გულდაწყვეტილი რჩება, ხორციელი ვნება ვერ შეეფარდა მის ამაღლებულ იდეალებს. შემდეგ ფლობერის არჩევანმა კართაგენისკენ გადაინაცვლა, მაგრამ „ანუბისისთვის“ გათვალისწინებული ფსიქოლოგიური განცდები ნაწილობრივ საღამბოს მიაწერა.

ფლობერი ხუთ წელს მუშაობდა „საღამბოზე“. ადრინდელ ვარიანტში ჰამილკარის ასულს ერქვა „პირა“, თვით რომანს – „კართაგენი“.

„საღამბოს“ სიუჟეტი რელიგიურ საფუძველზეა გაშლილი და ამითვეა განპირობებული გმირების ფსიქიკაც. კართა-

გენელები თავყანს სცემენ მთვარის კულტთან დაკავშირებულ ქალღმერთს, ტანიტს, და მზის ღმერთს, მოლოქს, რომელიც მამაკაცური საწყისის გამოძახატველია. კართაგენელთა წარმოდგენით, იგია ყოვლისგამანაყოფიერებელი და ამავე დროს ყოვლისშთანმთქმელი ძალაც.

სალამბოს სწავას მისთვის გაუგებარი სურვილი, უმანკო ქალწულს ვერ შეუტყვია თავისი შფოთვის მიზეზი. ჰამილკარის ასულს „განზავება უნდა ღამესთან, სურს ნისლს შეერიოს, ნაკადულთა ჩქერს, ხეების წვენს შეენივოს, სუნთქვად, სხივად იქცეს. სიოს ჩქროლვაც კი ამფოთებს“. მათო მოლოქად წარმოუსახავს, ჰგონია, რომ მათოს სახით მოლოქი ბატონობს მასზე. მისტიკური და ამქვეყნიური სიყვარული ერთმანეთს ვერ ემიჯნება სალამბოს შეგნებაში, საკუთარი ვნებები ტანიტის ან მოლოქის ძალად ეჩვენება. სალამბო ძველი ეპოქის ადამიანია, მისი „მე“, მისი პიროვნული ცნობიერება ნაკლებადაა გამოკვეთილი, გონება ვერ უპირისპირდება ვნებას, თავის ქვეცნობიერ სწრაფვაში გარკვევა უჭირს. ამიტომ საყვარელი არსება მასზე გაბატონებულ ღვთაებად მიაჩნია. სალამბოს ხშირად ჰგონია, რომ მას მათოს სიკვდილი სურს, ნარჰავასს აგულიანებს მათოს მოსაკლავად; კარავში მათოსთან განმარტოებულმა მახვილსაც კი დაავლო ხელი, მაგრამ ვაჟის აღერსზე მახვილი ხელიდან გაუვარდა. სალამბოს არა აქვს გაცნობიერებული თავისი გრძნობის სიმძაფრე.

ასევეა მათოც. სალამბო და ტანიტი მის წარმოსახვაში ერთმანეთს ერწყმიან. „რამდენი ღამე ღამთენებია მთვარის შემეყურეს! იგი რიდედ მეჩვენებოდა, შენი ხატის დამძალავად. ზოგჯერ მთვარიდან მიმხერდი, შენი გახსენება მის ციალს ერთოდა და ვეღარ გარჩევდი მთვარისაგან... ტანიტივით ყოვლისშემძლე, უცოდველი, სხიემოსილი და მშვენიერი არა ხარ განა? ვინ იცის, ეგებ თავად ხარ ტანიტი!“ – ასე მიმართავს კარავში მასთან განმარტოებულ ასულს.

გმირთა სულიერ ძვრებს ფლობერი შესანიშნავად გადმოსცემს პეიზაჟით. სალამბო ტანიტს უკავშირდება და ნაწარმოებში მის გამოჩენას მთვარიანი პეიზაჟი ახლავს. მათო

მოლოქს უთანაბრდება სალამბოს წარმოსახვაში და მას სიმბოლურად უხამებს ფლობერი მზიან პეიზაჟს.

რომანის ცენტრშია ტანიტის რიდე, ზაიმფი. სალამბოს სურს ქალღმერთის რიდეს შეეხოს, „მისი მბზინავი ნაკეცები შეუცნობელს მაღავენ. იგი ღრუბელი იყო, ღმერთების შემბურველი; მზერამიუწვდომელი სამყაროს არსებობის იდუმალება იყო იგი.“ ზაიმფი სიმბოლური ხატია და ფინიკიური ლეგენდა ტანიტის რიდის შესახებ ისტორიულად უკავშირდება ძველევგეიპტურ მითოლოგიას, იზიდას რიდეს. რიდის შეხება, რიდის ახლა ნიშნავდა თვითშემეცნებას და მოვლენათა მიღმა არსის წვდომას. ამავე დროს რიდის შეხება მომაკვდინებლად მიიჩნეოდა. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოკვდავი ადამიანური ბუნება არ კმაროდა ღვთაების შესაცნობად, რომ საჭირო იყო თვითშემეცნების გზით ადამიანური ბუნების ამაღლება ღვთაებრივ ცნობიერებამდე. ფლობერმა ოსტატურად დაუკავშირა ეს ლამაზი და ღრმა მითოლოგიური ხატი ნაწარმოების შინაგან დინამიკას.

სამყაროს არსის შეცნობა სწეურია ასულს, უსმენს შაკაბარიმის საუბრებს. „ჩახჩახა ნათელივით გაიელვებდა ქალის წინ, უფსკრულებს ანათებდა მისი ნათქვამი“. სალამბო დაინტერესებულია მზისგან ზოდიაქოს ეტლთა შემოვლით, სამყაროს აღნაგობის შეცნობა სწეურია, მაგრამ მისი სწრაფვა გადახლართულია მისსავე მძაფრ ვნებებთან. სალამბოს ამბოხებული ბრბოს ყაყანი არ აშინებს, ჩვეულებრივი საფრთხე არ აწუხებს. „შენი სევდა განქარდება მამაკაცის მკლავებში“, – ამშვიდებს მას მხევალი, მაგრამ ჰამილკარის ასულს თავისი კბენების მიზეზად გველის ავადმყოფობა მიაჩნია. ფლობერი მიმართავს სიბრძნის ძველთაძველ სიმბოლოს – გველს. კართაგენელებს იგი „დედამიწის შლამის ნაშიერად მიაჩნდათ, რადგან მიწის წიაღიდან ამოსულს ფეხები არ სჭირდებოდა ხმელზე სავალად. გველის სარსალი წელის ვარდნას ჰგავს, მისი სხეულის ცივი სისოვლე უხსოვარი წარსულის ნაყოფიერ წვედიადს აგონებთ, – ხოლო წრე, კუდს რომ პირში ჩაიხრის და შემოწერს, პლანეტათა სიმრგვლეს, ეშმუნის გონებას ასა-

ხიერებს“. სალამბოსთვის თითქოს მთავარია სამყაროს იდუმალების შეცნობა, მაგრამ კარვის ეპიზოდის შემდეგ, თავის გაუცნობიერებელ მიჯნურთან სარეცლის გაზიარების შემდეგ, როცა კვლავ დასწევდა გველი, ჰამილკარის ასულმა ფეხსაცმლის ჭვინტით გულგრილად გადაატრიალა იგი.

რიდის შეხება ფლობერმა დაუკავშირა კარვის ეპიზოდს. სატრფიალო ვნებები გაეთიშა სალამბოს შემეცნებით მისწრაფებებს და ქალი გულგრილი გახდა. სალამბო ცხადად ვერ ერკვევა თავის განცდებში და ამიტომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს კარავში მომხდარს. მხოლოდ მათოს სიკვდილის ჟამს იჩენს თავს მისი გრძნობები. „მაღლე ირგვლივ ყველაფერი გაქრა და მათოს გარდა ვეღარაფერს არჩევდა. სულში სიმშვიდე ჩაუდგა. წინ უფსკრული გადაეხსნა თითქოს და მთელი სამყარო ერთადერთმა აზრმა, ერთმა მოგონებამ, ერთმა გამოხედვამ დაჩრდილა... ქალმა შეიტყო მათო როგორ ევნო და ეწამა მისთვის. წინ მომაკვდავი ედგა, მაგრამ ჰამილკარის ასული ხედავდა კარავში ჩაჩოქილ ჭაბუკს, წელზე რომ შემოეჭლო მისთვის ხელი და უნაზეს სიტყვებს რომ ეჩურჩულებოდა. ეწადა მათი კვლავ გაგონება, აღარ სურდა მისი სიკვდილი“. მათოს სიკვდილთან ერთად სალამბოს არსებაში იშრიტება შინაგანი სასიცოცხლო ძალა. მომაკვდინებელი აღმოჩნდა ტანიტის რიდის შეხება ასულისთვის. რიდის შეხებამ იგი სინამდვილეს აზიარა, საკუთარ განცდებში გაარკვია და იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ამქვეყნიური გრძნობები, აქამდე გაუცნობიერებელი და რელიგიური სწრაფვით დაჩრდილული, რომ ეს დაჩრდილვა საბედისწერო შეიქნა.

საინტერესოა შაჰაბარიმის სახე. მისებრი ბრძენი არვინაა მთელ კართაგენში. „მისი რწმენა ვერ ეტეოდა დაკანონებულ ჩარჩოებში... ქურუმს არ სჯეროდა, რომ მიწა ნაძვის გირჩის მსგავსად შეიქმნა. შაჰაბარიმი დედამიწას მიიჩნევდა უსასრულობაში მოძრავ სფერულ სხეულად, რომელსაც ისეთი საოცარი სისწრაფე აქვს, რომ თვალისთვის შეუცნობელია მისი სრბოლა... მიწიერ მოვლენათა განჭვრეტის შედეგად ყოვლისშთანმთქმელი მამაკაცური საწყისის უხეშთაესობა აღიარა“.

მაგრამ იგი ბავშვობაშივე შესწირეს ტანიტს და გამოათხოვეს მომავალ მამაკაცობას. საჭურისი შაჰაბარიმი ქალღმერთის ქურუმთუხუცესია, ამავე დროს იგი მამაკაცური საწყისის, მზის ღმერთის დამანგრეველი ძალის, მოლოქის, უპირატესობას აღიარებს. მას სურს თავი დააღწიოს ამ წინააღმდეგობას, სურს ირწმუნოს ტანიტის ძლიერება. ქურუმს ჰგონია, რომ მიტაცებული რიდის დაბრუნება იხსნიის მის რწმენას, იხსნიის მამულს. ამიტომ სალამბოს შეაგონებს, რიდის დასაბრუნებლად გზავნის. სალამბო დაჰყვა მის ნებას, საქვეყნო ინტერესები მნიშვნელოვანია მისთვის, გარდა ამისა, იმედი აქვს, რომ იხილავს ქალღმერთის რიდეს. ეს უბიძგებს მას ბარბაროსთა ბანაკში წასასვლელად. მაგრამ რიდემ ვერ იხსნა კართაგენი, ხალხმა ზურგი შეაქცია ტანიტს და მოლოქისკენ იბრუნა პირი. შაჰაბარიმი გმობს თავის რჯულს, მოლოქის ქურუმი ხდება და „სალამბოს“ ფინალში მზეს მსხვერპლად სწირავს მათოს გულს. მრავლისმთქმელია სალამბოსთან მისი ურთიერთობა, „სამარხის ნაპრალში ამოსული ყვაილივით შემოიჭრა სალამბო მის უღიმღამო ცხოვრებაში“. შაჰაბარიმი ერთგვარად უპირისპირდება მათოს. მართალია, შაჰაბარიმის საუბრები ხიბლავს ქალწულს, მაგრამ თან უძძიმს საჭურის ქურუმთან ყოფნა.

ფლობერი ბევრ პრობლემას ჭრის ტრადიციული ხერხით. მისი მიჯნურები მტრული ბანაკიდან არიან, მათი სიყვარული და შურისძიება ერთმანეთისაა გადაჯაჭვული, მისი გმირები მტრის ბანაკში ფარულად შეაღწევენ. მაგრამ ახალია ძველი ადამიანის ფსიქიკის ჩვენება. მიჯნურთა ტრადიციული წყვილები საკუთარ გრძნობებში გაცნობიერებულნი არიან და ეს მათ ძალას მატებს შექმნილ დაბრკოლებათა გადასალახავად. ფლობერის გმირები გარდა გარეგანი წინააღმდეგობებისა (მოსისხლე გვარ-ტომი, რწმენის სხვადასხვაობა და სხვ.) შინაგან წინააღმდეგობებს აწყდებიან, ისინი თავად არ არიან გარკვეულნი თავიანთ სურვილებში, მათი განცდები ბურუსითაა მოცული. „სალამბოს“ ძირითად ღერძს სწორედ ეს შინაგანი წინააღმდეგობები ქმნის.

ფლობერს არ აინტერესებს ძველი სამყაროს მხოლოდ გარეგნული ხატის აღდგენა, მისთვის მთავარია ანტიკური ადამიანის განცდათა სფეროს ჩვენება. ეს წარმოადგენს ყველაზე მეტ სირთულეს ისტორიული რომანის ჟანრისას. მიუხედავად იმისა, რომ ფლობერი თანამედროვე რომანის პრინციპების ხორცშესხმას ცდილობდა, „სალამბოში“ ავტორის თანამედროვე ადამიანის განცდები არა არის ძველი სამოსით შემოსილი, რაც ხშირად ხდება არაერთ ისტორიულ რომანში. მისი გმირები წარსულის ადამიანები არიან. მათი სიყვარული, შურისძიება, სისასტიკე, გაიძვერობა – ყველაფერი ეს შორეული წარსულის დაღს ატარებს. ფლობერმა აღწერა არა მხოლოდ ისტორიული ფონი და ისტორიული მოვლენები, არამედ ძველი ადამიანის სულიერი სამყაროც დაანახვა მკითხველს. იგი გრძნობდა, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო ყველგან და ყოველთვის ერთნაირი არ იყო. „სვირინგებიანი ველურები წმინდა მამებზე ნაკლებ საინტერესონი როდი არიან... რა გრძნობები ასულდგმულებდა ძველ ადამიანს? საჭიროა არა მხოლოდ ძველებური სამოსი, სამკაულები, სიტუაციები და კოლორიტი, არამედ ძველი ადამიანიც“, – ამბობდა იგი. „სალამბოში“ მისთვის მთავარი იყო გარდასულ დროთა ადამიანების ფსიქიკის ასახვა.

ფლობერმა გვაგრძნობინა ბარბაროსის სული. ბარბაროსი ბავშვივით უშუალოა, გულუბრყვილოა და თან მკაცრი. გონების თვალი მოისუსტებს და იგი ბუნდოვან შეგრძნებებსაა აყოლილი. ამავე დროს ბარბაროსი რთულიცაა, „ბაალთა თვალს რომ უწოდებს ადამიანს, ის კაცი მარტივი არაა“, – წერს ფლობერი. მან შესანიშნავად გვიჩვენა ბუნებასთან ადამიანის ადრინდელი ერთიანობა. ცხოველებთან სიახლოვე სიმბოლურადაა ხაზგასმული, „ჩვენი ძმები არიან ჯვარცმული ლომები“, – სიკვდილის წინ ერთმანეთს გადაულაპარაკეს ამ ლომებივით ჯვარცმულმა ბარბაროსთა თავკაცებმა. სპილოებს ადამიანებივით ესიყვარულებიან, სახელებს ეძახიან და ადამიანის დაღუპვაზე მეტად სპილოების სიკვდილს გლოვობენ; წმინდა მაიმუნები, წმინდა თევზები საკმაოდ დიდ როლს

ასრულებენ კართაგენელთა ცხოვრებაში; ზარქსასი ახალმოკლული მტრის სისხლს სვამს და თან ტირის დაღუპულ თანამებრძოლთა ხსენებაზე. ყველაფერი ეს გარდასულ დროთა ადამიანის ფსიქიკის ნიმუშებია.

„სალამბოში“ მხოლოდ ზოგჯერ ჩანს გამოკვეთილად გმირთა განცდები. უმეტეს შემთხვევებში ფლობერი შეფარვით გვეუბნება, თითქოს მკითხველს სთავაზობს გარკვეული, ფიქსირებული განწყობის ნაცვლად თავისუფალ არჩევანს, მეტ გასაქანს უტოვებს მკითხველს. „სალამბოს“ გამომცემლებმა ილუსტრაციები შესთავაზეს ფლობერს. იგი აღშფოთდა: „რა აზრი ჰქონდა ბუნდოვანი ხატების ოსტატურად შექმნას, თუ ვიღაც მეჯღანე თავისი უგვანი სიზუსტით დამინგრევდა ჩემს ნაოცნებარს! დახატული ქალი ჰგავს ქალს და ესაა სულ, აღწერილი ქალი კი ოცნებებს გვეგვრის ათას ქალზე“.

ფლობერი „ანტიკურობით თრობას“ აპირებდა და ცდილობდა „მადამ ბოვარის“ სოციალური კონფლიქტებით სავსე სინამდვილეს გაქცეოდა, მაგრამ მან გვერდი არ აუარა ძველ კართაგენში თავმოყრილ წინააღმდეგობებს. კართაგენს ძლიერი მეტოქე გაუჩნდა რომის სახით. პირველ პუნიკურ ომში დამარცხებულ კართაგენს კოლონიებიც ეთიშებიან, როქის სპა ამხედრებულია. აჯანყებულებს მხარს უჭერენ დახარკული ტომები და მონები. თვით კართაგენი დაპირისპირებულ მხარეებადაა დაყოფილი. ფლობერმა ისეთი ძალით დახატა ეს წინააღმდეგობანი, რომ მას უსაყვედურებდნენ, „სალამბო“ საშინელებათა თავმოყრააო. მაგრამ კართაგენის შინაური ომი, რომელსაც მემპტიანეებმა „გამოუსყიდველი ომი“ უწოდეს, მართლაც იყო საშინელებებით აღსავსე. „სალამბოში“ აღწერილი სისასტიკე, ზოცვა-ჟღერა და სისხლის ღვარი სავსებით შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს. ნაჩვენებია მონათა ყვლეფის საშინელი სცენები; საოცრად ძლიერია მსხვერპლთშეწირვისას ჰამილკარის მიერ თავისი ვაჟის სხვა ბიჭით ჩანაცვლების ეპიზოდი. ჰამილკარი შეურაცხყოფილია, რომ შვილის დაკარგვამ ბიჭის მამას თავზარი დასცა, რომ მონასაც თურმე მისი მსგავსი განცდები ჰქონია. ღვთაებისათვის ადა-

მიანის მსხვერპლად შეწირვა კართაგენში დადასტურებული ფაქტია, ასევე სიმართლეა შიმშილობის საშინელი შედეგების აღწერაშიც. „შიმშილის გამო ერთმანეთის ჭამა იწყესო“, – შენიშნავს პოლიბიუსი. ფლობერმა ეს ძუნწი მინიშნება უდიდესი ოსტატობით გაშალა და ბარბაროსთა შემზარავი ტრაგედია დახატა. ფლობერის მიერ ნაჩვენებ უამრავ წინააღმდეგობათა ფონზე გასაგები ხდება 146 წელს ჩვენს ერამდე 6 დღეში როგორ უნდა დამხობილიყო კართაგენი.

ჩვეულებრივ, ომის მთელი მსვლელობის აღწერას თავს არიდებენ მწერლები და რამდენიმე ბატალური ეპიზოდით იფარგლებიან. გარდა აღწერის სიძნელეებისა, სირთულეს ქმნის მკითხველისთვის ბრძოლის სცენების ისე მიწოდება, რომ ნაწარმოები არ გადაიტვიტოს, არ დაძმოდეს. ფლობერი დაწერილებით აღწერს ომს (უტიკისა და მაკარის ბრძოლები, კართაგენის გარემოცვა, ნაჯახის ხევი). ასე მონუმენტურად აღწერილი ომი იშვიათია. ამ მხრივ „სალამბო“ მხოლოდ ეპიკურ პოემებს თუ შეედრება. ფლობერისთვის თვითმიზანი არ არის „გამოუსყიდველი ომის“ აღწერა. ომის სტიქიის ჩვენებასთან ერთად იგი გვიხატავს ეპოქალურ ძვრებს, კულტურათა შეჯახებას, ხალხთა ფსიქიკას, ზნე-ჩვეულებებს. ინდივიდუალური სახეები, თითო-ოროლას გარდა, არ ჩანან, მაგრამ მასა ისეა დახატული, თითქოს ყოველ ადამიანს ცალ-ცალკე ხედავს მკითხველი. ცხადად იგრძნობა ჯარის სიჭრელე, ეთნიკური სხვაობა, სხვადასხვაობა სურვილთა, მისწრაფებათა. მწერალი შეუდარებელი ოსტატობით გვიჩვენებს გრანდიოზულ ძვრებს, შურისძიებას და სასოწარკვეთას ხალხთა მასებისას. დიდი სირთულე იყო მრავალი ადამიანის ყველაზე მძაფრი განცდების, დაძაბული სულიერი მდგომარეობის გადმოცემა.

„სალამბოში“ ახლებურად დაინახა ევროპელმა მკითხველმა ძველი აღმოსავლეთი, აღიქვა წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოსავლური სული, – სასტიკი და თან უფაქიზესი, უნაზესი, – განსაცვიფრებელი შეხამება დახვეწილობისა და ველურობისა. „სალამბო“ იმდენად ახალი და უჩვეულო იყო სწორედ

აღმოსავლური სამყაროს გაგების თვალსაზრისით, რომ სენტ-ბევის გულისწერომა გამოიწვია. იგი ფლობერს შატობრიანის მიბაძვას ურჩევდა. „სალამბოს“ ფერთა სიუხვე, პატიოსან თვალთა, სანელებელთა, ნელსაცხებელთა და კერძთა სიჭარბე სენტ-ბევის არაბუნებრივად მიაჩნდა; უკვირდა მათოს სიშმაგე, ცრემლები, ბრძოლის დროს ქალწულზე ფიქრი. მას გაუჭირდა ფლობერის აღმოსავლეთის მიღება. მაგრამ ვინც აღმოსავლეთს ხეირიანად იცნობს, მისთვის ნათელი იქნება ფლობერის მეტაფორული სტილიც. ქართველი მკითხველი – „ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანიანის“, „შაჰნამეს“, „ლეილმაჯნულიანის“, „იოსებზილიხანიანის“ და სხვათა ლიტერატურულ ტრადიციებს ნაზიარები – ადვილად იცნობს „სალამბოში“ ჭეშმარიტ აღმოსავლურ სულს, მათოს სახით კი – აღმოსავლელ გახელებულ მიჯნურს.

ტრადიციული, ლიტერატურული აღმოსავლეთი ფლობერს არ ხიბლავდა. მისი აზრით, ჭრელი, მვეირალა, ფანატიზმითა და ვნებებით სავსე გარემო არ გამოხატავს არსს აღმოსავლეთისას. მისი წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ბაირონის, ვოლტერისა თუ შატობრიანის მიერ აღწერილი ეგზოტიკა მას არ მიაჩნია აღმოსავლეთის სულის გაგებად. იგი ხედავდა აღმოსავლეთის უსაზღვრო სევდას, დიდებულებას, შინაგან არისტოკრატიზმს. 1858 წელს ჩრდილო აფრიკაში მოგზაურობის შემდეგ მეგობრებს სწერდა, რომ „ევროპაში ბატონობს კომფორტი – იდეალი სადღეხვადიო ყოფაზე გადაგებული შეზღუდული პიროვნებისა, – რაც აღმოსავლელ კაცს არ სჭირდება. იქ საგნებს აფასებენ არა უტილიტარული თვალსაზრისით, არამედ ესთეტიკურით“. ფლობერი გააოცა დამშეულმა და წვირიანმა ადამიანებმა, რომელთაც ოქროს სამაჯურები ჰქონდათ სამკაულად. „ამ ხალხს მშვენიერი ურჩევნია პრექტიკულს“, – წერდა იგი.

გულწრფელად იყენენ აღტაცებულნი „სალამბოთი“ ძმები გონკურები, თეოფილ გოტიე, ზოსე მარია დე ერედია, ლეკონტ დე ლილი, ჟორჟ სანდი, ბერლიოზი და სხვანი. ისინი ფიქრობდნენ, რომ ფლობერმა „არყოფნიდან გამოიწვია უზარ-

მაზარი სამყარო, გააღვიძა ის გრძნობა, რომელიც ძველი აღმოსავლეთის ხალხებს ასულდგმულებდა“. ისეთი ძალითა და სიცხადით იყო აღწერილი ძველი კართაგენი, რომ, მათი აზრით, „ისტორიულ პალუცინაციას“ ჰგავდა.

ფლობერის მიერ თეოფილ გოტიესადმი მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ თურმე ეკლესიას შეურისხავს ფლობერი, როგორც წარმართული ადათების აღდგენის მსურველი.

ასეთ სიცხადეს ფლობერი აღწევდა სტილის თავისებურებით. ის არასდროს არ განმარტავს, არ ხსნის გმირთა სულიერ წყობას, მხოლოდ გვიჩვენებს მათ ქცევებს. „სალამბოში“ არ ჩანს მისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. მისი ხერხია ჩვენება სუბიექტური ანალიზის ნაცვლად. ამიტომაც, რომ, ერთგვარი სტილიზებული ბუნდოვანების მიუხედავად, „სალამბო“ საოცარი სიცხადით გამოირჩევა; ამიტომ იყო შესაძლებელი ეთქვა ჟორჟ სანდს, რომ „სალამბოში“ აუტანლად რეალურნი არიან საგნები“. ჟორჟ სანდი ნოვატორად მიიჩნევდა ფლობერს სტილის სფეროში. ის გულისხმობდა არა სილამაზეს და დახვეწილობას მისი ფრაზისას, არამედ უშუალოდ საგნის ჩვენებას მის შესახებ მსჯელობის ნაცვლად. იგი ფიქრობდა, რომ ნატურალისტური სკოლა დიდად იყო დავალებული ფლობერის სტილის ამ თავისებურებიდან.

ფლობერზე, როგორც უბადლო სტილისტზე, ბევრი თქმულა. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს მოპასანი, ჩვეულებრივ, მისი სტილი ესმით სიტყვათა კეთილხმოვანებად. სტილის საკითხი ფლობერთან გაცილებით რთულია. თეოფილ გოტიესა და გონკურებისგან მომდინარე ხუმრობა, რომ თითქოს ფლობერი წუხდა „მადამ ბოვარის“ ერთ წინადადებაში ნახმარი ორი ნათესაობითი ბრუნვის გამო, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია. ფლობერთან არაერთგზის გვხვდება ერთმანეთის მეზობლად, ზოგჯერ ერთსა და იმავე ფრაზაში, განმეორებული არა მხოლოდ კონსტრუქციები, სიტყვებიც კი. ფლობერთან ეს არ განსაზღვრავს სტილს. მისი სტილი არ შეიძლება გაითიშოს ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტური ღერძისგან, სიტუაციებისგან, განწყობილებისგან. ფლობერი

სიტყვათა შერჩევაში, ლამაზ სიტყვაში არ ხელდავდა მთავარს, თუმცა უამრავს მუშაობდა ყოველ ფრაზაზე და ეძებდა, არჩევდა სიტყვებს, მაგრამ არჩევდა სხვა თვალსაზრისით. მისი აზრით, ყოველ მოვლენას, ყოველ საგანს ამა თუ იმ სიტუაციაში თავისი შესაფერი ერთადერთი ფორმა მიესადაგება. და იგი ეძებდა ამ ერთადერთსა და ზუსტ სიტყვას. ფლობერი ნაწარმოებს კი არ ახვევდა თავის სტილსა და ტონალობას, არამედ ითვალისწინებდა ყოველგვარ ნიუანსს და წერდა ერთადერთი შესაფერი ფორმით. მისი სტილი არა მხოლოდ თხრობის მანერაა, მთელი ნაწარმოებია მისი სტილი.

ფლობერი ისე ჩასწვდა და შეეთვისა ძველ კართაგენს, რომ წერას როცა შეუდგა, საგონებელში ჩავარდა: როგორ გადმოეცა ყოველივე ფრანგულად, ანუ იმ ენაზე, რომელზედაც მისი გმირები არ ფიქრობდნენ, არ ლაპარაკობდნენ. ფლობერი ჩიოდა, რომ ფრანგული ენა ვერ გადმოსცემს ადმოსავლურ სამყაროს. აქედან შესანიშნავად ჩანს, რომ ფლობერი ნაწარმოების იდეიდან, მისი კოლორიტიდან იღებდა ტონს.

ფლობერის ფრაზა არასდროს არა არის ნაწვალები. იგი სიტყვებში აზრის გარდა შინაგან პარმონიას ეძებდა, სიტყვათა სულს გრძნობდა. ამიტომაც, რომ კარავში მათოს სულიერი მდგომარეობის შესახებ მისი ნათქვამის აზრზე მეტს გვაგრძნობინებს შინაგანი რიტმი მისი საუბრისა. მათო ხან სასტიკი და უღმობელია, ხან – ბავშვივით წმინდა და გულჩვილი. მის არსებაში მომხდარ ძვრებთან ერთად რიტმი დაბალი და მაღალი შაირივით მონაცვლეობს.

ფლობერი პროზის რიტმს არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე პოეზიისას. მისი თქმით, პოეზია დაკანონებული ჩარჩოებითაა შემოზღუდული და ზოგჯერ, მაშინაც კი, როცა შინაგანი პარმონია დარღვეულია, გარეგანი ნიშნები დაცულია პოეზიაში. სხვაა პროზა. სწორედ იმიტომ, რომ მას ასეთი კანონები არ გააჩნია, ხშირად მხატვრული პროზა უბრალო თხრობად იქცევა და ავტორს ეკარგება მისი შინაგანი რიტმი. ფლობერი ხმამაღლა კითხულობდა თავის ნაწერს. მისი

აზრით, ფრაზა მაშინ იყო ნამდვილი, თუ ის ცოცხლობდა, ხმამაღლა კითხვისას სუნთქვას თუ ეგუებოდა.

ფლობერის ფრაზის რიტმი უნებურად იმორჩილებს მკითხველს. „სალამბოში“ არაფერია ნათქვამი აღმოსავლეთის დიდებულების, მრავალფეროვნებისა და დახვეწილობის შესახებ. მაგრამ ეს ყველაფერი იგრძნობა მისი პროზის შინაგან რიტმში, იგრძნობა სიტყვათა შორის. აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი საზეიმო ინტონაცია, ხატოვანება, ცინცხალი ფერები და ამაღლებული გრძნობა თან გასდევს მთელ ნაწარმოებს.

ფლობერს ეპიკური სიუჟეტი უფრო იზიდავდა, მის შესაძლებლობებს მეტ გასაქანს აძლევდა. ამიტომაც, რომ სხვა ნაწარმოებებში საყოფაცხოვრებო დეტალების აღწერისას ზოგჯერ მისი რიტმი დიდებულებას იძენდა, – ამიტომაც, რომ „სალამბოში“ განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ფლობერის სტილის ძალა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ რომანში ასახულია სხვადასხვა მოდემის ხალხთა ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებანი, სამოსის ნაირგვარობა, საბრძოლო იარაღთა სახეობანი, აკაზმულობა, კერძები, სანელებლები, სამკაულთა და ძვირფას თვალთა სიუხვე... ფრანგულ ენას, ბუნებრივია, ძველი აღმოსავლეთის ყოფის შესაბამისი ლექსიკა არ გააჩნდა. ამიტომ ფლობერი იძულებული შეიქნა გამოეყენებინა რომაელ ისტორიკოსთა მატრიანეებში შემონახული ლათინური შესატყვისები. ამის გამო მწერალს უსაყვედურა ლიტერატურულმა კრიტიკამ, ლათინური ლექსიკონის გარეშე ჭირსო „სალამბოს“ წაკითხვა. ფლობერს თავის მართლებაც კი მოუწია. იგი შეეპასუხა სენტ-ბევს, ფრენერსა და სხვებს, თავისი პოზიციის სისწორე დაასაბუთა და ნათელი გახადა, რომ ამ ლექსიკის გარეშე აღმოსავლეთის ნამდვილი ხატის შექმნა შეუძლებელია. ფლობერი ძველი აღმოსავლეთის ყოფის დეტალებს ისეთ კონტექსტს უქმნის, რომ მეტწილად ნათელს ხდის ფრანგული-სათვის უჩვეულო ამ ლექსიკის მნიშვნელობას. სხვა საკითხია, რომ შემდეგ ეს ლექსიკა სწორედ ფლობერისავე წყალობით დამკვიდრდა ფრანგულში.

„სალამბოს“ პოემას უწოდებდნენ მოპასანი, გოტიე, ჟორჟ სანდი. მასში რომანის ტრადიციები შეერწყა პოემის ჟანრულ თავისებურებებს. მას განიხილავენ, როგორც საოცრებას პლასტიკისას, როგორც პოეტის რომანს. შემთხვევითი არაა, რომ „სალამბოს“ შესახებ ასეთი აზრი შეიქმნა. ესაა ისტორიული რომანი, რომელიც ერების შეჯახებებზე მოგვითხრობს. მასში დახატული ხალხთა მასები, ისტორიული პირების გვერდით გამოგონილი გმირები და სიტუაციები – ყველაფერი ეს ეპიკურ პოემას მოგვაგონებს. სალამბოს სტილიც ეპიკურია, გარდასულ დროთა შესახებ რაფსოდევით მოგვითხრობს ფლობერი. პოემას უწოდებენ, რადგან რაღაცით აღემატებოდა რომანს. მასში მეტი იყო მშვენიერება, მეტი იყო პოეზია. სილამაზე და დახვეწილობა იგრძნობა არა მხოლოდ სალამბოს გარეგნობისა და მორთულობის აღწერისას ან გმირთა უფაქიზესი განცდების გადმოცემისას, – ესთეტიკური ფენომენი განუყრელად თან ახლავს მთელ ნაწარმოებს მაშინაც კი, როცა სისხლის ღვარი და ომის საშინელებებია აღწერილი; განუწყვეტლივ იგრძნობა მშვენიერების საოცარი განცდითა და ენის უბადლო ალლოთი დაჯილდოებული ხელოვანი და ყოველ ფრაზას თან სდევს მისი პოეტური სიტყვის ძალა.

მანანა გიგინეიშვილი



თავი პირველი

ღრეობა

ეს მოხდა კართაგენის გარეუბან მეგარას, ჰამილკარის ბა-
ლებში.

ჯარისკაცებმა, რომელთაც იგი სიცილიაში სარდლობდა, დიდი ღრეობა მოაწყვეს ერიქსის ბრძოლის წლისთავის სადღე-სასწაულოდ და, რადგანაც პატრონი აქ არ იყო, ხოლო ისინი მრავალნი იყვნენ, ნებისამებრ ჭამდნენ და სვამდნენ.

ბრინჯაოს კოთურნებით ფეხშემოსილი მეთაურები შუა გა-სასვლელში მოთავსდნენ ოქროსფოჩებიან ძონეულ ჩარდახ-ქვეშ, რომელიც თავლის კედლიდან სასახლის პირველ ტერა-სამდე იყო გადაჭიმული. ჯარისკაცთა კრებული ხეების ძირას განლაგდა. აქედან ჩანდა ბანიან შენობათა სიმრავლე: მარნები, ბელლები, სახაბაზოები, ზარადხანები, აგრეთვე სპილოების ქართა, ორმოები მძვინვარე მხეცებისთვის და მონათა დილეგი.

სამზარეულოებს ერტყა ლეღვის ხეები. ნეკერჩხლის ტყე გა-დაჭიმულიყო მწვანე ჭალაკამდე, სადაც ბამბის თეთრ ქულებს შორის ელვარებდნენ ბროწეულები. მტევნებით დახუნძლული ვაზის ლერნები ფიჭვთა ტოტებში გახლართულიყო; ჭადრების ქვეშ ვარდები ყვავოდნენ, მოლზე ალაგ-ალაგ შროშანები ყელ-ყელაობდნენ; ბილიკებზე მოზნეული იყო დანაყილ მარჯანში არეული შავი სილა, ხოლო შუაში, ერთი ბოლოდან მეორემდე, მწვანე ობელისკების ორკეც კოლონადასავით გადაჭიმულიყო კვიპაროსების ხეივანი.

ყვითელფორეჯებიანი ნუმიდიური მარმარილოთი ნაგები ჰამილკარის სასახლე აღმართულიყო შორს ფართო, ქვით ამო-შენებულ საძირკველზე თავისი ოთხი, ერთიმეორეზე განლაგე-ბული სართულით. დიდი, სწორი, ეკალმუხისგან გამოთლილი კიბე, რომლის ყოველი საფეხურის კუთხეში ნაალაფარი ხო-მალდების წინამხარი იყო დამაგრებული, შავი ჯვრებით მოხა-

ტული წითელი კარი – ქვევიდან თითბრის მავთულის ზღურბლით მორიელებისგან დასაცავად, – ოქროს მსუბუქი ხარიხები, სარკმლებს რომ ეფარა ზემოდან, – ეს უკარებელი სიმდიდრე ისევე მკაცრი და განუჭვრეტელი ერვნებოდათ ჯარისკაცებს, როგორც სახე ჰამილკარისა.

საბჭომ ამოურჩია მათ ჰამილკარის სახლი ამ ღრეობის მოსანყობად. მოკეთებული ჯარისკაცები, რომელნიც ეშმუნის ტაძარში ათევდნენ ღამეს, ცისკრიდანვე წამოხანხალდნენ ყავარჯნებზე დაყრდნობილნი. ყოველ წამს მოდიოდნენ სხვებიც. ყოველი გზით მოემართებოდნენ განუწყვეტილ, როგორც ნაკადები, ტბისკენ რომ ისწრაფვიან. ხეთა შორის დარბოდნენ სამზარეულოს მონები, შეშფოთებულნი და ნახევრად შიშველნი. ველობზე კიკინით დაკუნტრუშებდნენ ქურციკები. მზე ჩადიოდა და ლიმონის ხეთა სურნელი კიდევ უფრო ამძიმებდა ამ ოფლიანი ბრბოს ამონასუნთქს.

აქ ნახავდით ყოველი ეროვნების კაცს: ლიგურიელთ, ლუზიტანიელთ, ბალეარელთ, ზანგებს და რომიდან ლტოლვილთ. დორიული მძიმე კილოს გვერდით ისმოდა საბრძოლო ეტლებით გრუხუნა კელტური სიტყვები, იონიური დაბოლოებანი ტურის მჭახე კივილისდარ უდაბნოს თანხმოვნებს ეჯახებოდნენ. ბერძენს იცნობდით თხელი აღნაგობით, ეგვიპტელს – აწონილი მხრებით, კანტაბრიელს – მსხვილი კანჭებით. კარიელნი ამაყად არხევდნენ მუზარადებზე მიმაგრებულ ფრთებს, კაბადოკიელ მშვილდოსნებს ბალახთა წვენით დიდრონი ყვავილები დაეხატათ სხეულზე, ხოლო რამდენიმე საყურეებიანი ლიდელი ქალის კაბაში გამოწყობილი და ფოსტლებით ფეხშემოსილი შეექცეოდა ტაბლას. სხვანი საზეიმოდ მოთითხნილიყვნენ და მარჯნის ქანდაკებებს ჰგავდნენ.

ისინი ბალიშებზე გაშხლართულიყვნენ, ჩაცუცქულიყვნენ უზარმაზარი ლანგრების გარშემო და ჭამდნენ, ანდა თავდაღმა განოლილნი ითრევდნენ ხორცის ნაჭრებს და იდაყვებზე დაყრდნობილნი ძლებოდნენ მსხვერპლის მშვიდად მჯიჯგნავი ლომებით. გვიან მოსულნი ხეებს მიყრდნობოდნენ, თვალს არ აცილებდნენ აღისფერი სუფრით სანახევროდ დაფარულ დაბალ მაგიდებს და თავიანთ რიგს ელოდნენ.

ჰამილკარის სამზარეულოები აღარ გასწვდათ და საბჭომ მონები, ჭურჭლეული და ყოველივე სახმარი და საჭირო გამოუგზავნა მათ. შუა ბაღში, ბრძოლის ველზე რომ დახოცილთ წვა-

ვენ, ისე ბრიალებდა ცეცხლი და წვავდნენ ხარებს. ანისწაყრილ პურებს ბადროზე მძიმე ყველის თავები მოსდევდა; ღვინით სავსე თასები და წყლის ბადიები ყვავილებიანი, ოქროსნული კალათების გვერდით ეწყო. ყველას თვალები გაფართოებოდა სიხარულისგან, რომ ბოლოს და ბოლოს შეეძლოთ პირთამდე ამოეყორათ მუცელი. აქა-იქ სიმღერა წამოიწყეს.

პირველად წითელი თიხის შავად მოხატული თევზებით მწვანე სანებელმოსხმული ფრინველები მოართვეს. მერე – ყოველგვარი ზუმილი, კართაგენის სანაპიროებზე რომ აგროვებენ, და – კორკოტი ხორბლისა, ცერცვისა და ქერისა, აგრეთვე – კვლიავით შეზავებული ლოფორთქინები ქარვის ლამბაქებზე.

შემდეგ სუფრა აივსო ხორცეულით: რქებიანად შემწვარი ანტილოპებით, ფრთებიანი ფარშევანგებით, ტკბილ ღვინოში მოხარშული ცხვრებით, აქლემისა და კამეჩის ბარკლებით, თევზის შიგნეულით შეზავებული ზღარბებით, მოხრაკული კალიებითა და დამუჟუჟებული ციყვებით. ტამრაპანულ ხის გობებზე ზაფრანის წვენში ტივტივებდა ქონის მსხვილი ნაჭრები. ყველაფერს წათხე ესხა, ქამა სოკოთი და ასაფეტიდათი იყო შეკაზმული. ხილეულის პირამიდები აღმართულიყო თაფლის კვერების გვერდით; არ დაევიწყებინათ არც ის პატარა, მსხვილმუცლიანი და ვარდისფერბალნიანი, ზეთისხილის ჩენჩოთი გასუქებული ძაღლები – კართაგენული საჭმელი, რომელიც სხვა ხალხებს გულს ურევდა. ახალ-ახალი საჭმელები ღორმუცელობას უღვივებდათ. გალები, რომელთაც გრძელი თმა კეფაზე გამოესკვნათ, ერთმანეთს ხელიდან ჰგლეჯდნენ საზამთროებს, ლიმონებს და ქერქიანად თქვლეფდნენ. ზანგებს ზღვის კიბოები არასოდეს ენახათ თურმე და მათი წითელი ეკლებით დაეკანრათ ცხვირ-პირი. მარმარილოზე მეტად თეთრი, პირგაპარსული ბერძნები ზურგს უკან ისროდნენ ნამუსრევს, ხოლო მგლის ტყავებით შემოსილი ბრუტიუმელი მწყემსები უჩუმრად სანსლავდნენ კერძს თევზებში ცხვირჩარგულნი.

ლამე ჩამოწვა. ჩამოხსნეს კვიპაროსების ხეივანზე გადაჭიმული დიდი ჩარდახი და ჩირაღდნები მოიტანეს.

ნავთობის მოფარფატე ალმა, მენამული ქვის ლარნაკებში რომ ენთო, კედართა კენწეროებზე დააფრთხო მთვარეს შენი-რული მაიმუნები. მათმა ნიკვინმა გაამხიარულა მხედარნი.

სპილენძის აბჯრებზე ციმციმებდა სინათლის ანარეკლი. ძვირფასი თვლებით მოჭედილი ჭურჭელი ათასფრად ციალებ-

და. ამოზნექილი სარკეების არშეიქმედებულ თასები ამრავლებდნენ საგნების გადიდებულ გამოსახულებას. ჯარისკაცი იმეორებდა ირგვლივ, განცვიფრებით იყურებოდნენ, იმანჭებოდნენ და სიცილით იჭაჭებოდნენ. მაგიდის ზემოთ ერთმანეთს ტყორცნიდნენ სპილოს ძვლის დაბალ სასამისებს და ოქროს ჩქიფებს, ხარბად სვამდნენ ტიკებში ჩასხმულ ბერძნულ ღვინოებს, ამფორებში მოთავსებულ კამპანიის ღვინოს და კასრებით მოტანილ კანტაბრიულ ღვინოებს, უნაბის, დარიჩინისა და ლოტოსის სასმელებს. მიწაზე ღვინის წუმპე დადგა და ფეხი უსხლტებოდათ. მოხარშული ხორცის ორთქლი ნასუნთქთან ერთად ადიოდა ხეთა ვარჯებად. ერთსა და იმავე დროს ისმოდა ყბების კაპუნი, ყაყანი, სიმღერა, ხმა კამპანიური ღრუბლების მსხვერვისა, რომელნიც ათას ნამცეცად იფანტებოდნენ, და – ვერცხლის დიდი ღრუბლების წმინდა წკრიალი.

რაც უფრო ეკიდებოდათ ღვინო, უფრო და უფრო აგონდებოდათ კართაგენის უსამართლობა. ომისგან ქანცმიღებულმა რესპუბლიკამ ხელი არ შეუშალა უკან დაბრუნებული ბანდების ქალაქში თავმოყრას. მათს სარდალს გისკონს კეთილგონიერება გამოეჩინა და ნაწილ-ნაწილ უშვებდა ჯარისკაცებს, რათა გაეადვილებინა ჯამაგირის გადახდა. საბჭოს ეგონა, ისინი ბოლოს და ბოლოს თანხის შემცირებაზე დათანხმდებიანო. ეს ვალი, ხალხის აზრით, უთანაბრდებოდა იმ სამი ათას ორას ევბეურ ტალანტს, რომელსაც ლუტაციუსი ითხოვდა, და კართაგენი დაქრავებულ მეომრებს ისევე თვლიდა მტრად, როგორც რომაელებს. ჯარისკაცებმა იცოდნენ ეს და აღშფოთებას მუქარითა და მრისხანებით გამოხატავდნენ. ბოლოს ნებართვა მოითხოვეს, რომ შეკრებილიყვნენ და გამარჯვების წლისთავი ედღესასწაულათ. მშვიდობის პარტია დათანხმდა ჰამილკარის ჯავრის ამოსაყრელად, რადგან იგი დაჟინებით მოითხოვდა ომს. მისი ცდის მიუხედავად ომი დასრულებულიყო და იმედგაცრუებულს როქის სპის სარდლობა გისკონისთვის გადაეცა. ჯარისკაცების სანადიმოდ მისი სასახლის არჩევით საბჭოს უნდოდა ჰამილკარსაც ხვდომოდა წილი იმ მიწულვარებისა, რომელსაც როქის სპანი გრძნობდნენ. ამასთანავე, ღრეობას ძალიან დიდი ხარჯი სჭირდებოდა და თითქმის მთლიანად ჰამილკარს უნდა ეზღო.

რესპუბლიკის მოდრეკით გაამაყებული ჯარისკაცები ფიქრობდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს დაბრუნდებოდნენ სამშობ-

ლოში და თან წაიღებდნენ მოსასხამზე მიკერებულ ჩაბალახებში გამოკრულ საზღაურს დაღვრილი სისხლისას. მაგრამ სიმთვრალის ბურუსში თავიანთი ღვანლი სასწაულებრივად, აუნაზღაურებლად ეჩვენებოდათ. ერთმანეთს ჭრილობებს უჩვენებდნენ, უამბობდნენ გარდახდილ ბრძოლათა და მოგზაურობათა ამბებს; ლაპარაკობდნენ, თუ როგორი ნადირობა იცოდნენ მშობლიურ მხარეში; ბაძავდნენ ველური მხეცების ძახილს და ნავარდს. შემდეგ დაიწყო ამაზრზენი სადღეგრძელოები: ამფორაში ყოფდნენ თავს და მოწყურებული ღურკანი აქლემებივით სვამდნენ თავაულებლად. ერთ უზარმაზარ ლუზიტანიელს ორი კაცი აეყვანა მარჯვენითა და მარცხენით, მაგიდებს უვლიდა ასე, ნესტოებიდან ცეცხლს აფრქევდა. ლაკედემონიელნი, რომელთაც აბჯარი არ შემოეხსნათ, მძიმედ ხტუნავდნენ. ზოგი ქალივით დაგოგმანობდა და უხამსად იგრიხებოდა. სხვანი ტანთ იხდიდნენ, რათა გლადიატორებივით შებრძოლებოდნენ ერთმანეთს აქვე, სასმისთა შორის. რამდენიმე ბერძენი ცეკვავდა ნიმფების გამოსახულებით შემკული ვაზის ირგვლივ, ხოლო ერთი ზანგი თითბრის ფარზე აბრახუნებდა ხარის ძვალს.

უეცრად გულისმომწყლველი სიმღერა შემოესმათ, ხმიერი და ტკბილი, დაკოდილი ფრინველის ფრთების რხევასავით რომ აღიოდა ჰაერში და ისევ ეშვებოდა.

ეს – მონები მღეროდნენ დილეგში. ჯარისკაცები წამოცვივდნენ და გაეშურნენ მათ გასათავისუფლებლად.

ისინი ყვირილით დაბრუნდნენ, თან მტვერში მოლაღავდნენ ოციოდე კაცს, რომელნიც სახის სიფერმკრთალით გამოირჩეოდნენ. შავი თექის პატარა წონოლა ქუდები ეხურათ გადახოტრილ თავზე. ყველას ხის სანდლები ეცვა. ბორკილები სწრაფმავალი ეტლივით ჟღარუნებდა.

მონები კვიპაროსების ხეივანამდე მოვიდნენ და ბრბოში გაიფანტნენ. მათ გამოკითხვა დაუწყეს. ერთი მათგანი განზე გადგა. დაფხრენილ ტუნიკაში ნაიარევით დასერილი ბეჭები მოუჩანდა, თავდახრილი უნდოდ იმზირებოდა ირგვლივ, ჩირაღდნების სინათლე თვალსა სჭრიდა და ქუთუთოები მოეჭუტა; მაგრამ, როცა შეიტყო, რომ ეს შეიარაღებული ხალხი არას ერჩოდა, ხმამაღალი ოხვრა აღმოხდა მკერდიდან. ბურტყუნებდა, ქირქილებდა და სიხარულის ცრემლები სდიოდა სახეზე; შემდეგ ხელები სტაცა სავსე სასმისს, ზეაღაპყრო. ბორკილები

მაჯებზე ჩამოეკიდა, ზეცისკენ თავანეულმა და ხელებგაშვერილმა წარმოთქვა:

– პირველ ყოვლისა, დიდება შენდა, ბაალ-ეშმუნო, მაცხოვარო, ჩემს სამშობლოში ესკულაპეს რომ გინოდებენ! დიდება თქვენდა, წყაროთა, სინათლისა და ტყეთა სულნო! დიდება თქვენდა, მთებისა და მიწის წიაღში მიმალულ ღმერთებო! სალამი თქვენდა, ელვარე საჭურვლით შემოსილო ძალოვანო ვაჟკაცებო, რომელთაც მიხსენით მე!

შემდეგ გადაადგო თასი და მოჰყვა თავის ამბავს. სპენდიუსი რქმევია. კართაგენელებს ეგინას ბრძოლაში დაუტყვევებიათ. ბერძნულ, ლიგურიულ და პუნიკურ ენებზე უძღვნა მაღლი ჯარისკაცებს; ხელები დაუკოცნა ახლომდგომთ, ბოლოს მიულოცა დღესასწაული და გაიკვირვა, – წმინდა ლეგიონის თასებს რატომ ვერ ვხედავო ნადიმზე? ამ თასების ექვსსავე ოქროს წახნაგზე ზურმუხტით ვაზის ლერწები იყო გამოყვანილი. თასები ეკუთვნოდა დამცველ რაზმს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მაღალი ტანის ახალგაზრდა პატრიციებისგან შედგებოდა და თასის მფლობელობა დიდი წარჩინება, თითქმის სამღვდელო პატივი იყო; რესპუბლიკის საუნჯეთაგან არაფერი ისე არ ეწადა როქის სპას, როგორც ეს სასმისები. ამის გამო ეჯავრებოდათ ლეგიონი. ზოგი სიცოცხლესაც სწირავდა ასეთი თასიდან ღვინის შესმის მიუწვდომელი სიამოვნებისთვის.

მაშინვე გაგზავნეს მონები თასების მოსატანად. თასები ინახებოდა სისიტებთან – მოვაჭრეთა თაბუნებში, რომელნიც ერთად ტრაპეზობდნენ. მონები ხელცარიელნი დაბრუნდნენ, სისიტთა თაბუნის ყველა ნევრს ეძინა ამ დროს.

– გაალვიძეთ! – ბრძანეს ჯარისკაცებმა.

მეორედ გაგზავნილებმა პასუხი მოიტანეს – ტაძარშიაო ჩაკეტილი.

– გააღონ! – შესძახეს მხედრებმა.

და როდესაც აკანკალებული მონები გამოტყდნენ – თასები სარდალ გისკონის ხელთააო, შეჰყვირეს:

– მოიტანოს!

მაღე ბალის სიღრმეში გისკონიც გამოჩნდა წმინდა ლეგიონის თანხლებით. თავდარქმულ ოქროს მიტრაზე მიმაგრებული ფართო, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი შავი მოსასხამი მთლიანად ფარავდა მას და ცხენის ფლოქვენამდე ეშვებოდა, შორიდან ღამის სიბნელეს ერთოდა. მოჩანდა მხოლოდ მისი

თეთრი წვერი, თავმორთულობის ბრწყინვალეობა და ბრტყელი ლურჯი ქვების სამმაგი ფარლული, რომელიც მკერდზე ერხეოდა.

როდესაც შემოვიდა, ჯარისკაცებმა ერთი ყოფით შეჰყვირეს:

– თასები! თასები!

მან დაიწყო იმით, რომ – სიმამაცით დაიმსახურეთო ეს პატივი. ბრბო სიხარულით აღრიალდა და ტაში დაუკრა.

მე ეს კარგად ვიცო, მე გსარდლობდით და უკანასკნელ კოჭორტასთან ერთად დავბრუნდიო უკანასკნელი გალერით.

– მართალია! მართალია! – დაუმონმეს მას.

ამასთანავე, განაგრძო გისკონმა, რესპუბლიკა პატივს სცემს თქვენს ჩვეულებებსა და რწმენას, ეროვნებისდა მიხედვით დაგანაწილეთ, სავსებით თავისუფალი ხართ კართაგენში! რაც შეეხება წმინდა ლეგიონის თასებს, კერძო პირთა საკუთრებააო.

უეცრად სპენდიუსის წინ ერთი გალი გადაეველო მაგიდებს და გისკონს მივარდა. ემუქრებოდა, ორ გაშიშვლებულ მახვილს უღერებდა.

სარდალმა სიტყვის შეუნწყვეტლად ჩაარტყა თავში სპილოს ძვლის თავისი მძიმე კვერთხი. ბარბაროსი დაეცა. გალებმა დაიღრიალეს. მათი სიშმაგე სხვათაც გადაედო და ბრაზით აღანთო ლეგიონერები. გისკონმა მხრები აიჩეჩა მათი გაფითრებული სახეების დანახვაზე. გაიფიქრა, რომ მისი სიმამაცე ამოაიქნებოდა ამ გაუთლელი, გაშმაგებული მხეცების წინააღმდეგ. შემდგომ ამოიყრის ჯავრს რაიმე ვერაგული ხრიკით; ამიტომ თავის მხედრებს ანიშნა და ნელი ნაბიჯით განშორდა ბრბოს. ჭიშკართან როქის სპისკენ მიიბრუნა პირი და დაუყვირა – განანებთო.

ღრეობა განახლდა. მაგრამ გისკონს ხომ შეეძლო დაბრუნებულიყო, გარს შემორტყმოდა ბოლო სიმაგრეებამდე გადაჭიმულ გარეუბანს და ქალაქის კედლებზე მიეჭყლიტა ისინი. ობლად იგრძნეს თავი, თუმცა მრავალნი იყვნენ, და დიდმა ქალაქმა, რომელსაც მათ წინაშე, დაბლა, სიბნელეში ეძინა, ანახდად შეაშინა ისინი თავისი ერთიმეორეზე ახორხლილი კიბეებით, მაღალი შავი სახლებითა და თავისი გაურკვეველი ღმერთებით. ეს ღმერთები კიდევ უფრო მძვინვარენი იყვნენ, ვიდრე ხალხი. შორით, ნავსაყუდელში, რამდენიმე სანიშნო ნათურა კიაფობდა, ქამონის ტაძარშიც მოჩანდა ცეცხლი. ჰამილკარი მოაგონ-

დათ. სად იყო ახლა? რატომ მიატოვა ისინი დაზავების შემდგომ? მისი განხეთქილება საბჭოსთან უეჭველად ხრიკი იყო მხოლოდ, მათ დასაღუპავად მოგონილი. ახლა მისდამი იგრძნეს დაუცხრომელი სიძულვილი; სწყევლიდნენ მას და ერთიმეორის სიშმაგეს აღვივებდნენ. ამ დროს ჭადრების ქვეშ შეიყარა ბრბო. უმზერდნენ ერთ ზანგს, რომელიც მინას ეხეთქებოდა თვალგაშტერებული, კისერმოღრეცილი, დუჟმორეული. ვილაცამ დაიძახა – მონამლულიაო. ყველამ მონამლულად იგრძნო თავი. მონებს ეძგერენ. საზარელი ყვირილი ატყდა, მსხვრევის გრიგალმა გადაუარა გაღეშილ ჯარს. ეცნენ, რაც წინ დახვდათ, ამსხვრევდნენ, კლავდნენ. ზოგი ხის ფოთლებში ისროდა ჩირალდანს, სხვანი ლომების ბაკის მოაჯირზე გადაეკიდნენ და ისრებით მუსრს ავლებდნენ ცხოველებს. უფრო მამაცნი სპილოებს მივარდნენ: ხორთუმების დაჭრა და ეშვების დახვრა უნდოდათ.

ამასობაში ბალეარელი მეშურდულენი, რომელთაც სასახლის კუთხისთვის შემოევლოთ, რათა უფრო ადვილად აეკლოთ, ინდური ბამბუკის მაღალმა ღობემ შეაჩერა. ხანჯლებით დაჭრეს საგდულის ღვედები და კართაგენისკენ მიქცეული სასახლის ფასადის წინაშე აღმოჩნდნენ, მეორე ბაღში, სადაც გასხლული მცენარეები იყო, თეთრი ყვავილების კვლები ერთმანეთს მისდევდნენ და ლაჟვარდით მოფენილ მინაზე წერდნენ ვარსკვლავთა ხვიჩის მსგავს გრძელ მრუდეებს. მრუმეში ჩანთქმულ ბუჩქებს თბილი, მსუყე სურნელი ასდიოდა. ზოგი ხის ტანი სინგურით შეეღებათ და სისხლით მოთხვრილ სვეტებს ჰგავდნენ. შუა ბაღში სპილენძის თორმეტ კვარცხლბეკზე ელაგა მინის დიდი ბირთვები, რომელთა შიგნით მონითალო სინათლე კრთოდა, თითქოს უზარმაზარი გუგები იყვნენ და ჯერ კიდევ სიცოცხლით ფეთქავდნენ. ჯარისკაცები ჩირალდნებით ინათებდნენ გზას და ბორძიკით ეშვებოდნენ გამრეც, ღრმად დაბარულ ფერდობზე.

მათ დაინახეს პატარა ტბა, რამდენიმე აუზად დაყოფილი ლურჯი ქვის ჯებირებით. წყალი ისე გამჭვირვალე იყო, რომ ჩირალდანთა ალის ანარეკლი ციმციმებდა თეთრი კენჭებითა და ოქროს ფხვნილით მოფენილ ფსკერზე. წყალი აბუყბუყდა, ელვარე ლანდებმა დასერეს; მსხვილი თევზები, რომელთაც ხახა თვალ-მარგალიტით ჰქონდათ მოჭედილი, ამოცურდნენ ზედაპირზე.

ჯარისკაცებმა სიცილ-ხარხარით გაუყარეს თითები ლაყუჩებში და სუფრაზე წაიღეს.

ეს ბარკას საგვარეულო თევზები იყო, შთამომავალნი პირველყოფილი ღლავეებისა, რომელთაც შექმნეს მისტიკური კვერცხი, შიგ რომ ქალღმერთი ბუდობდა. იმ აზრმა, რომ მკრეხელობას ჩადიოდნენ, სიხარბე გაუცხოველა მეომრებს. სასწრაფოდ გააჩაღეს ცეცხლი, შემოდგეს სპილენძის კარდლები და ცნობისმოყვარეობით უმზერდნენ, როგორ ფართხალებდნენ ლამაზი, ცოცხალი თევზები მდულარე წყალში.

მოჯარული მეომრები იჯგვლიმებოდნენ. შიშს გაეწლო. ისევ დაიწყეს სმა. ნელსაცხებელი სდიოდათ შუბლზე, მოწვეთავდა და უსველებდათ დაფლეთილ ტუნიკებს. მუშტები დაეყრდნოთ მაგიდებზე, რომელნიც, ასე ეგონათ, საზღვაო გემებივით ტორტმანებდნენ. ხარებივით აბრიალებდნენ ჩასისხლიანებულ თვალებს, რათა მზერით მაინც შთაენთქათ ის, რისი შეჭმაც აღარ შეეძლოთ უკვე. სხვანი პირდაპირ ძონეული სუფრით დაფენილ მაგიდებზე დაალაჯებდნენ და ამტვრევდნენ სპილოს ძვლის სკამებს, ტვიროსული ჭიქის ფიალებს. სიმღერის ხმა ერთოდა სასმისთა ნამტვრევებში დაყრილი მონების ხიხინს. ჯარისკაცები მოითხოვდნენ ღვინოს, ხორცს, ოქროს; ყვიროდნენ – ქალები მოგვიყვანეთო. ათას ენაზე ბოდავდნენ. ზოგიერთს აბანოში ეგონა თავი, ირგვლივ ამდგარ ოხშივარს რომ ხედავდა; ზოგს, ხეების შემყურეს, ნადირობა წარმოედგინა და თანამეინახეებს ესხმოდა, როგორც ველურ ცხოველებს. ხანძარი ერთი ხიდან მეორეზე გადადიოდა და მაღალი ხეების ფოთლოვანი ვარჯი, საიდანაც ბოლი გრძელ, თეთრ ხვეულებად გამოდიოდა, ამოქმედებულ ვულკანებს ჰგავდა. გოდება გაორკეცდა. დაჭრილი ლომები ბრდღვინავდნენ სიბნელეში.

უეცრად განათდა სასახლის უმაღლესი ტერასა, კარი გაიღო და ქალი, თავად ჰამილკარის ქალი გამოჩნდა ზღურბლზე, შავით მოსილი. ის ჩამოვიდა პირველ კიბეზე, რომელიც დამრეცად გასდევდა ზედა სართულს; შემდეგ მეორე, მესამე კიბე ჩამოათავა და უკანასკნელ ტერასაზე შედგა, ხომალდების წინამხრებიანი კიბის თავზე. უძრავი და თავდახრილი შეჰყურებდა მეომრებს.

მის უკან ორივე მხრივ მწკრივად იდგნენ ფერმკრთალი, უწვერული, უთმო, უწარბო კაცები, რომელთაც თეთრი, ფეხებამდე დაშვებული წითელფოჩიანი კაბები ეცვათ. მოელვარე ბეჭდე-

ბით შემკული ხელებით უზარმაზარი ქნარები ეჭირათ და წვრილი ხმით მღეროდნენ კართაგენის ქალღმერთის საგალობელს. ესენი იყვნენ ტანიტის საჭურისი ქურუმები, რომელთაც სალამბო ხშირად ინვევდა სასახლეში.

ბოლოს ხომალდის წინამხრებიანი კიბეც ჩამოათავა ქალმა. ქურუმები უკან მოჰყვებოდნენ. სალამბო კვიპაროსების ხეივნისკენ გაემართა. წყნარად მიაბიჯებდა მეთაურთა მაგიდებს შორის. ჯარის მეთაურები გზას უთმობდნენ, ოდნავ იხევდნენ უკან.

სალამბოს თმა, იისფერი ფხვნილით დაფერილი, ქანაანელი ქალწულების ჩვეულებისდა მიხედვით კოშკის დარად იყო დახვეული და ამის გამო უფრო მაღალი ჩანდა ქალი. მარგალიტის გრესილი საფეთქლებთან ემაგრა და ეშვებოდა ტუჩებამდე, ბაგე გახლეჩილ ბრონეულს მიუგავდა. მკერდზე ეკიდა მოციმციმე თვლების აცმულა, რომელიც სიჭრელით გველთევზის ქერეჭს ემსგავსებოდა. ალმასებით შემკული მკლავები შიშველი ჰქონდა წითელი ყვავილებით მოხატული შავი ქსოვილისაგან შეკერილ უსახელო ტუნიკაში; კოჭები ოქროს ძენკვით ჰქონდა გადაბმული, რათა თანაბარი ნაბიჯებით ერონინა. დიდი, იშვიათი ქსოვილის მუქი ძონისფერი მოსასხამი უკან მოსთრევდა, მის ყოველ ნაბიჯზე ფართო ტალღასავით იშლებოდა.

ჟამითი ჟამად ქურუმები ჩამოჰკრავდნენ თითებს ქნარს და დახშულ აკორდებს აჟღერებდნენ, ხოლო შუალედებში ისმოდა ძენკვის წკრიალი და პაპირუსის სანდლების თანაზომიერი ტყაპუნი.

აქამდე არავინ იცნობდა სალამბოს. იცოდნენ მხოლოდ, რომ განდეგილად ცხოვრობდა და ღვთისმოსაობაში ატარებდა დღეებს. ჯარისკაცებს დაენახათ ღამლამობით სასახლის ბანზე ვარსკვლავების წინაშე მუხლმოდრეკილი აბოლებულ საცეცხლურთა შორის. მთვარეს გაეფერმკრთალებინა მისი სახე და მსუბუქი ნისლივით შემოხვეოდა ღმერთების სუნთქვა. მისი გუგები შორს, მინიერი სივრცეების მიღმა იმზირებოდნენ თითქოს. თავდახრილი მოაბიჯებდა, მარჯვენა ხელში შავი ხის პატარა ქნარი ეჭირა.

ჯარს შეესმა მისი ჩურჩული:

– დაუხოცავთ, დაუხოცავთ ყველა! აღარასდროს მოცურდებით ამიერიდან ჩემი ხმის მორჩილნი, როგორც უნინ, ტბის პირას რომ ჩამოვჯდებოდი და საზამთროს მარცვლებს რომ

გიყრიდით პირში! ტანიტის იდუმალება ბუდობდა თქვენს თვალებში, რომლებიც უფრო ანკარა იყო, ვიდრე წყლის წვეთები მდინარის პირას, – და სათითაოდ მოუხმობდა, თვეების სახელებს ეძახდა თევზებს:

– სივ! სივან! თამუზ, ელულ, თიშრი, შებარ! ჰე, შემინყალე მე, ქალღმერთო!

ჯარისკაცები სალამბოს ირგვლივ მოგროვდნენ, თუმცა არ ესმოდათ, რას ამბობდა ის. აცვიფრებდათ მისი მორთულობა. შიშნეული, ხანდაზმული მზერა მოავლო მათ ქალმა. შემდეგ თავი მხრებში ჩარგო, ხელები გაშალა და რამდენჯერმე გაიმეორა:

– რა ქენით, რა ქენით! მოსალხენად გქონდათ პურიც, ხორციც, ზეთიც, ყოველგვარი ნუგბარი საკუჭნაოებიდან! მე მოვარეკინე ხარები ჰეკატომპილიდან, მონადირენი დავგზავნე უდაბნოში! – ქალმა ხმა აიმაღლა, ღანვები შეეფაკლა, განაგრძო: – არ გესმით, სადა ხართ? დაპყრობილ ქალაქში თუ ბატონის სასახლეში? და მერე რომელი ბატონის? სუფეტ ჰამილკარის, მამაჩემის, ბაალთ მსახურის! მონების სისხლით შეღებილი თქვენი იარაღის გაცემაზე მან უთხრა უარი ლუტაციუსს! იცნობთ კი ვინმეს თქვენს ქვეყნებში, რომ მისი დარი სარდალი იყოს? შეხედეთ! ჩვენი სასახლის საფეხურები ავსებულია ნაალაფარით! განაგრძეთ! დანვით სასახლე! მე წავიყვან სახლის ანგელოზს, ჩემს შავ გველს, რომელსაც ლოტოსის ფოთლებზე სძინავს მაღლა! მე დავუსტვენ და გამომყვება. ჩემი ხომალდის კვალს, აქაფებულ ტალღებს გამოჰყვება ცურვით...

თხელი ნესტოები უთრთოდა. მკერდზე დაბნეულ ძვირფას თვლებზე იმსხვრევდა ფრჩხილებს. თვალები დაებინდა. განაგრძო:

– ეჰა, საბრალო კართაგენო! საცოდავო ქალაქო! ან აღარ გყვანან მფარველებად ახოვანი ვაჟკაცები გარდასულ დროთა, ოკეანეებს რომ გადაცურავდნენ ხოლმე და სანაპიროებზე აგებდნენ ტაძრებს. ირგვლივ მდებარე ყველა ქვეყანა შენ გემსახურებოდა და შენი ხოფებით დაფარცხული ზღვის ტრამალები ატორტმანებდნენ შენს ნაალაფარს.

შემდეგ მელქარტის, სიდონელთა ღმერთისა და თავისი ოჯახის წინაპრის საგმირო საქმეთა შესახებ დაიწყო გალობა; გაიხსენა ერისიფონის მთად ამაღლება, ტარტესში მოგზაურობა და მაზიზაბალის ბრძოლა გველთა დედოფლის შურის საგებლად:

– იგი მისდევდა ქალაკში დედალ ურჩხულს, რომლის კუდი ვერცხლის ნაკადულივით მიიკლავნებოდა დაცვენილ ფოთლებში, და მიაღწია ველს, სადაც დრაკონისგავიანი დედაკაცები მოჯარულიყვნენ ბრიალა კოცონის ირგვლივ და თავიანთი კუდების წვერებზე წამოსკუპულიყვნენ. სისხლისფერი მთვარე ელვარებდა მკრთალ ნიმბში და ისინი მეთევზეთა მარცახივით გაპობილ ენებს ასარსალებდნენ ცეცხლის პირას...

მერე სალამბომ იმღერა, მაზიზაბალის დამარცხების შემდგომ მელქარტმა როგორ მიაჭედა მისი მოკვეთილი თავი თავისი ხომალდის წინამხარს:

– ტალღების ყოველ შეთრთოლებაზე ქაფში იმალებოდა იგი. მზე მურავდა და ოქროზე მეტად გამაგრდა, მაგრამ თვალე-ბი მაინც ტიროდნენ და ცრემლები განუწყვეტლივ წვეთავდა ზღვაში.

სალამბო მღეროდა ქანანელთა ძველ ენაზე, რომელიც ბარბაროსებს ჯერ არ გაეგონათ. ისინი თავს ეკითხებოდნენ – რას გვეუბნებაო ამ მრისხანე ხელის ქნევით, რასაც ქალი სიმღერას აყოლებდა, – და მის ირგვლივ მაგიდებზე, ტახტებზე, ნეკერჩხლის ტოტებზე გასულნი, პირდაღებულნი და კისერწაგრძელებულნი ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ამ ბუნდოვან თხრობას, რომელიც მათს წარმოსახვას თეოგონიის ბურუსის მიღმა ღრუბლებში მოფუთფუთე აჩრდილებად ესახებოდა.

მხოლოდ უწვერულვამო ქურუმებს გაეგებოდათ სალამბოს სიმღერა. უთრთოდათ დანაოჭებული ხელები, ქნართა სიმეზზე რომ ეწყოთ. დროდადრო ქუმ აკორდებს გამოსცემდნენ. ბებერ დიაცებზე მეტად გულსუსტნი იყვნენ ისინი და ერთსა და იმავე დროს მისტიკური აღფრთოვანებითა და შიშით თრთოდნენ – ვაითუ, ჯარისკაცებმა სიავე გვიყონო. ბარბაროსები ყურადღებას არ აქცევდნენ მათ, მომღერალ ქალწულს უსმენდნენ.

არავინ ისე დაშტერებით არ უყურებდა, როგორც ნუმიდიელთა ახალგაზრდა ბელადი, რომელიც მეთაურთა მაგიდასთან იჯდა თვისტომ მხედართა შორის. ქამარში იმდენი ისარი გაერჭო, რომ კუზიანივით ჰქონდა გამობერილი ტყავის თასმით საფეთქელთან მიმაგრებული მოსასხამი. მხრებზე მოეგდო გაფარფამებული ქსოვილი, რომელიც სახეზეც ჰფენდა ჩრდილს და მხოლოდ ორი ანთებული, ერთ წერტილზე მიშტერებული თვალი უჩანდა. იგი შემთხვევით მოხვედრილიყო ღრეობაზე: მამამისს ბარკას ოჯახისთვის მიებარებინა მეფეთა ჩვეულებ-

ბისამებრ. ისინი შვილებს დიდ ოჯახებში გზავნიდნენ მეგობრობისა და კავშირის დასამყარებლად. ნარჰავასი ექვსი თვეა აქ ცხოვრობდა, მაგრამ ჯერ არ ეხილა სალამბო და ახლა ხელშუბის ტარზე ჩამოედვა წვერი, უჭვრეტდა ქალს და ნესტოები ებერებოდა ლერწმებში ჩასაფრებულ ავაზასავით.

მაგიდის იქითა მხარეს იჯდა ერთი უზარმაზარი ლიბიელი, შავი ხუჭუჭა თმა ჰქონდა. მხოლოდ სამხედრო ქურთუკი ეცვა. თითბრის ფირფიტებს დაეფხრინა ძონისფერი საგები. ვერცხლის ნახევარმთვარეების ფარლული გახლართოდა ფაჩვნიერ მკერდზე. სისხლის შხეფებს დაენიწკლა მისი სახე; მარცხენა იდაყვს დაყრდნობოდა და ფართოდ გახსნილი ტუჩებით იღიმებოდა.

სალამბომ შეწყვიტა წმინდა საგალობელი. ბარბაროსთა ყველა ენაზე ალაპარაკდა და ქალური გულისხმიერებით ცდილობდა დაეყუჩებინა მათი სიშმაგე. ბერძნებს ბერძნულად ესაუბრებოდა, შემდეგ ლიგურიელთ, კამპანიის მკვიდრთ, ზანგებს მიუბრუნდა და ყოველი მათგანი სამშობლო ქვეყნის სიტკბოებას პოულობდა მის ხმაში. კართაგენის წარსულით გატაცებული სალამბო ახლა რომის წინააღმდეგ გარდახდილ ომებზე ამღერდა. ჯარისკაცებმა ტაში დაუკრეს. ქალი გაშიშვლებული მახვილების ბრწყინვამ ალაგზნო, ხელებგამლილი გალობდა. ქნარი დაუვარდა, გაჩუმდა, ორივე ხელი გულზე დაიკრიფა და რამდენსამე წამს იდგა ასე თვალებდახუჭული, ტკბებოდა მთელი ჯარის მღელვარებით.

ლიბიელი მათო გადმოიხარა მისკენ. სალამბო უნებლიეთ მიუახლოვდა და მისი აღფრთოვანებით გულგალხობილმა ჯართან შერიგების ნიშნად დაუსხა ღვინო ოქროს სასმისში.

– დალიე! – უთხრა სალამბომ.

მათომ გამოართვა სასმისი და ტუჩებთან მიიტანა. მაშინ იმ გაღმა, წელან რომ გისკონმა დაჭრა, მხარზე დაჰკრა ხელი და მხიარული იერით იხუმრა რალაც თავის მშობლიურ ენაზე. სპენდიუსიც აქვე იყო და შესთავაზა – გადაგიტარგმნიო.

– თქვი! – უთხრა მათომ.

– ღმერთები გფარავდნენ, გამდიდრდები, როდისაა ქორნილი?

– ვისი ქორნილი?

– შენი! ჩვენში ქალი თუ ღვინოს დაუსხამს მეომარს, თავის სარეცელს სთავაზობს ამით, – უპასუხა გაღმა.

დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ნარჰავასი წამოხტა, ქამრიდან ამოიძრო ხელშუბი, მარჯვენა ფეხი მაგიდის კიდეს მიაბჯინა და სტყორცნა მათოს.

შუბმა გაისისინა სასმისთა შორის, ხელი გაუხვრიტა ლიბიელს და ისე მაგრად ჩაესო მაგიდაში, რომ ტარი აცახცახდა ჰაერში.

მათომ სასწრაფოდ გაითავისყფლა ხელი, მაგრამ იარაღი არ ესხა ნახევრად შიშველს. მან ორივე ხელით ასწია განწყობილი მაგიდა და ნარჰავასს ესროლა მათ გასაშველებლად მოვარდნილ შუა ბრბოში. ჯარისკაცნი და ნუმიდიელები ერთმანეთს მიჭყლეტოდნენ და მახვილის ამოღება არ შეეძლოთ. მათომ თავურით გაარღვია ბრბო და, როდესაც ასწია თავი, ნარჰავასი გამქრალიყო. თვალებით დაუნყო ძებნა. სალამოც წასულიყო.

მაშინ სასახლისკენ გაიხედა და დაინახა, როგორ დაიხურა სულ ზევით წითელი, შავი ჯვრით მოხატული კარი და იქით გაიქცა.

დაინახეს, როგორ არბოდა იგი ხომალდების წინამხართა შორის, შემდეგ – სამივე კიბის სიგრძეზე წითელ კარებამდე, როგორ ეძგერა კარს მთელი სხეულით; აქოშინებული კედელს მიეყრდნო, რომ არ დაცემულიყო.

ვილაც მოსდევდა. ღრეობის სანთურებს სასახლის ძვიდე ფვარებოდა. ბინდბუნდში სპენდიუსი იცნო.

– მომშორდი! – უბრძანა ლიბიელმა.

მონამ პასუხის გაუცემლად კბილებით დაფხრინა თავისი ტუნიკა. შემდეგ მუხლი მოიყარა მათოს წინ, ფრთხილად აიღო მისი ხელი და მოუთათუნა, ჭრილობას ეძებდა.

მთვარე ღრუბლებიდან გამოცურდა და მის სინათლეზე სპენდიუსმა დაინახა პირდაღებული იარაღი. ქსოვილის ნაჭერი შემოახვია, მაგრამ მათო ზიზლით ეუბნებოდა:

– თავი დამანებე! დამანებე თავი!

– ო, არა! – მიუგო მონამ, – შენ გამათავისუფლე ჯურღმულიდან. მე შენ გეკუთვნი! შენა ხარ ჩემი ბატონი! მიბრძანე!

მათომ კედლებზე ხელის ცეცებით შემოუარა ტერასას, ყოველ ნაბიჯზე ყურს აპყრობდა და მოოქროვილი ლერწმის ხარიხებიდან იყურებოდა შიგნით, დადუმებულ სახლში. ბოლოს სასონარკვეთილი შედგა.

– ყური დამიგდე! – უთხრა მონამ, – ო, ნუ შემიძაგებ ჩემი სისუსტისთვის! მე სასახლეში ვარ ნაცხოვრები. შემიძლია ძლოკ-

ვივით გავძვრე კედლებში. წამო! წინაპრების ოთახში ყოველი ფილის ქვეშ ოქროს ზოდია დაფლული, მიწისქვეშა ხვრელია გაყვანილი საფლავებამდე.

– ეჰ, რაღად მინდა! – წარმოთქვა მათომ.

სპენდიუსი დადუმდა.

ისინი ტერასაზე იდგნენ. მათ წინ ფუთფუთებდა წყვდიადი და ის თითქოს შავად გაქვავებული ოკეანის გიგანტური ტალღების მსგავსი რაღაც ზოდებით იყო სავსე. მაგრამ ნათლის ზოლი ადგა აღმოსავლეთის მხრიდან. მარცხნივ, აქვე, მეგარის დაკლაკნილმა არხებმა დაიწყეს მწვანე ბაღჩათა შორის თეთრად კრთომა. შვიდწახნაგოვანი ტაძრების აწონილი სახურავები, კიბეები, ტერასები, სიმაგრეები ნელ-ნელა გამოინაკვთნენ გარიჟრაჟის მკრთალ სინათლეში; კართაგენის მთელი ნახევარკუნძულის ირგვლივ ირწეოდა თეთრი ქაფის სარტყელი, ხოლო ზურმუხტისფერი ზღვა განთიადის სიდიადეში შედედებულსა ჰგავდა. რაც უფრო ნათდებოდა ატმისყვავილისფერი ზეცა, უფრო და უფრო ჩნდებოდნენ ფერდობებზე მიჯრილი მაღალი სახლები, როგორც მთიდან ჩამომავალი შავი თხების არე. უკაცრიელი ქუჩები გადაჭიმულიყო ერთი ბოლოდან მეორემდე. პირთამდე სავსე წყალსაცავები ეზოებში დაყრილ ვერცხლის ფარებსა ჰგავდნენ.

ჰერმეუმის კონცხის შუქურა გამკრთალდა. აკროპოლის ზეთავზე, კვიპაროსების ქალაკში, ემშუნის რაშებმა გათენება იგრძნეს, მარმარილოს მოაჯირს ადგამდნენ წინა ტოტებს და მზის მხარეს გასჭიხინებდნენ.

მზეც ამოვიდა, სპენდიუსმა ხელები ალაპყრო და შეჰღალადა.

ყველაფერი შეიძრა გადმოღვრილ სინითლეში. ღმერთი თითქოს იგლეჯდა სხეულს და თავისი ძარღვებიდან უხვი სხივებით ასხურებდა კართაგენს ოქროს წვიმას. ხომალდების ქიმები ელვარებდნენ, ქამონის ტაძრის სახურავი ცეცხლმოკიდებულს ჰგავდა. ახალგაღებულ ტაძრებში ცეცხლი აკიაფდა. სოფლებიდან ჩამოსული ფორნების თვლები არახრახნა ქუჩის ფილაქანზე. დატვირთული ცალკუზა აქლემები ჩამოდიოდნენ ფერდობებზე. ზარაფები მეზობირზე მდგარი თავიანთი ღუქნების დარაბებს ალებდნენ. მიფრინავდნენ ყარყატები. თრთოდნენ თეთრი აფრები. ტანიტის ქალაში დოლს უკრავდნენ წმინდა მეძავნი, ხოლო მაპალებში აბოლდნენ თიხის კუბოების გამოსანვავი ღუმლები.

სპენდიუსი გადაიხარა მოაჯირზე. კბილები აუკანკანდა, იმეორებდა:

– აჰ! ჰო... ჰო... პატრონო! მესმის, რად იუკადრისე ახლახან სასახლის გაძარცვა.

მათო თითქოს მისი ხმის სისინმა გამოაფხიზლა, თითქოს არა ესმოდა რა. სპენდიუსმა განაგრძო:

– ეჰ, რა სიმდიდრეა! ხოლო რომელთაც ის ეკუთვნის, იარაღიც არა აქვთ მის დასაცავად!

მარჯვენა ხელი გაიშვირა და მიუთითა რამდენიმე ბოგანოზე, რომელნიც ჯეპირს გადაღმა სილაში დალოდავდნენ ოქროს ფხვნილის ძიებით გართულნი.

– აი! – უთხრა, – რესპუბლიკა ამ გლახაკებს ჰგავს: ოკეანეებზე გადაფოფრილი ყველა სანაპიროს უფათურებს ხარბ ხელებს და ტალღათა ხმაური ისე უჭედავს ყურებს, რომ აღარ ესმის ზურგს უკან მომდგარი მბრძანებლის ფეხის ხმა!

ტერასის საპირისპირო მხარეს წაიყვანა მათო და დაანახვა ბალი, სადაც ჯარისკაცთა კალდიმები, ხის ტოტებზე ჩამოკიდებული, თინათინებდა მზეზე.

– აქ არიან ვაჟკაცნი, უდიდესი მძულვარებით აღვსილნი! მათ არაფერი აკავშირებთ კართაგენთან, არც ოჯახი, არც ფიცი, არც ღმერთი!

მათო იდგა წინანდებურად კედელს მიყრდნობილი. სპენდიუსი მიუახლოვდა და ხმადაბლა განაგრძო:

– გესმის ჩემი, მეომარო? სატრაპებივით ძონეულში გამოწყობილნი ვივლით, ნელსაცხებელში გვაბანავებენ; მეც მეყოლება მონები! არ მოგბეზრდა მაგარ მინაზე ძილი, ბანაკებში მოჭმახებული ღვინის სმა და გამუდმებული საყვირის ხმა? იმისი იმედი ხომ არა გაქვს, რომ შემდგომ დაისვენებ? თუ – მაშინ, როცა დაბრმავებული, დაკოჭლებული, დაძაბუნებული კარდაკარ ინანნალებ ყავარჯნით და ბალღებსა და ნათხის გამყიდველებს უამბობ შენი სიჭაბუკის ამბებს? მოიგონე შენი უფროსების უსამართლობა, თოვლში დაბანაკება, მცხუნვარე მზეში სიარული, სასტიკი დისციპლინა და ჯვარცმის გამუდმებული მუქარა! ამდენი ტანჯვა-წამების შემდეგ საპატიო ფარღული მოგიგდეს, ასე ვირს აბამენ ეფენების ასხმულას, რომ დარეტიანდეს და დაღლა არ იგრძნოს; და ეს შენ გიყვეს, პიროსზე მამაცს! მაგრამ რომ ინდომებდე! ეჰ! რა ბედნიერი იქნები, უზარმაზარ, გრილ დარბაზებში ქნარის ჰანგზე რომ მიეცემი

განცხრომას ვარდების სარეცელზე წამოწოლილი, მასხარებითა და ქალებით გარშემორტყმული! ნუ მეტყვი, რომ ეს განუხორციელებელია! განა როქის სპამ არ დაიპყრო რეგიუმი და სხვა სიმაგრეები იტალიაში?! ვინ აღგვიდგება? ჰამილკარი აქ არაა. ხალხს სძულს მდიდრები; გისკონი რას უზამს მის ირგვლივ თავმოყრილ ლაჩრებს? შენ მამაცი ხარ! დაგმორჩილდებიან. წარუძღელ სპას! კართაგენი ჩვენია, შევესიოთ!

– არა! – უთხრა მათომ, – მოლოქის წყევლა მანევს. მე ეს მის თვალებში ვიგრძენ. ამას წინათ კიდევ შავი ერკემალი ვნახე ტაძარში, უკულმა მიდიოდა! – შემდეგ მიმოიხედა და იკითხა: – სადაა ის?

სპენდიუსი მიხვდა, რომ უდიდეს მღელვარებას შეეპყრო მათო და გაგრძელება ვეღარ გაბედა.

მათ უკან ისევ ბოლავდა ხეები. გაშავებული ტოტებიდან დროდადრო მაიმუნების სანახევროდ დამწვარი ჩონჩხები ცვიოდა გაშლილ სუფრებზე. პირდაბჩენილი ჯარისკაცები ხვრინავდნენ მკვდრების გვერდით, ხოლო ვისაც არ ეძინა, თავი ჩაეჭინდრა დღის სინათლით თვალდაბრმავებულს. გათქერილ მიწაზე სისხლის ღვარი იდგა. სპილოები გასისხლიანებულ ხორთუმებს აქნევდნენ შემოღობილის ხიმინჯებს შორის. ღია ბელლებში ჩანდა ტომრებიდან გადმოზნეული ხორბალი, ჭიმკართან – ბარბაროსთაგან მიყრილი ეტლების რიგი; კედრის ტოტებზე ჩამომსხდარი ფარშევანგები კუდებსა შლიდნენ და ყივყივებდნენ.

მათოს უძრაობა აკვირვებდა სპენდიუსს. იგი კიდევ უფრო გაფითრებულიყო და ერთი წერტილისთვის მიეშტერებინა თვალები, ცის დასალიერს გაჰყურებდა ტერასის მოაჯირზე ორივე მჯილით დაყრდნობილი. სპენდიუსი გადაიხარა და მიხვდა, რას უჭვრეტდა მათო. შორს, უტიკის მტვრიან გზაზე, ოქროს წერტილი ბრუნავდა. ეს იყო ორჯორშებმული ეტლის ღერძის თავი. ხელნის წინ მონა გარბოდა და აღვირი ეჭირა. ეტლში ორი ქალი იჯდა. ცისფერი მარგალიტით მოქსელილი ფაფარი ჯორებს სპარსულ ყაიდაზე ჰქონდათ გადმოშლილი ყურებს შორის. სპენდიუსმა იცნო და ყვირილი შეიკავა.

ფართო რიდეს აფრიალებდა ქარი.



თავი მეორე

სიკაში

ორი დღის შემდეგ როქის სპა კართაგენიდან გავიდა.

ყოველ ჯარისკაცს თითო ოქრო მისცეს იმ პირობით, რომ სიკაში დასაბანაკებლად წასულიყვნენ, და ლიქნით უთხრეს:

– თქვენა ხართ კართაგენის მხსნელნი! მაგრამ, თუ აქ დარჩით, ქალაქი დაიმშვეა, ვალის გადახდას ვეღარ შეძლებს. წადით! რესპუბლიკა დაგიმადლებთ შემდეგ ამ დათმობას. დაუყოვნებლივ ავკრებთ გადასახადებს. ჯამაგირსაც სრულად გადაგიხდით და გალერებსაც აღვჭურავთ თქვენთვის, სამშობლოში წასაყვანად.

მეომრებმა არ იცოდნენ, რა ეპასუხათ ამაზე. ომს დაჩვეული ვაჟკაცები მოწყენილნი ისხდნენ ქალაქში. მათი დარწმუნება არ გასჭირვებიათ და ხალხი გალავანს მოეფინა, რათა დაენახა, როგორ გადიოდნენ ისინი.

მათ მწყობრად გაიარეს ქამონის ქუჩა და სირტის კარი. მშვილდოსნები და ჰოპლიტები, მეთაურები და მხედრები, ლუზიტანიელები და ბერძნები ერთმანეთში იყვნენ არეულნი, ღალად მიაბიჯებდნენ, მძიმე კოთურნებს მიახმაურებდნენ ფილაქანზე. მათი საჭურველი ფილაკვანს დაებრიცა, სახე ბრძოლებში გაშავებოდათ; ხრინწიანი ყვირილი ამოსდიოდა გაბანჯგვლული წვერებიდან; გაგლეჯილი თორნი მახვილის ბუნიკზე ჩხარუნებდა და დახვრეტილ აბჯარში მოჩანდა ჯარისკაცთა შიშველი ტანი, – საშინელი, როგორც საომარი მანქანა. შუბები, ნაჯახები, ნაბდის ქუდები და ბრინჯაოს მუზარადები – ყველაფერი ერთად, თანაზომიერად ირხეოდა. ჯარს აევსო ქუჩა და გეგონებოდათ, კედლებს გახეთქავსო შეჭურვილი მეომრების ეს დიდი ნიაღვარი, რომელიც მაღალ, ექვსსართულიან, კუპრით შეგლესილ სახლთა შორის დიოდა. რკინისა და ლერწმის

ხარიხების მიღმა რიდემოზურული ქალები იდგნენ და უჩუმრად უმზერდნენ, როგორ მიდიოდნენ ბარბაროსები.

ტერასები, სიმაგრეები, კედლები ფარავდა ბრბოს თვალთაგან შავსამოსიან კართაგენელებს. მეზღვაურთა ტუნიკები სისხლის ლაქებივით მოჩანდნენ ამ მუქ ფონზე; ნახევრად შიშველი ბავშვები, კანი რომ უბზინავდათ, სპილენძის სალტეებს შორის, მწვანით დაფარული სვეტებიდან და პალმების შტოებიდან უქნევდნენ ხელს მიმავალთ. ზოგი უხუცესიც გამოსულიყო კოშკთა თავანზე. ერთი გრძელწვერიანი კაცი გამოჩნდებოდა ხან აქ და ხან იქ, იდგა ღრმად ჩაფიქრებული. არავინ უწყობდა, რატომ იქცეოდა ასე. შორს, ზეცის ფონზე, ბუნდოვნად, აჩრდილივით ინაკვთებოდა და ქვასავით უძრავად იდგა.

ყველა ლელავდა. ემინოდათ, ვაითუ, ბარბაროსებმა იგრძნონ თავიანთი ძალა და დარჩენის სურვილმა წამოუაროთო. მაგრამ მეომრები ისე დანდობილნი ტოვებდნენ ქალაქს, რომ კართაგენელთ გული მოეცათ და ჯარს შეერივნენ. ფიცხილთა და ხვეწნით შეუწუხეს სული. ზოგი გადაჭარბებული გაიძვერობითა და თავხედური ლიქნით აქეზებდა – ქალაქიდან ნუ გახვალთო. ნელსულნელებას, ყვავილებს და ვერცხლის ხურდას აყრიდნენ მიმავალთ; სნეულების სანინაალმდეგო ავგაროზებით ასაჩუქრებდნენ, ოლონდ წინასწარ სამგზის აფურთხებდნენ ზედ, რათა სიკვდილი მიეზიდათ, ანდა ტურის ბალანს აკერებდნენ, რომ თილისმის პატრონს სიმბდალე შეჰპარვოდა გულში. მათთვის მელქარტის წყალობას მოუხმობდნენ ხმამაღლა, ხოლო ჩურჩულით – შეჩვენებას.

შემდეგ ბარგმა, სააღალე საქონელმა და ჩამორჩენილებმა გაიარეს. ცალკუზიან, ღურკან აქლემებზე ამხედრებული ავად-მყოფები ვიშვიშებდნენ; დაკოჭლებულთ გადატეხილი შუბები დაებიჯებინათ. ლოთებს ტიკები მოჰქონდათ, ხოლო ღორმუცელებს – ხორცი, ღვეზლები, ხილი, ლელვის ფოთლებში გახვეული ერბო და ტილოს ტომრებში ჩაჩუთული თოვლი. ზოგს საჩრდილობელი ეჭირა ხელში და თუთიყუში ეჯდა მხარზე. მიჰყავდათ ძაღლები, ქურციკები და ავაზები. ვირზე შემომსხდარი ლიბიელი დედაკაცები თათხავდნენ ზანგის ქალებს, რომელთაც მალქის საროსკიპოები მიეტოვებინათ და ჯარისკაცებს ასდევნებოდნენ; ზოგი ძუძუს ანოვებდა მკერდზე ტყავის თასმებით ჩამოკიდებულ ბალღს. კარვებით დატვირთული ჯორები წელში იზნიქებოდნენ საპალნის სიმძიმისაგან და მარეკ-

ნი მახვილის ჩხვლეტით მიერეკებოდნენ. აქვე მოლასლასებდა უამრავი მსახური და დაჩაჩანაკებული, ციებისგან გაყვითლებული და დამღიერებული თულუხჩი; ესენი იყვნენ ბოგანოები კართაგენელ მდაბიოთაგან, რომელნიც ბარბაროსებს მიჰყედლებოდნენ.

როცა ამათაც ჩაიარეს, ქალაქის კარიბჭე მიხურეს. ხალხი მაინც არ ჩამოდიოდა კედლებიდან. ლაშქარი მალე ნახევარკუნძულის ყელის მთელ სიფართოზე გაიშალა.

ჯარი უთანაბრო ნაწილებად დაიყო. შუბები ბალახის მაღალ ღერებს დაემსგავსნენ სიშორეში, შემდეგ სავსებით დაიკარგნენ მტერის ბულში; ჯარისკაცები კართაგენისკენ მიხედვისას ვერაფერს არჩევდნენ, გარდა გრძელი კედლებისა, რომელნიც უკაცრიელი ქონგურებივით ინაკვთებოდნენ ცისკიდურზე.

ბარბაროსებს ყვირილი შემოესმათ. იფიქრეს – ნაწილი ალბათ ქალაქში დარჩა და რომელიმე ტაძრის ძარცვით იქცევს თავსო. მათ არ უნყოდნენ, ზუსტად რამდენი იყვნენ. ბევრი იცინეს ამის გამო. შემდეგ ისევ განაგრძეს გზა.

უხაროდათ, რომ წინანდებურად ერთად მიაბიჯებდნენ მინდვრებზე. ბერძნებმა მამერტინების ძველებური სიმღერა შემოსახეს:

– შუბითა და მახვილით ვხნავ და ვიმკი. მე ვარ მამა სახლისა! აბჯარაყრილი მტერი ჩემს ფერხთით განერთხმის მიწას და მიწოდებს უფალს და მეფეს.

ყვიროდნენ, ხტოდნენ, გულმხიარულნი ჰყვებოდნენ არაკებს. დასრულდა ჟამი ჭირთა თმენისა. ტუნისს რომ მიაღწიეს, ზოგიერთმა შეამჩნია, რომ ბალეარელ მეშურდულეთა რაზმი აკლდათ, მაგრამ – შორს არ იქნებიანო და მეტი აღარ უფიქრიათ ამაზე.

ნაწილი სახლებში დაბინავდა, სხვანი – გალავნის ძირას. მოქალაქენი მოდიოდნენ ჯარისკაცებთან სასაუბროდ.

მთელი ღამის განმავლობაში ცეცხლი გიზგიზებდა ცისკიდურზე, კართაგენის მხარეს. ხანძრის გამონაკრთომი გიგანტური ჩირაღდნებივით ალანძულიყო გაქვავებული ტბის იქეთა ნაპირას. არცერთმა მეომარმა არ უნყოდა, რას დღესასწაულობდნენ იქ.

მეორე დღეს ბარბაროსებმა ნათესებით დაფარული ველი გადაიარეს. გზის გასწვრივ პატრიციების მამულები იყო ჩარიგებული. პალმის ქალაკებში რუები მოწანწკარებდა; ზეთისხილის

ხეები გრძელ მწვანე მწკრივებად დაერგოთ. გორაკთა შორის ვარდის ბურუსი იდგა. შორს ლურჯი მთები აღმართულიყვნენ. თბილი ქარი ქროდა. კაქტუსების ფართო ფოთლებზე ქამელეონები დახოხავდნენ.

ბარბაროსებმა ნაბიჯი შეანელეს.

განკერძოებულ რაზმებად მიდიოდნენ, ანდა ცალ-ცალკე, შორიშორს მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ვენახებში გადადიოდნენ და ყურძენს მიირთმევდნენ. ბალახებში კოტრიალობდნენ და განცვიფრებით შესცქეროდნენ ხარების ხელოვნურად დაგრეხილ გრძელ რქებს, ნერბ ცხვრებს, რომელთაც ტყავი ჰქონდათ ჩამოცმული სანმისის დასაფარავად, – ჯვარედინად რომბებივით დახნული მიწის ორნატებს, გემის ლუზების მსგავს სახნისებს გუთნისას და ბროწეულის ხეებს, რომლებსაც სილფიუმით რწყავდნენ. ხიბლავდათ მიწის ბარაქა და ადამიანის ბრძნული გამოგონებანი.

სალამოს გაუშლელ კარგებზე დანვნენ და ვარსკვლავების-კენ პირმიქცეულნი, რულმორეულნი ნანობდნენ, რომ ჰამილკარის ღრეობა დასრულებულიყო.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, ერთი მდინარის ნაპირას დადგნენ, ოლეანდრების ბუჩქნარში. სასწრაფოდ დაყარეს შუბები, ფარები, შეიხსნეს ქამრები; ყიჟინით იბანდნენ თავ-პირს, მუზარადებით იღებდნენ წყალს, ზოგი მუცელზე განოლილიყო და სვამდა ტვირთჩამოხსნილ საქონელთან ერთად.

ჰამილკარის ბაღში მოპარულ აქლემზე ამხედრებულმა სპენდიუსმა შორით თვალი ჰკიდა მათოს, რომელსაც დაჭრილი ხელი მკერდზე ჩამოეკიდებინა. უქუდოს თავი ჩაელუნა, წყალს ასმევდა თავის ჯორს და ლივლივა ჭავლს დასცქეროდა. სპენდიუსი მისკენ გაექანა, ბრბოს მიარღვევდა და ეძახდა:

– პატრონო! პატრონო!

მათომ ცალყბად უთხრა მადლობა დალოცვისთვის. სპენდიუსმა ყურადღება არ მიაქცია ამას და უკან აედევნა. დროდადრო შეშფოთებით მოიხედავდა ხოლმე კართაგენის მხარეს.

იგი ბერძენი რიტორისა და კამპანიელი მეძავის ბუში იყო. თავდაპირველად ქალებით ვაჭრობას გაემდიდრებინა, შემდგომ გემის დალუპვას გაელატაკებინა; სამნიელ მწყემსებთან ერთად ეომა რომაელთა წინააღმდეგ. დაეტყვევებინათ. გაქცეულიყო, მაგრამ ისევ დაეჭირათ, ქვის სამტეხლოებში ემუშავებინათ, ცხელ საქვაბებში მრავალგზის დახუთვოდა სული, ყელი ამო-

ხაფეროდა წამების დროს ყვირილით, მრავალი პატრონის ხელში გამოევლო და ყოველი მათგანის სისასტიკე ეწვნია. ბოლოს, ერთ დღეს ზღვაში გადამხტარიყო ტირიემიდან, რომელზედაც მენიჩხედ ჰყოლოდათ. ჰამილკარის მეზღვაურებს შეეფარებინათ მომაკვდავი და კართაგენში ჩამოეყვანათ, სადაც ერგასტულში, მონების დილეგში, ჩაემწყვდიათ. კართაგენს რომიდან გამოქცეულნი რომაელებისთვის უნდა გადაეცა. შეშინებულ სპენდიუსს ესარგებლა არეულობით და თავისთვის ეშველა, როქის სპას მიჰკედლებოდა.

მთელ გზაზე მათოს არ მოსცილებია, მიართმევდა საჭმელს, ეხმარებოდა ჩამოხდომისას, საღამოობით ნოხს უგებდა სასთუმლად. მისმა მზრუნველობამ გული მოუღბო მათოს და თანდათან გაუხსნა კრიჭა.

მათო სირტის ყურეში იყო დაბადებული. მამას ამონის ტაძარში დაჰყავდა თურმე სალოცავად. მერე სპილოებზეც უნადირია გარამელთა ტყეებში. ბოლოს კართაგენის სამსახურში შევიდა. დრეპანუმის ალების შემდეგ ტეტრარქის წოდება მიანიჭეს. რესპუბლიკას ოთხი ცხენი, ოცდასამი მედიმნი ხორბალი და მთელი ზამთრის ჯამაგირი ემართა მისი. მათოს ეშინოდა ღმერთებისა და სურდა თავის მამულში მომკვდარიყო.

სპენდიუსი უამბობდა თავის მოგზაურობათა, იმ ტომთა და ტაძართა შესახებ, რომელთაც ქვეყნის ზურგზე ხეტიალისას გადასწყდომოდა. ბევრი რამ შეესწავლა: იცოდა სანდლების კერვა და შუბის ტარის გათლა, ბადეთა ქსოვა, გარეული ცხოველების მოშინაულება და თევზის მოხარშვა.

ზოგჯერ შეწყვეტდა ხოლმე ლაპარაკს და ყრუ, ხორხისმიერ ზახილს ამოუშვებდა, მათოს ჯორი ფეხს აუჩქარებდა, სხვა ცხოველებიც აჩქარებოდნენ. შემდეგ სპენდიუსი ისევ განაგრძობდა საუბარს. შეშფოთებული იყო. მხოლოდ მეოთხე საღამოს დამშვიდდა.

ისინი მხარდამხარ მიაბიჯებდნენ წყების გვერდით გორაკის ფერდობზე. ქვევით ველი იყო გადაშლილი და დასალიერი ღამის ბურუსში იკარგებოდა. ჯარისკაცთა მწკრივები, რომლებიც მათ ქვევით მიდიოდნენ, ტალღებივით ირხეოდნენ ბინდბუნდში. დროდადრო მთვარით გაშუქებულ მინდორს გადაუვლიდნენ. მაშინ შუბის წვერი ვარსკვლავით ციალებდა, მუზარადები წამით გაბრწყინდებოდნენ, შემდეგ გაქრებოდნენ და სხვები გა-

მოჩნდებოდნენ მათ ადგილას. შორს ბლაოდა გამოლვიძებული ნახირი და უსაზმნო სიმშვიდე ეფინებოდა თითქოს დედამიწას.

თავგადაწეული, სანახევროდ თვალედახუჭული სპენდიუსი ღრმად ისუნთქავდა გრილ ნიაფს, ხელებს შლიდა და თითებს კვარჯლავდა, რათა უკეთ შეეგრძნო სიტკბოება, ტანში რომ ელვრებოდა. შურისძიების დაუცხრომელმა წყურვილმა წამოუარა. ტუჩებზე ხელი მიიჭირა, რომ ქვითინი შეეკავებინა და ვნებით შემთვრალმა და ცნობამიხდილმა ხელი გაუშვა ავშარას თავისი აქლემისას, რომელიც გრძელი, თანაბარი ნაბიჯებით მიიწნეოდა. მათო ნალველს მისცემოდა, ფეხები მიწამდე ჩამოეშვა და ბალახი, რომელიც კოთურნებს სწვდებოდა, განუწყვეტილვ შრიალებდა. გზა ისე გაგრძელდა, თითქოს არასდროს გათავდებოდა. ხეობათა ბოლოს მრგვალი ველობები ხვდებოდათ, შემდეგ ისევ მინდორზე გადიოდნენ და მთები, რომლებიც კრავდნენ ჰორიზონტს, თითქოს შორს იწევდნენ, რაც უფრო უახლოვდებოდა მიმავალი ლაშქარი. ხანდახან მწვანე იალღუნებს შორის მდინარე გამოჩნდებოდა და ისევ მიუხვევდა, დაიმალებოდა გორაკებს იქით. ზოგჯერ გვერდს აუვლიდნენ უზარმაზარ პიტალოს, გემის წინამხარს ან რომელიმე ბუმბერაზის კვარცხლბექს რომ წააგავდა.

გზაზე ერთიმეორისგან თანაბარი მანძილის დაშორებით ხვდებოდათ პატარა ოთხკუთხა ტაძრები, რომელთაც სიკაში მიმავალი მლოცველები თავშესაფრად იყენებდნენ. სალოცავები აკლდამებივით იყო დაგმანული. ლიბიელები გამეტებით უბრაახუნრბდნენ კარებზე – გააღეთო. შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

დამუშავებული მინდვრები გაიშვიათდა. ჯარი შევიდა სილიან უდაბნოში, სადაც აქა-იქ ამოშვერილიყო მეჩხერი ეკალნარი. ცხვრის ფარა კორტნიდა ქვებს შუა ამოწვერილ ბალახს. ცისფრად შეღებილი სანმისებით წელგაკრული ქალები მწყემსავდნენ ფარას, კლდეთა შორის შუბოსან მეომრებს მოჰკრავდნენ თუ არა თვალს, კივილ-წივილით გარბოდნენ და იკარგებოდნენ.

მოწითალო ბორცვებს შუა დერეფანივით გაჭიმულ გრძელ ხეობას მიჰყვებოდნენ მოლაშქრენი. უეცრად გულისამრევი სუნი ეცათ და უცნაური სანახავი იხილეს: ერთი ხის ფოთლებში, საკმაოდ მაღლა, ლომის თავი მოჩანდა.

მიირბინეს. ლომი ოთხივე კიდურით გაეკრათ ჯვარზე ბოროტმოქმედებით. უზარმაზარი დრუნჩი მკერდში ჩაერგო მხეცს, ხოლო წინა ტორები ფაფრით ჰქონდა სანახევროდ დაფარული და ფრინველის ფრთებივით გაშლილი. გადაჭიმული კანის ქვეშ ნეკნები ამოპურცვოდა, ოდნავ აწეული უკანა ტორები ერთიმეორეზე მიელურსმათ. შავი სისხლი მოღვენთავდა ბალანზე და ჯვრის გასწვრივ ჩამოპორწიალებული კუდის წვერზე სტალაქტიტებივით შედედებულიყო. ჯარისკაცები გაამხიარულა ამ სანახაობამ; კონსულსა და რომის მოქალაქეს ეძახდნენ ჯვარცმულ ლომს და კენჭებს ესროდნენ თვალებზე მისეული მუშლის ასაქშევად.

ასი ნაბიჯის დაშორებით კიდევ ორი ლომი იყო ჯვარცმული. შემდეგ უეცრად გამოჩნდა გრძელი მწკრივი ჯვრებისა, რომლებზედაც ლომები იყვნენ გაკრულნი. ზოგი დიდი ხნის მკვდარი იყო და ხეზე ჩონჩხის ნარჩენებიღა შერჩენილიყო. სხვანი სანახევროდ დახრულნი იყვნენ, საშინლად დასჯღანოდათ ლაშპირი; ზოგიერთი უზარმაზარი იყო. ჯვრების ძელი იზნიქებოდა მათი სიმძიმით, ქარი აქანავებდა მათ და შავი ყორნები გუნდგუნდად დასტრიალებდნენ თავს განუწყვეტლივ. ასე იყრიდნენ ჯავრს კართაგენელი გლეხები, როდესაც ველურ მხეცს შეიპყრობდნენ, ამით სურდათ დაეშინებინათ ნადირი. ბარბაროსებს სიცილი პირზე შეაცივდათ და დიდხანს იდგნენ გაოგნებულნი. „ეს რა ხალხია,“ – ფიქრობდნენ ისინი, – „რომ ლომების ჯვარცმით იქცევს თავს!“

განსაკუთრებით აღელდნენ და შეწუხდნენ ჩრდილოეთის მკვიდრნი, სწეულება დაერიათ; ალოეს ეკლებზე დაეკანრათ ხელები, უზარმაზარი კოლოები ჩაბზუოდნენ ყურებში; ფაღარათი მოედო ჯარს. წუხდნენ, რომ ამდენ ხანს ვერ მიაღწიეს სიკას. შეეშინდათ – ვაითუ, გზა დაგვებნეს და უდაბნოში ამოვყოთ თავი, ამ ქვიშათა და საშინელებათა ქვეყანაშიო. ბევრმა გზის გაგრძელება არ ისურვა, ზოგი კართაგენისკენ გაბრუნდა.

ბოლოს, მეშვიდე დღეს, ქედის ძირის გაყოლებით კარგა ხნის სიარულის შემდგომ, გზამ მარჯვნისკენ მიუხვია და მათ დაინახეს თეთრ კლდეებზე წამომართული ზღუდეთა ხაზი. მერე თვალწინ გადაეშალათ მთელი ქალაქი. ლურჯი, ყვითელი და თეთრი რიდეები ფრიალებდა ქონგურებზე მენამული დაისის სინათლეში. ეს ტანიტის ქურუმი ქალები მოცვენილიყვნენ მამაკაცთა შესახვედრად, სიმაგრეთა გასწვრივ გამწკრივებუ-

ლიყვნენ და დაირებს აჯაჯგურებდნენ, ჩანგებს აჟღერებდნენ, წინწილებს არხევდნენ. მათ ზურგს უკან, ნუმიდიის მთებს გადაღმა, ჩამავალი მზის სხივები ატანდა ქნართა სიმებს შორის, რომლებსაც შიშველი ხელებით უკრავდნენ. ჟამდაჟამ საკრავთა ხმა მიწყდებოდა ერთბაშად და გულისგანმგმირავი კივილი ატყდებოდა, მძაფრი, მძვინვარე, ჟამიერი, მსგავსი ყეფისა, რასაც ტუჩების ორსავე კუთხეზე ენის ცემით გამოსცემდნენ. ზოგნი იდაყვებს დაყრდნობოდნენ, ნიკაპი მუჭში მოექციათ და სფინქსებივით უძრავი თავიანთი დიდი, შავი თვალები მიეშტერებინათ მომავალი ჯარისათვის.

თუმცა წმინდა ქალაქი იყო სიკა, მაინც ვერ დაიტევდა ამოდენა სპას. მარტო ტაძარს მინაშენებითურთ ნახევარი ქალაქის სივრცე ეკავა. ამიტომ ბარბაროსები მინდორზე განლაგდნენ გუნებისამებრ, დისციპლინირებული ნაწილები – რაზმებად, სხვანი – ეროვნებებისდა მიხედვით, ანდა როგორც მოეპრინათ.

ბერძნებმა ერთიმეორის გასწვრივ ჩაამწკრივეს ტყავის კარავები, იბერიელებმა ტილოს ტალავრები წრიულად გამართეს, გალებმა ალაჩუხები შეკრეს, ლიბიელებმა ქვით აახოხოლეს ყორეები, ხოლო ზანგებმა ფრჩხილებით ამოთხარეს სილაში საძილე ორმოები. ბევრმა არ იცოდა, სად დაბინავებულიყო და საბარგულებთან დაწრიალებდა, ლამით კი მიწაზე იძინებდა დაფხრენილ ლაბადაში გახვეული.

მათ ირგვლივ გადაშლილიყო მთებით გარშემორტყმული ვაკე. აქა-იქ ბორცვებზე პალმები გადმოხრილიყვნენ. ნაძვები და მუხები მუქ ლაქებად აჩნდნენ ხევისპირებს. ზოგან ხანდახან გრძელი ყანმივით დაეშვებოდა ზეციდან წვიმა, მაშინ როდესაც სხვაგან ველ-მინდვრებს კვლავინდებურად ლაჟვარდი და მცხუნვარება ადგა თავს. მერე თბილი ქარი მტვრის კორიანტელს დააყენებდა; ნაკადული მიჩქრიალებდა სიკას კლდეებზე, სადაც ქვეყნის მეუფის – კართაგენის ვენერას ოქროსსახურავიანი, ბრინჯაოსსვეტებიანი ტაძარი წამომართულიყო. ყოველივე მისი სულით იყო განმსჭვალული თითქოს. ეს ბორცვიანი რელიეფი, სითბოსა და სიცივის მონაცვლეობა და სინათლის თამაში აცხადებდა მის მიუწვდომელ ძლიერებას და მისი მარადიული ღიმილის სიმშვენიერეს. მთების მწვერვალები ნამგალა

მთვარის კიდეებს ჰგავდა, ზოგი ქალის კერტებდაბერილ ძუ-ძუებს ემსგავსებოდა და დაღლილი ბარბაროსები რაღაცნაირ საამო მოთენთილობას გრძნობდნენ.

სპენდიუსმა თავისი აქლემი გაყიდა და ამ ფულით მონა შეიძინა. მთელი დღეების განმავლობაში ეძინა მათოს კარვის წინ გაშოტილს. ზოგჯერ ელდით ელვიძებოდა – სიზმრად მათრახის სისინი ეზმანებოდა. გამოფხიზლებული ღიმილით გადაისვამდა ხელს ნაიარევით დასერილ ფეხებზე, იმ ადგილას, სადაც დიდხანს ეკიდა ბორკილები, და შემდეგ ისევ ძილად მიეგდებოდა.

მათო იტანდა მის სიახლოვეს. როცა სადმე წავიდოდა, მხარილივ მახვილგადაკიდებული სპენდიუსი ხელარგნოსანივით დასდევდა ყველგან. მათო დაუდევრად ეყრდნობოდა ხელით მხარზე: სპენდიუსი დაბალი იყო.

ერთ საღამოს ბანაკის შუკაში მიაბიჯებდნენ და თეთრმოსასხამიანი ხალხი შენიშნეს. მათ შორის ნარჰავასიც ერია, ნუმიდიელთა უფლისწული. მათო აცახცახდა.

– მოიტა ხმალი! – წამოიძახა, – უნდა მოგვკლა!

– დაიცა! – შეაჩერა სპენდიუსმა.

ნარჰავასი მათკენ მოდიოდა.

მან ორივე ცერი დაიკოცნა შერიგების ნიშნად და თავისი ფიცხი საქციელი ღრეობაზე სიმთვრალეს გადააბრალა. შემდეგ დიდხანს აგინებდა კართაგენს, თუმცა არ უთქვამს, თუ რატომ შეერთებოდა როქის სპას.

„ჯარს ღალატობს თუ რესპუბლიკას?“ – თავს ეკითხებოდა სპენდიუსი და, რადგანაც ყოველგვარი არეულობიდან თავისთვის სარგებელს გამოელოდა, მადლიერი იყო ნარჰავასისა იმ მომავალ მუხანათობათა გამო, რასაც უეჭველად ჩაიდენდა ნუმიდიელთა ბელადი.

ნარჰავასი დარჩა როქის სპასთან. ეტყობოდა, მათოსთან დაახლოება სურდა. მსუქან-მსუქან თხებს, ოქროს ქვიშას და სირაქლემას ფრთებს უგზავნიდა. მისი ლაქუცით განცვიფრებული ლიბიელი ყოყმანობდა, არ იცოდა – ასევე მოქცეულიყო, თუ რისხვა მიეგო. სპენდიუსი აწყნარებდა და მათოც ემორჩილებოდა მონას. იგი ჯერაც ვერ გამორკვეულიყო და უნიათობისგან ვერ დაეღწია თავი იმ კაცივით, სანამლავი რომ შეუსვამს და აუცილებლად რომ უნდა მოკვდეს.

ერთ დღეს სამივენი ლომებზე სანადიროდ წავიდნენ. ნარჰავასმა ხანჯალი დამალა მოსასხამის კალთაში. სპენდიუსი არ

მოშორებია, სულ უკან დასდევდა და შინ ისე მობრუნდნენ, რომ ნარჰავასს ხანჯალი არ ამოუღია.

მეორეჯერ ნუმიდიელმა ძალზე შორს გაიტყუა ისინი, თავისი სამეფოს საზღვრებამდე მიიყვანა. ერთ ვიწრო ხეობაში მოხვდნენ. ნარჰავასმა ღიმილით განაცხადა – გზა აღარ ვიციო. სპენდიუსმა გაიგნო გზა.

წინასწარმეტყველებით დამნუხრებული მათო მზის ამოსვლისთანავე მიდიოდა ველ-მინდვრებზე სახეციალოდ. სილაზე დანებოდა სადმე და საღამომდე უძრავად ეგდო.

ჯარის ყველა მისანს ეთათბირა, იმათაც, ვინც გველის ხოხვაზე მკითხაობდა და ვინც ვარსკვლავებზე კითხულობდა ბედს, აგრეთვე – ვინც მკვდრის ფერფლს უბერავდა სულს და ისე მისნობდა. ყლაპავდა აშიფს, მთის კამას და ჭრელი უნასეზის გულისგამყინავ შხამს; ზანგი ქალები მთვარის სინათლეზე უგალობდნენ ბარბაროსულ შელოცვებს და ოქროს ბეჭუთებით უკანრავდნენ შუბლის კანს. ფარლულებითა და ავგაროზებით დაიტვირთა. რიგრიგობით ევედრებოდა ბაალ-ქამონს, მოლოქს, შვიდ ქაბირს, ტანიტსა და ბერძენთა აფროდიტეს. სპილენძის ფირფიტაზე ამოკვეთა ერთი სახელი და თავისი კარვის შესასვლელთან ჩაფლა სილაში. სპენდიუსს ესმოდა, როგორ ოხრავდა და ბოდავდა იგი.

ერთ ღამეს შევიდა შიგნით.

ცხედარივით დაშიშვლებული მათო ლომის ტყავზე გართმულიყო გულალმა და სახე ხელებით დაეფარა; დაკიდული სანთური აშუქებდა მის თავთან, კარვის დედაბოძზე, ჩამოკიდებულ იარაღს.

– იტანჯები? – ჰკითხა მონამ.– რა გინდა? მითხარი! – და მხარზე მოავლო ხელი, შეაჯანჯლარა, რამდენჯერმე ჩასძახა: – პატრონო! პატრონო!

ბოლოს მათომ ალაპყრო დიდი, ამღვრეული თვალები და ახედა.

– მისმინე! – უთხრა ხმადაბლა და თითი მიიღო ტუჩებზე. – ღმერთები გამირისხდნენ! ჰამილკარის ქალის სახე არა მცილდება! მეშინია მისი, სპენდიუს! – მოჩვენებისგან შეშინებული ბავშვივით მიეკრა მონას მკერდზე, შემდეგ განაგრძო:

– მითხარი რამე! ავადა ვარ! განკურნება მინდა! ყველაფერი ვცადე! იქნებ, შენ იცოდე უებარი შელოცვა, ან უფრო ძლიერ ღმერთებს იცნობ, იქნება?

– რად გინდა? – ჰკითხა სპენდიუსმა.

მათომ თავში მუშტები ნაიშინა და უპასუხა:

– ეგების მოვიშორო!

შემდეგ თავისთვის დაიწყო ლაპარაკი, ხამუშ-ხამუშ ისროდა სიტყვებს:

– მე ის მსხვერპლი ვარ უეჭველად, მას რომ აღუთქვამს ღმერთებისთვის!... უჩინარი ჯაჭვით შემკრა, შემბოჭა. რომ დავდივარ, მე კი არა, ის დადის; რომ ვჩერდები, იგი ისვენებს მაშინ! მისი თვალები მწვავენ, მისი ხმა მესმის. იგი გარს მერტყმის, მმსჭვალავს. მგონია, ჩემს სულად იქცა! და მაინც უნაპირო ოკეანის უჩინარი ტალღებია ჩვენ შუა თითქოს! შორეული და მიუწვდომელია იგი! მშვენიერების ბრწყინვალეობა ნათლის ღრუბელივით მოსავს; და ზოგჯერ ვფიქრობ, რომ არასოდეს მინახავს... რომ არც არსებობს... რომ ყოველივე ეს სიზმარია!...

ასე გოდებდა მათო ბნელში. ბარბაროსთა ბანაკს ეძინა. მის შემეყურე სპენდიუსს მოაგონდა ის ჭაბუკები, ოქროს თასები რომ ეპყრათ ხელთ და ევედრებოდნენ მას ოდესღაც, როდესაც ქალაქებში დაატარებდა თავის მეძავ ქალებს. მონას შეებრალა მათო და უთხრა:

– გამაგრდი, ჩემო პატრონო! გამაგრდი, ღმერთებს კი ნუ ევედრები, ადამიანის ვედრებას ყურადღებას არ აქცევენ ისინი! გულდელავივით რად სტირი! არა გრცხვენია, ქალისთვის ეგრე რომ იტანჯავ თავს?

– განა ბავშვი ვარ! – უთხრა მათომ, – ხომ არ გგონია, ქალის სახე ან სიმღერა მხიბლავდეს კიდეც? დრეპანუმში თავლებს ვაგვევინებდი დიაცებს, მყოლია ქალი იერიშის დროსაც კი, მაშინაც კი, ჭერი რომ გვენგრეოდა თავზე და ფილაკვნებს არ შეეჩერებინათ სროლა!... მაგრამ ეს ქალი, სპენდიუს, ეს ქალი!...

მონამ შეაწყვეტინა:

– ჰამილკარის ასული რომ არ იყოს...

– არა! – წამოიძახა მათომ, – იგი კაციშვილს არა ჰგავს! დაგინახავს მისი ხშირი წარბების ქვეშ ფართოდ გახელილი თვალები, საზეიმო თალებში გამობრწყინებულ მზეებს რომ ჰგვანან? გაიხსენე: როცა გამოჩნდა, ჩირალდნების ალი გამქრქალდა; ფარლულის აღმასებს შორის გამომკრთალი შიშველი კანი მისი მკერდისა პატიოსან თვლებზე უფრო ელვარე იყო; უკან ისეთ სურნელს ტოვებდა, ტაძარში რომ დგას და მთელ მის სხეულში

რაღაც ღვინოზე მეტად ტკბილი და სიკვდილზე უფრო საზარელი გამოსჭვიოდა. ჯერ მოდიოდა, შემდეგ შედგა...

გაოგნებული გაჩუმდა, თავი დახარა, თვალები გაუშტერდა.

– მწყურია ის! მინდა! ვკვდები მისი სურვილით! ოცნება – თითქოს ჩემს მკლავებში მყავდეს ჩახვეული, გიჟური სიხარულით მათრობს, მაგრამ თანაც მძულს იგი, სპენდიუს! მინდა ვგვემო! რა ვქნა? თავს მონათა ბაზარზე გავიყიდდი, ოღონდ მისი ყმა გავმხდარიყავი, შენ ხომ იყავი იმისი მონა! შეგეძლო გემზირა მისთვის. მელაპარაკე მასზე. ხომ ყოველ ღამით გამოდიოდა თავისი სასახლის უმაღლეს ტერასაზე? აჰ! ქვებს უნდა ეცახცახათ მისი სანდლების ქვეშ და ვარსკვლავები ძირს უნდა ჩამოსულიყვნენ მის სანახავად!

გაშმაგებული მათო დაეცა და დაკოდილი ხარივით ახრი-აღდა.

შემდეგ სიმღერა დაიწყო:

– იგი მისდევდა ჭალაკში დედალ ურჩხულს, რომლის კუდი ვერცხლის ნაკადულივით მიიკლაკნებოდა დაცვენილ ფოთლებში.

მათო ბაძავდა სალამბოს ხმას და წინ გაშვერილ ხელებს ისე ამოძრავებდა, თითქოს სალამბოს ნაზი თითები ეხებოდნენ ქნარის სიმებს.

სპენდიუსი ანუგეშებდა, მაგრამ მათო იმასვე იმეორებდა, რაც თქვა, და ღამეები გადიოდა ასეთ ოხვრა-კვნესასა და შეგონებებში.

მათო ცდილობდა მწუხარება ღვინოში ჩაეხშო. გამოფხიზლებულს კიდევ უფრო იპყრობდა დარდი. ცდილობდა კამათელზე გადაეყოლებინა გული და ერთიმეორის მიყოლებით თავისი ოქროს ფარღულის ყველა თვალი ნააგო. ქალღმერთის მხევლებთან დაჰყვებოდა სხვებს, მაგრამ გორაკიდან ქვითინით ჩამოდიოდა, თითქოს დაკრძალვიდან ბრუნდებოდა.

სპენდიუსი კი, პირიქით, უფრო გათამამდა და გამხიარულდა. ხშირად ნახულობდნენ თალარქვეშ გამართულ დუქნებში ჯარისკაცებთან ბაასით გართულს. აახლებდა ძველ აბჯარს, აპრილებდა ხანჯლებს; მინდვრად სამკურნალო ბალახებს კრეფდა ავადმყოფთათვის, ხუმრობდა, მახვილაკობდა, ენამზებოდა; ბარბაროსები დაეჩვივნენ მის სამსახურს. ყველას შეაყვარა თავი.

როქის სპა ელოდა კართაგენის ელჩს, რომელსაც ოქროთი გავსებული ბათიმანებით დატვირთული ჯორები უნდა მოეყვანა. ისევ და ისევ ანგარიშობდნენ და სილაზე თითებით წერდნენ ციფრებს, მომავლის გეგმებს აწყობდნენ; მხევლები და მონები გვეყოლება, მინა გვექნებაო, – ფიქრობდნენ. ზოგს სურდა მინაში ჩაეფლა განძი, ზოგსაც უნდოდა თან წაეღო და ხომალდს ნდობოდა. უსაქმურობამ ხასიათი გაუფუჭათ. გამუდმებული აყალმაყალი იყო მხედრებსა და ქვეითებს, ბარბაროსებსა და ბერძნებს შორის; განუწყვეტლივ გაისმოდა ქალების ყურისწამლები კაპასი.

ყოველდღე ემატებოდათ ხალხი, რომელთაც მზისგან თავის დასაფარავად ბალახბულახის კონები ჩამოეფხატათ ქუდებად. ესენი იყვნენ მდიდარ კართაგენელთა მოვალენი, რომელთაც იძულებით ამუშავებდნენ მინდვრებში და ახლა გამოქცეულიყვნენ თავდასახსნელად. მათ უერთდებოდა უამრავი ლიბიელი, გადასახადებისგან გაღატაკებული გლეხობა, დევნილები, ბოროტმოქმედნი; ჯარს ეკედლებოდა მოვაჭრეთა ურდო, ღვინისა და ზეთის გამყიდველნი, რომელნიც იმას გაეშმაგებინა, რომ არ მიეზლოთ, რაც ერგებოდათ, და რესპუბლიკის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი ამის გამო. სპენდიუსი ყელს იგლეჯდა კართაგენის გინებით. მალე სურსათ-სანოვავე შემოაკლდათ. ლაპარაკი დაიწყეს; ერთობლივად შეეცსიოთ კართაგენს, ანდა რომაელებს მოეუწოდოთო.

ერთ საღამოს, ვახშმობის ხანს, შემოესმათ ყრუ ჟღრიალი, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. შორით, უსწორმასწორო გზაზე, რაღაც წითელი საგანი გამოჩნდა.

ეს იყო სირაქლემას ნაკრტენით ძგიდეებშემკული დიდი, ძონისფერი ტახტრევანი. ბროლის შიბები და მარგალიტის ასხმულები ეხათქუნებოდნენ დახშულ მოფარდაგულს. ტახტრევანს აქლემები მოჰყვებოდნენ მკერდზე ჩამოკიდებული ეჟენების ჟღარუნით. აქლემებს წვივებიდან მხრებამდე ოქროსქერეჭოვანი აბჯრებით შეჭურვილი მხედრების რაზმი ერტყა გარს.

ისინი ბანაკიდან სამასი ნაბიჯის მოშორებით დადგნენ, რათა უნაგირს უკან მიკრული ბუდეებიდან მრგვალი ფარები, პირფართო მახვილები და ბეოტიური მუზარადები ამოეღოთ. მხედართა ნაწილი აქლემებთან დარჩა. დანარჩენებმა გზა გა-

ნაგრძეს. გამოჩნდა რესპუბლიკის ემბლემებიც – ხის ლურჯი ლატენები, რომლებსაც ბოლოში ცხენის თავი ან ნაძვის გირჩები ჰქონდა მიმაგრებული. ბარბაროსები ფეხზე დადგნენ და ტამისცემა ატეხეს. ქალები ლეგიონერებს მისცვივდნენ და ფეხებს უკოცნიდნენ მხედართ.

ტახტრევანი თოთხმეტ ზანგს მოჰქონდა მხრებით. ისინი შეწყობილად, მოკლე ნაბიჯებით სწრაფად მოდიოდნენ; მარცხნივ და მარჯვნივ ეხლებოდნენ, კარვების თოკები ებლანდებოდათ ფეხებში, მოყიალე პირუტყვი, ზედადგარები და სამფეხები უხერგავდათ გზას. მოფარდაგულიდან ზოგჯერ ვილაც ყოფდა ბეჭდებით ახირხლულ მსუქან ხელს და იგინებოდა ხრინწიანი ხმით. მაშინ ზანგები ჩერდებოდნენ და სხვა გზას ადგებოდნენ.

ტახტრევანს ძონეული ფარდაგები გადახადეს და გამოჩნდა დიდ ბალიშებზე მისვენებული უგრძნობელი და გაბლენძილი თავი. წარბები შავი ხის ორ თალს უგავდა, ბოლოებით შეერთებულს. ოქროს ქვიშა ბრწყინავდა მის ხუჭუჭ თმაში, ხოლო სახე ისე გაფერმკრთალებოდა, თითქოს მარმარილოს ფხვნილი წაეყარათ. ტანზე ეფინა ცხვრის სანმისები, რომლებითაც ავსილი იყო ტახტრევანი.

ჯარისკაცებმა იცნეს წამოწოლილი კაცი – სუფეტი ჰანონი, რომელმაც თავისი სიზარმაცის წყალობით წააგო ბრძოლა ეგატის კუნძულებთან; ჰეკატომპილთან რომ გაიმარჯვა და ლმობიერად მოეპყრო დამარცხებულ ლიბიელებს, – ეს სიზარბით მოუვიდაო, ფიქრობდნენ ბარბაროსები, რადგან მან ყველა ტყვე თავის სასარგებლოდ გაყიდა, ხოლო საბჭოს განუცხადა – მოვაკვდინეო.

ჰანონი რამდენსამე წუთს ეძებდა მოხერხებულ ადგილს, რომ იქიდან სიტყვით მიემართა ჯარისკაცებისთვის. ბოლოს ანიშნა ზანგებს და ტახტრევანი გააჩერეს. სუფეტს ორი მონა ამოუდგა მხრებში და მან ბარბაციით ჩამოდგა ფეხები მიწაზე.

შავი თექის ხამლი ეცვა მას, ვერცხლის ნახევარმთვარეებით მოჩითული. ფეხები მუმიასავით თასმებით ჰქონდა გაკრული და ზოგან ხორცი მოუჩანდა გადაჯვარედინებულ სახვევებს შორის; მუცელი გადმოვარდნოდა ალისფერი ქურთუკიდან, რომელიც თეძოებს უფარავდა; ღაბები მკერდამდე ჩამოჰფენოდა ხარივით, ყვავილებით მოხატული ვიწრო ტუნიკა ილღიებში ასკდებოდა; რიდე ეხვია, ქამარი ერტყა და შავი, ყურთმაჯებიანი, ზონრით შეკრული მოსასხამი ეხურა. ტანისამოსის სიმრავ-

ლე, ლურჯი ქვების უზარმაზარი ყელსაბამი, ოქროს საკინძე და მძიმე საყურეები კიდევე უფრო საზიზღარს ხდიდა მის სიმახინჯეს. მოუხეშავ კერპსა ჰგავდა, ლოდისგან გამოჩორკნილს; მკრთალი ჭოროფი, რომელიც მთელ სხეულზე მოჰფენოდა, უსიცოცხლო საგანს ამსგავსებდა. მხოლოდ ქორის ნისკარტით მოკაუჭებული ცხვირის ნესტოები ებერებოდა ძალუმად შესუნთქვისას და შენებებული წამნამებით შემორგული ვიწრო თვალები ფოლადით მკაცრად უელვარებდა. ხელში ალოეს ჩქიფი ეჭირა კანის მოსაფხანად.

ბოლოს ორმა შიკრიკმა ჩაბერა ვერცხლის საყვირებს. ჩოჩქოლი მიწყდა, ჰანონმა ლაპარაკი დაიწყო.

პირველად ღმერთებს აღუვლინა ხოტბა და რესპუბლიკა ადიდა. ბარბაროსებს უნდა უხაროდეთ, რომ მას ემსახურებიანო, – თქვა. მაგრამ მეტი კეთილგონიერება უნდა გამოიჩინონ, მძიმე დროება დაგვიდგაო; თუ პატრონს სამი ზეთისხილი აქვს მხოლოდ, განა სამართალი იქნება, თავისთვის ორი არ დაიტოვოსო?

ასე ანდაზებით და იგავებით ლაპარაკობდა ბებერი სუფეტი, თავს აკანტურებდა, რათა მსმენელთა გული მოეგო.

იგი პუნიკურ ენაზე მეტყველებდა, ხოლო მის ირგვლივ კამპანიელნი, გალები და ბერძნები იდგნენ (ყველაზე მარდებმა უიარალოდ მოირბინეს) და არცერთ მათგანს არ ესმოდა, რას ამბობდა სუფეტი. ჰანონმა შეამჩნია ეს და დადუმდა. ჩაფიქრებული მძიმედ ინაცვლებდა ფეხს და ტორტმანებდა.

ბოლოს იფიქრა, ჯობს მეთაურებს მოვუხმოო, და მისმა შიკრიკებმა ხმამალალი ძახილით ამცნეს ჯარს ეს ბერძნულად – იმ ენაზე, რომელზედაც ქსანტიპეს დროიდან ბრძანებები გაიცემოდა კართაგენის სპაში.

მხედრებმა მათრახის ცემით დაახვედინეს უკან ჯარისკაცთა ბრბოს. ბოლოს გამოცხადდნენ სპარტულ ყაიდაზე დანყობილი ფალანგებისა და ბარბაროსთა კოჰორტების მეთაურები, რომელთაც ხარისხის შესაფერი ნიშნები ეკეთათ და ეროვნული საჭურველი ესხათ. ღამე ჩამოწვა. მინდორზე დიდი აურზაური იყო. აქა-იქ ცეცხლი აბრიალდა. ერთ ადგილას ვერავინ ჩერდებოდა, ყველა წრიალებდა და კითხულობდა: რა მოხდა, სუფეტი ფულს რატომ არ არიგებსო?

სუფეტი მეთაურებს მოახსენებდა რესპუბლიკის გაჭირვების ამბავს: ხაზინა ცარიელია, ხარკი, რომელსაც რომაელებს

ვუხდით, ტყავს გვაძრობს, აღარ ვიცით, რა ვქნათ... რესპუბლიკა სავალალო დღეშიაო.

დროდადრო ალოეს ჩქიფით იფხანდა სხეულს, სიტყვას წყვეტდა, რათა ძმარში მოდუღებული, სინდიოფალას ფერფლისა და სატაცურის ლაბა შეესვა ვერცხლის თასიდან, რომელსაც მონა აწვდიდა. მერე ალისფერი ცხვირსახოცით ინმენდდა ტუჩებს და განაგრძობდა:

– რაც წინათ ერთი ვერცხლი ღირდა, ახლა ოქროს სამი სიკვლი ღირს. ომის დროს მიტოვებული სახნავ-სათესი აღარაფერს იძლევა! ძონეულის სარენი თითქმის აღარ არსებობს, ხოლო მარგალიტის ფასმა წარმოუდგენლად აიწია; ძლივსლა ვშოულობთ საკმარის ნელსულნელებას ღვთისმსახურებისათვის! გალერები არ გვყოფნის და სანელებლები ვეღარ შემოგვაქვს, სილფიუმის შემოზიდვაც გაჭირდა კირენის საზღვარზე ამტყდარი ამბოხის გამო. სიცილია, საიდანაც წინათ უამრავი მონა შემოგვყავდა, ახლა ჩაკეტილია ჩვენთვის! გუშინ იყო სწორედ – ერთ მექისესა და ოთხ მზარეულში უფრო მეტი გადამახდევინეს, ვიდრე წინათ წყვილ სპილოში ვაძლევდი!

პაპირუსის გრძელი გრაგნილი გაშალა და არცერთი რიცხვი არ გამოუტოვებია, ისე წაიკითხა მთავრობის ყველა გასავლის ნუსხა: რამდენი დაეხარჯათ ტაძრების მომსახურებისთვის, ქუჩების მოსაკირწყლავად, ხომალდების ასაგებად, მარჯნის მოსარენად, სისიტთა თაბუნების გაფართოებისათვის და კანტაბრიის მაღაროებში ოწინარების მოსაწყობად.

მაგრამ ჯარისკაცებზე უკეთ არც მეთაურებს ესმოდათ პუნიკური ენა, თუმცა ამ ენაზე ესაღმებოდნენ ერთმანეთს. ჩვეულებრივ, ბარბაროსთა სპაში რამდენიმე კართაგენელ ასისტავს გაამწესებდნენ ხოლმე თარჯიმნის მოვალეობის შესასრულებლად; ომის დამთავრების შემდეგ ისინი სადღაც გადაკარგულიყვნენ – შური არ იძიონო. ჰანონს არც მოჰფიქრებია თარჯიმნის წამოყვანა, თანაც ქარს მიჰქონდა მისი დახშული ხმა.

რკინისქამრებიანი ბერძნები ყურთასმენას ძაბავდნენ, ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ჰანონის სიტყვების აზრს, ხოლო დათვებივით ბენვეულში გახვეული მთიელები უნდოდ შეჰყურებდნენ და ამთქნარებდნენ, თითბრის სამსჭვლებიან კომბლებზე დაყრდნობილნი. გალები ყურადღებას არ აქცევდნენ სუფეტს, მასხრად იგდებდნენ და სიცილით არხევდნენ გრუზა

ქორებს; უდაბნოს მკვიდრნი უძრავად იდგნენ და ისე უსმენდნენ, ნაცრისფერი შალის სამოსი მჭიდროდ შემოეხვიათ ტანზე. უკნიდან თანდათან ემატებოდნენ მსმენელნი. ჰანონის მხედრები, რომელთაც ბრბო ავინროებდა, ირყეოდნენ ცხენებზე. ზანგებს ნაძვის ანთებული კვარები ეჭირათ, ხოლო ლიპიანი კართაგენელი ბალახით დაფარულ ბორცვზე შემდგარიყო და გულისგამანყალბლად ქაქანებდა.

ბარბაროსებს მოთმინების ფიალა აევსოთ, ბუზლუნი იწყეს, უკმეხად აწყვეტინებდნენ სიტყვას. ჰანონი თავის ჩქიფს იქნევდა. ბარბაროსთაგან ზოგი ცდილობდა ხმამალალი შეყვირებით გაეჩუმებინა სხვები და ეს უფრო აძლიერებდა ხმაურს.

უეცრად ერთი ჩია კაცი მიიჭრა ჰანონთან, გამოჰგლიჯა საყვირი შიკრიკს და ჩაჰბერა. ამით სპენდიუსმა (ეს სპენდიუსი იყო) ამცნო ხალხს, რომ ფრიად მნიშვნელოვანი რამ ჰქონდა სათქმელი. მან სწრაფად განაცხადა ეს ხუთ სხვადასხვა ენაზე: ბერძნულად, ლათინურად, გალურად, ლიბიურად და ბალეარულად. ოდნავ განცვიფრებულმა მეთაურებმა ღიმილით შესძახეს: „თქვი! თქვი!“

სპენდიუსი შეყოყმანდა. ცახცახებდა. მერე, რადგანაც ბრბოს უმეტესობას ლიბიელნი შეადგენდნენ, მათ მიმართა:

– ყველამ გაიგონეთ ამ კაცის საშინელი მუქარა?

ჰანონი არ აღშფოთებულა, მაშ არა სცოდნია ლიბიური. სპენდიუსმა ცდა განაგრძო და სხვა ბარბაროსულ ენებზედაც გაიმეორა იგივე ფრაზა.

მსმენელნი განცვიფრდნენ, შემდეგ ყველამ, თითქოს უსიტყვოდ შეთანხმდნენო, ან თუ ეგონათ – გავიგეთო, თანხმობის ნიშნად დახარა თავი.

მაშინ სპენდიუსმა მღელვარე ხმით განაგრძო:

– ჯერ ამან თქვა, რომ სხვა ტომთა ღმერთები აჩრდილნილა არიან კართაგენის ღმერთთა წინაშე! მხდლები, ქურდები, მატყუარები, ძაღლები და ძაღლისშვილები ხართო, გითხრათ! თქვენ რომ არ ყოფილიყავით, რესპუბლიკა იძულებული არ გახდებოდა რომაელებისთვის ხარკი ეხადაო, ასე თქვა! თქვენი შემოსევის გამოისობით გამოგველია ნელსაცხებელი, მონები და სილფიუმი, კირენის საზღვარზე მოსახლე მომთაბარებებთან შეკართო პირი და იმიტომ! მაგრამ დამნაშავენი დაისჯებიანო! წაგიკითხათ სასჯელთა ნუსხა – ქუჩებს მოგაკირწყვლინებთო, ხომალდებს შეგაჭურვინებთ, სისიტთა სახლებს დაგალაგები-

ნებთ, სხვებს კანტაბრიის მაღაროებში გაგზავნითო მიწის სათხრელად.

სპენდიუსმა გაუმეორა იგივე გალებს, ბერძნებს, კამპანიელებს, ბალეარელთ. მეომრებს ეცნაურათ ზოგიერთი სიტყვა, რომლებიც ყურში ჩარჩენოდათ და დარწმუნდნენ, რომ სპენდიუსი ზუსტად გადმოსცემდა სუფეტის ნალაპარაკებს. რამდენიმე დაუძახა, ტყუიო, მაგრამ მათი ხმა საყოველთაო ალიაქოთმა და ჩოჩქოლმა ჩაახშო. სპენდიუსმა დაუმატა:

– ხომ დაინახეთ, რომ ბანაკს გარეთ დატოვა თავისი მხედრების ნაწილი? საკმარისია, ნიშანი მისცეს, რომ მოგვცვივდნენ და ყელი გამოგვლადრონ ყველას!

ბარბაროსები იმ მხრისკენ მიბრუნდნენ და, როდესაც ბრბო გაიშალა, დაინახეს წელში მოკაკეული, გაძვალტყავებული, სავსებით შიშველი და აბურძგნილი, ჭუჭყიანი, ხმელი ფოთლებითა და ნაძვით ავსებული თმით წელამდე დაფარული ადამიანის მსგავსი არსება, რომელიც ძლივსლა მოლასლასებდა აჩრდილივით. წელზე და მუხლებზე ბზეში აზელილი თიხა შემოეგლისა და ტილოს ნაფლეთები ეხვია; დანაოჭებული და ჭუჭყისფერი კანი ისე ეკიდა გამხდარ მკლავებზე, როგორც კონკები ხმელ ტოტებს; ხელები განუწყვეტლივ უცახცახებდა, ძლივსლა მონახნალებდა, ზეთისხილის ჯოხს დაყრდნობილი.

იგი მიუახლოვდა ზანგებს, რომელთაც ხელში ჩირაღდნები ეჭირათ. მერე სულელივით გაიღრიჯა და მკრთალი ღრძილები გამოაჩინა. ფართოდ დაჭყეტილი, შეშინებული თვალებით შესცქეროდა ირგვლივ შემოჯარულ ბარბაროსთა ბრბოს.

უეცრად ძრწოლით შეჰყვირა და უკანვე გაიქცა, ბარბაროსთა ზურგს ამოეფარა, ენადაბრკმობით აბუტბუტდა: „აი, ისინი! ისინი!“ და უთითებდა სუფეტის მხედრებზე, რომელნიც უძრავად იდგნენ და აბჯარი უბრჭყვიალებდათ. ჩირაღდნები ტკაცატკუცით ბრიალებდნენ სიბნელეში, ცხენებს სინათლე თვალსა სჭრიდათ და ყალყზე დგებოდნენ. ლანდად ქცეული კაცი მკერდზე ხელს იბრაგუნებდა და ღმუოდ:

– ამათ მოკლეს ისინი!

ამ სიტყვებზე, რომელთაც იგი ბალეარულად გაიძახოდა, ბალეარელნი მოცვივდნენ და იცნეს. ის კი პასუხს არ აძლევდა თვისტომთ და იმეორებდა:

– დიახ, ყველა მოკლეს, ყველა! ყურძნის კუმპლებივით დაჭყლიტეს. რა მშვენიერი ჭაბუკები იყვნენ! მეშურდულენი! ჩემი და თქვენი ამხანაგები!

საცოდავს ცოტა ღვინო დააღვინეს და ტირილი დაიწყო. შემდეგ სულმოუთქმელად ალაპარაკდა.

სპენდიუსი ძლიერ იკავებდა სიხარულს, ბერძნებსა და ლიგურიელთ უთარგმნიდა ზარქსასის საზარელ ნაამბობს; დაუჯერებლადაც კი ეჩვენებოდა, ისე დაემთხვა ეს მის ნათქვამს. ბალეარელთ ფერი დაეკარგათ, როცა გაიგეს, თუ როგორ ამოეწლიტათ მათი ამხანაგები.

ეს ყოფილა ის რაზმი, რომელშიაც სამასი მეშურდულე შედიოდა და გამოსვლის წინა დღეს ჩამოვიდა ზღვით. დაღლილებს დილით გვიან გაღვიძებიათ. ქამონის მოედანზე რომ მისულან, როქის ჯარი წასული დახვედრიათ. თავდაცვაც კი აღარ შეეძლოთ: მათი თიხის სატყორცნები აქლემებზე აეკიდებინათ დანარჩენ ბარგთან ერთად და სპას გაჰყოლოდა. საბრალონი სათების ქუჩაზე გაუტარებიათ კართაგენელებს და თითბრით შეჭედულ მუხის კარიბჭემდე მიუშვიათ. იქ კი მთელი ხალხი დახვევია ერთობლივ.

ჯარისკაცებს გაახსენდათ, ყვირილი რომ შემოესმათ ქალაქიდან. სპენდიუსი ყველაზე წინ მიდიოდა მაშინ და ეს ხმა არ გაუგონია.

დახოცილ ბალეარელთა ცხედრები ქამონის ტაძრის კედლის გასწვრივ მდგარი პატეკი ღმერთების მკლავებზე დაუნყვიათ კართაგენელთ; მათთვის დაუბრალეზიანათ დაქირავებული ლაშქრის ყველა დანაშაული: გაუმაძღრობა, ქურდობა, ურწმუნოება, უკადრისობა, თევზთა ამოწლეთა სალამბოს მტილოვანში. მკვდრები სამარცხვინოდ დაუმახინჯებიათ; ქურუმები თმებს უხრუკავდნენ თურმე, რათა დატანჯულიყო მათი სულიც; ყასბებს ჩანგლებზე ჩამოუკიდებიათ ასო-ასო აქნილი გვამები, ზოგიერთი კბილებითაც ჯიჯგნიდა თურმე; გზაჯვარედინებზე კოცონები გაუჩაღებიათ, რათა მათი სინსილაც გაექროთ.

ეს ის ცეცხლი იყო, ტბის იქითა კიდეზე რომ გიზგიზებდა იმ ღამით. ცეცხლი ზოგიერთ სახლსაც მოსდებია და ამიტომ დანარჩენი ცხედრებიცა და მომაკვდავებიც სასწრაფოდ გამოუყრიათ ქალაქის კედლებიდან. ზარქსასი მეორე დღემდე ლელიანში დამალულა ტბის პირას. მერე მინდვრებში უხეტიალია, მტვრიან გზებზე უძებნია ლაშქრის ნაკვალევი. დილდილობით გამოქვაბულებს აფარებდა თავს, შებინდებისას ისევ დაადგებოდა გზას, იარებიდან სისხლი სდიოდა, შიმშილით კუჭი უხმებოდა, სიცხე სწავდა, ძირხვენებითა და ლეშით იკვებებოდა

თურმე. ბოლოს ერთ დღეს ჰოროლებისთვის მოუკრავს თვალი ცისკიდურზე და უკან გამოჰყოლია. შიშისა და გაჭირვებისგან ჭკუიდან გადასულა.

აღშფოთებული ბაღეარელნი თავს იკავებდნენ, სანამ ზარქ-სასი ლაპარაკობდა, მერე კი ქარიშხალივით აბორგდნენ, უნდოდან ამოეწლიტათ კართაგენელი მხედრები და ჰანონიც ზედ მიეყოლებინათ. ზოგიერთნი წინ გადაუდგნენ – ჯერ გავიგოთ, ჯამაგირს გადაგვიხდინ თუ არაო.

– ჩვენი ფული! ჩვენი ფული! – აყვირდა ყველა.

ჰანონმა უპასუხა, მოგიტანეთო.

მაშინ ბარბაროსები წინა სიმაგრეებისკენ გაიქცნენ და სუფეტის საბარგული კარვებთან მოიტანეს. მონებს აღარ დაუცადეს, სასწრაფოდ გახსნეს კალათები. ფირუზისფერი კაბები, ღრუბელი, საფხეკები, ჯაგრისები, ნელსაცხებლები, თვალეზის მოსახატავი ჩხირებიღა შერჩათ ხელთ. ყოველივე ეს ფუფუნებას დაჩვეულ მდიდარ მხედრებს ეკუთვნოდა. ბრინჯაოს უზარმაზარი როფიც კი აეკიდებინათ აქლემისთვის. სუფეტს წამოეღო, რათა გზაში ებანავა. იგი ყოველწაირად უფრთხილდებოდა თავს – ჰეკატომპილის სინდიოფალებიც კი წამოეყვანა გალიებით, მათ ცოცხლად წვავდნენ სამკურნალო სასმელის შესამზადებლად. ისეთი სენი სჭირდა, რომ ვერაფრით იძლეოდა მუცელს და წამოეღო უამრავი სანოვაგე და ღვინო, წათხესა და თაფლში ჩაწყობილი ხორცი და თევზი, გადამდნარი ბატის ქონით ავსებული კომაგენური ქოთნები, რომელთაც დაკეპილ თივაში არეული თოვლი ეყარა ზემოდან. ბატის ქონი ბლომად მოემარაგებინა სუფეტს. ყოველ ძარში პოულობდნენ კომაგენურ ქოთნებს და ყოველი მხრიდან შემოჯარული ბარბაროსების ხარხარი ტალღებივით ეფინებოდა არეს.

ხოლო როქის სპის ჯამაგირი თხილის შტოებისგან მოწნულ ორ ძარსაც არ ავსებდა პირთამდე. ერთ მათგანში ტყავის რგოლებიც კი ეყარა, რასაც რესპუბლიკა ლითონის ფულის ნაცვლად ხმარობდა ოქრო-ვერცხლის დასაზოგავად. ჯარისკაცებს ჰანონმა განუცხადა, თქვენი ჯამაგირი ძნელი საანგარიშებელია, უხუცესებმა ვერ მოიცალებს და ჯერჯერობით ესლა გამომატანესო.

მაშინ ყველაფერი დაამხეს და გადაჯეგეს ბარბაროსებმა: ჯორები, მსახურნი, ტახტრევანი, სანოვაგე, ბარგი. პეშევებით

იღებდნენ ფულს კალათებიდან და ჰანონს აყრიდნენ ცხვირ-პირში. სუფეტი ძლივს შეაბობლდა ვირს, კისერზე ჩაებლაუჭა და გარეკა. ღმუილითა და ტირილით ირხეოდა სულდალეული, წყევლიდა და კრულავდა ბარბაროსებს. მკერდზე ჩამოკიდებული ფარღული ყურებადმე უხტოდა, გრძელი მოსასხამი, რომელიც უკან მისთრევდა, კბილებით ეჭირა. ბარბაროსები შორიდან მისძახოდნენ:

– ნაეთრიე, ლაჩარო! ღორო! მოლოქის ღარღანავ! ნაეთრიე შენი ოქროიან-ჭირიანად! უფრო სწრაფად მოუსვი, უფრო სწრაფად!

თავგზაბნეული მხედრები ჭენებით გაჰყვნენ სუფეტს.

მაგრამ გამძვინვარებული ბარბაროსები არ დამშვიდებულან. მოაგონდათ, რომ ზოგი მათგანი კართაგენს წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა, მოაკვდინეს უეჭველად. ამოდენა უსამართლობამ გააშმაგა სპა. კარვების ბოძკინტებს მისცვივდნენ, თხრიდნენ, მოსასხამებს ახვევდნენ, ცხენებს კაზმავდნენ; მუზარადებსა და ხმლებს დაავლეს ხელი და ერთ წუთში გაემზადნენ სალაშქროდ. ვისაც იარაღი არ აღმოაჩნდა, ჭალაში გავარდა კეტების მოსაჭრელად.

თენდებოდა. სიკის მოსახლეობას გაღვიძებოდა და ქურჩებში გარბოდა. კართაგენზე ილაშქრებენო, – გავარდა ხმა და მთელ მხარეს მოედო.

ყოველი მხრიდან მოდიოდა ხალხი, ღრანტეებზე დაკლაკნილი ბილიკებით მოემართებოდნენ, მწყემსები ჩამორბოდნენ გორაკებიდან.

როცა ბარბაროსები წავიდნენ, პუნიკურ უღაყზე ამხედრებულმა სპენდიუსმა დაიარა მინდორი, თან ახლდა მონა, რომელსაც მარქაფად მესამე ცხენი მიჰყავდა.

ერთადერთი კარავი დარჩენილიყო აუშლელი. სპენდიუსი შიგ შევიდა.

– ადექი, პატრონო! ადექი! გავდივართ!

– საით? – ჰკითხა მათომ.

– კართაგენისკენ! – შესძახა სპენდიუსმა.

მათო მოახტა ცხენს, რომელიც მონამ დაახვედრა შესასვლელთან.



თავი მესამე

სალამო

მთვარე ამოიწვერა ზღვის ტალღების დონეზე და ჯერაც წყვდიადით დანთქმულ ქალაქში აცრიატდა ნათლის თეთრი ლაქები. სადღაც ეზოში დაგდებული გუთნის რვილი, თოკზე გაკიდებული ტილოს კონკები, კედლის კუთხე, ოქროს ფარლული კერპის მკერდზე. აქა-იქ, ტაძრის სახურავებზე, აღმასებივით აბრჭყვიალდა მინის ბირთვები. მკრთალად გამოკვეთილი ნანგრევები, შავი მინის ნაყარი და ბალები ქუფრად ჩაბნელებულიყო, ხოლო მალქის ქვემო მხარეს, სახლებს შუა, გაკიდებული სათევზაო სათხევლეები უზარმაზარ ფრთაგამლილ ღამურებს ემსგავსებოდნენ. მიმწყდარიყო ჭრიალი წყალსაქაჩი ბორბლებისა, რომელთა მეშვეობით სასახლის ზედა სართულებზე აჰყავდათ წყალი. ტერასებზე სირაქლემებივით მუცელზე განოლილიყვნენ აქლემები და ისვენებდნენ; მეკრეებს ზღურბლებთან ეძინათ ქუჩებში. უკაცრიელ მოედნებზე კერპების ჩრდილი განოლილიყო. ხანდახან შორს ბრინჯაოს კრამიტებიდან ჯერაც მღვივანი სამსხვერპლოს კვამლი ამოიბოლქვებოდა, ხოლო ნელ ნიავს სურნელთან ერთად ზღვის ბალახის სუნი და მზეზე გახურებული კედლების ანაორთქლი მოჰქონდა. კართაგენის ირგვლივ გაქვავებული წყლის ზედაპირი ელვარებდა – მთვარე ერთსა და იმავე დროს გორაკებით გარშემორტყმულ ყურესაც აფენდა შუქს და ტუნისის ტბასაც, სადაც დასილულ თავთხელებზე ვარდისფერი ფლამინგოები გამწკრივებულიყვნენ გრძლად; ხოლო უფრო შორს, კატაკომბებთან, ვრცელი მარილოვანი ყურე ციმციმებდა ვერცხლის ფირფიტასავით. ლურჯი ცის თალი, ერთ მხარეს დაბლობზე ამდგარ მტვრის ბულს ერთოდა დასალიერზე, მეორე მხარეს – ზღვაზე დამდგარ ნისლს; აკროპოლის ზეთავზე, ეშმუნის ტაძრის ირგვლივ, აწონილი კვიპაროსები ირწეოდნენ და შრიალებდნენ, როგორც

ზვირთები, ზანტად რომ ესხმოდნენ ჯებირს მიწაყრილის ძირას.

სალამბო თავისი სასახლის ტერასაზე ავიდა. მხევალი შველოდა, რკინის ლანგრით გაღვივებული ნაკვერჩხლები მიჰქონდა.

შუა ტერასაზე სპილოს ძვლის პატარა სარეცელი იდგა, ჯიქის ტყავადაფარებული. ზედ ელაგა თუთიყუშის, ღვთაებისადმი შეწირული ამ გულთმისანი ფრინველის, ბუმბულით დატენილი ბალიშები. სარეცლის ოთხივე კუთხეში ნელსურნელებით, საკმევლით, დარიჩინითა და ნარდით ავსებული მაღალი მუჯამრები იყო აღმართული. მხევალმა ცეცხლი შეუგზნო საკმეველს. სალამბომ ჩრდილოეთის ვარსკვლავს მიაპყრო მზერა, თაყვანი სცა ცის ოთხივე კიდეს და დაიჩოქა იატაკზე, რომელიც ცის კამარის მიმსგავსებით ოქროს ხვიჭაარეული ცისფერი ფხვნილით იყო მოფენილი. შემდეგ იდაყვები ფერდებზე მიიკრა, ხელები წინ გაიშვირა და თითები გაშალა, თავი უკან გადააგდო – პირისახე მთვარის შუქს მიუშვირა და საწყალობელი ხმით წარმოთქვა, თითქოს ვილაცას უხმობდა:

– ო, რაბეთნა! ბაალეთ! ტანიტ! ანაიტის! ასტარტა! დერკეტო! ასტორეთ! მილიტა! ათარა! ელისა! ტირათა!... დაფარული ნიშნებით, მჟღერი სისტრებით, მინის ორნატებით გესალმები, ბნელი ზღვისა და ლაჟვარდოვანი სანაპიროების მეუფევ, წყლის დედოფალო!

ორჯერ თუ სამჯერ შეირხა მთელი ტანით, შემდეგ ხელები გაშალა და ჩაემხო მტვერში.

მხევალმა მარდად წამოაყენა, რადგან, ღვთისმსახურების წესის თანახმად, ვინმეს უნდა აეყენებინა მიწაზე გართხმული მლოცველი იმის ნიშნად, რომ ღმერთებმა შეისმინეს მისი მუდარა. სალამბოს გამდელი გულმოდგინედ ასრულებდა ყოველთვის ამ ღვთის სათნო ვალს.

სავსებით ბალლი ყოფილა იგი, როცა დარიტიის გეტულიელ ვაჭრებს ჩამოუყვანიათ კართაგენში. გააზატების შემდგომაც არ ინდომა თავისი გაზრდილის მიტოვება, ეს იმაზეც ეტყობოდა, რომ მარჯვენა ყურის ბიბილო გაეხვრიტა. თეძოებზე შემოჭერილი, ფერადზოლებიანი, კოჭებამდე ჩამოშვებული ქვედაკაბა ეცვა, ფეხებზე კალის რგოლები ეკეთა, უგერგილო სახეც ყვითელი ჰქონდა თავის ტუნუკასავით; უკან გრძელი ქინძის-

თავი ჩაემაგრებინა მარაოს დარად, ცალ ნესტოში მარჯნის ჩხირი გაერჭო და ჰერმასავით იდგა თვალებდახრილი.

სალამბო ტერასის კიდეს მიუახლოვდა. თვალი მოავლო ცის დასალიერს, შემდეგ მიძინებულ ქალაქს გადახედა და ღრმად ამოიოხრა, მკერდი შეერხა და აუფრიალდა გრძელი თეთრი სიმარა, რომელიც ისე ებურა, უსაკინძოდ და უსარტყლოდ. ჭვინტიანი სანდლები მთლიანად ზურმუხტით ჰქონდა მოკენჭილი. გაშლილი თმები ძონეული მაქმანით აეკრა.

ისევ ზეაილო თავი მთვარის საჭვრეტად და ჩურჩულით დაიწყო, შიგადაშიგ საგალობელთა ნაწყვეტებს ურთავდა:

– რა მსუბუქად დაცურავ იგავმიუნვდომელი ეთერის ტალღებში, შენ ირგვლივ რომ კამკამებს! შენა ხარ ქართა და ცვართა გამრიგე. შენს კლებასა და გავსებასთან ერთად ვინროვდება და ფართოვდება კატის თვალები და ავაზას რუხი ლაქები. შობის ტკივილებით გათანგული მშობიარენი გაჰკივიან შენს სახელს! შენ ზრდი ნიჟარებს! ადუღებ მაჭარს! ხრწნი ცხედრებს! ქმნი მარგალიტს ზღვათა სიღრმეში!

და ყოველი ჩანასახი შენს ნოტიო ბნელ ნიაღში ღვივდება, ქალღმერთო!

როდესაც მოგვევლინები, სიმშვიდე ეფინება დედამიწას; ყვავილები იხუჭებიან, ზვირთები ცხრებიან, დამაშვრალი ადამიანები გულალმა იძინებენ შენკენ მკერდმოშვერილნი და მთელი ქვეყანა თავისი ოკეანეებითა და მთებით იყურება შენს სახეში, როგორც სარკეში. თეთრი ხარ, ნაზი, სხივნათელი, უბინო, შემნე, განმმედეელი და წყნარი!...

ნამგალა მთვარე ცხელი წყაროების გორაკს გასწორებოდა და უნაგირას შუა მოჩანდა ყურის მეორე მხარეს. მის ქვემოთ პატარა ვარსკვლავი ბრჭყვიალებდა მკრთალ შარავანდში, რომელიც ირგვლივ ეფინა მნათობს. სალამბომ განაგრძო:

– საშინელიც ხარ, მეუფეო!... ურჩხულებს, შემზარავ ლანდებს და მატყუარა სიზმრებსა ბადებ. შენი თვალები ჭამენ ნაგებობათა ქვებს და მაიმუნებს ასნეულებ შენი ყოველი განახლებისას. ო, ტანიტ! ხომ გიყვარვარ? აუ, რამდენი მიჭვრეტია შენთვის! მაგრამ, არა! შენ ლაჟვარდში დანავარდობ, მე კი ისევ ამ უძრავ მიწაზე მტოვებ. ტაანაქ, ნებალი აიღე და დაუკარ ჩუმად ვერცხლის სიმზე, გული დამიმნუხრდა.

მხევალმა ასწია ეკალმუხისგან გამოთლილი საკრავი, რომელიც ქნარს ჩამოჰგავდა, მაგრამ უფრო მაღალი და სამკუთხა იყო, ააწყო და ორივე ხელი ჩამოჰკრა ძალებს.

ყრუ ბგერები სწრაფად მოსდევდნენ ერთიმეორეს, ფუტკარივით ბზუოდნენ, ხმოვანება ემატებოდათ და ტალღების ჩივილთან და აკროპოლის დიდი ხეების შრიალთან ერთად მიფრინავდნენ წყვდიადში.

– გაჩერდი! – შესძახა სალამბომ.

– რა მოგივიდა, პატრონო? ნიავის წამოქროლება თუ ღრუბლის გადავლა – ყველაფერი შენ გაშფოთებს და განუხებს!

– აბა, რა ვიცი! – უთხრა სალამბომ.

– ხანგრძლივი ლოცვით იქანცავ თავს!

– ოჰ, ტაანაქ, ყვავილი რომ დნება ღვინოში, ისე მინდა ლოცვაში გავქრე!

– იქნებ საკმევლის კვამლი გვნებს?

– არა! – მიუგო სალამბომ, – ღმერთთა სული ბუდობს სურნელში.

მაშინ მამის შესახებ გაუბა საუბარი მხევალმა. ფიქრობდნენ, რომ ის მელქარტის სვეტს გადაღმა იყო წასული, ქარვის ქვეყანაში.

– თუ ველარ დაბრუნდა, – ეუბნებოდა მხევალი, – უხუცესთა ვაჟებს შორის უნდა აირჩიო საქმრო, ასე დაიბარა, და შენი სევდა განქარდება მამაკაცის მკლავებში.

– როგორ? – იკითხა ქალწულმა. მამაკაცი, ვინც კი აქამდე ენახა, ძრწოლასა ჰგვრიდა მხეცური, ცხოველური ღრეჭითა და უხეში სხეულით.

– ხანდახან, ტაანაქ, ჩემი არსების სიღრმიდან რაღაც ცხელი, ვულკანის ბოლზე მძიმე ბურუსი მომანვება, სხვა ხმები მესმის, ცეცხლის ბირთვი მიტრიალებს მკერდში, მახრჩობს, სიკვდილის პირამდე მივყავარ. მერე რაღაცნაირი სიტკბოება თავით ფეხამდე დამივლის ტანში... რაღაც შემომეხვევა ალერსით და გულზე მანვება, თითქოს ღმერთი გარდმოსულიყოს ჩემზე. ოჰ! როგორ მინდა ღამეულ ნისლს შევერიო, ნაკადულთა ჩქერს, ხეების წვენს შევენივთო, განვიძარცვო სხეულისაგან და მხოლოდ სუნთქვა ვიყო, მხოლოდ სხივი და ავფრიალდე, შენამდე ავმალდე, დედაო!

ხელები ზეაღაპყრო, მთვარესავით მკრთალი და მსუბუქი ჩანდა თავის გრძელ სამოსელში. შემდეგ სულშეხუთული ქალი

სპილოს ძვლის სარეცელზე დაემხო ისევ. ტანაქმა შიშის გასაქარვებლად ქარვისა და დელფინის ღოჯების ფარული შეაბაყელზე, სალამბომ ძლივს გასაგონი ხმით უთხრა:

– წადი, შაჰაბარიმს მიხმე!

ჰამილკარს არ უნდოდა, რომ სალამბო ქურუმ ქალთა თაბუნში შესულიყო, ან თუნდაც ის სცოდნოდა, თუ როგორ წარმოედგინა ხალხს ტანიტი. უნდოდა ისე გაეთხოვებინა, რომ ქალიშვილის ქორწინება თავის პოლიტიკაში გამოსდგომოდა. ამიტომ იყო, რომ სალამბო მარტოდმარტო ცხოვრობდა სასახლეში. დედამისი დიდი ხანია, აღარ იყო ცოცხალთა შორის.

თვითგვემის, მარხულობისა და სულისმარგებელი ლოცვების ატმოსფეროში გაიზარდა ქალწული, მუდამ მშვენიერი და დიდებული ნივთები ერტყა ირგვლივ, სხეული ნელსაცხებით ჰქონდა გაჟღენთილი, სული – ლოცვებით. არასოდეს მოესვა ღვინო, არც ხორცი ეჭამა, არც ბილწ ცხოველს მიჰკარებოდა და არც რომელიმე გარდაცვლილის ოთახში შეუდგამს ფეხი ოდესმე.

უხამსი ხატი რა იყო, არ იცოდა. ყოველი ღმერთი ხომ განსხვავებული სახით ევლინება ქვეყანას, ხოლო ერთსა და იმავე ღვთაებრივ არსს წინაუკმოდ, სხვადასხვაგვარად ეთაყვანებიან. სალამბო ტანიტის ციურ ხატებას ესავდა და მთვარეც თავის ძალას ცდიდა ქალწულზე: როდესაც დამცხრალი იყო, სალამბოც მისუსტდებოდა; მთელი დღის განმავლობაში მოთენთილი ქალი სალამობითლა ხალისდებოდა. მთვარის ერთ-ერთი დაბნელების ჟამს კინალამ მოკვდა.

ეჭვიანი რაბეთი შურს იძიებდა იმისათვის, რომ სალამბოს სიქალწულე მას არ შესწირეს, და აწამებდა ასულს მწველი ვნებით. სალამბოს გაურკვეველ სურვილებს რწმენა ერთოდა და კიდევ უფრო აცხოველებდა მის ვნებებს.

ჰამილკარის ასული გამუდმებით ფიქრობდა ქალღმერთზე. გაეცნო მის თავგადასავალსა და მოგზაურობათა ამბავს, შეისწავლა მისი ყველა სახელი და განუწყვეტლივ იმეორებდა; არ კი უწყოდა, რომ ყოველ მათგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ქალწულს სურდა ტანიტის ტაძრის იდუმალ საგანძურში შეეღწია როგორმე და ბრწყინვალე მოსასხამით შებურული მთვარის ძველისძველი კერპი ეხილა. ამ მოსასხამზე იყო დამოკიდებული კართაგენის ბედი. ღვთაება და მისი გამოსახულება ერთმანეთისგან გარკვევით არ განიყოფებოდნენ ქალის წარ-

მოდგენაში და ხატის ხილვა, ან მისთვის ხელის შეველება ღვთის ძლიერების ნაწილს მომანიჭებსო, ქალღმერთი ერთგვარად დამმორჩილდებაო, – ეგონა.

სალამბო შემობრუნდა, ეცნაურა წკრიალი ოქროს ეფენები-სა, რომლებიც შაჰაბარიმს ეკიდა სამოსლის ქობაზე.

შაჰაბარიმი კიბეზე ამოვიდა და იქვე, ტერასის ზღურბლთან, შედგა მკლავებგადაჭდობილი.

ღრმად ჩაცვნილი თვალები ეკვდერის ლამპრებივით უელვარებდა. მაღალი, ხმელი ტანი ჩაჰკარგოდა სელის კაბაში, რომელიც წვივებამდე ეშვებოდა და ქობაზე ჩამორიგებული ეფენებითა და ზურმუხტის თვლებით იყო დამდიმებული. სხეული – დაძაბუნებული, კეფა – მრუდე და ნიკაპი – ჩამომხმარი, კანი კი ისეთი ჰქონდა, გეგონებოდათ, რომ შეხებოდით, სიცივე აგიტანდათ; ჩაყვითლებული სახე თითქოს გამუდმებულ ნადილსა და მწუხარებას დაელარა ღრმა ნაოჭებით.

ტანიტის ქურუმთუხუცესი და სალამბოს მოძღვარი იყო იგი.

– თქვი! – უთხრა მან ქალწულს, – რა მოგსურვებია?

– ვიმედოვნებდი... შენ ხომ თითქმის დამპირდი... – სალამბოს მღელვარებისგან ენა ებმოდა. შემდეგ მტკიცედ უთხრა: – რად გძულვარ? ხომ არაფერი დამეინყებია ღვთისმსახურებისას? ჩემი მოძღვარი ხარ და მრავალგზის გითქვამს, რომ ჩემსავით არავინ ჩასწვდომია ტანიტის სჯულს, მაგრამ არის კიდეც რაღაც, რაც არ გსურს გამიმხილო. ხომ მართალს ვამბობ, მამაო?

შაჰაბარიმს მოაგონდა ჰამილკარის დანაბარები და მიუგო:

– არა, მეტი არაფერია სათქმელი!

– რომელიღაც სული შთამაგონებს მის სიყვარულს. – გა-ნაგრძო ქალმა, – ცთომილთა და სულთა ღვთაების ეშმუნის ტაძრის კიბეზედაც ავფორთხებულვარ, ტვიროსის ახალშენების მეუფის, მელქარტის, ოქროს ზეთისხილის ხის ძირასაც მძინებია, სინათლისა და ნაყოფიერების ღმერთის, ბაალ-ქამონის, ბჭეებსაც მივახლებივარ; ტყეების, ქართა, ყვავილებისა და მთების ღმერთების, ქვესკნელის ქაბირებისთვისაც, შემინირავს მსხვერპლი, მაგრამ ყველა ესენი ძალზე შორეულნი, მაღალნი და შეუცნობელნი არიან, გესმის? ხოლო ტანიტი და ჩემი სიცოცხლე განუყოფელია. მისით ამვსებია სული და შინაგანი სწრაფვა მათრთოლებს, თითქოს იგი ფეთქავს ჩემს სულში, უნდა თავი აიშვას. მგონია, თითქოს ეს-ესაა შემომესმება მისი

ხმა, ვიხილავ მის სახეს; ელვარება მჭრის თვალს, შემდეგ ისევ მეხვევა წყვდიადი.

შაჰაბარიმი დუმდა. სალამბომ ყვედრებით მიაპყრო თვალი.

ბოლოს ქურუმმა ანიშნა ქალწულს, დაეთხოვა მოახლე, რომელიც არ ეკუთვნოდა ქანაანელთა ტომს. ტაანაქი გაქრა. შაჰაბარიმმა ხელები ზეცისკენ ალაპყრო და დაიწყო:

– სანამ ღმერთები მოევლინებოდნენ სამყაროს, წყვდიადი იყო მხოლოდ და სუნთქვა ქროდა, მძინარე კაცის შეგნებასავით მძიმე და ბუნდოვანი. შემდგომ წყვდიადი შედედდა, ნადილი და ღრუბელი წარმოიქმნა, ხოლო ნადილისა და ღრუბლისაგან გამოვიდა პირველყოფილი მყარი. ეს იყო შავი, ყინულივით ცივი, ღრმა და ჭუჭყიანი წყალი, რომელიც იმ უგრძნობელ ურჩხულებსა და მომავალი სხეულების ცალკეულ ნაწილებს შეიცავდა, ტაძრების კედლებზე რომაა გამოსახული.

მერე მყარი შენივთდა და კვერცხად იქცა. კვერცხი გატყდა, ერთი ნახევრისგან მიწა წარმოიქმნა, მეორისგან – ცარგვალი. მზე, მთვარე, ქარი და ღრუბლები გაჩნდა; მების გრუზუნზე გონიერმა არსებებმა გამოიღვიძეს. მაშინ ვარსკვლავების სფეროზე ეშმუნი გაიფოფრა; მზეზე ქამონი გამობრწყინდა, მელქარტმა თავისი მკლავებით გადააგორა იგი ქალაქ კადისის იქით, ქაბირებმა ვულკანებში ჩაიბუდეს და რაბეთნა გადიასავით გადმოიხარა სამყაროსაკენ, რძესავით გადმოაღვარა სინათლე და მოსასხამივით შემოახვია ღამე..

– შემდეგ რა მოხდა? – იკითხა სალამბომ.

დაბადების საიდუმლოება იმისთვის ამცნო ქურუმმა, რომ ამაღლებულ საგანთა შესახებ საუბრით შეექცია, მაგრამ ქალწულს წადიერება გაუღვივა მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა და შაჰაბარიმიც სანახევროდ დაჰყვა ნებას:

– ის შთააგონებს და განაგებს მამრისა და მდედრის სიყვარულს.

– მამრისა და მდედრის სიყვარულს! – გაიმეორა ოცნებით სალამბომ.

– იგია კართაგენის სული, – განაგრძო ქურუმმა, – და თუმცა ყველგანაა განფენილი, აქ ბინადრობს მაინც, წმინდა რიდის ქვეშ.

– ო, მამაო! – წამოიძახა სალამბომ, – მე ხომ ვიხილავ მას? ხომ წამიყვან? დიდხანს ვყოყმანობდი, მაგრამ მისი ნახვის სურვილით ვიწვი და შემინყალე! მიშველე! წავიდეთ!

ქურუმმა ფიცხი და ზვიადი ხელისკვრით მოიშორა.

– არასოდეს! ნუთუ არ იცი, რომ ეს მომაკვდინებელია? ორს-ქესიანი ბაალები მხოლოდ ჩვენ – მამაკაცურად გონიერთ და ქალივით სუსტთ – გვეცხადებიან. მკრეხელობაა შენი სურვილი. რაც იცი, იმით დაკმაყოფილდი.

ქალწული ფეხთ ჩაუვარდა და მონანიების ნიშნად ყურები თითებით დაიცო. დიდხანს ქვითინებდა ქურუმის სიტყვებით შეურევებული. მისდამი რისხვით ავსილიყო, ძრწოლასაც შეეპყრო და დამცირებულადაც გრძნობდა თავს. შაჰაბარიმი მის წინ იდგა ქვასავით გულგაცივებული. ზემოდან დაჰყურებდა მის ფეხებთან განრთხმულ აცახცახებულ ასულს და რალაცნაირ სიხარულს გრძნობდა იმის შემყურე, რომ ქალსაც ტანჯავდა ქალღმერთი, რომლის სავსებით შეცნობა არც მას ძალუძდა. ამასობაში ჩიტები აჟღურტულდნენ, სუსხიანმა ქარმა დაბერა და მკრთალ ზეცას ღრუბლის ფთილები გაეკრა.

ანაზდად ცისკიდურზე, ტუნისს იქით, მსუბუქი ნისლი შეამჩნია, მიწას რომ ეფინებოდა. მერე მტუტისფერი მტვრის ღრუბელი რიდესავით აღიმართა ჰაერში და მის ბოლქვებში გამოჩნდა აქლემთა თავები, ჰოროლები და ფარები. ეს კართაგენზე მომავალი ბარბაროსთა ლაშქარი იყო.



თავი მეოთხე

კართაგენის კედლებთან

შიშისგან გაგიჟებული, ფერდაკარგული, აქოშინებული მინის მუშები მოცვივდნენ ქალაქში. ზოგი ვირზე ამხედრებულიყო, ზოგიც ფეხით მორბოდა. როქის სპას გამოქცეოდნენ. ლაშქარს სამ დღეში გადმოელახა სიკის გზა, რათა კართაგენს შემოსდგომოდა და შეემუსრა.

ბჭეები დახშეს. ბარბაროსებიც მაშინ მოეახლნენ ქალაქს, ნახევარკუნძულის ყელზე შეჩერდნენ, ტბის პირას.

თავდაპირველად მტრობა არ გამოუვლენიათ. ზოგი ხელში პალმის რტოებით მიუახლოვდა გალავანს. კართაგენელებმა ამათაც კი დაუშინეს ისრები, ისე ეშინოდათ.

გარიჟრაჟისას და მწუხრზე რამდენიმე მანანნალა დაძრწოდა ზოგჯერ გალავნის გასწვრივ. განსაკუთრებით იქცევდა ყურადღებას ერთი დაბალი კაცი, რომელსაც მჭიდროდ შემოემთმასნა ლაბადა და სახე ჩაფხუტის წინაფრით დაეფარა. საათობით შესცქეროდა იგი ბელლარს ისეთი დაჟინებით, რომ ეჭვი არ იყო, კართაგენელთა თავგზის აბნევა და თავისი ნამდვილი ზრახვების დამალვა უნდოდა ამით. ერთი თავშიშველი გოლიათი ახლდა ყოველთვის.

კართაგენი ნახევარკუნძულის მთელ სიგანეზე იყო გამაგრებული: ჯერ თხრილი იცავდა, ხანდაკს ბალახოვანი მიწაყრილი მოსდევდა, შემდეგ ორსართულიანი, თლილი ქვით ნაგები გალავანი აღმართულიყო ოცდაათი წყრთის სიმაღლისა. გალავანში ჩაეტანებინათ თავლები სამასი სპილოს მოსათავსებლად, მათივე საძაგრავისა, ხუნდებისა და საკვების საწყობები, აქვე იყო ოთხი ათასი ცხენის თავლა, მათი ქერი, აკაზმულობა და ყაზარმები, რომლებიც ოციათასიან ჯარს დაიტევდა თავისი აღჭურვილობითა და საომარი იარაღითურთ. გალავნის მეორე სართულზე ქონგურებით შემოკბილული საბრძოლო გოდლები

ნამომართულიყო, სამზერებს გარედან ეფარა კავებზე ჩამოკიდებული ბრინჯაოს ფარები.

ეს პირველი რკალი გალავნისა უშუალოდ მალქას ერტყა, მეზღვაურებისა და მღებავების უბანს. გალავანს გადაღმა მოჩანდა ლატნები, რომელზედაც ძონეული რიდეები გაეფინათ გასაშრობად, ხოლო ბოლო ტერასებზე წათხის სახარში ღუმელი აღმართულიყო.

უკან გორაკს შეფენილი ქალაქი გადაშლილიყო თავისი კუბური, მაღალი სახლებით, – რიყის ქვით, ფიცრებით, ლერწმებით, ნიჟარებითა და დაბეკნილი მინით ნაგები შენობებით. ტაძართა ჭალაკები მწვანე ტბებივით მოჩანდნენ ამ ნაირფერი ლოდების ქალაქში. მოედნები უთანაბრო უბნებად ყოფდნენ კართაგენს. ურიცხვი შუკა დახლართულიყო და დაესერა გორა თავიდან ბოლომდე. მახვილი თვალი შეამჩნევდა ამჟამად ერთმანეთს შერწყმული სამი უძველესი უბნის ზღუდეებსაც:

ალაგ-ალაგ წყალქვეშა კლდეებივით ნამომართულიყო ძველი გალავანი და უზარმაზარი მხრები გაეშალა, ყვავილებითა და ხავსით შემოსილიყო, ნაგვითა და ტურტლით შეთითხნილიყო. კედლები ზოგან გამოენგრიათ და ქუჩები ისე გადიოდა გალავანში, როგორც მდინარეები ხიდქვეშ.

ბირსის შუაგულში აღმართული აკროპოლის გორაკი უნესრიგოდ დახერგილი ნაგებობებით იყო დაფარული მთლიანად. ერთმანეთში არეულიყო ტაძრების ხვეული სვეტები, ბრინჯაოს სვეტისთავები, ლითონის ჯაჭვები, შეუმტკიცავი ქვით ნაშენები კონუსები, რომლებსაც ლაფვარდისფერი ზოლები დაჰყვებოდა, – სპილენძის გუმბათები, მარმარილოს სამერხულები, ბაბილონური კონტრსამაგრები. ობელისკები გადმობრუნებულ ჩირაღდნებსა ჰგვანდნენ, პერისტილები ფრონტონებს მიჰკროდნენ, ჩუქურთმები გრეხილებად მიჰყვებოდა კოლონადებს; გრანიტის კედლები კრამიტით გადაეხურათ. ყოველივე ეს უცნაურად, საკვირველად ახორხლილიყო ერთიმეორეზე. ჟამთა ცვალება იგრძნობოდა და კიდევ რაღაც, მივიწყებულ სამკვიდროთა ხსოვნასავით.

აკროპოლს უკან, წითელ მიწაზე, სანაპიროდან კატაკომბებამდე გადაჭიმულიყო მაპალების თემშარა; საგოდებელი გადაშლილიყო გზის ორივე მხარეს. კიდევ უფრო შორს იდგა მტილოვანებით გარშემორტყმული სრა-სასახლები; სასახლებებს იქით მესამე უბანი – მეგარა მდებარეობდა, ახალი ქა-

ლაქი, რომელიც აღწევდა ზღვისპირა ციცაბო კლდეებამდე, სადაც გიგანტური შუქურა ცასა სწვდებოდა და ყოველ ღამით ბრიალებდა.

ასე გადაშლილიყო მთელი კართაგენი ტრიალ ველზე დაბანაკებული როქის სპის წინაშე.

შორიდან ცნობდნენ ისინი ბაზრებსა და გზაჯვარედინებს. დაობდნენ ტაძრების ადგილსამყოფელის შესახებ. სისიგთა თაბუნების პირდაპირ აღმართული ქამონის ტაძარი იმით გამოირჩეოდა, რომ ოქროს ფილები ეხურა; მელქარტის ტაძარი ეშმუნის მარცხნივ იდგა და ბანის ნივნივზე მარჯნის რტოები ელვარებდა. ამათ უკან მოჩანდა ტანიტის ტაძრის სპილენძის გუმბათი, პალმების კენწეროები შემორტყმოდა ირგვლივ; მოლოქის შავი სამლოცველო ნყალსატევებთან აღმართულიყო, შუქურის გვერდით. ფრონტონების კუთხეებში, კედლის თავებზე, მოედნებზე, ყველგან წამომდგარიყვნენ უზარმაზარი, ჯმუხი, გონჯი, მუცელგაბერილი ანდა ნამეტნავად ჩამომხმარი, ხახადაბჩენილი, ხელებგაშვერილი კერპები; ხელში ორთითები, ჯაჭვები ან სათხევლები ეჭირათ ქანდაკებს. ქუჩაბანდებს იქით ლურჯი ზღვა ლივლივებდა და ამის გამო კიდეც უფრო დაფერებული ჩანდა შუკები.

ბრბო დილიდან საღამომდე ჩოჩქოლებდა ქუჩებში. პატარა ბიჭები ზანზალაკებს აჟღარუნებდნენ და გაყვიროდნენ აბანოების წინ. ცხელი სასმელების დუქნებთან ბული ტრიალებდა, ჰაერში გრდემლზე უროების ცემის ჟღრიალი იდგა; მზეს შეწირული თეთრი მამლები ყიოდნენ ტერასებზე, ტაძრებში ყელგამოღადრული სამსხვერპლო ხარები ღნაოდნენ და ტალანთა შესასვლელთან რუხი მოსასხამით შებურვილი, ფეხშიშველა, კუნკულიანი ქურუმი გამოჩნდებოდა ზოგჯერ.

კართაგენის ხილვა ცოფსა ჰგვრიდა ბარბაროსებს. აღტაცებას ვერ იკავებდნენ და სძაგდათ კიდეც, ერთსა და იმავე დროს სურდათ დაემხოთ და მისი მოქალაქენი ყოფილიყვნენ. მაგრამ რა იმალებოდა სამმაგი კედლით გარშემოვლებულ სამხედრო ნავსაყუდელში? შორს, ქალაქგარეთ, შუა მეგარაში, აკროპოლზე მაღლა მოჩანდა ჰამილკარის დიდებული სასახლე.

მათოს თვალები მუდამ მისკენ ჰქონდა მიქცეული. ზეთისხილის ხეებზე ადიოდა და იქიდან იყურებოდა, შუბლს ხელით იჩრდილებდა ტოტებზე შემდგარი. ბაღში ძეხორციელი არ გამოდიოდა, შავჯვრიანი კარი მუდამ დაგმანული იყო.

ბარე ოცჯერ შემოუარა სიმაგრეებს, იქნებ შესაძრომი ვიპოვო სადმე და ქალაქში შევიპაროო. ერთ ღამეს ყურეში გადახტა და სამი საათის განმავლობაში მიაპობდა ტალღებს სულმოუთქმელად, მაპალების ციცაბო ნაპირს მიადგა, მაგრამ ფრიალო კლდეზე ამოდ დაისისხლიანა მუხლები, ამოდ შეამსხვრია ფრჩხილები ლოდებს, ზევით ვერ ავიდა, ფეხი ვერ მოიკიდა, ისევ ტალღებში გადაეშვა და უკან გამობრუნდა.

თავისი უძლურება აშმაგებდა. კართაგენზე ეჭვიანობდა, თითქოს კაცი ყოფილიყოს ქალაქი და სალამბო თავის სახლში ჰყოლოდეს გამოკეტილი. უსასოო დარდი განუქარდა და ქმედების გიჟურმა, დაუცხრომელმა ცხელებამ შეიპყრო. ღანვებანთებული, პირმინაგაერთებული დაძრწოდა ჩქარი ნაბიჯებით ტრამალებზე და ჩახლეჩილი ხმით ხრიალებდა რაღაცას; ანდა ზღვის პირას ჩამოჯდებოდა, სილით აპრიალებდა თავის გრძელ მახვილს, ისარს ესროდა ირაოზე მოლივლივე ქორებს და წყევლა-კრულვით იოხებდა გულს.

– ნებას მიუშვი შენი რისხვა, ეტლივით გაანავარდე, – ეუბნებოდა სპენდიუსი, – იზახე, კრულე, არბიე და ხოცე. მწუხარებას სისხლი ჩაახშობს და, რადგანაც სიყვარული არ ძალგდის დაიკმაყოფილო, სიძულვილი გაიძღე სისხლით, ის გაგამაგრებს!

მათომ ისევ მიხედა თავის რაზმეულს და შეუბრალებლად წვრთნიდა. მას პატივს სცემდნენ სიმამაცისა და, განსაკუთრებით, სიძლიერის გამო. ზოგიერთს მისტიკურ შიშსაც კი შთააგონებდა; ფიქრობდნენ – ღამ-ღამობით აჩრდილებს ესაუბრებო. სხვა მეთაურებიც მის მაგალითს აჰყვნენ და მოკლე ხანში მთელი სპა გამოცოცხლდა. კართაგენელებს ესმოდათ ბუკის ხმა: ჯარი ვარჯიშობდა. ბარბაროსებმა უფრო ახლოს მიიწიეს ქალაქისკენ.

ნახევარკუნძილის ყელზე რომ მოესრათ ისინი, ამისათვის ორი ლაშქარი იყო საჭირო. ერთი უტიკის ყურის სიღრმეში უნდა გადაესხათ სანაპიროზე და უკნიდან დასცხრომოდნენ როქის სპას, მეორეს ცხელი წყაროების მთის მხრიდან უნდა შეეტიო. მაგრამ რა ექნათ, მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ლეგიონი ჰყავდათ. მასში, სულ ბევრი, ექვსი ათასი მხედარილა ირიცხებოდა. აღმოსავლეთისკენ რომ წასულიყვნენ ბარბაროსები, მომთაბარეებს შეუერთდებოდნენ და კირენის გზას მოჭრიდნენ, უდაბნოსთან ვაჭრობა შეუძლებელი შეიქნებოდა. დასავლეთით რომ გაელაშქრათ, ნუმიდიელნი წამოჰყოფდნენ თავს

და რესპუბლიკას განუდგებოდნენ. ბოლოს და ბოლოს საზრდო შემოაკლდებოდათ ბარბაროსებს და ადრე თუ გვიან კალიასავით შეესუოდნენ კართაგენის სანახებს, ერთიანად ააოხრებდნენ. მდიდრებს გული უკვდებოდათ თავიანთი მშვენიერი დარბაზების, ვენახებისა და ყანების მოგონებისას.

ჰანონი მკაცრი და განუხორციელებელი ზომების მიღებას მოითხოვდა – დიდი ჯილდო დავნიშნოთო თითოეული ბარბაროსის მოკვლისათვის, ანდა ხომალდებისა და მანქანების მეოხებით ცეცხლი წავუქილოთო როქის სპის ბანაკს. მისი ამხანაგი გისკონი წინ აღუდგა, – რაც ეკუთვნით, მივამავოთო, – ამბობდა. მაგრამ გისკონი ხალხს თუ უყვარდა, უხუცესებს ეჯავრებოდათ. ამიტომ შიშობდნენ, შემთხვევის წყალობით მბრძანებელი არ გავიჩინოთო, და მონარქიით დაშინებულნი ცდილობდნენ შეესუსტებინათ ყველაფერი, რაშიც თავს იჩენდა მონარქია, ანდა რასაც შეიძლებოდა მისი აღდგენა მოჰყოლოდა.

კართაგენის სიმაგრეებს გადაღმა ცხოვრობდა უცხო თესლის, ბნელი წარმოშობის ხალხი, რომელიც მაჩვ-ზღარბებზე ნადირობით ირჩენდა თავს და ლოკოკინებითა და გველებით იკვებებოდა. ისინი იმით ერთობოდნენ, რომ გამოქვაბულებში ცოცხლად შეპყრობილ აფთრებს დაარბენინებდნენ სალამოობით მეგარის ქვიშნარებზე, საფლავის ძეგლთა შორის. ზღვის ბალახითა და შლამით ნაგები მათი ქოხები მერცხლის ბუდეებით აჰკვროდნენ სანაპიროს ფრიალო კლდეებს. არც მთავარი ჰყავდათ, არც ღმერთი გააჩნდათ, ცხოვრობდნენ ერთმანეთში აღრეულნი, სავსებით შიშველნი, ძალმიხდილნი და ამავე დროს გამძვინვარებულნი. კართაგენელებს ოდითგანვე ეზიზღებოდათ ეს უწმინდური საჭმლით პირწაწყმედილი ხალხი. გუშაგებმა შეამჩნიეს ერთ დილას, რომ ისინი სადღაც გამქრალიყვნენ.

ბოლოს დიდი საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება და ბარბაროსთა ბანაკს ეწვივნენ მეზობლურად – უსამკაულოდ და უსარტყლოდ, დაღობილი სანდლებით ფეხშემოსილნი. წყნარად მიაბიჯებდნენ, სალამს აძლევდნენ მეთაურებს, ანდა ჩერდებოდნენ და ჯარისკაცებს ესაუბრებოდნენ, ეუბნებოდნენ, ყველაფერი გათავებულია და თქვენს ყველა მოთხოვნას სამართლიანად დავაკმაყოფილებოთ.

ბევრი მათგანი პირველად ხედავდა როქის სპის ბანაკს. ეგონათ, არეულობას იხილავდნენ და წესრიგი და შიშისმომგ-

ვრელი სიჩუმე დახვდათ. მაღალი კედელი და მიწაყრილი ერტყა ბანაკს ისეთი, ფილაკვნები ნირს ვერ შეუხრიდნენ. კარვებს შუა გაჭრილ შუკებზე სუფთა წყალი მოესხურებინათ. კარვების ნაჩვრეტებიდან ბნელში მოელვარე ველური თვალეები შემოსცქეროდათ. შუბთა კონები და ჩამოკიდებული ფარ-იარაღი სარკესავით კრიალებდა. უხუცესები ხმადაბლა ლაპარაკობდნენ ურთიერთშორის, ეშინოდათ, თავიანთი გრძელი კაბებით რაიმეს არ გამოსდებოდნენ და არ გადაეყირავებინათ.

მეომრებმა სურსათ-სანოვაგე მოითხოვეს, ფასს იმ ფულიდან გადაგიხდით, ჩვენი რომ გმართებთო.

ხარები, ცხვრები, ციცრები, ხმელი ხილი, ხანჭკოლა და შებოლილი თევზი გაუგზავნეს, ის ჩინებული სკომბერი, რომელიც კართაგენს ყველა ნავსადგურში გაჰქონდა სავაჭროდ. მაგრამ ბარბაროსები ზიზღით აქცევდნენ ზურგს საკლავს და აძაგებდნენ, თუმცა გულით ეწადათ. ერკემალში მტრედის საფასურს სთავაზობდნენ, სამ თხას ერთი ბროწეულის ფასად თხოულობდნენ. ტილიჭამიები შუამავლობდნენ, ბარბაროსებს უმტკიცებდნენ, გაბრიყვებენო. ისინიც სატევრებს აშიშვლებდნენ და კართაგენელებს ემუქრებოდნენ, მოგკლავთო.

დიდი საბჭოს წარგზავნილები ნუსხებს ადგენდნენ, იწერდნენ – რამდენი წლის ჯამაგირი ერგებოდა თითოეულ მათგანს. მაგრამ ამჟამად შეუძლებელი იყო იმის გამორკვევა, თუ რამდენი მეომარი დაექირავებინათ, და უხუცესები შეძრწუნდნენ, როდესაც გადასახდელი თანხა შეაჯამეს. სილფიუმის მარაგიც რომ გაეყიდათ და სავაჭრო ქალაქებიც დაებეგრათ, ამდენს მაინც ვერ შეაგროვებდნენ. ამასობაში როქის სპასაც ავესებოდა მოთმინების ფიალა. ტუნისი უკვე მის მხარეზე იყო, ჰანონის სიშმაგისა და მისი ამხანაგის საყვედურებისგან თავბრუდახვეული მდიდრები მოქალაქეებს ურჩევდნენ, თუ ვინმეს იცნობთ ბარბაროსთაგან, ეწვიეთ, ტკბილად ელაპარაკეთ, მეგობრობა განაახლეთ, ნდობა დაამშვიდებთო.

ვაჭრები, მწერლები, მუშები, მთელი ოჯახები ეწვივნენ ბარბაროსებს.

ჯარისკაცები ყველას უშვებდნენ ბანაკში, მაგრამ მხოლოდ ერთი შესასვლელიდან, რომელიც ისე ვიწრო იყო, რომ ოთხი კაცი თუ გაივლიდა გაჭირვებით. ლობურთან სპენდიუსი იდგა და გულმოდგინედ ჩხრეკდა ყველას. მის პირისპირ მათო იდგა,

ბრბოს ათვალიერებდა, იქნებ ისეთი ვინმე დავინახო, სალამ-ბოს სახლში რომ შემხვედრიაო.

ბანაკი ქალაქს დაემსგავსა, ისეთი ფუსფუსი იყო. ორი ჯურის ხალხი არეულიყო ერთმანეთში: ერთ ნაწილს შალის ან ტილოს ტანსაცმელი ემოსა და ნაძვის გირჩების მსგავსი თექის წონოლა ქუდები ეხურა, მეორეს ჯაჭვი ჩაცევა და მუზარადები ჩამოეფხატა. მსახურთა და მოვაჭრეთა შორის სხვადასხვა ტომის დიაცები დაეხეტებოდნენ; ზოგს მწიფე ინდისხურმის ფერი ედვა, ზოგს ზეთისხილივით მომწვანო იერი გადაჰკრავდა, ზოგიც ფორთოხლისფერი იყო. ამ ქალებს, – მეზღვაურთაგან შესყიდულთ, ქოხმახებში ნაპოვნთ, ქარავენებიდან მოტაცებულთ, ქალაქთა აოხრებისას შეპყრობილთ, – სანამ ახალგაზრდები იყვნენ, ხვევნა-კოცნით აცლიდნენ სიქას, ხოლო როცა დაბერდებოდნენ, ცემა-ტყეპით ტანჯავდნენ და საცოდავებს შარაგზებზე ხდებოდათ სული დავარდნილი საქონლის გვერდით, მიტოვებულ ვაშკარანებს შორის. მომთაბარეთა ცოლებს აქლემის ბენვის ჟღალი, კუბოკრული კაბები ეცვათ და კოჭებში მიირხეოდნენ; კირენაიკელ მომღერალ ქალებს იისფერი მარმაში შემოეხვიათ, წარბები მოეხატათ და ჭილობებზე ჩაცუცქულნი მუსიკობდნენ. ბებერი, ძუძუებჩამოყრილი ზანგის დიაცები ნეხვს აგროვებდნენ და მზეზე ახმობდნენ წივის გასაკეთებლად; სირაკუზელ ქალებს ოქროს ბალთები ჩაემაგრებინათ თმებში, ლუზიტანიელებს – ნიჟარის ფარლულები, გალებს მგლის ტყავით დაეფარათ რძისფერი ძუძუ-მკერდი, წინადაუცვეთელი, ტილიანი ტიტლიკანა ბიჭები გამვლელებს თავურით ეჯახებოდნენ მუცელზე, ანდა უკნიდან ეპარებოდნენ ვეფხვის ლეკვებივით და ხელებზე კბენდნენ.

კართაგენელები განცვიფრებულნი დადიოდნენ ბანაკის შუკეებში. ბარბაროსთა სიმრავლით თავზარდაცემულებს სახე ჩამოსტიროდათ. სხვები ცდილობდნენ შემფოთება არ დაემჩნიათ.

მეომრები სიცილ-ხარხარით უტყაპუნებდნენ ხელებს ბეჭებზე. წარჩინებულ კართაგენელებს გასართობად იწვევდნენ, ბადროს თამაშისას ცდილობდნენ ფეხი წაეკრათ მათთვის, ხოლო მუშტი-კრივში ყბებს ამტვრევდნენ. მეშურდულენი შურდულეებით აშინებდნენ მოქალაქეებს, მჩხიბავები – ჭრელი უნასებით, მხედრები – ცხენებით. მშვიდობიანი მდაბიორები უსიტყვოდ ითმენდნენ შეურაცხყოფას, თავი ჩაექინდრათ და ნაძა-

ლადევად ილიმებოდნენ. ზოგი ცდილობდა თავი მამაცურად მოეჩვენებინა ბარბაროსებისთვის და შესტებით აგებინებდნენ, ჩვენც გვინდა მებრძოლენი გავხდეთო. ამათ შემის დაჩეხვას და სამურვლით ჯორების განმენდას ავალებდნენ, აბჯარს აცმევდნენ და მერე კასრებივით დააგორებდნენ ბანაკში. შემდეგ, როდესაც განამებულნი აცხადებდნენ, – შინ გაგვიშვითო, – ჯარისკაცები სასაცილოდ იგრიხებოდნენ, ვითომდა მწუხარებისგან თმებს იგლეჯდნენ.

მრავალ მათგანს სიბრიყვისა და უვიცობის გამო გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ყოველი კართაგენელი უსაზომოდ მდიდარი იყო და უკან დასდევდნენ, ეხვენებოდნენ რაიმე გვაჩუქეთო. ყველაფერს მოითხოვდნენ, რაც თვალში მოუვიდოდათ: ბეჭდებს, სარტყლებს, სანდლებს, ხამლს, კაბის ფორებს და, როდესაც გაძარცვული კართაგენელი შესძახებდა – „მეტი არაფერი გამაჩნია, რა გინდა ჩემგანო!“ – ზოგნი – „შენი ცოლიო“, სხვანი – „შენი სულიო“ – ეუბნებოდნენ.

ანგარიშის ნუსხები მეთაურებს გადასცეს, ჯარისკაცებს წაუკითხეს და საბოლოოდ დაამტკიცეს. მაშინ კარვები მოითხოვეს. მისცეს ესეც. შემდეგ ბერძენთა პოლემარქებმა მოინდომეს ლამაზი აბჯარი, კართაგენში რომ ჭედდნენ. დიდმა საბჭომ გამოყო თანხა აბჯრების შესაძენად. მხედრებმა განაცხადეს, – საცა სამართალია, რესპუბლიკამ ომში ნაზარალები ცხენების საფასურიც უნდა გვიზღოსო. ერთი ამტკიცებდა, სამი ცხენი ამა და ამ გარემოცვის დროს დამეხოცა, მეორე – ხუთი ცხენი მომიკვდა ამა და ამ ლაშქრობაშიო, მესამე – თოთხმეტი ზერდაგი გადამეჩეხა ღრანტეებშიო. ჰეკატომპილის ულაყები შესთავაზეს. მხედრებმა – ფული გვირჩენიაო.

მერე მოითხოვეს – ვერცხლით (ვერცხლით და არა ტყავის რგოლებით) აენაზღაურებინათ იმ ხორბლის საფასური, რომელიც რესპუბლიკას ემართა, თანაც – ომისდროინდელი ყველაზე მაღალი მაზანდის კვალობაზე, ასე რომ, ერთი საწყაო ფქვილისთვის ოთხასჯერ მეტს თხოულობდნენ, ვიდრე თვითონ იხდიდნენ ტომარა მარცვალში. ამ უსინდისობამ მთელი კართაგენი აღაშფოთა. მაგრამ რა გაენწყობოდა, ესეც დაუთმეს.

მაშინ ჯარისკაცთა წარმომადგენლები და დიდი საბჭოს წარმოგზავნილნი მორიგდნენ და კართაგენის ადგილის დედა და ბარბაროსთა ღმერთები დაიფიცეს. აღმოსავლური მრავალსიტყვაობითა და ლიქნით მოუბოდიშეს და დაუტკბნენ ერთმა-

ნეთს. ამის შემდეგ ჯარისკაცებმა მეგობრული კავშირის აღსანიშნავად მოითხოვეს იმ ბოროტმზრახველთა დასჯა, რომელთაც რესპუბლიკის წინააღმდეგ აამხედრეს როქის სპანი.

კართაგენელებმა თავი მოიკატუნეს, თითქოს არაფერი გაეგებოდათ. მაშინ მეომრებმა აშკარად მოითხოვეს ჰანონის თავი.

ყოველდღიურად რამდენჯერმე გამოდიოდნენ ბანაკიდან და გალავნის ძირას დანრილებდნენ, ყვიროდნენ – სუფეტის თავი გადმოგვიგდეთო, და ტანსაცმლის კალთებს უშვერდნენ მოკვეთილი თავის დასაჭერად.

დიდი საბჭო ეგების ამაზედაც დათანხმებულიყო, ბარბაროსთა უკანასკნელი, ყველაზე შეურაცხყოფელი მოთხოვნა რომ არა: ჩვენს ბელადებს კართაგენის საუკეთესო ოჯახთა ასულები მიათხოვეთო. ეს აზრი სპენდიუსმა წამოაყენა და ჯარისკაცებმა სავსებით მარტივ და ადვილად აღსასრულებელ რამედ მიიჩნიეს. მაგრამ ბარბაროსთა ამ თავხედურმა წადილმა – პუნიკური სისხლისთვის თავიანთი ბინძური სისხლი შეერიათ, აღაშფოთა კართაგენის მკვიდრნი. როქის სპას უხეშად მოუჭრეს, – მეტს არას დაგითმობთო. მაშინ მეომრები აყვირდნენ, – მოგვალორეთო, და, თუ სამი დღის ვადაში ჯამაგირი არ დაგირიგებიათ, ჩვენ თვითონ შემოვალთ კართაგენში და ძალით წავიღებთო.

დაქირავებული ჯარი არც ისე სინდისგარეცხილი იყო, როგორც მისი მტრები ფიქრობდნენ. ჰამილკარმა არაერთგზის აღუთქვა ლაშქარს – ოქროში ჩაგსვამთო. მართალია, მისი დანაპირები ბუნდოვანი იყო, მაგრამ ზეიმითა და ზარით იყო თქმული. მეომრებს შეეძლოთ ეფიქრათ, კართაგენში რომ ჩავალთ მთელ ქალაქს ჩვენ დაგვითმობენ და მის საუნჯეს დავინაწილებთო. იმედი სასტიკად გაუცრუვდათ, ჯამაგირსაც კი გაჭირვებით უხდიდნენ და ამით სიამაყეც ელახებოდათ სიხარბესთან ერთად.

დიონისე, პიროსი, აგათოკლე და ალექსანდრეს სარდლები განსაცვიფრებელი ილბლიანობის მაგალითებად არ ესახებოდათ განა? იდეალი ჰერკულესისა, რომელსაც ქანაანელთა მზის ღვთაებასთან აიგივებდნენ, ციალებდა სპის ფიქრთა ჰოროზონტზე. კარგად უნყოდნენ, რომ ზოგჯერ უბრალო მხედარს მოუხვეჭია გვირგვინი და დარხეული ხმა – იმპერიები ემხოზიანო, პატივმოყვრულ ოცნებებს უღვიძებდა უღრან მუხნარებში დავა-

ნებულ გალებსა და ხრიოკ ქვიშნარში მობინადრე ეთიოპელებს. ამასთან ხალხიც იყო ისეთი – თავისი სიამამაცის მოხმარებაც სურდა; და ყველა – საგვარეულოდან მოკვეთილი, ქურდი, უგზო-უკვლოდ გადახვენილი დედ-მამის მკვლელი, ღვთისგან დანყევლილი მკრეხელი, ყველა დამშეული და სასონარკვეთილი – ცდილობდა მიეღწია ნავსაყუდლამდის, სადაც კართაგენელი მოხელე მეომრებს ქირობდა. ჩვეულებრივ, რესპუბლიკა ასრულებდა ხოლმე პირობას, მაგრამ ამჯერად შმაგი სიძუნწე მორეოდა და სახიფათო უპირობა გამოეჩინა. ნუმიდიელნი, ლიბიელნი, მთელი აფრიკა კართაგენის წინააღმდეგ ამხედრებულიყო. მხოლოდ ზღვა იყო ხსნილი, მაგრამ აქაც შეიძლებოდა რომაელები დახვედროდნენ და მკვლელებით გარშემორტყმული კაცივით ყოველი მხრიდან მომდგარ სიკვდილს გრძნობდა კართაგენი.

იძულებული შეიქნენ გისკონისათვის მიემართათ. ბარბაროსები დათანხმდნენ მის შუამავლობაზე. ერთ მშვენიერ დღეს დაეშვა ნავსაყუდლის ჯაჭვი და სამი ბრტყელი ხომალდი ტენიის არხის გავლით ტბაში შეცურდა.

პირველი ხომალდის წინამხარზე გისკონი დაინახეს. მის უკან იდგა ბალდახინზე უფრო დიდი კიდობანი, ირგვლივ ჩამოკონწიალებული გვირგვინისდარი კარშიკებით შემკული. შემდეგ თარჯიმნები იდგნენ, სფინქსისმაგვარი თავსაბურავები ეხურათ და მკერდზე თუთიყუში ჰქონდათ ამოსვირინებული. ამათ უკან გისკონის მეგობრები და მონები ჩამწკრივებულიყვნენ; იარაღი არ ესხათ, სიმრავლის გამო ადგილი არ ჰყოფნიდათ და მხარიმხარ მიჯრილიყვნენ. მძიმედ დატვირთულ სამ გრძელ კარჭაპს წყალი ძგიდემდე ასხამდა. ხომალდები წინ მოინევენ და მათი შემყურე როქის სპა სიხარულის ყიჟინით ესალმებოდა გისკონს.

როგორც კი მიწაზე გადმოდგა ფეხი სარდალმა, ჯარისკაცები სირბილით გავარდნენ შესახვედრად. გისკონმა ტომრებისგან შემალლებული გააკეთებინა ჯარისკაცებს და გამოაცხადა: აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ვალს ყველას არ გადავუხდით.

ტაშისცემა ატყდა. კარგახანს არ აძლევდნენ ხმის ამოღების საშუალებას.

შემდეგ გისკონმა გაკიცხა რესპუბლიკაცა და ბარბაროსებიც და ორივე მხარეს დასდო ბრალი. დამნაშავე რამდენიმე

უჯიათი მოჯანყეა, რომელთა რისხვამ კართაგენი შეაშფოთაო. განა რესპუბლიკის კეთილგანწყობის საუკეთესო საბუთი არ არის ის, რომ შუამავლად მე გამომგზავნეს, მე, რომელიც მუდამ სუფეტ ჰანონის მონინალმდევე ვიყავიო. ამიტომ ნუ იფიქრებთ, ვითომც კართაგენის ერს სულელური სურვილი ჰქონდეს მამაცთა გაბრაზებისა; ნურც ისე უმადურად მიიჩნევთ, რომ თქვენი სამსახური არ დააფასოსო. და გისკონი ჯამაგირის გაცემას შეუდგა. ლიბიელთაგან დაიწყო. ნუსხები ნატყუარად გამოაცხადეს და სარდალს არც მოუკითხავს ისინი.

ეროვნებებისდა მიხედვით დაწყობილი ჯარისკაცები გისკონის წინ გავლისას თითებით აჩვენებდნენ რამდენი წელი ემსახურათ. საღებავით მათ რიგრიგობით ადებდნენ სერს მარცხენა მკლავზე; გადამწერლები პირგახსნილი სკივრებიდან იღებდნენ ფულს, სხვები ბებუთის წვერით ნაჩხვლეტებს უკეთებდნენ ტყვიის თხელ ფირფიტებს.

ერთმა ჯარისკაცმა ზანტად ჩაიარა ბებერი ხარივით.

– ამოდი ჩემთან! – დაუძახა დაეჭვებულმა სუფეტმა, – რამდენი წელია, რაც მსახურობ?

– თორმეტი, – მიუგო ლიბიელმა.

გისკონმა თითები მოუსვა ნიკაპქვეშ – მუზარადის საყბეური ხანგრძლივი ხმარებისას ორ კოჟორს აჩენდა. კოჟრებს ეშვებს ეძახდნენ და „ეშვებიანიაო“, ვეტერანზე იტყოდნენ.

– ქურდბაცაცავ! რაც სახეზე არ გაქვს, ალბათ მხრებზე გატყვია! შესძახა სუფეტმა, ტუნიკა შემოახია და გაუშიშვლა ზურგი, რომელიც სისხლიანი იარებით ჰქონდა დაფარული. საცოდავი ჰიპოზარიტელი მინის მუშა ყოფილიყო. ატყდა ყიჟინა. დამნაშავეს თავი მოჰკვეთეს.

ღამე რომ ჩამოდგა, სპენდიუსმა ლიბიელი გააღვიძა და უთხრა;

– ლიგურიელნი, ბერძნები, ბალეარელნი და იტალიელები ჯამაგირს რომ მიიღებენ, შინ დაბრუნდებიან. თქვენ კი აფრიკაში დარჩებით, სათითაოდ დაიფანტებით თქვენ-თქვენს თემებში და ველარაფერი დაგიფარავთ! მაშინ ამოიყრის თქვენს ჯავრს რესპუბლიკა! გეშინოდეთ შინ დაბრუნებისა! ნუთუ გჯერათ ყველაფერი, რასაც გეუბნებიან! ორივე სუფეტი შეთანხმებულია! გისკონი გატყუებთ! გაიხსენეთ ძვლების კუნძული და ქსანტიზე, რომელიც ძირგამომპალი გალერით გაამგზავრეს სპარტაში!

– მაშ რა ვიღონოთ? – ეკითხებოდნენ ლიბიელნი.

– დაფიქრდით! – უპასუხებდა სპენდიუსი.

შემდგომი ორი დღის განმავლობაში მაგდალელ, ლეპტისელ და ჰეკატომპილელ მეომრებს უსწორებდნენ ანგარიშს. სპენდიუსი გალებში ტრიალებდა.

– ახლა ლიბიელებს ისტუმრებენ, შემდეგ ბერძნებს, ბალეარელთ, აზიელებს და სხვებს დაურიგებენ ჯამაგირს! მაგრამ თქვენ ცოტანი ხართ და არაფერსაც არ მოგცემენ! ველარ ელირსებით სამშობლოში დაბრუნებას! ხომალდები თქვენ არ გაგაჩნიათ და ძალებივით დაგკლავენ, რათა სარჩენი არ გაუხდეთ და სასმელ-საჭმლის ყაირათი გასწიონ.

გალები სუფეგთან გაეშურნენ. ოტარიდი, რომელიც გისკონმა ჰამილკარის ბაღში დაჭრა, გამოელაპარაკა სარდალს. მონებმა კინნისკვრით გამოაგდეს. გალმა დაიფიცა: შენს ჯავრს ამოვიყრიო.

მოთხოვნილებანი და საჩივრები მატულობდა. ყველაზე ჯიუტნი სუფეგის კარვამდეც აღწევდნენ და შიგ უფარდებოდნენ; სარდალს გულის მოსალობად ხელებს უჭერდნენ და უკბილო ნუნებზე, გამხმარ მკლავებზე და ნაიარევით დასერილ კანზე ავლებინებდნენ; ვისაც აქამდე არ მიეღო ჯამაგირი, შმაგობდა, ხოლო ვისთვისაც უკვე ეზლოთ, კიდევ მოითხოვდა ცხენების საფასურს; მანანნალები და დევნილნი ეუფლებოდნენ ჯარისკაცთა საჭურველს, იფიცებოდნენ – გვიპოვნიაო. გრიგალივით ტრიალებდნენ ჯარისკაცთა ბრბოები; კარვებს ტკაცატკუცი გაუდიოდა და ძირს ემხოზოდა. ბანაკის სიმაგრეთა შორის გაჭედილი ბრბო ღელავდა და ყვირილით აწყდებოდა აქეთ-იქით შესასვლელებიდან შუა მოედნამდე. როცა ალიაქოთი მეტისმეტად ძლიერდებოდა, გისკონი თავის სპილოს ძვლის არგანს ჩამოეყრდნობოდა იდაყვით, ზღვას გასცქეროდა და ასე იდგა გაუნძრევლად წვერებში თითებგაჩრილი.

მათო ხშირად განაპირდებოდა ხოლმე სპენდიუსთან სათათბიროდ. შემდეგ ისევ სუფეგის პირისპირ დგებოდა და გისკონი გამუდმებით გრძნობდა ორი ცეცხლმოკიდებული ქეიბურივით მასზე დამიზნებული თვალის მზერას. ზოგჯერ ერთმანეთს აგინებდნენ შუაში მოქოთქოთე ბრბოს თავებს ზემოთ, მაგრამ ერთის ხმა მეორის ყურს ვერა სწვდებოდა. ამასობაში ფულის დარიგება გრძელდებოდა და სუფეგი ყოველგვარი დაბრკოლებიდან იოლად პოულობდა გამოსავალს.

ბერძნებს უნდოდათ შარი მოედოთ ფულის სხვადასხვაობის გამო. გისკონმა ისე განუმარტა მათ ყოველივე, რომ დაკმაყოფილებულნი ხმის ამოუღებლად გაბრუნდნენ. ზანგები მოითხოვდნენ თეთრ ნიჭარებს, რომლებიც ფულად გადიოდა შუა აფრიკაში. გისკონმა შესთავაზა, – თუ გსურთ, კართაგენში გავგზავნი ხალხს ნიჭარების მოსატანად. მაშინ დაშოშმინდნენ და სხვების მსგავსად ვერცხლით მიითვალეს ქირა.

ბალეარელთ უკეთეს რასმე დაჰპირებოდნენ – ქალებს. გისკონმა განუცხადა: თქვენთვის ურიცხვ ქალწულს ველი, მაგრამ ქარავანს გრძელი გზა აქვს გამოსავლელი, კიდევ ექვსი თვე უნდა დაიცადოთ, ჩათქვირებულ და სურნელოვანი ზეთით კანგასალუქებულ ქალებს დავსვამთ ხომალდებზე და ბალეარის ნავსადგურში მოგაყენებთო.

ანაზდად სავსებით გამოკეთებული და ძალ-ლონით ავსილი ზარქსასი მუშაითივით ახტა მეგობრების მხრებზე და შეჰყვირა:

– დახოცილებისთვის ხომ არ გადაგინახავს?! – და კართაგენის მხარეს გაიშვირა ხელი, ქამონის კარიბჭისკენ.

თავით ბოლომდე სპილენძის ფირფიტებით მოჭედილი ჭიმკარი ჩამავალი მზის სხივებზე ლაპლაპებდა. ბარბაროსებს სისხლის ნაკვალევი მოელანდათ აპრიალეზულ ლითონზე. რამდენჯერაც დააპირა გისკონმა დალაპარაკება, იმდენჯერვე შეაწყვეტინეს ყვირილით. ბოლოს ზვიადი ნაბიჯებით ჩამოვიდა შემალღებულისა და თავის კარავში ჩაიკეტა.

დილით, მზის ამოსვლისას რომ გამოვიდა, თარჯიმნები, რომელთაც გარეთ ეძინათ; გულაღმა ეყარნენ თვალებგადმოკარკლულნი, ენაგადმოგდებულნი და სახედალურჯებულნი; თეთრი ლორწო დასდიოდათ ნესტოებიდან, კიდურები გაშეშებოდათ, თითქოს გაყინულიყვნენ ცივ ღამეში. ლელის ზონარი ნაეჭირათ საცოდავებისთვის ყელში.

ამის შემდეგ ჯანყი არ დამცხრალა. ბალეარელთა დახოცვის ამბავი, ზარქსასმა რომ მოაგონათ, უნდობლობას უღვივებდათ; სპენდიუსიც ნავთს ასხამდა ცეცხლზე. ბარბაროსებმა წარმოიდგინეს, რომ რესპუბლიკას მათი მოლორება უნდოდა. მოთმინების ფიალა აევსოთ. თარჯიმანთა გარეშეც იოლად ნავიდოდნენ! თავშეხვეული ზარქსასი საომარ სიმღერას გაჰყიოდა, ოტარიდი თავის უშველებელ მახვილს ატრიალებდა; სპენდიუსი ერთს რომ ჩუმად უჩურჩულებდა ყურში, მეორეს ხანჯალს აწოდებდა. ძალგულოვანნი ლამობდნენ ძალით წაეგ-

ლიჯათ ჯამაგირი, ნაკლებ გაბედულთ სურდათ ძველებურად გაგრძელებულიყო ქირის დარიგება. ყველას იარაღი აესხა, ყველა ბრაზობდა და გისკონისადმი მძევინვარე მძულვარებით ანთებულებიყვნენ.

რამდენიმე მხედარი ამოსდგომოდა სარდალს აქეთ-იქიდან და გაყვიროდა. თუ ლანძღვა-გინებას ანთხევდნენ, მათ მოთმინებით უსმენდნენ, მაგრამ ერთ სიტყვასაც თუ დაძრავდნენ გისკონის დასაცავად, მაშინვე ქოლავდნენ ანდა უკნიდან თავებს სხებდნენ ხმლებით. ტომრების გროვა სისხლით წითლად შეღებილიყო სამსხვერპლოსავით.

ნასადილევს განსაკუთრებით საზარელნი იყვნენ ღვინონასვამნი! კართაგენის ლაშქარში ღვინის სმა აკრძალული იყო, ამ წესის დამრღვევს სიკვდილით დასჯა მოელოდა; ახლა კი თავაშევებული მეომრები კართაგენისკენ იშვერდნენ ღვინიან თავებს პუნიკური წესრიგის გასამასხრებლად. შემდეგ ხაზინის მცველ მონებს უბრუნდებოდნენ და მათ ხოცვა-ჟლეტას მიჰყოფდნენ ხელს. შეძახილი – „დაჰკა!“ – განსხვავებულად რომ ითქმის სხვადასხვა ენაზე, ყველას გაეგებოდა.

გისკონმა კარგად იცოდა, რომ მშობლიური ქალაქისგან განწირული იყო, მაგრამ მამულის უმადურობისდა მიუხედავად, არ უნდოდა შეერცხვინა თავისი ქვეყანა. როცა შეახსენეს – რესპუბლიკა გემებს დაგვპირდაო, მოლოქი დაიფიცა – ხომალდებს ჩემს ხარჯზე გაგიმართავთო. ლურჯი თვლების ფარღული მოიგლიჯა და ბრბოში გადაისროლა გირაოდ. მაშინ აფრიკელებმა დიდი საბჭოს დაპირებული ხორბალი მოითხოვეს. გისკონმა ნერბის ეტრატზე იისფერი მელნით დაწერილი სისიკთა ნუსხები გაშალა და თვიდან თვემდე, დღიდან დღემდე კართაგენში შემოზიდული საქონლის ანგარიშის კითხვა დაიწყო.

უეცრად თვალეზაყყეტილი გაჩუმდა, თითქოს ციფრებში თავისი სასიკვდილო განაჩენი ამოიკითხა.

უხუცესებს თაღლითურად შეემცირებინათ რიცხვები და ომის ყველაზე მძიმე ხანებში გაყიდული ხორბალი ისეთი დაბალი ნიხრით აღენიშნათ, რომ ბრმაც კი არ დაიჯერებდა.

– ილაპარაკე! უფრო ხმამაღლა! – უყვიროდნენ ჯარისკაცები, – ოჰო, ტყუილები გინდა მოიგონო, შე ლაჩარო, შენა! ნუ ენდობით მაგას!

გისკონი რამდენიმე წამს ყოყმანობდა, ბოლოს განაგრძო.

ჯარისკაცებს ეჭვიც კი არ აუღიათ, რომ ატყუებდნენ და

სისიტთა ანგარიში სრულ ჭეშმარიტებად მიიჩნიეს. კართაგენის სიმდიდრეთა სიუხვემ შურით ალაგზნო და გააშმაგა ჯარი. ნეკერჩხლის ყუთი დაამტვრიეს: სალარო თითქმის ცარიელი აღმოჩნდა. მათ თვალწინ იმოდენა თანხა გასცეს ამ ზარდახშიდან, რომ ყუთი ამოუწურავი ეგონათ და იფიქრეს, ალბათ გისკონმა მოიპარა და თავის კარავში გადამალაო. შემალღებულზე აფოფხდნენ, წინ მათო მიუძლოდათ, გაყვიროდნენ: „ფული! ფული!“ გისკონმა უპასუხა:

– თქვენმა წინამძღოლმა მოგცეთ!

იგი ბრბოს პირისპირ იდგა და შესცქეროდა უსიტყვოდ თავისი დიდი, ყვითელი თვალებით. გრძელი სახე თეთრ წვერზე უფრო გაფითრებოდა. ოქროს ბრტყელ საყურეში ისარი გარჭობოდა, ფრთამდე გასულიყო და სისხლი დასდიოდა ყურიდან, ტიარიდან მხარზე ეწვეთებოდა.

მათომ ნიშანი მისცა და ბარბაროსები შემალღებულზე აცვივდნენ. გისკონმა ხელები გაასავსავა, სპენდიუსმა მოქნილი ღვედით გაუკრა მაჯები, ვილაცამ წააქცია და სარდალი გაქრა აქოთქოთებულ ბრბოში, რომელიც ტომრების გროვაზე ბობოქრობდა. სუფეტის კარავი იავარყვეს, აუცილებელი ნივთების გარდა ვერაფერი ნახეს შიგ.

ბევრი ძეხნის შემდეგ ტანიტის სამი გამოსახულება და მთვარიდან ჩამოვარდნილი შავი ქვა იპოვეს, მაიმუნის ტყავში გამოხვეული. გისკონს მრავალი კართაგენელი წამოჰყოლოდა თავისი ნებით, ყველანი წარჩინებულთა წოდებას ეკუთვნოდნენ და ომის პარტიის მომხრენი იყვნენ.

ბარბაროსებმა კარვებს იქით გაიყვანეს ისინი და სანაგვე ორმოებში ჩაყარეს, რკინის ჯაჭვებით მუცლებით მიაბეს მსხვილ-მსხვილ პალოებზე და საჭმელს შუბის ტარით აწვდიდნენ.

ოტარიდი სდარაჯობდა მათ და გამუდმებით აგინებდა. ტყვეებს მისი ენა არ ესმოდათ და პასუხად ხმას არ იღებდნენ. გაშმაგებული გალი დროდადრო ქვებს ესროდა თავ-პირში, რათა გაეშმაგებინა ისინიც.

მეორე დილიდან უცნაურმა მოუთმენლობამ მოიცვა ლაშქარი. რაკი სიშმაგით გული მოიჯერეს, ახლა შეშფოთებამ შეიპყრო ჯარი. მათო გაურკვეველი მწუხარებით იტანჯებოდა.

ეჩვენებოდა, თითქოს რალაცნაირად სალამბო შეურაცხყო. ეს მდიდრები როგორღაც დაკავშირებულნი იყვნენ მასთან. ღამის სიბნელეში ორმოს პირას ჩამოჯდებოდა ლიბიელთა ბელადი და ტყვეთა კვნესა აგონებდა იმ ხმას, რომლითაც ავსებოდა გული.

ყველა ლიბიელებს სდებდა ბრალს, რადგან მხოლოდ იმათ მიიღეს ჯამაგირი. მაგრამ ეროვნული შუღლისა და პირადული მძულვარების გაღვივებასთან ერთად გრძნობდნენ, რომ სახიფათო იყო ურთიერთ შორის კინკლაობა. ასეთ დანაშაულს საშინელი სასჯელი უნდა მოჰყოლოდა და ცდილობდნენ როგორმე განრიდებოდნენ კართაგენელთა შურისძიებას. იდუმალი ბჭობა და გულის გამანყალბელი თათბირები არა წყდებოდა. ყველა თავისას გაიძახოდა, სხვას არავინ უსმენდა და სპენდიუსი, ჩვეულებრივ რომ დაუსრულებლად ყბედობდა, ახლა ყოველ წინადადებაზე თავს იქნევდა მხოლოდ.

ერთ სალამოს სხვათა შორის ჰკითხა მათოს, ქალაქში სადმე წყარო ხომ არ ამოდისო.

– არა! – მიუგო მათომ.

მეორე დღეს ტბის ციცაბო ნაპირთან მიიყვანა.

– პატრონო! – უთხრა, – თუ გული გერჩის, ქალაქში შეგიყვან.

– როგორ? – შეჰყვირა სუნთქვაშეგუბებულმა ლიბიელმა

– დაიფიცე, რომ ჩემს ყოველ სიტყვას დაიჯერებ და ჩრდილივით ამედევნები!

მათომ ქაბირის ცთომილისკენ აღმართა მარჯვენა და შესძახა:

– ტანიტის მადლმა, როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი!

სპენდიუსმა განაგრძო:

– ხვალ, მზის ჩასვლის შემდეგ, დამიცადე აკვედუკის ძირას, მეცხრე და მეათე ბურჯებს შუა. თან ძალაყინი წამოიძღვანე, უფროთო მუზარადი და ტყავის სანდლები.

აკვედუკი, რომლის შესახებაც ეუბნებოდა სპენდიუსი, ირიბად ჭრიდა ნახევარკუნძულის ყელს. ეს შესანიშნავი ნაგებობა შემდეგ რომაელებმა შეაკეთეს და გააგრძელეს. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ხალხები სძულდათ, კართაგენელებმა უგერგილოდ გადმოიღეს რომაელებისგან ეს ახალი გამოგონება, ისევე როგორც რომაელებმა მათგან ისესხეს განთქმული პუნიკური გალერების ფორმა. ხუთი ერთმანეთზე განლაგებული სართული სვეტებისა, რომელთაც ქვემოდან მსხვილი ბურჯები, ხოლო თავზე ლომების გამოსახულება ედგა, აკროპოლის და-

სავლეთ კიდე სწვდებოდა, ქალაქში შედიოდა, კარგა მოზრდილი მდინარისოდენი ნაკადი შეჰყავდა და მეგარის წყალსატევს ავსებდა.

დათქმულ დროს სპენდიუსი შეხვდა მათოს, ბარჯის მსგავს ჯოხს თოკი გამოაბა, შურდულივით დაატრიალა და ბურჯს სტყორცნა. რკინის კავი კედელს გამოედო და ისინი ერთიმეორის მიყოლებით აცოცდნენ ზევით.

პირველ სართულზე რომ ავიდნენ, ახლა მეორეს სტყორცნეს ბარჯი. რამდენჯერმე უკან ჩამოვარდა კაუჭი, ფეხი რომ მოეკიდებინათ, ლავგარდანის ძგიდეზე უხდებოდათ სიარული. მაღლა და მაღლა, ზედა სართულებზე, ვინროვდებოდა ლავგარდანი, თოკიც მოფამფალდა და რამდენჯერმე კინალამ განყდა.

ბოლოს უმაღლეს ბაქანზე ავიდნენ. სპენდიუსი დროდადრო იხრებოდა და ქვებში ხელებს აფათურებდა.

– აი, აქ დავინწყოთ! – თქვა მან.

მათოს წამოღებული ძალაყინით ერთი ფილა ამოაბრუნეს და ხვრელი გააკეთეს.

შორს მხედართა რაზმი გამოჩნდა. უავშარო ცხენებს მოაჭენებდნენ. ოქროს სამაჯურები კრთოდნენ მოსასხამების ფართო ნაკეცებში. წინ სირაქლემას ფრთებით თავშემკული მხედარი მოაგელვებდა მერანს, ორივე ხელში სათხედები ეჭირა.

– ნარჰავასი! – შეჰყვირა მათომ.

– მერე რა! – მიუგო სპენდიუსმა და ჩახტა ხვრელში, ფილის ამოღებით რომ შეიქმნა.

მისი ბრძანებით მათომაც სცადა შეეძრა უზარმაზარი ლოდი, მაგრამ ადგილი არ ეყო და მკლავები ველარ გამართა.

– არაფერია, დავბრუნდებით, – თქვა სპენდიუსმა, – წადი წინ.

ისინი ალაღბედზე გაჰყვნენ წყლის ნაკადს. ჯერ მუცლამდე სწვდებოდათ წყალი. მალე ატივტივდნენ და ცურვით გაუყვნენ. ხელ-ფეხი ეკანრებოდათ ძალზე ვიწრო ღარის შიდა კედლებზე. წყალი თითქმის ჭერს ესხმებოდა და თავებს უხათქუნებდნენ ქვის ფილებს. შემდეგ მდინარეებამ ჩაითრია მოცურავენი. აკლდამაში არ იქნებოდა ამაზე უფრო მძიმე ჰაერი და სული შეუგუბდათ. თავი ხელებით დაეფარათ, მუხლები ერთმანეთზე გადაეჭდოთ, როგორც შეეძლოთ გაძაგრულიყვნენ და სულმხუთულნი, ცოცხალ-მკვდარნი, ახრიალებულნი ისრებივით მიქ-

როდნენ სიბნელეში. უეცრად ყველაფერი წყვდიადმა შთანთქა, დინების სისწრაფე გაორკეცდა, ისინი სადღაც გადავარდნენ.

როცა ზედაპირზე ამოიყურყუმაღავეს, რამდენიმე წუთს ზურგით იწვნენ წყალზე და ნეტარებით ყლაპავდნენ ჰაერს. წყალგამყოფ კედლებს შორის ერთიმეორის მიყოლებით მოჩანდა სვეტები. ყველა აუზი პირთამდე იყო სავსე და წყალი ზემოდან გადადიოდა წყალსაცავებზე. ჭერის თალებიდან მკრთალი სინათლე იჭვირებოდა სასულეებში და ნათელი დისკოებივით ეფინა ზედაპირზე. ირგვლივ, ბჭეებთან, წყვდიადი ჩამონოლილიყო და ამის გამო უსაზმნო შორეთი ეგონებოდა კაცს კედლებამდე. სულ მცირე ჩქამს უზარმაზარი ექო მოსდევდა.

სპენდიუსმა და მათომ მხარული გაჰკრეს და რამდენიმე აუზი გადაცურეს თალებშუა. აქეთ-იქით უფრო მცირე წყალსატევების ორი გასწვრივი რიგი ჩაუყვებოდა უმთავრეს აუზს. მათ გზა-კვალი დაებნათ, წალმა-უკუღმა აწყდებოდნენ, ძველ ალაგს უბრუნდებოდნენ; ბოლოს ფსკერი იგრძნეს ფეხქვეშ, – ეს წყალსაცავებს შორის გაჭიმული დერეფნის მოკირწყლული იატაკი იყო.

დიდი სიფრთხილით მიიწევდნენ წინ, კედელ-კედელ მიდიოდნენ ხელის ფათურით, რომ როგორმე გასასვლელი ეპოვათ. ფეხი უსრიალებდათ გალიპულ ლოდებზე, ღურღუმელებში ვარდებოდნენ. ამოფორთხდებოდნენ და ისევ დაუცდებოდათ ფეხი. ისეთ საშინელ დაღლილობას გრძნობდნენ, თითქოს კუნთები წყალში გასდნობოდათ. თვალები ეხუჭებოდათ. სიკვდილს მიახლებოდნენ.

სპენდიუსმა ცხაურის ძელაკს მოახვედრა ხელი. დაეჯაჯგურნენ. მოაჯირი დაჰყვათ და მათ კიბის საფეხურებზე ამოყვეს თავი. კიბის თავში ბრინჯაოს კარი იყო. ხანჯლის წვერით გადასწიეს გარედან დადებული ურდული და უეცრად სუფთა ჰაერზე აღმოჩნდნენ.

მშვიდი ღამე ჩამომდგარიყო. ზეცა უსაზღვროდ მაღალი იყო. ხეთა ვარჯები გადმოჰფენოდა გალავნის გრძელ ზოლს. მთელ ქალაქს ეძინა. მეწინავე საგუმბაგოთა კოცონები ცთომილებივით ციმციმებდნენ შორეთში.

სპენდიუსს სამი წელი დილეგში ჰქონდა გატარებული და ამიტომ კარგად იცნობდა ქალაქის ქუჩაბანდებს. მათო ფიქრობდა, რომ ჰამილკარის სასახლესთან მისასვლელად მარცხნივ უნდა გაეხვიათ და მაპალები გადაეჭრათ.

– არა, – უთხრა სპენდიუსმა, – ტანიტის ტაძრისკენ გამიძღელ.
მათოს რაღაც უნდოდა ეთქვა.

– გაიხსენე! – შეაჩერა მონაყოფილმა, ხელი გაიშვირა და
ცაზე მოკიაფე შაბარი დაანახვა.

მაშინ მათომ ხმის ამოუღებლად გაუხვია აკროპოლისკენ.

ბილიკების გაყოლებით გაბარდულ მოცხარის ბუჩქებში
მიხობავდნენ. ტანიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ და
მტვერს ეწვეთებოდა. უჩუმრად მიაბიჯებდნენ სველი სანდ-
ლებით. სპენდიუსი ჩირალდნებივით აბრიალებდა თვალებს და
ჯაგნარში დაფათურობდა, მათოს უკან მიალაჯებდა და ხელე-
ბით დაებლუჯა ილღიებქვეშ ტყავის სალტეებით ჩამოკიდებუ-
ლი ორი ხანჯალი.



თავი მეხუთე

ტანიტი

ბალებიდან რომ გააღწიეს, მეგარის გაღავანი გადაეღობათ ნინ, მაგრამ სქელ კედელში ხვრელი იპოვეს და გავიდნენ.

დაღმართი ფართო ველობზე ეშვებოდა, ნინ ღია სივრცე გადაშლილიყო.

– ყური დამიგდე, – უთხრა სპენდიუსმა, – ნურაფრის შეგე-შინდება!... რასაც დაგპირდი, შეგისრულებ...

ფიქრიანი იერით გაჩუმდა, თითქოს სიტყვებს ეძებდა.

– გახსოვს, მაშინ, მზის ამოსვლის ჟამს, სალამბოს ტერასიდან რომ დაგანახვე კართაგენი? მაშინ ძლიერნი ვიყავით, მაგრამ ჩემი არ შეისმინე! – მერე ზვიადი კილოთი განაგრძო: – პატრონო, ტანიტის საკურთხეველში ზეციდან ჩამოვარდნილი იდუმალი რიდეა ერთი, ქალღმერთს აქვს მობურთული.

– ვიცი, – მიუგო მათომ.

სპენდიუსმა განაგრძო:

– იგი წმინდაა თავისთავადაც, რადგან ქალღმერთის ნაწილს შეადგენს. ღმერთებიც იქ ბინადრობენ, სადაც მათი მსგავსება სუფევს. კართაგენი ძლიერია მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რიდეს ფლობს. – ყურთან მიუტანა პირი და უჩურჩულა: – ნაგიძღვები იქ და მოვიტაცოთ!

ზარდაცემულმა მათომ უკან დაიხია.

– წადი! სხვა ვინმე მოძებნე! მე ვერ შეგიწყობ ხელს მაგ საშინელ დანაშაულში!

– მაგრამ ტანიტი ხომ შენი მტერია, – სიტყვა შეუბრუნა სპენდიუსმა, – ის გდევნის და მისი რისხვა გაშთობს. ჯავრს ამოიყრი, დაიმორჩილებ. თითქმის უკვდავი და უძლეველი შეიქნები.

მათომ თავი დახარა. სპენდიუსმა განაგრძო:

– დავეუძღურდებით, ლაშქარი თავისთავად მოისპობა. არც გაქცევის იმედი გვაქვს, არც დახმარების, არც შეწყალების! რა

ღვთის რისხვის გეშინია, თუ მისი ძალა შენს ხელთ გექნება? ნუთუ გირჩევნია დაგვამარცხოვნი და დაიღუპო საცოდავად სადმე ბუჩქის ძირას ან ბრბომ გაგთელოს და კოცონზე ამოგძვრეს სული? პატრონო, ერთ მშვენიერ დღეს შეხვალ კართაგენში მღვდელთმთავართა დასით გარშემორტყმული და ისინი ფეხსაცმელებს დაგიკოცნიან. და თუ ტანიტის რიდე კიდევ შეგანუხებს, ისევ ტაძარში დააბრუნებ. წამომყევი და წამოილე!

საშინელმა წადილმა შეიპყრო მათო, მაგრამ უნდოდა ისე დაუფლებოდა რიდეს, რომ მკრეხელობა არ ჩაედინა. გუნებაში ამბობდა, შესაძლოა წამოლება არც იყოს საჭირო მისი ჯადოს ხელში ჩასაგდებადო. არ სურდა ჩასწვდომოდა თავის ფიქრთა სიღრმეს და საშიშროების საზღვარზე იკავებდა თავს.

– წავიდეთ! – თქვა ბოლოს და ჩქარი ნაბიჯით ხმის ამოუღებლად გასწიეს მხარდამხარ.

აღმართს შეუდგნენ. სახლები გახშირდა. სიბნელეში მიჰყვებოდნენ ვიწრო ქუჩებს. კედლებს ეხათქუნებოდნენ ვაციწვერას ღვლერჩები, რომლებითაც ჭიშკრები გადაეკეტათ. ერთ მოედანზე, მოცეკვილი ბალახის ზვინთან აქლემები იცოხნიდნენ; შემდეგ შეფოთილი თალარი გაიარეს. ძაღლების ხროვამ ყეფა და წკაენკავი ატეხა. მოულოდნელად ისევ სივრცე გადაეშალათ წინ და აკროპოლის დასავლეთი მხარე შეიცნეს. ბირსის ძირას გრძელი და შავი, უზარმაზარი კედელი გადაჭიმულიყო: ეს იყო ტანიტის ტაძარი, დაბალი ყორით გარშემორტყმული ქანდაკებები და ბალები, ეზონი და წინაეზონი. სპენდიუსმა და მათომ ზღუდე გადაიარეს.

ამ პირველ გალავანს იქით ჭადრების ჭალაკი იყო, შავი ჭირისა და მავნე ჰაერისაგან თავდასაცავად გაშენებული. აქა-იქ გაფანტულიყო კარვები, სადაც დღისით ყიდდნენ ტაროს, ნელსაცხებელს, ტანისამოსს, მთვარისდარ ნამცხვრებს და თაბაშირის ბელტებზე ამოკვეთილ ქაღალმერთისა და მისი ტაძრის გამოსახულებებს.

სახიფათო არა იყო რა, რადგან უმთვარო ღამეებში ღვთისმსახურება არ სრულდებოდა; მათომ მაინც შეანელა ნაბიჯი და შეჩერდა ეკალმუხის სამ საფეხურთან, რომლებიც მეორე გალავანზე გადადიოდა.

– გასწი! – უთხრა სპენდიუსმა.

ბრინჯაოსგან ჩამოსხმულივით გაშეშებული ბროწეულები, ნუშები, სარო და ტვიები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს; ცის-

ფერი კენჭებით მოკირწყლული გზა ოდნავ ჩქამს გამოსცემდა ფეხქვეშ. ხეივნის მთელ სიგრძეზე გაშლილი ვარდები გადმოშვერილიყვნენ. სპენდიუსი და მათო მესერით დახურულ მრგვალ შესასვლელს მიადგნენ. სიჩუმით შემკრთალმა მათომ უთხრა მონაყოფილს:

– აქ აზავებენ მტკნარსა და მლაშე წყალს.

– ვიცი, მინახავს, – მიუგო სპენდიუსმა, – სირიაში, მაფუგ ქალაქში.

ვერცხლის ექვსსაფეხურიანი კიბით მესამე გალავანზეც გადავიდნენ.

შუაში იდგა უზარმაზარი კედარი. ქვედა ტოტები აღარც მოჩანდა ღვთისმოსავთა მიერ შებმული ჭრელ-ჭრელი ნაჭრებისა და შიბების გამო. რამდენიმე ბიჯი კიდევ გადადგეს და ტაძრის წინა მხარე გადაეშალათ თვალწინ.

ორი გრძელი ტალანი, რომელთაც დაბალ სვეტებზე დაყრდნობილი განივი ძელი გასდევდა, ფრთებივით ედგა ნამგალა მთვარით შემკულ ოთხკუთხა კოშკის ზეთავს. ფრთედთა ძგიდეებსა და კოშკის ოთხივე კუთხეში საკმეველდაგზნებული დიდი მუჯამრები იდგა. ბროწეულითა და აყიროებით დაეტვირთათ სვეტისთავები. გრეხილები, მახვილკუთხედები და მარგალიტის მძივები ამშვენებდნენ კედლებს. ნაჭედი ვერცხლის ღობური ნახევარწრედ ერტყა თითბრის კიბეს, რომელიც დერეფანში ჩადიოდა.

შესასვლელში, ოქროსა და ზურმუხტის სტელათა შორის, ქვის კონუსი იდგა; მის გვერდით გავლისას მარჯვენა ხელი დაიკოცნა მათომ.

პირველი დარბაზი ძალიან მაღალი იყო, უამრავი ჭრილით დაცხრილული ჰქონდა კამარა. თავს თუ ასწევდი, ვარსკვლავებს დაინახავდი. კედლების გასწვრივ დალაგებულ ლერწმის კალათებში გაკრეჭილი თმა-წვერი იყო დახვავებული, – ჭაბუკებს შეენირათ ახალაშლილი წვერ-ულვაში. მრგვალი სენაკის შუაგულში, ძუძუების გამოსახულებით დაფარულ კვარცხლებეკზე, ქალის ზედატანი წამომართულიყო. ჩათქვირებული, წვეროსანი, ქუთუთოებმოჭუტული დიაცი თითქოს ილიმებოდა და მლოცველთა კოცნისაგან გაპრიალებული სქელი მუცლის ქვემოთ გადაეჭდო ხელები.

შემდეგ ისევ სუფთა ჰაერზე გავიდნენ, გამჭოლ დერეფანში, სადაც სპილოს ძვლის კარებზე პატარა სამსხვერპლო მიეყუდე-

ბინათ. ამას იქით წასვლა აკრძალული იყო. მხოლოდ ქურუმებს ჰქონდათ ნება კარის გაღებისა. ტაძარი თავშესაფრელი ადგილი კი არ იყო, არამედ ღვთაების სასუფეველი.

– ჩვენი განზრახვის შესრულება შეუძლებელია, – თქვა მათომ, – ეგ არ გიფიქრია. დავბრუნდეთ!

სპენდიუსი კედლების დათვალიერებას შეუდგა.

მას იმიტომ კი არ ენადა რიდე, რომ მისი ჯადოსნური ძალა სწამდა (მხოლოდ მისანი სწამდა მას), არამედ იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, რიდის დაკარგვის გამო საშინელ მჭმუნვარებას მიეცემოდნენ კართაგენელნი. შესასვლელის მოსაძებნად უკნიდან შემოუარეს კოშკს.

სკიპიდრის ხეთა ჭალაკში სხვადასხვაგვარი მცირე სახლაკები მოჩანდა. აქა-იქ ქვის ფალოსები წამომართულიყო და მაღალი ირმები რონინებდნენ მშვიდად, ორად გაპოხილ ჩლიქებს აჩქამებდნენ ძირს ჩამოცვენილ ფიჭვის გირჩებზე დაბიჯებისას.

ორ გრძელ, ერთმანეთის გასწვრივ გაჭიმულ დერეფანს შუა გამოვლით დაბრუნდნენ უკან. ორივე მხარეს მცირე სენაკები იყო. ძელის სვეტები თავიდან ბოლომდე დაირებითა და წინწილებით დაეხორხლათ. სენაკების წინ გაფენილ ჭილობებზე ქალებს ეძინათ. უმარულით გაპოხილი მათი სხეული ნელსურნელებისა და ჩამქრალი საცეცხლორების სუნითა ფშვებდა. ისე დაეფარათ კანი სვირინგით, იმდენი ფარლული და ღილ-კილო აესხათ, ისე მოთხუპნილიყვნენ ჭიაფერთა და ლახუსტაკით, – სუნთქვისაგან მათი მკერდის რხევა რომ არა, მიწაზე დაწვენილი კერპები ეგონებოდა კაცს. ლოტოსებით გარშემორტყმულ შადრევანში სალამბოს ღლაგების მსგავსი თევზები დაცურავდნენ; უფრო იქით, ტაძრის კედელზე, მინისყლორტებიანი და ზურმუხტისკუმპლებიანი ვაზი იყო გამოყვანილი; ძვირფასი თვლების არილი დასთამაშებდა მოხატულ სვეტებსა და მძინარეთა სახეებს.

მათოს სული შეუხუთა ცხელმა ჰაერმა, რომელიც კედლის სვეტებიდან აღწევდა. ეს ნიშნები ნაყოფიერებისა, ეს სუნი, ციმციმი და მძინარეთა ამონასუნთქი დაანვა გულზე. ამ მისტიკურ გამოცხადებათა შორის სალამბოზე ოცნებობდა. ქალღმერთისა და მისი სახე ერთმანეთს ერთვოდა და სიყვარული წყლის სიღრმეში გაშლილი უზარმაზარი ყვავილივით იფურჩქნებოდა.

სპენდიუსი ანგარიშობდა, თუ რამდენ ვერცხლს მოიხვეჭდა წინათ ამ ქალების გაყიდვით და თვალის ერთი შევლებით წონიდა ოქროს საყელურებს.

ტაძარს არც ამ მხრიდან ჰქონდა შესასვლელი. ისინი ისევ პირველი დარბაზის უკან დაბრუნდნენ. ვიდრე სპენდიუსი იქაურობას მთლად გადააქოთებდა და შესასვლელს მოძებნიდა, კარვების წინ განთხმული მათო ტანიტს შეჰღალადებდა, ევედრებოდა არ დაეშვა ეს მკრეხელობა, ცდილობდა ალერსიანი სიტყვებით მოელობო მისი გული, თითქოს განრისხებული ადამიანი ყოფილიყოს ღვთაება.

სპენდიუსმა კარს ზემოთ ვიწრო ღრუ შეამჩნია.

– ადექი! – უთხრა მათოს და კედელთან დააყენა, ხელზე დაებჯინა ცალი ფეხით, მეორე ფეხი თავზე დაადგა, სასულეს მისწვდა, შეძვრა და თვალს მიეფარა. ცოტა ხნის შემდეგ მათომ იგრძნო, რომ მხარზე კვანძებიანი ბანარი დაეცა, სპენდიუსმა რომ წყალსატევში ჩასვლამდე დაიხვია წელზე. ორივე ხელი ჩასჭიდა და მალე წყვდიადით მოცულ დიდ დარბაზში აღმოჩნდა მონაყოფილის გვერდით.

მსგავსი ღვთისგმობა წარმოუდგენელი იყო. მის ასარიდებლად არასაკმარისი ზომები მიეღოთ, რაც იმას მოწმობდა, რომ ასეთი რამ შეუძლებლად მიაჩნდათ. წმინდა ნაწილებს შიში უკეთ იცავდა, ვიდრე კედლები. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სიკვდილს ელოდა მათო.

წყვდიადის სიღრმეში რალაც ნათელი ციალებდა. მიუახლოვდნენ. ეს ლამპარი იყო, ქაბირთა ქუდით თავდარქმული ქანდაკების კვარცხლბეკზე შემოდგმულ ნიჟარაში რომ ენთო. აღმასის ბურთულებით მოეჩითათ ქანდაკის ცისფერი კაბა და ფილებს შუა დატანებული ჯაჭვების საშუალებით ქუსლებით მიემაგრებინათ იგი იატაკზე. მათომ ყვირილი შეიკავა, აბუტბუტდა: „აი ის! ის!...“ სპენდიუსი ლამპარს დასწვდა კერპის გასაშუქებლად.

– რა ურჯულო ხარ! – ჩაიჩურჩულა მათომ, მაგრამ მაინც გაჰყვა უკან.

ოთახში, სადაც ისინი შევიდნენ, არაფერი ჩანდა, გარდა ქალის შავი ფრესკისა. ქალის ფეხები ჭერს სწვდებოდა, ტანი ჭერზე იყო მიხატული; ჭიპზე უზარმაზარი კვერცხი ეკიდა ზონრით, ხოლო თავი მოპირისპირე კედელზე გადადიოდა პირაღმა და იატაკს სწვდებოდა წამახული თითებით.

ფარდაგი გადასწიეს, რათა გზა განეგრძოთ. ნიავმა დაუბერა და ლამპარი ჩააქრო.

დახლართულ გასასვლელებში გზა-კვალი აებნათ. უეცრად ფეხქვეშ რაღაც უცნაური სილბო შეიგრძნეს. ნაპერწკლები ტკაცუნობდნენ და ჩქეფდნენ, თითქოს გიზგიზა ცეცხლში მი-
აბიჯებდნენ. სპენდიუსმა ხელი მოუფათურა და მიხვდა, რომ
იატაკი ფოცხვერის ტყავებით იყო მოფენილი. მერე მოეჩვენა-
ნათ, თითქოს გასლიპული, ცივი და სველი თოკი გაუსრივდათ
ფეხებში. კედლის ჭრილებიდან მკრთალი რიჟრაჟი შემოდოდა
და ამ ბინდბუნდში მიიკვლევდნენ გზას. უზარმაზარი შავი გვე-
ლი შეამჩნიეს. გველი ელვასავით გაიკლაკნა და გაქრა.

– გავიქცეთ! – წამოიძახა მათომ, – ეს ისაა! ვგრძნობ, რომ
გვიახლოვდება!

– რას ამბობ! – მიუგო სპენდიუსმა, – ტაძარი ცარიელია,
არავინ არის.

უეცრად კაშკაშა სინათლემ მოსჭრათ თვალი. ყოველი მხრი-
დან შემორტყმოდათ ურიცხვი ჩამომხმარი, აქაქანებული, ბრჭყა-
ლებდაცაგრული მხეცი, რომლებიც საზარლად და რაღაც უცნა-
ურად დახორხილიყვნენ ერთმანეთზე. გველებს ფეხები ესხათ,
ხარებს – ფრთები, ადამიანის თავები გამოსხმოდათ თევზებს და
ნაყოფებს თქელეფდნენ, ხოლო ხორთუმაშვერილი სპილოები
ზვიადად დარონინებდნენ ცის ლაჟვარდში არნივების მსგავსად.
საშინელი ძალისხმევით დასჭიმოდათ უკმარი თუ ზომაზე მეტი
იოგები სხეულისა. ისეთი ნირი ედოთ, თითქოს ენაამოდგმულებს
სურდათ სულებს გაჰყროდნენ. აქ იყო სახე ყოვლისა ტანისა.
თითქოს ჩანასახთა ბუდე დამსხვრეულიყო უცაბედი გამოჩეკის
გამო და ამ დარბაზის კედლებზე გადმოღვრილიყო.

კედლების გასწვრივ წრიულად ელაგა ვეფხვების მაგვარ
ურჩხულებზე შემოდგმული ბროლის თორმეტი ბირთვი. მხე-
ცებს თვალები გადმოეკარკლათ ლოკოკინებივით, მოუხეშავი
წელი მოედრიკათ და თავები გაეშვირათ დარბაზის სიღრმის-
კენ, სადაც სპილოს ძვლის ტახტრევანზე უზენაესი რაბეთი
დაბრძანებულიყო, ყოვლისგამანაყოფიერებელი და საბოლოო
ქმნილება სულისა.

ქერეჭი, ფრთები, ყვავილები და ჩიტები მუცლამდე სწვდე-
ბოდა მას. ყურში გაჩრილი ვერცხლის ეჟენები ღანვებზე ელა-
მუნებოდა. გაქვავებული დიდი თვალებით მჭვრეტელს მიშ-
ტერებოდა; უხამს სიმბოლოდ რომ ჰქონდა შუბლში ჩასმული
ელვარე ქვა, მთელ დარბაზს აშუქებდა და წითელი სპილენძის
სარკეებში ირეკლებოდა კარებს ზემოთ.

მათომ ბიჯი წარდგა. იატაკის ფილა შეირხა მის ფეხქვეშ და უეცრად დატრიალდნენ ბირთვები, აღმუვლდნენ ურჩხულები; აჟღერიალდა სფეროთა ჰარმონიასავით წარწარი და ხმიერი მუსიკა, ტანიტის დაუცხრომელი სული გადმოიღვარა თითქოს... თითქოს ეს-ესაა უნდა წამომდგარიყო მკლავებგაშლილი და დიადი, ჭერს მისწვდომოდა. ანაზდეულად ურჩხულებმა ყბები მოკუმეს, ბროლის ბირთვებიც მაშინვე შედგნენ.

ჰაერი კიდევ რამდენიმე ხანს ირხეოდა მძიმედ, შემდეგ ყოველივე მიწყდა, მიყუჩდა.

– რიდე სადღაა? – თქვა სპენდიუსმა.

არსად ჩანდა. სად უნდა ყოფილიყო? როგორ ეპოვათ? იქნებ ქურუმებმა გადამაღეს? მათოს ტკივილით დაესერა გული, თითქოს რწმენა გაუცრუვდაო.

– აქაა! – ჩაიჩურჩულა სპენდიუსმა, ზეშთაგონებით შეპყრობილმა დაავლო მათოს ხელი და მიიყვანა ტანიტის ეტლს უკან, სადაც კედელი ერთი წყრთის სიგანეზე იყო გაპოხილი ჭერიდან იატაკამდე.

წაპრალში გაძვრნენ და შევიდნენ მრგვალ ოთახში, რომელიც ისე ვიწრო და მაღალი იყო, რომ სვეტის შიგნით გამოკვეთილსა ჰგავდა. შუაში იდო დიდი, ნახევრად მომრგვალებული შავი ქვა, დოლის მსგავსი. ზედ ცეცხლი ეგზნო. უკან ებანოზის კონუსი წამომართულიყო, თავი ედგა და ორი ხელი ესხა.

ამას იქით რაღაც ირხეოდა ღრუბელივით და ვარსკვლავები ციმციმებდნენ ზედ. ნაოჭებში სახეები მოჩანდა: ეშმუნი და ქაბირები, ზოგი იმ ურჩხულთაგანი, – ახლახან რომ იხილეს, – ბაბილონელთა წმინდა ცხოველები და სხვები, რომლებიც არასოდეს ენახათ. მოსასხამივით ჰქონდა ჩამოფარებული ეს ღრუბელი კერპს სახეზე და შემდეგ კედელზე იყო გაფენილი ზემოთ, კიდეებით ეკიდა და ერთსა და იმავე დროს ღამესავით ლურჯიც იყო, გარიჟრაჟივით ყვითელიც, მზესავით მენამულიც, უკიდევანოც, გამჭვირვალეც, მოციმციმეც და მსუბუქიც. ეს ქალღმერთის რიდე იყო, წმინდა ზაიმფი, რომელსაც ძეხორციელის თვალი არ უნდა მოხვედროდა.

ორივენი გაფითრდნენ.

– დაავლე ხელი! – უთხრა ბოლოს მათომ.

სპენდიუსი არ შეეყოყმანებულა, კერპს დაეხვინა და რიდე ჩამოგლიჯა. ზაიმფი ძირს გაიშალა. მათომ ხელი შეავლო, შემდეგ თავი გაყო საყელოში, ტანზე შემოიხვია და მკლავები გაშალა, რათა უკეთ დაეთვალიერებინა.

– ნავიდეთ! – უთხრა სპენდიუსმა.

გულაძგერებული მათო უძრავად იდგა და იატაკის ფილებს დასჩერებოდა.

ანაზდად შესძახა:

– სალამბოსთან რომ ნავიდე? ახლა აღარ მაშინებს მისი მშვენება! რა უნდა მიყოს? კაცზე მეტი ვარ ახლა. ცეცხლში გავივლი, ზღვაზე ვისეირნებ! ერთი სწრაფვა მძლევეს! სალამბო! სალამბო! მე შენი უფალი ვარ!

მეხივით ჭექდა მისი ხმა. უფრო მაღალი და სავსებით გადასხვაფერებული ეჩვენებოდა სპენდიუსს.

ნაბიჯების ხმა გაისმა, კარი გაიღო და გამოჩნდა წონოლაქუდიანი და თვალეზაყყეტილი ქურუმი. ვიდრე იგი ხელის განძრევას მოასწრებდა, სპენდიუსი ეძგერა, ხელები შემოაჭდო და ორივე ხანჯალი გაუყარა ფერდებში. მოკლულის თავმა რახუნი მოიღო ქვის ფილებზე.

მერე ამ ცხედარივით გაშეშებული რამდენიმე წუთს იდგნენ და აყურადებდნენ. მხოლოდ ნიავი ჩურჩულებდა კარების ღრიჭოში.

ვინრო გასასვლელში გადიოდა კარი. სპენდიუსი გავიდა, მათოც გაჰყვა და თითქმის მაშინვე მესამე შემორაგულში მოხვდნენ, გვერდით ფრთედთა შორის, სადაც ქურუმთა საცხოვრებელი სენაკები იყო.

სენაკებს მიღმა უმოკლესი გზა უნდა ყოფილიყო. ჩქარობდნენ.

სპენდიუსი შადრევნის კიდედთან ჩაცუცქდა და სისხლიანი ხელები დაიბანა. ქალებს ეძინათ. ზურმუხტის ვაზი ციმციმებდა სიბნელეში. შემდეგ ისევ გასწიეს.

ვილაც მოსდევდათ ხეებში. მათომ, რომელსაც რიდე მიჰქონდა, რამდენჯერმე იგრძნო, რომ ნელა ექაჩებოდნენ ქვევით. ეს ერთ-ერთი იმ ძაღლთაგა მაიმუნთაგანი იყო, თავისუფლად რომ გაეშვათ ქალღმერთის წალკოტში. მაიმუნი თითქოს გრძნობდა, რომ ესენი ქურდები იყვნენ და რიდეს ებლაუჭებოდა. მიმტაცებელნი ველარ იგერიებდნენ, – ვაითუ წივილი ატეხოსო. ბოლოს მაიმუნი დაცხრა და მხარდამხარ აედევნა მიმავალთ, მთელი ტანით მიირხეოდა და ჩამოგრძელებულ ხელებს აქნევდა. გაღავანთან ერთი ფეხის დარტყმით ახტა პალმაზე.

უკანასკნელ ზღუდესაც რომ გადააბიჯეს, ჰამილკარის სასახლისკენ ქნეს პირი. სპენდიუსი მიხვდა, რომ მათოს გეზს ვერ შეაცვლევიანებდა და მისი ყოველი ცდა ამაო იქნებოდა.

დაბალთა ქუჩას გაჰყვნენ, მუთუმბალის მოედანი გადაჭრეს, მწვანილეულის ბაზარი და სინაზინის გზაჯვარედინი გაიარეს.

ერთ მოსახვევეში ვილაც შეეჩეხათ. სიბნელეში მოციმციმე საგნით დამფრთხალი შემხვდური უკუიქცა.

– დამალე ზაიმფი! – უთხრა სპენდიუსმა მათოს.

სხვებიც შემოეყარნენ გზაზე, მაგრამ მათთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

ბოლოს მეგარის შენობები შეიცნეს.

უკან, ციცაბო ტინზე აღმართული შუქურა წითლად აშუქებდა ზეცას და ერთმანეთზე შეხორხლილი ტერასებიანი სასახლის ჩრდილი უცნაური პირამიდის დარად ეფინა ბალებზე. ხანჯლებით ჩასჭრეს შტოები უნაბის ცოცხალ ღობეს და ებოში შევიდნენ.

როქის სპის ღრეობის ნაკვალევი აჩნდა ყველაფერს. ბაკები დარღვეული იყო, რუები – დაშრეტილი, დილეგის საგდული – ღია. კაციშვილი არ ჩანდა სამზადებსა და მარნებში. სპენდიუსი და მათო გააოცა ირგვლივ დამკვიდრებულმა სიმყუდროვემ, რომელსაც სპილოების ხრინწიანი ხვნეშა, ხუნდების ჩხარუნი და შუქურაზე დაგზნებული ალოეს რტოების ტკაცუნი არღვევდა მხოლოდ.

მათო დაჟინებით იმეორებდა:

– სადაა იგი? უნდა ვნახო! წამიძელ!

– რამ გადაგრია! – ეუბნებოდა სპენდიუსი, – ქალი კივილს ატეხს, მონები მოცვივდებიან და შენი ჯან-ლონე ვერას გიშველის, მოგკლავენ!

ასე მიაღწიეს ხომალდის ქიმებიან კიბემდე. მათომ თავი აიღო და მოეჩვენა, თითქოს სულ ზემოთ მკრთალი, მოციმციმე და რბილი სინათლე კრთოდა. სპენდიუსს უნდოდა შეეკავებინა, მაგრამ ლიბიელი სირბილით აუყვა კიბეს.

იმ ადგილას დაბრუნებამ, სადაც ოდესღაც სალამბო იხილა, გარდასულ დროთა სიშორე წაშალა მის გონებაში. თითქოს ახლახან ჩაიმღერა ქალმა ტაბლათა შორის, მერე თვალს მიეფარა და მას შემდეგ არბის მათო ამ კიბეებზე. მაღლა, თავს ზემოთ, ცაზე ცეცხლი კიაფობდა, ზღვა შემოსდგომოდა ცის დასალიერს, ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო მეტი სივრცე იშლებოდა მათოს ირგვლივ და ისიც ადიოდა ზევით ისეთი უცნაური სიმსუბუქით, როგორსაც მხოლოდ სიზმარში გრძნობენ.

ქვის საფეხურებზე მოშრიალე ზაიმფის ჩქამმა თავისი ახლადმეძენილი ძლიერება მოაგონა. იმედით გულშეტბორებულმა არ იცოდა რა ექნა, თავისი გაუბედაობა აცბუნებდა.

დაგმანულ სენაკთა ოთხკუთხა ჭრილებს დროდადრო ეკვროდა სახით და ეჩვენებოდა, თითქოს მძინარეებს ხედავდა ზოგან.

უკანასკნელი, ყველაზე ვიწრო სართული სათითურით ედგა ზემოდან ტერასებს. მათომ ნელი ნაბიჯით შემოუარა გარს.

რძისფერი სინათლე ეფინა სალმანდის ფირფიტებს, კედელში გამოჭრილ სანთურებს რომ ეფარა. თანაზომიერად განლაგებული სალმანდები მარგალიტის ძაფებსა ჰგვანდნენ სიბნელეში. მათომ იცნო შავი ჯვრით მოხატული წითელი კარი. გული ძალუმად აუძგერდა. გაქცევა მოუნდა. მიაწვა საგდულს. კარები გაიღო.

ოთახის სიღრმეში ენთო ჩამოკიდებული ლამპარი, გალერის მსგავსი. მისი ვერცხლის ძირიდან სამი სხივი ჭვირავდა და ცახცახებდა წითელი და შავი ზოლებით მოხატულ მაღალ პანელზე. ჭერის მოოქროვილ, მცირე თავხეებს შუაში ამეთვისტოები და ხის როკებში ჩასმული ტოპაზები ამკობდა; ოთახს ოთხივე მხარეს გრძელი სკამლოგინი გასდევდა, თეთრი ღვედებით მოწნული; ნიჟარების მსგავსი ნიშნები იყო გამოჭრილი სქელ კედელში და იქიდან ტანსაცმელი ჩამოშლილიყო იატაკზე.

ანქვითის ძგიდე ერტყა ოვალურ აბაზანას, გველის ტყავის ნატიფი ქოშები და თაბაშირის ქოთანი დარჩენოდათ ზედ. იქვე სველი ფეხების ნაკვალევი აჩნდა ფილებს. ნელი სულწელი იდგა ოთახში.

მათო ფრთხილად აბიჯებდა ოქროთი, სადაფითა და ჭიქით დაჭრელებულ ფილებზე; მოპრიალებული იატაკის მიუხედავად ეჩვენებოდა, თითქოს ფეხები ეფლობოდა ისე, როგორც სილაში.

ვერცხლის ლამპრის იქით ოთხი ბანრით ჩამოკიდებული ლაჟვარდის ფართო გავალაკი დაინახა და პირდაღებული, წელში მოხრილი გაემართა მისკენ.

შავი მარჯნის სახელურებში ჩასმული ფლამინგოს ნაკრტენის მარაოები ეყარა ძონეულ ბალიშებს, ბაკნის სავარცხლებს, კედრის ყულაბებსა და სპილოს ძვლის სამურველებს შორის. ანტილოპების რქებზე ბეჭდები და სამაჯურები იყო აცმული; ლერწმის ლასტებზე დაეწყოთ თიხის ამფორები და კედლის ჭრილებში გაედგათ გასაგრილებლად. მათომ რამდენჯერმე წაიფორხილა, რადგან იატაკი სხვადასხვა სიმაღლისა იყო და ამრიგად რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი ოთახი. სიღრმეში ვერცხლის მოაჯირი ერტყა ყვავილებით მოჩითულ ნოხს. ბოლოს მათო დაკიდებულ სარეცელზე მიდგმულ შავი ხის პატარა კიბეს მიადგა.

სინათლე საწოლის კიდეზე აღწევდა მხოლოდ. ჩრდილი უზარმაზარ რიდესავით ეფინა ლოგინს და მხოლოდ წითელი ლეიბის კუთხე მოჩანდა და პატარა, შიშველი ფეხის წვერი. მათომ ნელა, სულ ნელა მოსწია ლამპარი.

სალამბოს ლოყა ხელზე დაეყრდნო, მეორე მკლავი გაეშალა და ასე ეძინა. ხშირი თმა ისე გადმოშლოდა, გეგონებოდათ, შავ ბუმბულზე მიუდვია თავიო. ფართო თეთრი კვარტი რბილ ნაკეცებად ეფინა ფეხებამდე და მისი ტანი ინაკვთებოდა თხელ მარმაშებში. მოხუჭულ ქუთუთოებში თვალები უჩანდა ოდნავ. სწორად ჩამოშვებული ფარდები მოლურჯო არილს აფენდნენ; სუნთქვისგან რომ მკერდი ერხეოდა, ბანრებიც ირხეოდნენ ოდნავ და თითქოს არწევდნენ ჰაერში. კოლო წუოდა.

გახვევებულ მათოს ვერცხლის ლამპარი ეჭირა. უეცრად მარამაშის კიდეც მოებრიალა ალი და მეყსეულად დაიფერფლა. სალამბოს გაელვია.

ცეცხლი ჩაქრა. ქალწული ხმაგაკმენდილი იყურებოდა. ლამპრის შუქი ფართო, ტალღოვან ლანდებად ირხეოდა კედლებზე.

– ეგ რაა? – იკითხა მან ბოლოს.

მათომ უპასუხა:

– ქალღმერთის რიდეა!

– ტანიტის რიდე! – შესძახა სალამბომ, ორივე ხელს დაეყრდნო და ათრთოლებული გადმოიხარა სარეცლიდან. მათომ განაგრძო:

– შენთვის წამოვიღე საკურთხეველიდან! დახე! – სხივებში გახვეული ზაიმფი ციალებდა.

– გახსოვს, – ეუბნებოდა მათო, – ღამლამობით რომ მეველინებოდი სიზმრად, მაგრამ არ მესმოდა შენი თვალების უტყვი ბრძანება! – სალამბომ შავი ხის კიბეზე ჩამოდგა ფეხი, – რომ შემეტყო, რა გსურდა, მოგაშურებდი, დავაგდებდი ლაშქარს და კართაგენსაც არ დავტოვებდი. აჩრდილთა საუფლოშიც ჩავიდოდი ჰადრუმეტის გამოქვაბულით, თუ ინებებდი!... მაპატიე, თითქოს მთა მანვა გულზე ამ დღეების განმავლობაში და მაინც რალაც მიზიდავდა გარეთ! შენკენ მომავალ გზას დავეძებდი! ღვთის ნება რომ არა, გავბედავდი განა!... წავიდეთ! გამომყევი! ან თუ არ გინდა, რომ გამომყვე, მაშინ მე დავრჩები შენთან. ჩემთვის სულ ერთია... შენს სუნთქვას განუზავე ჩემი სული! ტუჩები გამაცვეთინე შენი ხელების კოცნით!

– დამანახვე! – უთხრა სალამბომ, – უფრო ახლოს, ახლოს!
ირიჟრაჟა და ღვინისფერი შუქი მიადგა კედლებში ჩასმულ
სალმანდის ფირფიტებს. მღელვარებისგან მისუსტებული სა-
ლამბო ბალიშებს მიესვენა.

– მიყვარხარ! – შესძახა მათომ.

სალამბო ჩურჩულებდა:

– მომეცი, მომეცი!

და ისინი ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

ქალწულს თეთრი სიმარა მოსთრევდა უკან და ისე მოინე-
და, დიდი თვალები რიდისთვის მიეშტერებინა. მათო შესცქე-
როდა მისი სახის მშვენებით თვალმოკვეთილი და ზაიმფი ისე
გაეშვირა მისკენ, თითქოს უნდოდა მოეხვია და გულში ჩაეკრა
ქალი. სალამბომ ხელი ჰკრა და უცებ შედგა. თვალდაშტერებით
უმზერდნენ ურთიერთს.

ქალს არ ესმოდა, რას სთხოვდა ვაჟი და მაინც შიშმა აიტანა.
წვრილი წარბები შეკრა, ბაგე გაეხსნა, მთლად ცახცახებდა. ბო-
ლოს თითბრის სამაგრს დაჰკრა ხელი, წითელ ნალს რომ ეკეთა
კუთხებში და შეჰკივლა:

– მომეშველეთ! მომეშველეთ! უკან, შე ბილწო! შეჩვენებუ-
ლო! ჩემკენ, ტანაქ, კრუმ, ევა, მიციპსა, შაულ!

თავზარდაცემული სპენდიუსის სახემ გაიღვა კედლის ჭრი-
ლებში შედგმულ თიხის ქოთანთა შორის.

– გაიქეცი! აქეთ მოდიან!

ერთი ალიაქოთი ატყდა კიბეებზე. ქალების, მსახურებისა და
მონების ბრბო შემოვარდა ოთახში ხმლებით, კეტებით, კალდი-
მებითა და ხანჯლებით შეიარაღებული. აღშფოთებისგან გაქ-
ვავდნენ, მამაკაცი დაინახეს აქ. მსახურებმა ზარი და ზრიალი
ატყეს, შავკანიანი საჭურისებიც კი გაფითრდნენ რისხვით.

მათო მოაჯირს იქით იდგა ზაიმფში გახვეული. ვარსკვლავ-
თა ღვთაებას ჰგავდა, ცარგვლით შემორკალულს. მონებმა წა-
ინიეს მისკენ. სალამბომ შეაჩერა:

– ხელი არ ახლოთ! ქალღმერთის რიდე ახურავს!

ქალი კუთხეში მიკუნჭულიყო, მაგრამ ერთი ნაბიჯი გად-
მოდგა და შიშველი ხელი გაიშვირა მათოსკენ.

– შეჩვენება შენ, ტანიტის მპარავო! რისხვა და შურისძიება,
მუსრი და სალმობა ნუ მოგიშალოს უფალმა! ომის ღვთაებამ, გურ-
ზილმა, დაგფლითოს! მკვდართა ღვთაებამ, მასტიმანმა, მოგაშ-
თოს! და იმან, ვისი სახელიც არ ითქმის, დაგწვას და დაგდაგოს!

მათომ შეჰყვირა, თითქოს შუბი ჩაჰკრეს გულში. სალამბომ რამდენჯერმე გაიმეორა:

– განვედ აქედან, განვედ!

მსახურთა ბრბო შუაზე გაიპო და თავდახრილმა მათომ ნელა გაიარა მათ შორის, მაგრამ კარებთან შედგა, – ზაიმფის ფოჩი ნამოედო ერთ ოქროს ვარსკვლავთაგანს, რომლებითაც მოჭედილი იყო იატაკი. მხრის გაქნევით მონყვიტა და კიბეს ჩაჰყვა.

ამასობაში სპენდიუსი ტერასებზე დაეშვა ხტომით, ღობეებსა და რუებს გადაეწვლო და ბალიდან გავიდა, შუქურამდე მიაღწია. ამ ადგილას გალავანი დაუცველი იყო, ქარაფზე მაინც ვერავინ ამოვიდოდა. მონაყოფილი კლდის ქიმამდე მიხობდა, ზურგზე განვა და წყალში ჩასრიალდა, საფლავთა კონცხამდე ცურვით მიაღწია, შორიდან შემოუარა მარილოვან ყურეს და სალამოხანს დაბრუნდა როქის სპის ბანაკში.

მზე ამოსულიყო. ნებიერი ღომივით მიაბიჯებდა მათო და შემზარავი თვალებით იყურებოდა აქეთ-იქით.

ბუნდოვანი ბუბუნი აღწევდა მის ყურამდე. სასახლიდან მოდიოდა ეს ხმაური, უფრო შორს კი იწყებოდა, აკროპოლიდან. ერთნი ამბობდნენ, მოლოქის ტაძრიდან რესპუბლიკის ხაზინა გაიტაცესო. სხვანი მოკლული ქურუმის თაობაზე ყაყანებდნენ. ზოგს ეგონა, ბარბაროსები ქალაქში შემოვიდნენო.

მათომ არ იცოდა, როგორ გაეღწია გალავანში და პირდაპირ მიაბიჯებდა. იგი შეამჩნიეს და ყვირილ-წივილი ატეხეს. ყველამ გაიგო, რაც მოხდა. ჯერ გაოგნდნენ, შემდეგ უსაზღვრო სიშმაგით აღენთნენ.

მაჰალებიდან, აკროპოლის სიმალიდან ურიცხვი ხალხი შეიყარა კატაკომბებთან და ტბის ნაპირებთან. პატრიციები გამოვიდნენ სასახლეებიდან, მოვაჭრენი – დუქან-ფარდულებიდან; დედებმა შვილები მიატოვეს, ხმლებს, ნაჯახებს, სარებს დაავლეს ხელი, მაგრამ დაბრკოლება, რომელმაც სალამბო შეაჩერა, მათაც გადაეღობა. როგორ წაერთმიათ რიდე? თვალის შევლება კი ღვთის გამობა იყო, ღვთაების ნაწილი იყო იგი და შეხება სიკვდილს მოასწავებდა.

ტაძართა სვეტებზე ხელებს იმტვრევდნენ სასონარკვეთილი ქურუმები. ლეგიონერები უგზო-უკვლოდ დააჭენებდნენ ცხენებს, – სახურავებზე, ტერასებზე, კერპების მხრებზე და ხომალდთა ანძებზე გადადიოდნენ. მათო მშვიდად მიაბიჯებდა და მის ყოველ ბიჯზე მატულობდა რისხვა და შიში. ქუჩე-

ბი ცარიელდებოდა მისი მიახლოებისას და გაქცეულნი აქეთ-იქით აწყდებოდნენ კედლებს. ყოველი მხრიდან თვალებს უბრიალებდნენ მათოს, თითქოს მისი ცოცხლად შეჭმა უნდოდათ, კბილებს აკრაჭუნებდნენ, მუშტებს უღერებდნენ და სალამბოს წყევლა მოისმოდა ყოველი მხრიდან.

უცებ გრძელმა ქეიბურმა გაისისინა, ერთს მეორე მოჰყვა და ქვებიც წამოვიდა, მაგრამ ცუდად უმიზნებდნენ (ეშინოდათ, ზაიმფს არ მოვახვედროთო) და თავს ზევით გადადიოდა ნასროლი. მათო ფარად ხმარობდა ზაიმფს, მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან იფარებდა და კართაგენელებმა არ იცოდნენ, რა ელონათ. ლიბიელი სულ უფრო და უფრო უჩქარებდა ნაბიჯს, დაცარიელებულ ქუჩებს მიჰყვებოდა. ბანრებით გადაელობათ შუკები, ეტლებით, ხაფანგებით ჩაეხერგათ და მათო იძულებული ხდებოდა უკან დაბრუნებულიყო. ბოლოს ქამონის მოედანზე გავიდა, სადაც ბალეარელი ამოხოცეს. აქ შედგა მომაკვდავივით გაფითრებული. ახლა კი დაღუპული იყო. კართაგენელებმა ტაში შემოკრეს.

უზარმაზარ ჩაგმანულ კარიბჭემდე მიიღრინა. ბჭე მეტად მაღალი იყო, მუხის მერქნისგან გამოთლილი და რკინის სამსჭვლებითა და თითბრით გამაგრებული. მათო გამეტებით ეძგერა. ძვრაც ვერ უყო. ბრბო სიხარულით აბაკუნებდა ფეხებს, მის უძღურებას რომ ხედავდა. მაშინ მათომ სანდალი წაიძრო ფეხიდან, დააფურთხა და შეუძვრელ ღირეებს დაუნყო ტყაპუნი. მთელი ქალაქი აღრიალდა. რიდეც კი დაავინწყდათ და მათოს გასასრესად გამოექანნენ. მათომ ფართოდ გახელილი, ამღვრეული თვალები მიმოავლო ბრბოს. საფეთქლები თავბრუდამხვევად უცემდა, მთვრალი კაცივით დაუბნელდა გონება. უეცრად შეამჩნია გრძელი ჯაჭვი, რომელსაც კარიბჭის გაღება-დაკეტვისას იყენებდნენ. ახტა, განვდილი ხელებით ჩაებლაუჭა და ფეხებით შეაბობლდა. ბოლოს უზარმაზარი საგდული გაიღო.

გარეთ რომ გააღწია, კისრიდან შემოიხსნა განიერი ზაიმფი და რაც შეეძლო მაღლა ასწია. ზღვაურმა ააფრიალა ქსოვილი, ძვირფასი თვლები და ღმერთების გამოსახულებანი აბრჭყვიალდა მზეზე. ასე გადასერა მათომ მთელი მინდორი როქის სპის კარვებამდე და გალავანზე გადმომდგარი კართაგენელები შესცქეროდნენ, როგორ ეცლებოდათ ხელიდან ბედი.



თავი მეექვსე

ჰანონი

– უნდა მომეტაცებინა! – ეუბნებოდა მათო სალამოხანს სპენდიუსს, – ხელი უნდა ჩამეჭიდა და ძალით წამომეყვანა! წინ ვერავინ აღმიდგებოდა!

სპენდიუსი ყურს არ უგდებდა. გულალმა გაშოტილიყო, ნეტარებით ისვენებდა, გვერდით თაფლიანი წყლით სავსე ქილა მოედგა და დროდადრო თავს ყოფდა შიგ და გემოზე იკლავდა წყურვილს.

მათო განაგრძობდა:

– ახლა რა ვქნა? როგორ დავბრუნდე კართაგენში?

– აბა, რა ვიცი, – მიუგო სპენდიუსმა.

მისმა გულგრილობამ განარისხა მათო და მონას შესძახა:

– სულ შენი ბრალია ყველაფერი! შენ ჩამითრიე ამ საქმეში და ახლა მტოვებ, შე დედალო, შენა! ხომ არ გგონია, რომ სულ შენს ნებაზე ვივლი? ჩემი ბატონი ხომ არ გგონია თავი? აჰ, შე გარყვნილო მონავ, მონის ნაბიჭვარო! – კბილები გაახრჭიალა და უზარმაზარი ტორი მოუქნია სპენდიუსს.

ბერძენმა პასუხი არ გასცა. თიხის სანთური მკრთალ სინათლეს ჰფენდა კარვის დედაბოძს. მის შუქზე ზაიმფი ციალებდა ჩამოკიდებულ ჯაჭვ-იარაღთან ერთად.

ანაზღად მათომ კოთურნები ჩაიცვა, თითბრის ფირფიტებიანი კურტაკი შეიკრა და მუზარადს დასწვდა.

– სად მიხვალ? – ჰკითხა სპენდიუსმა.

– კართაგენს! თავი დამანებე! უნდა წამოვიყვანო სალამბო! თუ ვინმე გადამელობა, ჭრელი უნასივით გავუჭეჭყავ თავს! სალამბოსაც ამოვართმევ სულს, სპენდიუს! – და რამდენჯერმე გაიმეორა: – ჰო, მოვკლავ! აი, ნახავ, მოვკლავ!

მაგრამ სმენადქცეულმა სპენდიუსმა სასწრაფოდ ჩამოგლიჯა ზაიმფი ბოძიდან და კუთხეში მიჩურთა, ზემოდან საწმისები

დააყარა. ჩოჩქოლი მოისმა, ჩირაღდნები გამოჩნდა და ნარჰავასი შემოვიდა ოციოდე მხლებლითურთ.

თეთრი შალის ლაბადები ესხათ, გრძელი ხანჯლები, ტყავის ავგაროზები, ხის საყურეები ეკიდათ და აფთრის ტყავის ხამლი ემოსათ. ზღურბლზე შედგნენ და ხელშუბებს ჩამოეყრდნენ, მწყემსები რომ ისვენებენ, ისე. ნარჰავასი ყველაზე წარმოსადეგი იყო. მარგალიტით მოკენჭილი ღვედებით გაეკრა თხელი მკლავები, განიერი სამოსელი ოქროს რკალით დაემაგრებინა თავზე, ზედ სირაქლემას ფრთები ეკეთა და ბეჭზე გადმოჰფენოდა; ღიმილს ბაგე გაეპო და კბილები უელავდა, თვალები ისრებივით წამახვოდა და მთელ მის არსებაში რალაცნაირი გულისხმიერება და სიმსუბუქე იგრძნობოდა.

მან განაცხადა, რომ სურდა როქის სპას შეერთებოდა, რადგანაც რესპუბლიკა უკვე კარგა ხანია მის სამეფოს ემუქრებოდა. ჩემთვის სასარგებლოა ბარბაროსთა მხარეზე ყოფნა, არც თქვენთვის ვიქნებიო ურგები.

– სპილოებს მოვასხამ, ჩემი ტყეები სავსეა ამ ცხოველებით; ღვინოს, მცენარეულ ზეთს, ქერს, ინდისხურმას მოგანვდით, კუპრსა და გოგირდს მოგცემთ ალყად დგომისთვის, ოცი ათას ქვეითსა და ათი ათას მხედარს გამოგიყვანთ. შენ იმიტომ მოგმართავ, მათო, რომ პირველი ხარ როქის სპაში, რადგან ზაიმფს ფლობ. – და დასძინა: – თანაც ძველი მეგობრები ვართ.

მათო შესცქეროდა სპენდიუსს, რომელიც ცხვრის ტყავებზე იჯდა და მოწონების ნიშნად თავს აკანტურებდა. ნარჰავასი ლაპარაკს განაგრძობდა, ღმერთებს იმონებდა, კართაგენს კრულავდა. მისი მხლებლები ერთხმად აღრიალდნენ და ნუმიდიელთა რისხვით აღგზნებულმა მათომ შესძახა, თანახმა ვარ თქვენთან კავშირისაო.

მაშინ მოიყვანეს თეთრი მოზვერი და შავი ნერბი – დღისა და ღამის ნიშნად, ორმოს კიდესთან ყელი გამოლადრეს და, როცა ორმო სისხლით აივსო, ხელები ჩაყვეს შიგ. შემდეგ ნარჰავასმა მკერდზე დაადო მათოს ხელი, მათომ – ნარჰავასს. ასეთივე ნიშნით დაბეჭდეს თავიანთი კარვის კალთები და მერე მთელი ღამე ღრეობდნენ. მორჩენილი ხორცი ტყავთან, ძვლებთან, რქებთან და ჩლიქებთან ერთად დაწვეს.

ქალღმერთის რიდით მომავალ მათოს გამაყრუებელი ყიჟინით შეეგებნენ როქის სპანი. ისინიც კი, ვინც ქანაანელთა რჯულს არ აღიარებდნენ, რალაცნაირ გაურკვეველ სიხარულს

გრძნობდნენ, ფრთები შესხმოდათ, რომ მფარველი გენია მოევლინათ. ზაიმფის მისაკუთრება არავის მოსვლია აზრად. იდუმალება, რომლითაც რიდე იქნა მოპოვებული, საკმარისი იყო ბარბაროსთათვის მისი კუთვნილების დასაკანონებლად. ასე ფიქრობდნენ აფრიკული რასის ჯარისკაცები. სხვები მათებრ არ იყვნენ რისხვით აღტყინებულნი, მაგრამ არ უწყოდნენ რა ელონათ. ხომალდები რომ ჰქონოდათ, მაშინვე აიკრეფდნენ გუდა-ნაბადს და შინ გასწევდნენ.

სპენდიუსმა, ნარჰავასმა და მათომ პუნიკურ მიწა-წყალზე მცხოვრებ ყველა ტომს დაუგზავნეს შიკრიკები.

კართაგენი ყვლეფდა ამ ხალხებს, აურაცხელ ხარაჯას ჰგლეფდა; ბორკილებით, ნაჯახითა და ძელზე გასმით სჯიდნენ ხარკის დავგიანებისა და ბუზლუნისთვისაც კი. ის უნდა ეთესათ, რაც რესპუბლიკას ნებავდა, ის უნდა ეშოვათ, რასაც კართაგენი მოითხოვდა; კაციშვილს არ ჰქონდა უფლება იარაღის ტარებისა. მოჯანყე სოფლელებს მონებად ჰყიდდნენ; მმართველებს ისე უყურებდნენ, როგორც წნეხებს: ვინც უფრო მეტს გამოსწურავდა, მეტად აფასებდნენ. კართაგენის უშუალო სამფლობელოებს იქით მოკავშირენი ცხოვრობდნენ, ისინი მცირე ხარაჯას იხდიდნენ; მოკავშირე ტომებს მომთაბარენი ესაზღვრებოდნენ და ყოველთვის შეეძლოთ მათი მისისიანება. ამის გამო სამკალი მარადჟამს უხვი იყო, რემა – ურიცხვი, ყანა – სანაქეხო. მიწათმოქმედებასა და მონათმფლობელობაში ფრიად განსწავლულ კატონ უფროსს ოთხმოცდათორმეტი წლის შემდეგაც აცვიფრებდა ეს და მისი გამუდმებული მონოდება რომაელთადმი – კართაგენი მოვსრათო – გაუმაძღარი შურით იყო გამოწვეული მხოლოდ.

უკანასკნელი ომის განმავლობაში ხარაჯა გაორკეცდა, რის შედეგადაც ლიბიის თითქმის ყველა ქალაქი რეგულუსს მიემხრო. ამის გამო სასჯელად ათასი ტალანტი, ოცი ათასი ხარი, სამასი ტომარა ოქროს ქვიშა და ხორბლის დიდი მარაგი ნაჰგლიჯეს მათ, ხოლო თავკაცთა ნაწილი ჯვარს აცვეს, ნაწილიც ლომებს მიუგდეს საჯიჯგნად.

განსაკუთრებით ტუნისს სძაგდა კართაგენი! იგი უფრო ძველი ქალაქი იყო და კართაგენისთვის ვერ ეპატიებინა ეგზომი განდიდება; მისი კედლების პირისპირ გაშენებული კართაგენი წყლის პირას წუმპეში განრთხმულიყო და შხამიანი ქვემძრო-

მივით შეჰყურებდა მეტოქეს. დევნა, ჟლეტა და შავი ჭირი არ დაჰკლებია, მაგრამ ამანაც ვერ დაასუსტა იგი. არქაგატე აგათოკლეს ძეს მიემხრო ტუნიის და ტილიჭამიებმაც ამ ქალაქში იშოვეს საჭურველი.

შიკრიკები გამგზავრებულნიც არ იყვნენ, რომ პროვინციები საყოველთაო სიხარულმა მოიცვა. რესპუბლიკის მიერ დანიშნული მოხელეები და მამასახლისები დაუყოვნებლივ მოაშთვეს აბანოებში, ქვაბულებიდან გამოიტანეს გადამალული იარაღი, გუთნის რკინიდან ხმლები გამოჭედეს. კარის წინ ჩამომსხდარი ბაღლებიც ხელშუბებს ლესავდნენ, ქალებმა დაიძვრეს ყელსაბამები, ბეჭდები, საყურეები, ყველაფერი, რაც კი კართაგენის დამხობის საქმეს წაადგებოდა. ყველა ცდილობდა ხელი გამოეღო. გარეუბნებში შუბის შეკვრები დააზვინეს სიმინდის კონებივით. საკლავსა და ვერცხლს უგზავნიდნენ სპას. მათომ სპენდიუსის რჩევით ჯამაგირის გადაუხდელი წილი დაურიგა ჯარისკაცებს და ამის შემდეგ ბარბაროსთა სპასპეტად, შალიშიმად აღიარეს.

ამასთანავე მაშველი ჯარიც მოზღვავდა. ჯერ ადგილობრივი ხალხი მოაწყდა, შემდეგ – სოფლებიდან გამოქცეული მონები. ზანგთა ქარავენებიც დააკავეს, შეაიარაღეს. უტყუარი მოგების იმედით კართაგენისკენ მომავალი ვაჭრებიც ბარბაროსებს შეუერთდნენ. განუწყვეტლივ მოდიოდნენ რიცხვმრავალი რაზმები. აკროპოლის სიმაღლიდან მოჩანდა, როგორ იზრდებოდა ლაშქარი.

აკვედუკის ბაქანზე ლეგიონერები იდგნენ დარაჯად. ხელდახელ, ერთიმეორის მიყოლებით, თითბრის როფები დაეწყით და ასფალტი თუხთუხებდა შიგ. ქვევით, მინდორზე, უშქარი ბრბო ზიმზიმებდა. ბარბაროსები ყოყმანობდნენ, გულში კრთომა შეჰპარვოდათ, რასაც ყოველთვის განიცდიდნენ ისინი, როცა სიმაგრეთა კედლები გადაელობებოდათ წინ.

უტიკამ და ჰიპო-ზარიტმა უარი თქვა მათთან კავშირზე. ესენიც კართაგენივით ფინიკიურ კოლონიებს წარმოადგენდნენ, თვითმმართველობა ჰქონდათ და, რა ხელშეკრულებაც უნდა დაედო რესპუბლიკას, ამის დამადასტურებელი მუხლიც უნდა შეეტანა უტიკელთა და ჰიპოზარიტელთა დაჟინებით. ასე იყო თუ ისე, პატივსა სცემდნენ თავიანთ მფარველ უფროს მოძმეს და არ სჯეროდათ, რომ ეს ხროვა მის დამარცხებას შეძ-

ლებდა. პირიქით, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბარბაროსებს მალე ამოჟლეტდნენ. ამიტომ ამჯობინებდნენ მიუმხრობელობა დაეცვათ და მშვიდობიანად ეცხოვრათ.

მაგრამ ისეთი ადგილმდებარეობა ეჭირათ, რომ მათი კავშირი მეტად ეჭირებოდა როქის სპას. უტიკა ყურის სიღრმეში მდებარეობდა და აქედან ძალზე მოხერხებული იყო კართაგენში მაშველი ჯარის შეყვანა. უტიკაც რომ აეღოთ, ჰიპო-ზარიტი, რომელიც ექვსი საათის სავალზე იყო, შეცვლიდა მას და აქედან მომარაგებულ დედაქალაქს ველარ დაძლევდნენ.

სპენდიუსმა დაიჟინა – კართაგენს ახლავე შემოვარტყათო ალყა. ნარჰავასი წინააღმდეგი იყო. ჯერ საზღვრებისკენ უნდა დაძრულიყვნენ, ომში ნაცად მეომართა აზრიც ეს იყო, მათოც ამას ფიქრობდა და გადანყვიტეს სპენდიუსი უტიკისაკენ წასულიყო, მათო ჰიპო-ზარიტს ჰკვეთებოდა, მესამე ლაშქარი ტუნისს დაყრდნობოდა და კართაგენის ველი დაეჭირა, ეს ოტარიდმა იკისრა. რაც შეეხება ნარჰავასს, იგი თავის სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო, სპილოები წამოეყვანა და თავისი მხედრობით გზები დაერბია.

ქალებმა წიოკობა ატეხეს ამ გადანყვეტილების გამო, მათ კართაგენელ დიაცთა სამკაული ეწადათ გულით. ლიბიელებიც უარზე იყვნენ – კართაგენის წინააღმდეგ საბრძოლველად მოგვიწოდეთ და სად გვგზავნითო! თითქმის მხოლოდ როქის სპანნი გაუდგნენ სალაშქროდ გზას. მათო თავის თვისტომებთან ერთად იბერიელებს, ლუზიტანიელთ, მალრიბელთ და კუნძულელთ სარდლობდა. ბერძნულ ენაზე მოლაპარაკებმა სპენდიუსი მოითხოვეს მეთაურად, მის გონიერებას ენდობოდნენ.

დიდი იყო განცვიფრება, როდესაც ანაზდად ამოძრავებული ლაშქარი დაინახეს. ჯარი არიანის გორის ძირას დაენყო, უტიკის გზაზე ზღვის მხრიდან. ერთი ნაწილი ტუნისთან დარჩა, დანარჩენი თვალს მიეფარა და მერე ისევ გამოჩნდა ყურის მეორე მხარეს, ჭალაკის განაპირას, და მალე ტყეში მიიმალა.

დაახლოებით ოთხმოცი ათასი მეომარი ირიცხებოდა როქის სპაში. ტვიროსელთა ორივე ქალაქი როგორ გაუმკლავდებოდა, ისევ კართაგენს მიუბრუნდებოდნენ. საკმაოდ დიდმა ლაშქარმა დაიკავა ნახევარკუნძულის ყელი, ხმელეთს მოსწყვიტა ქალაქი და ალბათ მალე კართაგენს შიმშილით ამოძვრება სული, მას ხომ პროვინციების გარეშე არსებობა არ შეეძლო, მოქალაქენი რომაელების მსგავსად როდი იხდიდნენ გადასახადს. პოლიტი-

კური გენია აკლდა კართაგენს. მისი ერთადერთი საზრუნავი სარგებელი იყო და ამის გამო არ გააჩნდა მას ის სიფრთხილე, რომელსაც უფრო მაღალი მისწრაფებანი ბადებენ. ლიბიის ქვიშნარებში ღუზაჩაშვებულ ამ ხომალდს ოდენ შრომით გაჰქონდა თავი. ხალხები ტალღებივით შეჰღმუოდნენ ირგვლივ და მცირე ქარტეხილიც კი აზანზარებდა ამ უშველებელ მექანიზმს.

ხაზინა რომაელებთან ომში დაცარიელებოდათ, დანარჩენიც ბარბაროსებთან ვაჭრობისას გაფლანგეს და დაკარგეს. ახლა ჯარისკაცები იყო საჭირო და არცერთი მთავრობა არ ენდობოდათ! პტოლომემ ამასწინათ ორი ათასი ტალანტის სესხებაზე უთხრა უარი ქალაქს. თანაც ზაიმფის მოტაცებამ მხნეობა გამოაცალათ. სპენდიუსმა კარგად განჭვრიტა ეს წინასწარ.

ხალხი გრძნობდა, რომ ყველას სძულდა და მხოლოდ თავისი სიმდიდრისა და ღმერთების ანაბარა იყო. სამშობლოსადმი ერის სიყვარული ქვეყნის სახელმწიფო წესწყობილებას ეფუძნებოდა.

უპირველეს ყოვლისა, ძალაუფლება ყველას ეკუთვნოდა და არავინ იყო ისე ძლიერი, რომ მხოლოდ თვითონ ჩაეგდო ხელში. კერძო ვალი საზოგადო ვალად ითვლებოდა, ვაჭრობის უფლება მხოლოდ ქანაანელთ ჰქონდათ. ერთადერთი იყო სიმდიდრე, რის საფუძველზედაც იძლეოდნენ თანამდებობას. მეკობრეობისა თუ მევახშეობის, მონებისა და ღარიბ-ღატაკთა ყვლეფისა თუ სახნავ-სათესიდან მთელი სინოყიერის ამონურვის გზით ზოგიერთნი სიმდიდრის მოხვეჭას ახერხებდნენ; თუმც სიმდიდრე და ძალაუფლება ერთსა და იმავე ოჯახებს ეპყრათ, იტანდნენ ამ ოლიგარქიას, რადგან მათ რიცხვში მოხვედრის იმედი ჰქონდათ.

მოვაჭრეთა საზოგადოებები ადგენდნენ კანონებს და ნიშნავდნენ ფინანსთა ზედამხედველებს, რომელნიც სამსახურიდან გასვლის შემდეგ ირჩევდნენ ას წევრს უხუცესთა საბჭოსას. საბჭო, თავის მხრივ, ემორჩილებოდა დიდ შეკრებილობას, მდიდართა საზოგადო კრებას. ორ სუფეტს რაც შეეხება, – მეფობის ამ გადმონაშთს, – მათ კონსულებზე ნაკლები უფლებები ჰქონდათ და ერთსა და იმავე დღეს ირჩეოდნენ სხვადასხვა საგვარეულოდან, ცდილობდნენ ერთმანეთისთვის წაესისიანებინათ, გადაემტერებინათ და ამით დაესუსტებინათ ურთიერთი. სუფეტებს ომიანობის საკითხების განსჯის უფლება არა ჰქონ-

დათ, მაგრამ, თუ დამარცხდებოდნენ, უზენაესი საბჭო ძელზე გასვამდა მათ.

ამრიგად კართაგენის ძლიერება სისიტებისგან მომდინარეობდა, მალქის შუაგულში მდებარე დიდი ეზოდან, სადაც, როგორც ამბობდნენ, ფინიკიელ მეზღვაურთა პირველი ორჩხოველი მოადგა ნაპირს. მას შემდეგ ზღვას საკმაოდ შორს დაეხია. ეს იყო ძველებური, პალმის ზროებით ნაგები პატარა სენაკების წყება, რომლებიც ერთმანეთისგან განცალკევებით იდგნენ სხვადასხვა საზოგადოებათა თავშესაყარად. კუთხეებში ქვა ჰქონდათ დატანებული. მთელი დღე აქ ტრიალებდნენ მდიდრები თავიანთი სახელმწიფო საქმეების განსასჯელად; აქ აგვარებდნენ ყოველგვარ საქმეებს – დანყებული პილპილის მოპოვებიდან, რომის განადგურებით გათავებული. ყოველ მთვარეზე სამჯერ გაჰქონდათ ტახტები მაღალ ტერასაზე, რომელიც ეზოს გაღავანს ერტყმოდა და დაბლიდან ჩანდა, ისინი ინახით როგორ ისხდნენ სუფთა ჰაერზე, უკოთურნებოდ და ულაბადოდ, ალმასებით დახუნძლული თითებით როგორ იღებდნენ ხორცს და დიდი საყურეები როგორ ერხეოდათ ქოთნებზე თავდახრილთ. ისხდნენ ჯან-ლონით სავსენი, ჩაკურატებულნი, სანახევროდ გაშიშვლებულნი და მხიარულნი, იცინოდნენ და ტრაპეზობდნენ ლაჟვარდი ცის ფონზე ზღვაში მოთამაშე ზვიგენებივით.

მაგრამ ამჟამად შეშფოთებას ვერ ფარავდნენ, მთლად გაფითრებულიყვნენ. ბრბო ჭიშკართან იცდიდა და სასახლეებამდე აცილებდა მათ, რომ როგორმე ახალი ამბები შეეტყო. როგორც ჭირიანობისას, ყველა სახლი გამოკეტილი იყო. ქუჩები უცებ ივსებოდა ხალხით და უცებვე ცარიელდებოდა. აკროპოლზე ადიოდნენ, ნავსადგურისკენ გარბოდნენ; ყოველ ღამით ბჭობდა დიდი საბჭო. ბოლოს ქამონის მოედანზე უხმეს ხალხს და გადანყვიტეს, მოენვიათ ჰანონი, ჰეკატომპილის ბრძოლის მომგები.

იგი მუზმუზელა, მზაკვარი, აფრიკელთადმი დაუნდობელი, ნამდვილი კართაგენელი იყო. მისი სიმდიდრე ბარკას ოჯახის ზინათის ტოლი იყო. არავის ჰქონდა მისოდენი გამოცდილება მმართველობის საქმეში.

ჰანონმა ქუდზე კაცი გაინვია, გოდლებზე ფილაკვნები დაადგმევინა, უზომო და ურიცხვი ჯაჭვ-იარაღი მოითხოვა. ისიც კი ბრძანა, თოთხმეტი ხომალდი აეგოთ, თუმცა ეს სრულიადაც არ

იყო საჭირო. განკარგულება გასცა, ყველაფერი აღენუსხათ და გულმოდგინედ აღენერათ. ზარადხანაში, შუქურაზე, ტაძრების სალაროებში დაატარებინებდა თავს და ყველას თვალში ეჩხირებოდა მისი ფართო ტახტრევანი, რომელსაც საფეხურიდან საფეხურზე მიაწვდნენ მონები და ასე აჰქონდათ აკროპოლის კიბეზე. შინ, თავის სასახლეშიც, ვერ ისვენებდა და უძილობით შეპყრობილი ღამლამობით საომრად ემზადებოდა, საბრძოლო ბრძანებებს ღრიალებდა თავზარდამცემი ხმით.

შიშმა გაამამაცა ხალხი. მდიდარნი მამლის ყივილზე ეწყო-ბოდნენ მაჰალების გასწვრივ და კალთებაკვალოთულნი ვარჯიშობდნენ ჰოროლის კვრაში. მაგრამ მწრთენელი არა ჰყავდათ და სხვადასხვა ილეთების თაობაზე დაობდნენ, გულამოვარდნილნი საფლავის ქვებზე ისვენებდნენ, შემდეგ ისევ იწყებდნენ ვარჯიშს. ზოგიერთი დიეტასაც კი იცავდა. ზოგიც ფიქრობდა, ძალის მოსაკრებად ბევრი ჭამა მჭირდებოდა და იტენებოდა, სხვებს სიმსუქნე აწუხებდა და მარხულობდნენ – იქნებ როგორმე გავხდეთო.

უტიკამ რამდენჯერმე სთხოვა დახმარება კართაგენს. მაგრამ ჰანონს არ უნდოდა ლაშქრობა დაენყო, ვიდრე საომარ მანქანებში უკანასკნელი ქანჩიც თავის ადგილას არ იქნებოდა მორგებული. მერე სამი თვე იმ ასთორმეტი სპილოს აღჭურვას მოანდომა, რომლებიც გალავნის თავლებში ჰყავდათ. ამ სპილოებმა დაამარცხეს რეგულუსი. ხალხს უყვარდა ეს ცხოველები და ამ ძველ მეგობრებს, რაც შეიძლება მეტი ყურადღებით უნდა მოჰყრობოდნენ. ჰანონმა გადაადნობინა მათი თითბრის სამკერდულები, მოავარაყებინა ეშვები, გააფართოებინა გოდლები და საუკეთესო ბისონისგან გამოაჭრევინა მძიმეფორჩებიანი ყაჯრები. ბოლოს იმის გამო, რომ სპილოთა მარეკებს ინდოელებს ეძახდნენ (ალბათ პირველნი ინდოეთიდან იყვნენ მოსულნი), ბრძანა ყველანი ინდურ ყაიდაზე გამოენყოთ, ესე იგი, თეთრი ჩალმები მოეხვიათ თავზე და ბისონის მოკლე სანმერთულები ჩაეცმიათ, გარდიგარდმო ნაკეცებიანი, ბარძაყებზე მიმაგრებულ ნიჟარის ორკაპა ნაჭურჭებს რომ ჰგავდა.

ოტარიდის ლაშქარი ისევ ტუნისთან იდგა. ტბის ლამით ამოყვანილ და ეკლიანი ქაცვით დაჯერგილ კედელს უკან იმალებოდა. აქა-იქ ზანგებმა მაღალი როკები დაასვეს და ფრინველთა ნაკრტენით, ტურისა და გველის თავებით გაკეთებული საშინელი საფრთხობელები გამოკიდეს ადამიანის სახისა.

მტრის დასაფრთხობად შემზარავად დაელრინათ ხახა ურჩხულებს. ამის შემდეგ ბარბაროსებმა თავი უძლეველად მიიჩნიეს და გუნებოიერად ცეკვავდნენ, ჭიდაობდნენ, ერთობოდნენ დარწმუნებულნი, რომ კართაგენი მალე დაიქცეოდა. სხვა ვინმე ჰანონის ადგილას ადვილად შემუსრავდა ქალებითა და ნახირით ხელფეხშეკრულ ამ ბრბოს. ამას გარდა, საომარი წყობისაც არა გაეგებოდათ რა და ოტარიდს ხელი ჰქონდა ჩაქნეული.

გზას უთმობდნენ, ცისფერი თვალების ბრიალით რომ ჩაუვლიდა ხოლმე მათ. ტბის ნაპირას მივიდოდა და სელაპის ბენვის ლაბადას მოიხდიდა, შეიხსნიდა ბანარს, რომლითაც გრძელი წითური თმები ჰქონდა გაკრული, და წყლით ისველებდა თავს. ნანობდა, რომ თავის ორ გალთან ერთად არ გაიქცა რომაელებთან ერიქსის ტაძრიდან.

ზოგჯერ შუადღის მზეს ბრწყინვალეობა ეკარგებოდა უეცრად. ყურე და ზღვა გამდნარ ტყვიას ემსგავსებოდა მაშინ. რუხი მტვრის ღრუბელი აღიმართებოდა ჰაერში და დაგრანილი გადიგრივლებდა; პალმები იდრიკებოდნენ, ზეცა ქრებოდა, ისმოდა, ჩამოცვენილი ქვები როგორ ეცემოდა საქონელს გავაზე. და თავისი კარვის ჭუჭრუტანაზე ტუჩებმიჭყლეტილი გალი უილაჯოდ ხრიალებდა გულგასენილი. აგონდებოდა საძოვრების სურნელი შემოდგომის დილით, თოვლის ფიფქები, ნისლში გზააბნეული ჯიხვების ბლავილი და თვალებდახუჭული თითქოს ხედავდა ტყე-ტევრის იქით ჭყანტობზე წამომართულ ისლის ქოხებში დანთებული ცეცხლის ბღღვრივს.

სხვებსაც სტანჯავდა სამშობლოს სევდა, თუმცა ეგზომ შორს არ იყვნენ მისგან. დატყვევებულ კართაგენელებს შეეძლოთ ყურეს გადაღმა, ბირსას კალთებზე დაენახათ თავიანთ ეზოებში ჩარდახები. მაგრამ გუშაგები განუწყვეტილვ დაალაჯებდნენ ირგვლივ და ისინიც ერთი საერთო ჯაჭვით იყვნენ დაბმულნი. თითოეულ მათგანს რკინის ხაჯალური ეკეთა კისერზე და მთელი დღის განმავლობაში ბრბო მოჯარულიყო გარშემო მათ სამხერად. ქალები ბავშვებს უჩვენებდნენ ოდესღაც მშვენიერ მათს სამოსს, ახლა რომ ნაფლეთებად ქცეული ჩამოჰკიდებოდათ გაძვალტყავებულ სხეულზე.

ყოველთვის, როცა გისკონს შეხედავდა, სიშმაგე იპყრობდა ოტარიდს, მისგან მიყენებული შეურაცხყოფა აგონდებოდა; სულს გააფრთხოებინებდა, ნარჰავასისთვის ფიცი რომ არ ჰქონოდა მიცემული – არ მოგკლავო. თავის კარავში ბრუნდებოდა,

ომბალოსა და ქერის ნახადს სვამდა, სანამ სიმთვრალე გონს არ დაუბნელებდა და მერე შუადღის ალხზე ელვიძებოდა საშინლად მოწყურებულს.

ამასობაში მათო ჰიპო-ზარიტს ადგა გარს.

ქალაქს ზღვასთან შეერთებული ტბა იფარავდა. სამმაგი გალავანი ჰქონდა შემორტყმული, ხოლო ირგვლივ მდებარე გორაკებზე გოდლებით გამაგრებული გალავანი იყო გადაჭიმული. მათოს მანამდე არასდროს შეხვედრია ამდაგვარი ალყის სარდლობა, თანაც სალამბოზე ფიქრი ტანჯავდა და ქალწულის დაუფლებაზე ოცნება შურისძიების სიამოვნებად უჩნდა, სიამაყის დამაამებელ სიამოვნებად. მისი მშვენების ხელმეორედ ხილვის მძაფრი, გიჟური და გამუდმებული წადილით იწვოდა. იმასაც კი ფიქრობდა, დესპანობა ეკისრა, რომ კართაგენში მოხვედრილიყო და სალამბომდე მიეღწია როგორმე. ხშირ-ხშირად აკვრევინებდა საიერიშო ნალარას და არავის უცდიდა, ისე ავარდებოდა ჯებირზე, რომლის აგებასაც ცდილობდნენ ზღვაში. შიშველი ხელებით გლეჯდა ლოდებს, ამხოვდა იქაურობას, წალმა-უკუღმა იქნევდა ხმალს და კუნავდა ყველაფერს. არეულ-დარეული ბარბაროსები უკან მიჰყვებოდნენ. კიბეები ხრიგინით იმსხვრეოდა და ხალხი ცვიოდა წყალში, რომელიც წითელ ტალღებად ემხაპუნებოდა ზღუდეებს. ბოლოს ჩოჩქოლი მიწყნარდებოდა და ჯარი უკან იხევდა, რათა ისევ შეეცა.

მათო კარვის კართან ჩამოჯდებოდა, სისხლით დანინკულულ სახეს მოინმენდდა ხელით და კართაგენისკენ პირშექცეული გაჰყურებდა დასალიერს.

მის წინ ზეთისხილის ხეებს, პალმებს, ტვიასა და ჭადრებს შორის ორი ვრცელი გუბე გაშლილიყო და უერთდებოდა მესამეს, ტბას, რომელიც იმხელა იყო, რომ მთლიანად არ ჩანდა. გორაკებს იქით გორაკები მოჩანდა ისევ და თვალუწვდენელ ტბაში წამომართულიყო პირამიდის ფორმის სავსებით შავი კუნძული. მარცხნივ, ყურის ბოლოში, ქვიშის დიუნები გადაშლილიყო უეცრად გაქვავებული უზარმაზარი ნაცრისფერი ტალღებივით; ხოლო სოსან-ლაჟვარდის ფილაქანივით გლუვი ზღვა შეუმჩნევლად უერთდებოდა ცისკიდურს. ველების სიმწვანე ზოგან ყვითელი ზოლებით დაფარულიყო. ბროწეულები მარჯნისფრად ელვარებდნენ, ვაზის ლერწები ჩამოკონწიალებულიყო ნეკერჩხლის ტოტებზე; ნაკადულების რაკრაკი ისმოდა. ქოჩორა ტოროლები ზეცას ასკდებოდნენ და ჩამავალი

მზის უკანასკნელი სხივები აოქრობდნენ სიოს ქროლვაზე გა-
საგრილებლად ლელიანიდან გამოცოცხებულ კუთა ბაკნებს.

მათო ხმამალლა ოხრავდა. პირქვე დაემხოვოდა, ფრჩხილე-
ბით მინას ხოკავდა და ტიროდა. სანყალობლად, უბედურად და
მიტოვებულად გრძნობდა თავს; ვერასოდეს ვერ დაეუფლება
სალამბოს, მის ქალაქსაც ვერ დაიპყრობს!

ლამლამობით მარტოდმარტო თავის კარავში ათვალიერებ-
და ზაიმფს. რაში გამოადგა ეს საღვთო რიდე? ეჭვი იღვიძებდა
ბარბაროსის სულში. მერე პირიქით ეჩვენებოდა, რომ ქალღ-
მერთის სამოსელი რაღაცნაირად სალამბოს ზიარი იყო და მისი
სულის ნაწილი ზედ დაჰქროლავდა, მსუბუქ სუნთქვაზე უფრო
ნაზი. თითებით სრესდა, ყნოსავდა, სახეზე იფენდა და ქვითი-
ნით კოცნიდა მას; მხრებზე იხვევდა, რათა სალამბოსთან სიახ-
ლოვის ილუზია შეექმნა.

ზოგჯერ მოულოდნელად გავარდებოდა გარეთ, ვარსკვლა-
ვების სინათლეზე დააბიჯებდა ლაბადებში გახვეულ მძინარ
მხედართა შორის, ბანაკის ბჭესთან მერანს მოახტებოდა და
ორი საათის შემდეგ უტიკასთან გაჩნდებოდა, სპენდიუსის კა-
რავში.

ჯერ გარემოცვის თაობაზე დაუწყებდა საუბარს, მაგრამ
იმისთვის იყო მისული, რომ სალამბოს შესახებ ლაპარაკით
დაეცხრო სევდა. სპენდიუსი შეაგონებდა – ჭკუას მოუხმეო.

– თავიდან მოიშორე ეგ საზიზღარი სატანჯველი! წინათ
სხვათა ქვეშევრდომი იყავი, ახლა თავად ხარ სპათა წინამდგო-
მი. კართაგენი კიდევაც რომ ვერ ავიღოთ, პროვინციები ხომ
ჩვენს ხელთაა და მეფეები შევიქნებით!

მაგრამ ზაიმფი ხომ მათია და როგორ ვერ გაიმარჯვებენ?!
სპენდიუსის აზრით, მხოლოდ მოთმინება იყო საჭირო.

მათო ფიქრობდა, რომ ტანიტის რიდე მხოლოდ და მხოლოდ
ქანაანელთ მფარველობდა და ბარბაროსის გონება მახვილობა
უკარნახებდა: მაშასადამე, ზაიმფი მე არას მარგებს, მაგრამ
არც კართაგენელებს წაადგება, რაკი დაკარგესო.

მერე ერთმა აზრმა შეაშფოთა, ეშინოდა – ვაითუ, ლიბიელთა
ღმერთს, აფთუკნოსს, რომ ვეთაყვანები, მოლოქი გამინაწყენ-
დესო, და კრძალვით ჰკითხავდა სპენდიუსს: რომელ მათგანს
შევწირო ადამიანი მსხვერპლადო?

– ორივეს შესწირე! – უპასუხა ღიმილით სპენდიუსმა.

მათოს არ ესმოდა მონაყოფილის გულგრილობა ამ საკითხისადმი და ეჭვი აიღო, ამ ბერძენს ალბათ იდუმალი მფარველი ღვთაება ჰყავს და არ ამხელსო.

ბარბაროსთა ლაშქარში ყოველი რჯულისა და ეროვნების ხალხი იყო შეყრილი და ერთიმეორის ღმერთების გულის მონადირებას ცდილობდნენ, რადგან ემინოდათ მათი. ზოგიერთი მამაპაპურ სარწმუნოებას უცხოური ნირით ესავდა. კიდევაც რომ არ ჰქონოდათ მნათობთა რწმენა, მაინც სწირავდნენ მსხვერპლს ამა თუ იმ დამღუპველსა თუ მფარველ თანავარსკვლავედს. საშიშროების ჟამს შემთხვევით ნაპოვნი უცხო თილისმა წმინდა ნაწილად ესახებოდათ; ზოგჯერ მარტოოდენ სახელს ეთაყვანებოდნენ და იმეორებდნენ ისე, რომ არც კი ესმოდათ, რას ნიშნავდა იგი. მაგრამ ამდენი ხალხისა და სისხლისღვრის ნახვის, ამდენი ტაძრის გაძარცვის შემდეგ მრავალ მათგანს მხოლოდ ბედისწერა და სიკვდილი სწამდა და მძვინვარე ნადირის უშფოთველობით იძინებდა საღამოობით. სპენდიუსი მზად იყო მიეფურთხებინა ოლიმპიელი იუპიტერის გამოსახულებისთვის, მაგრამ მაინც სიბნელეში ლაპარაკს ეკრძაღვოდა და დიდილილობით პირველად მარჯვენა ფეხზე იცვამდა ხამლს.

მან უტიკის პირისპირ გრძელი ოთხკუთხა ტერასა აამართვინა ლაშქარს. მაგრამ ტერასის სიმაღლის მატებასთან ერთად ქალაქის სიმაგრეებიც მაღლდებოდა; ერთნი რომ დაანგრევდნენ, მეორენი თითქმის მაშინვე აშენებდნენ ხოლმე. სპენდიუსი თავის ხალხს უფრთხილდებოდა და გეგმებს აწყობდა, ცდილობდა მოეგონებინა საომარი ხრიკები, რომლებიც ქვეყნის ზურგზე ხეტიალისას სმენოდა.

სად იყო ამდენ ხანს ნარჰავასი? ყველა შფოთავდა ამის გამო.

ჰანონმა სამზადისი დაასრულა. ერთ უმთვარო ღამეს ტივებით გადაიყვანა თავისი ჯარისკაცები და სპილოები კართაგენის ყურის მეორე ნაპირას. მერე ცხელი წყაროების გორას შემოუარეს, რათა ოტარიდს არიდებოდნენ და ზოზინით შეუდგნენ ლაშქრობას, ასე რომ ნაცვლად გარიჟრაჟზე მოულოდნელი თავდასხმისა, როგორც სუფეტი ვარაუდობდა, მესამე დღესლა მიუახლოვდნენ ბარბაროსებს. მზე შუბის ტარზე იყო.

უტიკას აღმოსავლეთის მხრიდან ეკრა დაბლობი, რომელიც კართაგენის დიდ ყურემდე იყო გადაჭიმული. ყურის იქით ორ დაბალ გორაკს შუა ველობი იყო ერთი. ბარბაროსები უფრო

შორს, მარცხნისკენ დაბანაკებულიყვნენ, რათა ნავსადგური ჩაეკეტათ. მათ კარვებში ეძინათ. ისე დაქანცულიყვნენ, რომ იმ დღეს ბრძოლის თავი არ ჰქონდათ მოწინააღმდეგეებს და ისვენებდნენ, როდესაც გზის მოსახვევში ლაშქარი გამოჩნდა.

შურდულებით შეიარაღებული მებარგულნი მარცხენა და მარჯვენა ფრთებზე განლაგებულიყვნენ. ოქროსქერეჭოვანი აბჯრით შეჭურვილი წმინდა ლეგიონი წინა რიგს ქმნიდა. ლეგიონერები ფაფარშეკრეჭილ, ყურებდაჭრილ, მარტორქების მისამსგავსებლად შუბლზე ვერცხლის რქადადგმულ ცხენებზე ისხდნენ, რაზმელებს შორის პატარა ჩაფხუტებით თავდარქმული ჭაბუკები იფნის სათხედებს არხევდნენ ორივე ხელით; უკან მძიმედ შეიარაღებული ქვეითების გრძელი შუბები ირხეოდნენ. ამ ვაჭრუკანებს, რაც შეიძლებოდა, მეტი იარაღი აესხათ: ხელ-შუბებიც დაეჭირათ, ნაჯახიც, კომბალიც, ორ-ორი კალდამიც; ზოგი ზანგივით აბურძგნილიყო სანერტლებით და ხელები გაეჩაჩხა რქის ფირფიტებითა და რკინის ბალთებით დაჯაჯრულ თორწში ჩამჯდარს. ბოლოს ახოხოლებული, მაღალი საომარი მანქანებიც გამოჩნდა: კარობალისტები, „კანჯრები“, ფილაკვნები და „კირჩხიბები“ მოქანაობდნენ ურმებზე, რომლებშიც ჯორები და წყვილ-წყვილი უღელი ხარი ება. ჯარმა თანდათან იწყო გაშლა. აქოშინებული მეთაურები წინ და უკან დარბოდნენ, ბრძანებებს გადასცემდნენ და ერთიმეორისგან სათანადო მანძილის დაშორებით აწყობდნენ რიგებს. სარდლებად დანიშნულ უხუცესებს ძონისფერი მუზარადები ეხურათ და ზედ დამაგრებული გრძელზე გრძელი ფოჩები კოთურნების კოჭსაკრავებში ეხლართებოდათ; სინგურით მოთხუზნილი სახეები უელვარებდათ უზარმაზარი, ღმერთების გამოსახულებებით შემკული ჩაფხუტების ქვეშ. ფარებისათვის შემოევლოთ სპილოს ძვლის არშიები, ძვირფასი ქვებით მოთვალული. თითბრის კედლების გასწვრივ, გეგონებოდათ, მზეები იძვრიანო.

კართაგენელნი ისე ზანტად ეწყობოდნენ, რომ როქის მეომრები დაცივით უკიჟინებდნენ – ჩამოსხედით, დაიღლებოდი-თო, გასიებულ მუცლებს გამოგიფატრავთ, კანზე ვარაყს ჩამოგარეცხავთ და გამდნარ რკინას შეგასმევთო.

სპენდიუსის კარვის წინ დარჭობილ ლატანზე მწვანე ალამი გამოჩნდა. ეს ნიშანი იყო. კართაგენელთა ლაშქარში საპასუხოდ ბუკ-ნალარა, წინწილები, საყვირები, ვირის ძვლის ნესტ-

ვები და ბარბითები აახმიანეს. ბარბაროსები ბანაკის მესერს გადაევლნენ და ორივე ლაშქარი ურთიერთის პირისპირ დადგა სათხედის სასროლ მანძილზე.

ერთმა ბალეარელმა მეშურდულემ წინ ნადგა ბიჯი, შურდულის ღვედში თიხის სატყორცნი ჩადო, დაატრიალა და სპილოს ძვლის ფარი მიუმსხვრია რომელიღაც კართაგენელს. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეძგერნენ.

ბერძნები შუბის წვერებით ნესტოებს აგლეჯდნენ ცხენებს და მხედართ აყირავებდნენ. მონებს, რომელთაც ქვების სროლა ევალებოდათ, მეტისმეტად დიდი ქვები წამოეღოთ და შორს ვერ ტყორცნიდნენ, იქვე, მათ წინ ვარდებოდა ნასროლი. კართაგენელი ქვეითები გრძელ-გრძელ ჯვევარდნებს ატრიალებდნენ და მარჯვენა ფრთა გააშიშვლეს; ბარბაროსები შეიჭრნენ მათ რიგებში და მახვილით დასხიპეს თავები, თვალებში შესხმული სისხლით დაბრმავებულებმა გადაჟეგეს სულთმობრძავნი და სულგაფრთხობილთა გვამები; შუბების, ჩაჩქნების, აბჯრების, ხმლებისა და ერთმანეთში არეული სხეულების ზედახორა ტრიალებდა, მოქნილად იშლებოდა და იკუმშებოდა. კართაგენელთა კოჰორტები თვალდათვალ თხელდებოდნენ, სილაში ჩაფლული საომარი მანქანებიც ვერასგზით ვერ გამოათრიეს. ბოლოს სუფეტის ტახტრევანი, ბროლის შიბებით შემკული მისი განიერი ტახტრევანი, რომელიც მეომართა თავებზე ისე ირწეოდა, როგორც ორჩხომელი ტალღებზე, გაქრა უეცრად. ეს მის სიკვდილს ხომ არ მოასწავებდა? ბარბაროსები მარტონი დარჩნენ.

მტვერი ნელ-ნელა ჩადგა და მათ სიმღერა დაიწყეს, როდესაც თავად ჰანონი გამოჩნდა სპილოზე ამხედრებული, თავშიშველი იყო, უკან შემომჯდარი ზანგი ბისონის ქოლგით უჩრდილებდა. ცისფერი ქვების ფარლული ყვავილებით მოჩითულ შავ ტუნიკაზე უთამაშებდა. ალმასის რგოლები შემოეჭდო მსხვილ-მსხვილ მკლავებზე და პირდაღებული იქნევდა ბოლოში ლოტოსივით განზიდულ შუბს, რომელიც სარკესავით ციალებდა. მაშინვე მიწა შეინძრა და ბარბაროსებმა დაინახეს, რომ ერთ მწკრივად დანყობილი, მოოქროვილშეშებიანი, ცისფრად ყურებმოხატული, ბრინჯაოში ჩამსხდარი კართაგენული სპილოები მოქროდნენ ალისფერ ყაჯრებზე წამომართული ტყავის გოდლების რხევით. გოდლებში სამ-სამი მოისარი იჯდა და ერთი უზარმაზარი მშვილდი მოეჭიმათ.

ჯარისკაცებმა სასწრაფოდ წამოაღეს ხელი დაფანტულ იარაღს, როგორც მოუხდათ, ისე დაენწყენ. თავზარდამცემმა შიშმა გაუყინათ გული. არ იცოდნენ, რა ექნათ.

გოდლებიდან უკვე წამოვიდა სათხედების, ისრების, ალმოდებული ქეიბურებისა და გამდნარი ტყვიის წვიმა. ზოგი ცდილობდა კოშკურაზე აცოცებულიყო და ყაჯრის ფოჩებს ებლაუჭებოდა. მათ ხანჯლებით ასხებდნენ ხელებს და გამოშვერილ კალდიმებზე ეგებოდნენ გულალმა გადამხობილნი. მყიფე ჰოროლები ხელში ემსხვერუდათ. სპილოები ისე დაბორილებდნენ ფალანგებში, როგორც ტახები კატაბარდებში; ხორთუმებით თხრიდნენ მარგილებს, ბანაკის ერთი ბოლოდან მეორეში გადიოდნენ და კარვებს ამხოვდნენ მკერდით. ბარბაროსები გაიქცნენ, თავი შეაფარეს გორაკებს, რომლებიც იმ ველს შემორტყმოდა, საიდანაც კართაგენელნი მოვიდნენ.

გამარჯვებული ჰანონი უტიკის კარიბჭეს მიადგა, ბუკს ჩააბერვინა. გოდლის თავანზე, ქონგურებს შორის, ქალაქის სამი მსაჯული გამოჩნდა.

უტიკის მცხოვრებლებმა არ ინდომეს ეგზომ შეიარაღებული სტუმრების მიღება. ჰანონი გაცხარდა. მაშინ ისინი დასთანხმდნენ, მცირე ამაღის თანხლებით შემვებაზე.

ვინრო ქუჩაბანდებში სპილოები ვერ გაეტეოდნენ და იძულებულნი შეიქნენ გარეთ დაეტოვებინათ.

როგორც კი გალავანში შედგა ფეხი სუფეტმა, ქალაქის ხელისუფალნი მიეგებნენ მისასალმებლად. ჰანონმა ცხელი აბანო მოითხოვა და თავისი მზარეულები მოაყვანინა.

სამი საათის შემდეგ იგი ისევ ნებივრობდა დარიჩინის ზეთში, რომლითაც აბაზანა აევსოთ. იბანდა და თან სადილობდა გაშლილი ხარის ტყავზე. ფლამინგოს ენებს მიირთმევდა, თაფლით შეზავებულ ყაყაჩოს მარცვალს აყოლებდა ზედ. მის გვერდით უძრავად გაშეშებული, გრძელ ყვითელ სამოსში გამოწყობილი ბერძენი აქიმი ჟამიდან ჟამზე აცხელებინებდა აბანოს და აუზის საფეხურებზე ჩაცუცქული ორი ბიჭი თეძოებს უზელდა სუფეტს. მაგრამ საკუთარ სხეულზე ზრუნვა სახელმწიფო საქმეში როდი უშლიდა ხელს: იგი წერილს უკარნახებდა დიდი საბ-

ჭოს სახელზე და თანაც, რაკი ხელთ ეგდოთ ტყვეები, ცდილობდა უსაშინლესი სასჯელი მოეგონებინა.

– დაიცა! – უთხრა მან მონას, რომელიც ფეხზე მდგარი წერდა ხელისგულზე, – აქ მომიყვანონ ისინი! მინდა ვნახო!

მოთეთრო ნისლით გავსებული დარბაზის სიღრმიდან სამი ბარბაროსი გამოათრიეს: სამნიელი, სპარტელი და კაპადოკიელი. ჩირაღდნები წითელი ლაქებივით ჩანდნენ ორთქლის ბურუსში.

– განაგრძე! – თქვა ჰანონმა, – განიხარეთ, ბაალთ მთიებნო! კურთხეულ იყოს რესპუბლიკა! ბრძანება გაეცით, სამადლობელი ლოცვა აღავლინონ! – სუფეტმა ტყვეები შეამჩნია და გადაიხარხარა: – ოჰო! სიკელო მამაცებო! დღეს აღარ ღრიალებთ მაშინდებურად! ეს მე ვარ! მიცანით? სადღაა თქვენი საჭურველი? საშიშნი ხართ, ღმერთმანი! – და ვითომც ეშინიაო, მოიკუნტა, თითქოს დამალვა სურდა, – ცხენებს, ქალებს, მიწებს თხოულობდით, მსაჯულობასა და ქურუმობასაც მოინდომებდით ალბათ! აბა, რად არ უნდა გეთხოვათ? რაკი ინდომეთ, მოგცემთ შავ მიწას, ოღონდ ვერასდროს ველარ ამოხვალთ იქიდან! ახალთახალ სახრჩობელებზე დაგაქორწინებთ! ჯამაგირიო? გამდნარ ტყვიას ჩაგასხამთ ხახაში ქირის საზღაურად! საუკეთესო ადგილს მოგიზომავთ, ძალიან მაღლა, ღრუბელთა შორის, რათა არწივებს დაუახლოვდეთ!

თმაგაჩეჩილი და სამოსელშემოძარცული სამი ბარბაროსი უაზროდ შესცქეროდა, არ ესმოდათ, რას ამბობდა კართაგენელთა სარდალი. მუხლში დაჭრილნი ქამანდით შეეპყროთ და იატაკის ფილებამდე ჩამოშვებული მსხვილი ბორკილები დედოთ მაჯებზე. ჰანონი გააშმაგა მათმა სიმშვიდემ.

– დაიჩოქეთ, დაიჩოქეთ-მეთქი, ტურებო! ბაღლინჯოებო! ტურტლიანებო! ხმასაც კი არ იღებენ! კმარა! ენა ჩაიგდეთ! ცოცხლად გაატყავონ! არა! დაიცათ!

ჰიპოპოტამივით ხროტინებდა და თვალებს აბრიალებდა. სურნელოვანი ზეთი იღვრებოდა მისი სხეულით შეპირთავებული აუზიდან. აქერცლილი კანი ეზინთებოდა და ჩირაღდნების შუქზე ვარდისფრად უბზინავდა.

მერე კარნახი განაგრძო:

– ოთხი დღის განმავლობაში მეტისმეტად გაგვანამა მზემ. მაკარზე გადასვლისას ჯორები დაგველუპა. ხელსაყრელი

მდგომარეობისა და არაჩვეულებრივი სიმამაცის მიუხედავად...
ოჰ! დემონადეს! როგორ მტკივა! აგურები გაახურონ, ვიდრე
ნითლად არ გავარვარდებოდეს!”

ატყდა ასტამთა ჩხაკუნი და აგუგუნდა ღუმელი. გუნდრუ-
კი აიკვამლა საცეცხლურებში და ორმა შიშველმა, ოფლისაგან
ღრუბელივით სველმა მექისემ ხორბლის, გოგირდის, შავი ღვი-
ნის, ძაღლის რძის, ნარდის, ხის ფისისა და სურნელ-საკმევე-
ლისაგან შეზავებული საცხით დაუნყო ზელა. დაუცხრომელი
წყურეული ტანჯავდა სუფეტს, მაგრამ ყვითელსამოსიანმა
აქიმმა ნება არ დართო და გაუნოდა ოქროს სასმისი, რომელ-
შიაც ჭრელი გველის ნახარში ესხა და ოზშივარი ასდიოდა.

– შესვი! – უთხრა, – რათა მზისგან ნაშობი გველების ძალით
განიმსჭვალოს შენი ძვლის ტვინი. გული გაიმაგრე, ღმერთთა
არილო! ხომ იცი, რომ ეშმუნის ერთი ქურუმი განუწყვეტლივ
ადევნებს თვალს ძაღლის დასის ირგვლივ თავმოყრილ ულმო-
ბელ ვარსკვლავებს, რომელთაგანაც მომდინარეობს ეგ შენი
სენი. ის ვარსკვლავები მკრთალდებიან შენი კანის ფორეჯები-
ვით და სიკვდილი არ გინერია.

– ჰო! ჰო! სწორედ მაგრეა, – გაიმეორა სუფეტმა, – სიკვდი-
ლი არ მიწერია!

ჩალილავებული ტუჩებიდან გახრწნილი ცხედრის სუნზე
უფრო გულისამრევი მყრალი ამონასუნთქი ამოსდიოდა. თვა-
ლების ადგილას თითქოს ორი ნაკვერჩხალი ენთო. წარბები არ
გააჩნდა, ხორკლიანი ტყავი გადმოჰყეცოდა შუბლზე; ყურები
გასჩაჩხოდა და გასიებოდა, ნესტოების ირგვლივ შემორკალუ-
ლი ღრმა ნაოჭები მძვინვარე მხეცის იერს, უცნაურსა და სა-
ზარელ შესახედაობას ანიჭებდა; ხმა ჩახლეჩოდა და ლაპარა-
კის ნაცვლად რაღაცნაირად ლულლულვებდა, ღმუოდ. აქიმს
უთხრა:

– შესაძლოა, მართლაც მაგრე იყოს, დემონადეს. მართლაც,
დახე, რამდენმა მუწუკმა შეიკრა პირი. თავს კარგადა ვგრძნობ.
შეხედე, რა მადა მაქვს!

და იმდენად სიხარბით არა, რამდენადაც ნათქვამის დასამტ-
კიცებლად და თავის დასარწმუნებლად – უკეთა ვარო, პიტნით
გადაზელილ ყველს მისწვდა, ფხაგაცლილ თევზსაც წაეტა-
ნა, გოგრას, კვერცხით შეზავებულ ხამანწკას, ბოლოკს, ქამა
სოკოს და პწკალზე შემწვარ პატარა ჩიტებსაც შეექცა. თან
ტყვეებს შესცქეროდა და ტკბებოდა მათი ნამების წარმოდგე-

ნით. სიკა მოაგონდა და სხეულის საღმობისაგან გამოწვეული რისხვა ლანძღვა-გინებით გადმოაღვარა ტყვეებს.

– ოჰ! გამყიდველნო! ოჰ! არამზადებო! ბილწნო! შეჩვენებულნო! თქვენ მასხამდით ლაფს მე?! მე?! სუფეტს?! ჩვენი დამსახურება, ჩვენი სისხლის საზღაურო, ამბობდით! ოჰო! კარგი! თქვენი სისხლი იყოს! თქვენი სისხლი! – შემდეგ თავის თავს გაუბა საუბარი: – ყველას ამოგჟღეცხეთ! ერთსაც კი არ გავყიდი მონად! თუმცა აჯობებდა ჯერ კართაგენში წამეთრია! დამინახავდნენ... მაგრამ წამოვიღე კია საკმარი ბორკილები? დაწერე: გამომიგზავნეთ... რამდენი არიან ეს გასაწყვეტლები? ვინმე გააგზავნე, მუთუშბაღსა ჰკითხოვ! წა! არავითარი შებრალება! ყველას მაჯები დაასხიპონ და კალათებით მომიტანონ!

მაგრამ ველურმა ყიჟინამ, უცნაურმა, ერთსა და იმავე დროს ყრუმ და მკვეთრმა ყვირილმა მიაღწია დარბაზამდე, ჰანონის ხმა და ჭურჭლის წკრიალი ჩაახშო. ყიჟინა გაძლიერდა და უეცრად გაისმა სპილოების გაშმაგებული ხავილი, თითქოს ბრძოლა განახლებულიყოს. ქალაქში საშინელი ალიაქოთი ატყდა.

კართაგენელებს არც უფიქრიათ ბარბაროსებს დასდევნებოდნენ, გალაგნის გასწვრივ განლაგებულიყვნენ თავიანთი ალალითა და მსახურებითურთ სატრაპებივით განსაცხრომლად გამზადებულნი; მარგალიტის არშიებით მოქსელილ, ლამაზ კარვებში მოიკალათეს და მოილხინეს. ხოლო როქის სპის ბანაკისგან მილენ-მოლენილი და ჩაქარაბაკებული ნანგრევების გროვალა დარჩენილიყო. ბარბაროსთაგან პირველმა სპენდიუსმა მოიცა გული, ზარქსასი გაგზავნა მათოსთან, ტყეები შემოირბინა, თავის ხალხს მოუყარა თავი (დანაკარგი უმნიშვნელო იყო). უბრძოლველად დამარცხებით გაცოფებული ბარბაროსები ისევ დაენწყვნენ. ამ დროს ნავთობით სავსე კასრი იპოვეს, უეჭველად კართაგენელთა დანატოვარი. მაშინ სპენდიუსმა ღორების კოლტი მოარეკინა ახლომახლო მამულებიდან, კუპრით შეაგლეხინა, ნავთი გადაასხა, ცეცხლი წაუკიდა და უტიკისაკენ გარეკა.

ცეცხლით დამფრთხალმა სპილოებმა გაქცევა იკადრეს. აქეთ აღმართი იყო, შემხვდურები სათხედებს ესროდნენ. სპილოებმა პირი იბრუნეს და უკანვე გამოქანდნენ. კართაგენელთა წყებაში შეიჭრნენ. ეშვებით აყრევინებდნენ ნაწლავებს, ახრჩობდნენ, უზარმაზარი ფეხებით მიწას აჭყლეტდნენ ბედასლ მეომრებს. სპილოებს ბარბაროსთა ლაშქარი მოჰყვა. პუნიკურ

ბანაკს ხანდაკები არ ერტყა და პირველსავე იერიშზე გადათქერეს, გალავანს მიაყუყეს კართაგენელები, რადგან როქის სპის შიშით ბჭეები არ გახსნეს უტიკელებმა.

ინათა. დასავლეთის მხარეს მათოს ქვეითი ჯარი გამოჩნდა. ამავე დროს ცხენოსნებიც გამოძვრნენ საიდანაც, – ეს ნარჰავასი იყო თავისი ნუმიდეელებით. ღრანტეებსა და ძეძვის ბურქებზე ახტუნებდნენ ცხენებს და გაქცეულებს ისე დასდევდნენ, როგორც მწევრები კურდღლებს. ომის ბედის სწორედ ამ ცვალებადობამ შეანყვეტინა სუფეტს სიტყვები. მან მონებს დაუყვირა, აბაზანიდან ამოსვლაში შემეშველეთო.

სამი ტყვე ისევ მის წინ იდგა. ზანგმა, რომელიც ბრძოლის ველზე საჩრდილობლით ახლდა ჰანონს, რაღაც უჩურჩულა ყურში.

– მერე რაო? – მიუგო სუფეტმა და უკმეხად დასძინა: – ესენი ჩააძაღლეთ!

ეთიოპელმა გრძელი ხანჯალი ამოიძრო ქამრიდან და სამივეს თავები დააყრევინა. ერთი თავი ტრაპეზის ნამუსრევზე დაგორდა, აბაზანაში ჩავარდა და რამდენიმე ხანს ტივტივებდა პირდაღებული და თვალეზგაციებული. დილის სინათლე აღწევდა ვიწრო სარკმლებიდან. პირქვე ჩამხობილი გვამებიდან სისხლი ქაფქაფით ასხამდა შადრევანივით და ცისფერ ფხვნილმოყრილ მოზაიკის იატაკს ფარავდა. სუფეტმა ხელისგული დაისველა ამ თბილ ნუმეში და მუხლები დაიზილა: ახალი სისხლი ნამალი იყო.

სალამოს თავის ამაღასთან ერთად გაიქცა ქალაქიდან და მთებს მიაშურა, რათა თავის ჯარს შეერთებოდა.

ლაშქრის საცოდავ ნარჩენებსლა მოუყარა თავი.

ოთხი დღის შემდეგ გორზასთან იდგა ერთი ხეობის კბოდეზე, როდესაც დაბლა სპენდიუსის რაზმეულები გამოჩნდნენ. ოცი ლონიერი შუბოსანი რომ დაეხვედრებინათ ვიწრო ხეობაში მომავალი ლაშქრისთვის, სულ იოლად შეაჩერებდნენ. გაოგნებულმა კართაგენელებმა კი ხელის გაუნძრევლად გაატარეს. უკანა რაზმეულში ჰანონმა ნუმიდეელთა მთავარი იცნო. ნარჰავასმა თავი დაუქნია მისასალმებლად და რაღაც ანიშნა. სუფეტი ვერაფერს მიხვდა.

შიშის ძრწოლით შეპყრობილნი ბრუნდებოდნენ კართაგენში. მხოლოდ ღამლამობით ბედავდნენ სიარულს, დღისით ზეთისხილის ტყეებში იმალებოდნენ. ყოველ გადასასვლელზე რამ-

დენიშე კაცი უკვდებოდათ, ზოგჯერ დაღუპულადაც მიაჩნდათ თავი. ბოლოს ჰერმეუმის კონცხს მიაღწიეს და გადასაყვანად მათ ხომალდები მოაშველეს ქალაქიდან.

ჰანონი ისე დაქანცული და სასომიხდილი იყო, – განსაკუთრებით სპილოების დაკარგვა უკლავდა გულს, – რომ დემონადესს სანამლავი სთხოვა. წინდანინვე გრძნობდა თავს ჯვარზე გაკრულად.

კართაგენს ძალა არ ეყო მის წინააღმდეგ აღსაშფოთებლად. ოთხი ათას სამოცდათორმეტი სიკლი ვერცხლი და თხუთმეტი ათას ექვსას ოცდასამი სიკლი ოქრო დაკარგეს, თვრამეტი სპილო, დიდი საბჭოს თოთხმეტი წევრი, სამასი მდიდარი და რვა ათასი მოქალაქე დაეღუპათ. სამი თვის საკმარი ხორბალი, უამრავი ბარგი-ბარხანა და ყველა საომარი მანქანა დარჩათ ბრძოლის ველზე! ნარჰავასის განდგომა უეჭველი იყო. ორივე ქალაქის ალყა განაახლეს. ოტარიდის ლაშქარი ტუნისიდან რჭადესამდე გაიშალა. აკროპოლის მალეობიდან მოჩანდა ველმინდვრებზე ამდგარი, ცად აწვდენილი კვამლის სვეტები: ეს მდიდართა სასახლეებს სპობდა ხანძარი.

მხოლოდ ერთადერთ კაცს შეეძლო რესპუბლიკის ხსნა. ახლა ნანობდნენ, რომ თავის დროზე სათანადოდ არ დააფასეს და მშვიდობის პარტიამაც კი დაადგინა ზვარაკი შეეწირათ ჰამილკარის დაბრუნებისათვის.

ზაიმფის ხილვამ სულიან-ხორციანად ააფორიაქა სალამბო. ლამლამობით ქალღმერთის ფეხის ხმა ჩაესმოდა, ეღვიძებოდა შეძრწუნებულს და წიოდა. ყოველდღე სანოვაგეს აგზავნიდა ტაძრებში. ტანააქი წელებზე ფეხს იდგამდა მისი ნება-სურვილის აღსასრულებლად და შაჰაბარიმიც არ სცილდებოდა.

თავი მუშვიდი

ჰამილკარ ბარკა

მემთვარიემ, რომელიც ეშმუნის ტაძრის სახურავზე ტეხდა ღამეებს, რათა მნათობის მოძრაობა ბუკით ემცნო ქალაქისათვის, ერთ დილას ზღვის ზედაპირზე გრძელფრთებგაშლილი ფრინველის მსგავსი რამ საგანი შეამჩნია დასავლეთის მხარეს.

ეს სამწყება ხოფებიანი ხომალდი იყო. ქიმზე ცხენის გამოსახულება ჰქონდა. მზე ამოდიოდა. მემთვარიემ ხელით მოიჩრდილა, შემდეგ ნალარას მისწვდა და მთელ კართაგენზე დააყვირა თითბრის საყვირი.

სახლებიდან გარეთ გამოცვივდნენ. ერთიმეორის ნათქვამის დაჯერება არ უნდოდათ, კამათობდნენ. ჯებირი ხალხით გაიჭედა, ბოლოს ყველამ შეიცნო ჰამილკარის ტრირემა.

ამპარტავნულად მოცურავდა სწორანძიანი ხომალდი, იალქანგაბერილი მოაპობდა პეროვან ტალღებს. უზარმაზარი ხოფები რიტმულად ეშვებოდნენ წყალში. დროდადრო გემის ქიმი, გუთნის სახნისს რომ ჰგავდა, ჩნდებოდა ტალღათა ზემოთ და წინამხრის დეზივით მოგრეხილი ჭვინტის ქვეშ სპილოსძვლისთავიანი ყალყზე შემდგარი ცხენი ტრამალებზე გაჭენებულს ემსგავსებოდა.

მაღალი კონცხის სიახლოვეს ქარი არ უბერავდა, იალქანი დაეშვა და გამოჩნდა მესაჭის გვერდით მდგარი თავშიშველი კაცი. იგი იყო, სუფეტი ჰამილკარი! რკინის ელვარე ბეგთარი ეცვა, მხრებზე დამაგრებული წითელი მოსასხამი მკლავებს არ უფარავდა, ორი გრძელი მარგალიტი ეკიდა ყურებზე და ხშირი შავი წვერი მკერდზე ეფინა.

გალერა უკვე სანაპირო ტინებს შორის მოქანაობდა და ჯეზირს მოჰყვებოდა. ხალხი ყვირილით მოსდევდა ფეხდაფეხ.

– სალამი შენდა! კურთხეულიმც იყავ, ქამონის თვალო! ოჰ! გადაგვარჩინე! სულ მდიდრების ბრალია! შენი მოკვლა უნდათ! გაფრთხილდი, ბარკა!

იგი ხმას არ იღებდა, თითქოს ოკეანეთა და ბრძოლათა ზათქს გაეყრუებინა. მაგრამ, როცა აკროპოლის კიბეს გაუსწორდა გემი, ჰამილკარმა თავი ასწია და გულხელდაკრეფილმა გადახედა ეშმუნის ტაძარს. შემდეგ უფრო მაღლა უზარმაზარ მოკრიალებულ ზეცას მიაწვდინა თვალი. მჭახე ხმით რალაც უბრძანა მეზღვაურებს. ტრირემა შეტორტმანდა, ჯებირის ცხვირზე ქარტეხილთა დასაშინებლად აღმართულ კერპს გაეხახუნა და ტურტლიან, ნაფოტებითა და ხილის ნაფრცქვენებით გაჭუჭყიანებულ სავაჭრო ნავსაყუდელში შეცურდა, შეიჭრა ხიმინჯებზე ბაგირებით მიბმულ, ხომალდთა შორის, რომელთაც წინამხარზე ნიანგის ყბები ჰქონდათ, შეიჭრა და მისნი-მოსწია ისინი. ხალხი მოცვივდა, ზოგი ცურვით წამოვიდა. ტრირემამ ყურე გადაჭრა და ლურსმნებჩასობილ ბჭეს მიადგა. ბჭე აიწია და ხომალდი თვალს მიეფარა ღრმა კამარაში. სამხედრო ნავსაყუდელი ქალაქისგან სავსებით გამოყოფილი იყო. როცა ელჩები ჩამოდიოდნენ, ორ კედელს შუა გაატარებდნენ ხოლმე მათ, დერეფანში, რომელიც მარცხნივ, ქამონის ტაძართან გამოდიოდა. წყლის ამ უზარმაზარ, თასივით მრგვალ მოედანს სანაპირო ერტყა და გემთა საყუდრები იყო აშენებული. ზედ ყოველი საყუდრის წინ ორ-ორი სვეტი იყო აღმართული და ბულაურებად ამონის რქები ჰქონდათ. ამნაირად, სტოა მთელი აუზის ირგვლივ გადაჭიმულიყო. შუა ყურეში, პატარა კუნძულზე, ზღვათა სუფეტის სახლი წამომართულიყო.

წყალი ისე გამჭვირვალე იყო, რომ თეთრი კენჭებით მოფენილი ფსკერი მოჩანდა, ქუჩების ხმაური არ აღწევდა აქამდე. ჰამილკარი გვერდით ჩავლისას ცნობდა ტრირემებს, რომლებსთვისაც ესარდლა.

ოციოდელა დარჩენილიყო ასეთი, საყუდრებში მშრალ მიწაზე გამოფენილიყვნენ ან არა და ხერხემალზე იდგნენ პირდაპირ, ძალზე მაღალი კიჩოებითა და გამობერილი წინამხრებით, ოქროთი და იდუმალი ნიშნებით შემკულნი. ქიმერებს ფრთები ჩამომსხვრეოდათ, პატეკ ღმერთებს – მხარ-მკლავები, კუროებს – ვერცხლის რქები. იდგნენ გამოხუნებულნი, უძრავნი, ჩამობრანძულნი, მაგრამ წარსულისა და მოგზაურობათა სურნელით აღსავსენი, თითქოს ხეიბარ მეომართა მსგავსად თავიანთ სარდალს ხვდებოდნენ ისევ, თითქოს ეუბნებოდნენ ჰამილკარს: „ეს ჩვენა ვართ, ჩვენ, და შენსავით ჩვენც მარცხი მოგვსვლია!“

ზღვათა სუფეტის გარდა არავის ჰქონდა უფლება საამირბარო სახლში შესვლისა. სანამ მისი სიკვდილის უტყუარი საბუთი არ მოუვიდოდათ, ცოცხლადა თვლიდნენ. უხუცესები კიდევე ერთ მეუფროსეს იცილებდნენ თავიდან ამით და არც ჰამილკარის მიმართ გადაუხვევიათ ადათისთვის.

სუფეტი უკაცრიელ სახლში შევიდა. ყოველ ნაბიჯზე პოულობდა წინანდელ ადგილას თორნ-აბჯარს, ავეჯს და ნაცნობ საგნებს. აოცებდა ეს. დერეფანში მუჯამარზე აქამდე შემორჩენილიყო გამგზავრებისას მელქარტის სავედრებლად დაგზნებული ნელსულნელების ფერფლი. ასე როდი წარმოედგინა შინ დაბრუნება! ყველაფერი, რაც მოიმოქმედა და ნახა, გადაეშალა გონების თვალწინ: იერიშები, ხანძრები, ლეგიონები, ქარტეხილები, დრეპანუმი, სირაკუზი, ლილიბე, ეტნას მთა, ერიქსის ზეგანი, ბრძოლაში გატარებული ხუთი წელი, – იმ დამღუპველ დღემდე, როცა იარაღი დაყარეს და დაკარგეს სიცილია. შემდეგ მოიგონა ლიმნის ჭალაკები, მწყემსები, ნაცრისფერ გორაკებზე შეფენილ თხეების არვეებს რომ მწყსიდნენ, და გული აუშკერდა იმ მეორე კართაგენის წარმოსახვისას, რომლის იქ აგებაზე ოცნებობდა. ეს ზრახვანი და მოგონებანი უტრიალებდა ჯერაც ხომალდის ტორტმანით გაბრუნებულ თავში. სევდა მოერია, უეცარმა სისუსტემ შეიპყრო და ღმერთთან სიახლოვე მოუნდა.

მაშინ სახლის უმაღლეს ტერასაზე ავიდა, მკლავზე ჩამოკიდებული ოქროს ნიჟარიდან ლურსმნებგარჭობილი ჩქიფი ამოიღო და პატარა მრგვალი ოთახის კარი გააღო.

კედელში ჩასმულ მინასავით გამჭვირვალე პატარა შავი დისკოებიდან მკრთალი სინათლე ეფინებოდა სენაკს. ამ თანაზომიერი დისკოების მწკრივთა შორის ღრუები იყო ამოღრუტუნული კოლუმბარიუმის ურნების მსგავსად. ყოველ ღრუში მრგვალი რუხი ქვა იდო, სიმძიმე შეხედვითაც ეტყობოდა. მხოლოდ მაღალი სულის ადამიანები ეთაყვანებოდნენ მთვარიდან ჩამოცვენილ ამ ქვებს. ისინი აღნიშნავდნენ ზეცასა და ცეცხლს, ფერით შეესატყვისებოდნენ მრუმე ღამეს, ხოლო სიმკვრივით – მიწიერ არსთა კავშირს. შეხუთული ჰაერი იდგა ამ იდუმალ სამყოფელში. კარის ჭუჭრუტანებიდან ქარის შემოტანილი ზღვის სილა ნიშებში შეწყობილ ქვებს თეთრად წაჰფენოდა. ჰამილკარმა სათითაოდ გადათვალა ქვები, შემდეგ სახე ზაფრანისფერ მო-

სასხამში ჩამალა, მუხლთ მოიყარა და დაბლა განერთხა ხელებ-
გაშხვართული.

დღის შუქი სცემდა გარედან კედელში ჩასმულ შავ ფურც-
ლებს. მცენარეულობა, ბორცვები, ცხოველთა ბუნდოვანი აჩრ-
დილები და კორიანტელი იხატებოდა მათს გამჭვირვალე სის-
ქეში. ოთახში ნათელი იღვრებოდა, შემადრწუნებელი და თან
სიმშვიდის მომგვრელი, როგორიც უნდა ყოფილიყო შუქი სწო-
რედ მზის მიღმა მხარეს, მომავლის არსებათა მრუმე სივრცე-
ში. ჰამილკარი ცდილობდა გონებიდან განეგდო ყველა სახე და
ყველა ნიშანი, ყველა სახელი ღვთაებებისა, რათა უკეთ ჩასწვ-
დომოდა მარად უცვლელსა და უძრავ სულს, მოვლენებში რომ
იმალება. პლანეტების სიცოცხლით იმსჭვალებოდა, სიკვდილი-
სა და ყოველგვარი შემთხვევითობისადმი გონივრულ შინაგან
ულრმეს ზიზღს გრძნობდა ამწუთას. როდესაც წამოდგა, სიბ-
რალულისა და შიშისგან შეულახველი მტკიცე სიმამაცით სავ-
სე ჰქონდა გული. სული შეეხუთა და ავიდა კოშკზე, რომელიც
კართაგენს გადაჰყურებდა.

ქალაქი მრუდე ხაზად ეშვებოდა ქვევით თავისი გუმბათე-
ბით, ტაძრებით, ოქროს სახურავებით, სასახლეებით, პალმის
ქალებით, აქა-იქ დალაგებული მინის ბირთვებით, რომლებშიც
სინათლე ჩქეფდა და სიმაგრეები უზარმაზარ არშიასავით შე-
მორტყმოდა მისკენ გადმოხრილ ამ სიუხვის თასს. დაბლა მო-
ჩანდა ნავსადგურები, მოედნები, შიდაეზონი, ქუჩათა ქარგა და
ამ სიშორიდან ქვაფენილთან გასწორებული ნამცეცა ადამიანე-
ბი. აჰ! ჰანონს რომ არ დაეგვიანებინა იმ დილით ეგატის კუნ-
ძულებთან! მან თვალები მიაშტერა დასალიერს და რომისკენ
გაიშვირა ათრთოლებული ხელები.

აკროპოლის საფეხურები ხალხით იყო სავსე. ქამონის მო-
ედანზეც ჩოჩქოლებდნენ, რათა სუფეტი დაენახათ გამოსვლი-
სას. ტერასებს თანდათან ავსებდა ბრბო. ზოგიერთმა იცნო და
შორიდან უძღვნა სალამი. ჰამილკარი შიგნით შებრუნდა, რათა
მოქალაქეთა მოუთმენლობა გაეცხოველებინა.

დაბლა, დარბაზში თავი მოეყარათ ყველაზე გავლენიანი
მის მომხრეთა შორის. აქ იყვნენ ისტათენი, სუბელდია, ჰიქ-
ტამონი, იეუბა და სხვანი. მათ უამბეს, რაც მოხდა დაზავების
შემდეგ: უხუცესთა სიძუნწე, როქის სპის წასვლა, მობრუნება,
მათი მოთხოვნილებანი, გისკონის დატყვევება. ზაიმფის მოტა-

ცეზარე შეატყობინეს, მოუთხრეს, როგორ მიეშველნენ უტიკას და მერე როგორ მიატოვეს იგი; მაგრამ ვერავინ გაბედა იმის თქმა, რაც თავად მას ეხებოდა. ბოლოს დაიშალნენ, რათა ისევ შეხვედროდნენ ერთმანეთს ღამით, უხუცესთა საბჭოს სხდომაზე, მოლოქის ტაძარში.

ისინი კარებში გადიოდნენ, როცა გარეთ, კარებთან ერთი ჩოჩქოლი ატყდა. მიუხედავად მსახურთა წინააღმდეგობისა, ვილაც ლამობდა შემოსვლას. ალიაქოთი გაორკეცდა და ჰამილკარმა ბრძანა, შემოეყვანათ უცნობი.

ბებერი, დაჩაჩანაკებულ-დანაოჭებული, აცახცახებული ზანგის დიაცი შემოჩერჩეტდა. კოჭებამდე ჩამოშვებულ ფართო ლურჯ მოსასხამში იყო გამოხვეული. იგი სუფეგისკენ წამოვიდა და რამდენიმე ხანს თვალი თვალს გაყრილნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ანაზდად ჰამილკარი შეთრთოლდა, ხელის გაქნევით დაითხოვა მონები და შემოსულს ანიშნა ფრთხილად გაჰყოლოდა, მკლავში ჩაავლო ხელი და შორეულ ოთახში შეათრია.

ზანგის ქალი იატაკზე დაემხო და ფეხები დაუკოცნა. ჰამილკარმა უხეშად წამოაყენა.

– სად დატოვე, იდიბალ?

– იქ, პატრონო, – მიუგო მან და მოსასხამები შემოიხსნა, სახელოთი სახე მოინმინდა. შავი ფერი, ბებრული ცახცახი, მოკაკული წელი უეცრად გაქრა. ეს ჭარმაგი მოხუცებული იყო, ჯანლონიერი. მისი კანი სილას, ქარსა და ზღვას დაეთრიმლა თითქოს. ფრინველის ბიბილოსავით ერთი ბლუჯა თმა შეერჩინა კეფაზე. დამცინავი მზერით დახედა ძირს დაყრილ გადასაცმელს.

– ეგ კარგი გიქნია, იდიბალ! კარგია! – შემდეგ მახვილი მზერა მიაშტერა, – ხომ არავის აუღია ეჭვი?

მოხუცებულმა ქაბირები დაიფიცა, – საიდუმლო არავისთვის გამინდვიაო. არ მოვცილებივართ ჩვენს ჯარგვალს, ჰადრუმეტიდან სამი დღის სავალზე რომ დგას, კუთი ავსებულ სანაპიროზე, სადაც დიუნები პალმებითაა დაფარული.

– შენი ბრძანებისდა მიხედვით, პატრონო, სათხედის ტყორცნას და ცხენოსნობას ვასწავლი!

– ხომ ღონიერია?

– დიახ, პატრონო, და თანაც გულადია! არც უნასისა ეშინია, არც ქუხილის, არც მოჩვენების. ფეხშიშველა დარბის მწყემსივით უფსკრულთა კიდეებზე...

– მიაბზე! მიაბზე!

– მძვინვარე მხეცების შესაპყრობად ხაფანგებს იგონებს. წინა თვეში, თუ დამიჯერებ, არწივი დაიჭირა და მოათრევდა. ფრინველისა და ბავშვის სისხლი მსხვილ-მსხვილ წვეთებად ჩქეფდა ჰაერში სიოთი გატაცებული ვარდის ფურცლებივით. გაშმაგებული არწივი გამწარებით უხათქუნებდა ფრთებს; ბავშვი მკერდში იხუტებდა და ფრინველს რომ სული ხდებოდა, ყმანვილი სიცილს უმატებდა დაჯახებული ხმლების წკრიალის ხმაზე.

ეს სიდიადეს წინასწარმეტყველებდა და აღტაცებულმა ჰამილკარმა სიხარულით დახარა თავი.

– მაგრამ ერთი ხანია, რალაცნაირად შფოთავს. შორით გაჰყურებს ზღვაზე გამოჩენილ აფრებს, მოიწყინა, საჭმელს არ ეკარება, ღმერთთა შესახებ მეკითხება და კართაგენის ნახვა უნდა.

– არა! არა! ჯერ არა! – წამოიძახა სუფეტმა.

ბებერმა მონამ, ეტყობოდა იცოდა, რა განსაცდელი აშინებდა ჰამილკარს და განაგრძო:

– როგორ დავაკავო? – იძულებული ვარ, დაპირებებით ვკვებო და ახლაც კართაგენში მხოლოდ იმისთვის ჩამოვედი, რომ ვერცხლისტარიანი ხანჯალი ვუყიდო, მარგალიტით მოოჭვილი. – შემდეგ უამბო, რომ ტერასაზე მოუკრავს თვალი სუფეტისთვის და დარაჯებთან სალამბოს მხეველად გაუსაღებია თავი, რათა მასთან შეეღწია.

ჰამილკარი ფიქრებში ჩაიკარგა. ბოლოს უთხრა:

– ხვალ მეგარაში მოდი მზის ჩასვლისას, ძონის სარენებს უკან და სამჯერ დაიკივლე ტურასავით. თუ არ მოვედი, ყოველი თვის პირველ რიცხვებში ჩამოხვალ კართაგენში. არ დაგავინწყდეს! გიყვარდეს იგი! ახლა ნებას გრთავ, ჰამილკარზე ელაპარაკო.

მონამ თავისი სამოსელი გადაიცვა ისევ. სახლიდან და ნავსაყუდლიდან ერთად გავიდნენ.

ჰამილკარმა მარტო, უამალოდ განაგრძო გზა, რადგან უხუცესთა კრებები არაჩვეულებრივ შემთხვევებში საიდუმლოდ იმართებოდა და მალულად უნდა მოეყარათ თავი.

ჯერ აკროპოლის აღმოსავლეთ კიდეს გაუყვა ფეხით, შემდეგ მწვანილულის ბაზარი გადაჭრა, კინიზდოს ქარვასლები და მენელსაცხებლეთა უბანი გაიარა. მეჩხერი კანდელები ქრებოდა,

ფართო ქუჩებში სიწყნარემ დაისადგურა, სიბნელეში მკრთალი ლანდები აედევნენ. ლანდების რიცხვი მატულობდა და ჰამილკარივით მაპალების მხარეს მიეშურებოდნენ ისინი.

მოლოქის ტაძარი ციცაბო დაღმართის კიდეზე იყო აშენებული, ავბედით ადგილას. ქვემოთ მხოლოდ ცაღ ატყორცნილი კედლები მოჩანდა, საზარელი აკლდამის ძგიდეთა მსგავსი. ბნელი ღამე იყო, ნისლი დასწოლოდა ზღვის ტატნობს. ზღვა ქვითინითა და ხრიალით აწყდებოდა სანაპირო ქარაფებს. ლანდები თანდათან იპარებოდნენ, თითქოს კედლებში ძვრებოდნენ სადღაც.

მაგრამ კარიბჭეს გადაალაჯებდნენ თუ არა, ვრცელსა და ოთხკუთხა, კამარებით გარშემორტყმულ ეზოში ამოყოფდნენ თავს. შუაში რვაკუთხედი ნაგებობა იყო აღმართული. გუმბათები შემოსჯარვოდნენ მეორე სართულს, რომელსაც მრგვალი კოშკი ედგა ზემოდან. კოშკს კონუსისდარი, ძგიდეებშემორკალული, ბირთვით დაბოლოებული სახურავი ჰქონდა.

ნატიფად ნაჭედ ლილვებში ცეცხლი ენთო. ლილვები ლატნებზე იყო დამაგრებული და მსახურებს ეჭირათ. ქარის ქროლვაზე ალი ირხეოდა და წითლად აბრწყვიალებდა ოქროს სავარცხლებს, კეფაზე რომ ჰქონდათ დანსულ თმაში ჩარჭობილი. მსახურები დარბოდნენ უხუცესთა მისაგებებლად.

ქვის ფილებზე ალაგ-ალაგ სფინქსებივით ჩაცუცქულიყვნენ უშველებელი ლომები, ყოვლისშთანთქმელი მზის ცოცხალი სიმბოლოები; სანახევროდ დაეხუჭათ ქუთუთოები და თვლემდნენ. ფეხის ხმასა და ლაპარაკზე გამოელვიძათ და ზანტად იზმორებოდნენ, დგებოდნენ, უხუცესებთან მიდიოდნენ, – ტანსაცმლით ცნობდნენ მათ, – ფერდებზე ეხახუნებოდნენ ქედმოდრეკილნი და ქშენით ამთქნარებდნენ. ჩირაღდნების შუქზე მოჩანდა მათი ნასუნთქის ორთქლი. მოძრაობა გაცხოველდა, კარები ჩარაზეს, ქურუმები სადღაც მიიკარგნენ და უხუცესებიც მიიმალნენ ტაძრის გარშემო ფართო დერეფნად შემორტყმულ სტოაში.

სვეტები მრგვალ მწკრივებად იყო განლაგებული სატურნის რკალების მიმსგავსებით, – გარე მწკრივი ნელინადს აღნიშნავდა, შემდეგი – თვეებს, შიდა – დღეებს გამოსახავდა და საკურთხეველის კედელს ებჯინებოდა.

აქ მიაყუდეს უხუცესებმა ზღვის მარტორქის რქებისგან გამოთლილი არგნები, რადგან, გარდუვალი კანონის თანახმად,

სიკვდილით ისჯებოდა ყველა, ვინც ბჭობაზე რაიმე იარაღით გამოცხადდებოდა. ბევრ მათგანს ტანსაცმლის კალთა ჩახეული და ქვემოთ ძონის ყაითნით დამაგრებული ჰქონდა, რათა ერვენებინათ, რომ მახლობლის გარდაცვალების გამოტირებისას სამოსელი არ დაინანეს, თანაც ეს გლოვის ნიშანი ნახევის გაფართოებასაც უშლიდა ხელს. ზოგს წვერი იისფერი ტყავის პატარა პარკუჭში ჩაეკეცა და ყურებზე მიემაგრებინა ზონრებით. შეხვედრისას ერთმანეთს ეხვეოდნენ მისალმების ნიშნად და მკერდს მკერდზე ანებებდნენ. ჰამილკარს შემოეხვივნენ და ულოცავდნენ, იტყოდით, ძმები არიანო, დიდი ხნის გაყრილი ძმისა მპოვნელნი.

მეტწილად ჯმუხი შესახედაობისა იყვნენ ისინი, ცხვირკეხიანნი ასურულ ქანდაკთა დარად. ზოგიერთს მაინც წამოზურცულ ღანვისთავებსა, ტანის სიმაღლესა და წვრილ კანჭებზე ეტყობოდა, რომ აფრიკული სისხლი ერია, მომთაბარე ნინაპრების ნაშიერი იყო. ვინც გამუდმებით უჯდა ცხრაკლიტულში სალაროს, ფერმკრთალი იყო სავსებით; სხვებს უდაბნოს სიმკაცრე დაჰფენოდათ სახეზე და უცხო თვლები უელავდათ ცხრამთასიქითური მზით გარუჯულ თითებსა და მკლავებზე. ზღვათამავალნი ტორტმანა სიარულით გამოირჩეოდნენ, ხოლო მინათმოქმედთ საწნახლების, ხმელი თივისა და ჯორების ოფლის სუნი ასდიოდათ. ეს ბებერი მეკობრეები ახლა დაქირავებულთ ამუშავებინებდნენ მინდვრებს, ვერცხლის მხვეჭელნი ხომალდებს აგზავნიდნენ შორეულ ქვეყნებში, მემამულენი ხელოსნობაში ხელგანაფულ მონებს ინახავდნენ. ყველა ღრმად იყო განსწავლული რჯულის საკითხებში. საომარ ხრიკებში განაფულნი, დაუნდობელნი და უზომოდ მდიდარნი იყვნენ, მრავალი საზრუნავით დაქანცულთა იერი ედოთ, უნდოდ იყურებოდნენ ცეცხლოვანი თვალებით და მოგზაურობასა და ტყუილს, აღებ-მიცემასა და უფროსობას დაჩვეულთ ცბიერი და მკაცრი გამომეტყველება აღბეჭდოდათ სახეზე, ფარული და წრესგადასული უკმეხოზა დამჩნეოდათ. თავიანთი ღვთაება კიდევ უფრო უზნელებდათ სულს.

ჯერ კვერცხის მოყვანილობის თალებიანი დარბაზი გაიარეს. შვიდი ცთომილის შესატყვისი შვიდი კარი სხვადასხვა ფერის შვიდ კვადრატად აჩნდა მის კედლებს. ერთი გრძელი პალატიც განვლეს და მეორე, მსგავსსავე დარბაზში შევიდნენ.

ამოჭდეული ყვავილებით დაფარული ლამპარი ციმციმებდა სიღრმეში. რვავე ოქროს შტოზე ალმასის ჯამებში ბისონის პატრუქები ენთო. კუთხეებში თითბრის რქებით შემკული შანდალი უზარმაზარ საკურთხეველზე ამავალი კიბის უმაღლეს საფეხურზე იდგა. ორი გვერდითი კიბეც ადიოდა საკურთხეველის გაბრტყელებულ თხემამდე. ქვა არსად ჩანდა. იგი თითქოს დაგროვილი ფერფლის გორაკი იყო და რაღაც გაურკვეველი საგანი ახლაც ხრჩოლავდა ზემოთ. უკან, შანდალსა და საკურთხეველზე გაცილებით მაღლა, მოლოქი წამომართულიყო, ერთიანად რკინისგან ჩამოსხმულს ადამიანის მკერდი ჰქონდა და ზედ პირდაღებული ღრუები უჩანდა. გაშლილი ფრთები კედელზე გაეფოფრა, ჩამოგრძელებული ხელები მიწას სწვდებოდა; ყვითელ რკალში ჩასმული სამი შავი ქვა გუგას გამოსახავდა მის შუბლზე. სამინელი ძალისხმევით დაეძაბა ხარის თავი კერპს, თითქოს ეს-ესაა უნდა დაიღმუვლოსო.

ირგვლივ ებანოზის სკამები ელაგა. ყოველ სკამს უკან სამხ-ნკლიან ბრინჯაოს ლატნებზე ჩირაღდნები ეკიდა. ალი ირეკლებოდა სადაფის რომბებში, რომლებითაც იყო იატაკი მოგებული. დარბაზი ისე მაღალი იყო, რომ წითელი ფერის კედლები სულ მაღლა კუნაპეტი სიშავით კრთოდნენ და კერპის სამი თვალი მრუმე ღამეში სანახევროდ ჩაკარგული ვარსკვლავებივით ცრიატებდა წერთან.

უხუცესები ებანოზის სკამებზე დასხდნენ და სამოსლის კალთები წამოიფინეს თავზე. უძრავად ისხდნენ, ფართო სახელოებში გადაეჯვარედინებინათ ხელები და მათ შიშველ ფეხებქვეშ სადაფის იატაკი მოციმციმე ნაკადულს ჰგავდა, საკურთხევიდან კარებისკენ მიმდინარეს.

ოთხი მღვდელთმთავარი ერთმანეთისკენ ზურგშექცევით მოთავსდა შუაში ჯვრის სახედ განლაგებულ სპილოს ძვლის სკამებზე. ემმუნის ქურუმთუხუცესს სოსანისფერი კაბა ემოსა, ტანიტის ქურუმთუხუცესს – თეთრი სელისა, ქამონის ქურუმთუხუცესს – ჟღალი შალისა, ხოლო მოლოქის ქურუმთუხუცესს – ძონისფერი.

ჰამილკარი შანდლებისკენ გაემართა, შემოუარა, დაათვალიერა ანთებული პატრუქები, შემდეგ სურნელოვანი ფხვნილი მოაყარა. იისფერი ალი აბრიალდა შანდლის რტოებზე.

მაშინ ხაფი ხმა გაისმა და მეორე გაეხშიანა. ასმა უხუცესმა და ფეხზე მდგარმა ჰამილკარმა ერთად შემოსძახეს საგალობე-

ლი. ერთსა და იმავე მარცვლებს იმეორებდნენ, ხმას უმატებდნენ, აძლიერებდნენ, აგუგუნებდნენ, შემზარავად აზრიალებდნენ ჰიმნს. შემდეგ უეცრად დაჩუმდნენ.

რამდენსამე წუთს დუმდნენ. მერე ჰამილკარმა უბიდან პატარა სამთავიანი ქანდაკი ამოიღო, საფირონივით ლურჯი, და წინ დაიდგა. ეს ჭეშმარიტების გამოსახულება იყო და ამავე დროს მისი სიტყვის გენიაც, შემდეგ ისევ უბეში ჩაიდო და ერთბაშად ყველა აყვირდა, თითქოს უეცარმა სიბრაზემ წამოუარათ.

– შენი კეთილი მეგობრები არიან ეგ ბარბაროსები! მოღალატე! თავლაფდასხმულო! ჩვენი დაღუპვის სანახავად დაბრუნდი ხომ? აცალეთ, ილაპარაკოს!

– არ გვინდა! არა!

ისინი ჯავრს იყრიდნენ იმ თავშეკავებისთვის, რასაც პოლიტიკური ცერემონიალი აიძულებდათ, და, თუმცა გულით ეწადათ ჰამილკარის დაბრუნება, ახლა იმით იყვნენ აღშფოთებული, რომ დროზე არ მოვიდა იგი და უბედურებას არ აარიდა რესპუბლიკა, და უფრო იმით, რომ მათთან ერთად არ უჭამია ეს სირცხვილი.

როცა ალიაქოთი მიწყნარდა, წამოდგა მოლოქის ქურუმთუხუცესი:

– ჩვენ გეკითხებით, რად არ დაბრუნდი ამდენ ხანს კართაგენში?

– რა თქვენი საქმეა! – ზიზლით მიუგო სუფეტმა.

ყვირილი გაორკევდა.

– რასა მდებთ ბრალად? ეგების ომი მიმყავდა ცუდად? ჩემი საბრძოლო განრიგებანი ხომ ნახეთ თქვენ! თქვენ ბარბაროსებს რომ დაანებეთ...

– კმარა! კმარა!

ჰამილკარმა დაბალი ხმით განაგრძო, რომ უფრო დაეგდოთ ყური.

– ჰო! მართალია! ვცდები მე, ბაალთ მთიებნო! თქვენ შორის მამაცნიც არიან! წამოდექ, გისკონ! – საკურთხევლის კიბეებს გადაავლო მოჭუტული თვალი, თითქოს ვინმეს ეძებდა. გაიმეორა: – წამოდექ, გისკონ! შენ შეგიძლია დამდო მე ბრალი, ესენი შენ მოგიდგებიან! მაგრამ სადღაა? – შემდეგ თითქოს რალაც მოაფიქრდაო, განაგრძო: – აჰ! უეჭველად თავის სახლშია, ვაჟიშვილებით გარშემორტყმული, მონებს მბრძანებლობს ბედ-

ნიერი და თვლის კედელზე დაკიდებულ საპატიო ფარლულებს, რითაც სამშობლომ დააჯილდოვა!

უხუცესნი შეჩოჩქოლდნენ და მხრები აიწურეს, თითქოს მათრახით გვემდნენ.

– თქვენ ისიც კი არ უნყით, ცოცხალია თუ მკვდარი იგი!

და მათი სიშმაგის მიუხედავად უთხრა კრებას, რომ სუფეტის გაცემით რესპუბლიკა გასცეს, რომ რომაელებთან დადებული ზავი, ერთი შეხედვით სახეირო, ბევრად უფრო დამღუპველია, ვიდრე ოცი წაგებული ბრძოლა. რამდენიმე ტაში დაუკრა, მაგრამ ესენი ნაკლები სიმდიდრის მქონენი იყვნენ და მათ ყოველთვის ეჭვით უყურებდნენ – ხალხისა და ტირანიისკენ იხრებიანო; მონინალმდეგენი, სისიტა გამგენი და ხელისუფალნი, სიმრავლით ჯაბნიდნენ. ყველაზე გავლენიანნი დარბაზის მეორე მხარეს მიქუჩებულიყვნენ ჰანონის ახლოს, რომელიც ლილისფერ ფარდაგრამოფარებული მაღალი კარების წინ იჯდა.

ჰანონს ფერ-უმარილით დაეფარა სახეზე გამოსული მუნუკები. ოქროს ფხვნილი ორ ბრჭყვიალა ლაქად დასცვენოდა თმიდან ბეჭებზე და აშკარად ეტყობოდა, რომ მოთეთრო, თხელი და მატყლივით დახუჭუჭებული თმა ჰქონდა. ნელსაცხებლით გაჟღენთილი ნოტიო სახვევებით შეეკრა მკლავები და სურნელოვანი ზეთი იატაკზე წვეთავდა. ეტყობოდა, მეტისმეტად მორეოდა სენი, თვალები სავსებით ჩაჰკარგოდა დასიებული ქუთუთოებში. რაიმეს დასანახავად თავი უკან უნდა გადაეხარა. მომხრეები აქეზებდნენ – თქვიო. ბოლოს მანაც ხრინჩიანი და საზიზღარი ხმით წამოიხროტინა:

– ნუ უტიფრობ, ბარკა! ჩვენ ყველანი დავმარცხდით! ყოველ ჩვენგანს ხვდა უბედობის წილი! შენც უნდა დაცხრე!

– ჯობს ის გვიამბო, – თქვა ღიმილით ჰამილკარმა, – როგორ წარუძელ შენს გალერებს რომაელთა ხომალდებისკენ!

– ქარმა დამალალატა, – მიუგო ჰანონმა.

– მარტორქასავით საკუთარ ნებვში ინაცვლებ ფეხს და საკუთარ სიბრიყვეს ააშკარავებ! გაჩუმდი მაინც! – და ეგატის კუნძულებთან გამართული ბრძოლის თაობაზე დაუწყეს ერთმანეთს დავა.

ჰანონი ბრალსა სდებდა – ჩემს შესახვედრად რად არ გამოემართეო.

– ამით ხომ ერიქსს გავაშიშვლებდი, ღია ზღვაში უნდა გასულიყავი, ვინ გიშლიდა? აჰ! დამავინწყდა! სპილოებს ზღვისა ეშინიათ!

ჰამილკარის მომხრეებს ისე მოეწონათ მისი ხუმრობა, რომ ხმამაღლა გადაიხარხარეს. დარბაზის თალი აჟღერიალდა, თითქოს ბარბითზე უკრავდნენ.

ჰანონმა – ასე უღირსად რად აჭარბებთო, ეს ავადმყოფობა ჰეკატომპილის ალყის დროს შემეყარა გაცივების შედეგადო და ცრემლები ისე დასდიოდა სახეზე, როგორც ზამთრის წვიმა – ჩამონგრეულ კედელს.

ჰამილკარმა განაგრძო:

– მაგასავთ რომ გყვარებოდით, დიდი ღხენა და სიამე იქნებოდა დავანებული ახლა კართაგენში! რამდენჯერ შემოგვედრეთ და ყოველთვის უარს მითვლიდით ფულის გაღებაზე!

– ჩვენ თვითონ გვჭირდებოდა, – მიუგეს სისიტა განმგებლებმა.

– და როდესაც სასონარკვეთილების ზღვრამდე ვიყავი მისული, – ჯორების შარდსა ვსვამდით და სანდლების თასმებს ვღეჭავდით, როცა ვნატრობდი – ნეტა ეს ბალახის ღერები მეომრებად გადაიქცეოდნენ-მეთქი და ჩემი ჯარისკაცების გახრწნილი გვამებით მინდოდა შემედგინა რაზმეულები, უკანასკნელი დარჩენილი ხომალდებიც გაიწვიეთ და წამართვით!

– ჩვენ არ შეგვეძლო ყველაფერი ბედის სასწორზე შეგვეგდო, – უპასუხა ბაათ-ბალმა, რომელიც დარიტიის გეტულიაში ოქროს მალაროებს ფლობდა.

– მაინც რას იქმოდით აქ, კართაგენში, თქვენ-თქვენს სახლებსა და კედელ-ყურეს მოფარებულნი? გალები უნდა გადგერეკათ ერიდანში, ვიდრე ქანაანელნი კირენაში მოვიდოდნენ და, ვიდრე რომაელები პტოლემეს უგზავნიდნენ დესპანებს...

– ახლა რომაელებს გვიქებს! – და ვილაცამ დაუყვირა: – რამდენი მოგცეს, რომ მათი მხარე დაგეჭირა?

– ეგ ბრუტიუმის ველ-მინდვრებს ჰკითხე, ლოკრის, მეტაპონტიისა და ჰერაკლეს ნანგრევებს! ხე არ დამიტოვებია მოუჩეხავი, ტაძრები იავარყყავ და მათი შვილთაშვილის შვილები სიკვდილს მივეცი...

– ეე! რიტორივით ენამზეობ! – უთხრა კაპურასმა, გამოჩენილმა დიდვაჭარმა, – მაინც რა გინდა მაგით?

– მე ვამბობ, რომ ან უფრო მარჯვენი უნდა ვიყვნეთ, ან უფრო საშიშნი! მთელმა აფრიკამ გადაიგდო თქვენი უღელი და ეგ იმიტომ, რომ არ უწყით, თქვე უძლურებო, როგორ დაადგათ რიგიანად ქედზე! აგათოკლეს, რეგულუსს, სციპიონს და ყველა

მამაცს მხოლოდ ნაპირზე გადმოსხდომა დასჭირდებოდა, რათა დაგვიპყრონ. აღმოსავლელი ლიბიელები რომ დასავლელ ნუმიდიელებს შეუთანხმდებიან, მომთაბარენი რომ მოვლენ სამხრეთიდან, ხოლო ჩრდილოეთიდან – რომაელები, – ძრწოლის ყვირილი ატყდა, – ოჰ! მაშინ იცემთ თავში ხელს, მტვერში განერთხმებით და მოსასხამებს შემოიხვეთ! გვიანდა იქნება თითზე კბენანი! სუბურში წისქვილის ქვების ტრიალი მოგინევთ და ლიცეუმის გორაკებზე სთველის მონევა.

უხუცესები მარჯვენა ბარძაყზე ირტყამდნენ ხელს აღშფოთების ნიშნად და დაფეთებული ფრინველების ფართო ფრთებით ფრიალებდა მათი კაბების სახელოები. აღგზნებული ჰამილკარი კი განაგრძობდა, საკურთხეველის კიბის უმაღლეს საფეხურზე იდგა ათრთოლებული და ზარდამცემი, ხელებსა შლიდა და მის უკან მოპარპალე შანდლის სხივები ოქროს შუბებით იჭვირებოდნენ მის გაჩაჩხულ თითებში.

– ხომალდებსაც წაგართმევენ, სახნავ-სათესსაც. აღარც ეტლები გეყოლებათ და არც დაკიდული გავალაკები, აღარც მონები გეყოლებათ, რათა ფეხის გული მოგფხანონ! თქვენს სასახლეებში ტურები დაიბუდებენ და გუთნები გადახნავენ თქვენს საძვალეებს, დაიქცევი შენ, კართაგენო!

ოთხივე მღვდელთმთავარმა ხელები გაიშვირა ანათემის ასარიდებლად. ყველა ფეხზე დადგა, მაგრამ მღვდელთმსახურების გამრიგე ზღვათა სუფეტს მზე მფარველობდა და ხელუხლებელი იყო, ვიდრე მდიდართა ასამბლეა განაჩენს არ გამოუტანდა. საკურთხეველი შიშის ზარსა სცემდათ და უკან დაიხიეს.

ჰამილკარი დადუმდა, მზერა გაეყინა და თავისი ტიარის მარგალიტებით გაუთეთრდა სახე, სულს ძლივს ითქვამდა აქოშინებული, თავისივე სიტყვებით თავზარდაცებული სამგლოვიარო მოჩვენებებს გასდევნებოდა ფიქრით. იმ სიმაღლიდან, სადაც თვით იდგა, ბრინჯაოს ლატნებზე დადგმული ჩირაღდნები გლუვ იატაკზე ცეცხლის ფართო გვირგვინივით ჩანდა; მრუმე კამარამდის რუხი კვამლი ადიოდა და რამდენიმე წამს ისეთი ღრმა დუმილი იდგა, რომ შორიდან ზღვის ტალღების შხუილი შემოესმათ.

შემდეგ უხუცესებმა თათბირი დაიწყეს. ბარბაროსები ემუქრებოდნენ მათ ქონებასა და სიცოცხლეს. სუფეტის დაუხმარებლად არ ძალუძდათ მათი დამარცხება. ამ მოსაზრებამ ყოველივე დაავინყათ და ამპარტავნების ხმა ჩაიდუმეს. ჰამილკარის

მეგობრები დაიმარტოხელეს, ანგარების გამო ურიგდებოდნენ, გადაკრული სიტყვებითა და დაპირებებით ცდილობდნენ მათი გული მოეგოთ. ჰამილკარმა განაცხადა, ვერავითარ ხელისუფლებას ვერ ვიკისრებთო. შეევედრნენ, შეემუდარნენ, მაგრამ, რადგან სიტყვა „გამყიდველი“ მაინც ისმოდა მათ ლაპარაკში, ბრაზი მოერია სუფეტს. მისი აზრით, მოღალატე და გამყიდველი თავად დიდი საბჭო იყო, რადგან ბარბაროსებს ომის დამთავრების შემდეგ გაუდიოდათ სამსახურის ვადა და დაზავების შემდეგ თავისუფალნი იყვნენ. შეაქო კიდეც მათი სიმამაცე და საბჭოს აუხსნა, თუ რაოდენი სარგებლობა შეიძლებოდა კიდეც გამოენურათ მათგან, საჩუქრებითა და წარჩინებით რომ მიეპირებინათ.

მაშინ მაგდასანმა, გარეუბნების ყოფილმა მმართველმა, წარმოთქვა ყვითელი თვალების ბრიალით:

– მოგზაურობათა გამო, არ ვიცი, ბერძნად თუ რომაელად გადაქცეულხარ, ბარკა! რა ჯილდოებზე ლაპარაკობ, რა საჩუქრებზე? ათი ათასი ბარბაროსის სიკვდილი არ გვიჯობს რომელიმე ჩვენგანის დაღუპვას?

უხუცესებმა თანხმობის ნიშნად თავები ააკანტურეს და აჩურჩულდნენ: „აბა რა, რაა აქ საფიქრალი? რამდენიც გინდა, იმდენი ყრია ქირით მებრძოლი!“

– და ადვილად მოსაშორებელნიც არიან, არა? შეიძლება უპატრონოდ მიაგდოთ, როგორც სარდინიაში ჩაიდინეთ, ან მტერს აცნობოთ წინასწარ, თუ რომელ გზას დაადგებიან, როგორც გალებს უყავით სიცილიაში, ან არა და, შუა ზღვაში გადმოსხამთ. აქეთობას რომ მოვდიოდი, თვალი ვკიდე ძვლებით გათეთრებულ სანაპირო კლდეებს!

– რა ბედენაა! – ურცხვად გადასცახა კაპურასმა.

– რამდენჯერ გადასულან მტრების მხარეზე! – შეჰყვირეს სხვებმა.

ჰამილკარმა შესცახა:

– მაშინ თქვენივე კანონების წინააღმდეგ რად მოიქცით და კართაგენში რად დააბრუნეთ? ურიცხვ დამშეულს რომ მოუყარეთ თავი ქალაქში და თქვენს სიმდიდრეს აყურებინებდით, რატომ არ მოგივიდათ აზრად, რომ უთანხმოება დაგეთესათ მათ შორის და ამრიგად დაგესუსტებინათ! მერე დედანუღლიანად რად გაუშვით ყველა და ერთი მძევალიც კი არ დაიტოვეთ! ხომ არ ფიქრობდით, რომ ისინი ერთმანეთს განწყვეტდნენ და და-

ნაპირების შესრულებისაგან გაგათავისუფლებდნენ? იმიტომ გძაგთ, რომ ძლიერნი არიან! და მე კიდეც უფრო გეზიზღებით, მათი სარდალი! ოჰ! ახლახან ვიგრძენი ეს, ხელებს რომ მიკოცნიდით და თავს ძლივს იკავებდით, ისე გინდოდათ გეკბინათ კოცნის მაგიერ!

ეზოში მძვინვარე ლომებიც რომ შემოცვენილიყვნენ ბრდღვინვით, ამაზე საზარელი ღმუილი მაინც არ იქნებოდა. მაგრამ ეშმუნის ქურუმთუხუცესი ადგა, მუხლები შეატყუპა, იდაყვები ფერდებზე მიიკრა, გასწორდა, ოდნავ გაშალა ხელები და წარმოთქვა:

– ბარკა, კართაგებს სჭირდება, რომ შენ იკისრო მხედართმთავრობა პუნიკური ლაშქრისა როქის სპის წინააღმდეგ!

– მე უარს ვამბობ! – უპასუხა ჰამილკარმა.

– სრულ ძალაუფლებას გაძლევთ! – შეჰყვირეს სისიტთა უხუცესებმა.

– არა!

– სრულსა და განუყოფელ ძალაუფლებას და ფულს, რამდენსაც კი ინდომებ. გითმობთ ყველა ტყვეს, მთელ ალაფსა და ორმოცდაათ ზერეტ მინას მტრის ყოველი ცხედრისათვის.

– არა, არა-მეთქი! თქვენთან ერთად გამარჯვება შეუძლებელია!

– ეშინია ბარბაროსების!

– შეუძლებელია იმიტომ, რომ ლაჩრები ხართ!

– ზოგავს როქის სპას!

– მათი წინამძღვარი უნდა, რომ გახდეს! – წამოიძახა ვილაცამ.

– და ჩვენ მოგვიტრიალდეს, – თქვა მეორემ და დარბაზის სიღრმეში ჰანონმაც დაიღმუვლა:

– მეფედ კურთხვა ნებავეს!

მაშინ უხუცესნი წამოხტნენ, სკამები და ჩირალდნები გადააბრუნეს, ჯგროდ მიიჭრნენ საკურთხეველთან ხანჯლებმოლერებულნი. მაგრამ ჰამილკარმა სახელოები მოიფათურა და ორი ბრტყელპირიანი კალდიმი დააძრო; ოდნავ მოხრილი და მარცხენა ფეხწინნადგმული, თვალებანთებული, კბილებდაკრეჭილი იდგა უშიშრად ოქროს შანდლის ქვეშ.

ამრიგად, სიფრთხილეს თავი არ სტკივავო და, იარაღი შემოეტანათ ფარულად. ეს საზარელი დანაშაული იყო და თავზარდაცემულნი შეჰყურებდნენ ერთიმეორეს, მაგრამ დანაშაულში

ყველას ედო წილი და ამიტომ მალე დამშვიდდნენ; ნელ-ნელა ზურგი შეაქციეს სუფეტს და ისევ ძირს ჩავიდნენ სირცხვილელუნი, გამმაგებულნი – ეს მეორედ დაიხიეს უკან იმის წინაშე. რამდენსამე ხანს ფეხზე იდგნენ. ზოგ მათგანს თითები დაეჭრა მახვილზე და პირში იდებდა ან არა და ტანსაცმლის ჩაქს ფრთხილად იხვევდა თითზე. წასვლას ეპირებოდნენ უკვე, როდესაც ჰამილკარს მოესმა ეს სიტყვები:

– ო! გულისხმიერებით მოსდის ეს, არ უნდა ქალიშვილს ატკინოს გული!

მეორემ უფრო ხმამაღლა დაიძახა:

– ეჭვი არ არის. მაგისი გოგო ხომ მეომრებში ირჩევს კუროებს!

ჰამილკარი შებარბაცდა, შემდეგ შაჰაბარიმს დაუწყო ძებნა თვალებით. მხოლოდ ტანიტის ქურუმთუხუცესი არ დაძრულიყო თავისი ადგილიდან და მისი მაღალი კუნკულია მოჩანდა შორიდან. უხუცესები პირში დასცინოდნენ და, რაც უფრო მეტად იპყრობდა მღელვარება სუფეტს, მხიარულება უორკეცდებოდათ და საერთო ხორხოცში უკან მდგარნი გაიძახოდნენ:

– მისი ოთახიდან გამოსული ნახეს!

– თამუზის თვეში იყო, ერთ დილას!

– ზაიმფი რომ მოიპარა, იგი იყო!

– მოხდენილი ვაჟკაცია!

– შენზე მაღალია, სარდალო!

ჰამილკარმა მოიგლიჯა თავიდან ტიარა, თავისი ხარისხის ნიშანი – რვა მისტიკურ რკალად დახვეული ტიარა, შუაში რომ ზურმუხტის ნიჟარა ეკეთა და ორივე ხელით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიწას დაანარცხა. ოქროს რკალები დაიმსხვრა და მარგალიტები ანკრიალდა იატაკის ფილებზე. თეთრ შუბლზე გრძელი ნაჭრილობევი გამოუჩნდა სუფეტს, გველივით რომ დაკლაკნილიყო წარბებშუა. მთელი სხეულით ძაგძაგებდა. გვერდითა კიბეს აჰყვა, საკურთხეველზე ავიდა და ფეხი წარდგა წინ. ამით ღმერთს ეწირებოდა, ზვარაკად მიჰქონდა თავი. მოსასახამის ფრიალმა პატრუქებზე დაგზნებული ალი ააპარპალა. შანდლები მის ქვევით იყო, სანდლებამდეც ვერ წვდებოდა; ფერფლი აიშალა ჰამილკარის ფეხქვეშ და ღრუბელივით შემოეხვია წელამდე. სუფეტი თითბრის კერპის ბარძაყებს შუა დადგა, აიღო ორი მუჭა ნაცარი, რომლის დანახვაზედაც კი ზარდაცემულნი ცახცახებდნენ კართაგნელნი და წარმოთქვა:

– თქვენი სულების ას სანთურს ვფიცავ! ქაბირების რვავე საცეცხლურს! ვარსკვლავებს, მეტეორებს და ვულკანებს ვფიცავ! ყველაფერს, რასაც ცეცხლი ედება! უდაბნოს წყურვილს და ოკეანის მარილოვნებას ვფიცავ! ჰადრუმეტის გამოქვაბულს და სულთა საუფლოს! ვფიცავ მოკვდინებას და თქვენი შვილების და თქვენი წინაპრების ძმების მტვერს, რომელსაც ახლა მე ჩემსას ვურევ! თქვენ, ასნო წევრნო კართაგენის დარბაზისანო, ტყუილი თქვით და ცილი დასწამეთ ჩემს ასულს და მე, ჰამილკარ ბარკა, ზღვათა სუფეტი, მდიდართ მოთავე, ხალხის მეუფე, ხარისთავიანი მოლოქის წინაშე ვფიცავ! – დარბაზში მყოფნი რალაც საშინელებას მოელოდნენ, მან კი უფრო მაღალი და მშვიდი ხმით დაამთავრა: – რომ ამის შესახებ სიტყვასაც კი არ დაეძრავ სალამბოსთან!

ოქროსსავარცხლიანი წმინდა მსახურები შემოვიდნენ – ზოგი ძონისფერი ღრუბლით, ზოგიც პალმის რტოებით. კარებზე ჩამოფარებული ლილისფერი ფარდაგი გადასწიეს და ამ ღია კუთხიდან სხვა მრავალ დარბაზთა მიღმა დაინახეს ფართოდ გაშლილი ვარდისფერი ცა, რომელიც თითქოს აგრძელებდა თაღს და ულურჯეს ზღვას დაყრდნობოდა დასალიერში. ტალღებიდან მზე ამოდიოდა. უეცრად თითბრის კერპს დაეცა სხივი ცხაურით აჭედილ და შვიდ ნაწილად დაყოფილ მკერდზე. წითელკბილეებიანი ხახა დააღო ქანდაკმა, საზარლად დაამათქნარა და უზარმაზარი ნესტოები დაებერა. დღის სინათლე სულს უდგამდა მას და შემზარავი მოუთმენლობის იერს აძლევდა: თითქოს უნდოდა გარეთ გავარდნილიყო, განზავებოდა მნათობს, ღმერთს და მასთან ერთად ენავარდა უსაზღვრო სივრცეში.

ძირს დამხობილი ჩირალდნები ისევ ენთო და სისხლის ლაქე-ბივით აქა-იქ ეყარა სადაფის იატაკზე. დაქანცული უზუცესები ძლივს იდგნენ ფეხზე, მთელი მკერდით ისუნთქავდნენ დილის გრილ ნიავს; ჩალურჯებულ სახეებზე ოფლი ღვარად ასკდებოდათ, ყვირილისაგან ყელი ამოხაფვროდათ და ყურთასმენა დასჩლუნგებოდათ. მაგრამ სიბრაზე არ დასცხრომოდათ, დამშვიდობების ნაცვლად ემოქრებოდნენ ჰამილკარს. ისიც მათებრვე უპასუხებდა:

- ხვალინდელ ღამემდე, ბარკა, ეშმუნის ტაძარში!
- უცილოდ მოვალ!
- მდიდრებს განაჩენს გამოვატანინებთ შენთვის!

– მე ხალხს გამოვატანინებ განაჩენს!

– გაფრთხილდი, ჯვარს არ გაცვან!

– თქვენ არ ჩაგქოლონ ქუჩებში!

მაგრამ ებოს ზღურბლს გადააბიჯეს თუ არა, მშვიდობიანი ნირი გადაიკრეს სახეზე.

მალეbsრბოლები და მეჯინიბეები ელოდებოდნენ კარიბჭესთან. უმეტესობა თეთრ ჯორებზე ამხედრდა. სუფეტი თავის ეტლს შეახტა და სადავეებს დაავლო ხელი. ორმა კისერმოდრეკილმა ცხენმა ჭენებით აირბინა მაპალეების გზა. თანაზომიერად უხათქუნებდნენ მინას ფლოქვებს და კენჭები იფანტებოდა აქეთ-იქით; ხელნის წვეროზე დამაგრებული ვერცხლის ქორი თითქოს მიფრინავდა, ისე სწრაფად მიქროდა ეტლი.

შარა პირამიდებივით წვერწამახული გრძელი ლოდებით მოფენილ საგოდებელს სერავდა. გაშლილი ხელის მტევნები გამოეკვეთათ სიბ ქვებზე, თითქოს მათ ქვეშ დაფლული მიცვალებულნი ამ ხელს იშვერდნენ ცისკენ და რალაცას ითხოვდნენ. მერე კონუსისდარი მიწურები, ალაჩუხები და ლერწმის ლასტები გამოჩნდა. ქვებით ამოყვანილი მცირე ყორეები, მორაკრაკე რუები, წნული ღვლერჭები, მოცხარის ლობეები ოკრობოკროდ ყოფდნენ ამ სამარადისო სამკვიდრებლებს, რომლებიც უფრო და უფრო ვიწროვდებოდნენ სუფეტის ბალების მიმართულებით. ჰამილკარი თვალს არ აცილებდა უზარმაზარ კოშკს, რომლის სამი სართული უშველებელ გოდლებად ახირხლულიყო ერთიმეორეზე. პირველი ქვით იყო ნაშენი, მეორე – აგურით, მესამე – კედრის ფიცრებით და ტყვიის ოცდაოთხ სვეტზე დაყრდნობილი სპილენძის გუმბათით ბოლოვდებოდა. გუმბათს ყვავილების გვირგვინებივით ეკიდა წნული ჯაჭვები. ეს მაღალი შენობა გადამხობოდა მარჯვნივ მდებარე საწყობებსა და სავაჭრო სახლებს, ხოლო საქალებო სახლი ბრინჯაოს წყვილი კედელივით ჩარიგებულ კვიპაროსებს იქით იყო აღმართული.

ეტლმა ჟღრიალით გაიარა ვიწრო ჭიშკარი და შედგა ფართო ფარდულთან, სადაც ბაგაზე მიბმულ ცხენებს თივას აჭმევდნენ.

მსახურნი მისცვივდნენ. უამრავნი იყვნენ ისინი. როქის სპის შიშით სოფლად მომუშავენიც კართაგენში ჩამოეყვანათ. ტყავებში გამოწყობილი მიწის მუშები კოჭებზე გამობმულ ბორ-

კილებს მოათრევდნენ; ძონეულის სარენებში მომუშავეებს ჯალათებივით იდაყვამდე წითელი მკლავები ჰქონდათ; მეზღვაურებს მწვანე ქუდეები ეხურათ, მეთევზეებს მარჯნის კაკილები ჩამოეკონწილებინათ, მონადირეებს მახეები მოეგდოთ ბეჭებზე და მეგარელნიც თეთრსა თუ შავ ტუნიკებში, ტყავის ძიქვებში, თექის, ჩალისა თუ ტილოს ქუდეებში იყვნენ გამოწყობილნი ხელობებისა და თანამდებობისდა მიხედვით.

სულ უკან ჩამოკონკილი ხალხი მოჯარულიყო. მათ არავითარი გარკვეული სამსახური არ ეკისრებოდათ, სახლში არ უშვებდნენ და ღამლამობით ცის ქვეშ ეძინათ ბალებში და სამზარეულოს ნამუსრევით იკვებებოდნენ, – სასახლის ჩრდილში ამოსულ ადამიანისეულ ხავსს წარმოადგენდნენ ისინი. ჰამილკარი მათ იწყნარებდა უფრო წინდახედულებით, ვიდრე ზიზლით. სიხარულის გამოსახატავად ყველას ყვავილი გაერჭო ყურში, თუმცა მრავალ მათგანს თვალითაც არ ენახა ამირბარი.

მაგრამ სფინქსივით თავმოზურული და ხელკეტებით შეიარაღებული ფარეშები დაერივნენ ბრბოს და მარცხნივ და მარჯვნივ დაუწყეს ცემა, რათა პატრონის ხილვას მონადინებული მონები გაერეკათ, თორემ პატრონს მათი ჩოჩქოლი და მყრალი სუნი შეანუხებდა.

მაშინ ყველანი მიწას განერთხნენ ძახილით: „ბაალთა თვალო! იხაროს შენმა სახლეულობამ! და კვიპაროსების ხეივანში პირქვე დამხობილ მონებს შორის ეზოსმოძღვარი აბდალონიმაც გამოჩნდა, თეთრი მიტრით თავდარქმული, და ჰამილკარს მიუახლოვდა საცეცხლურით ხელში.

სალამბოც ჩამოდიოდა ხომალდების წინამხრებიან კიბეზე. მხეველები უკან მოჰყვებოდნენ ფეხდაფეხ. ზანგი დიაცების თავები დიდ შავ წერტილებად ჩანდნენ ოქროსფირფიტებიანი თავსაკრავებით შუბლშემოზურვილ რომაელ ქალთა შორის. სხვებს თმებში გაერჭოთ ვერცხლის ისრები, ზურმუხტის პეპლები და მზის სხივებივით გაშლილი გრძელი ქინისთავები. ამ თეთრ-ყვითელ-ლურჯი სამოსის გროვამი ბეჭდები, ღილ-კილოები, მანიაკები, ფოჩები და სამაჯურები ბზინავდა და ცრიატებდა; ისმოდა მსუბუქი ქსოვილის შარიშური და სანდლების ტყაპუნი ხის საფეხურებზე შიშველი ფეხისგულების ყრუ ტყაპატყუპთან ერთად. აქა-იქ ახოვანი, ქალებზე მთელი თავით მაღალი საჭურისები იღრიჭებოდნენ თავანუელნი. როცა მონათა ჩოჩქოლი მიწყნარდა, ქალებმა სახელოები აიფარეს სახეზე და

უცნაურად დაიწყევლეს ძუ მგლებივით, ისე მჭახედ და ყურის-ნამლებად, რომ მხევლებით გაჭედილი ეკალმუხის გრძელი კიბე სიმივით აზრიადლდა.

ნიაჲმა ააფრიალა რიდეები და პაპირუსის წვრილი ღერე-ბი შეაშრიალა. შებაზის თვე იდგა, შუა ზამთარი. აყვავებული ბრონეულები ინაკვებოდნენ ლაჟვარდი ცის ფონზე, რტოებში ზღვა მოჩანდა და შორეული, სანახევროდ ნისლში ჩაკარგული კუნძული.

სალამბოს დანახვაზე ჰამილკარი შედგა. რამდენიმე ვაჟიშ-ვილის გარდაცვალების შემდეგ შეეძინა იგი. ქალიშვილის დაბა-დება მზის თაყვანისმცემელთა შორის უბედურებად ითვლება. ღმერთებმა შემდგომ ძეც აჩუქეს, მაგრამ ერთგვარი იმედგაც-რუების ნაკვაღევი ახლაც ჩარჩენოდა მამას გულის სიღრმეში და აგრეთვე ერთგვარი ძრწოლაც იმის გამო, რომ მან დაბა-დებისთანავე დანყევლა საკუთრი ასული. ამასობაში სალამბო მისკენ მოაბიჯებდა.

სხვადასხვაფერი მარგალიტის ძენკვები გრძელ მტევნებად ეკიდა ყურებზე, მხრებზე ეფინა და იდაყვებამდე სწვდებოდა. თმები ღრუბლის დარად ჰქონდა ახვეული. კისერზე შიბი ეკიდა ოქროს ოთხკუთხა ფირფიტებისა, რომლებზედაც ორ ყალყზე შემდგარ ლომს შუა მდგარი ქალი იყო ამოტვიფრული. ქალ-მერთის სამოსლის ასლი იყო მისი ტანსაცმელი – ფართოსა-ხელოებიანი ლილისფერი კაბა წელში გამოკვროდა და დაბლა განიერდებოდა. ჭიაფერით შეღებილ ბაგეთა შორის თეთრი კბილები უკრთოდა და ლახუსტაკით დაფერილი გრძელი წამ-წამები შემოსჯარვოდნენ ჟუჟუნა თვალებს. ფრინველთა ნაკრ-ტენით შეთხზულ სანდლებს ძალზე მაღალი ქუსლები ჰქონდა. საოცრად გაფითრებოდა სახე ასულს, ალბათ სიცივის გამო.

ბოლოს ჰამილკარს მიეახლა და თავის აუწევლად და თვა-ლის გაუსწორებლად უთხრა:

– სალამი შენდა, ბაალთა თვალო, მარადიული დიდება შენ-და! გამარჯვება, მშვიდობა, კმაყოფილება და სიუხვე ნუმც გაშოროს უფალმა! რა ხანია მტკიოდა გული და შენმა სახლ-მაც მოიწყინა უშენობით. მაგრამ შინ დაბრუნებული პატრონი მკვდრეთით აღმდგარ თამუზს ედრება და შენს მზერაზე, მამავ, ახალი სიცოცხლე და სიხარული გაიფურჩქნება ირგვლივ!

მერე ტანააქს გამოართვა პატარა და მოგრძო ლარნაკი, რომელშიც ფქვილის, ცხიმის, ჯავზისა და ღვინის ნაზავს ასდიოდა ოხშივარი და უთხრა:

– შესვი სასმელი დაბრუნებისა, შენი მხევლის შემზადებული.
– უფალმა გაკურთხოს! – მიუგო ჰამილკარმა და ჩამოართვა
ოქროს ლარნაკი, რომელსაც ასული უწვდიდა.

მაგრამ ისეთი დაძაბული ყურადღებით მისჩერებოდა, რომ
ამღვრეულმა სალამბომ წაიბუტბუტა:

– გიამბეს, პატრონო?

– ჰო, ვიცი! – მიუგო ჰამილკარმა ხმადაბლა.

აღიარება იყო ეს? თუ როქის სპაზე ეუბნებოდა? და რამდენიმე
ბუნდოვანი სიტყვაც დასძინა იმ საზოგადო გაჭირვების
შესახებ, რომელსაც იმედოვნებდა, მარტო თვითონ მოერეოდა.

– ო, მამავ! – შესძახა სალამბომ, – გატეხილს ველარ გაამრ-
თელეზ!

ჰამილკარმა უკან დაიხია და სალამბო გააკვირვა მისმა
ძრწოლამ. იგი კართაგენს კი არ გულისხმობდა, არამედ იმ
მკრეხელობას, რომლის მონაწილეც გახდა უნებლიეთ. ეს კაცი,
რომელიც ლეგიონებს აცახცახებდა და ვისაც რიგიანად არც
თვითონ იცნობდა, ღვთაებასავით სცემდა მას თავზარს. ყვე-
ლაფერს მიმხვდარა, ყოველივე სცოდნია და ახლა რაღაც საში-
ნელი უნდა მოიმოქმედოს ალბათ!

– შემინყალე! – შესძახა ქალწულმა.

ჰამილკარმა ნელა დახარა თავი.

სალამბოს უნდოდა გამოსტყდომოდა, მაგრამ სიტყვის დაძვ-
რას ვერა ბედავდა; ამასთანავე სულითა და გულით ეწადა შე-
ეჩივლა და ნუგეშინი მოესმინა მისგან. ჰამილკარმა კინალამ გა-
ტეხა ფიცი და სიამაყისა თუ იმის შიშითლა შეიკავა თავი, რომ
მერე საეჭვო და საეგებო აღარაფერი დარჩებოდა. თვალებში
ჩააშტერდა ასულს და ცდილობდა ამოეკითხა მისი გულის უღ-
რმეს კუნჭულებში დაფარული ფიქრი.

მამის მძიმე მზერით შეიწრებულმა სალამბომ ნელ-ნელა
მხრებში ჩარგო თავი და მღელვარებისგან ქოშინი აუვარდა.
ამან დაარწმუნა ჰამილკარი, რომ ბარბაროსს ნამდვილად შეეც-
დინა მისი ასული. აძაგდა და მუშტები მოუღირა ქალს. სა-
ლამბომ შეჰკივლა და ირგვლივ შემოჯარულ მხევალთა მკლა-
ვებზე გადაესვენა.

ჰამილკარმა ზურგი შეაქცია. გამგეთუხუცესები უკან აედევნენ.

საწყობთა კარები გახსნეს და პატრონი შევიდა ვრცელსა და
მრგვალ პალატში, საიდანაც ბორბლის სოლებივით ყოველმხ-
რივ მიემართებოდნენ სხვა პალატებში გამავალი გრძელი ტა-

ლანები. შუაში იდო კიდეებშემოკავებული მრგვალი ქვა და ზედ გადაფენილ ნოხებზე ბალიშები ეყარა.

სუფეტმა ჯერ სწრაფი და დიდი ნაბიჯებით დაიწყო ბოლთის ცემა, ხმამაღლა ქმინავდა, ღონივრად ურტყამდა ქუსლებს იატაკს და მწერებისგან გულგანყალბებულივით ისვამდა შუბლზე ხელს. შემდეგ თავი გააქნია და დაშოშმინდა თავისი უზომო სიმდიდრის შემყურე; დერეფნებს გააყოლა თვალი და ფიქრით მისწვდა სხვა პალატებს, ფასდაუდებელი და უიშვიათესი საუნჯით სავსე საცავებს. ბრინჯაოს, ვერცხლისა და რკინის ზოდები ბურუსიანი ზღვის გაღალმა კასიტერიდიდან მოზიდულ კალის რვილებს ენაცვლებოდნენ; პალმის ქერქისგან მოწნული გოდრები სავსე იყო შავკანიანთა ქვეყნებიდან ჩამოტანილი გუმფისით; თხის ტიკჭორები ოქროს ქვიშით გამოეტივნათ და წვრილი ხეიჭა შეუმჩნევლად იცრებოდა ძველ ნაკერებში. წყალმცენარეთაგან გამობეჭილი თხელი ბოჭკოს კონები ეკიდა ეგვიპტური, ბერძნული, ტაპრობანული და იუდეური სელის ფთილებს შორის; კედლების გასწვრივ ბუჩქნარივით აძაგრულიყო ვარსკვლავა მარჯნის გრძელი გროვები. ნელსაცხებლის, ტყავის, სანელებლის და კამაროვანში დიდ-დიდ კონებად დაკიდებული სირაქლემას ფრთების ნაზავი სუნი ტრიალებდა ირგვლივ. ყოველი ტალანის შესასვლელში ეწყო სპილოს ეშვები, რომლებიც კარებს ზემოდან წვეტებით თაღისდარად უერთდებოდნენ ურთიერთს.

მერე მრგვალ ქვაზე შედგა ჰამილკარი. გამგეთუხუცესნი გულხელდაკრეფილნი იდგნენ და თავი ჩაექინდრათ, მხოლოდ აბდალონიმს წაეგრძელებინა ამპარტავნულად კისერი და თავის ნოწოლა მიტრას აკანტურებდა.

ჰამილკარმა მენავეთუხუცესს დაუწყო გამოკითხვა. მოხუცებულ მეზღვაურს ქუთუთოები შეშუპებოდა ქარიშხალთაგან და წელამდე სწვდებოდა თეთრი კულულები, თითქოს ქარტყილთა ქაფი შერჩენოდა ჭაღარა წვერზე.

მოხუცებულმა უპასუხა, ხომალდები გავგზავნე ეზიონგაბერს, კადისი და თიმიამატა გაიარეს, სამხრეთის რქასა და ნელსულნელოვან კონცხს გვერდი აუქციესო.

სხვა ხომალდებმა დასავლეთისკენ გააგრძელეს გზა და ოთხი მთვარის განმავლობაში ისე იარეს, ნაპირს თვალი ვერსად ჰკიდესო. მაგრამ გემების წინამხრები ბალახებში იხლართებოდა, თვალსაწიერი ჩანჩქრების ჩქრიალით ხმიანებდა განუწყვეტ-

ლივ და სისხლისფერი ბურუსი აბნელებდა მზეს, ხოლო სურნელებით გაჟღენთილი ზეფირი რუღსა ჰგვრიდა მეზღვაურებს და ისე ამღვრევიათ გონება, ახლა არაფრის მოგონება აღარ ძალუძთო. მაინც აჰყოლიან სკვითეთის მდინარეებს, კოლხიდაშიც შეაღწიეს, ურთა და ესტთა ქვეყნები მოიარეს, არქიპელაგიდან ათას ხუთასი ქალწული მოიტაცეს და, საზღვაო გზათა საიდუმლო რომ არ გამჟღავნებულიყო, ჩაძირეს უცხოელთა ყველა ხომალდი, რომელიც კი ესტრიმონის კონცხს გამოსცდა. პტოლომე მეფემ დაგვიკავა შესბარის გუნდრუკი. სირაკუზს, ალათიას, კორსიკასა და კუნძულებს არაფერი არ მოუწოდებიათო, – და მოხუცებულმა მენავეთუხუცესმა ხმას დაუდაბლა:

– რუზიკადასთან ერთი ტრირემა ნუმიდიელებმა ჩაიგდეს ხელთ. ისინი იმათ მხარეზე არიანო, პატრონო.

ჰამილკარმა წარბები შეიკრა. შემდეგ ანიშნა უსახელო რუხ კაბაში გამოწყობილ მექარავნეთუხუცესს, რომელსაც თეთრი ყაბალახით მოებურა თავი, ერთი ბოლო ნიკაპზე მოეხვია და მხარს უკან გადაეგდო.

როგორც ეგებოდა, ზამთრის ბუნიობისას გაემგზავრებიანთ ქარავნები. მაგრამ შუაგულ ეთიოპიაში მუხლმაგარი აქლემებითა, ახალთახალი რუმბებითა და ჭრელი ფართლის დიდი მარაგით გამგზავრებულ ათას ხუთას მექარავნეთაგან ერთადერთი დაბრუნებულა კართაგენში, – დანარჩენებს არაქათი გამოლევიათ და სული ღვთისთვის მიუბარებიათ, ზოგიც უდაბნოს შიშს შეუშლია. გადარჩენილს უთქვამს – შორს, შავ ჰარუშსა, ატარანტებსა და გოლიათი მაიმუნების ქვეყნებს იქით, ჩემი თვალთ ვნახე უკიდევანო სამეფოები, სადაც სულ უმცირესი საოჯახო ჭურჭლეულიც კი ოქროსია, ზღვასავით ვრცელი და რძისფერი მდინარე დის, ცისფერი ტყეებია, ნელსულნელებათა გორები დგას და კაცისსახიანი ურჩხულები ცხოვრობენ ქარაფებში, თვალეები ყვავილებივით ეფურჩქნებათ გამოხედვისასო. ამ სამეფოს იქით, დრაკონთა ტბების გადაღმა, ბროლის მთებია და მისი მწვერვალები მზეს შეყრდნობიანო. სხვა ქარავნები დაბრუნებულან ინდოეთიდან. ფარშავანგები ჩამოუყვანიანთ, პილპილი და ახალ-ახალი ოქსინო ჩამოუტანიანთ. იმათ რაც შეეხება, სირტისა და ამონის ტაძრის გზით ქალცედონის შესასყიდად რომ იყვნენ წასულნი, ეჭვი არ არის, ქვიშნარებში ჩაილუპნენ სადღაც. გეტულიისა და ფაცანის ქარავნებმა ჩვეულებრი-

ვი ტვირთი მიიღეს, მაგრამ ამჟამად ველარ ვბედავ ქარავნების აღჭურვასაო, – დასძინა მექარავნეთუხუცესმა.

ჰამილკარი მიხვდა: როქის სპას დაეჭირა შემოგარენი. მან ყრუდ ამოიოხრა და იდაყვს ჩამოეყრდნო. მექარავნეთუხუცესს ისე შეშინებოდა, რომ ფოთოლივით ცახცახებდა ეს მხარბეჭიანი და თვალსისხლიანი ვაჟკაცი. ქოფაკის დრუნჩის მსგავს ნოლა ცხვირ-პირზე მერქნის ძაფების ქსელი ჩამოეფარებინა, ავაზის გამოუქნელი ტყავის ქამარში ორი უზარმაზარი ყამა უციმციმებდა.

როგორც კი მიუბრუნდა ჰამილკარი, ყელი ამოიხაფრა კივილით, – ბაალებს გეფიცები, ჩემი ბრალი არ არისო, მე რა უნდა მექნაო! ამინდსაც ვუყურებდი, ნიადაგსაც, ვარსკვლავებსაც, ზამთრის ბუნიობისას ვათესვინებდი, დამცხრალ მთვარეზე ვასხვლევინებდი, მონებს მზრუნველობას არ ვაკლებდი, მათ სამოსელზეც მეჭირა თვალიო.

ჰამილკარს ბრაზი მოერია მის ლაქლაქზე, ენა გაანკლაპუნა და ყამებიანმა კაცმა სულმოუთქმელად ჩაათავა:

– აჰ! პატრონო! ყველაფერი დაიტაცეს! იავარჰყევს! დაამხეს! მასშალაში სამი ათასი ძირი ხე ამოძირკვეს, უბადაში ბელლები დააცარიელეს, აუზები მიწით ამოავსეს! ტედესიდან ათას ხუთასი ლომორი ხორბალი გაიტანეს, მარაცანაში მწყემსები დახოცეს და ნახირი შეჭამეს, შენი სახლი ცეცხლს მისცეს, კედრის თავხეებიანი საზაფხულო სადგომი შენი! ტუბურბოელი მონები, ქერსა რომ მკიდნენ, მთებში გაიქცნენ და არცერთი ვირი, ჯორი, ტაორმინის ხარი, არცერთი ორინგული ცხენი არ დაუტოვებიათ, ყველა გარეკეს! ნამდვილი რისხვაა უფლისა! – და ტირილით განაგრძო: – აჰ! რომ იცოდე, ჭირნახულს ბელლებში ველარ ვატევედით და ხნულებს სულ კაშკაში გაუდიოდათ! ვაი, ჩვენო მარნებო! ვაი, ჩვენო ხარებო!

ჰამილკარს ბოლმა მოაწვა ყელში და ამოხეთქა:

– ხმა ჩაიკმინდე! გაღლეტილი გლახა ხომ არა ვარ? ნუღარა ცრუობთ, მართალი მითხარით! მნებავს ვიცოდე, რა დავკარგე და რამდენი. სულ სიკლობითა და ქაბობით მნებავს ვიანგარიშო. აბდალონიმ, მოიტანე ხომალდებისა და ქარავნების ანგარიშები, ფერმებისა და სასახლის ნახარჯის ნუსხაც მოაყოლე! და ვაი თქვენს ტყავს, თუ სინდისი წმინდა არა გაქვთ! აქედან დამეკარგეთ!

ნელში მოდრეკილი, მიწამდე ხელებჩამოშვებული გამგეთუ-
ხუცესები უკუსვლით გავიდნენ.

აბდალონიმმა კედელში ჩადგმული კარადიდან დაკვანძუ-
ლი ბანრები, ტილოს ბანდები, წმინდა ნანერით აჭრელებული
პაპირუსები და ცხერის ბეჭები ამოალაგა, ჰამილკარის ფეხებ-
თან დააწყო, პატრონს მიაართვა სამსიმგაბმული ხის ჩარჩო. სი-
მებზე ოქროს, ვერცხლისა და რქის რგოლები იყო აცმული. და
დაიწყო:

– მაპალებში ას ოთხმოცდათორმეტი სახლი, გაქირავებული
ახალმოსახლე კართაგენელებზე თვეში თითო ბეკად.

– მეტისმეტია! ღარიბებს ხელი უნდა გავუმართოთ! ყველას
სახელი ჩაინერე, ვინც სხვებზე მამაცი მოგეჩვენოს, და ისიც
შეიტყვე, რესპუბლიკის ერთგულნი არიან თუ არა! მერე?

პატრონის ხელგაშლილობით განცვიფრებული აბდალონიმი
შეყოყმანდა.

ჰამილკარმა ტილოს ბანდები გამოსტაცა ხელიდან.

– ეს რაღა? ქაშონის ახლოს სამი სასახლე თვეში თორმეტ
კეზიტაჰად გაგიქირავებიათ! ოცი გამოართვი! მდიდრებს რაზე
გავაფრცქნევიანო თავი!

ეზოსმოდღვარმა ღრმად დაუკრა თავი და განაგრძო:

– ტიგილასს ჩვეულებრივი სარგებელი მივეცით ნაოსნობის
დამთავრებამდე – სამიდან ორი კიკარი; ბარ-მალქარტს – ათას
ხუთასი სიკლი ოცდაათი მონის გირაოში. მაგრამ თორმეტი
მონა მლაშე ტბებში დაგვეხოცა.

– ალბათ მეტისმეტად გაქუცული მონები იყვნენ, – გაიცინა
სუფეტმა, – არა უშავს რა! თუ კიდევ დასჭირდეს ფული, ასეს-
ხე! ფული არავის დაუკავო და სხვადასხვა სარგებლით გაეცი
მსესხებლის ქონებისდა შესაბამისად.

მერე მსახურმა აჩქარებით მოახსენა ანაბას რკინის მაღარო-
ების, მარჯნის, ძოწის სარეწების, კართაგენში მოსახლე ბერ-
ძნების იჯარის, არაბეთში ვერცხლის გატანის (იქ ვერცხლი
ოქროზე ათჯერ ძვირად ფასობდა) და ნადავლი ხომალდების
შემოსავალი ქალღმერთის ტაძრის საღაროში ჩარიცხული მე-
ათედის გამოკლებით.

– ყოველთვის მეოთხედით ნაკლებს გეუბნებოდი, პატრონო!

ჰამილკარი საანგარიშოს არაჩხუნებდა და თვლები წკრი-
ალებდნენ მის თითებში.

– კმარა! ახლა რა გაეცით?

– კორინთის სტრატონიკლეს და სამ ალექსანდრიელ ვაჭარს ამ დაბრუნებული ბარათების მიხედვით მივეცი ათი ათასი ათენური დრაქმა და თორმეტი ასურული ოქროს ტალანტი. მეზღვაურთა გამოკვება ოცი მინა დაგვიჯდა თვეში თითო ტრირემაზე...

– ვიცი! რამდენი დაგველუპა?

– აი, ამ ტყვიის ფირფიტებზეა ანგარიში, – უთხრა ეზოს-მოძღვარმა. – რაც შეეხება საზიარო გემებს, ტვირთის ზღვაში გადაყრა მოუხდათ რამდენჯერმე და ზარალი მოზიარეებს გაუნანილდა წილისდა მიხედვით. ზარადხანიდან გამოტანილი ხომალდთა აღჭურვილობისთვის, რაც უკან ველარ დაეუბრუნეთ, სისიტებმა რვაასი კეზიტათი მოითხოვეს უტიკაში გალაშქრების ნინ.

– ისევ ისინი! – თქვა ჰამილკარმა, თავი დახარა და ერთხანს იდგა ასე საყოვლთაო სიძულვილით გულშეპყრობილი. – მე აქ მეგარის ხარჯებს ვერ ვხედავ.

აბდალონიმი გაფითრდა და მეორე ყუთიდან ტყავის თასმებზე ჩამოცმული ნეკერჩხლის ფირფიტები გამოიღო.

მეურნეობის წვრილმანებით დაინტერესებული ჰამილკარი ყურს უგდებდა და მშვიდდებდა მსახური რომ ციფრებს ბუტბუტით უსახელებდა. აბდალონიმს ენა დაება, მერე უეცრად გაუცვივდა ხელიდან ნეკერჩხლის ფირფიტები და თვითონაც მიწას განერთხა განწირულივით ვედრებით ხელებშვერილი. ჰამილკარმა აულღვებლად აკრიფა ფირფიტები და ერთი დღის დანახარჯს რომ მოჰკრა თვალი, განცვიფრებისგან პირი დაალო და თვალები გაუფართოვდა. ურიცხვი ხორცი, თევზი, ფრინველი, ღვინო და სანელებელი დახარჯულიყო, ურიცხვი თასი დაემსხვრიათ, მონები მოეკლათ, სუფრები დაეფხრინათ.

ძირს გართხმულმა აბდალონიმმა მოახსენა ბარბაროსთა ღრეობის ამბავი. როგორ არ დამორჩილებოდა უხუცესთა ბრძანებას, – სალამბოც თხოულობდა, ხარჯს არ დარიდებოდნენ და, რაც შეიძლება უკეთ გამასპინძლებოდა როქის სპას.

ქალიშვილის სახელის ხსენებაზე ჰამილკარი წამოხტა. მერე ტუჩები მოკუმდა და ბალიშებს მიესვენა, ფრჩხილებით წწწავდა ფოჩებს, თვალგამტერებული და ქშენაავარდნილი.

– ადე! – უთხრა მსახურს და ძირს ჩამოვიდა.

აბდალონიმი უკან გაედევნა. მუხლები უკანკალებდა. რკინის ძელაკს ჩასჭიდა ხელი და იატაკის ფილებს დაუნყო გაშმაგებით

ცემა, ერთი ფიცარი ამოაგდო და მის ქვეშ გამოჩნდა დერეფნის სიგანეზე ჩაყოლებული ფართო სარქველები, რომლებიც ხორბლის ორმოებს ეფარა.

– ხედავ, ბაალთა თვალო, – თქვა ცახცახით ეზოსმოდღვარმა, – ყველაფერი არ წაულიათ! ორმოცდაათი მხრის სიღრმე აქვს თითოეულ ორმოს და პირთამდე არის ავსილი! ვიდრე შენ ზღვებზე მოგზაურობდი, ასეთივე ორმოები მოვათხრევინე სანყობებში, ბალებში, ყველგან! სახლი დოვლათით არის სავსე, ვითარცა შენი გონება სიბრძნით.

ლიმი დააჩნდა ჰამილკარის სახეს:

– კარგია, აბდალონიმ!

შემდეგ ყურში ჩასჩურჩულა:

– მოაზიდვინე კიდეც ხორბალი ეტრურიიდან, ბრუტიუმიდან, საიდანაც გასურს და რა ფასადაც! დააგროვე და შეინახე! მთელი მარაგი ხორბლისა კართაგენში ჩემს ხელთ უნდა იყოს!

დერეფნის ბოლოს რომ მიაღწიეს, აბდალონიმმა ქამარზე ჩამოკიდებული კლიტით გააღო ერთი ფართო, ოთხკუთხა ოთახი, რომელიც კედრის ბოძებით იყო შუაზე გაყოფილი. ჭერის თავხეობამდე აეხორავებინათ ოთხივე კედლის გასწვრივ მაგიდები და წალოები ოქროს, ვერცხლის და თითბის ფულებით. კუთხეებში დალაგებული ჰიპოპოტამის ტყავის უშველებლი ხურჯინები პატარ-პატარა ტოპრაკებით გამოეჭიკნათ. ხურდა ფული პირდაპირ იატაკზე დაეხვავებინათ. აქა-იქ მაღალ-მაღალი გროვები ჩამოშლილიყო და ჩამონგრეულ სვეტებს დამგვანებოდა. კართაგენული დიდი ფულები, რომლებზედაც პალმის ქვეშ მდგარი ტანიტი და ცხენი იყო ამოტვიფრული, ახალშენების ხარისსახიან, ვარსკვლავიან, დისკოიან და ნამგალა მთვარით დატვიფრულ მონეტებში არეულიყო. სხვადასხვა ზომის გროვებად ეწყო სხვადასხვა ზომის, დროისა და ღირებულების ფული, ფრჩხილივით თხელი ასურული ფულებიდან მოყოლებული, ხელისგულივით სქელი ფულები ლაციუმისა, ეგინას და ბაქტრიანის ფირფიტები, ლაკედემონიის ძველისძველი მოკლე სოლები. ზოგი ჟანგით დაფარულიყო, ჭუჭყს შეეჭამა; ნესტს გაემწვანებინა და ცეცხლს გაემშურა წყლიდან სათხედით ამოთრეული და დანგრეულ-დაბუგული ქალაქების ნაცარტუტაში ამოკრებილი ვერცხლი და ოქრო. სუფეტმა სწრაფად გამოიანგარიშა, რამდენად შეესაბამებოდა ეს თანხა სარგებლისა და ზარალის ეს-ესაა წარმოდგენილ ნუსხას და უკვე გარეთ გადი-

ოდა, როცა სავსებით ამოცლილ ქილას ჰკიდა თვალი. აბდალო-ნიმმა ძრწოლის ნიშნად თავი მიაბრუნა, ჰამილკარმა უდრტვინ-ველად და უხმოდ ჩაუარა გვერდით. რამდენიმე დერეფანი და დარბაზი გაიარეს და ბოლოს მიადგნენ ერთ კარს. ერთი მონა მუცლით საგულდაგულოდ მიეჯახებათ გრძელ დაბეჭდილ ბორ-კილზე რომაული ჩვეულებისამებრ, რაც ახალი შემოღებული იყო კართაგენში. დაბორკილს საშინლად წამოზრდოდა წვერი და ფრჩხილები და დატყვევებული ნადირივით გამუდმებით ირ-ნეოდა მარცხნივ და მარჯვნივ. ჰამილკარი რომ შეიცნო, ყვირი-ლით გამოინია:

– შემიწყალე, ბაალთა თვალო! შემიწყალე და ბრძანე მომკ-ლან! ათი წელია, მზე არ მინახავს! მამის სულს გაფიცებ, შე-მიწყალე! ჰამილკარმა ხმის გაუცემლად დაჰკრა ტაში და სამი კაცი შემოვიდა. ოთხივემ ერთად დაიმკლავა და საგდულიდან ამოიღო უზარმაზარი ზოდი, რომელიც შესასვლელს ფარავდა. ჰამილკარმა ჩირალი აიღო და სენაკში შევიდა.

თითბრის ქიცვი ფარავდა კედლებს. შუა ოთახში გრანიტის კვარცხლბეკზე ერთ-ერთი ქაბირის, სახლად ალექსის, ქან-დაკი იდგა. ეს იყო კელტიბერიის მალაროთა გამომგონებლის ბომონი. ქანდაკის ძირას ჯვარედინად ენყო ოქროს განიერი ფარები და უზარმაზარი, თავდარქმული, უცნაური მოყვანი-ლობისა და სრულიად გამოუსადეგარი ვერცხლის სანყაოები. ჩვეულებად ჰქონდათ დიდი რაოდენობით ჩამოესხათ ასე ლი-თონი, რათა თითქმის შეუძლებელ ეყოთ მისი გაფლანგვა, ანდა თუნდაც ადგილიდან დაძვრა.

ჰამილკარმა თავისი ჩირალდნით ბომონის ქუდზე მიმაგრე-ბული მალაროს ქალი აანთო და მთელი დარბაზი ერთბაშად მწვანე, ყვითელი, ცისფერი, იისფერი, ღვინისფერი და სისხ-ლისფერი ალით აციმციმდა. თითბრის მავთულებზე ნათურე-ბივით ჩამოკიდებული გოგრის მსგავსი ოქროს ჯამები სავსე იყო ძვირფასი თვლებით, კედლის გაყოლებითაც დაელაგები-ნათ დაუხვეწელი ქვები. აქ ელაგა მიუდგომელი კლდეებიდან შურდულებით ჩამომტვრეული კალაისები, ფოცხვერის შარდ-ში გაქვავებული ძირმაგარები, მთვარიდან ჩამოცვენილი გლო-სოპეტრები, ტიანები, ალმასები, სანდასტრუმები, ბივრიტები და სამნაირი იერის ლალი, ოთხნაირი საფირონი და თორმეტი გვარის ზურმუხტი. რძის შხეფებივით, მყინვარებივით, ვერც-ხლის ცახესავით ათინათებდნენ ფასდაუდებელი თვლები და

სოლების, ვარსკვლავების, სხივების დარად აფენდნენ არილს. ელვისგან ქმნილი ნეფრიტები ცრიატებდნენ მოშხამულის წამლად ვარგისი ქალცედონების გვერდით. ზაბარკას მთიდან ჩამოტანილი ტოპაზები საშიშროების ასარიდებლად გამოდგებოდნენ, ბაქტრიანის აფალები მუცლის წახდენას შევლოდნენ, ხოლო ამონის რქები უტკბესი სიზმრების მომგვრელი იყო, თუ ლოგინქვეშ შეალაგებდი.

ოქროს ფარები ირეკლავდა თვლების ციმციმს და სანათურების ალს. ხელეზგადაჭდობილი ჰამილკარი ილიმებოდა და უფრო თავისი სიმდიდრის შეგნებით ტკბებოდა, ვიდრე ამ სანახავით. მისი საუნჯე მიუწვდომელი, ამოუწურავი, უზომო იყო. მის ფეხთა ქვეშე მიძინებული წინაპარნი მის გულს თავიანთ მარადისობას უზიარებდნენ. ქვესკნელის სულთა სიახლოვეს გრძნობდა გუმანით. ქაბირის ლხენით აღვსილიყო და სახეზე რომ სხივები ეფინებოდა, უჩინარ სათხედს აგონებდა, უფსკრულთა წიაღ გადმოსროლილს, სამყაროს გულთან მაკავშირებელს.

ერთმა აზრმა გაუელვა და შეცახცახდა. ბომონის უკან დადგა და კედლისკენ გაემართა პირდაპირ. მერე თავისი მკლავის სვირინგებს დააცქერდა. შვეულს, რომელიც ორი გარდიგარდმო ხაზით იყო გადაკვეთილი, რაც ქანაანური დამწერლობით ცამეტს ნიშნავდა. მაშინ თითბრის ცამეტი ფირფიტა გადათვალა და კიდევ ერთხელ დაიკაპინა ფართო სახელო. მარჯვენაგანწვილიმა ახლა სხვა ადგილას ამოიკითხა უფრო რთული ნასვირინგები, ფრთხილად გადაუსვა მეორე ხელი, თითქოს ქნარის სიმებს შეეხო. ბოლოს შვიდჯერ დაჰკრა ცერი და კედლის ერთი ნაწილი გადაიხსნა. იგი ერთგვარ ეკვდერს ფარავდა, სადაც იდუმალი ნივთები ეწყო, უსახელო და ფასდაუდებელი. ჰამილკარმა სამ საფეხურს გადააბიჯა, ვერცხლის ჩანახიდან ამოიღო შავ სითხეში მოტივტივე ლამას ტყავი და ისევ ზევით ავიდა.

აბდალონიმი ისევ წინ წაუძღვა, თავის ეფენებიან გრძელ ყავარჯენს სცემდა იატაკს და ყოველი სენაკის წინ გაიძახოდა ჰამილკარის სახელს, ხოტბით, კურთხევით ამკობდა.

მრგვალ ტალანში, სადაც ყველა დერეფანი ბოლოვდებოდა, კედლების გასწვრივ ალგუმინის კოჭები, ინით სავსე ტომრები, ლემნოსის თიხის კვერები და მარგალიტებით სავსე კუს ბაკნები ელაგა. სუფეტი კაბის კალთით ეხებოდა გვერდით ჩავლისას

და ზედაც არ უყურებდა მზის სხივებისგან წარმოქმნილი თითქმის ღვთაებრივი ნივთიერების, ქარვის, უზარმაზარ ნატეხებს. სურნელოვანი კვამლი აიბოლქვა ერთგან.

— გააღე კარი!

ისინი შევიდნენ.

შიშველი კაცები ზელდნენ ცომს, ნაყავდნენ ბალახებს, ნახშირს აღვივებდნენ, ქოთნებში ასხამდნენ ზეთს, ალებდნენ და ისევ ხურავდნენ კედლის ირგვლივ ამოჭრილ პატარ-პატარა მოგრძო უჯრებს, რომლებიც იმდენად მრავალი იყო, რომ ოთახი ფიჭას წააგავდა. მირობალონით, ბდელიუმით, ზაფრანითა და იებით იყო სავსე ეს უჯრები. გუმფისი, ფხვნილი, ძირკვები, მუშები, ფილიპენდულის რტოები და ვარდის ფურცლები მიმოეფანტათ გარშემო. სუნთქვა ჭირდა სურნელით ავსილ ამ სენაკში. შუა ოთახში თითბრის სამფეხზე საკმეველი ხრჩოლავდა.

კვარის ჩირაღდანით ანონილი და ფერმკრთალი ნელსაცხებელთა ოსტატი მიეახლა ჰამილკარს და მეტოპიონის კონა დაანურა ხელებზე. ამასობაში ორი სხვა ბაკარისის ფოთლებით უზელდა კოჭებს. ესენი კირენელნი იყვნენ, ბინძური ზნეობის ხალხი, რომელთაც პატივს მაინც სცემდნენ მათი იდუმალი ცოდნისა გამო.

გულმოდგინების გამოსაჩენად ნელსაცხებელთა ოსტატმა ცოტაოდენი მალობატრი შესთავაზა სუფეტს ქარვის კოვზით დასაჭაშნიკებლად. მერე სადგისი გაუყარა სამ ინდურ ბეზოარს. პატრონი ხელობას იცნობდა, ბალზამით სავსე რქა აიღო, ნაკვერჩხლებზე შეათბო და თავის კაბაზე გადმოაპირქვავა. რუხი ლაქა დააჩნდა სამოსს. ეს თაღლითობის ნიშანი იყო. მაშინ დაჟინებით დააცქერდა ნელსაცხებელთა ოსტატს და სიტყვის უთქმლად ხეთქა სახეში ქურციკის რქა.

სიყალბით¹ განრისხებულმა ჰამილკარმა ზღვებს გადალმა ქვეყნებში გასაგზავნ სუმბულით დატენილ ბოხჩებს მოჰკრა თვალი და ტვირთის დასამძიმებლად სანელებელში საოლავის გარევა ბრძანა.

მერე თავისთვის განკუთვნილი ნელსაცხებლის სამი ყუთი მოიკითხა. მენელსაცხებლე გამოუტყდა: — არაფერი ვიცი, ჯარისკაცები დანებს ატრიალებდნენ, ღრიალებდნენ და ყველა სკივრი გავუღეო.

¹ ამ აბზაცის შემდეგ თარგმნილია მანანა გიგინეიშვილის მიერ.

– აბა, ჩემზე მეტად მათი გეშინია! – წამოიძახა კვამლის ბოლქვებში გახვეულმა სუფეტმა და გადაფითრებულ მაღალ კაცს შეანათა ჩირალდნებივით აბრიალებული თვალები.

– აბდალონიმ, მზის ჩასვლამდე გაატარეთ მწყობრში მენელ-საცხებლე, გაგლიჯეთ!

ამ დანაკლისმა, სხვაზე უმნიშვნელომ, გააცოფა ჰამილკარი. ბარბაროსების გახსენება არ სურდა. მაინც ყოველ წამს მათი ნამოქმედარი ედგა თვალწინ და თავი ველარ გაართვა მათზე ფიქრს. როქის სპის თავაშვებლობას ასულის სახელის გატენაც დაერთო და მთელ სასახლეზე განრისხდა, რომ დაუფარეს მომხდარი ამბავი. რაღაც უცნაური ძალა აიძულებდა ჩაჰკვირვებოდა თავის უბედურებას. ცნობისმოყვარეობით შეათვალთვალა ჩარდახქვეშ, ქულბაქს უკან მომარაგებული კუპრი და ხე-ტყე, ლუზები და ბაგირი, თაფლი და ცვილი, თეთრეულის საწყობი, ხორაგით გამოტენილი საკუჭნაოები, მარმარილოს სამტეხლო და თრიაქით სავსე ბეღლები.

მერე ბალის კიდეში ჩარიგებული ქოხებისკენ გაემართა. ხელოსნები სახლობდნენ აქ. მათი ნამუშევარი ბაზარზე გაჰქონდათ. თერძები ლაბადებს აგვირისტებდნენ, მეთევზეები ბადეებს ქსოვდნენ, მეხამლეები წულებს კერავდნენ. ზოგი ბალიშების მოხატვით იყო გართული. ეგვიპტელი მუშები ნიჟარებით აკრიალებდნენ პაპირუსს, ფეიქრები მაქოებს აწრიბინებდნენ, მეაბჯრეთა სამჭედლოში გრდემლი გრგვინავდა.

ჰამილკარი მათ მიუბრუნდა:

– ჭედეთ მახვილი! შეუსვენებლივ ჭედეთ! დამჭირდება! – უბიდან ამოიღო საწამლავით გაჟღენთილი ანტილოპის ტყავი და ბრძანა: – თითბრის უმტკიცესი ბეგთარი დამიმზადეთ, რკინამ რომ ვერ გაატანოს და ცეცხლმა რომ ვერ ავნოს, ისეთი!

ამასობაში ხელოსნებს მიუახლოვდა სუფეტი. მისი რისხვის ასარიდებლად და მუშებზე წყრომის გადასატანად აბდალონიმი აბუზღუნდა:

– რა ნახელავია! სამარცხვინოა სწორედ! პატრონი მეტისმეტად გწყალობთ.

ჰამილკარმა ყურიც არ ათხოვა და განშორდა.

ნაბიჯი შეანელა, რადგან გზა ჩახერგილი იყო ზროშემომწვარი ხეებით, გეგონებოდათ, მწყემსები დაბანაკებულიყვნენ ტყეში. ტყრუშული ღობე გადაეთელათ, კვლებში წყალი დამშრალიყო, ჭუჭყიან გუბეებში შუშის ნამსხვრევები და მაიმუნთა

ძვლები ეყარა. ჩირგვებში აქა-იქ დაძენილი ჩვრები ფრიალებდა; ლიმონთა ძირას ღებობდა ჩამოცვენილ ყვავილთა გროვა. მსახურთ ეფიქრათ, პატრონი აღარ დაბრუნდებაო და ღვთის ანაბარა მიეტოვებინათ ყველაფერი.

ყოველ ნაბიჯზე ახალ უსიამოვნებას აწყდებოდა ჰამილკარი. ყველაფერი უდასტურებდა იმას, რისი შეტყობაც არ სურდა. აგერ ახლა სკორეთი გაეთითხნა ძონისფერი ხამლი. რად არაა ეს ხალხი აქ, რომ ფილაკვნიტ ნაკუნებად აქციოს! შერცხვა, რომ ესარჩლებოდა მათ. როქის სპამ გააცრუა იგი, დააღალატა! შური ვერ იძია მეომრებსა და უხუცესებზე, ვერც სალამბოზე, – ვერაკაცზე. რისხვა კი გადმონთხევას ღამობდა და უეცრად ყველა მებაღეს მალაროებში შრომა მიუსაჯა.

ეზოსმოძღვარი შიშით ცახცახებდა, მხეცების ბაკს რომ უახლოვდებოდა სუფეტი, მაგრამ ჰამილკარი წისქვილისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. გულსაკლავი ხმები აღწევდა იქიდან.

მტვრის კორიანტელში პორფირის ორი უშველებელი კონუსისებრი დოლაბი გაირჩეოდა. ზედა ხვიმირიანი იყო, ქვედას ეყრდნობოდა და მსხვილი ძელების დახმარებით ბრუნავდა. მუშები მკერდით და ხელებით უბიძგებდნენ, ზოგი კი ჭაპანს შებმული ატრიალებდა დოლაბს. ღვედების ხახუნისგან ილლიაში ჩირქიანი კოჭრები გასჩენოდათ, ისეთი, სახედრებმა რომ იციან ქეჩოზე. წვირიანი კონკები წელს ძლივს უფარავდათ და სამოსის ნაფხრენები გრძელი კუდივით მისთრევდათ წვივებზე; თვალები ჩასისხლიანებოდათ, ბორკილებს არაჩხუნებდნენ და ყველანი ერთად ითქვამდნენ სულს. ფქვილს რომ არ დახარბებოდნენ, ბრინჯაოს ორი ძენკვით ალიკაპი ჰქონდათ პირზე აკრული. ხელის მტევნებს საფუხარები უფარავდათ და ვერც აღებას ახერხებდნენ ფქვილისას.

ბატონის დანახვაზე ძელმა ჭრიალს უმატა. ხორბალი ხრაშუნით იღერებოდა. ზოგი მუხლებში ჩაიკეცა, დანარჩენებმა მათ გადააღაჯეს და სვლა განაგრძეს.

მონათა მეთვალყურე გიდენეში მოიკითხა სუფეტმა. თავისი ღირსების შესაფერად მდიდრულად გამოწყობილი გამოცხადდა იგი. გვერდებზე ჩაჭრილი წმინდად ნაქსოვი ძონეული ტუნიკა ემოსა, ყურებზე მსხვილი რგოლები ეკიდა. ფეხებზე შემობლარდნილ ქსოვილზე ოქრონული ყაითნები ჰქონდა შემოხვეული, ხეს შემოგრაგნილი გველებივით შემოტმასნოდა იგი კოჭიდან თეძომდე. ბეჭდებით დახუნძლულ თითებში ათა-

მაშებდა გიშრის კრიალოსანს, რომლითაც ავი ზნით შეპყრობილთ ცნობენ.

ჰამილკარმა პირსაკრავების ჩამოხსნა ანიშნა მეთვალყურეს. მონები დამშეული მხეცეებივით ღრიალით ეძგერნენ დაზვინულ ფქვილს, თავი ჩარგეს შიგ და სულმოუთქმელად იწყეს ჭამა.

– შიმშილით დაგიხოცავს!

გიდენემმა მიუგო, სხვა გზით შეუძლებელია მათი მოთვინიერებაო.

– ტყუილად მიგავლინე სირაკუზს მონათა სკოლაში! მოუხმე დანარჩენთ.

მზარეულები, მნდეები, მეჯინიბეები, ფაიქები, მეტახტრევნეები, მექისეები და ბავშვიანი ქალები ერთ მწკრივად ჩარიგდნენ ბაღში ქულბაქიდან მძვინვარე მხეცთა ბაკამდე. სიჩუმემ დაისადგურა მთელ მეგარაში. კატაკომბებს იქით ტბაში ეშვებოდა მზე. ფარშევანგები ყივყივებდნენ. ჰამილკარმა ნაბიჯი შეანელა.

– რად მჭირდება ეს დაჩაჩანაკებული ბებრები! – წამოიძახა მან. – გაყიდე! მრავლად მყავს ლოთი გალი და ცრუ კრიტელი! შეისყიდე კაჰადოკიელები, აზიელები, ზანგები!

ბავშვების სიმცირემ გააკვირვა სუფეტი.

– გიდენემ! ყოველ წელიწადს თითო ბავშვი უნდა დაიბადოს სახლში! ღამლამობით ქოხის კარებს ნუ დაგმანავთ, ლალად შეერიონ ერთმანეთს!

მერე ქურდების, უქნარებისა და ურჩების ნახვა ისურვა. სასჯელი განუწესა მათ, თან მეთვალყურეს ესაყვედურებოდა.

გიდენემს მოზვერივით დაეხარა დაბალი შუბლი და შეექმეხნა ხშირი წარბები.

– შეხე, ბაალთა თვალო, ამ კაცს ყულფში თავგაყოფილს მიუსწრეს, – მეთვალყურემ მხარბეჭიან ლიბიელზე მიუთითა.

– ოჰო, სიკვდილი მოგინდა?! – აიგდო სუფეტმა.

მონამ შეუპოვრად მიუგო:

– დიახ!

ჰამილკარი აღარ დაფიქრდა სხვათათვის მისაბაძ ცუდ მაგალითზე, არც ზარალს გაუწია ანგარიში.

– გაიყვანეთ! – შესძახა მსახურთ.

ვინ იცის, ეგებ მსხვერპლის შეწირვა მოესურვა და უბედურების ასაცილებლად არ მოერიდა მცირე დანაკლისს.

გიდენემს ხეიბარნი უკან მიეჩქმალა. ჰამილკარმა მაინც შეამჩნია ისინი.

– ხელი ვინ მოგკვეთა?

– მეომრებმა, ბაალთა თვალო!

შემდეგ დაკოდილ ყანჩასავით აფართხალებულ სამნიელს მიუბრუნდა:

– შენ ვინლა დაგასახიჩრა?

თურმე მეთვალყურეს რკინის კვერთხით ფეხი მოემტვრია მისთვის. ასეთმა უაზრო სისასტიკემ ალაშფოთა სუფეტი. გიდენემს ხელიდან გამოგლიჯა გიშრის შიბი და დაიღრიალა.

– წყეულიმც იყოს ფარის დამწიოკებელი ქოფაკი! სად გაგონილა მონათა წახდენა. მწყალობელო ტანიტ! ხომ დააქცევ ასე შენს პატრონს! დამპალ ნეხვში ამოახრჩვეთ! სხვანი, სხვანი რა იქნენ, დანარჩენები მებრძოლებთან ერთად ამოჟუჟე, ხომ?!

მისი რისხვით თავზარდაცებული ქალები გაიფანტნენ. მონებმა უკან დაიხიეს და წრედ შემოერთყვნენ სუფეტსა და მეთვალყურეს. გიდენემი სანდლებს უკოცნიდა ჰამილკარს, რომელსაც ხელი მოიღერებინა მისთვის.

ომის ქარ-ცეცხლში არასოდეს დაბინდვია გონება სუფეტს, ახლაც შეინარჩუნა აზრის სიცხადე. უამრავი სიბილწე გაიხსენა, მრავალი უხამსობა მოაგონდა, თუმცა ყველაფრის დავიწყება ერჩია. განრისხებულს ელვის გამოკრთომასავით ანაზდად წარმოუდგა თვალწინ თავს დამტყდარი ყველა უბედურება. ეზოსმოძღვრები დამფრთხალან და გადახვეწილან; ვინ უწყის, ეგებ პირიც შეკრეს როქის მეომრებთან. ყველა ატყუებდა ჰამილკარს. რა ხანია მალავს ბოლმას!

– აქ მომგვარეთ! ყველანი აქ მომგვარეთ და გავარვარებული შანითი შუბლი დაუდალეთ მხდალთ! – დაიქუხა მან.

მაშინ შუა ბაღში დაახვავეს ბორკილები, რკინის უღლები, დანები, ჯაჭვები – მალაროებში გამწნესებულთათვის, ფეხის მოსამტვრევი კალაპოტები, თითბრის კაუჭით დაბოლოებული სამღვედიანი მათრახები.

ყველა დასასჯელი მზის პირისპირ, ყოვლისშთამნთქმელი მოლოქის მხარეს პირქვე ან გულალმა გაანვინეს. გასაშოლტნი ხეებს მიაყუდეს და ორ-ორი კაცი ამოუყენეს გვერდში.

ორივე ხელით გამეტებით სცემდნენ. ღვედები ჰაერში წუოდა და ქერქს აცლიდა ჭადრებს. სისხლი შხაპუნა წვიმასავით

ეშხეფებოდა ფოთლებს; გასისხლიანებულები ღრიალით იღვ-
ლარქნებოდნენ გაქერქილი ხეების ძირას. სახეს იხოკავდნენ
დადაღულები, ისმოდა ძელის მუხრუჭთა ხრჭიალი. ყრუ ხმებს
ზოგჯერ გამყივანი კივილი ერთოდა. სამზარეულოებთან სა-
მოსის ნაფლეთებსა და დაგლეჯილი თმების ბლუჯებს შორის
მსახურნი საბერვლებით ნაკვერჩხლებს აღვივებდნენ. ტრუ-
სის სუნი იდგა. წამებულთ ძალა გამოელიათ, მაგრამ ხელებით
იყვნენ ხეზე ჩამოკიდებულნი და არ ვარდებოდნენ, თვალები
მოეჭუტათ და თავს იქნევდნენ მხოლოდ. წამების მხილველთ
შეშფოთებისგან ოხვრა აღმოხდათ. ლომები მთქნარებით ჩამნ-
კრივდნენ უფსკრულის კიდესთან, ღრეობა თუ გაახსენდათ.

სალამბო გამოჩნდა თავის ტერასაზე. დაბნეული ქალი აქეთ-
იქით აწყდებოდა. ჰამილკარმა თვალი მოჰკრა სალამბოს. მოეჩ-
ვენა, თითქოს ასული ხელებს ინვდიდა მისკენ და შენდობას
სთხოვდა. შეშფოთებული სუფეტი შემოლობილში შევიდა.

პუნიკურ სასახლეთა სიამაყე იყო სპილოები. მათ ზურგზე
უვლიათ მამა-პაპათ, ცხარე ბრძოლებში გაუმარჯვიათ, მტერი
აულაგმავთ და მათ თაყვანს სცემდნენ, როგორც მზის რჩეულთ.

მთელ კართაგენში განირჩეოდნენ მეგარის სპილოები. გამგ-
ზავრების წინ ჰამილკარი ფიცით არწმუნა აბდალონიმმა, რომ
მათ ღირსეულად უპატრონებდა, მაგრამ სპილოებს წამება ვერ
აეტანათ, დახოცილიყვნენ და ახლა სამად სამი სპილო ინვა
მტერიან ბაკში დამტვრეულ გეჯებს შორის.

პატრონი იცნეს და მიაშურეს.

ერთს ყური ჰქონდა საზარლად გახლეჩილი, მეორეს მუხლი
დაიარავებოდა, მესამისთვის ხორთუმი მოეკვეთათ. უმწეოდ
უმზერდნენ ჰამილკარს, უმზერდნენ გონივრულად, ადამიანუ-
რი მზერით. ერთმა თავი დახარა, მუხლებში მოიკეცა და ხორ-
თუმის გადანაჭრით ნახად დაუყვავა პატრონს.

ცხოველის ალერსზე ორი ცრემლი ჩამოუგორდა ჰამილკარს.

– ო, უბადრუკო! ჯვარს აცვით, ჯვარს! – აბდალონიმს ეცა.
გრძნობამიხდილი აბდალონიმი პირქვე დაეცა მიწაზე.

ძონის სარწენებს გადაღმა, იქ, სადაც ზეცას კვამლის მოლიბ-
რო ბოლქვები ერთვის, ტურის მჭახე კივილი გაისმა. ჰამილკა-
რი დაცხრა.

ვაჟიშვილზე ფიქრმა ღვთაების შეხებასავით უეცრად დაამშ-
ვიდა იგი. ვაჟი ხომ მისი ძლიერების ზრდა, მისი შეუცნობელი

არსების განუწყვეტელი განახლება იყო. მონები ვერ მიხვდნენ, რამ დააშოშმინა სუფეტი.

შემდეგ ძონის სარენებისკენ გასწია. გვერდი აუარა ოთხ-კუთხა გრძელ თხრილში შავი ქვით ამოშენებულ მონათა დილეგს, რომელსაც კიდეში საცალფეხო ბილიკი გასდევდა კუთხეებში დატანებული ოთხი კიბითურთ.

იდიბალს ნიშანი არ დაუმთავრებია, ჩამოლამებას ელოდა. „რა მაჩქარებს“, – გაიფიქრა ჰამილკარმა და დილეგში ჩავიდა. ზოგმა უკან დაბრუნება ურჩია, უფრო გაბედულნი ჩაჰყვნენ.

ქარი არაფგუნებდა გაღებულ კარს. ბინდი მოიპარებოდა ვიწრო სარკმლებში. დილეგის სიღრმეში კედელზე ჩამოკიდებული დანყვეტილი ჯაჭვები ჩანდა.

ესლა დარჩენილიყო სამხედრო ტყვეთაგან!

მკვდრის ფერი დაედო ჰამილკარს. ორმოს გადამხოხილმა მხედრებმა თვალი მოჰკრეს, თავის შესამაგრებლად როგორ მიეყრდნო კედელს.

ტურამ სამგზის გაბმით დაიკივლა. ჰამილკარმა თავი წამოსწია მხოლოდ, არაფერი უთქვამს, არც განძრეულა; მზე რომ ჩაესვენა, შემორაგვულს იქით გაუჩინარდა სუფეტი. მწუხრის ჟამს ეშმუნის ტაძარში დიდებულთა საკრებულოს განუცხადა:

– ბაალთ მთიებო, მე ვიკისრებ პუნიკური ლაშქრის სარდლობას, რათა ბარბაროსნი დავთრგუნო!

თავი მერვე

ბრძოლა მაკართან

მეორე დღესვე ჰამილკარმა ორას ოცდასამი ათასი ტალანტი ოქრო აიღო სისიიტაგან და თოთხმეტი სიკლი შეანერა დარბაისელთ. დიაცთაც უნდა გაეღოთ თავიანთი წილი, ბაღლებზედაც დაწესდა გადასახადი. კართაგენელთათვის ყველაზე უჩვეულო ის იყო, რომ ქურუმთა დასიც დახარკეს.

ჰამილკარმა ყველა ცხენის, ჯორისა და იარაღის ჩამორთმევა ბრძანა. ვისაც სიმდიდრის დაფარვა სურდა, მას ქონება გაუყიდეს და გაუნიავეს. სხვათა სიძუნწე რომ აღეკვეთა, თავად გასცა სამოცი თორნ-აბჯარი და ათას ხუთასი ღომორი ფქვილი, დაახლოებით იმდენივე, რამდენიც სპილოს ძვლით მოვაჭრეთაგან შემოდიოდა.

ლიგურიაში ხალხი დაგზავნა დათევებზე ამხედრებული სამი ათასი მთიელის დასაქირავებლად. მათ წინასწარ გადაუხადეს ექვსი თვის ქირა – დღეში ოთხ-ოთხი მინა.

სპა მაინც არ კმაროდა. მაგრამ ჰანონის მსგავსად ქალაქის ყველა მკვიდრს როდი იღებდა ლაშქარში; იწუნებდა სხარტ მოძრაობას შეუჩვეველთ, ღიპიანებს და ჯაბანთ. ამათ ნაცვლად თავს უყრიდა სინდისგარეცხილთ, მაღქის ნაძირლებს, ბარბაროსთა შთამომავალთ და ნაციხართ. სამუქფოდ კართაგენის მოქალაქეთა სრულ პატივს აღუთქვამდა მათ.

სუფეტის თავიდათავი საზრუნავი იყო ლეგიონის გარდაქმნა. მასში შემავალი მოხდენილი ვაჟკაცები რესპუბლიკის სამხედრო დიდებას იჩემებდნენ და თვითმმართველობით სარგებლობდნენ. ჰამილკარმა დაითხოვა მათი თავკაცები. ჭაბუკებს უხეშად ექცეოდა, აიძულებდა ერბინათ, ეძუნძულათ, სულის ერთი ამოთქმით აეთავებინათ ბირსის ბექობი, შუბი ეტყორცნათ, ხელჩართულ ბრძოლაში პირისპირ შესტაკებოდნენ ერთუროს და შუა მოედანზე, ღია ცის ქვეშ ეთიათ ღამე. თავისიანები აკითხავდნენ და იბრალებდნენ ლეგიონერებს.

მოკლე მახვილები და გამძლე ხამლები დაამზადებინა, განსაზღვრა მსახურთა რიცხვი და ტვირთი შეუმცირა მეომრებს; მოლოქის ტაძარში დაცული სამასი რომაული ლახვარი გამოატანინა უზეშთაესი ქურუმის უარის მიუხედავად.

უტიკიდან დაბრუნებულ სპილოებს მიუმატა კერძო პირთა კუთვნილი სპილოები. სამოცდათორმეტი სპილო ერთ რიგად ჩაამწკრივა და პირქუშ საომარ ძალად აქცია. მარეკებს ურო და საჭრეთელი ჩამოურიგა, რათა თავის ქალა გაეჩეჩქვათ ცხოველებისთვის, ბრძოლის ველზე თუ გაურჩდებოდნენ.

დიდ საბჭოს ჩამოართვა სპასალართა არჩევის უფლება. უხუცესებმა კანონი მოიშველიეს, მაგრამ ჰამილკარმა ნაიყრუა მათი საჩივარი. კრინტის დაძვრას ვერვინ ბედავდა, ყველა დამორჩილა მისმა მტკიცე ნებამ.

სპასპეტობა, საერო ხელისუფლება და მეჭურჭლეთუხუცესობა თავს იდო. ბრალი რომ არაფერში დასდებოდა, ხარჯთაღრიცხვა სუფეტ ჰანონს დააკისრა.

სიმაგრეების აგება დაიწყო და, ქვა რომ ეცოტავა, საშენი მასალისთვის ძველი უქმი შიდა კედლების ნგრევას შეუდგა. ტომობრივი სხვაობა მოსპო, მაგრამ ბედი კვლავ ამორიშორებდა დამარცხებულთა შთამომავალთ და გამარჯვებულთა ნაშიერთ. წარჩინებულნი ცოფს ყრიდნენ ნანგრევთა მოშლის გამო, მდაბიონი კი უნებურად სიამეს ეძლეოდნენ.

ქუჩებში დილიდან დაღამებამდე დაიარებოდნენ შეჭურვილი რაზმები. გაყიოდა ნალარა. ეტლებით გადაჰქონდათ ფარები, შუბები, კარვები; ეზოებში ქალები გამოფენილიყვნენ და საკარვე ხამს ხევდნენ. ერთმანეთისგან გადაედოთ დაუშომშინებელი აღმაფრენა. ჰამილკარი რესპუბლიკის სულად იქცა.

მეომრები წყვილ-წყვილად დაყო და ისე დაანყო, რომ სუსტებს ძალგულოვანნი ენაცვლებოდნენ, რათა ჯაბანნი და სულმოკლენი ბრძოლებში ნაცად ვაჟკაცებს შეეგულიანებინათ. სამი ათას ლიგურიელს რჩეული კართაგენელები დაუმატა და ოთხი ათას ოთხმოცდათექვსმეტი ქვეითისგან შემდგარი ერთი მწყობრი ძლივს შექმნა. მეომრები ბრინჯაოს ჩაჩქნებითა და იფნის თოთხმეტყრთიანი შუბებით შეაიარაღა.

სანდლებით ფეხშემოსილ ორი ათას ჭაბუკს შურდულები და ხანჯლები ჩამოურიგა. ამათ შემოუერთა მრგვალი ფარებითა და რომაული სატევრებით აღჭურვილი რვაასი მებრძოლი.

ცხენოსან სპას შეადგენდა ძველი ლეგიონიდან გადარჩნილი ათას ცხრაასი მხედარი, რომელთაც ოქროთი მოზარნიშული

ბრინჯაოს ბეგთარი ეცვათ ასურულ კლინაბართა მსგავსად. ამათ გარდა ჰამილკარს ჰყავდა ტყავის ტუნიკებითა და სინდიოფალას ბენვის ქუდებით დამოსილი ოთხასი ტარენტელი მოისარი მხედარი, ყოველ მათგანს ორლესური ჩუგლუგი ეპყრა. ქარავანთა უბნებიდან შემოიკრიბა ათას ორასი ზანგი. ისინი რბენაში ისე იყვნენ განაფული, რომ გაჭენებულ ბედაურს ფაფარში ჩაავლებდნენ ხელს და ფეხდაფეხ მისდევდნენ. ყველაფერი მზად იყო, ჰამილკარი მაინც ფეხს ითრევდა.

ლამდამობით კართაგენის ბჭეთაგან გავიდოდა ხოლმე მართოდმარტო, ტბას უკან მოიტოვებდა, მაკარის შესართავისკენ გასწევდა. ეგებ უნდოდა როქის სპას შეერთებოდა? მაპალებში დაბანაკებული ლიგურიელნი მის სასახლეს ერტყმოდნენ გარს.

დიდებულთა ეჭვი თითქოს გამართლდა. ერთ მშვენიერ დღეს სამასი ბარბაროსი მოადგა გალავანს და სუფეტიმა კარიბჭეები დახსნა. ესენი იყვნენ როქის სპის გამცემელნი, რომელთაც კაცმა არ იცის, შიშისა თუ ერთგულების გამო, მოაშურეს პატრონს.

ბარბაროსები არ გაუოცებია ჰამილკარის დაბრუნებას. სჯეუროდათ, რომ ამ კაცს სიკვდილი ვერას დააკლებდა. ფიქრობდნენ, დაბრუნდა, რათა დანაპირები შეასრულოსო. იმოდენა უფსკრული იყო სპასა და მამულს შორის, რომ მებრძოლთ ვერც კი წარმოედგინათ, რომ აღთქმულს არ მიუზღავდნენ. თავი არ მიაჩნდათ დამნაშავედ. ღრეობა აღარც ახსოვდათ.

შეპყრობილ მსტოვართაგან შეიტყვეს სიმართლე. ყველაზე გამძვინვარებულმა მებრძოლებმა დიდად განიხარეს. სხვანი, შედარებით გულგრილნიც კი, დაჩახმახდნენ. ორმა გარმოცვამ სული შეუხუთა მეომრებს. მოწყენლობას ვერსად გაექცნენ. არავითარი ძვრა! ცხარე ბრძოლა უფობდათ ამას! მობეზრდათ ერთ ადგილას ყურყუტი და გარეუბნებში იწყეს ხეტიალი. როცა შეიტყვეს, ჯარი საომრად იჭურვებო, სასწრაფოდ მოიყარეს თავი. მათო სიხარულით ხტოდა და გაყვიროდა: „როგორც იქნა, გვეშველა! როგორც იქნა!“

სალამბოზე გამწყრალმა ჰამილკარზე გადაიტანა ბოლმა. მათოს მძვინვარება გარკვეულ მსხვერპლს ითხოვდა. კართაგენელებთან შეტაკება შურისძიებას გაუადვილებდა. წარმოიდგინა, რომ უკვე მიუზლო მათ სამაგიერო და გულში სიამე ჩაედვარა. ამამალლებელმა და უნახესმა გრძნობამ შეიპყრო მათო, თან ძლიერი ვნება სწავდა, დროდადრო წარმოიდგენდა, მებრძოლ-

თა შორის როგორ ბოხოქრობდა და დაატარებდა შუბზე წამოცმულ თავს ჰამილკარისას. ზოგჯერ სალამბოს პალატში იყო პორფირის სარეცელთან; მკლავებში გამოემწყვდია ქალწული, სახეს უკოცნიდა, ეალერსებოდა მის ხშირ გიჟრის თმას. იცოდა, რომ განუხორციელებელი იყო ეს ოცნება და გული ეკუმშებოდა. დაიფიცა, შალიშიმობა თუ მიბოძეს, ომს ღირსეულად წარმართავო. გული უთქვამდა, რომ ვერ დაბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან და ამან კიდევ უფრო გაააფა მათო.

სპენდიუსთან მიიჭრა და უთხრა:

– ნაუძებ შენს ხალხს! ჩემს სპასაც გამოვიყვან! ოტარიდი გააფრთხილე! დავიღუპებით, ჰამილკარმა თუ დაგვასწრო! ადექი, გესმის?

სპენდიუსი გაოგნებული შეჰყურებდა. მათოს სიფიცხე მალე გაუნელდებოდა და ყოველთვის უჯერებდა ხოლმე სპენდიუსს, მაგრამ ამჯერად დამშვიდებული იყო და უფრო სასტიკიც ჩანდა. მის თვალებში სამსხვერპლოს ალივით კიაფობდა სიამაყე.

ბერძენმა ყური არ ათხოვა. სპენდიუსი მარგალიტის არშიამოვლებულ კარავში იყო დაბანაკებული, ვერცხლის სასმისით სვამდა გამაგრილებელ სასმელებს, კოტაბს თამაშობდა, თმა მოუშვა და მშვიდად იცდიდა. ამას გარდა, თანამზრახველები ეგულებოდა ქალაქში და ფეხის მოცვლა არ სურდა; დარწმუნებული იყო, რომ რამდენიმე დღეში გაულეზდნენ ქალაქის ბჭეებს.

ნარჰავასიც აქვე იყო. იგი სამ ლაშქარს შორის დაეხეტებოდა და ხან ერთის მხარეს იჭერდა, ხან მეორისას. მან კვერი დაუკრა სპენდიუსს და გაამტყუნა სიმამაცით გადიდგულებული ლიბიელი, რომელიც ალყის მოხსნას აპირებდა.

– მოგვმორდი, რაკი შიშით ძრწნი! – შეუყვირა მათომ, – კუპრს დაგვპირდი, გოგირდს, სპილოებს, ქვეით სპასა და ცხენოსნებს! სადაა მერე?!

ნარჰავასმა თავი იმართლა, – ჰანონის უკანასკნელი რაზმები მე გაეჟლიტე, სპილოთა მოსანადირებლად ხალხი მყავს დაგზავნილი ტყეებში, ქვეით ჯარს აღვჭურავ, ცხენები გზაშია უკვეო. ნუმიდიელმა ხელი გადაუსვა მხარზე დაფენილ სირაქლემას ფრთას, კოპნია ქალივით დააფახულა თვალები და გამალიზიანებლად გაიღიმა. მათომ პასუხი ვერ მონახა.

ვილაც უცნობი შემოვიდა კარავში. ოფლში ცურავდა. დაბნეული იყო, ფეხებიდან სისხლი მოასხამდა, სარტყელი გახსნოდა;

ჩამომხმარი მკერდი ძლივს უძლებდა ქოშინს. უცხო კილოზე ლაპარაკობდა, თვალებს ისე აბრიალებდა, რომ ბრძოლის ამბავს ყვებოდა ალბათ. ნუმიდიელთა მეფე ნამოიჭრა და თავის მხედრებს მოუხმო.

მას წრედ შემოერტყნენ მეომრები. ნარჰავასი ცხენს მოახტა, თავი ჩაქინდრა და ტუჩების კენჭთა იწყო. მერე თავისი ლაშქარი ორად გაყო; ერთ ნაწილს უბრძანა – დამელოდეთო, დანარჩენებს მედიდურად ანიშნა – მომყევითო და მთების მხარეს ცის დასალიერთან გაუჩინარდა.

– ბატონო! რალაც არ მეჭაშნიკება ეს უცნაური დამთხვევა, სუფეტი დაბრუნდა და ნარჰავასმაც მიგვატოვა. – ჩაილაპარაკა სპენდიუსმა.

– ეჰ, დიდი ამბავი! – გაგულისდა მათო.

მით უფრო გარდუვალი იყო ოტარიდს შეერთებოდნენ და დაესწროთ ჰამილკარისტვის. ალყა რომ მოეხსნათ, ქალაქის მკვიდრნი ზურგიდან შეუტევდნენ ბარბაროსებს, წინ კი კართაგენელები დაუხვდებოდნენ. დიდხანს იდავეს. ბოლოს, როგორც იქნა, მოითათბირეს და შეასრულეს კიდეც განზრახული.

სპენდიუსი ათას ხუთასი კაცის თანხლებით გაეშურა უტიკიდან სამი მილის დაშორებით მდინარე მაკარზე გადებული ხიდისკენ. ხიდის ოთხივე კუთხეში უშველებელი კოშკები აღმართეს და ფილაკვანებით გაამაგრეს. მორებით, კლდიდან ჩამონაშალი ღორლით, ქაცვიანი ჯაგებითა და ქვის ყორეებით ჩახერგეს მთებში ყველა ბილიკი და ღრანტი; მათათა თხემებზე თივა მოაქურჩეს სანიშნო კოცონებისთვის. აქა-იქ ჩააყენეს შორით თვალთვალში განაფული მწყემსები.

ჰამილკარი, რა თქმა უნდა, ჰანონივით არ შემოუვლიდა ცხელი წყაროების მთას. მიხვდებოდა, რომ ოტარიდი გზას გადაუჭრიდა. თავშივე განბილებული სუფეტი დაიღუპება უთუოდ! როქის სპა კვლავ შეერკინება პუნიკურ ლაშქარს, პირველი გამარჯვება შემდგომი წინსვლის საწინდარი იქნება! სუფეტს შეეძლო ვაზის კონცხზე დაბანაკება და იქიდან რომელიმე ქალაქისთვის შემოტევა. მაგრამ მაშინ ორ ლაშქარს შუა გამოემწყდებოდა; მას კი არც ისე მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა, რომ ასე წინდაუხედავად მოქცეულიყო. სხვა გზა არ იყო, არიანისკენ უნდა ჩასულიყო, მარცხნივ უნდა გაეხვია ხიდთან, სადაც მათო იყო ჩასაფრებული.

ლამით ჩირალდანთა შუქზე მათო თვალყურს ადევნებდა მინის მთხრელებს, ჰიპო-ზარიტში გარბოდა სამთო სამუშაოების დასახედავად და სულმოუთქმელად მოქროდა უკან. სპენდიუსი შენატროდა მის ამტანობას. აეშაგთა გაძლოლა, გუშაგთა შერჩევა, საბრძოლო მანქანების აწყობა და იარაღის წესრიგში მოყვანა სპენდიუსს ჰქონდა დაკისრებული. მათო მორჩილად უგონებდა მას. სალამბოს ხსენება შეწყვიტეს. ერთს აღარც ახსოვდა იგი, მეორეს რიდი აკავებდა.

მათო დაყიალებდა კართაგენის მხარეს, ცდილობდა ჰამილკარის ლაშქრისთვის მოეკრა თვალი. ცის კიდეც შეჰყურებდა. თავის ძარღვებში სისხლის ჩქერა სპის გუგუნად ერვენებოდა.

სპენდიუსს უთხრა, სამ დღეს კიდეც თუ არ გამოჩნდა ჰამილკარი, მთელი ჩემი ლაშქრით გავწევ მისკენ და შევბრძოლებიო. ორი დღე დაალამდათ. სპენდიუსი აკავებდა. მეექვსე დღეს მათო დაიძრა.

კართაგენელნი ბარბაროსებზე ნაკლებ როდი იყვნენ ომს მონყურებულნი. კარვებსა თუ სახლებში ყველა ერთი სურვილით იყო შეპყრობილი, ყველა ერთ წუხილს აეტანა. ჰამილკარის ზოზინმა შეაფიქრიანა კართაგენელები.

ხანდახან სუფეტი ემმუნის ტაძრის გუმბათზე ადიოდა, მხარში ამოუდგებოდა მემთვარიეს და ქარის მიმართულებას აკვირდებოდა.

ერთხელ, თიბის თვის მესამე დღეს, ჰამილკარი ჩქარი ნაბიჯით დაეშვა აკროპოლიდან. მაპალებში ყიჟინა დასცეს. უეცრად ქუჩებში ჩოჩქოლი ატყდა. ჭაბუკებს მკერდში ეკვროდნენ თვალცრემლიანი ქალები. მებრძოლნი აბჯარს ისხამდნენ, ქამონის მოედნისკენ ეშურებოდნენ და მწყობრში დგებოდნენ. არც ხმის გაცემა შეიძლებოდა მათთვის, არც გადევნება: სიმაგრეებთან მისვლაც აკრძალული იყო. რამდენიმე წუთს ქალაქში სამარისებური სიჩუმე იდგა. შუბდაბიჯებული მეომრები ფიქრს მისცემოდნენ, მათი მოკეთებები კი ოხრავდნენ სახლებში.

მზის ჩასვლისას დასავლის ბჭეთაგან დაიძრა ლაშქარი. იმის ნაცვლად, რომ ტუნისის გზას დასდგომოდა, ანდა უტიკის მიმართულებით მთა-მთა ევლო, ჯარი ზღვის ნაპირს გაუყვა.

მალე მებრძოლები ტბას მიადგნენ. სანაპიროზე მივიწყებული ვერცხლის უშველებელი ლანგრებივით ელვარებდნენ მარილით გადათეთრებული ტაფობები.

გზადაგზა გუბეები ხვდებოდათ. ფეხი ეფლობოდა ჭყანტობში. ჰამილკარს უკან არ მოუხედავს, ლაშქარს მიუძღოდა. გველშაპივით ყვითელი ფორეჯებით სხურებული მისი ულაცი ძლივს მიიკვლევდა შლამში გზას და აქაფებულ კვალს ტოვებდა უკან. შემოალამდათ. უმთვარო იყო ღამე. ზოგი ანუნუნდა, – ვილუპებითო. სუფეტმა იარალი აჰყარა მათ და ფარეშებს გადასცა. შლამმა იმატა. მეომრები საპალნეებზე შემოსხდნენ, ზოგი ცხენის კუდს ჩამოეკიდა. ძლიერნი ჯაბანთ მიათრევდნენ. ლიგურიელთა რაზმი ჰოროლის კვრით მიერეკებოდა ქვეით სპას. ღამე ჩაქუფრდა. ლაშქარი გზას ასცდა. ყველანი შედგნენ.

მონები დანინაურდნენ, რომ სუფეტის ბრძანებით აქა-იქ ჩასობილი საყეები მოენახათ. სიბნელეში გაკიოდნენ და სპა შორით მიჰყვებოდა მათ.

ბოლოს მყარი ნიადაგი იგრძნეს ფეხქვეშ. კუნაპეტ ღამეში ბუნდოვნად გამოინაკვთა მოთეთრო რკალი. ლაშქარი მაკარის ნაპირას აღმოჩნდა. ცეცხლი არ გაუჩაღებიათ, თუმცა სიცივე ძვალ-რბილში ატანდა.

შუალამისას გრიგალი ამოვარდა. ჰამილკარმა მეომრები გააღვიძებინა. ბუკისთვის არ ჩაუბერავთ, მეთაურებმა ჩამოუარეს მებრძოლებს და მხარზე ხელის დაკვრით ფეხზე დააყენს მთელი ლაშქარი.

ვილაც ახმახი მდინარეში შევიდა, წელამდე ძლივს მისწვდა წყალი. ფონს გასვლა შესაძლებელი იყო.

სუფეტმა ოცდათორმეტი სპილო ჩააყენა მდინარეში განდაგან, ერთმანეთისგან ასიოდ ნაბიჯის დაშორებით. დანარჩენი სპილოები ქვევით ჩაამწკრივეს წყალწალეულთა შესაჩერებლად. მთელმა სპამ თავზევით დაიჭირა იარალი და სპილოთა ორ ზღუდეს შორის გადასერა მდინარე მაკარი. ჰამილკარმა შენიშნა, რომ ზენა ქარმა ქვიშა ჩახვეტა კალაპოტში, მდინარე ჩახერგა და ბუნებრივი კაშხალი შექმნა.

სუფეტი უტიკის პირისპირ იდგა მაკარის მარცხენა ნაპირზე. გაშლილ ველზე ადვილი მოსახმარი იყო მისი ლაშქრის მთავარი ძალა – სპილოები.

მდინარეზე მშვიდობით გადასვლამ ფრთა შეასხა მებრძოლთ. სურდათ უმაღვე თავს დასხმოდნენ ბარბაროსებს.

მაგრამ ჰამილკარმა ორსაათიანი შესვენება ბრძანა. მზე რომ ამოიწვერა, საომრად დარაზმული ჯარი დაიძრა ველზე. წინ სპილოები მიუძღოდნენ ლაშქარს, ქვეითებს ცხენოსნები მიჰყვებოდნენ, უკან მწყობრი მიემართებოდა.

ხიდთან დაჯრილი ათას ხუთასი მებრძოლი და უტიკაში დაბანაკებული ბარბაროსები გაოცდნენ, როცა იხილეს მიწის ტორტმანი. ქარბუქმა კორიანტელი დააყენა. ქვევიდან ატაცებული მოთეთრო სილა უშველებელი ნაფლეთებივით ტრიალებდა ჰაერში და დაბლა ეშვებოდა. შემდეგ კვლავ ახვეტავდა ქარი ქვიმას და როქის სპისაგან ფარავდა პუნიკურ ლაშქარს. კართაგენელებს ჩაჩქნებზე რქები მიემაგრებინათ და ბარბაროსებს ეგონათ – ნახირი გვიახლოვდებაო. ზოგს ფრთების ცემად მოეჩვენა ლაბადების ფრიალი. ხოლო ისინი, ვისაც დედამიწის ზურგზე ბევრი ეხეტიალა, მხრებს იჩეჩავდნენ, – მოჩვენება ან წირი თუაო, – ამბობდნენ.

ამასობაში რალაც უცნაური და უსაშველოდ დიდი მოიწვედა წინ. ამონასუნთქივით მსუბუქი ორთქლი განეფინა უდაბნოს. მზე კარგა ამოწვერილიყო და აშუქებდა იქაურობას. მოფარფატე მკვეთრი ნათელი იღვრებოდა ზეცის სიღრმეში, საგნებს ბურავდა, აძნელებდა მანძილის თვალდათვალ შეტყობას. ვეებერთელა მინდორი გადაშლილიყო მზერამიუწვდომელ სივრცეში. მიწის ოდნავ შესამჩნევი რყევა აღწევდა ცის კიდემდე, სადაც ფართო ლურჯი ზოლი არშიასავით გასდევდა თვალსაწიერს. ყველამ იცოდა, რომ ზღვა იყო იქ. ბარბაროსთა ორივე ლაშქარი კარვებიდან გამოეფინა და მოფუთფუთე სივრცეს მიაჩერდა. უკეთ რომ დაენახათ, უტიკაში დაბანაკებულნი ყორეზე ძვრებოდნენ.

როგორც იქნა, გაარჩიეს წერტილებით მოწინკლული ერთმანეთის გადამკვეთი ზოლები, რომლებიც თანდათან იზრდებოდა და ფართოვდებოდა. რალაც მალალი და შავი მოიწწწოდა. უეცრად ოთხკუთხა ბუჩქები გამოჩნდა. ეს იყო ამოწვდილი მახვილები და სპილოები. „კართაგენელები!“ – ყველამ ერთხმად წამოიყვირა. უტიკასა და ხიდთან დაბანაკებული მეომრები ბუქისა და ბრძანების გარეშე არევ-დარეულნი გაექანნენ, რათა ერთად შესტაკებოდნენ ჰამილკარს.

მისი სახელის გაგონებაზე სპენდიუსი აცახცახდა.

– ჰამილკარი! ჰამილკარი! – იმეორებდა აქოშინებული, – გასაქცევი გზა არაა! სადაა ახლა მათო! რა ვქნა, რა ვიღონო?!

მოულოდნელმა თავდასხმამ და სუფეტის წინაშე ძრწოლამ სულით ხორცამდე ააფორიაქა იგი. აუცილებელი იყო სასწრაფო გადაწყვეტილების მიღება, – ამან მთლად გააოგნა სპენდიუსი. ხედავდა თავის თავს, ათასი მახვილით განგმირულს, თავმოკეთილს, მკვდარს. მაინც მას უხმობდა ლაშქარი. ოციათასიანი სპა მზად იყო მას გაჰყოლოდა. სპენდიუსი აღაშფოთა თავისმა სიმხდალემ, გამარჯვების იმედით გონს მოეგო და ნეტარების მოლოდინში ეპამინონდასზე უფრო სწორუპოვარ გმირად წარმოიდგინა თავი. გაფითრება რომ დაეფარა, ფერგამკრთალ ლოყებზე ჭიაფერი წაისვა; საბარკული შეიკრა, ბეგთარი შეიმოსა, ბარძიმი ღვინო გადაკრა და უტიკისკენ დაძრულ სპას გამოუდგა.

ორი ლაშქარი ისე მალე შეერწყა ერთმანეთს, რომ სუფეტმა ჯარის საომრად დაწყობა ვეღარ მოასწრო. ჰამილკარმა ნაბიჯს უკლო. სპილოები შედგნენ. ისინი მძიმედ იქნევდნენ სირაქლმას ფრთებით მორთულ თავებს და მხრებზე იცემდნენ ხორთუმებს.

სპილოებს შორის სიღრმეში ქვეითთა რაზმები მოჩანდა. უფრო შორს გაირჩეოდა კლინაბართა უშველებელი ჩაჩქნები, მზეზე მოელვარე სატევრები, თორნ-აბჯარი, ჯიღები და აფრიალებული ალმები. კართაგენელთა თერთმეტი ათას სამას ოთხმოცდათექვსმეტკაციანი ლაშქარი გვერდებში შემეჭიდრობულიყო და ოთხკუთხა გრძელ ზოლს ქმნიდა. ამიტომ ჯარი ძლივს იტევდა სპილოებს.

მათი სისუსტის ხილვაზე ბარბაროსები უნაპირო სიხარულს მიეცნენ. ისინი ხომ სამჯერ აღემატებოდნენ პუნიკურ ლაშქარს. ჰამილკარი არ ჩანდა. ეგებ დარჩა? თუმცა სულ ერთი არაა! ამ ჩარჩ-ვაჭრებისადმი ზიზღმა მთლად გააკაჟა როქის სპა, ვაჟკაცური ცეცხლი შეუნთო. სპენდიუსი ბრძანებას ვერ ასწრებდა, რომ მეომრები თავად ხვდებოდნენ საბრძოლო ფანდს და მოქმედებდნენ კიდეც.

ბარბაროსები გრძელ მწკრივად გაიშალნენ და პუნიკური ლაშქრის რიგებს გასცდნენ, რათა ერთიანად გარემოეცვათ იგი. მაგრამ სამასიოდ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდნენ კართაგენელებს, სპილოებმა შემოტევის ნაცვლად პირი უკან იბრუნეს; კლინაბარებმაც ზურგი შეაქციეს ბარბაროსებს და სპილოებს გაედევნენ. როქის სპის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მშვილდოსნებიც მათ გაჰყვნენ კვალდაკვალ. კართაგენელნი

ძრწიან, გარბიან, უკან იხევენ! ბარბაროსთა სპამ გამაყრუებელი ყიჟინა დასცა. ცალკუზა, ლურკან აქლემზე შემომჯდარი სპენდიუსი გაყვიროდა: „ოჰო, ასეც ველოდი! წინ გასნით, წინ!

უეცრად სეტყვასავით დაიძრა სათხედები, აღმოდებული ქეიბურები, შურდულებით განატყორცნი ქვეები. გავაში ისარგარჭობილი სპილოები გაცოფებულნი გარბოდნენ და მტვრის კორიანტელში ისე უჩინარდებოდნენ, როგორც აჩრდილები ღრუბლის ფთილებში.

შორიდან მოაღწია ლაშქრის გუგუნმა. იგი მალე ნალარის გამყივანმა მოძახილმა დაფარა. წინ განფენილი, ბულში გახვეული მოფუთფუთე სივრცე უფსკრულივით იზიდავდა ბარბაროსებს. ზოგი გადაეშვა კიდეც. გამოჩნდა მებრძოლთა მწყობრი რაზმები. ბარბაროსებმა დაინახეს, როგორ მორბოდნენ ქვეითნი, როგორ მოაგელვებდნენ რაშებს მხედრები.

ჰამილკარმა ჯარი ნაწილებად დაქსაქსა. სპილოებს, ქვეითებსა და მხედრებს შუალედებში უნდა გაეცლოთ და გვერდებიდან დასხმოდნენ მტერს. ისე კარგად გაითვალისწინა მათ შორის მანძილი, რომ, ვიდრე როქის სპა მიუახლოვდებოდა, კართაგენლთა ლაშქარი ერთ სწორ ხაზზე გამწკრივდა.

შუაში იდგა ყოველი მხრიდან თექვსმეტი-თექვსმეტი კაცი-საგან სწორკუთხედად შეკრული ყოლბი. აქა-იქ გამოშვერილ მახვილებს შორის მოჩანდნენ მწკრივთა მეთაურები. პირველ ექვს მწკრივში მებრძოლეს შუბები გადაეჯვარედიდნენ და ბუნისთვის შუაში ჩაეცლოთ ხელი. მომდევნო ათ რიგში მენინავეთა მხრებზე გაედოთ ჰოროლები და ისე მოაბიჯებდნენ. სახე ნახევრად დაფარული ჰქონდათ ჩაფხუტით, მარჯვენა ფეხზე ბრინჯაოს საბარკული ერტყათ, ცილინდრის ფორმის ვეება ფარები მუხლებამდე სწვდებოდათ. ოთხკუთხა მწყობრი ფეხშენწყობილად მოიწევდა წინ, მძვინვარე მხეცს ჰგავდა და მანქანასავით ზუსტად მოქმედებდა. სპილოთა ორი წყება გარს ერტყმოდა ყოლბს. სპილოები ზანტად შეირხეოდნენ ხოლმე და რუხ კანში ჩარჩენილ ისრის ნამტვრევებს იცილებდნენ. სპილოების ზურგზე თეთრი ფრთების კონებს შუა წამოსკუპული ინდოელები კაუჭიანი ჭოკით აკავებდნენ მათ. გოდლებში ჩამალული მოისრები ვეებერთელა მოზიდულ მშვილდთაგან ტყორცნიდნენ ქეიბურებს, რომელთაც აღმოდებული ძენძი ჰქონდათ შემობლარდნილი. სპილოების მარჯვნივ და მარცხნივ მოქროდნენ მეშურდულენი. თითო შურდული მხარიდლივ გადაეგდოთ

და თეძოზე სთრევდათ, მეორე თავზე დაემაგრებინათ, მესამე კი ხელში მოემარჯვებინათ. შემდეგ კლინაბარები მოემართებოდნენ. თითოეულ მათგანს ზანგი ამოსდგომოდა გვერდში; ლახვრები ცხენის ყურებს შორის ეჭირათ; ბედაურები ისევე იყვნენ ჩამსხდარნი ოქროში, როგორც მათი პატრონები. მოშორებით ცხენებს მოაჭენებდნენ მსუბუქად შეიარაღებული მხედრები. ფოცხვერის ტყავის ფარებიდან მოჩანდა ნამახული პირი მახვილისა, რომელიც მარცხენა ხელში ეპყრათ. ტარენტელები მოუძლოდნენ ერთმანეთს გადაბმულ ორ-ორ ბედაურს და ორივე კიდიდან ერთყმოდნენ მეზრძოლთა მტკიცე ზღუდეს.

კართაგენელთაგან განსხვავებით, ბარბაროსებმა ვერ შეინარჩუნეს წესრიგი. მეტისმეტად გაზიდული მწყობრი დაიტალღა და აქა-იქ გაითიშა. სირბილისაგან აქოშინებული მეომრები სულს ძლივს იბრუნებდნენ.

პუნიკური ლაშქარი ტორტმანითა და ლახვრის ძგერებით დაიდრა. ძლიერმა შემოტევამ შუაში გადრიკა ბარბაროსთა ისედაც შეთხელებული რიგები.

კართაგენის ჯარი გაიშალა მათ გარშემოსაცველად. სპილოები გამოეშურნენ. ნაფერდებული შუბებით გააპეს ბარბაროსები. ორად გაკვეთილი ლაშქარი ძრწოლამ აიტანა. შურდულისა თუ ისრის ტყორცნით კართაგენელები ფრთებისკენ მიერეკებოდნენ მათ. კართაგენელთა მოსაგერიებლად მხედრობა არ გასწვდათ. კლინაბართა მარჯვენა რაზმთან მორკინალი ორასი ნუმიდელის გარდა ყველა ცხენოსანი ხელფეხშეკრული აღმოჩნდა, ადგილიდან დაძვრაც კი ვერ შეძლეს. ხიფათი ელოდა როქის სპას. სასწრაფოდ უნდა ელონათ რამე.

სპენდიუსმა ბრძანა, ერთდროულად ორმხრივ შევეუტიოთ, ეგებ გასწვრივ გავკვეთოთ მტერი. მაგრამ ყველაზე ვიწრო მწკრივები გასრიალდნენ სიგრძივ გაზიდულ რიგებს შორის და აღრინდელ ადგილს დაუბრუნდნენ. კართაგენელთა ლაშქარი ახლა გვერდიდან შემოუბრუნდა ბარბაროსებს. იგი აქედანაც ისეთივე შიშისმგვრელი იყო, როგორც წინიდან.

როქის ლაშქარმა ლახვრები მოიმარჯვა, მაგრამ უკან შემომდგარი ცხენოსნები აფერხებდნენ, ბორკავდნენ მას. კართაგენელები სპილოებს ეყრდნობოდნენ. ისინი შემჭიდროვდნენ, მერე სიგრძივ გაიშალნენ; ხან ოთხკუთხად ეწყობოდნენ, ხან კონუსის, რომბის, ტრაპეციის, ხან კი პირამიდის ფორმას იღებდნენ. ორმაგი შინაგანი მოძრაობა განუწყვეტლივ გას-

დევდა მწყობრს ერთი ბოლოდან მეორემდე. უკან მდგომნი წინ მიიწევდნენ, წინამავალნი – დაკოდილნი და ილაჯგანყვეტილნი – უკან იხევდნენ. ბარბაროსებმა ფეხი ვერ მოიცვალეს. კართაგენელებმა გადათელეს ისინი. ბრძოლის ველი ჰგავდა უკიდევანოდ გადაშლილ ოკეანეს, რომელშიც აქა-იქ ტივტივებდა მენამული ჯილები და თევზის ქერეჭის მსგავსი ბრინჯაოს ჯავშანი; მოელვარე ფარები აქაფებული ვერცხლოვანი ნაკადის ზვირთებს წააგავდა. დროდადრო ერთი ბოლოდან მეორისკენ დაიძვროდა უშველებელი ტალღა და მერე კვლავ უკან მიედინებოდა. შუაგულში უძრავად რჩებოდა რალაც მძიმე მასა. ლახვრები გადაიხრებოდა და იმართებოდა. ისე გამალებით იქნევდნენ გაშიშვლებულ ხმლებს, რომ მხოლოდ მახვილის პირის გაელვებას თუ მოჰკრავდა კაცი თვალს. მხედართა ჯგუფები აპობდნენ წრეებს, რომლებიც უეცრად კვლავ იკვრებოდა მათ უკან.

ჰაერში მოზუზუნებდა ტყვიის ბირთვები და თიხის გუნდები, მეთაურთა ძახილს, ბუკის კვრასა და ქნარის გულისმომწყლველ ხმებს ფარავდა, თავის ქალას უპობდა და ტვინს ანთხევინებდა მებრძოლთ. დაჭრილნი ცალი ხელით ფარს იშველიებდნენ, მეორით დაბლა დაშვებული ხმლები ეჭირათ. ზოგი სისხლის გუბეში ეგდო და თავს აბრუნებდა, რათა ქუსლები დაეკბინა მტარვალთათვის. ისეთი ჩოჩქოლი იყო და ისეთი ბული იდგა, ძალლი პატრონს ვერ იცნობდა. ლაჩრებმა ტყვედ დანებება დააპირეს, მაგრამ დანარჩენებმა ყურიც კი არ ათხოვეს მათ. უიარაღო მეომრები შიშველი ხელებით ეძგერნენ ერთმანეთს. ტანი ტანს გადაეჯაჭვა, თორნ-აბჯარში გამომწყვდეული მკერდი მკერდს ეხეთქებოდა; უკან თავგადაგებული ცხედრებილა შერჩათ მებრძოლეს მკლავებში. ომბრიელთა სამოცკაციაანი რაზმი არ დაბნეულა, უდრეკი მეომრები კბილთა ღრჭნით შეებნენ მტერს და ზედიზედ უკუაქციეს ორი სინტაგმა. ეპირელი მწყემსები კლინაბართა მარცხენა რაზმისკენ გაცვივდნენ, ფაფარში ჩაავლეს ხელი მათს ცხენებს და კომბლები მოუქნიეს. ყალყზე შემდგარმა რაშებმა ძირს დაანარცხეს მხედრები და ველად გაიჯირითეს. თავგზაარეული მეშურდულენი გაიფანტნენ. მწყობრს რყევა დაეტყო, მეთაურები ანგარიშმიუცემლად დარბოდნენ, მუჯლუგუნს ჰკრავდნენ მებრძოლთ. ბარბაროსები მწყობრში დგებოდნენ, თავს იყრიდნენ, უკან ბრუნდებოდნენ. ძლევა მათ მხარეს გადაიხარა.

უეცრად შემზარავი კივილი, სალმობისა და რისხვის ხმა გაისმა. ორ მწკრივად ჩარიგებული სამოცდათორმეტი სპილო გამოქანდა. ჰამილკარმა შეიცადა და, როცა ბარბაროსები ერთად შეჯგუფდნენ, მაშინ მიუსია სპილოები. ინდოელი მარეკები ისე გააფთრებით ჩხვლელდნენ მათ, რომ საცოდავ ცხოველებს სისხლი წასკდათ უშველებელი ყურებიდან. სურინჯით შეფერილი წითელი ძლოკვების მსგავსი ხორთუმები აპრიხეს. ზურგზე თოქალთო და მკერდზე აკინაკი ჰქონდათ დამაგრებული; ხმალივით მოგრეხილ რკინის ზოდებს წაეგრძელებინა მათი ეშვები. სპილოები პილპილის, ღვინისა და გუნდუკის ნაზავით დაეთროთ, რათა მძვინვარება მომატებოდათ. მოეშურებოდნენ, აჟღრიალებდნენ შიბად ასხმულ ზანზალაკებს და ბრდღვინავდნენ. მარეკნი თავს დრეკდნენ გოდლებიდან ნატყორცნ ალმოდებულ ქეიბურთა სეტყვის ასაცილებლად.

უკეთ რომ გამკლავებოდნენ მტერს, ბარბაროსები ერთად დაჯრილნი ეკვეთნენ. გააგებული სპილოები შეიჭრნენ როქის სპის რიგებში. მათ სამკერდულებზე დამაგრებული საწერტელი ხომალდის ქიმივით აპობდა ლაშქარს. სპილოები ხორთუმებით აშთობდნენ მებრძოლთ; მიწიდან აიტაცებდნენ კაცს, თავზე გადაიტარებდნენ და გოდოლში მოკალათებულ მეომრებს აწვდიდნენ, ეშვებით ფატრავდნენ ბარბაროსებს და მალე ისროდნენ. გამოცვენილი ნაწლავები ანძაზე გამობმული ბაგირივით ეკონწიალებოდა სპილოთა ეშვებს. როქის მეომრები ცდილობდნენ თვალები დაეთხარათ, სახსრები გადაეჭრათ მათთვის. ზოგი სპილოს მუცელთან მიფორთხდებოდა, ვადამდე ატაკებდა მახვილს და ბოლოს მისი ფეხებით დაჯეკნილი ღაფავდა სულს. უფრო გაბედულნი ღვედებზე ჩამოეკიდნენ სპილოებს, აღმური ედებოდათ, ქვისა თუ ისრის წვიმა აწვიმდათ, მაინც განაგრძობდნენ ღვედების გადახერხვას და სპილოთა ზურგზე შედგმული ძეწნის ხუხულები შეუმტკიცავი ქვით ნაგები კოშკებივით ნაწილ-ნაწილ იშლებოდა. მარჯვენა კიდეში მომწყვდეული თოთხმეტი სპილო ჭრილობებმა გაახელა. ისინი შემობრუნდნენ და უკანა რიგი გადაქელეს. ინდოელებმა ურო და საჭრეთელი მოიმარჯვეს და სპილოებს მძლავრად ჩასცეს კეფაში.

ვეება ცხოველები შეტორტმანდნენ, ერთიმეორეზე იწყეს ცვენა და მალე გორა აღიმართა. ჯაჭვ-ჯავშნისა და ლემის ამ ზედახორაზე შედგა ერთი უშველებელი სპილო, „ბაალის რის-

ხვად“ ხმობილი; ფეხი ჯაჭვით დაბორკოდა, დაღამებამდე იყო ასე გაბაჯიჯებული, ცალ თვალში ისარჩასობილი და დრტვი-ნავდა.

სხვა სპილოები დამპყრობლებივით ხოცვა-ჟლეტით იკლავ-დნენ ჟინს, ყველაფერს თავქვე ამხოზდნენ, ფეხით თრგუნავ-დნენ, თელავდნენ; დაგეშილნი ეცნენ გვამებს, ნამუსრევს. ირ-გვლივ შემოსეული მეომრები რომ უკუეგდოთ, უკანა ფეხებს დაყრდნობოდნენ სპილოები და განუნწყვეტლივ ტრიალებდნენ, თან წინ მიინევდნენ. კართაგენელთ ძალა შეემატათ. ბრძოლა განახლდა.

ბარბაროსები შესუსტდნენ, ბერძენმა ჰოპლიტებმა იარაღი დაყარეს. ჯარი შიშმა აიტანა. მეომრებმა სპენდიუსს მოჰკრეს თვალი. ზურგში ორი ხანჯალი გაეყარა თავისი ღურკანი აქლე-მისთვის, ზედ გადამხოზოდა და მიერეკებოდა. მაშინ ყველანი ფრთებს მიანყდნენ და უტიკის მხარეს ქნეს პირი.

ცხენები ისე გაქაფულიყვნენ, რომ კლინაბარები აღარ დას-დევენებიან გაქცეულ ლაშქარს. წყურვილით განამებული ლი-გურიელები ყვირილით მიინევდნენ მდინარისაკენ. სინტაგმათა შორის გამომწყვდეულ კართაგენელებს ნაკლები ჭირი გარდახ-დათ. ისინი ფეხებს აბაკუნებდნენ, გულს აკლდათ, რომ შურის-გების შესაძლებლობა ეცლებოდათ ხელიდან, და მდევრად გა-მოუდგნენ როქის სპას.

ჰამილკარი გამოჩნდა.

სადავეებით იურვებდა ვერცხლის ავშარაამოდებულ თავის სხურებულ ულავს, რომელიც ოფლში ცურავდა. მუზარადის რქებზე მიმაგრებულ ფოჩებს აფრიალებდა უკან ქარი. მარც-ხენა თედოსთან თავისი ოვალური ფარი ჰქონდა. სამკაპა ჰორო-ლის ერთი შექნევით შეაჩერა სპა.

ტარენტელნი ელვის უსწრაფესად მოახტნენ მარქაფა ცხე-ნებს და მარჯვნივ და მარცხნივ, მდინარისა და ქალაქის მხარეს გაქუსლეს.

კართაგენელთა ლაშქარმა დაუბრკოლებლად გააცამტვერა მოსისხლე სპის ნაშთები. ხმალი რომ გაიელვებდა, ბარბაროსე-ბი თვალეზს ხუჭავდნენ და ყელს ახვედრებდნენ გამოსაღადრა-ვად. ზოგი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა თავს. ისინი ცოფიანი ძაღლებივით შორიდან ჩაქოლეს ქვით. ჰამილკარმა ბრძანა ტყვე წამოასხითო. მაგრამ მეზრძოლებს ისეთ სიამეს გვრიდა ბარბაროსთა სხეულში მახვილის ძგერება, რომ უჭირ-

დათ დაყაბულება. დასცხათ. აბჯარი შემოიძარცვეს და ველზე გასული მთიბავებივით იქნევდნენ ხმლებს. სულის მოსათქმელად შეჩერდნენ და თვალი გააყოლეს მხედარს, რომელიც რაშს მიაგელვებდა და ფეხდაფეხ მისდევდა გაქცეულ ჯარისკაცს. მალე წამოენია კიდეც, თმებში ჩაავლო ხელი, ერთხანს ასე ეჭირა, შემდეგ ჩუგლუგით წააგდებინა თავი.

ლამე ჩამოწვა. ბნელმა შთანთქა ორივე ლაშქარი. შორს, თვალსაწიერთან, გაქცეული სპილოები დაბორიალებდნენ. გოდლები ხრჩოლავდა. აღმოდებული სპილოები მრუმეში აქა-იქ გაიელვებდნენ სქელ ნისლში მბჟუტავი შუქურებივით. ველზე არაფერი იძვროდა. მდინარე ჩქეფდა მხოლოდ, მოკლულთა გვამებისგან ადიდებულიყო და ზღვაში მიეზიდებოდა ნადავლს.

ორ საათს შემდგომ მათოც გამოჩნდა. ვარსკვლავთა შუქზე გაარჩია მიწაზე წაწოლილი, სიგრძივ გაზიდული უთანაბრო გროვები.

ეს ბარბაროსთა სპა იყო. დაიხარა. ყველა დახოცილი იყო. ხმამაღლა შესძახა. არვინ გამოხმაურებია.

მათო ჰიპო-ზარიტიდან ალიონზე გამოემართა თავისი ლაშქარიანად, რათა თავს დასხმოდა კართაგენს. სპენდიუსის ჯარს მიეტოვებინა უტიკა და ქალაქის მკიდრნი სააღყო მანქანების დანვას შესდგომოდნენ. ყველა თავგანწირვით იბრძოდა. ხიდიდან მოღწეულმა ღრიანცელმა უცნაურად იმატა. მათო უმოკლესი გზით მთა-მთა დაიძრა. ბარბაროსები ველით იხევდნენ და ამიტომ არავინ შემოჰყრია გზად.

მის წინ ბნელში გამოიკვეთა პატარა პირამიდის მსგავსი ჩრდილები. დაბლა, მდინარის გაღმა, კოცონებს მოჰკრა თვალი. როგორც ჩანდა, კართაგენელები ხიდს უკან დაბანაკებულიყვნენ და ბარბაროსთა გასაცრუებლად სუფეტს მეორე ნაპირზე გაემართა საგუშაგოები.

მათო შეუსვენებლევ მიიწევდა წინ. მოეჩვენა, თითქოს პუნიკური აღმებიც გაარჩია. შუბის ბუნებზე წამოცმული ცხენის თავებიც გამოჩნდა, ბუნი არ ჩანდა და თავები უძრავად იყო გამოკიდებული ჰაერში. შორიდან აღწევდა ბუბუნი, ისმოდა ტკბილი დვრინი და სასმისთა ჭახუნი.

მათო ვერ მიმხვდარიყო, სად იყო ან როგორ მოეძია სპენდიუსი. სევდა შემოაწვა, შეძრწუნდა, უკუნეთ ბნელში იყო ჩა-

კარგული, პირი იბრუნა და იმავე გზას დაადგა, რომლითაც მოვიდა. ირიჟრაჟა. მთის თხემიდან მათომ ქალაქი დაინახა. ჩამწვარ-ჩანახშირებული საალყო მანქანები გოლიათების ჩონჩხებივით მიყრდნობოდნენ გალავანს.

ყველანი გატრუნულიყვნენ, ღონემიხდილნი იყვნენ და ისვენებდნენ. კარვებთან მებრძოლებს შორის პირალმა გაშხლართულიყვნენ ნახევრად შიშველი კაცები და ეძინათ. ზოგს სასთუმლად აბჯარი ამოედო და ხელებში ჩაერგო თავი; ზოგი სისხლში გათხვრილ ფეხსახვევებს იძრობდა. მომაკვდავნი თავს იქნევდნენ, დაჭრილები ძლივს მიხანხალებდნენ მათთვის წყლის მოსატანად. საცალფეხო ბილიკებზე ბოლთას სცემდნენ გათოშილი გუშაგები, რომ ოდნავ მაინც შემთბარიყვნენ, ანდა იდგნენ და ცისკიდურს გასცქეროდნენ. მხარზე შუბები გაედოთ, სასტიკი იერი ჰქონდათ.

ორ ლატანზე გადაჭიმული კარვის ნახევის ქვეშ მიაგნო მათომ სპენდიუსს, ხელები მუხლებზე შემოეწყო და თავი ჩაექინდრა.

კარგა ხანს კრინტი არ დაუძრავთ.

ბოლოს მათომ წაილულლულა:

– დაგვამარცხეს!

სპენდიუსმა მოგუდული ხმით უგემურად მიუგო:

– ჰო, დაგვამარცხეს!

ყველა დანარჩენი შეკითხვაზე სასონარკვეთილი იქნევდა თავს.

ისმოდა ოხვრა და ხროტინი. მათომ კარვის ნახევი გადასწია. მებრძოლთა დანახვაზე მოაგონდა ამავე ადგილას მომხდარი მეორე უბედურება. კბილთა ღრჭენით ეცა სპენდიუსს:

– უბადრუკო! ერთხელ უკვე ხომ...

სპენდიუსმა გააწყვეტინა:

– არც მაშინ იყავ აქ.

– ღვთის რისხვაა სწორედ! – დაიღრიალა მათომ, – ბოლოს და ბოლოს მოვიხელთებ სადმე! დაეჯაბნი! მოვკლავ! ეჰ, ნეტავ აქ ეყოფილიყავ! – უნებურად ბრძოლას რომ გაერიდა, დამარცხებაზე მეტად ეს უმღვრევდა გულს.

– არა, მაინც კართაგენელებმა როგორ გვაჯობეს?!

მონაყოფილმა ბრძოლის მსვლელობა მოუთხრო. მათო შფოთავდა, თითქოს თვალნათლივ ხედავდა ყოველივეს. უტიკის ლაშქარს ხიდისკენ გაქცევის ნაცვლად უკნიდან უნდა შემოეწლო ჰამილკარისტვის.

– ეჰ, ვიცი. – უპასუხებდა სპენდიუსი.

– მწყობრის სიღრმე უნდა გაგედიდებინა, ქვეითი არ უნდა გადაგესროლა განზე. ამით ხომ გზა დაუცალეთ სპილოებს?! უკანასკნელ წუთსაც კი შეიძლებოდა ყველაფრის გამოსწორება. რა ძალა გადგათ, რომ მოკურცხლეთ!

– იგი ვიხილე, – მიუგო სპენდიუსმა, – წითელი მოსასხამი ებურა. ხელები ზეაღაპყრო, მტვრის კორიანტელში გამოიკვეთა. არწივს ჰგავდა, ლაშქართა ყოლბის გასწვრივ ირაოს სცემდა თითქოს. მისი თავის გაქნევაზე სპა იჯრებოდა და გვეკვეთებოდა. ჯარმა გადაგვექელა, ერთმანეთს შეგვატაკა. ჰამილკარმა შემომხედა და გული გამეყინა, თითქოს სატევარი გამიყარესო.

– განგებ თუ შეარჩია ეს დღე, – წაიჩურჩულა მათომ.

ბაასობდნენ, ცდილობდნენ მიმხვდარიყვნენ, ასეთ ცუდ პირობებში რატომ დაიძრა ჰამილკარი. დანაშაულის შესარბილებლად და თავის გასამხნეველად სპენდიუსმა განაცხადა – იმედი მთლად არ დამწურვიაო.

– კიდევ რომ დაგწურვოდეს, მე რა მენალვლება! – შესძახა მათომ, – იცოდე, მარტოდმარტო განვაგრძობ ბრძოლას.

– მეც! – წამოიჭრა ბერძენი. დააბოტებდა, თვალები აუციმციმდა, უცნაურად გაიღიმა და ტურასავით გაურისინდა სახე.

– თავიდან დავიწყოთ, ნუ მომიცილებ! თაკარა მზეში საომრად არ ვვარგივარ, მახვილთა ელვარება თვალს მჭრის; სენით ვარ შეპყრობილი, დიდხანს ვეგდე დილეგში. მაგრამ, აბა, კუნაპეტ ღამეში მიმიშვი, როგორ ავცოცდე გალავანზე! ციხესიმაგრეებში შევალწევ, მამლის ყივილამდე ამოვფუფავ ყველას! ოღონდ მანიშნე ვინმე ან რამე, მოსისხლე მტერი, თუნდ განძი და, თუ გინდა, ქალი, – გაიმეორა, – ქალი! უფლისწულიც რომ იყოს, ფერხთით გაგიგებ შენს სასურველს. ჰანონთან მარცხს მაყვედრი. აკი მივუზღე სამაგიერო! გამოტყდი! განა ჩემი კოლტი ღორისა სპარტელთა მთელ სპაზე მეტად არ წავგადგა! – აჰყვა განდიდების სურვილს და თავისი თავის შესაგულიანებლად წვლილად ჩამოთვალა, როქის სპისთვის რაც სამსახური გაენია. – სუფუტის ბაღნარში მე უკუვაგდე გალი! მოგვიანებით სიკაში ლაშქარი ავამხედრე რესპუბლიკის შიშის გამხელით! გისკონმა დაითხოვა მეომრები, მაგრამ მე არ დავანებე ლაპარაკი თარჯიმნებს. არადა, როგორ ჰქონდათ ენა წავდებულნი! ხომ გახსოვს?! კართაგენში შეგიძელ! ზაიმფი მოგატაცებინე, მასთანაც

მე შეგაპარე! კიდევ მეტს ვიქმ, აი, ნახავ! – სპენდიუსმა შეშლილივით გადაიხარხარა.

მათო თვალდაჭყეტილი შეჰყურებდა, უმძიმდა ასეთ ჯაბან და თან საშიშ კაცთან სიახლოვე.

ბერძენმა თითები გაატკაცუნა და ლალად განაგრძო:

– ევოე! ავდარს დარი მოსდევს. ხან ქვისსამტეხლოებში ვღვრიდი ოფლს, ხან კი საკუთარ ხომალდში ოქროს ჩარდახ-ქვეშ ვსვამდი მასიკს, თითქოს ერთი პტოლემეთაგანი ვყოფილიყავ. გასაჭირი ამტანობას გვმატებს. ჩვენი ძალისხმევა ბედისწერას ცვილივით მოქნის, მას გამონრთობილი ხალხი უყვარს და უკან დაიხევს!

მათოს მიუახლოვდა და ხელი ჩასჭიდა.

– პატრონო, კართაგენელები დაჯერებულნი არიან გამარჯვებაში. შენს სპას ჯერ არ უოშია. შენი მებრძოლეები გაგიგონებენ. დასძარი ისინი! ჩემებიც გამოგყვებიან სამაგიეროს საზღვევად. სამი ათასი კარიელი და ათას ორასი მეშურდულე შემრჩა. მოისარნიც მრავლად მყვანან! მოვბრუნდეთ, მწყობრის შექმნა შეგვიძლია!

მარცხით თავზარდაცემულ მათოს ჯერ ვერაფერი ელონა, პირდაბჩენილი უსმენდა სპენდიუსს, მკერდზე შემოჭდობილი ბრინჯაოს თორნი იდრიკებოდა მისი გულის ძგერაზე. ხმალი იშიშვლა და დაიგრგვინა:

– მომყევი!

მობრუნებულმა მაცნეებმა ამბავი მოიტანეს, კართაგენელებს დახოცილები აუკრეფიათ, ხიდი დაუნგრევიათ, თავად ჰამილკარი კი არსად ჩანსო.



თავი მეცხრე

ლაშქრობა

ჰამილკარი ვარაუდობდა, რომ როქის სპა ან უტიკაში უდარაჯდებოდა, ან ხელახლა შემოუტევდა. თავისი ძალები ეცოტავა. არც თავდასხმისთვის მიაჩნდა საკმარად და არც მტრის მოსაგერიებლად. მოულოდნელი იერიშისგან რომ დაეზღვია თავი, სამხრეთით გასწია და მდინარის მარჯვენა ნაპირს გაუყვა.

მოსახლეობისგან ბარბაროსთა გათიშვა სურდა, ამიტომ ყურადღება არ მიაქცია ხალხის შფოთს. მთავარია, გარეუბნებში გაიტყუოს და გარიყოს როქის სპა, მერე თავს დაეცემა და ერთიანად მოსრავს.

ორ კვირაში დააშოშმინა ტუქაბერსა და უტიკას შუა მომწყვდეული უბნები; დააზავა ტანიქაბაბი, ტუსურაჰი, გაქა და კიდეც დასავლეთის სხვა ქალაქები. შემოიმტკიცა მთებში გაშენებული ზუნგარი, თავისი ტაძრით განთქმული ასური და ტვიით ნაყოფიერი ჯერაადო. დაბებმა – თაპიტისმა და ჰაგურმა – დესპანი გამოუგზავნეს სუფეტს. სოფლებიდან გლეხკაცები გამოეგებნენ ჰამილკარს, საჭმელ-სასმელს სთავაზობდნენ, ემუდარებოდნენ – დაგვიფარეო; ბარბაროსთა ძვირის ხსენებაში იყვნენ და ფეხებს უკოცნიდნენ სუფეტსაც და მის მეომრებსაც. ზოგს ბარბაროსთა თავებით დატენილი ტომრები მოჰქონდა, ირწმუნებოდნენ – ჩვენი დახოცილიაო, ნამდვილად კი გვამებს დააყრვეინეს თავები. გაქცეულ ბარბაროსებს გზა დაბნეოდათ. ნანწალში აქა-იქ ჩამკვდარიყვნენ და მოსახლეობა ზეთისხილის ქალებსა თუ ზვრებში პოულობდა ცხედრებს.

ხალხის გასაოცებლად ჰამილკარმა გამარჯვების მეორე დღესვე ბრძოლის ველზე ხელში ჩაგდებული ორი ათასი ტყვე გაგზავნა კართაგენში. ისინი ას-ას კაციან გრძელ მწკრივებად ჩარიგებულნი მიდიოდნენ. ზურგზე გადებული ბრინჯაოს

კვერთხი, რომლებზედაც ხელები ჰქონდათ გაკრული, ქედზე ებჯინებოდათ. სისხლჩამომდინარე დაჭრილები ძლივს მილასლასებდნენ. უკან მხედრობა მიჰყვებოდა და მათრახის ცემით მიერეკებოდა მათ.

კართაგენი სიხარულმა აიტანა. ხმა დაირხა, ექვსი ათასი ბარბაროსი აღარაა ცოცხალთა შორის, დანარჩენები დიდხანს ვერ გაგვიმკლავდებიან, ომი დასრულებულიაო. ქუჩებში გამოფენილი ხალხი ერთმანეთს ეხვეოდა. პატეკ ღმერთთა სახეები ერბოთი და დარიჩინით შეთითხნეს მაღლიერების ნიშნად. თვალეზადმოკარკლულ, ღიპიან და მკლავებგაშლილ კერპებს სიცოცხლე შემატა ახალმა საღებავმა, თითქოს მათაც წილი ედოთ ერის სიხარულში. შეძლებულებმა სახლის კარები დააღეს. ტაძრები მთელ ღამეს გაჩირაღდებული იყო. ქალღმერთის მსახურნი მალქაში ჩამოვიდნენ, მებოძირებზე ნეკერჩხლის კვარცხლბეკები აღმართეს და სახელდახელოდ გამართულ ამ სარეცლებზე ავხორცობდნენ. გამარჯვებულებს მიწები დაურიგეს, მსხვერპლს სწირავდნენ მელქარტს. მოსახლეობამ სამასი ოქროს გვირგვინი მიართვა სუფეტს. ბარკას თანამზრახველები უფრო მეტი პატივის მიზღვას ცდილობდნენ მისთვის.

ჰამილკარმა უხუცესები წააქეზა, რომ ოტარიდთან ეთათბირათ და ყველა ტყვე ბარბაროსი გაეცვალათ კართაგენელებზე. ოტარიდის მოლაშქრე ლიბიელები და მომთაბარენი ხეირიანად არც კი იცნობდნენ იტალიელ თუ ბერძენ მეომრებს. რაკი რესპუბლიკამ უამრავი ტყვე შეაძლია სამუქფოდ ასე ცოტა კართაგენელში, მათ დაასკვნეს – ჩვენი მებრძოლები უვარგისნი არიან, კართაგენელ ტყვეებს კი განუზომელი ფასი ადევთო, და ოტარიდმა მახეში გაბმას უარი არჩია.

მაშინ უხუცესებმა ტყვეთა დასჯა გადაწყვიტეს, თუმცა სუფეტი უსტარით იტყობინებოდა, ტყვეებს ნუ დახოცავთო: თავის ლაშქარში უნდოდა რჩეულთა მიღება და მერე მათი საშუალებით დანარჩენ ბარბაროსთა გადაბირებას აპირებდა, მაგრამ საერთო სიძულვილმა ჩაუშალა თადარიგი.

ორი ათასი ტყვე ბარბაროსი მაჰალეზში წაასხეს და საფლავის ქვებს მიაბანრეს. მოვაჭრენი, მზარეულები, ოქრომკედის ოსტატნი, დიაცნი, ბალღებიანი ქვრივები – ყველა, ვისაც კი სურდა, მიიქაროდა ტყვეთათვის ისრის სასროლად. ზოზონით უმიზნებდნენ, მშვილდს ასწევ-დასწევდნენ, რათა გაეხანგრძლივებინათ მათი წამება. ბრბო იჯგვლიმებოდა და ღრიალებდა.

ჯალამბრებით მოჰყავდათ დაუძლურებულნი. ზოგს საგზალი წამოეღო და დაღამებამდე ფეხს არ იცვლიდა. ბევრი აქვე ათევდა ღამეს. სახელდახელოდ გაშლილ კარვებში თვრებოდნენ. ზოგმა კაიძალი ფული მოხვეტა მშვილდის გაქირავებით.

ჯვარცმულები არ ჩამოუხსნიათ და საფლავებზე წითელი ქანდაკებებით აღმართულიყვნენ ცხედრები. აღტყინებამ მალქის მკვიდრნიც მოიცვა. ისინი ადგილობრივი მოსახლეობის ნაშიერნი იყვნენ და მამულიშვილობას მაინცდამაინც არ იჩემებდნენ, მაგრამ ისე მაღლიერნი იყვნენ ტყვეთა მარტვილობით მონიჭებული სიამისთვის, რომ თავი პუნიკელებად ჩათვალეს და სამშობლოს ბედით დაინტერესდნენ. უხუცესები კმაყოფილნი დარჩნენ, შურისგებად რომ შეადულაბა ხალხი.

ღმერთების წყალობაც არ დაჰკლებიათ. ცის ყოველი კიდიდან მოეშურებოდნენ ყორნები და უხიაგი ყრანტალით სერავდნენ ჰაერს. ზეცა დაფარა ყორანთა მოფუთფუთე ღრუბელმა, რომელიც კლიპეიდან, რჰადესიდან და ჰერმეუმის კონცხიდან მოჩანდა. დროდადრო ღრუბელი იძენძებოდა და შორს მიმოფანტავდა შავ ხვეულებს. ეს იყო მაშინ, როცა არწივი შეითარეშებდა ყორანთა გუნდში. ტერასებზე, გუმბათებზე, ობელისკებსა თუ ტაძრის შუბლანებზე აქა-იქ შემომსხდარიყვნენ უშველებელი ფრინველები, გასისხლიანებულ ნისკარტში ადამიანის სხეულის ნაფლეთები გაეჩარათ.

კართაგენელები იძლებულნი შეიქნენ ჩამოეხსნათ აყროლებული გვამები. ზოგი ცეცხლს მისცეს, ზოგს ზღვაში გადაუძახეს და ზენაქარმა ყურის კიდეში, ოტარიდის ბანაკისკენ გარიყა ცხედრები.

ასეთმა სისასტიკემ, როგორც ჩანს, შეაძრწუნა ბარბაროსები. ეშმუნის ტაძრის გუმბათიდან ჩანდა, როგორ აკრიფეს კარვები, ფარას თავი მოუყარეს, საპალნე აჰკიდეს სახედრებს და იმავ საღამოს მთელი სპა გაეცალა იქაურობას.

ცხელი წყაროების მთასა და ჰიპო-ზარიტს შორის მომწყვდეული ლაშქარი ტვიროსის ქალაქებისკენ გზას გადაუკეტავდა სუფეტს, თავად კი კართაგენში დასაბრუნებელი გზა ხსნილი ექნებოდა.

ამასობაში დარჩენილი ორი ლაშქარი შეეცდებოდა სამხრეთის მხრიდან თავს წასდგომოდა ჰამილკარს; სპენდიუსი აღმო-

სავლეთიდან შემოუტევდა, მათო – დასავლეთიდან; სამივენი შეერთდებოდნენ და ხელში ჩაიგდებდნენ მას. ბარბაროსებს მოულოდნელად ახალი ძალა შეემატათ: ნარჰავასი გამოჩნდა კუპრით დატვირთული სამასი აქლემით, ოცდახუთი სპილოთი და ექვსი ათასი მხედრით.

როქის სპის შესასუსტებლად სუფეტმა საჭიროდ მიიჩნია ნარჰავასის სამფლობელოში შფოთის ჩამოგდება. მან კართაგენიდან პირი შეკრა გუტულიელ აბრაგ მასლაბასთან, რომელიც ძალაუფლებას ეძიებდა. პუნიკური თეთრის გაღებით ამბოხი ატეხა ნუმიდიელთა სამეფოში და თავისუფლება აღუთქვა მკვიდრთ. მაგრამ ნარჰავასი ძუძუმტემ გააფრთხილა. ნუმიდიელთა მეფემ სირტისკენ გასწია, წყალსატევის მოწამლვით განწყვიტა გამარჯვებულნი, ზოგს თავები დააყრევინა, წესრიგი აღადგინა და ჰამილკარზე ისე განრისხდა, რომ ბარბაროსთა მძვინვარებას წააჭარბა.

ოთხი ლაშქრის სპასპეტები ბჭობდნენ ბრძოლის მსვლელობაზე. ომი ხანგრძლივი იქნებოდა. საჭირო იყო ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა.

ჯერ გადაწყვიტეს შველა ეთხოვათ რომაელთათვის და სპენდიუსს დააკისრეს ნათათბირევის სისრულეში მოყვანა, მაგრამ იგი რომაელთაგან იყო გადმოხვენილი და ვერ იტვირთა შუამავლობა. ბერძნული ახალშენების თორმეტმა მკვიდრმა ნუმიდიური ორჩხომელით გაცურა ანაბისაკენ. სპასალარებმა მოითხოვეს, რომ თითოეულ ბარბაროსს ფიცით აღეთქვა სრული მორჩილება. მეთაურები ტანსაცმელსა და ხამლს ყოველდღე უსინჯავდნენ მეომრებს. გუშაგებს ფარის ტარება აუკრძალეს, რადგან ისინი ლახვრებს ეყრდნობოდნენ ხოლმე ფარებით და ზეზეურად თვლემდნენ. ვისაც ბარგი ჰქონდა, ჩამოართვეს. რომაული წესისამებრ, მებრძოლეს ზურგით უნდა ეზიდათ ტვირთი. ჰამილკარის სპილოთა სანაცვლოდ მათომ კატაფრაქტების რაზმი შეადგინა; ცხენსა და მხედარს – ორივეს სამსჭვალჩასობილი ჰიპოპოტამის ტყავის ჯავშანი ესხათ. ფლოქეების დასაცავად ცხრატყავათი მოწნული ხამლი ჩააცვეს ბედაურებს.

აკრძალული იყო გარეუბანთა ძარცვა და მოსახლეობის წამება. ხორაგი გათავდა. მათომ ბრძანა სურსათი ჯარისკაცებისთვის გაენაწილებინათ დიაცთა ჩაუთვლელად. აქამდე მათაც არგუნებდნენ ხოლმე წილს. უჭმელობამ დააძაბუნა ისინი, გა-

ნუნყვეტელი დავისა და უსიამოვნების საბაზად იქცა ეს ამბავი. ზოგმა თავისი არჩივის განაწილებით ან დაპირებით გადაიბირა თანამებრძოლის გულისსწორი. მაშინ მათომ ბრძანა დიაცთა გაძევება. ქალები ოტარიდის ბანაკს მიაწყდნენ, მაგრამ გალებმა და ლიბიელებმა შეურაცხყვეს ისინი და აიძულეს აქედანაც გაქცეულიყვნენ.

ბოლოს კართაგენის გალავანს მიაშურეს ქალებმა. სირაკუზის გარემოცვის დროს ჩადენილ ბოროტებათა გამოსასყიდად ბირსაში აგებული იყო ტაძარი, რომელშიაც ცერერასა და პროზერპინასთვის შეწირული ქურუმი ქალები ცხოვრობდნენ. ამიტომ ბარბაროსთაგან ლტოლვილი დიაცები ამ ქალღმერთებს ევედრებოდნენ წყალობას. ნაალაფარზე უფლებამოსილმა სისიტებმა გასაყიდად გამოითხოვეს ყველაზე ახალგაზრდები. კართაგენის ახალმა მკვიდრებმა ქერათმიანი, პირთეთრი ლაქედმონიელი ასულები აირჩიეს ცოლებად.

ზოგი ჯიუტად ფეხდაფეხ აედევნა სპას. ქალები სინტაგმების შორიახლო, მეთაურთა გვერდით გარბოდნენ, უხმობდნენ თანამეცხედრეთ, ლაბადაში ხელს წაატანდნენ და თავისკენ ეზიდებოდნენ, მკერდში მჯილს იცემდნენ, შიშველ ძუძუთა ბალებს უწვდიდნენ. ამ სანახაობამ გული მოუღბო ბარბაროსთ. მაგრამ რა გაეწყობოდა, ქალები ბორკავდნენ, დაღუპვას უქადდნენ როქის სპას. რამდენჯერმე უბიძგეს მათ. ისინი მაინც უკან ბრუნდებოდნენ. მათომ ნარჰავასის მხედრებს დიაცთათვის ლახვრის ძგერება უბრძანა და, როცა ბალეარელნი აყვირდნენ – ქალები გვინდაო, – „მე არა მყავს ქალი!“ – მიუგო პასუხად.

მოლოქის სული დაეუფლა მათოს, სინდისის ქენჯნის მიუხედავად, საშინელ სისასტიკეს იჩენდა. ეგონა, რომ ღვთის ნებას ასრულებდა. ქვეყნის იავარქმნა რომ ვერ შეძლო, ქვებით დაფარა მიწდვრები, რათა უდაბნოდ ექცია ეს მხარე.

ზედიზედ აფრინა ფაიქები ოტარიდისა და სპენდიუსის დასაჩქარებლად. სუფეტის გეგმა ვერასგზით ვერ განჭვრიტეს. იგი არხეინად დაბანაკდა ეიდუსსა, მონშარსა და ტეჰენტაში. მსტოვრები ირწმუნებოდნენ – ჰამილკარს იშილიის მიდამოებში, ნარჰავასის სამფლობელოს საზღვრებთან მოვკარით თვალიო. შემდეგ შეიტყვეს, ტუბურბას ზემოთ მდინარე გადაულახავს და კართაგენში დაბრუნებას აპირებსო. ერთ ადგილს მისული არ იყო, რომ უკვე მეორეზე ინაცვლებდა. მისი ასავალ-

დასავალი კაციშვილმა არ იცოდა. სუფეტი უომრადაც ინარჩუნებდა უპირატესობას, ბარბაროსთაგან დევნილი თითქოს უძლოდა მათვე.

წინ და უკან ამდენმა ხეტიალმა მოღალა კართაგენელები. ჰამილკარის განუახლებელი ძალები დღითიდღე კლებულობდა. სოფლელებს ძველებურად როდი ეხალისებოდათ ჯარის დაპურება. ყოყმანსა და ფარულ სიძულვილს აწყდებოდა ყველგან სუფეტი. დიდ საბჭოს შველა სთხოვა, მაგრამ კართაგენიდან დახმარება არ ჩანდა.

ამბობდნენ (და ვინ იცის, ეგებ ასეც ეგონათ), ჰამილკარს მხარში ამოდგომა არ სჭირდება, თვალთმაქცობს, ტყუილად წუნუნებსო. ჰანონის მომხრეებს სურდათ ევნოთ სუფეტისთვის და გააზვიადეს მისი გამარჯვების მნიშვნელობა. კართაგენი მზად იყო გაენირა მთელი ლაშქარი, რომელსაც ჰამილკარი სარდლობდა, მაგრამ მისი უთავბოლო მოთხოვნების აყოლა აღარ შეეძლო. ომი მძიმე ტვირთად აწვა კართაგენს! ძვირად დაუჯდათ სისხლის ღვრა და ჰამილკარის თანამზრახველი დიდებულები მხოლოდ სიამაყის გამო ცალყბად უჭერდნენ მას მხარს.

რესპუბლიკისგან იმედდანურულმა ჰამილკარმა ძალადობით მოიხვეჭა მეზობელი ტომებისგან ყველაფერი, რაც კი ბრძოლისათვის სჭირდებოდა: მარცვლეული თუ ერბო, ხე-ტყე, საქონელი თუ მეომრები. მოსახლეობა გაიხიზნა. დაცარიელებული დაბები ხვდებოდათ. ქოხებს ჩხრეკდნენ, მაგრამ საკბილოს ვერაფერს პოულობდნენ. შიშისმგვრელმა მარტოობამ მოიცვა პუნიკური ლაშქარი.

გააფთრებულმა კართაგენელებმა გარეუბანთა აოხრება იწყეს. ამოყორეს წყალსატევები, ცეცხლი ნაუკიდეს სახლებს. ქარი აიტაცებდა ხოლმე ნაპერწკლებს და შორს ფანტავდა. მთებზე შეფენილი ტყეები ხრჩოლავდა და ცეცხლოვანი გვირგვინი ეკვროდა შუაში გადამლილ ვაკეს. იძულებულნი გახდნენ შეეცადათ, რომ მიინდორი გადაესერათ. თაკარა მზესა და ღველფში ლაშქარმა კვლავ განაგრძო გზა.

დროდადრო თვალს შეასწრებდნენ, გზის პირას ჩირგვებში ფოცხვერის თვალეზივით რომ გაიელვებდა რაღაც. ეს იყო ჩაცუცქეული ბარბაროსი, რომელიც მტვერში ამოგანგლულიყო, რათა გადახრუკული ფოთლების ფერს შეხამებოდა. როცა ლაშქარი ჭიუხებს მიუყვებოდა, კიდეში მდგომთ ესმოდათ ქვების

ხატქახუთქი. აიხედავდნენ და ფეხშიშველი კაცი წამოხტებოდა ღრანტეებიდან.

როქის სპამ ალყა მოხსნა, უტიკა და ჰიპო-ზარიტი განთავისუფლდა. ჰამილკარმა საშველად მოუხმო მათ, მაგრამ იქაურები დაბრკოლდნენ – ვაითუ, თავი გავინზილოთო – და გადაჭრილი პასუხი არ შემოუთვლიათ, ქებას უძღვნიდნენ სუფეტს, თან ბოდიშობდნენ.

მაშინ ჩრდილოეთით გაუხვია ჰამილკარმა. ტვიროსის ერთი ქალაქი მაინც სურდა ჩაეგდო ხელში, თუნდაც ამისთვის გარემოცვა დასჭირვებოდა. კუნძულებსა ან კირენაში სანოვაგისა და მეომრების შოვნა რომ გაადვილებოდა, სანაპიროზე უნდა ჰქონოდა საყრდენი. გულით ენადა კართაგენის უახლოესი ნავსაყუდლის – უტიკის დაკავება.

იგი ზუიტიინიდან გამოემართა და ფრთხილად შემოუარა ჰიპო-ზარიტის ტბას. ორი მინდვრის გამყარ მთაზე ასასვლელად მებრძოლენი ვიწრო მწკრივებად დააწყო. მწუხრის ჟამს, როცა ლაშქარი ხვიმირივით ამოღრმავებული მწვერვალიდან ეშვებოდა, ქვემოთ გამოჩნდნენ ბრინჯაოს მგელთა მსგავსი უცნაური არსებანი. ისინი ბალახებში დაძუნძულებდნენ.

უეცრად უშველებელი ჯილები წამოიმართა და გაისმა ნესტვის რიტმს შეწყობილი ხმიერი სიმღერა. ეს სპენდიუსის ჯარი იყო. კართაგენზე გამწყარალი კამპანიელი და ბერძენი გულბოროტი მეომრები რომაული თორნ-აბჯრით აღჭურვილიყვნენ. იმავ წამს მარცხნივ გაიელვა გრძელბუნიანმა შუბებმა, ავაზის ტყავგადაკრულმა ფარებმა, სელის სამოსმა და შიშველმა მხრებმა. ესენი იყვნენ მათოს იბერიელნი, ლუზიტანიელნი, ბალეარელნი და გეტულიელნი. აჭიხვინდნენ ნარჰავასის რაშები, ფერდობებზე შეფენილნი; ოტარიდის აურაცხელი სპა წინ მოინევდა ჩოჩქოლით. მრავლად იყვნენ გალები, ლიბიელნი, მომთაბარენი; თმებში გარჭობილი თევზის ფხით გამოირჩეოდნენ უწმინდურ საჭმელს მიჩვეული ტომები.

ბარბაროსებმა ისე შეთანხმებულად იარეს, რომ მათმა ყველა ლაშქარმა ერთად მოიყარა თავი. შემცბარნი იყვნენ და ერთხანს იდგნენ უძრავად. შემდეგ მოითათბირეს.

სუფეტმა წრიულად დააწყო თავისი სპა, რათა თანაბრად შეეტია ყოველი მხრიდან. მიწაში ერთიმეორის მიყოლებით ჩასობილი მალალი, წამახული ფარები იფარავდნენ ქვეითებს. კლინაბარები წრეს გარს ერტყმოდნენ, მათ შორიახლოს სპილოები

ჩააყენა სუფეტმა. როქის მეომრები დაღლილობით წელში იყვნენ განწყვეტილნი. ამიტომ გათენებამდე მოცდა უჯობდათ. გამარჯვებაში დაიმედებულმა ბარბაროსებმა მთელი ღამე ჭამასმაში გაატარეს.

გააჩაღეს ცათამნვდომი კოცონები. აბრიალებული ცეცხლი თვალს სჭრიდა ბარბაროსთ, მათ ქვევით დაბანაკებულ კართაგენელებს კი ბნელში ტოვებდა. ჰამილკარმა რომაელთა წესისამებრ თავის ბანაკს შემოავლო ხანდაკი, რომლის სიგანე თხუთმეტ ნაბიჯს, სიღრმე კი ათ წყრთას აღწევდა. ამონათხარი მინით ყორე აამართვინა და ერთმანეთს გადაჭდობილი წვეტიანი მარგილები ჩაასობინა. ინათა. ბარბაროსებმა იხილეს ციხესიმაგრესავით შემოზღუდული კართაგენელები და გაოცებისგან სახტად დარჩნენ.

ჰამილკარი იხილეს. კარვებს შუა ბოლთას სცემდა და ბრძანებებს იძლეოდა. ქერექივით წვრილად მოჭედილი რუხი ჯაჭვი ემოსა. ცხენი თან ახლდა. დროდადრო შედგებოდა და განვდილი მარჯვენით რალაცაზე მიუთითებდა.

ბარბაროსთაგან ბევრს აგონდებოდა მსგავსი გარიჟრაჟები, როცა ბუკისა და ნალარის ხმაზე ჩამოუვლიდა ლაშქარს ჰამილკარი. მისი ერთი გამოხედვა გულს უმაგრებდა, ღვინით სავსე ფიალასავით ალაგზნებდა მებრძოლთ. მის დანახვაზე მოლმობიერდა როქის სპა. ხოლო ისინი, რომელთაც ჯერ არ ენახათ ჰამილკარი, მის შეპყრობას ლამობდნენ და სიხარულით ატაცებულნი ჭყლოპინებდნენ.

ყველანი ერთად რომ დასხმოდნენ კართაგენელებს, არ ივარგებდა, დიდი გასაქანი არ ჰქონდათ და ერთმანეთს შებორკავდნენ. ნუმიდიელთ შეეძლოთ მტერს კვეთებოდნენ, მაგრამ თორნ-აბჯრით დაცული კლინაბარები ნამდვილად გადაქელავდნენ მათ. მერე და, ხანდაკს რა გადაახტებოდა?! სპილოები რიგიანად არც იყვნენ განვრთნილნი.

– ლაჩრებო! – შეჰკივლა მათომ და რჩეული ვაჟკაცებით ეძგერა სანგრებს. ლოდების სეტყვამ უკუაგდო ისინი. თურმე სუფეტს ხელში ჩაეგდო ხიდთან მიტოვებული მათი ფილაკვნები.

ამ მარცხმა უეცრად ფრთა მოაკვეცა ბარბაროსთ. მათი სიმამაცე შეფერხდა. გამარჯვება სწყუროდათ, მაგრამ თავი არ ემეტებოდათ გასანირაჟად. სპენდიუსის აზრით, არსებული განლაგების შენარჩუნება და პუნიკური ლაშქრის დამშევა ჯობ-

და. მაგრამ კართაგენელებმა ჭები ამოთხარეს და, ვინაიდან ირგვლივ მთები ერტყმოდა ბორცვს, ადვილად მიაგნეს წყალს.

ყორეს ამოფარებულები ისარს სტყორცნიდნენ როქის მეომრებს, უშენდნენ ბელტებს, ნაკელს, მინიდან ამოთხრილ ქვებს. სანგრის გასწვრივ განუწყვეტილ ბრუნავდა ექვსი ფილაკვანი.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს წყარო თავისთავად დაიშრიტებოდა, სურსათი ამოიწურებოდა, ფილაკვნები გაცვდებოდა და კართაგენზე ათჯერ მრავალი როქის სპა გამარჯვებას იზეიმებდა. სუფეტმა დროის მოსაგებად თათბირი მოიგონა. ერთ მშვენიერ დილას ბარბაროსებმა წარწერებით აჭრელებული ეტრათი იპოვეს თავიანთ ბანაკში. ჰამილკარი თავს იმართლებდა, ბოდიშობდა გამარჯვების გამო, უხუცესებმა მაიძულეს შეგბრძოლებოდით; რომ ეჩვენებინა – სიტყვის კაცი ვარო, როქის სპას ასაკლებად სთავაზობდა უტიკას ან ჰიპო-ზარიტს, ერთ-ერთს, რომელსაც აირჩევდნენ. ბოლოს აცხადებდა – არაფრის მეშინია, რადგან თქვენ შორის გადაბირებული მყავს მოლაღატეები და მათი წყალობით დანარჩენებსაც ადვილად დაგძლევთ.

ბარბაროსები შეშფოთდნენ, ასეთი ალაფის შეთავაზებით მოიხიბლნენ, თან ღალატს შეუშინდნენ. ფიქრადაც არ გაუფლიათ, რომ მახეს უგებდა მათ სუფეტი. ეჭვის თვალთ დაუწყეს ცქერა ერთუროს, ზომავდნენ ყოველ სიტყვას, ყოველ ქცევას; ზარგანხდით ძილი გაუტყდათ. ბევრი ტოვებდა თანამოძმეებს და თავისი ალლოთი ირჩევდა ლაშქარს. გალებს ციზალპინელ მებრძოლთა ენა ესმოდათ და ოტარიდიანად მიეკედლნენ მათ.

ყოველ საღამოს ოთხი სარდალი თავს იყრიდა მათოს კარავში. ჩაცუცქედბოდნენ ფარის ირგვლივ, წინ წამოწევდნენ და კვლავ უკან ახევივდნენ ხის პანია კაცუნებს, საბრძოლო ფანდების ნათელსაყოფად პიროსის მოგონილს. სპენდიუსმა ყველას ნათლად დაანახვა ჰამილკარის მდგომარეობა, სარდლებს ემუდარებოდა – ხელიდან ნუ გავუშვებთ კარგ შემთხვევასო – და ღმერთებს იმონებდა ფიცით. გაშმაგებული მათო წინ და უკან მიმოდოდა ხელების ქნევით. კართაგენთან ომი თავის პირად საქმედ მიაჩნდა, ცოფს ყრიდა, რომ სხვები ერეოდნენ მის ზრახვებში და არავის ეპუებოდა, ოტარიდი სახის გამომეტყველებით ხვდებოდა მის ნათქვამს და ტაშს უკრავდა.

ნარჰავასი ზიზლით მაღლა პრეხდა ცხვირს. ყოველგვარი ხერხი და ღონე მას დამლუპველად მიაჩნდა, უწინდებურად

აღარ იღიმებოდა, ზოგჯერ ოხვრა აღმოხდებოდა, თითქოს სურდა გულში ჩაეკლა აუხდენელი სურვილით შემოყრილი კა-
ეშანი, უიღბლო საქმით გამოწვეული სასონარკვეთა.

ვიდრე დაბნეული ბარბაროსები ბჭობდნენ, სუფეტი თავ-
დაცვისთვის ზრუნავდა. მიწაყრილ იქით მეორე ორმო ამოათ-
ხრევინა, ახალი ზღუდე აღმართა, კუთხეებში ხის გოდლები და-
ატანინა. მისი მონები წინა ხაზამდე აღწევდნენ და ხლართებს
აგებდნენ მიწაზე. სპილოებს ულუფა შეუმცირეს. ისინი დრტვი-
ნავდნენ და ჯაჭვების გასაგლეჯად იწევდნენ, ჰამილკარმა თი-
ვის დასაზოგად ყველაზე ჯიშინი ულაყები დაახოცინა კლინა-
ბარებს. ზოგმა უარი თქვა ბრძანების შესრულებაზე, სუფეტმა
მათ თავები დააყრევინა, ცხენები შესანსლეს. მეზობლებს
რამდენიმე დღეს აგონდებოდათ ამ ახალი ხორცის გემო და და-
ნალვლიანებულნი იყვნენ.

ტაფობში გამომწყვდეული კართაგენელები შეჰყურებდნენ
ირგვლივ მთების კალთებზე გაშლილ ბარბაროსთა ოთხ აწრი-
ალებულ ბანაკს. დაფუსფუსებდნენ თავზე თხიერშემოდგმული
დედაკაცები; ციკნები კიკინით ცმუკავდნენ შუბების კონებთან;
გუშაგები იცვლებოდნენ, სამფეხა ტაბლას შემომსხდარი მეომ-
რები ჭამდნენ. მეზობელი ტომები სურსათით კარგად ამარა-
გებდნენ როქის სპას. ბარბაროსებს ფიქრადაც არ მოსვლიათ,
რომ მათი უმოქმედობა შიშის ზარს სცემდა პუნიკურ ლაშქარს.

კართაგენლებმა მეორე დღესვე შეამჩნიეს მომთაბარეთა
ბანაკში განზე გარიყული სამასი კაცი. ესენი იყვნენ მდიდრე-
ბი, რომლებიც ომის დაწყებისთანავე დაეტყვევებინათ. ლიბი-
ელებმა თხრილის პირას ჩააყენეს ისინი და მათ ზურგს ამო-
ფარებულები ისროდნენ ლახვრებს. მატლსა და მწვირეს ისე
დაემლიერებინა ტყვექმნილთა სახეები, რომ ველარც იცნობ-
დით ბეჩავებს. ბლუჯა-ბლუჯა ამოგლეჯილი თმების ძირებში
თხრამლიანი წყლულები გასჩენოდათ; საზარელი სანახავი იყ-
ვნენ, გაძვალტყავებულები დაბებკილ სუდარაში გახვეულ მუ-
მიებს ჰგვანდნენ. ზოგი მათგანი უაზროდ იცქირებოდა, მთელი
ტანით ცახცახებდა და ქვითინებდა. სხვები მეგობრებს გასძა-
ხოდნენ – ბარბაროსები ამოჟუჟეთო. ერთი ტყვე უძრავად იდგა
თავჩაქინდრული, ხმას არ იღებდა, გრძელი თეთრი წვერი ხუნ-
დებით დაბორკილ ხელებზე სცემდა. იცნეს გისკონი. გულის-
ხმამ რესპუბლიკის აღსასრული აუწყა კართაგენელებს. გზას
მიიკვლევდნენ მის სახილველად, თუმც საშიშროება ელოდათ.

გასაქილიკებლად ბარბაროსებს მისთვის პატიოსანი თვლების ნაცვლად თავს დაემხოთ ღინჭილებით მოკენჭილი ჰიპოპოტამის ტყავის ტიარა. ეს ოტარიდს მოესაზრებინა. მათოს არ ეამა კაცის ასე აგდება.

გააფთრებულმა ჰამილკარმა ყორე გაანგრევინა: რადაც უნდა დასჯდომოდა, სჭირდებოდა გასასვლელი. გაშმაგებული კართაგენელები დაიძრნენ და ნახევარი ფერდობი აათავეს. სამასიოდ ნაბიჯი რომ გადადგეს, ბარბაროსთა ნაკადი ეძგერა მათ, სასწრაფოდ უკან დაახევინა და მათსავე ბანაკში გადატყორცნა პუნიკური ლაშქარი. ერთ-ერთმა ლეგიონერმა ქვაზე წაიფორხილა და სხვებს ჩამორჩა. ზარქსასი მიიჭრა მასთან, წამოაქცია, ყელში გაუყარა ხანჯალი, მერე ამოაძრო მახვილი, ჭრილობას დააცხრა და ტუჩები მიანება. სიხარულით ბლაოდა, ცმუკავდა, თავით ფეხებამდე ძაგდაგებდა და ხარბად სწოვდა სისხლს. შემდეგ გვამს გადააჯდა, თავი ასწია, კისერი მოიღერა, რომ უკეთ ჩაესუნთქა ჰაერი. ასე ირჯება ფურირე-მი, როცა წყაროს დაენაფება მოწყურებული. მერე როყიო ხმით წამოიწყო ბალეარული სიმღერა. ეს იყო რაღაც გაურკვეველი და გაჭიანურებული ჰანგი. მთებში დარხეული მოძახილის დარად უეცრად წყდებოდა და იცვლებოდა. ზარქსასი გარდაცვლილ ძმებს მოუხმობდა, ლხინზე იწვევდა. მერე ფეხებს შორის ჩამოუცვივდა ხელები, ნელა დახარა თავი და ატირდა. ამ საშინელმა სანახაობამ შეაძრწუნა ბარბაროსები, განსაკუთრებით კი ბერძნები.

ამიერიდან კართაგენელები აღარ ცდილან გამოხდომას, მაგრამ არც დანებება უფიქრიათ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბარბაროსები ტანჯვაში ამოხდიდნენ სულს.

ამასობაში, ჰამილკარის თადარიგიანობის მიუხედავად, სურსათი ილეოდა. თითო კაცს ათი ღომორი ხორბალი, სამი კოდი ფეტვი და თორმეტი აცმა ჩირი ძლივს ერგებოდა. ხორცი და ერბო გამოილია, მწნილიც გაუთავდათ, ცხენებისთვის ერთი მარცვალი ქერი არ გააჩნდათ. ბედაურებს ჯიდაო დაეხარათ, მტვერში იქექებოდნენ და ფეხით გათელილ ჩალის ღერს ეძებდნენ. მიწაყრილზე აღმართულ სათვალთვალო ჯიხურში მოკალათებული ფხიზელი გუშაგები ზოგჯერ მთვარის შუქზე თვალს მოჰკრავდნენ ბარბაროსთა ძაღლს, რომელიც თხრილში დანაწნალებდა და ნაგვის გროვაში ყოფდა დრუნჩს. ძაღლს ქვას ესროდნენ, მოკლავდნენ, შემდეგ ფარის ღვედის მოშვე-

ლიებით ჩაცოცდებოდნენ ორმოში და ჩუმად სანსლავდნენ ნადავლს. ზოგჯერ საშინელი ყეფა ატყდებოდა და გუშაგი აღარ ბრუნდებოდა უკან. მეთორმეტე სინტაგმის მეოთხე ნაწილში ერთი ვირთხის გულისთვის სამი მეგრძოლი წაიკიდა. დანებით დაერივნენ ერთმანეთს.

ლაშქარი დადარდიანდა. ყველას მოენატრა ჯვალაბი, სახლკარი. ღარიბ-ღატაკებს მოაგონდათ სკასავით ახირხლული თავიანთი ქოხმანები ზღურბლზე მობნეული ნიჟარებითა და გასაშრობად გამოკიდებული ბადეებით. წარჩინებულებმა გაიხსენეს მოლიბრო შუქით მქრქალად განათებული თვალუნვდელი დარბაზები, სადაც ნებიერად ისვენებდნენ დაღლილობის ჟამს; ნალკოტებში ფოთოლთა შრიალი შუკების ყრუ ხმაურს ეზავებოდა. თვალებს ლულავდნენ, რომ უკეთ მისცემოდნენ ოცნებას და მეტი სიამე ეგრძნოთ, მაგრამ ტკივილი აფხიზლებდა დაჭრილებს. ყოველ წამს ახალი ალიაქოთი მოჰქონდა, ახალი შფოთი. კოშკები იწვოდა. უწმინდური საკვებით პირნაწყმედილნი ღობეებზე ძვრებოდნენ. ჩუგლუგის ერთი დაკვრით მეგრძოლები ხელებს კვეთდნენ მათ. უკუგდებულთა ნაცვლად სხვანი მორბოდნენ. ტყვია აწვიმდა კარვებს. კართაგენელებმა ლერწმის ჩელტით შეკრული ტალავრები აღმართეს თავდასაცავად, შიგ შეიყუჟნენ და ფეხს არ იცვლიდნენ.

მზე ამოიწვერებოდა ხოლმე გორაკზე და მცირე ხანში ჩრდილს ჰფენდა კართაგენელთა ღარტაფს. ასე გრძელდებოდა ყოველდღე. მათ წინ და უკან ხავსიანი ქვებით მოფენილი რუხი ფერდობები აზიდულიყო. თავზე წამომხობოდანთ საოცრად წმინდა ცა, ლითონის გუმბათივით ცივი და გლუვი. ჰამილკარი ისე გაგულისდა კართაგენზე, რომ ბარბაროსებთან პირის შეკვრაც კი იფიქრა, რათა კართაგენის მოსასრველად წასძლოლოდა მათ. თანაც მებარგულები, მარკიტანტები და მონები აბუზლუნდნენ. არც ერი, არც დიდი საბჭო არ იძლეოდა იმედს. არსაიდან არ ჩანდა საშველი. აუტანელ დღეში იყვნენ, მით უმეტეს, რომ მოსალოდნელი იყო მდგომარეობის გაუარესება.

ჰამილკარის მარცხის შეტყობაზე კართაგენი რისხვამ და სიძულვილმა მოიცვა. თავიდანვე რომ დანებებოდა მტერს, ასე არ განირავდნენ სუფეტს.

სპის დასაქირავებლად არც დრო იყო და არც სახსარი. ახალი მებრძოლები რომ გაენვიათ, რით აღეჭურვათ? ყველა იარაღი ჰამილკარის ხელთ იყო! მერე და, ვინ გაუძღვებოდა ლაშქარს? საუკეთესო სარდლები თან ახლდნენ სუფეტს! ჰამილკარის ჯარჩები ქუჩებში დაძრწოდნენ და გაყვიროდნენ. დიდი საბჭო შეშფოთდა და მათი ალაგმვა ბრძანა.

ფიქრობდნენ, რომ ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდა ჰამილკარი. ყველა ამტყუნებდა ბარკას: მეტისმეტად მოწყალეა, გამარჯვების შემდეგ ერთიანად უნდა ამოეჟლიტა ბარბაროსებიო. რილასთვის ყვლეფდა მეზობელ ტომებს? ნუთუ ეცოტავა გაღებული მსხვერპლი! დიდებულებს გულს აკლდათ, თოთხმეტი სიკლი ვერცხლი რომ გასცეს, სისიტებს ენანებოდათ ორას ოცდასამი ტალანტი ოქრო. ვისაც არაფერი გადაუხდია, ისინი სხვებს არ ჩამოუვარდებოდნენ ნუნუნში, ერს შურდა კართაგენის ახალი მკვიდრებისა, რომელთაც ჰამილკარმა მოქალაქეობის პატივი აღუთქვა. თავგანწირვით მებრძოლი ლიგურიელებიც კი ბარბაროსებში არიეს და განურჩევლად კრულავდნენ მათ, ყოველ ლიგურიელს დამნაშავედ და ბარბაროსთა თანამზრახველად მიიჩნევდნენ. ქულბაქის ზღურბლზე გადმომდგარი ზარაფები, ამქრები, რომელთაც ხელთ ეპყრათ ტყვიის სახაზავები, ნათხის გამყიდველები, რომლებიც ბადიებს რეცხავდნენ, მეაბანოეები თუ ცხელი სასმელებით მოვაჭრენი – ყველანი ომის მსვლელობაზე ბჭობდნენ, მტვერში თითით ხაზავდნენ საბრძოლო გეგმებს. უკანასკნელი ღვთის გლახაც კი შეცდომებს უსწორებდა ჰამილკარს.

ქურუმები ირწმუნებოდნენ, სუფეტს ურჯულოების გამო ღვთის რისხვა დაატყდა თავს, ზვარაკი არ შეუწირავს, არც ჯარი განუწმენდია, მისანთა ნაყოლიებაზეც უარი განაცხადაო. მისი მკრეხელობა ხალხს უძლიერებდა სისასტიკესა და უსაზღვრო სიძულვილს, აუხდენელ ოცნებათაგან გაღვივებულს. აგონდებოდათ, სიცილიაში რომ დამარცხება იწვნიეს. რა ხანია, ჰამილკარის სიამაყე მძიმე ულლად აწევს ხალხს! ქურუმთუხუცესთა საკრებულომ სუფეტს ვერ აპატია მათი საჭურჭლის მიტაცება და დიდ საბჭოს პირობა ჩამოართვა, რომ ჯვარს აცვამდა ჰამილკარს, თუკი ოდესმე დაბრუნდებოდა იგი.

მეორე უბედურება ის იყო, რომ იმ წელს, ელულის თვეში, საშინელი სიცხე დაიჭირა. ტბის ნაპირებიდან წამოსული გული-

სამრევი სიმყრალე ჰაერში ტრიალებდა და ქუჩის კუთხეებში დაგზნებულ საკმევლის ბოლქვებს ერთოდა. განუწყვეტლივ გაისმოდა ჰიმნთა გალობა. ხალხს ტაძრის კიბეებზე მოეყარა თავი. კედლები შავი ფარდაგებით იყო მოფენილი. პატეკ ღმერთთა შუბლზე თაფლის სანთელი დაენთოთ. ყელგამოლადრულ აქლემთა სისხლი დიოდა სამსხვერპლოზე, მოაჯირის გასწვრივ, წითელ ჩანჩქერებად მიჩქრიალებდა საფეხურებზე. სიმმაგემ მოიცვა კართაგენი. ვინრო შუკებიდან და ბნელი ქოხმახებიდან გამოიძურნებოდნენ ხოლმე გაცრეცილი ლანდები. ესენი იყვნენ იქედნის იერის მქონე ადამიანები, რომლებიც კბილთა ღრჭენით გულში იხვევდნენ ბოღმას. სახლებს აყრუებდა დიაცთა გამყივანი კივილი, ხარხებიდან გარეთ აღწევდა, მოედნებზე მოლაყბე ბრბოს ყურადღებას იპყრობდა. ხალხს ზოგჯერ ერვენებოდა, რომ როქის სპა მოდიოდა. ხმა დაირხა, მთის გადაღმა, ცხელ წყაროებთან უნახავთ ისინი, ბარბაროსები ტუნისში დაბანაკებულანო. ყაყანი მატულობდა და საერთო ღრიანცელში ირეოდა. შემდეგ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ზოგნი შენობათა შუბლანებზე ამძვრალიყვნენ და თვალი ხელით მოეჩრდილათ; სხვები ყურდაცქვეტილნი ჩამხობილიყვნენ სანგრების სიახლოვეს. შიშმა გაიარა, გზა უტია სიძულვილს, მაგრამ საკუთარ უმწეობას რომ გრძნობდნენ, კვლავ სევდას ეძლეოდნენ კართაგენელები.

მწუხრის ჟამს, როცა ტერასებზე დაჯრილი ხალხი ცხრაჯერ თავის დადრეკით და ხმამალალი შეძახილებით სალამს უძღვნიდა მზეს, კიდევ უფრო მატულობდა დარდი. მზე ზანტად ეშვებოდა ყურეში, შემდეგ უეცრად უჩინარდებოდა, ბარბაროსების მხარეს მთებში იკარგებოდა.

ახლოვდებოდა ზეიმთაგან სამგზის უნმინდესი დღესასწაული, როცა ცადაწვდილი კოცონებიდან ზეცაში ავარდებოდა წელიწადის განახლების ნიშანი – არნივი. იგი იყო უზეშთაესი ბაალისადმი ხალხის წარგზავნილი შუამავალი, მზის ძალასთან კაცთა შემაკავშირებელი. სიძულვილით გაავებული ხალხი გულუბრყვილოდ შემობრუნდა ყოვლისმომსვრელი მოლოქისკენ და ტანიტზე ხელი აიღო. რიდეშემოდარცულ რაბეთნას თითქოს მოაკლდა ადრინდელი ძლიერება. ქალღმერთმა მიატოვა კართაგენი, უმტრო, მოწინააღმდეგეთ მიემხრო. ზოგმა შესაგინებლად ქვები დაუშინა მას. მაგრამ შეურაცხყოფასთან ერთად ბევრს

ებრალებოდა ყბადაღებული ქალღმერთი. ვინ იცის, ეგებ ადრინდელზე უფრო ახლობლად მიაჩნდათ და უყვარდათ კიდეც.

ზაიმფის დაკარგვას მოჰყვა ყველა უბედურება. სალამბო უშუალო მონაწილე არ ყოფილა რიდის გატაცებისა, მაგრამ ქალი მაინც დამნაშავედ მიიჩნიეს. ასული უნდა დასჯილიყო. შეცოდების გამოსყიდვის შესახებ რაღაც გაურკვეველი აზრი გაჩნდა ხალხში. ბაალთა დასაშოშმინებლად საჭიროა უყოყმანოდ შესთავაზონ მას ფასდაუდებელი და კეთილი არსება, ნორჩი ქალწული, უძველესი გვარის შთამომავალი, ღმერთების ნაშიერი, ადამიანთა მშვენება. ყოველდღე დაძრწოდა უცხო ხალხი მეგარის ბაღნარებში; აცახცახებული მონები გაძალიანებას ვერ უბედავდნენ მათ, მაგრამ ხომალდთა წყალსაკვეთიან კიბეს არ გასცილებია არცერთი. ქვემოთ იდგნენ, უმაღლესი ტერასისთვის მიეპყროთ მზერა, სალამბოს ელოდნენ და რამდენიმე საათის განმავლობაში გაკიოდნენ, ქალწულისადმი ბოლმას ყვირილში ანთხევდნენ ძაღლის დარად, გაბმით რომ შეჰყმუის მთვარეს.



თავი მათე

გველი

ბრბოს ყაყანი როდი აშინებდა ჰამილკარის ქალს.

სხვა ჯავრი შემოსწოლოდა: მისი დიდი გველი, შავი პითონი, მოუძლურდა. იგი საკუთრად კართაგენელთა სათაყვანებელი იყო, ამასთანავე საერთო სახალხო კერპადაც აღიარებდნენ. იგი დედამიწის შლამის ნაშიერად მიაჩნდათ, რადგან მიწის წიაღიდან ამოსულს ფეხები არ სჭირდებოდა ხმელზე სავალად. გველის სარსალი წყლის ვარდნას ჰგავდა, მისი სხეულის ცივი სისოვლე უხსოვარი წარსულის ნაყოფიერ წყვდიადს აგონებდათ; ხოლო წრე, კუდს რომ პირში ჩაიჩრის და შემოწერს, პლანეტათა სიმრგვლეს, ეშმუნის გონებას ასახიერებდა.

პითონმა პირი არ დააკარა ოთხ ბელურას, მთვარის ყოველ მოვანებასა და კლებაზე რომ მიართმევდნენ ხოლმე. ცის თალივით შავ ფონზე ოქროს ფორეჯებით მოწინწკლული საოცარი კანი მთლად გაუყვითლდა, მოუდუნდა და დაეღარა, ტანს სჭარბობდა ზომით. თავის ირგვლივ ობის მსგავსი ლინდლი მოეკიდა; თვალის უბეებში დააჩნდა წითელი მომცრო წინწკლები, რომლებიც თითქოს დაფათურობდნენ. დროდადრო საღამბო ვერცხლით მოსირმულ კალათთან მივიდოდა, ძონეულ კრეტ-საბმელს გადასწევდა, ლოტოსის ფურცლებს შეარხევდა, ბუმბულს შეაფოფინებდა. შეგრაგნილი გველი დამღრალ ლიანასავით ეგდო უძრავად. მისი მზერით მონუსხულ ასულს მოეჩვენა, რომ გული ზამბარასავით ჩაეხვია და ყელში მოეჭვინა, მოეჩვენა, თითქოს რომელიღაც სხვა გველი სულს ხდიდა.

ქალს სასო მიჰხადა ზაიმფის ხილვამ, თან სიხარულით და ფარული სიამაყითაც აავსო. მბზინავი ნაკეცები შეუცნობელს მალავდნენ. იგი ღრუბელი იყო, ღმერთების შემბურველი; მზერამიუწვდომელი სამყაროს არსებობის იდუმალეზა იყო იგი! საღამბო შფოთავდა, გულს აკლდა, რომ არ შეეხო ქალღმერთის რიდეს.

ჩაცუცქულიყო თავის პალატში, ორივე ხელი მარცხენა მუხლისთვის შემოეჭდო, ბაგე გაპობილი დარჩენოდა, თავი ჩაექინდრა და მზერა გაშტერებოდა. მამის სახე გაახსენდა და ძრწოლამ აიტანა ქალი. ფინიკიის მთებში სურდა გაყარიბება, მოხილვა სურდა აფაკის ტაძრისა, სადაც ვარსკვლავად გარდასახული ტანიტი დაეშვა ერთხელ. სალამბოს წარმოსახვაში მიმზიდველი და თან შიშისმგვრელი ხატები ირეოდა. დღითიდღე ეუფლებოდა მარტოობა. ჰამილკარის ამბავი არ იცოდა.

ფიქრებით მოღლილი წამოდგებოდა. პანია სანდლის ლანჩები ფეხებზე ეფლატუნებოდა; სალამბო დაბორილებდა დიდ მყუდრო პალატში. ამეთვისტოთი და ტოპახით მოოჭვილი ჭერი ციმციმებდა. ჰამილკარის ასული თავს აბრუნებდა პატიოსანი თვლების ციალის სახილველად და თან სვლას განაგრძობდა. მაღლა ჩამოკიდებულ ამფორებს ენაფებოდა, უშველებელი მარაოთი იგრილებდა მკერდს, ანდა თავს იქცევდა ამოჭრეთილ ობოლ მარგალიტში დარიჩინის დანვით. მწუხრის ჟამს ტაანაქი გამოიღებდა შავი თექის ოთხკუთხა ნაჭრებს, რომლებითაც კედლის ნიშები იყო დაგმანული. მაშინ ოთახში მტრედები მოფრინავდნენ. ისინი ტანიტის მტრედთა მსგავსად მუშკით იყვნენ ცხებულნი. ვარდისფერ ფეხისგულებს დაასრიალებდნენ იატაკის მოჭიქულ ფილებზე. სალამბო ველზე გასული მთესველივით სავსე პეშვით უყრიდა მათ ქერს. უეცრად ქალს ქვითინი აუვარდებოდა, გადანვებოდა ხარისღვედებიან ფართო სარეცელზე, არ იძვროდა და განუწყვეტლივ იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას. თვალები გახელილი დარჩენოდა, მკვდრის ფერი ედო, ინვა გრძნობამიხდილი და გაცივებული. მაინც ესმოდა პალმების კენწეროებზე გასული მაიმუნების ნიკვინი და ჭრიალი უზარმაზარი ბორბლისა, რომელიც პორფირის აუზში ქაჩავდა წყალს.

ზოგჯერ რამდენიმე დღის განმავლობაში პირს არ აკარებდა საჭმელს. ეზმანებოდა, თითქოს მოწყვეტილი ვარსკვლავები მის ფერხთით ცვიოდნენ. შაჰაბარიმს უხმობდა. იგი ეახლებოდა, მაგრამ ჰამილკარის ასულს არაფერი ჰქონდა მისთვის სათქმელი.

ქურუმის სიახლოვე ყოფას უმსუბუქებდა, უმისობა არ შეეძლო, მაგრამ შინაგანად არ ეპუებოდა მის გავლენას. შაჰაბარმისადმი მის განწყობილებაში შიში, შური და სიძულვილი იყო არეული; თითქოს უყვარდა კიდეც იმ აუნერგელი ნეტარების გამო, რომელსაც ქურუმთან ყოფნა ჰგვრიდა.

შაჰაბარიმი კარგად ერკვეოდა, თუ რომელი ღმერთები უგზავნიდნენ ხალხს საღმობას, და უმალ იგრძნო, რომ რაბეთს დაემორჩილებინა ქალი. სალამბოს განსაკურნავად მის პალატაში ცოცხანასა და სადაფის ნაყენი მოასხურებინა; ყოველ დილით ჩიტავაშლას აჭმევდა. ქურუმთუხუცესთა მიერ შეზავებული ნელსაცხებლების ტომსიკა ედო მძინარე ასულს სასთუმალქვეშ. ქურუმმა არ დაიშურა აღისფერფესვებიანი ბაარასიც კი, რომელიც ავ სულებს განასხამს და ჩრდილოეთისკენ განდევნის. ბოლოს პოლარული ვარსკვლავისკენ შებრუნდა და სამჯერ ჩაიჩურჩულა ტანიტის იდუმალი სახელი. მაგრამ სალამბო კვლავ იტანჯებოდა. ქურუმს სიმშვიდე დაეკარგა.

მთელ კართაგენში არვინ იყო მისებრ ბრძენი. ყმანვილკაცობაში ბაბილონის მახლობლად ბორსიზის მოგვთა სკოლაში ესწავლა, სამოთრაცია, პესინუნტი, ეფესო, თესალია და იუდეა შემოეწყო; ქვიშაში ჩაფლული ნაბათელთა ტაძრები მოეხილა, წყალვარდნილებიდან ვიდრე ზღვამდე ფეხით დაეწყო ნილოსის სანაპიროები. საშინელებათა მამამთავრის – სფინქსის წინ ტვიის ფისით აბრიალებულ კოცონთან მდგარა, რიდით მობურულს კელაპტრების რხევით უსვრია ცეცხლში შავი მამალი; პროზერპინას პარეხებშიც ჩაელნია, ეხილა ლემნოსის ლაბირინთის ხუთასი სვეტი და ტარენტის შუქმფინარე შანდალი, რომლის ფეხზე იმდენი კანდელი ენთო, რამდენიც დღეა წელიწადში. ზოგჯერ ღამლამობით შაჰაბარიმი ბერძნებს იწვევდა და ემასლაათებოდა. ღმერთების ბუნებაზე ნაკლებ როდი ხიბლავდა სამყაროს აღნაგობა. ალექსანდრიის ტაძრის სტოაში გამართული ჭოგრით აკვირდებოდა ბუნიობას, კირენამდე თან ახლდა ევერგეტელ ბემატისტებს, რომლებიც თავიანთ ნაბიჯთა აღნუსხვით ზომავენ ზეცას. ბოლოს მის სულში დაისადგურა რაღაც განსაკუთრებულმა სჯულმა. მისი რწმენა ვერ ეტეოდა დაკანონებულ ჩარჩოებში, სწორედ ამიტომ იყო თავბრუდამხვევი და მწველი. ქურუმს არ სჯეროდა, რომ მიწა ნაძვის გირჩის მსგავსად შეიქმნა. შაჰაბარიმი დედამიწას თვლიდა უსასრულობაში მოძრავ სფერულ სხეულად, რომელსაც ისეთი საოცარი სისწრაფე აქვს, რომ თვალისთვის შეუცნობელია მისი სრბოლა.

მთვარის ზემოთ მზის დგომამ დაარწმუნა ბაალის უპირატესობაში. მზე ხომ ღვთის ანარეკლია, მისი ხატია! მიწიერ მოვლენათა განჭვრეტის შედეგად ყოვლისშთანთქმელი მამაკაცური სანყისის უზეშთაესობა აღიარა. თავის ავბედით ცხოვრებაში

იდუმალად ბრალს სდებდა რაბეთს. წინწილათა ჟღერის ხმაზე მასთან მოახლოებულმა ქურუმთუხუცესმა მდულარენწყლიანი თასით განა ქალღმერთის გამო არ გამოათხოვა იგი მომავალ მამაკაცობას? შაჰბარბიმი სევდიანი მზერით მიაცილებდა ვაჟ-კაცებს, რომელნიც ქურუმ ქალებთან განმარტოებულნი თვალს ეფარებოდნენ ბელეკონის ჭალაში.

მისი დღეები ღამდებოდა საგუნდრუკეების, ოქროს ლარნაკების, ჩქიფებისა და სამსხვერპლო ფერფლის ასაღები აქანდაზების თვალიერებაში. ტაძრის მესამე ნაგში, ზურმუხტისმტევნიანი ვაზის სიახლოვეს მდგარი ტანიტის თმათა დასახვევ ბრინჯაოს წკირიდან ქანდაკების სამოსამდე ყველაფერს ამოწმებდა. დათქმულ დროს ასწევდა ხოლმე უშველებელ კრეტსაბმელს დათქმული კარისას; შემდეგ ფარდაგები ჩამოიშლებოდა. ხელაღპყრობილი იდგა ერთი და იმავე იერით, იატაკის ერთსა და იმავე ფილებზე განრთხმული ლოცულობდა; მის ირგვლივ მარადიული წყვდიადით მოცულ ტალანებში უხამურ ქურუმთა დასი დაბორიალებდა.

სამარხის ნაპრალში ამოსული ყვავილივით შემოიჭრა სალამბო მის უღიმღამო ცხოვრებაში. და მაინც ქურუმი სასტიკი იყო ქალის მიმართ. არ იბრალებდა ასულს, ადვილად იმეტებდა ხანგრძლივი მონანიებისა და ღვარძლიანი სიტყვისთვისაც. საჭურისობამ თითქოს სქესობრივი თანასწორობა დაამყარა მათ შორის. ქალწულის დაუფლება რომ არ შეეძლო, ეს არ აღიზიანებდა ისე, როგორც მისი სიმშვენიერე და სინმინდე. ხშირად ამჩნევდა, რომ ჰამილკარის ქალი იქანცებოდა, მის ფიქრს ვერ მიჰყვებოდა. მაშინ დაღონებული ქურუმი გაეცლებოდა ასულს; უფრო მეტად სტანჯავდა მარტოობა, ყველასაგან მიტოვებულად, ეულად მიაჩნდა თავი.

ქურუმს უცნაური სიტყვები წამოსცდებოდა ზოგჯერ. ჩახჩახა ნათელივით გაიელვებდა ქალის წინ, უფსკრულებს ანათებდა მისი ნათქვამი. ეს იყო ღამით, ტერასაზე, როცა მარტოდმარტო-ნი უჭვრეტდნენ ვარსკვლავებს. მათ ფერხთით კართაგენი იყო განფენილი, ყურე და უკიდევანო ზღვა წყვდიადს ერწყმოდა.

ქალწულს აცნობდა მოძღვრებას სულთა მიწაზე ჩამოსვლის შესახებ. სულები თურმე იმავე გზას მოჰყვებიან, რომლითაც მზე ზოდიქოს ეტლებს მოივლის. ხელგანრთხმული ქურუმი ვერძის თანავარსკვლავედში აჩვენებდა ასულს კაცთა მოდგმის დაბადების ბჭეს, თხის რქის ზოდიქოში ღმერთების წიაღ-

ში დასაბრუნებელ კარზე მიუთითებდა. სალამბო იძაბებოდა, კარიბჭეთა ხილვას ლამობდა. ქურუმის თვალსაზრისი ჭეშმარიტებად ესახებოდა, განყენებულ სიმბოლოებს სიცხადედ მიიჩნევდა, ქურუმის საუბრის კილოც კი გარდუვალი ეგონა. ასე თვალნათლივ ქურუმსაც არ ჰქონდა წარმოსახული თავისი თვალთახედვა.

– მიცვალებულთა სულები მთვარეზე განქარდებიან მინაში გახრწნილი გვამებივით. მათი ცრემლები მთვარის სინოტივეს ქმნის. მთვარე ბნელით მოცული სავანეა; ავდარი ბობოქრობს, ჭუჭყი და ნაშალი თავს იყრის იქ, – ამბობდა ქურუმი.

ქალმა იკითხა, რა მომელისო.

– მოუძღურდები, წყალთაგან აკრეფილი ორთქლის უმსუბუქესი შეიქნები. განსაცდლისა და ღრმა მწუხარების შემდეგ წარემართები მზის კერიაში. იგია სიბრძნის წყარო!

რაბეთზე არას ეუბნებოდა. სალამბოს ეგონა, დამარცხებული ქალღმერთის ხსენება ეთაკილება ქურუმს და მის სახელს მთვარე შეუნაცვლავ. ჰამილკარის ასული ნაყოფიერების მომტან უნაზეს მნათობს – მთვარეს ადიდებდა. ბოლოს ქურუმმა ნამოიძახა:

– არა, არა! მას სხვისგან აქვს მომადლებული თავისი ნაყოფიერება! განა ვერ ხედავ, როგორ დაეხეტება მზის ირგვლივ, გეგონება, გამიჯწურებული ასული იყოს და მისდევდეს ველად გაჭრილ თავის სასურველს. – ქურუმი დაუსრულებლივ ადიდებდა ნათლის ძლიერებას.

ქალწულის იდუმალ სურვილთა შენელების ნაცვლად უარესად აღაგზნებდა მას ქურუმი. სიამეს ეძლეოდა, თავისი ურყევი მოძღვრების გამხელით სასო რომ მიჰხადა სალამბოს. ტრფობის ალით გათანგული ქალი მთელი არსებით უსმენდა მის ნათქვამს.

რაც უფრო ეჭვი ებადებოდა ტანიტის მიმართ, მით უფრო სურდა შაჰაბარიმს ქალღმერთის ქურუმი ყოფილიყო. სულის სიღრმეში ბორკავდა სინდისის ქენჯნა; საბუთი სურდა, ღმერთებისგან მოვლენილი ჩვენება სჭირდებოდა. ბოლოს დაიმედა, რომ მიაღწევდა მიზანს. წარმოიდგინა, რომ თითქოს იყო საშველი, რომელიც იხსნიდა მამულს, იხსნიდა მის რწმენას.

ამიერიდან სალამბოსთან იწყო ჩივილი. ვაებდა, ჩადენილ მკრეხელობას საშინელი უბედურება მოჰყვება ქვეყნად და ზეცაშიო. მერე უეცრად განუცხადა – სუფეტს დიდი ხიფათი

მოელის, გარს არტყია სამი ლაშქარი, რომელთაც მათო სპასალარობსო; რიდის გატაცების შემდეგ კართაგენელებს მათო ბარბაროსთა ცხეულ მეფედ მიაჩნიათო, და დაატანა, რესპუბლიკისა და მამის ხსნა მხოლოდ შენზეა დამოკიდებულიო.

– ჩემზე?! – წამოიძახა ასულმა, – მე რა ძალა შემწევს?

ქურუმმა ზიზლით გაიღიმა.

– მაგრამ არასდროს დამყაბულდები!

ასული შეევედრა. შაჰაბარიმმა, როგორც იქნა, ამოლერდა:

– ბარბაროსთა ბანაკში უნდა შეაღწიო, ზაიმფი უნდა დაიბრუნო!

ქალი ეკალმუხის ჯორკოზე დაეშვა. დიდხანს იჯდა ასე, მუხლებზე ხელები შემოეჭდო, მთელი ტანით ცახცახებდა; თავს დამტყდარი უბედურების მოლოდინში სამსხვერპლოს კვარცხლბეკთან ატუზულ ტარიგს ჰგავდა. საფეთქლები უცემდა, ჰაერში ცეცხლის ალის რიალი ეჩვენებოდა; გონმიხდილს ისლა ესმოდა, რომ სასიკვდილოდ იყო განწირული.

მაგრამ რაბეთნა თუ იზეიმებს, რიდე თუ დაუბრუნდება, კართაგენი თუ შვებით ამოისუნთქავს, რა მნიშვნელობა აქვს სიცოცხლეს ერთი ასულისას, – ფიქრობდა შაჰაბარიმი. ვინ იცის, ეგებ სალამბომ რიდეც ჩაიგდოს ხელთ და ცოცხალიც დაბრუნდეს.

ქურუმი სამ დღეს არ გამოჩენილა. მეოთხე დღეს სალამბომ უხმო. მან წასაქეზებლად მოუთხრო ქალს, რომ ჰამილკარი ლანძღვა-გინებით მოიხსენია მთელმა საბჭომ. ეუბნებოდა, – შენ გაძევს ბრალი, დანაშაულის გამოსყიდვაა საჭირო, რაბეთნა ითხოვს შენგან ამ მსხვერპლსო.

მაპალებს იქით, მეგარიდან საზარელი ღრიანცელი აღწევდა. შაჰაბარიმი და სალამბო სასწრაფოდ გამოდიოდნენ კარში, ხომალდის ქიმებიანი კიბის თავთან მდგარნი გასცქეროდნენ სივრცეს.

ქამონის მოედანზე ბრბო ყაყანებდა, იარაღს ითხოვდა. უხუცესთ არ სურდათ მათი აღჭურვა, რადგან ამაო ეგონათ ყოველგვარი შეტაკება. უსპასპეტოდ დაძრული რაზმები მტერმა მოსრა. ბოლოს გაუშვეს ისინი. მოლოქის პატივისცემით თუ ნგრევის გაუცნობიერებელი სურვილით აღძრული ხალხი ტაძართა ირგვლივ ატეხილ ტყეებში ძირფესვიანად გლეჯდა ვეება კვიპაროსებს, ცეცხლს უკიდებდა და ქაბირის ჩირაღდნებივით სიმღერით დაატარებდა ქუჩა-ქუჩა. ცადამწვდომი ალი გიზგი-

ზებდა, ირხეოდა და ირეკლებოდა საყდართა გუმბათებზე, კერპის ორნამენტებზე, ციალებდა ხომალდთა ქიმებზე. ცეცხლის ენები ტერასებს გასცდა, უშველებელი ჩირაღდნები ქალაქში წრემბრუნავ მზეებს ჰგვანდნენ. ბრბო აკროპოლიდან დაეშვა. მალქის კარიბჭე გახსნეს.

– მზადა ხარ? – წამოიძახა შაჰაბარიმმა, – ეგებ უბრძანებ ამათ, მამაშენს გადასცენ, რომ განუდეგ მას.

ქალწულმა პირბადე ჩამოიბურა. კოცონები ნელ-ნელა შორდებოდნენ იქაურობას და სანაპიროსკენ ეშვებოდნენ.

სალამბო რაღაც უჩვეულო ძრწოლამ შეიპყრო. შიშის ზარს სცემდა მოლოქი, ეშინოდა მათოსი. ზაიმფს დაპატონებული ბრგე ვაჟკაცი, რომელმაც ბაალის დარად დაჯაბნა რაბეთნა, ასულს ღვთაებრივი დიდებით მოსილი ეგონა. ღმერთების სული ზოგჯერ ხომ დაივანებს ხოლმე კაცის სხეულში. განა მას არ გულისხმობდა შაჰაბარიმი, როცა შეაგონებდა მოლოქი უნდა დათრგუნო?! მათო და მოლოქი ერთია, ისინი ერთუთრის შეერწყნენ და ერთად დევნიან ქალწულს.

მომავლის შეტყობა სურდა და გველთან მივიდა, მის იერში შეეძლო განეჭვრიტა თავისი სვე-ბედი. კალათა ცარიელი დახვდა. სალამბო შემფოთდა.

ღვედებით დაკიდებული სარეცლის გვერდით მიაკვლია პითონს. იგი კუდით შემოხვეოდა ვერცხლის მოაჯირს და ეხახუნებოდა მოყვითალო ძველი ტყავის გასაძრობად. მისი ღია ფერის მბზინავი ტანი ამოწვდილი სატევარივით ლაპლაპებდა. მომდევნო დღეებში, რაც უფრო მზად იყო სალამბო ტანიტის საშველად, მით უფრო მოიკეთა პითონმა, გაიფსო, გამოცოცხლდა.

სალამბოს ღრმად გაუფდა აზრი, რომ შაჰაბარიმი ღმერთების ნებას გამოხატავდა. ერთ მშვენიერ დილას მან მტკიცე გადწყვეტილებით გაიღვიძა და იკითხა: რაა საჭირო, რომ მათომ რიდე დააბრუნოსო.

– მოთხოვნა, – მიუგო შაჰაბარიმმა.

– რომ იუაროს?

ქურუმმა გაუღიმა ასულს და თვალი თვალში გაუყარა. ასეთი ღიმილი არასოდეს შეუმჩნევია მის სახეზე სალამბოს.

– ჰო, თუ იუარა, მაშინ? – გაუმეორა კითხვა.

ქურუმი თითებზე იხვევდა ტიარიდან მხრებზე ჩამოშვებული ყაითნის ბოლოს. თვალეები დაეხარა. ბოლოს, რაკი ქალწული ვერ მიხვდა, დაატანა:

- განმარტოვდები მასთან.
- მერე?
- მარტოდმარტო, კარავში...
- მერე? შაჰაბარიმმა ტუჩი მოიკვნითა, სიტყვას ეძებდა, შეფარვით სურდა ეთქვა.
- თუ სასიკვდილო ხარ, მერე მოკვდები, მოგვიანებით! ნუ გეშინია! მშველელს არ მოუხმო, რაც არ უნდა მოხდეს! ნუ დაფრთხები! დაემორჩილე, ხომ გეყურება, უნდა დაჰყვე მის სურვილს და ზეცის ბრძანებას!
- კი, მაგრამ რიდე?
- ღმერთები გადაწყვეტენ, – მიუგო შაჰაბარიმმა.
- ეგებ წამომყოლოდი, მამაო?
- არა!

ქურუმმა მუხლი მოადრეკინა ასულს. მარცხენა ხელი ალაპყრო, მარჯვენა გაშალა და სალამბოს მაგიერ დაიფიცა, რომ ქალღმერთის რიდე კართაგენს დაუბრუნდებოდა. ღონემიხდილი ქალი იმეორებდა შაჰაბარიმის ყოველ სიტყვას და საშინელი წყევლა-კრულვით შეჩვენებას უქადდა თავს, თუ ღმერთებს არ შეეწირებოდა.

ქურუმმა ასწავლა ცოდვათაგან როგორ უნდა განწმენდილიყო, აუხსნა როგორ უნდა შეეღწია მათოსთან. თან დაატანა, მეგზურს გაგაყოლებო.

სალამბომ შვებით ამოისუნთქა. უხაროდა, რომ კვლავ იხილავდა ზაიმუს და მადლს სწირავდა შაჰაბარიმს მისი დამოძღვრისთვის.

ჩიტების გადაფრენის დრომ მოაწია, კართაგენიდან მტრედები სიცილიაში, ერიქსის მთაზე, ვენერას ტაძრისკენ იხიზნებოდნენ. გადაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე ერთმანეთს ეძებდნენ, უხმობდნენ, თავს იყრიდნენ. ბოლოს, ერთ საღამოს, გაფრინდნენ. ზურგქარი წაეშველა მათ და მალლა, ზღვის ზემოთ, ზეცა გადასერა ვეება თეთრმა ღრუბელმა.

სისხლისფრად შეიღება თვალსაწიერი. მტრედები თითქოს ზვირთებში ეშვებოდნენ, ნელ-ნელა უჩინარდებოდნენ, მზეს უცვივოდნენ ხახაში. სალამბომ მზერა გააყოლა ფრინველთ და თავი ჩაქინდრა. ტაანაქს ეგონა, სევდას მივუხვდიო, და ნაზად დაუყვავა:

– არა უშავს, ისევ მობრუნდებიან, უფლისწულო.

– ჰო, ვიცი.

– კვლავ იხილავ მათ.

– ვიხილავ ალბათ! – ამოიოხრა ქალწულმა.

სალამბოს არვისთვის გაუნდვია თავისი გადანყვეტილება. საქმე რომ ფარულად მოგვარებინა, ეზოსმოძღვრისთვის არაფერი უთხოვია. კინიზდოს გარეუბანში შეაძენინა ტანაქს სინგური, ნელსაცხებლები, სელის სარტყელი და ახალი სამოსელი. ბებერი მხევალი გააოცა ამ სამზადისმა, მაგრამ კითხვა ვერ შეებდა. ბოლოს დადგა შაჰაბარიმის დათქმული დღე. სალამბო უნდა წასულიყო.

მეთორმეტე საათი იყო, ნეკერჩხლის ქალაში უსინათლო ბერიკაცი რომ შენიშნა ქალწულმა. წინ ბიჭი მოუძღოდა. მოხუცი ცალი ხელით ბიჭის მხარს ეყრდნობოდა, მეორეში ეკალმუხის კითარა ეჭყრა. საჭურისები, მონები და სეფექალები გაერიდებინათ იქაურობისთვის. ვერვინ შეიტყობდა საიდუმლოს.

პალატის ოთხივე კუთხეში ტანაქმა ოთხ სამფეხზე ცეცხლი დააგზნო გირჩებითა და ილით. შემდეგ გაშალა ბაბილონური დიდი ხალიჩები და ოთახის ირგვლივ თოკებზე გადაფინა. კედლებსაც კი ემალებოდა სალამბო. კარს უკან ჩაცუცქულიყო მემუსიკე. ფეხზედგომელა ბიჭმა ტუჩზე მიიდო ლერწმის სალამური. შორს, ქუჩებში, ყაყანი მიწყდა. ტაძართა სტოასთან იისფერი ჩრდილები წაგრძელდა. ყურის მეორე ნაპირზე მთების ძირი, ზეთისხილის ქალა და გადაყვითლებული ყამირი უსაზღვროებას ერთოდა, მოლურჯო ნისლში ინთქმებოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. რალაც ენით უთქმელი მოთენთილობა ჩაიღვარა ჰაერში.

სალამბო აუზის პირას აქატის საფეხურზე ჩაცუცქდა, ფართო ყურთმაჯები აიკრიფა, ზურგზე გაიკრა და გულდასმით იწყო წმინდა ადათის მიხედვით განზანა.

მხევალმა შედედებული სითხე მოართვა ალებასტრის ფიალით. ეს იყო ზამთრის სუსხიან ღამეში სამარხის ნანგრევებში ბერნი ქალების მიერ ყელგამოლადრული შავი ძაღლის სისხლი, სალამბომ ყურები და ქუსლები დაიზილა სისხლით, მარჯვნა ხელის ცერზეც წაიცხო. ფრჩხილები წითლად შეეღება, გეგონებოდათ ნაყოფი გასრისა და ხელი დაესვარაო.

მთვარე ამოცურდა. კითარა და ნესტვი ხმაშენყობილად ახმიანდა.

ასულმა საყურეები, შიბი და სამაჯურები შეიხსნა, გრძელი ქვედანელი გაიძრო, ზილფები გაიშალა და მხრებზე შეათამაშა, რომ გამოფხიზლებულიყო. გარეთ კვლავ ჟღერდა ჰანგი. სამად სამი დაუცხრომელი კილო საოცარი სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს. ქნარის ძალები აცახცახდა, სალამბო მთლად შეიშალა. მხევალმა რიტმს ააყოლა ტაში. სალამბო მთელი ტანით ირნეოდა და ლოცვებს ბუტბუტებდა. სამოსელი ერთიმორის მიყოლებით ცვიოდა ქალწულის ფერხთით.

ვეება კრეტსაბმელი შეირხა და საბელს ზემოთ პითონის თავი გამოჩნდა. კედელზე ჩამოცურებული წყლის წვეთივით ნელა დაეშვა გველი, დაცვენილ ქსოვილთა შორის გასრიალდა, მერე კუდი დაიბიჯგა იატაკზე და ზეადიმართა. შემდეგ სალამბოს მიაშტერა ბადახშზე უფრო ელვარე თვალები.

ქალი შეყოყმანდა, სიცივემ შეაშინა თუ სირცხვილმა შეაკრთო, მაგრამ შაჰაბარიმის ნაბრძანები მოაგონდა და წინ წადგა ფეხი. პითონი ძირს დაეშვა, შუატანით შემოეხვია ქალწულს. მისი თავი და კუდი კისერზე ჩამოეკიდა სალამბოს; განწყვეტილ ფარლულს ჰგავდა, ბოლოები მიწამდე აღწევდა. ქალმა მუცელზე შემოიტმესნა გველი, ილღიებში ამოიტარა და მუხლებზე შემოიხვია. მერე ყბაში ჩაავლო ხელი, კბილებთან მიიტანა მისი პანანა სამკუთხა ხახა; სალამბომ თვალები მოჭუტა და თავი უკან გადაადგო, მთვარის შუქს მიუშვირა. თეთრმა ნათელმა თითქოს ვერცხლისფერი ბურუსით შებურა იგი. ქალწულის სველი ფეხების ნაკვალევი ალაპლაპდა იატაკის ფილებზე. განსაბან წყალში ვარსკვლავების ანარეკლი ციმციმებდა. გველმა ოქროსფერი ფორეჯებით მოწინწკლული შავი რგოლები შემოაჭდო ასულს. დიდი სიმძიმის ქვეშ სალამბოს სუნთქვა ეკვროდა, ნელში წყდებოდა, სიკვდილის სიახლოვეს გრძნობდა. პითონი კუდის ბოლოს უცაცუნებდა თეძოზე. ჰანგი შეწყდა. გველი ძირს დაეცა.

ტაანაქი მივიდა სალამბოსთან, ორი ლამპარი მიიტანა. ალი წყლით სავსე ბროლის ბირთვებში ენთო. მხევალმა ხელისგულები ენდროთი შეუფერა სალამბოს, ღანვები სინგურით შეუფაკლა, ქუთუთოებზე საოლავი წასცხო; მწერის გაგლეხილი ფეხების, აშიფის, მუშკისა და ებანოზის ნაზავით ნაუგრძელა ნარბები.

სალამბო ჩამოჯდა სკამზე, რომელსაც სპილოს ეშვები ჰქონდა ფეხებად, და ტაანაქს მიახლო თავი. მარხულობამ და ნელ-

საცხებელმა ღონე მიჰხადა ასულს. მხევლის შეხებაზე იგი ისე გადაფითრდა, რომ ტაანაქი შედგა.

– განაგრძე! – უთხრა სალამბომ, თავს დასძლია, უცებ გამოცოცხლდა. შემდეგ ქალწული მოუთმენლობამ შეიპყრო, ტაანაქს აჩქარებდა და ბებერმა მხევალმა წაიბუზღუნა:

– კარგი! კარგი! უფლისწულო! გეგონება გელოდეს ვინმე!

– ჰო, მელიან, – მიუგო სალამბომ.

მხევალი გოცებისგან შეცბა, შემდეგ გამოსატყხად ჩაეკითხა:

– რას დამიბარებ, უფლისწულო? თუ მიხვალ...

ჰამილკარის ასული აქვითინდა.

– იტანჯები! რა დაგემართა, რა გჭირს! მეც თან წამიტანე! – აკივლდა მოხუცი. – ჩვილი რომ წამოიტირებდი, გულში ჩაგიკრავდი ხოლმე და ჩემი ძუძუს კერტებით გართობდი. შენ დააჭნე ჩემი ძუძუები, უფლისწულო! – მჯილი ჩაიკრა დაჩვარულ მკერდში, – დავჩაჩანაკდი, ვერას წაგადგები, აღარ გეიმედები! შენს სატკივარს მიმალავ, გამზრდელი ძიძა გეთაკილები! გულაჩუყებულსა და განანყენებულს ცრემლი ჩამოუგორდა სვირინგებიან დაღარულ ყბებზე.

– არა! მიყვარხარ! დაშოშმინდი! – დაამშვიდა სალამბომ.

ტაანაქი ბებერი მაიმუნივით დაიღმიჭა და მისი მორთვა განაგრძო. შაჰაბარიმის რჩევით სალამბომ შეუკვეთა – მომეტებული ბრწყინვალეობით გამომანყვეო. მხევალმა ბარბაროსთა გემოვნებით, გამორჩეულად და თან შნოიანად შემოსა იგი.

ღვინისფერ თხელ ტუნიკაზე ასულმა ჩიტის ღინღლით გაწყობილი მეორე ტუნიკა გადაიცვა. წელზე ოქროს ქერეჭი ჰქონდა შემოტმასნილი და ამ ფართო სარტყლიდან ჩამოშვებოდა ვერცხლის ვარსკვლავებით მოოჭვილი ლურჯი წვივსაცმლის ნაოჭები. ტაანაქმა სერესული სელის გრძელი კაბა ჩააცვა, თეთრი სამოსი მწვანე ზოლებით იყო აჭრელებული. მხარზე დაუმაგრა ძონისფერი ოთხკუთხა ხილაბანდი, რომელსაც სანდასტრუმის ბურთულები ჰქონდა ფორჩხად. შემდეგ მოახურა შავი გრძელი ლაბადა, კუდი იატაკზე მისთრევდა. მერე შეათვალიერა და თავისი ხელობით წათამამებულმა თავი ვერ შეიკავა:

– შენი ქორწილის დღესაც კი არ იქნები ალბათ ასე მშვენიერი!

– ჩემი ქორწილის დღეს! – გაიმეორა სალამბომ, იდაყვით ჩამოეყრდნო სპილოს ძვლის სკამს და ფიქრებს მიეცა.

ტაანაქმა სპილენძის უზარმაზარი სარკე დაუდგა წინ. სალამბო მთელი ტანით გამოჩნდა შიგ. ქალწული წამოიმართა და ნაზად შეისწორა ჩამოშლილი ზილფი.

ოქროს ფხვნილით შეფრქვეული თმები შუბლზე დატალღოდა. ზურგზე დაყრილ გრძელ დაღალებში ობოლი მარგალიტები ჰქონდა ჩახვეული. ლამპრის ალმა ნათელი სცა ქალწულის შეფერილ ღანვებს, ააელვარა მისი სამოსის ოქროს ფოჩები, გამოკვეთა კანის სითეთრე. წელზე, მკლავებზე, ხელებსა თუ ფეხის თითებზე იმდენი პატიოსანი თვალი აუციმციმდა, რომ სარკე მზესავით გაცისკროვნდა და არეკლილი სხივები შემოანათა ასულს. ტაანაქის გვერდით იდგა, მხევალი წახრილიყო მის საჭვრეტად. თვალისმომჭრელი სანახაობის შემყურე ასულმა გაიღიმა.

შემდეგ დროის მოსაკლავად ბოლთის ცემა იწყო.

უეცრად მამლის ყვირილი გაისმა. ქალწულმა თმებზე შემოიბურა ყვითელი გრძელი რიდე, ყელზე ჩიქილა შემოიხვია, ლურჯი ტყავის ქოშებში სტუცა ფეხი და ტაანაქს მიუბრუნდა: – გასწი, ნახე, ტვიის ქალაში კაცი თუ იცდის ორი ცხენით.

მხევალი მობრუნებული არც იყო, რომ სალამბო ხომალდის ქიმებიან კიბეზე დაეშვა.

– უფლისწულო! – წამოიყვირა ძიძამ.

სალამბომ მოიხედა და თითი მიიდვა ტუჩზე, დადუმება ანიშნა.

ტაანაქმა ქვედა ტერასამდე ჩაირბინა ხომალდის ქიმებიანი კიბე. მთვარის შუქზე გაარჩია კვიპაროსთა ხეივანში სალამბოს მარცხნივ მოძრავი წაფერდებული ვეება ლანდი. ეს სიკვდილს მოასწავებდა.

ტაანაქი სალამბოს პალატში შებრუნდა, იატაკს განერთხა, ფრჩხილებით იხოკდა სახეს, თმებს იგლეჯდა, მთელი ძალით ღრიალებდა.

არ შემიტყონო, იფიქრა და გაყუჩდა. შემდეგ ჩუმად ასლუკუნდა, იატაკის ფილებს დაემხო და ხელებში ჩარგო თავი.



თავი მეთერთმე

პარავში

გამყოლი შუქურას იქით, კატაკომბებისკენ წაუძღვა სალამ-ბოს, შემდეგ თავქვე დაეშვნენ მოლუიას უბანში, რომელიც სიგ-რძივ იყო განზიდული და თავდაღმართში ჩაქანებული შუკებით იყო დასერილი. ინათა. აქა-იქ კედლებიდან პალმის თავხეები იყო გამოშვერილი და თავის დახრა უხდებოდათ. ცხენები ფეხს ვერ იკიდებდნენ და ბოხვით მიიკვლევდნენ გზას. ასე მიაღწიეს ტებესტის ბჭეს.

ერთხანს სანგრების პირას იარეს. წყალსატევს რომ გაუს-ნორდნენ, ტენიისკენ გაუხვიეს, დაადგნენ ყურისა და ტბის გამ-ყარ ყვითელ ზოლს, რომელიც რჰადესამდე იყო წაგრძელებული.

კართაგენის სიახლოვეს ზღვასა თუ ხმელზე ძეხორციელი არ ჩანდა. ნელა ირწეოდნენ ასპიტისფერი ზვირთები. ზეფირმა პეროვანი ტალღებით დასერა ზღვა. განთიადის სუსხისგან რი-დემ ვერ დაიფარა სალამბო და შემცივნებული ქალი ათრთოლ-და. ჰაერმა დასცადა, მგზავრობამაც მოქანცა. მზე ამოინვერა, ზურგზე დააცხუნა და ასულმა უნებურად ჩათვლიმა. ცხენები გვერდიგვერდ მითოხარიკობდნენ, ნოტიო ქვიშაში ეფლობო-დათ ფლოქვები.

ცხელი წყაროების მთას რომ გასცდნენ, ბედაურებმა მყარი ნიადაგი იგრძნეს ფეხქვეშ და გაქუსლეს.

სადაც კი თვალი მიუწვდებოდათ, მინდვრები უდაბნოსავით იყო უკაცრიელი, თუმცა ხვნა-თესვის ალო იდგა. ზოგან ხორ-ბალი იყო მიმოხეული, ზოგან ქერი ჩაცვენილიყო. მზის სხივე-ბით განათებულ ცის დასალიერზე მოჩანდა შავად ჩამუქებული სოფლები ახირხლული სახლებითა და ოკრობოკრო გზებით.

დროდადრო გზის პირას აღიმართებოდა დანახშირებული კედლის ნაშალი. ჯარგვალთა ქერი ჩანგრეულიყო. ნასახლარში გაირჩეოდა თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები, ფლასები, საოჯახო

ნივთები. ზოგი რამ ისე გავერანებულიყო, რომ ველარც იცნობდით, რისი ნაშთი იყო. ხანდახან ნანგრევებიდან გამოიძურნებოდნენ ძონძებში გახვეული არსებანი, რომელთაც ანთებული თვალები ჰქონდათ და მიწისფერი ედოთ სახეზე. მგზავრების დანახვაზე ანგარიშმიუცემლად გარბოდნენ ან ისევ მიაშურებდნენ თავიანთ სამყოფელს. სალამბო და მისი გამყოლი წინ მიიწევდნენ შეუჩერებლად.

მიტოვებული ზოდებუნები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ცხენების თქარათქურზე ბუღად დგებოდა თვალუწვდენელ თეთრ ველზე დაზავებული ნაცარი. ზოგჯერ მყუდრო ადგილს წააწყდებოდნენ შესასვენებლად; მაღალ ბალახებში ნაკადული მირაკრაკებდა. მეორე ნაპირზე გადავიდოდა სალამბო და სველ ჟვერს გლეჯდა გახურებული ხელების გასაგრილებლად. ოლეანდრების ბაღნარს რომ ჩაუარეს, სალამბოს ცხენი დაფრთხა და ყალყზე შედგა მიწაზე დაგდებული გვამის წინ.

მონამ იმავე წამს ბალიშებზე მიასვენა ჰამლკარის ასული. იგი ტაძრის მსახურთაგანი იყო, შაჰაბარიმი მუდამ მას ავალებდა სახიფათო საქმეებს.

მეგზური მეტისმეტად ფრთხილობდა და ცხენებს შუა ჩამდგარი ქვეითად მიჰყვებოდა სალამბოს, ხელზე შემოგრაგნილ ტყავის მათრახს უტლაშენებდა ცხენებს, მკერდზე ჩამოკიდებული აბგიდან იღებდა პურის კვერს, ინდისხურმას, ლოტოსის ფურცლებში შეხვეულ კვერცხის გულს და უჩუმრად სთავაზობდა ქალწულს.

ნაშუადღევს გზად შემოეფეთათ ნადირის ტყავში გახვეული სამი ბარბაროსი. მერე და მერე გამოჩნდნენ სხვანიც. ჯგუფ-ჯგუფად დაძრწოდა ათი, თორმეტი, ოცდახუთი კაცი. ზოგი თხას მოლალავდა, ზოგი – ფეხმოტეხილ ძროხას. თითბრის სანერტლებით დაბოლოებული ვეებერთელა კომბლები მოემარჯვებინათ, ზინზლიან ტანსაცმელში გარჭობილი ყამები უელავდათ, გაოცებულნი იყვნენ და მუქარით აბრიალებდნენ თვალეებს. გვერდზე ჩავლისას ზოგი ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა მგზავრებს, ზოგი უტიფრად დასცინოდა მათ. შაჰაბარიმის მონა ყოველ მათგანს თავთავიანთ კილოზე ეუბნებოდა – სნეულ ჭაბუკს ვახლავარ, განსაკურნავად შორეულ ტაძრად მივალთო.

ამასობაში დღე მიიწურა. მოისმა ძაღლების ყეფა, მგზავრებმა იქით გასწიეს.

შელამების ბინდ-ბუნდში შენიშნეს შეუმტკიცავი ქვით ნაშენი ყორე, რომელიც რაღაც უცნაურ ნაგებობას ფარავდა. გალავანზე ძალღი გარბოდა. მონამ ქვეები დაუშინა. ისინი მაღალთალიან დარბაზში შევიდნენ.

შუა პალატში დედაკაცი ჩაცუცქულიყო და ცეცხლს ეფიცებოდა. ფიჩხი იწვოდა, კვამლი ქერის ნაპრალიდან გადიოდა. თეთრი თმა მუხლებამდე სწვდებოდა და სანახევროდ ფარავდა ქალს. მოსულთათვის პასუხის გაცემა არ სურდა, უაზროდ ლულულებდა რაღაცას ბარბაროსთა და კართაგენელთა შურისძიებაზე.

მონამ გადაქექა ოთახი, შემდეგ ქალთან მივიდა და საჭმელი მოსთხოვა. დედაბერს ნალვერდლებისთვის მიეშტერებინა თვალელები და თავის კანტურით ბუტბუტებდა:

– ხელი ვიყავ. ათივე თითი მომკვეთეს. პირი გადაეჩვია ჭამას.

მეგზურმა მუჭით ოქრო ნაუჩვენა. დედაკაცი წამოხტა, მაგრამ იმავ წამს გაშეშდა უძრავად.

მაშინ მონამ ქამრიდან ამოიწვავდა ხანჯალი და ყელში მიაბჯინა. აკანკალებულმა დედაბერმა გადააგორა ლოდი, ღვინიანი კოკა და თაფლში ჩახარშული ჰიპოზარიტული თევზი გამოაჩინა.

სალამბომ ზიზღით მოარიდა თვალი ამ უწმინდურ კერძს და დარბაზის ერთ კუთხეში მიგდებულ ყაჯრებზე მიწვა წასაძიებლად.

უთენია გამოაღვიძა მონამ.

ძალღი აყეფდა. მონა ფეხაკრეფით მიეპარა და ხანჯლის ერთი მოქნევით წააცალა თავი. მერე გამოსაფხიზლებლად ცხენებს ნესტოები დაუზილა ძალღის სისხლით. დედაბერმა წყევლა მიაყოლა თან. სალამბომ ყური მოჰკრა მის წყევლაკრულვას და მკერდზე ჩამოკიდებული ავგაროზი ჩაბლუჯა.

გზა განაგრძეს.

დროდადრო ასული იკითხავდა – მალე თუ მივალთო. გზა ფერდობებს უხვევდა. ჭრიჭინების კრუალის გარდა არაფერი ისმოდა. მზემ დააცხუნა გადამხმარ ბალახს. დახეთქილი მიწა თითქოს ფილებით იყო მოგებული. დროდადრო იქედნე გაისრიალებდა, არწივი გადაიფრენდა. მონა შეუსვენებლივ მიაჭენებდა. ასული ოცნებას მიეცა. სამოსის განვირიანებას ერიდებოდა და სიცხის მიუხედავად მაინც რიდეს იბურავდა.

კართაგენელებს სათვალთვალ კოშკები აღემართათ ერთმანეთისაგან თანაბარი დაშორებით. სალამბო და მისი მეგზუ-

რი ჯიხურში შედიოდნენ, გადაიჩრდილებდნენ და კვლავ განაგრძობდნენ სვლას.

ბოლო დროს სიფრთხილის გამო შორი გზა მოიარეს, მაგრამ უკვე აღარავინ იყო შემხვედური. ამ უნაყოფო ველებში ბარბაროსები არ დაიარებოდნენ.

ისევ გამოჩნდა აოხრების კვალი. ზოგჯერ შუა მინდორში ეგდო სოფიის ქვის ჩამონატეხი წვრილად მოკენჭილი ერთადერთი ნაშთი იავარქმნილი ციხე-დარბაზისა. ფოთლებშემოძარცული ზეთისხლის ხეები შორიდან ძეძვნარს ჰგავდა. ერთი დაბა გადაიარეს, ყველა სახლი გადაენვათ და მიწასთან გაესწორებინათ. გაღავნის გაყოლებით ადამიანთა ჩონჩხები ეყარა. ბლომად იყო ლურკან აქლემთა და ჯორთა ძვლებიც. ნახევრად დახრული ძვლები ზვინებად იდგა ორღობეებში.

ჩამოღამდა. დაბლა ჩამონოლილმა ღრუბელმა შეხუთა ჰაერი.

ორი საათის განმავლობაში მალლა მიიწვედნენ, დასავლეთისკენ. უეცრად სინათლე დაინახეს.

სერზე კოცონები ბრიალებდა, აქა-იქ ოქროს ბალთები მოძრაობდა და ციმციმებდა. ეს იყო კლინაბართა თორნ-აბჯარი, პუნიკური ლაშქარი. შემდეგ უფრო მეტი ცეცხლი გაარჩიეს ირგვლივ. მთელ როქის სპას მოეყარა თავი და ვრცელ მანძილზე გაშლილიყო.

სალამბომ წინ წაიწია, მაგრამ შაჰაბარიმის მონა იმ მიწაყრილის გასწვრივ გაუძღვა, რომელიც ბარბაროსთა ლაშქარს ეკუთვნოდა. მათ წინ ნიშა გადაიხსნა, მონა გაუჩინარდა შიგ.

სანგრის თავზე ბოლთას სცემდა გუშაგი, ხელში მშვილდი ეპყრა, მხარზე შუბი გაედო.

ჰამილკარის ასულმა მისკენ გასწია. ბარბაროსმა ჩაიმუხლა და სალამბოს კაბის კალთაში გრძელმა ისარმა გაატანა. ქალს ფეხი არ მოუცვლა, წამოიკივლა მხოლოდ. მაშინ კი ჰკითხა გუშაგმა, რა გნებავსო.

— მათოსთან საუბარი, კართაგენელთაგან ვარ გადმოხვეწილი, — უპასუხა სალამბომ.

გუშაგმა დაუსტვინა. შორიდან სტვენითვე შეეპასუხნენ.

ქალი იცდიდა. მისი ცხენი დაფრთხა, ცმუკავდა და ფრუტუნებდა.

მათოს გამოჩენისას მთვარე ამოცურდა სალამბოს უკან. მაგრამ ასულს შავი ყვავილებით მოხატული ყვითელი რიდე ჩამოებურა სახეზე და იმდენი ეცვა, რომ მისი ცნობა შეუძლებლი

იყო. მათო მიწაყრილიდან დაჰყურებდა სალამოს ბინდბუნდში მის წინ ზმანებასავით წამომართულ უცნაურ არსებას.

ბოლოს სალამბომ უთხრა:

– შენს კარავში შემიძეხ, ასე მნებაეს!

რაღაც გაურკვეველმა მოგონებამ მოიცვა მათო. გული აუძგედა, მბრძანებლურმა იერმა მოდრიკა.

– მომყევი! – უთხრა.

ტიხარი დადაბლდა და ქალი როქის სპის ბანაკში აღმოჩნდა.

საშინელ ყაყანსა და ჩოჩქოლს გაეყრუებინა იქაურობა. შუაცეცხლზე ჩამოკიდებულ კარდლებს ცეცხლი ჰქონდა შენთებუ-ლი. მონითალი ალი ალაგ-ალაგ ანათებდა ბარბაროსთა ბანაკს, დანარჩენი არე ბნელს მოეცვა. მებრძოლეები გაყვიროდნენ, ერთმანეთს უხმობდნენ. კარვებს შუა ჩარიგებულებიყვნენ ღობეს მიბმული ცხენები. მრავლად იყო ტყავისა თუ ხამის, მრგვალი თუ ოთხკუთხა კარავი. აქა-იქ ლერწმის ფაცხები იდგა. ქვიშაში ძაღლის ბუნაგის მსგავსი ორმოები იყო ამოთხრილი. მეომრები ფიჩხს ეზიდებოდნენ; ზოგნი მიწაზე განოლილიყვნენ, ზოგნი ჭილობებში გახვეულიყვნენ და ძილს აპირებდნენ. სალამბოს ცხენი გზას ვერ იკვლევდა, რამდენჯერმე იშვირა ფეხი და გადაახტა მათ.

ასულს გაახსენდა, რომ ნანახი ჰყავდა ეს ხალხი, მაგრამ ახლა წვერ-ულვაში მოზრდოდათ, სახე გარუჯოდათ, ხმაში ხრინწი შერეოდათ. მათო წინ მიუძღოდა, ხელს იწვდიდა და ორად აპობდა ბრბოს. მისი წითელი მოსასხამი ფართოდ იშლებოდა. ჯარისკაცთაგან ზოგი ხელზე ემთხვია მათოს, სხვებმა მდაბლად თავდადრეკილებმა მიაშურეს – გვიბრძანე რამეო. იგი იყო ბარბაროსთა ერთადერთი ჭეშმარიტი სპასპეტი. სპენდიუსი, ოტარიდი და ნარჰავასი შედრკნენ. მათომ ისეთი გამძლეობა გამოიჩინა, რომ ყველა მის უტეხ ნებას დაემორჩილა.

სალამბო უკან მიჰყვებოდა. მთელი ბანაკი გადასერეს. მათოს კარავი სულ ბოლოს, ჰამილკარის სანგრებიდან სამასიოდ ნაბიჯზე იყო გაშლილი.

ქალმა უშველებელი ორმო შენიშნა მარჯვნივ. ხაროს კიდეში, მიწის გასწვრივ სახეებს მოჰკრა თვალი. თავმოკვთილებს ჰგვანდნენ, თვალეები უელავდათ ოლონდ და გახსნილი ბაგეები პუნიკურ ენაზე ვაებდნენ.

კარვის შესასვლელთან აქეთ-იქით ორი ჩირაღდნიანი მონა ყურყუტებდა. მათომ სწრაფად გადასწია კარვის კალთა. ქალი მეჰყვა.

კარავი დიდი იყო, შუაში ლატანი ჰქონდა ბიჯგად. ლოტოსის ყვავილისდარი დიდი ლამპარი ანათებდა იქაურობას. ლამპრის მოყვითალო ზეთში წვეთები ტივტივებდა, მრუმეში საჭურველი ელავდა. ფარის გვერდით, ჯორკოზე გაშიშვლებული ხმალი იყო მიყუდებული. მოწნულ კალათში ეგდო ერთმანეთში არეული ჰიპოპოტამის ტყავის მათრახები, წინწილები, ბობლანი და შიბები. თექის ფარდაგში შავი პურის ნამცეცები ჩაცვენილიყო. კუთხეში მრგვალ ქვაზე ხურდა ფული ეყარა. კარვის ჩახეული კალთიდან მტვერი და სპილოთა ზინზლის სუნი მოჰქონდა ქარს. ისმოდა ყბების დგაფუნე და ჯაჭვების ჩხარუნი.

– ვინა ხარ? – იკითხა მათომ.

სალამბო არ შეპასუხებია. ნელა მიმოიხედა ირგვლივ, პალმის რტოებით შეკრულ სარეცელზე დაფენილ რაღაც მოლურჯოსა და სხივმოსილზე შეაჩერა მზერა.

იქით გაეშურა ქალწული და წამოიყვინრა. მათომ ფეხი დააბაკუნა:

– ვინ მოგიყვანა, ვინ! და რა გინდა!

ზაიმფზე მიუთითა და უთხრა:

– რიდის წასაღებად ვარ მოსული!

სალამბომ მეორე ხელით პირბადე ჩამოიძრო. მათო უკუიქცა, პირი დაალო, ძრწოლამ აიტანა.

ღმერთების მხარდაჭერა იგრძნო ასულმა, სახეში ჩახედა მათოს და ზაიმფი მოითხოვა. მრავალსიტყვაობითა და მედიდურობით სჯაბნიდა ვაჟს.

მათოს აღარაფერი ესმოდა, სალამბოს შესცქეროდა. მოეჩვენა, თითქოს სამოსელი ქალწულის სხეულს შეენივთა. დატალღული სტავრა ასულის კანივით ბზინავდა. მხოლოდ იგი შეიძლება იყოს ასეთი სხივმოსლი! თვალები და აღმასები ერთნაირად უციმციმებდა; შეფერილი ფრჩხილები აგრძელებდნენ ბეჭდებით დახუნძლულ თითებზე თვლების ციალს. ტუნიკის ორი ბალთა ოდნავ ზემოთ სწევდა და ერთმანეთს უახლოებდა ძუძუებს. და მათო ოცნებებით ჩაიკარგა მათ შუა ვინრო ღარში. იისფერი მარმაშები ამხელდნენ, რომ ზურმუხტისთვლიანი ძენკვი ეშვებოდა შიგ. საყურეებად ჰქონდა საფირონის წკირებზე დაკიდებული ამოჭრეთილი მარგალიტები, რომლებშიც ნელსულნელება ესხა. მარგალიტის განასერიდან დროდადრო წვეთი ეცემოდა შიშველ მხარზე ასულს. მათო გაფაციცებით ადევნებდა თვალს.

ვაჟი საოცარმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ათრთოლებული ოდნავ შეეხო სალამბოს მაღალ მკერდს, უცხო ხილს რომ წაეტანება ბავშვი, ისე. ქალწულის შემცივნებული სხეული მცირე წინააღმდეგობით დაჰყვა მას.

ამ ძლივს საგრძნობმა შეხებამ მთლად ააფორიაქა ჭაბუკი, მთელი თავისი არსებით მიისწრაფოდა სალამბოსკენ. სურდა ჩაეკრა იგი, გადაეყლაპა, შეესვა. გული საგულეს აღარ ჰქონდა, კბილებს აკანკანებდა.

ორივე ხელით ნაზად მიიზიდა ქალწული და ლომის ტყავით დაგებულ პალმის სარეცელთან ჩამოჯდა აბჯარზე. სალამბო ფეხზე იდგა. მათო ქვევიდან შესციცინებდა, მუხლებშუა ჰყავდა მომწყვდეული და იმეორებდა:

– რა მშვენიერი ხარ! რა მშვენიერი!

სალამბოს ტანჯავდა მისი ანთებული მზერა, შეჭირვებული იყო, ზიზი ისე მოერია, რომ ძლივს შეიკავა ყვირილი. შაჰაბარიმი გაახსენდა და თავს დასძლია.

მათოს ჩაებლუჯა მისი პანია ხელები. ქურუმის დარიგების მიუხედავად, სალამბო ცდილობდა ხელის აქნევით მის მოცილებას. მათოს ნესტოები დაჰბეროდა და ხარბად სუნთქავდა, თვრებოდა მისი სურნელით. რაღაც გაურკვეველი კეთილსურნელება იფრქვეოდა ასულისაგან, იგი აფხიზლებდა და თან აკვამლებული მუჯამარივით ბურანში ხვევდა მათოს. თაფლის, სანელებლის, გუნდრუკის, ვარდისა და კიდევ რაღაცის სუნი შეზავებოდა ერთმანეთს.

კი მაგრამ, როგორ გაჩნდა ქალწული მის სიახლოვეს, მის კარავში? როგორ აღმოჩნდა მის ხელთ? ეჭვი არაა, ვიღაცამ გამოგზავნა! ეგებ მართლა ზაიმფის წასაღებად მოვიდა? ხელები ჩამოუცვივდა მათოს, თავი ჩაქინდრა, უეცარმა ფიქრმა დაუმიძიმა გონება.

გულის ასაჩუყებლად სალამბომ სანყალობლი ხმით უთხრა:

– რა დაგიშავე, ჩემი სიკვდილი რომ გსურს?

– შენი სიკვდილი?!

ქალწულმა განაგრძო:

– ერთ სალამოს ჩემს აღმოდებულ ბაღნარებში გიხილე აქაფებულ ბარძიმთა და ყელგამოლადრულ მონათა შორის. უსაზღვრო იყო შენი რისხვა. შემომიტიე და მაიძულე გავქცეულიყავ! მას აქეთ შიშმა დაისადგურა კართაგენში. ლაპარაკობენ იავარქმნილ ქალაქებზე, ჩაფერფლილ დაბებზე, მეგრძოლთა

ხოცვა-ჟლეტაზე. შენ დააქციე, შენგან მოისრა ისინი! შენი სახელის გაგონებაზე სინდისი მქენჯნის. შავ ჭირზე საშინელი ხარ, რომაელებთან ომზე უარესი! ყოველი მხარე ცახცახებს შენი შიშით, ველ-მინდვრები გვამებითაა მოფენილი! შენგან ნაცართუტად ქცეულ სოფლებზე გადმოვიარე, მოლოქის კვლდაკვალ მევლოს თითქოს!

მათო წამოიჭრა. საოცარი სიამაყით აევსო გული. ღმერთების სიმაღლეზე აზიდულად მიიჩნია თავი.

სალამბოს ნესტოები უთრთოდა, კბილებში სცრიდა:

– მკრეხელობა არ იკმარე, ჩემთან შემოაღწიე, ზაიმფით მობურული გამომეცხადე მძინარეს! შენი ნათქვამი ვერ გავიგე, მაგრამ მშვენივრად მივხვდი, რაღაც საშინელებაში რომ მითრევდი, უფსკრულში მიმაქანებდი.

მათო თითებს იმტვრევდა.

– არა! არა! შენთვის მსურდა რიდე! შენთვის უნდა მომერთმია! მეგონა, ქალღმერთმა სამოსი შემოიძარცვა, რადგან შენ უფრო შეგფერდა იგი! ქალღმერთის ტაძარში თუ შენს სასახლეში, სად იქნება, სულერთი არაა? ტანიტივით ყოვლისშემძლე, უცოდველი, სხივმოსილი და მშვენიერი არა ხარ განა?!

მათო უსაზღვრო სიყვარულით უმზერდა.

– ვინ იცის, ეგებ თავად ხარ ტანიტი!

– მე, ტანიტი?! – ჩაიჩურჩულა სალამბომ.

დადუმდნენ. სადღაც შორს დაიქუხა. ავდრით დაშინებული ცხვრების პეტელი მოესმათ.

– მომიახლოვდი! – წამოიწყო მათომ, – ნუ გეშინია, მომიახლოვდი! როქის მებრძოლთა ბრბოში გარეული უბრალო ქვეითი ვიყავ, თან ისე მორჩილი, რომ სხვათათვის ზურგით ვეზიდებოდი შეშას. რა ბედენაა კართაგენი! შენთა ფეხთა მტვერში განქარდება სრულად მისი სპა. მის კუნძულებსა, ხომალდებსა და განძზე მეტად შენთა ბაგეთა კრთომა მხიბლავს, მხართა სინაზე. შენს სახილველად, შენს დასაუფლებლად კართაგენის ზღუდეთა აღგვა მსურდა! შურს ვიძიებდი, ლოფორთქინებივით ვსრესდი ხალხს, ლაშქართა ყოლბს ვეკვეთებოდი; შიშველი ხელით ვირიდებდი მოღერილ ჰოროლთ, გაფრენილ რაშებს ვიურვებდი თავის დადრეკით. მე ვერ შემარყევს ფილაკვნიდან ნატყორცნი ლოდი! ოჰ! რომ იცოდე, ბრძოლის ქარ-ცეცხლში შენ მყავდი თვალწინ! ზოგჯერ შენი ტანის მიმოტანა, შენი სამოსის ნაკეცთა გახსენება წამიტანს, შემომებურვის. შენი თვალები

მეზმანება ისართა ცეცხლში, მოზარნიშულ ფარებში. შენი ხმა მეყურება წინწილების ხმიანობაში! მიმოვიხედავ, არსად ხარ და... მტერს ვეკვეთები!

ხელები აღმართა. ხეთა ვარჯში გახლართული ფათალოს ღერწებივით დამჩნეოდა ძარღვები. ოფლი ღვარად სდიოდა დაკუნთულ მკერდზე, ბრინჯაოსსალტეებიან ქამარში გამომწყვდეული გვერდები მძიმე სუნთქვისგან ებერებოდა. სარტყლიდან მუხლამდე სთრევდა მარმარილოზე უფრო მაგარი ღვედები. საჭურისებს ჩვეული ქალი გააოცა მისმა ძალამ. გაიფიქრა – ქაღალმერთის მოვლენილი რისხვა თუა ან მოლოქის წყრომა, თან რომ მდევს და ხუთივე ლაშქარს თავს რომ დასტრიალებსო.

თბილი ჰაერის ჭავლებმა ააფარფატა ჩირაღდნის ალი. დროდადრო ელვა კრთებოდა კარავში. მერე კვლავ მრუმე გადასძალავდა. სალამბო მათოს ორ ნალვერდალივით მოკიაფე თვალს-და არჩევდა ბნელში. ქალმა გარდუვალობის სიახლოვე იგრძნო, თავს დასძლია, ზაიმფისკენ წაიწია და ხელით წაეპოტინა.

– რას შერებ?! – წამოიძახა მათომ.

ქალმა უდრტვინველად უპასუხა:

– ზაიმფით დაუბრუნდები კართაგენს.

მათო მკლავგადაჭდობილი მიუახლოვდა. ისეთი შიშისმგერლი იერი ჰქონდა, რომ სალამბო გაილურსა.

– კართაგენს დაუბრუნდები?!

ხმა ერთმოდა, კბილთა ღრჭენით იმეორებდა:

– კართაგენს დაუბრუნდები?! ჰა! მოხველ, რათა ზაიმფი წაიღო, დამჯაბნო და გაქრე?! არა, ჩემს ხელთა ხარ! ვერვინ დაგიხსნის აქედან! რა დამავინწყებს შენი დიდი მშვიდი თვალების ამაყ მზერას და გულისმომწყლველ შენს სილამაზეს. ჩემი ჯერია! ჩემი ტყვე ხარ, ჩემი მხევალი, ჩემი მორჩილი! თუ გსურს, მოუხმე მამაშენს და მთელ სპას მამისას, უხუცესთ, მდიდართ, შენს დაწყევლილ ხალხს. სამასი ათას კაცს ვმბრძანებლობ, კიდევ მეტს მოვხვეტ ლუზიტანიაში, გალეთსა და უდაბნოთა ვრცელ ტრამალებში. შენს ქალაქს აღვგვი, ტაძართ დავნავ! ხომალდები სისხლის ზვირთებში იტივტივებენ!. ქვას არ დავტოვებ, არც სახლს, არც პალმას! სპა დამელვა? მთით მოვრეკ დათვებს, მხეცთ მოვლაღავ, ლომებს მოვდენი! გაქცევას ნუ ლამობ, შემომაკვდები!

გადაფითრებული და მჯიღებშეკუმშული მათო გასანწყვეტად გამზადებული ქნარის ძალივით აცახცახდა. უეცრად მუხლთ მოეკვეთა. ქვითინი ახრჩობდა.

– შემინდევ, მორიელზე უკეთური ვარ, მტვერსა და მწვირეზე საზარი! შენი საუბარი მაღხენს, შენი სუნთქვა მესალბუნება, როგორც მომაკვდავს წყაროს წყალი. გამსრისე, რათა შენს ფეხქვეშ ვთრთოდე, შენს ტერფებს ვგრძნობდე ჩემს სხეულზე და შემაჩვენე: მე შენი ხმის გაგონება მნადს! ნუ მიმატოვებ! გებრალეობდე! მიყვარხარ! მიყვარხარ!

ჩაიმუხლა, მკლავები წელზე შემოაჭდო და თავი უკან გადაადგო. მისი ხელები აფათურდა ქალწულის სხეულზე. ყურში გაჩრილი ოქროს რგოლები უელავდა გარუჯულ ყელზე. თვალებში მსხვილი ცრემლი ჩაუდგა, ვერცხლის ბირთვების დარი. ნეტარებით ოხრავდა, გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა, ნიავის უნაზესს და ამბოროს უტკბესს.

სალამბო საამურად მოითენთა, თავი დაკარგა. რალაც ფაქიზი და თან ძლიერი, ღმერთების ნების მსგავსი, აიძულებდა ამ გრძნობას მინდობოდა ანგარიშმიუცემლად. ღრუბლები შეუდგნენ მხრებში ასულს და ცად აზიდეს. ღონემიხდილი ქალწული გადაესვენა ღომის ტყავით დაფენილ სარეცელზე. მათო მის ტერფებს მისწვდა. ოქროს ძენკვი განყდა და მისი ორი ბოლო ორი გველის დარად გაიკლაკნა კარვის კალთაზე. ზაიმფი ჩამოიშალა და შებურა იგი. სალამბომ მისი მკერდისკენ დახრილი სახე გაარჩია მათოსი.

– მოლოქ, შენ მწვავ!

მისი სხეული ჯარისკაცის კოცნამ დაფარა, ცეცხლის უფიცხელესმა კოცნამ. ქარიშხალმა აიტაცა, მზის ძალამ დაატყვევა სალამბო.

ჭაბუკმა დაუკოცნა ხელის თითები, მკლავები, ფეხები, მიესიყვარულა გრძელ ნაწნავებს ასულისას.

– ნაილე ზაიმფი! რად მინდა იგი?! მეც თან წამიტანე! სპას მივატოვებ, ყველაფერს გავემიჯნები! კადისის იქით, ზღვით ოცი დღის სავალზე, ფრინველთ საბუდარი კუნძულია, ოქროს ქვიშითა და მწვანით დაფარული. სურნელს აფრქვევენ მთის ვეება ყვავილები და ირწევიან მარადიულ საგუნდრუკესავით. კედრის უმაღლეს ღიმონთა ძირას რძისფერი უნასები დასარსალებენ და აღმასებით მოკენჭილი ხახით ბერტყავენ მოლზე ნაყოფს. ჰაერი ისე მსუბუქია, რომ სიკვდილი უძღურია იმ მხარეში. მივაკვლევ იმ კუნძულს! ქარაფებში შეთხრილ ბროლის მღვიმეში დავბინავდებით. არავინ მკვიდრობს იმ კუნძულზე სულიერთაგან და მე მეუფე ვიქნები მისი!

მტვერი მოაცილა სალამბოს კოთურნებს. ბრონეულის ნახ-
ლეს სთავაზობდა, ჭამეო – სთხოვდა. სამოსელი დაუგო სას-
თუმლად; მისი სამსახური ეამებოდა, მის წინ დამდაბლება
სურდა. თავს ევლებოდა, ფეხები ზაიმფით ჩაუთბუნა, თითქოს
უბრალო საბანი ყოფილიყოს.

– ისევა გაქვს ნიამორის პანია რქები, რომლებზედაც შიბებს
ჰკიდებდი? ხომ მაჩუქებ, მომწონს ძალიან! – ისე ეტიტინებოდა,
თითქოს ომი დასრულებულიყო. სიხარულით იცინოდა. როქის
სპა, ჰამილკარი – ყველაფერი განქარდა მისთვის. კარვის ჩა-
ხეული კალთიდან უმზერდნენ მთვარეს, ორ ღრუბლს შუა რომ
მიზოზინებდა.

– რამდენი ღამე დამთენებია მთვარის შემყურეს! იგი რიდედ
მეჩვენებოდა, შენი ხატის დამმაღავად. ზოგჯერ მთვარიდან
მიმზერდი, შენი გახსენება მის ციალს ერთოდა და ველარ გარ-
ჩევი მთვარისაგან, – თავი მიაყრდნო ქალის მკერდს და ცრემ-
ლად დაიღვარა.

– დახე, როგორი ყოფილა ეგ საოცარი კაცი, კართაგენს რომ
რისხვად დაატყდა, – გაიფიქრა სალამბო.

მათოს ჩაეძინა. ქალი მკლავებიდან გამოუსხლტა, ცალი
ფეხი მიწაზე ჩამოდგა და განყვეტილ ძენკვს მოჰკრა თვალი.

დიდგვაროვან ასულებს ჩანერგილი ჰქონდათ, რომ ეს ბორ-
კილი იყო ღამის წმიდათაწმიდა რამ. სალამბოს სახე აელენა და
წვივებზე შემოიხვია ძენკვის ბოლოები.

საოცარი სისწრაფით და თან ცხადად წარმოუდგა თვალწინ
კართაგენი, მეგარა, ჰამილკარის სასახლე, თავისი პალატი და
დაბები, რომლებიც გადმოიარა. ახლა კი... როგორ უსაზღვროდ
დამორდა ყოველივეს, უფსკრული გაჩნდა ამ გახსენებასა და
ასულს შორის.

გამოიდარა. წვიმის მეჩხერი წვეთები აქა-იქ ეცემოდა და არ-
ხევდა კარვის კალთას.

მათო გვერდზე იწვა, ცალი ხელი სარეცლიდან გადმოვარდ-
ნოდა და მთვრალივით ეძინა. მარგალიტებით მოოჭვილი შუბ-
ლსაკრავი ოდნავ ასწეოდა და შუბლი უჩანდა. ღიმილს ბაგე
გაეპო, შავი წვერის ფონზე თეთრად უელავდა კბილები. მოჭუ-
ტული ქუთუთოები უჩუმარ და თითქმის შეურაცხმყოფელ სი-
ხარულს ამხელდნენ.

თავჩაქინდრული და ხელებგადაჭდობილი სალამბო იდგა
უძრავად, მათოს დასცქეროდა.

სასთუმალთან, კვიპაროსის ტაბლაზე, სატევარი ეგდო. ბას-რი მახვილის ელვრებამ სისხლი მოაწყურა ასულს. შორიდან, სიბნელიდან მოღწეული მოთქმა-გოდება ანგელოზთა დასივით შეაგულიანებდა სალამბოს. მიუახლოვდა და ვადაში დასწვდა მახვილს. მისი სამოსის შრიალზე მათომ თვალი გაახილა, ბაგე შეანება ასულის ხელს და ხანჯალი ძირს დავარდა.

ყვირილი გაისმა. კარვის იქით ალი ავარდა ზეცაში. მათომ კარვის კალთა გადანია. ლიბიელთა ბანაკი ცეცხლში იყო გახეული.

იფერფლებოდა ლერწმის ქოხები, სკდებოდა და ილრიკებოდა ღეროები. ცეცხლი ისრებივით მალლა ისროდა მუგუზლებს. წითლად შეფერილ ცისკიდურზე თავგზაარეული შავი ლანდები დაბორილებდნენ. ღრიალებდნენ ფაცხაში დარჩენილნი. სპილოები, ხარები და ცხენები დააბოტებდნენ, ფეხქვეშ თელავდნენ ადამიანებს და ალიდან გამოტანილ სურსათ-სანოვავეს. ნალარა გაკიოდა. მათოს უხმოზდნენ. ხალხი მოაწყდა კარავს.

– გამოდი! ჰამილკარმა ცეცხლს მისცა ოტარიდის ბანაკი!

მათო გარეთ გავარდა. სალამბო მარტოდმარტო დარჩა.

ზაიმფი შეათვალიერა, კარგად დააკვირდა და გაოგნდა, რომ ვერ იგრძნო ამდენი ხნის ნანატრი ნეტარება. ოცნება აუხდა, მაგრამ დადარდიანებული იყო.

დაბლა კარვის კალთა გადაინია და რაღაც საშინელება გამოჩნდა. სალამბომ თვალები და ძირს დაფენილი თეთრი წვერი გაარჩია მხოლოდ. ჟღალ ძონძებში გახვეული ტანი მინაზე მოხოხავდა, წინ წასანევად ორივე ხელით ჩაბლუჯავდა წვერს და კვლავ გაუშვებდა. ასე ცოცვით მოაღწია სალამბოს ფეხებამდე და ქალმა მოხუცი გისკონი იცნო.

რომ არ გაპარულიყვნენ, ბარბაროსებმა ძველ ტყვეებს თითბრის კვერთხით მოამტვრიეს ფეხები, შემდეგ ყველა ერთად ჩაყარეს ხაროში და ისინი ჭუჭყსა და მწვირეში იღუპებოდნენ. ყველაზე ამტანნი კარდლების რაჩხუნზე წამოხანხალდებოდნენ ხოლმე და საჭმელს ითხოვდნენ ყვირილით. გისკონმა, ხმაურზე სწორედ ასე წამოწეულმა, დაინახა სალამბო. კოთურნებზე დამაგრებულმა სანდასტრუმის პანია ბირთვებმა მიახვედრა, რომ კართაგენელი ასული უნდა ყოფილიყო. დიდი საიდუმლო იფარებო, გაიფიქრა და თანამოძმეთა დახმარებით ამოძვრა ხაროდან. იდაყვებისა და ხელების დაბიჯგებით ოციოდ ნაბიჯ-

ზე წაჩოჩდა და მათოს კარვამდე მიაღწია. ორნი საუბრობდნენ. დააყურა და ყოველივე შეიტყო.

– შენა ხარ! – თქვა შეშფოთებულმა ასულმა.

გისკონი ხელებს დაეყრდნო, წამოიწია და მიუგო:

– ჰო, მე ვარ! ყველას მკვდარი ვგონივარ, არა?

ქალმა თავი დახარა. გისკონმა განაგრძო:

– ეჰ, რად არ შემიბრლეს ბაალთ! – ახლოს მიუჩოჩდა, თითქმის ეხებოდა სალამბოს, – რად არ ამამორეს ეს სატკივარი, რად არ ამარიდეს შენი შეჩვენება!

ჰამილკარის ასული ისე შეაშინა ამ ზინზლიანმა არსებამ, მღილივით საზარელმა და მოჩვენებასავით საშინელმა, რომ უკან დაიხია.

– ასი წლისა ვარ თითქმის, მინახავს აგათოკლე და რეგულუსი, მიხილავს რომაული არწივები, მკის ალოს დადგომისას თავს რომ დასტრიალებდნენ პუნიკურ სამკალს! ომის ქარცეცხლი და ჩვენი ხომალდების ნამსხვრევებით შეტბორებული ზღვა მინახავს! ჩემმა ხელქვეითმა ბარბაროსებმა ხელ-ფეხი დამიბორკეს, თითქოს კაცისმკვლეელი მონა ვყოფილიყავ! ირგვლივ სულს ლაფავენ ჩემი თანამემამულენი; მძორის სიმყრალე ძილს არ მაძლევს და ვაფრთხობ ლეშისთვის თვალების ამოსაკორტნად მოფრენილ ყვავ-ყორანთ. მაინც არასდროს დამწურვია კართაგენის გამარჯვების იმედი! ყველა ქვეყნის ლაშქარი რომ დაძრულიყო მის მოსასრველად, გარემოცვის ალი ტაძრებს რომ ასწვდომოდა, მაინც ვირწმუნებდი მის მარადიულობას! მაგრამ ახლა ყველაფერი დასრულდა! გაქრა! ღმერთებმა განირეს კართაგენი! წყეულიმც იყავ, შენი შერცხვენით დააჩქარე მისი დაქცევა!

სალამბომ პირი დააღო.

– აქვე ვიყავ! – წამოიძახა გისკონმა. – მეძავივით სუნთქვა გეკვროდა ტრფობით გათანგულს. მერე თავისი სურვილი გაგიმხილა და ნება მიეც დაეკოცნა შენთვის ხელები! ასე თუ აგიტანა ავხორცობამ, მძვინვარე მხეცთათვის მაინც მიგებაძა, ისინი მალულად ერწყმიან ერთუროს. რაღა მამაშენის თვალწინ აშკარავენბდი შენს სიმრუშეს!

– რას ამბობ? – ჩაეკითხა ქალი.

– ჰო! განა არ იცოდი, რომ ორი მოსისხლე ბანაკის სანგრები მხოლოდ სამოციოდე წყრთითაა ერთმანეთს დაშორებული და

სიამაყით გაყოყორებული ეგ შენი მათო ჰამილკარის პირისპირ მოკალათდა! აგერ, აქვეა, შენს უკანაა მამაშენი. ბორცვისკენ გაკლანკილ ბილიკზე ახოხება რომ შემძლებოდა, შეეძახებდი: „ბარბაროსთან ჩახუტებული შენი ასული იხილე! მისდა საამებლად ქალღმერთის რიდიტაა მორთული. თავისი სხეულის ნაბილწვით შესაგინებლად გაიმეტა შენი სახელი და დიდება, დათმო ღმერთების ძალა, მამულისთვის შურისგება და კართაგენის ძლიერებაც კი!“

მოხუცი ჩიფჩიფებდა და უკბილო ყბების მოძრაობაზე წვერი უცანცარებდა. თვალი თვალში გაუყარა სალამბოს, თითქოს მზად იყო, გადაესანსლა იგი. მტვერში სულს ვერ ითქვამდა და იმეორებდა:

– მკრეხელო! წყეულიმც იყავ! შეჩვენებულო, შეჩვენებულო! სალამბო გისკონს არ შეპასუხებია, კარვის კალთა გადანია და ჰამილკარის ბანაკს გახედა.

– იქაა, არა?

– შენ რა გენაღვლება, სადაა! შემობრუნდი! წაეთრიე! მიწაზე ცემით უნდა იხოკავდე სახეს! ის წმინდა ადგილია და შენი მზე-რა შებღალავს!

სალამბომ ზაიმფი წელზე შემოიხვია, თავის რიდებს, ლაბადას და ჩიქილას დაავლო ხელი, „იქ მივდივარო“, – წამოიყვირა, გარეთ გავარდა და გაუჩინარდა.

ჯერ ბნელში მიაბიჯებდა. ყველას ხანძრისთვის მიეშურებინა და გზად არვინ შეხვედრია. ღრინანცელი მატულობდა. მის უკან ალმა ძონისფრად შელება ზეცა. სალამბო გრძელ მინაყრილთან შედგა.

აქეთ-იქით შებრუნდა. ეძებდა კიბეს, ბაგირს ან ქვას, ფეხი რომ მოეკიდა და ამძვრალიყო. გისკონის ეშინოდა. ეჩვენებოდა, რომ ყვირილი და ფეხის ხმა თან სდევდა. ირიჟრაჟა. სანგრის გასწვრივ ბილიკი შენიშნა. გრძელი კაბა ბორკავდა, კალთები აიკვალთა და კბილებით დაიჭირა. სამი ნახტომით აათავა ბილიკი და მიწაყრილს ზევით აღმოჩნდა.

გამყივანი კივილი გაისმა სიბნელეში, სწორედ იგივე ხმა მოესმა ხომალდის ქიმებიანი კიბის ძირას. სალამბო დაიხარა და შაჰაბარიმის კაცი დაინახა, ერთმანეთს გადამბული წყვილი ბედაური თან ახლდა.

მონა მთელ ღამეს დაყიალებდა ორ ხანდაკს შორის. მერე ხანძარმა დააფრთხო, უკან დაიხია, თან ცდილობდა თვალი

ედევნებინა მათოს ბანაკისთვის. მონახა მისი კარვიდან უახლოესი ადგილი და, ქურუმის დარიგებისამებრ, ფეხს არ იცვლიდა იქიდან.

მონა ცხენს მოახტა, სალამბო მასთან მივიდა და ბედაურები გააჭენეს. ჩოროთი შემოუარეს პუნიკურ ბანაკს, ბჭეს ეძებდნენ შიგ შესაღწევად.

მათო კარავში დაბრუნდა. აბოლებული ლამპარი ძლივს ანათებდა იქაურობას. იფიქრა, სალამბოს სძინავსო. ხელი მოუფათურა პალმის სარეცელზე დაგებულ ლომის ტყავს, სალამბოს დაუძახა. არავინ გაეპასუხა. მერე კარვის კალთა ჩახია, რომ დღის ნათელს შემოელენია კარავში. ზაიმფი არსად იყო.

მინა ირყეოდა ლაშქართა ფეხქვეშ. ისმოდა ყაყანი, ჭიხვინი და თორნ-აბჯრის ჩხარუნი. საგანგაშოდ გაკიოდა ბუკი და ნალარა. მის ირგვლივ გრიგალი დატრიალდა თითქოს. გააფთრებულმა მათომ ხელი სტაცა იარაღს და გარეთ გავარდა.

ბარბაროსთა გრძელი მწკრივები სირბილით დაეშვნენ სერზე. პუნიკური ოთხკუთხა რაზმები ტორტმანით დაიძრნენ მათ შესახვედრად. მზის სხივმა გაატანა ნისლში, დაძენძა და მომცრო ქულებად მიმოფანტა. შემდეგ ნელ-ნელა აიკრიფა ღრუბლის ფთილებიც და გამოჩნდა ალმები, ჩაჩქნები და შუბის პირები. სწრაფი მსვლელობის გამო გეგონებოდათ, რომ ლაშქარი კი არა, ბინდში გახვეული მიწის ნაკვეთები მოძრაობდა. ერთმანეთის გადამკვეთ ნაკადებს ჰგავდა ჯარი, შუაში უძრავი ეკლიანი მასა იყო მოქცეული. მათომ დაინახა სარდლები, მეომრები, ჯარჩები და სახედრებზე შემომსხდარი ფარეშებიც კი. ნაცვლად იმისა, რომ განლაგება შეენარჩუნებინა და ქვეითებს ნაშველებოდა, ნარჰავასი უეცრად მარჯვნივ შეტრიალდა, თითქოს სურდა ჰამილკარისთვის გადაექვლევილებინა თავისი ლაშქარი.

ნარჰავასის მხედრობამ უკან ჩამოიტოვა ზანტად მიმავალი სპილოები. სადავემიშვებულმა ბედაურებმა ჯიდაო წაიგრძელეს და ისე გაჭენდნენ, რომ მათი მუცლები ლამის მიწას გაეკრა. ნარჰავასი საქმიანი იერით გაემართა ერთ-ერთი გუმაგისკენ, ძირს დაყარა ხმალი, ლახვარი, ხანჯლები და კართაგენელთ შეერია.

ნუმიდიელთა მეფე ჰამილკარის კარავში შევიდა, შორიახლო მდგარ თავის სპაზე მიუთითა და მოახსენა:

– ბარკა! შენთვის მომიგვრია ჩემი ლაშქარი, ამიერიდან შენია იგი.

ყურმოჭრილი ყმობის ნიშნად ჰამილკარის ფერხთით განერთხა მიწას. თავისი ერთგულების დასადასტურებლად მოაგონა, როგორ ეჭირა თავი ომის დასაწყისიდანვე: ჯერ ხელი შეეუშალეო კართაგენის გარემოცვას და ტყვეთა ამოჟლეტას; ჩემს სასარგებლოდ არ გამომიყენებიაო უტიკაში მარცხის შემდეგ ჰანონის დაძლევა; ტვიროსის ქალაქები ჩემს სამეფოს ესაზღვრებიანო; ბოლოს მაკარის ბრძოლაში არ ჩავბმულვარ, განგებ ავარიდეო თავი სუფეგთან შეტაკებას.

ნამდვილად კი ნარჰავასს პუნიკური ომების ხარჯზე თავისი სამფლობელოს გაზრდა სურდა. იმის მიხედვით, თუ ვის მხარეს იხრებოდა გამარჯვება, ხან ემხრობოდა, ხან კი ზურგს აქცევდა როქის სპას, როცა დარწმუნდა ჰამილკარის ძლიერებაში, მისკენ იბრუნა პირი. მათოზე გულმწყრალად იყო სპასალარობისა თუ სალამბოს ძველი ტრფობის გამო. ვინ იცის, ეგებ მასთან შუღლმაც გადაწყვეტინა ლალატი.

სუფეგი არ ჩარევია, მოთმინებით უსმენდა. ხელის კვრის ღირსი არ იყო შემოხიზნული მოღალატე, რომლისთვისაც შეიძლებოდა სამაგიერო ეზლო ადრინდელი მტრობის გამო. ჰამილკარმა იმავე წამს გაითვალისწინა, რომ ასეთ მოკავშირეს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მისი ფართო გეგმებისთვის. ნუმიდიელთა დახმარებით ლიბიელებს თავს დააღწევდა, შემდეგ დასავლეთს აამხედრებდა იბერიის დასამორჩილებლად. აღარ უკითხავს ნარჰავასისთვის, ადრე რად არ შემომეკედლეო, არც მისი შეთითხნილი ტყუილები უმზილებია. ჰამილკარმა გადაკოცნა ნუმიდიელთა მეფე. მათ სამჯერ შეაჯახეს მკერდი მკერდს.

სასონარკვეთილმა ჰამილკარმა ცეცხლს მისცა ლიბიელთა ბანაკი, რომ ბოლოს და ბოლოს რაღაც გამოსავალი ენახა და საშველი დასდგომოდა ომს. ნარჰავასის ლაშქარი ღვთის წყალობასავით მოადგა კარზე, მაგრამ სიხარული არ დაიმჩნია, ნარჰავასს მიუგო:

– ბაალნი გწყალობდნენ! არ ვიცი, როგორ დაგიმადლებს რესპუბლიკა, ჰამილკარმა კი ამაგის დაფასება იცის!

ჩოჩქოლმა იმატა. სარდლები შემოდდიოდნენ კარავში. ჰამილკარი იარაღს ისხამდა, თან განაგრძობდა:

– გასწი! ჩემსა და შენს სპილოებს შორის გამოიმწყვდიე მათი ქვეითნი და შემუსრე შენი მხედრობით! აბა, ივაჟკაცე! ამოჟლიტე ბარბაროსები!

ნარჰავასი დაჩახმახდა. კარვის ზღურბლზე სალამბო გამოჩნდა.

ქალი სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან, მოსასხამი გადასწია, ხელები გაშალა და ზაიმფი ააფრიალა.

ტყავის ფარღალალა კარვიდან ჩანდა მეომრებით შეფენილი მთები. სალამბო შუა კარავში იდგა და ყოველი მხრიდან მოჰყრეს მას თვალი. ჯარმა საოცარი ყიჟინა დასცა. გამარჯვებისა და იმედის ზეიმი იყო! მიმავალნი ჩერდებოდნენ, მომაკვდავნი იდაყვებს ეყრდნობოდნენ, სალამბოსკენ აბრუნებდნენ თავს და ლოცვა-კურთხევას უგზავნიდნენ. ბარბაროსები მიხვდნენ, რომ მან გაიტაცა ზაიმფი. შორიდან უცქერდნენ სალამბოს. ვინც ვერ ხედავდა, ეჩვენებოდა – ვხედავო. კართაგენელთა აღტაცებული ყიჟინის გვერდით სხვა ხმებმა – შურისძიებამ და ბოლმამ – დაიჭექა. ფერდობებზე სართულებად განლაგებული ხუთივე ლაშქარი ფეხით ტორავდა მიწას და სალამბოს ირგვლივ ღრიალებდა.

ჰამილკარს თქმა უჭირდა და თავის დადრეკით უხდიდა მადლს ასულს. სუფეტი თვალს არ აცილებდა ზაიმფს და თავის ასულს. განყვეტილი ძენკვი ენიშნა, შეკრთა, საშინელმა ეჭვმა შეიპყრო, მაგრამ მალე შეიკავა თავი; ცერად გახედა ნარჰავასს, არც შებრუნებულა მისკენ.

– ნარჰავას! საზღაურად ჩემდამი შენი სამსახურისა მიბოძებია ასული ჩემი! – თან დაატანა: – იყავ ძე ჩემი და დაიცავ მამა!

გაოცებისგან შეცბა ნარჰავასი, შემდეგ მის ხელებს ეცა და კოცნა დაუწყო.

სალამბო ქანდაკებასავით გარინდული იდგა, თითქოს ვერც კი გაეგო, რა ხდებოდა. ოდნავ შეეფაკლა სახე და თვალები დახარა. აპრეხილი გრძელი წამწამები ჩრდილს ჰფენდა ღანვებზე.

ჰამილკარმა მათი დანიშნვა მოისურვა გადაუდებლად. მან სალამბოს ხელთ მისცა ლახვარი, რომელიც ასულმა ნარჰავასს მიართვა. ხარის ტყავის თასმებით ერთმანეთს გადააბეს მათი ცერები. მერე ორივეს ხორბალი გადააპნიეს თავზე. მარცვალი სეტყვსავით ხტუნვა-ხტუნვით ცვიოდა მათ ირგვლივ.



თავი მეოთხე

აკვეშკი

ორი საათის შემდეგ როქის სპისაგან დაჭრილთა, მიცვალებულთა და მომაკვდავთა გარდა აღარაფერი დარჩა.

ჰამილკარი უეცრად დაიძრა ხეობიდან და ჩამოჰყვა დასავლეთის კალთას, რომელიც ჰიპო-ზარიტს გაჰყურებდა. იქ მეტი გასაქანი ჰქონდა და ბარბაროსთა შეტყუებას აპირებდა. ნარჰავასი თავისი მხედრებით ალყად შემოერტყა როქის სპას, სუფეტი კი დაერია და მოსრა. რიდის დაკარგვამ წინასწარვე განსაზღვრა ბარბაროსთა დამარცხება. ვისაც დიდად არაფრად მიაჩნდა ზაიმფი, ისინიც ძრწოლამ აიტანა და ძალა გამოელიათ. ჰამილკარი არ ცდილა ბრძოლის ველის დაკავებას, შორიახლო, მარცხნივ, ბექობზე დაბანაკდა და თავს დაჰყურებდა ბარბაროსთ.

აქედან მოჩანდა დაბრეცილი მესრით მოღობილი ბანაკი. შავად ხრჩოლავდა და იღველფებოდა ლიბიელთა მხარე, ოკრობოკროდ გადართხილი მიწა ზღვასავით იტალღებოდა, ნაფლეთებად ქცეული ხამის კარვები ბრაგებზე მიმსხვრეულ ხომალდებს ჰგავდნენ. გვამებს შორის ეყარა თორნ-აბჯარი, ფინლები, ბუკი და ნალარა, ნაფოტები, რკინისა და თითბრის ნაკუნები, ხორბალი, თივა და სამოსელი. აქა-იქ საპალნეების გვერდით იფერფლებოდა აღმოდებული ისრები. ზოგან მიწა არც კი ჩანდა, ისე დაეხვავებინათ ფარები. დაჭრილ-დახოცილ ცხენთა გროვები მთაგრეხილივით მისდევდა ერთმანეთს. მოჩანდა ფეხები, სანდლები, მკლავები და ჯაჭვ-ჯავშანი; ჩაჩქან-ჩამოცმული თავები ბურთებივით დაგორავდნენ. თმების ბლუჯები გახლართულიყო ძეძვში. მუცელგაფატრული სპილოები თავიანთ ხუხულებიანად ეყარნენ სისხლის ტბორებში. ფეხქვეშ ნიადაგის მაგიერ ბლანტი სხეულები იგრძნობოდა. ლაფი იდგა, თუმცა არ უწვიმია.

მთელი მთა თხემიდან ძირამდე გვამებით იყო მოფენილი.

ცოცხლად დარჩენილნი მკვდრებით იყვნენ, ჯგუფ-ჯგუფად დაყუნცულიყვნენ, თვალებს აცეცებდნენ დაბნეულნი და ხმას არ იღებდნენ.

ვრცელი ველის კიდეში ლაპლაპებდა ჩამავალი მზით სხივ-ნატყორცნი ჰიპო-ზარიტის ტბა. მარჯვნივ, გალავანს იქით, მოჩანდა ერთმანეთზე მიჯრილი თეთრი სახლები. მათ უკან უნაპირო ზღვა იყო. ბარბაროსები ნიკაპებით ჩამოყრდნობოდნენ ხელებს, გმინავდნენ და თავიანთ მამულზე ოცნებობდნენ. მტერის რუხი ღრუბელი დაიქსაქსა.

შელამებისას ქარმა დაბერა. ყველამ შვებით ამოისუნთქა. აგრილდა. მატლები გაცივებული გვამებიდან ცხელ ქვიშაზე მილოღავდნენ. უზარმაზარ ლოდებზე დაყუნცული ყორნები გაყურებულებიყვნენ და თვალს არ აცილებდნენ მომაკვდავთ.

ღამე ჩამოწვა. ყვითელბალნიანი ძაღლები შემოიძურწნენ ბარბაროსთა ბანაკში. ეს უნმინდური ცხოველები თან სდევდნენ ლაშქარს. ჭრილობებით დასერილ მოთბო გვამებზე შედედებული სისხლი ალოკეს, შემდეგ გვამები გამოშიგნეს და სანსვლას შეუდგნენ.

ლანდად ქცეული ხიზნები ნელ-ნელა თავს იყრიდნენ. ქალებმაც გაბედეს დაბრუნება. ნუმიდიელებმა გაჟლიტეს ისინი, მაგრამ მაინც ბევრი დიაცი დარჩა ლიბიელებთან. ზოგნი ცეცხლს უკიდებდნენ საბელს და ჩირალდანივით ინათებდნენ გზას. სხვებს შუბები გადაეჯვარედინებინათ, ზედ დაეწყით ცხედრები და განზე გაჰქონდათ.

გრძელ მწკრივად ჩარიგებული მიცვალებულები პირალმა დაესვენებინათ. პირი დაბჩენილი ჰქონდათ, მათი ლახვრები იქვე გვერდით ეყარა. ზოგან გვამები ერთმანეთში არეულიყო. გაბნეულთა მოსაძევად მთელი ზედახორა უნდა გადაექექათ. ჩირალდნის ალზე გულდასმით ათვალიერებდნენ მათ სახეებს. მტრის საზარელ იარაღებს მძიმე ჭრილობები მიეყენებინა ბარბაროსთათვის; შუბლზე მომწვანო ნაფლეთები სთრევდათ, თავადაც ნაკუნებად იყვნენ ქცეულნი; ჩალურჯებულიყვნენ გაგუდულები; ტვინდათხეული და სპილოს ეშვებით გაგლეჯილი ცხედრები ეყარა აქა-იქ. ყველანი ერთად დაიხოცნენ, მაგრამ ერთნაირად როდი იხრწნებოდნენ. ჩრდილოეთის მკვიდრნი იისფრად შესივდნენ, გულფიცხი აფრიკელები გამჭვარტლულებს ჰგვანდნენ და უკვე გამომშრალიყვნენ კიდეც, როქის მებრძო-

ლებს დასვირინებული ხელებით ცნობდნენ. ანტიოქიელ ბებერ მეომრებს ქორი ჰქონდათ გამოსახული მკლავზე, ეგვიპტეში ნამსახურევთ – ძაღლთავა მაიმუნი; აზიელ უფლისწულებთან ნამყოფთ ხელეჩო, ბრონეული და ჩაქუჩი მიეხატათ სხეულზე; რესპუბლიკელ ბერძნებს ციხესიმაგრის ჭრილი ამოესვირინგებინათ ან არქონტის სახელი ეწერათ. ზოგს მკლავები მთლად აჭრელებული ჰქონდა ნიშნებით. სვირინგები ძველ ნაიარევსა და ახალ ჭრილობებში ირეოდა.

ლათინელთა რასის წარმომადგენელთათვის – სამნიელთა, ეტრუსკთა, კამპანიელთა და ბრუტიუმელთათვის – ოთხი უზარმაზარი კოცონი ააბრიალეს.

ბერძნებმა ორმოები ამოთხარეს სატევრის წამახული წვერით; სპარტელებმა მენამულ ლაბადებში გაახვიეს მიცვალებულები; ათენელებმა ამომავალი მზისკენ მიაპყრობინეს პირი გარდაცვლილთ; კანტაბრიელები ქვებქვეშ ფლავდნენ მკვდრებს; ნაზამონელნი ხარის ღვედით ორად კეცავდნენ ცხედართ და ისე მარხავდნენ. გარამელებმა წყლის პირას მიუჩინეს სამარე თავისიანებს, რათა ტალღებს განებანა გვამები. ლათინელებს გული ეთანაღრებოდათ, ლარნაკში რომ ვერ შეაგროვეს თავიანთ მოკეთეთა ფერფლი. მომთაბარეთ გულს აკლდათ, ახლომახლო რომ არ იყო გახურებული ქვიშა, რომელშიც გვამი მუშიად იქცევა. კელტები ნატრობდნენ რიყის სამ დიდ ქვას და მეჩჩეებით დახერგილი ყურის სიღრმეში პირქუში ცის ქვეშ განმარტოებას.

გოდებას სამარისებური სიჩუმე მოჰყვა. ასე ცდილობდნენ გარდაცვლილ სულთა მობრუნებას. დროდადრო, თანაბარი შუალედების შემდეგ, კვლავ გაკიოდნენ ჯიუტად.

ცოცხლები მკვდრებს ებოდიშებოდნენ – ადათისამებრ შესაფერი პატივი ვერ გეცითო. ღრმად სწამდათ, რომ წესის აუგებლად სულები ათასგვარ შემთხვევითობათა და გარდასახვათა დაუსრულებელ წრებრუნვაში იქნებოდნენ ჩართულნი. უხმობდნენ მათ, ეკითხებოდნენ – რა გსურთო. სხვანი გარდაცვლილ თანამოძმეებს უშვერად ლანძღავდნენ, მტერს რად დააჯაბნიეთო თავი.

აბრიალებული კოცონების ალმა კიდევ უფრო გააფერმკრთალა იარაღის ნამსხვრევებში აქა-იქ გამოტილ მიცვალებულთა გაცრეცილი სახეები. ერთის ცრემლი გულს უჩუყებდა მეორეს. გოდებამ იმატა. გვამს იცნობდნენ, გულზე მიიხუ-

ტებდნენ და გააფთრებულნი შეიცხადებდნენ. ქალები ზედ ეკონებოდნენ ცხედრებს, ბაგეს ბაგეზე ანებებდნენ, შუბლზე – შუბლს. ცემით ძლივს აგდებდნენ მათ, როცა მინას აყრიდნენ მიცვალებულთ. დედაკაცები შავად იფერავდნენ ღანვებს, თმებს იკვეცდნენ; სამარეში იღვრებოდა მათი დათხეული სისხლი, თავს ისახიჩრებდნენ, გარდაცვლილთა ჭრილობების მსგავსად ისერავდნენ სხეულს. წინწილების ხმიანობა ვერ ახშობდა მოთქმა-ვაებას. ავგაროზებს იგლეჯდნენ მკერდიდან და ზედ აფურთხებდნენ. მომაკვდავნი სისხლნარევ წუმპეში ბორგავდნენ და გაავებულნი იკბენდნენ ნაკვეთილ მაჯებს. ერთმანეთს დაერიო სამოცდაათი სამნიელი და წმინდა ჭაბუკთა მთელმა რაზმმა გლადიატორებივით ყელი გამოლადრა ერთმანეთს. კოცონის შესაკეთებლად შეშა შემოაკლდათ, ცეცხლი ჩაიღველფა. მინდორი გაჭედილი იყო. ყვირილით ქანცგანყვეტილი ბარბაროსები ძლივს დაბანდალებდნენ; გარდაცვლილ მოძმეთა გვერდით მიწვნენ და მიიძინეს. ერთნი ხიფათითა და განსაცდელით აღსავსე სიცოცხლეს ებლაუჭებოდნენ, მეორენი არგალვიძებას ნატრობდნენ.

აისის მკრთალ ნათელში ბარბაროსთა ბანაკის საზღვრებთან მეომრები გამოჩნდნენ. შუბის ბუნიკებზე მუზარადები ჩამოეცვათ, მოემართებოდნენ, სალამს უძღვნიდნენ როქის სპას და ჰკითხავდნენ – ეგებ რაიმეს დაგვაბარებთო თქვენს მამულში.

შემდეგ სხვებიც მოვიდნენ. ბარბაროსებმა ძველი თანამოსაგრენი იცნეს.

სუფეტმა ტყვექმნილთ შესთავაზა პუნიკურ ლაშქარში სამსახური. ბევრმა მტკიცედ იუარა. ტყუილად მათი რჩენა არ ინება ჰამილკარმა, არც დიდი საბჭოსთვის სურდა მათი გადაცემა. მან ტყვეებს უბრძანა – კართაგენის წინააღმდეგ არასოდეს არ იბრძოლოთ, და ყველანი დაითხოვა. ვინც წამების შიშით დაყაბულდა სუფეტს, ისინი მტრის იარაღით აღჭურვეს. ჰამილკარის სამსახურში ჩამდგარი მეომრები მოვიდნენ დამარცხებულ ლაშქართან. თანამებრძოლთა ნაქეზება ან გადაბირება არ უფიქრიათ, სიამაყე და ცნობისმოყვარეობა უბიძგებდათ მხოლოდ.

ჯერ თქვეს, სუფეტი რიგიანად გვეპყრობაო. ბარბაროსები შურით უსმენდნენ, თუმც ეზიზღებოდათ ისინი. სულმოკლე

მოღალატენი ძველ თანამებრძოლთა საყვედურებზე გაცხარდნენ, შორიდან ნაუჩვენეს მათი ხმლები და თორნ-აბჯარი, ქილიკით ეპატიჟებოდნენ: მობრძანდით და ინებეთ თქვენი იარაღიო. ბარბაროსებმა ქვეები დაუშინეს მათ. ყველანი გაიქცნენ. მთის კორტოხზე, შემოლობილს ზევით, შუბის პირებილა ჩანდა.

სევდამ მოიცვა ლაშქარი, მარცხსა და შერცხვენაზე უფრო მძიმე ვარამმა შეიპყრო ბარბაროსნი. ფიქრობდნენ ამაოდ ჩავლილ ვაჟკაცობაზე, თვალეები გაშტერებოდათ და კბილებს აკანკანებდნენ.

ისინი გაშლილ ადგილას დააყენეს. გუშაგები წრედ შემოერთყნენ და ხანგამოშვებით ორმოც-ორმოცდაათ დიაცს უშვებდნენ მათთან. მცირე დრო რომ კარგად გამოეყენებინათ, ქმენაავარდნილი ქალები დაბნეულნი გარბოდნენ ერთიდან მეორისაკენ, ზედ გადაემხობოდნენ საცოდავებს და ხელებს უბათქუნებდნენ, მრეცხავი რომ თეთრეულს ეჯჯგურება, ისე ჯიჯგნიდნენ; თავიანთ თანამეცხედრეთა სახელებს გაჰკიოდნენ და ფრჩხილებით სახეს უხოკავდნენ ტყვეებს, თვალეებს ჩიჩქნიდნენ თმის სამაგრებით. შემდეგ კაცები მიესეოდნენ ხოლმე ნამებულთ და თავით ფეხებამდე ასახიჩრებდნენ, კოჭებს უსერავდნენ, შუბლზე ტყავს აძრობდნენ და თავს იმშვენებდნენ მათი ტყავის ნაფლეთებით. უნმინდურ საკვებს მიჩვეულნი ახალ-ახალ უმოწყალო სატანჯველს იგონებდნენ, იარაში სტენიდნენ ძმარში აზელილ მტვერსა და თიხის ჭურჭლის ნამსხვრევებს. სხვები უკან იდგნენ და თავიანთ ჯერს ელოდნენ. სისხლი ღვარად დიოდა. ბარბაროსები აქაფებულ სანნახლებთან მდგარ მევენახეებს ჰგვანდნენ.

მათო გაუნძრევლად იჯდა მიწაზე იმ ადგილას, სადაც ომის დამთავრებისას აღმოჩნდა. იდაყვეები მუხლებზე დაეხვინა და ხელები საფეთქლებზე წაეწლო. ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა, აღარაფერზე ფიქრობდა.

სიხარულის ყიჟინა რომ გაისმა, თავი ასწია. მის წინ ძირს ეთრეოდა სარზე მიმაგრებული ხამის ნახევი, რომელიც კალათებს, ფარდაგებსა და ლომის ტყავს წაჰფარებოდა. თავისი კარავი იცნო. მიწას ისე დააშტერდა, თითქოს ჰამილკარის ასულისთვის ქვესკნელს პირი ეყო და შთაენტქა.

ქარი აფრიალებდა გაგლეჯილ კარავს, გრძელი ნაფლეთები ტუჩზე ხვდებოდა მათოს. უცებ წითელ ლაქას მოჰკა თვალი. ეს ნარჰავასის ხელის ანაბეჭდი იყო, მათი ძმადნაფიცობის ნიშანი.

მათო წამოხტა, მხრჩოლავ მუგუზალს დაავლო ხელი და ზიზ-
ლით ესროლა კარვის ნაშთს. მერე თავისი კოთურნის ჭვინტით
ცეცხლში უბიძგა ყველაფერს, რაც ირგვლივ ეყარა, რათა არა-
ფერი დარჩენილიყო ჩაუფერფლავი.

უეცრად საიდანღაც გაჩნდა სპენდიუსი.

მონაყოფილს ილღიებში ამოედო ორი ლახვრის ბუნი, გმი-
ნავდა და საცოდავად მოხანხალებდა.

– რაა ეს, მოიშორე! მე ხომ ვიცი შენი სიმამაცის ამბავი! –
უთხრა ლიბიელმა. ღმერთების უსამართლობამ ისე გაასწორა
მინასთან მათო, რომ ძალა არ ყოფნიდა კაცთა ხინჯზე გასაგუ-
ლისებლად.

სპენდიუსმა რაღაც ანიშნა და მახლობელი გორაკის პარესში
შეუძღვა. ზარქსასს და ოტარიდს შეეფარებინათ აქ თავი.

ზარქსასი სასტიკი იყო, ოტარიდი – მედგარი, მაგრამ მაინც
დაფრთხნენ ორივენი და სპენდიუსის მსგავსად მიიმალნენ.
თავს იმართლებდნენ, ამბობდნენ, როგორ წარმოვიდგენდით
ნარჰავასის ღალატს, ლიბიელთა გადაბუგვას ან ზაიმფის მიტა-
ცებას; რას ვიფიქრებდით, თუ ჰამილკარი ასე მოულოდნელად
დაგვაცხრებოდა, მით უმეტეს, თუ მთის ძირას მოგვიმწყვდე-
და კართაგენლთა დარტყმების პირისპირო. სპენდიუსი ძრწო-
ლას არ ამხელდა და ირწმუნებოდა, – ფეხი მოვიმტვრიეო.

ბოლოს შალიშიმი და სამივე სარდალი დაფიქრდნენ, რა
ელონათ.

კარათაგენისკენ გზა ჰამილკარმა ჩაკეტა. ისინი ნარჰავასის
სამფლობელოებსა და პუნიკურ ლაშქარს შორის იყვნენ მომწყ-
ვდეულნი. ტვიროსის ქალაქები გამარჯვებულთ მიემხრობიან,
ბარბაროსები ზღვის პირს მიაწყდებიან და მოკავშირეები გაერ-
თიანებული ძალებით ამოჟუჟავენ მათ. ეს გარდუვალია.

საშველი არ იყო, ომის აცილება არ შეიძლებოდა. სისხლის
უკანასკნელ წვეთამდე უნდა ებრძოლათ. მაგრამ როგორ დაერ-
წმუნებინათ ეს იმედდაწურული და სულდაღებული ხალხი, რო-
მელსაც ჯერ ჭრილობები არ მოშუშებოდა, რომ სასწრაფოდ
აუცილებელი იყო შეტევა.

– ეს ჩემზე იყოს! – თქვა სპენდიუსმა.

ორ საათს შემდგომ ჰიპო-ზარიტის მხრიდან გამოჩენილმა
მაცნემ აირბინა სერი. ფირფიტებს აქნევდა და ხმამაღლა გაყ-
ვიროდა. ბარბაროსები შემოეხვივნენ.

ფირფიტები სარდინიელ ბერძენთაგან იყო გამოგზავნილი. ისინი თავიანთ აფრიკელ თანამოძმეთ ურჩევდნენ – თვალყური ადევნეთ გისკონს და დანარჩენ ტყვეებსო. სამოსელ ვაჭარს, ვინმე ჰიპონაქსს, კართაგენზე გამოუვლია და როქის სპას ატყობინებდა: ტყვეთა გასაქცევად შეთქმულება მზადდება, ფხიზლად იყავით, რესპუბლიკა ყოვლისშემძლეაო.

დიდი იმედების მიუხედავად, სპენდიუსის გეგმა ვერ განხორციელდებოდა. ლაშქრის შეგულიანება იყო საჭირო, მაგრამ ახალი ხოცვა-ჟლეტის მოლოდინში უარესად წარეკვეთათ სასო მებრძოლებს. აგონდებოდათ ჰამილკარის ამასწინანდელი მუქარა, უეცარსა და უსაშინლეს სასჯელს ელოდნენ. მთელ ღამეს შფოთავდნენ. ზოგმა იარაღი აიყარა: სუფეტი თუ მოვა, ეგებ თავი შევაბრალოო.

მეორე დღეს, ის იყო მესამედ იცვლებოდა გუშაგი, რომ სხვა მალემსრბოლი მოვარდა. სულს ძლივს ითქვამდა, მტვერში იყო ამოგანგლული. ბერძენმა მას ხელიდან გამოჰგლიჯა ფინიკიური წარწერებით აჭრელებული ჭილის გრაგნილი. როქის სპას სთხოვდნენ: ნუ დაძაბუნდებით, ტუნიისელი ლომგული ჭაბუკები თქვენდა საშველად მოემართებიან დიდი ლაშქრითო. სპენდიუსმა სამჯერ ზედიზედ გადაიკითხა ბარათი. შემდეგ ჩამოეყრდნო ორ კაპადოკიელს. მათ იგი მხრებზე შეისვეს, დაატარებდნენ და სპენდიუსი მებრძოლთ უკითხავდა უსტარს. ასე ენამრავლობდა შვიდ საათს.

მონაყოფილმა როქის სპას მოაგონა დიდი საბჭოს დანაპირები. აფრიკელებს ელაპარაკა განმგებელთა სისასტიკეზე, ყველა ბარბაროსს შეახსენა კართაგენის უსამართლობა: სუფეტის მოღმობიერება ჩვენს გასაცრუებლად მოგონილი ხრიკია მხოლოდ; თუ დავნებდებით, მონებად გაგვყიდნიან; დამარცხებულთ სულს ამოგვხდიან წამებით. გასაქცევი გზა არაა! არცერთი ხალხი არ შეგვიფარებს. მაგრამ ბრძოლას თუ განვაგრძობთ, თავისუფლებას მოვიპოვებთ, შურს ვიძიებთ, ვერცხლს მოვიხვეჭთ! დიდი ლოდინი არ მოგვიხდება. მთელი ღიბია საშველად მოეშურება, ტუნიისელი მებრძოლებიც მოიჩქარიანო. ჭილის გრაგნილი გაშალა:

– შეხეთ! წაიკითხეთ! აი, მათი დაპირება! მე როდი ვცრუობ!

ძაღვები დაძრწოდნენ, შავი დრუნჩები სისხლში ჰქონდათ მოთხვრილი. თაკარა მზე აცხუნებდა თავშიშველ მებრძოლთ. ნაუცბათევად დამარხული გვამები ყარდა, ზოგი მხოლოდ

მუცლამდე იყო ჩაფლული. სპენდიუსი მათ იმონმებდა ნათქვამის სისწორეში. იმუქრებოდა, ჰამილკარის მხარეს იქნევდა მუშტებს.

მათო თვალყურს ადევნებდა მას. სიმხდალე რომ დაეფარა, სპენდიუსი რისხვას აფრქევდა. ბოლოს თვითონვე მოეჩვენა, რომ ნამდვილად განრისხებული იყო. ღმერთებს ეფიცებოდა ერთგულებას და შეჩვენებას უთვლიდა კართაგენელთ.

– ტყვეთა ნამება ბაღლების თამაშს ჰგავს, რას ველოლიავე-ბით და დავათრევთ ამ უფარგის პირუტყვს! უნდა მოვიცილოთ თავიდან! მათი ზრახვები მშვენივრად ვიცით! ერთ ტყვესაც კი შეუძლია ჩვენი დაღუპვა! არავითარი სიბრალული! აბა, თქვენ იცით, როგორ ივარგებთ, მგლის მუხლი მოიბით და ძლიერად დაჰკარით!

ტყვეებს მიუბრუნდნენ. რამდენიმე კაცი ჯერ კიდევ ხროტი-ნებდა. ისინი იქვე ჩაკლეს, ზოგს ფეხი ჩასჩარეს პირში, ზოგი ლახვრით განგმირეს.

შემდეგ გისკონი გაახსენდათ. არსად ჩანდა და, ცოტა არ იყოს, შეშფოთდნენ. სურდათ დარწმუნებულიყვნენ მის სიკვდილში, თავად სწყუროდათ მისი მოკვლა. სამმა სამნიელმა მწყემსმა მიაკვლია მას იმ ადგილიდან თხუთმეტიოდე ნაბიჯზე, სადაც ცოტა ხნის წინ მათოს კარავი იყო გაშლილი. გრძელი წვერით იცნეს იგი და სხვებსაც მოუხმეს.

გისკონი ზურგზე იყო განოლილი, მუხლები მიეტყუებინა, ხელები თეძოებზე მიეჭირა, დასამარხავად წესაგებულ მიცვალებულს ჰგავდა. გაძვალტყავებული გვერდები ებერებოდა, სახეგაცრეცილს ფართოდ გახელილი თვალები გაშტერებოდა. თვალი ვერვინ გაუსწორა, ისეთი შემზარავი იყო მისი გამოხედვა.

ბარბაროსები ჯერ გაოცებულნი შეჰყურებდნენ. მას აქეთ, რაც ხაროში ჩააგდეს, მიაგინყდათ იგი. ძველი მოგონებებისგან შემკრთალი მებრძოლეები შორიახლო ატუხულიყვნენ და მასზე ხელის აღმართვას ვერ ბედავდნენ.

უკან მდგომნი ჩურჩულებდნენ და ერთმანეთს მუჯლუგუნს ჰკრავდნენ. ვილაც გამარელი გამოეყო ბრბოს, ხელში ნამგალს ატრიალებდა. ყველა მიუხვდა ფიქრს. ბარბაროსებს სახე წამოუჭარხლდათ, სირცხვილი ჭამეს. ერთხმად დაიქუხეს: „ჰო! ჰო!“

ნამგლიანი კაცი წელში მოიკაკვა და მივარდა გისკონს. თავში ჩაავლო ხელი, მუხლებზე მიიყრდნო და სწრაფად მოუქნია.

თავი გაგორდა. სისხლის ორმა მძლავრმა ნაკადმა გზა გაიკვალა მტვერში. ზარქსასი წამოიჭრა, ხელი დასტაცა თავს და ავაზასავით გაექანა კართაგენელებისკენ.

გორაკის ორ მესამედს რომ გასცდა, უბეში ამოჩრილი თავი წვერში ჩაბლუჯა და რანდენჯერმე მოიქნია. დიდი მრუდი შემონერა გატყორცნილმა თავმა და პუნიკური სანგრების იქით გაუჩინარდა.

მალე ყორესთან გამოჩნდა გადაჯვარედინებული ორი ალა-მი. ეს გვამების გამოსათხოვი პირობითი ნიშანი იყო.

ბარბაროსების შერჩეულმა ოთხმა მკერდგანიერმა ჯარჩმა წინ წარდგა ნაბიჯი. მათ თითბრის საყვირებში ჩასძახეს, რომ ამიერიდან კართაგენელთა და ბარბაროსთა შორის აღარაა არც ნდობა, არც სიბრალული, არც კაცი, არც ღმერთი. წინასწარ იუარეს ყოველგვარი თათბირი და – დესპანს თუ გამოგვიგზავნით, ხელებს მოვკვეთთო.

იმავე წამს სურსათისთვის ჰიპო-ზარიტს წარავლინეს სპენდიუსი. ტვიროსის ქალაქმა იმ სალამოსვე გამოგზავნა სანოვანა. ბარბაროსები ხარბად დააცხრნენ საჭმელს. როცა დანაყრდნენ, თავი მოუყარეს ნარჩენებს, ბარგი-ბარხანას და დამსხვრეულ იარაღს. ქალები შუაში ირეოდნენ. უკან ჩამოტოვებული დაჭრილები ცრემლს ღვრიდნენ, მათი ჯავრი არავის ჰქონდა. ბარბაროსები სწრაფად გაუყვნენ მდინარის ნაპირს და მგლების ხროვასავით წაძუნძულდნენ.

ჰიპო-ზარიტისკენ მიიწევდნენ, მისი ალება სურდათ. აუცილებლად სჭირდებოდათ ქალაქი.

ჰამილკარმა შორიდან თვალი მოჰკრა როქის სპას და შეშფოთდა, თუმცა ეამაყებოდა, ლტოლვილ ლაშქარს რომ ხედავდა. საჭირო იყო განახლებული ძალებით დაუყოვნებლივ დასხმოდა მათ თავს. კიდევ ერთი დღე და ომი მოგებული ექნება! ფეხი თუ ითრია, ისინი მომძლავრდებიან და აქეთ შემოუტევენ. ტვიროსის ქალაქები მათ მიუერთდება. რაში წაადგა თავისი ლმობიერება, დამარცხებულთა შებრალება?! გადანყიბა, ამიერიდან სასტიკი ყოფილიყო.

იმავე სალამოს მკვდრებისთვის ართმეული სამაჯურებით დატვირთა ღურკანი აქლემი და დიდ საბჭოს გაუგზავნა, თან საშინელი მუქარით ითხოვდა ახალ ლაშქარს.

ყველას კარგახნის დაღუპული ეგონა ჰამილკარი. მისი გამარჯვების ამბავი რომ შეიტყვეს, გაშრნენ, შეძრწუნდნენ. ზაიმფის დაბრუნება ყურმოკრულად იცოდნენ, ახლა კი ამ სასწაულით დაგვირგვინდა. როგორც ჩანს, ღმერთები სწყალობენ ჰამილკარს და კართაგენის ძალაც მის ხელთაა.

ბარკას მტერთაგან კაციშვილი ვერ ბედავდა წუნუნს ან მის გამტყუნებას. ზოგი აღფრთოვანებული იყო, ზოგი მისი შიშით ძრწოდა. ასე იყო თუ ისე, დათქმულ ვადამდე მზად იყო ხუთათასიანი ლაშქარი.

ჯარმა მარჯვედ შეაღწია უტიკაში და ზურგი გაუმაგრა სუფეტს. სამი ათასმა უმამაცესმა მებრძოლმა ხომალდებით გასწია ჰიპო-ზარიტისკენ, რათა ბარბაროსებს შეებოდა. სარდლობა ჰანონმა იკისრა, მაგრამ ლაშქარი თავის ხელქვეით მაგდასანს ჩააბარა, რადგან ტახტრეენის ჯაყჯაყს ვერ იტანდა. სატიკივარი აშლოდა, ტუჩები და ნესტოები მთლად დაღრღნილი ჰქონდა. სახეზე დიდი ღრუ გასჩენოდა, ათიოდ ნაბიჯით დაშორებული კაცი დაინახავდა მის ხახას. იცოდა საზარელი სანახავი რომ იყო და დიაცივით რიდით იფარავდა სახეს.

ჰიპო-ზარიტს ყური არ შეუბერტყავს არც ბარბაროსთა და არც ჰანონის მოთხოვნებზე, ოღონდ ქალაქის მკვიდრნი ყოველ დილით ზევიდან ძარებით ხორაგს აწვდიდნენ და კოშკებზე გადმომდგარნი გასძახოდნენ ბარბაროსებს, ბოდიშობდნენ, რესპუბლიკის წინადადებებს უმხელდნენ, ემუდარებოდნენ – გაგვეცალეთო. ქალაქის მოსახლეობა ამასვე ანიშნებდა კართაგენელთ, რომელნიც ზღვაში იყვნენ გაშლილნი. ჰანონი ნავსაყუდლის გარემოცვას დასჯერდა, იერიშს ველარ ბედავდა. ამასობაში ჰიპო-ზარიტის მსაჯულები დაიყოლიეს ქალაქში სამასი მეომრის შეშვებაზე. შემდეგ ჰანონი ვაზის ხიდისკენ გაემართა, შორი გზა მოიარა და ბარბაროსებს შემოერთყა. ეს მეტად სახიფათო შემოვლა სულ არ იყო აუცილებელი. ჰანონს შურდა ჰამილკარისა და უჭირდა მისთვის დახმარება. ჰამილკარის მსტოვრებს აკავებდა, აბრკოლებდა მათ გეგმებს, ომს აფერხებდა. ბოლოს ბარკამ დიდ საბჭოს მისწერა – ჰანონი მომაშორეთო. უხუცესთა სულმდაბლობითა და სუფეტის გახელლებით გაცოფებული ჰანონი კართაგენში დაბრუნდა. ამდენი იმედიანობის მერე კართაგენლები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ არაფერს არ იმჩნევდნენ და არც ლაპარაკობდნენ ამაზე.

ბედმა თითქოს ამდენი გასაჭირი არ აკმარა მათ. ხმამ მოაღ-
ნია, სარდინიელ დაქირავებულ მებრძოლებს ჯვარს უცვამთ
თავანთი სპასპეტი, სიმაგრეებს დაჰპატრონებიან და ყელი გა-
მოულადრავთ ყველა ქანაანელისთვისო. ათას ორას ტალანტს
თუ არ გაიღებდნენ და სარდინიის მთელ კუნძულს თუ არ დათ-
მობდნენ, რომაელები თავდასხმას უქადდნენ კართაგენს. რომ-
მა ბარბაროსებთან შეკრა პირი, ფქვილით და აპოხტით დატ-
ვირთული ბრტყელდირა ხომალდები გამოუგზავნა მათ. კართა-
გენელები ხომალდებს გამოუდგნენ, ხუთასი კაცი დაატყვევეს,
მაგრამ სამი დღის შემდეგ ქარიშხალმა ჩაძირა ბიზაცენიდან
მომავალი ხომალდები, რომელთაც ნაძარცვი საქონელი მოჰ-
ქონდათ. ეჭვი არაა, ღმერთები განუდგნენ კართაგენს!

ჰიპო-ზარიტის მცხოვრებლებმა განგაში ატეხეს განზრახ,
გალავანზე აიტყუეს ჰანონის სამასი მეომარი, ზურგიდან დაეს-
ხნენ, ფეხებში სტაცეს ხელი და ძირს გადმოყარეს ზღუდიდან.
ზოგი გადარჩა. მათ მღევარი დაადევნეს და ზღვაში ჩაახრჩვეს
ყველანი.

უტიკა ერთხანს ითმენდა მებრძოლებს. მაგრამ მაგდასანმა
ნაიყრუა ჰამილკარის თხოვნა, ჰანონს აჰყვა და მისი ბრძანე-
ბით ალყა შემოარტყა ქალაქს. მაშინ მეომრებს მანდრაგორანა-
რევი ღვინო ასვეს და მიძინარეთ ყელი გამოსჭრეს უტიკელებმა.
სწორედ ამ დროს ბარბაროსებიც გამოჩნდნენ. მაგდასანმა გაქ-
ცევით უშველა თავს. ქალაქის ბჭენი დახსნეს. მას აქეთ ტვირო-
სის ორივე ქალაქი თავდადებული იყო ახალი მოკეთებებისთვის
და ორივემ საშინლად შეიზიზლა ძველი მოკავშირეები.

პუნიკელთა უღლიდან ამ ქალაქების განთავისუფლება მისა-
ბადი მაგალითი იყო სხვებისთვისაც. დაპყრობილ ხალხებს თა-
ვის დახსნის იმედი მიეცათ. ყველაზე უსუსური და გაუბედავი
ტომებიც კი აღარ ყოყმანობდნენ. ყველა ამოძრავდა. სუფეტ-
მა შეიტყო ეს ამბავი. შეხიდებას არავისგან ელოდა. სამეფლი
არაა, დაღუპული იყო!

მაშინვე გაუშვა ნარჰავასი თავისი სამეფოს საზღვრების და-
საცავად. თავად გადანყვიტა კართაგენში დაბრუნებულიყო,
ახალი მებრძოლები გაენვია და ომი განეახლებინა.

ჰიპო-ზარიტში დაბანაკებულმა ბარბაროსებმა დაინახეს,
რომ მთიდან ეშვებოდა პუნიკური ლაშქარი.

საით გაუწევიათ? შიმშილმა თუ გაანამა მეომრები. ტანჯვა-
წამებისგან თუ შეიშალნენ? აბა, ასე ილაჯგანყვეტილნი აპირე-

ბენ ბრძოლას? მაგრამ პირი მარჯვნივ იბრუნეს. გარბიან! დადევნება და მათი ამოჟუჟვაა საჭირო!

კართაგენელები მდინარემ შეაჩერა. წყალი ადიდებულიყო. ზენა ქარი არ ქროდა. ზოგმა მხარული მოუსვა, ზოგმა ფარებზე გადაცურა მდინარე. კვლავ განაგრძეს სვლა. ღამე ჩამოწვა. პუნიკური ჯარი სიბნელებში გაუჩინარდა.

ბარბაროსები არ შეჩერებულან, სათავისკენ აჰყვნენ მდინარეს, ფონს ეძებდნენ. ტუნისის მკვიდრნი მოცვივდნენ, უტიკელებიც აიყოლიეს. ყოველ ნაბიჯზე მატულობდა მეომრების რიცხვი. კართაგენელები მინაზე განვებოდნენ და დააყურებდნენ ხოლმე, ლაშქრის ფეხის ხმა ესმოდათ კუნაპეტ ღამეში. ბარკამ თავის ჯარს ისარი დააშენინა, რომ ოდნავ მაინც შეეფერებინა მათი მსვლელობა. ბევრი დაეცა განგმირული. გათენებისას ბარბაროსები არიანის მთებში აღმოჩნდნენ, იმ ადგილას, სადაც გზა უხვევდა.

მათო წინ მიუძღოდა ბარბაროსთ. ცის დასალიერთან, მთის თხემზე, რაღაც მომწვანო შენიშნა. შემდეგ გაივაკეს. ობელისკები, გუმბათები და სახლები გამოიკვეთა! კართაგენია! გული ისე უძგერდა, ხეს მიეყრდნო თავის შესამაგრებლად.

გაახსენდა ყველაფერი, რაც თავს გარდახდა კართაგენში უკანასკნელად ყოფნის შემდეგ. ეს რა მოულოდნელი სიხარულია! თავბრუ დაეხვა. საოცარი სიამოვნება იგრძნო იმის გაფიქრებისას, რომ კვლავ იხილავდა სალამბოს. „არადა, უნდა შემეჩვენებინა იგი, საამისო მიზეზი მაქვს“, – გაუელვა მათოს, მაგრამ სასწრაფოდ განერიდა ამ აზრს. აცახცახებული ვაჟკაცი გაფაციცებით უმზერდა ეშმუნსა და პალმების ზემოთ უმაღლეს ტერასას სასახლისას. ბედნიერებამ ღიმილით ისე გაუნათა სახე, თითქოს ზეციური ნათელი გადმოღვრილიყო მასზე. მკლავებს შლიდა, ამბორს უგზავნიდა სალამბოს, ნიავს ატანდა ალერსს. ჩურჩულებდა: „მოდო! მომამურე!“ მკერდიდან ოხვრა აღმოხდა და ორი კურცხლი ორი ობოლი მარგალიტივით ჩამოუგორდა წვერზე.

– ფეხს რად ითრევე! – წამოიძახა სპენდიუსმა, – აბა, ჩქარა! გასწი! სუფეტი ხელიდან გაგვისხლტება! რა დაგემართა, მუხლები გიკანკალებს, მთვრალივით მიყურებ.

სპენდიუსს მოუთმენლობისგან სული კბილით ეჭირა, ფეხებს აბაკუნებდა და მათოს აჩქარებდა; თვალებს ისე აფახულებდა, თითქოს დიდი ხნის დასახულ მიზანს ეს-ესაა მიაღწიაო.

– აგერ, აქა ვართ! მის სამყოფელში! მტერი გამომწყვდეული გვყავს! – გაიძახოდა სულმოუთქმელად.

ისეთი მოზეიმე იერი ჰქონდა სპენდიუსს და ისე იყო დაიმედებული, რომ გარინდებიდან გამოიყვანა მათო და აიყოლია. მათოს ვარამს ცეცხლს უკეთებდა მისი სიტყვები, სასონარკვეთილებიდან შურისგებისკენ უბიძგებდა, რისხვას უძლიერებდა.

მათო საპალნით დატვირთულ აქლემს მოახტა, ავშარა შეხსნა და გრძელი საბელი მოუქნია ჩამორჩენილებს. აქეთ-იქით მიმორბოდა, ქოფაკი რომ ფარას მილაღავს, ისე მიერეკებოდა ლაშქარს.

მისი ხაფი ხმის გაგონებაზე მწყობრში დგებოდნენ მეზრძოლები. ხეიბართაც კი აიჩქარეს ფეხი. ნახევარკუნძულის ყელზე ლაშქრებს შორის მანძილი შემცირდა. როქის სპის მენინავენი პუნიკელთა მიერ დაყენებული მტვრის კორიანტელში მიიკვლევდნენ გზას. ბარბაროსები უახლოვდებოდნენ, ენოდნენ კართაგენელთ. მალქის, ტეგასტისა და ქამონის დიდი კარიბჭეები დახსნეს. კართაგენელთა ოთხკუთხა მწყობრი დანაწილდა სამ რიგად და სამივე გაუჩინარდა ბჭეებს შიგნით. ტაძრის სტოაში თაღებქვეშ ირეოდა ჯარი. შემჭიდროებულმა ლაშქარმა მალე შეწყვიტა ჩოჩქოლი. შუბის წვერები ედებოდა ერთმანეთს. ბარბაროსთა ისრები სტვენით ეხლებოდა კედლებს.

ქამონის ტაძრის ზღურბლზე ჰამიკლარი გამოჩნდა, შემობრუნდა და მეომრებს უბრძანა – გაიშალებო. მერე ცხენიდან ჩამოხტა, ხელში მომარჯვებული მახვილი გავაში ატაკა თავის ბედაურს და ბარბაროსებისკენ აფრინა. ეს იყო პურის კვერებით ნაპატიები ორინგული ულაყი. ცხენი მუხლებს დრეკდა, რათა ადვილად ამხედრებულიყო პატრონი. რატომ გაუშვა ბარბაროსებისკენ, რად განირა იგი ჰამილკარმა? რას უნდა ნიშნავდეს ეს მსხვერპლი?

ულაყმა ლახვრებს შორის გაიჯირითა. პირქვე ამხოზდა მეზრძოლებს, ფეხი ებორკებოდა, ძირს ეცემოდა, ნამოიჭრებოდა და ყალყზე დგებოდა. გაფანტული ბარბაროსები მის დაოკებას ცდილობდნენ. ზოგი გაოცებული შესცქეროდა ბედაურს. ამა-სობაში კართაგენელებმა თავი მოიყარეს და ქალაქში შევიდნენ. უზარმაზარი კარიბჭე რაჯგუნით ჩაირაზა მათ უკან.

ბჭე არ შეეპუა ბარბაროსების დანოლას. მეომრები ალაყაფზე მიისრისნენ. რამდენიმე წუთს ლაშქარს მთელ სიგრძეზე დაეტყო რყევა, რომელიც თანდათან მინელდა და ბოლოს მიწყდა.

კართაგენელებმა აკვედუკთან ჩააყენეს მეომრები და იწყეს ქვების, ბირთვების, მორების სროლა. სპენდიუსმა მებრძოლებს შეახსენა – მორჩილება გმართებთო. ბარბაროსები შორიახლოს იდგნენ. მტკიცედ ჰქონდათ გადანყვეტილი, ალყად შემოსდგომოდნენ კართაგენს.

ომის შესახებ ხმა დაირხა და პუნიკური იმპერიის საზღვრებს გასცდა. ჰერკულესის ტაძრის სვეტებიდან ვიდრე კირენემდე ყველა ომზე ფიქრობდა. მწყემსები ფარას რომ აძოვებდნენ, ომი ელანდებოდათ; ღამლამობით ჩახჩახა ვარსკვლავების შუქზე მობაასე მექარავენებს ომი ეკერათ პირზე. აღმოჩნდა ხალხი, რომელმაც ხელი აღმართა დიდ კართაგენზე, ზღვათა მეუფეზე, მზესავით შუქმოსილსა და ღმერთივით შიშისმგვრელზე! დაბეჯითებით ამტკიცებდნენ – კართაგენი დაემხო, და ყველამ ირწმუნა ეს ამბავი, რადგან ყველას ენადა მისი დაცემა. დაბეჩავებულ ერებს, დახარკულ დაბებს, მიერთებულ გარეუბნებსა თუ თავისუფალ ურდოებს – ყველას სძულდა კართაგენი მისი სისასტიკის გამო, ყველას შურდა მისი ძლიერება, ყველას ეხარბებოდა მისი სიმდიდრე. ლომგული ვაჟკაცები შეუერთდნენ როქის სპას. სხვები მაკართან დამარცხებამ შეაკავა, მაგრამ ბოლოს მაინც გული მოიცეს, ნელ-ნელა დაიძრნენ და წამოეწიენ ბარბაროსებს. მაშრიყელნი კლიპეის ქვიშნარებში დაბანაკდნენ, ყურის გაღმა ნაპირას. ბარბაროსები გამოჩნდნენ თუ არა, მაშინვე მათ მიაშურეს.

ეს მეომრები კართაგენის სანახებიდან თავმოყრილი ლიბიელები როდი იყვნენ! კარგა ხანია, რაც მათ მესამე ლაშქარი შექმნეს. ესენი გახლდნენ ბარკას ზეგნიდან წამოსული მომთაბარენი, ფისკუსისა და დერნეს კონცხებიდან შემოკრებილი აბრაგები. ფაცანიდან და მარმარიკიდან გადმოიარეს მათ უდაბნო. აქლემის ძვლებით ამოშენებული მლაშე ჭებიდან იკლავდნენ წყურვილს. სირაქლემას ფრთებით მორთული ზუა-ეკები ოთხცხენიანი ეტლებით მოქროდნენ; შავი რიდით მოზურული გარამელნი გავაზე შემოსხდომოდნენ ძუაშეფერილ ფაშატებს. სხვები სახედრებზე, კანჯრებზე, ზებრებსა თუ კამეჩებზე ამხედრებულიყვნენ. ზოგი ჯალაბთან და კერპებთან ერთად მოათრევდა თავისი ჯარგვლის სახურავს, რომელსაც ნავის მოყვანილობა ჰქონდა. ცხელ წყაროებს სახე დაეპრანჭა

ამონიელთათვის. მოდიოდნენ მზის შემჩვენებელი ატარანტები და ტროგლოდიტები, რომელნიც რტოებქვეშ სიცილ-ხარხარით მარხავენ მიცვალებულთ; მოემართებოდნენ მკალიჭამია საზარელი ავზიელები, ტილიჭამია აქირმაქიდები, სინგურით შეთითხნილი გიზელები, რომლებიც მაიმუნის ხორცს მიირთმევენ.

ყველანი ფართო მწკრივად ჩარიგდნენ ზღვის პირას და ქართით ატაცებული კორიანტელივით დაიძრნენ. ნახევარკუნძულის ყელთან ჯარი შედგა, გასაქანი არ იყო. მათ წინ გალავანთან დაბანაკებული როქის სპა ფეხის მოცვლას არ აპირებდა.

შემდეგ არიანის მხრიდან გამოჩნდნენ მალრიბელნი და ნუმიდიელნი. ნარჰავასი მასალიელებს მთავრობდა მხოლოდ. ნუმიდიელთა ადათით, დამარცხებული მეფისთვის ზურგის შექცევა შეიძლებოდა. ისინი ზაინთან შეგროვდნენ და ჰამილკარის დაძვრისთანავე გადალახეს მდინარე. მოირბინეს ლომის ტყავით შემოსილმა მალეთუთ-ბაალელმა და გარაფოსელმა მონადირეებმა; შუბის ტარით მოერეკებოდნენ გრძელფაფრიან გაძვალტყავებულ კვიცებს. მერე მოდიოდნენ გეტულიელნი, რომელთაც გველის პერანგი ეცვათ ჯავშნად. ფარუსიელებს ცვილში აზელილი აშიფის გვირგვინები ედგათ თავზე. კონელთ, მაკარელთ და ტილაბარელთ ორ-ორი ლახვარი და ჰიპოპოტამის ტყავგადაკრული მრგვალი ფარები ეპყრათ. ისინი კატაკომბებთან შედგნენ, იქ, სადაც გუბეები იწყებოდა. ლიბიელნი რომ დაიძრნენ, მათ ადგილას მიწაზე განფნილი ლეგა ღრუბელივით გამოჩნდა ზანგთა სიმრავლე. ისინი მოსულიყვნენ თეთრი და შავი ჰარუშიდან, ავგილის უდაბნოდან და აგაზიმბის თვალუნვდენელი ქვეყნიდან, რომელიც გარამელების სამხრეთით ოთხი თვის სავალზეა და ვინ იცის, ეგებ უფრო შორსაც! მენამული ხის სამკაულები ესხათ, მაგრამ შავ კანში ისე ჭქონდათ ჩამჯდარი მწვირე, რომ მტვერში ამოგანგლულ თუთის მარცვლებს ჰგვანდნენ. მერქნის ბოჭკოს წვივსაცმელი და შეგრეხილი თივით ნაქსოვი ტუნიკები ემოსათ; მძვინვარე ნადირთა დრუნჩები ჩამოეცვათ თავზე, მგლებივით ყმუოდნენ, მავთულებზე ახირხლულ რგოლებს არხევდნენ და ჯოხზე ალამივით მიმაგრებულ ძროხის ტყავს აფრიალებდნენ.

ნუმიდიელების, მავრუზელების და გეტულიელების უკან ჯგლეთაში გზას მოიკვლევდნენ ტაგირის იქით, კედრიანში მოსახლე ყვითელკანიანები. უკან მოგდებული კატის ტყავის კა-

პარჭი მხარზე სცემდათ, ალიკაპიანი უშველებელი ქოფაკები მოჰყავდათ. ძაღლები არ ყეფდნენ.

თითქოს ისედაც გავერანებული არ ყოფილიყოს აფრიკა, მეტ საშინელებათა დასანევად გაერთიანებულიყვნენ სხვადასხვა ჯურის ნადირლები. ყველაზე ბოლოს მოაბიჯებდნენ მხეცური გამომეტყველების მქონე კაცები, კბილებს აკანკანებდნენ და სულელურად ხითხითებდნენ. მოალაჯებდნენ საზარელ სალმობათაგან ნელში გატეხილი მახინჯი ქონდრისკაცები და ქალკაცა მულატები; ალბინოსები წითელ თვალებს აფახულებდნენ მზეზე, ყველანი გაურკვევლად ბურდლუნებდნენ და შიმშილის ნიშნად პირში იჩრიდნენ თითებს.

სამოსლისა და ტომების ნაირსახეობას არ ჩამოუვარდებოდა საომარი აკაზმულობის სხვადასხვაობა. სასიკვდილო ყოველგვარ იარაღს წააწყდებოდათ ხისგან გამოჩორკნილი ხანჯლებიდან, ქვის ეჩოდან და სპილოს ძვლის სამკაპა ჩქიფიდან ვიდრე თხელი და დრეკადი სპილენძისგან დამზადებულ, ხერხივით დაკბულულ ხმლებამდე. ხელში ეჭირათ ანტილოპის რქებივით დატოტვილი ყამები, საბელს გამობმული ბებუთები, კომბლები და მახათები. ბამბოტელ ეთიოპელებს მონამლული პატარა ისრები დაემაღათ თმებში. ზოგი ქვებით დატენილ ტომრებს მოათრევდა. ხელცარიელები კბილთა ღრჭენით მომართებოდნენ.

იყო ერთი ალიაქოთი. ხომალდებივით კუპრით გათითხნილი ღურკანი აქლემები ძირს ისროდნენ დედაკაცებს, რომლებთაც ბავშვები ჰყავდათ ატატებული. გოდრებიდან ხორაგი ცვიოდა. სპა ფეხქვეშ თელავდა ქვამარილის ნატეხებს, აშიფიან ტომსიკებს, დამპალ ინდისხურმას, კაკალს. ზოგს ტილებდასეულ მკერდზე წვრილი ზონრით ეკიდა პატიოსანი ქვა, ფასდაუდებელი ზღაპრული თვალი, მთელ სამეფოს რომ იყიდის, სატრაპები რომ ეძიებენ, ისეთი. უმრავლესობამ არც კი იცოდა, რა სურდა. ატაცებულნი იყვნენ და ცნობისწადილი ამოდრავებდათ. მომთაბარეთ ქალაქი არასდროს ენახათ და გალავნის ჩრდილმა შეაშინა ისინი.

არემარე მთლად დაფარული იყო ხალხით. ამ ვეება სივრცეში გაფანტული კარვები წარღვნის დროს მოტივტივე ქოხებს ჰგავდნენ. კარვები აღწევდნენ აკვედუკის ორივე კიდეში თანაბრად განლაგებულ დანარჩენ ბარბაროსებამდე, რომელნიც რკინის ჯაჭვ-ჯავშნით ელავდნენ.

ბარბაროსთა დანახვაზე კართაგენელები დაფრთხნენ და ჯერ ხეირიანად ვერ გამორკვეულიყვნენ, რომ თვალი მოჰკრეს პირდაპირ მათკენ მომავალ ურჩხულის მსგავს ნაგებობებს. ეს იყო ტვიროსის ქალაქთა გამოგზავნილი საალყო მანქანები. გამოჩნდა ანძები, ბაგირი, ძელები, ხუხულები, თორნ-აბჯარი. მოემართებოდა სამოცი სამალი, ოთხმოცი „კანჯარი“, ოცდაათი „კიჩხიბი“, ორმოცდაათი ტოლენონი, თორმეტი ურნალი და სამი უზარმაზარი ფილაკვანი, რომლებიც თხუთმეტტალანტიან უშველებელ ლოდებს იტყორცნებოდნენ. ბარბაროსები ფილაკვანების ღერძებს ჩაბლაუჭებოდნენ, უბიძგებდნენ და ყოველ ნაბიჯზე ირყეოდნენ. ასე მიაღწიეს გალავნამდე.

მაგრამ რამდენიმე დღე გავიდა ალყის სამზადისში. დამარცხებანანგვენვ როქის სპას არ სურდა უშედეგო შეტაკება. არცერთი მხარე არ ჩქარობდა, იცოდნენ, რომ გაჩაღდებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც გამარჯვებას ან სრულ განადგურებას მოიტანდა.

კართაგენს კარგა ხანს შეეძლო გამკლავება. მისი ფართო გალავანი ისე იყო დაკუთხული, რომ დიდ უპირატესობას იძლეოდა იერიშის მოსაგერიებლად.

კატაკომბების მხარეს კედლის ნაწილი ჩამონგრეულიყო. გალავნის ნაპრალებში მოჩანდა ბნელ ღამეებში მალქის საროსკიპოებში მბჟუტავი სინათლე. ზოგან ჯარგვლები სანგრების სიმაღლეს ასცილებოდა. აქ ცხოვრობდნენ თავიანთ ახალშერთულ ქმრებთან მათოს მიერ გაძევებული ქალები. ისევ რომ იხილეს ისინი, დიაცთ გული საგულეს აღარ ჰქონდათ; შორიდან თავსაფარს უქნევდნენ, მიდიოდნენ და დაბზარული გალავნიდან სიბნელეში ესაუბრებოდნენ მებრძოლებს. ერთ მშვენიერ დილას დიდმა საბჭომ შეიტყო, რომ ყველა დიაცი გაქცეულიყო. ზოგი დაშორიშორებულ ლოდებს შორის გამძვრაღიყო, უფრო გაბედულნი თოკით დაშვებუღიყვნენ.

ბოლოს და ბოლოს სპენდიუსმა გადანყვიტა შეესრულებინათავისი განზრახვა.

ომი აბრკოლებდა, მიზანს აშორებდა მას. კართაგენის სიახლოვეს რომ აღმოჩნდა ისევ, მოეჩვენა თითქოს ქალაქის მკვიდრნი ხვდებოდნენ მის ზრახვებს. აკვედუკთან გუშაგთა რიცხვმა იკლო, ხალხი არ კმაროდა გალავნის დასაცავად.

მონაყოფილი რამდენიმე დღეს ვარჯიშობდა, ისარს სტყორცნიდა ტბაში მოცურავე ფლამინგოებს. ერთ მთვარიან ღამეს

მათოს სთხოვა – შუალამეს ფიჩხით დიდი კოცონი ააბრიალე და მებძოლებს ღრიანცელი აატეხინეო. თავად კი ზარქსასი წაიყოლია და ყურის ნაპირს გაუყვა ტუნისის მხარეს.

უკანასკნელ თაღებს რომ გაუსწორდნენ, აკვედუკისკენ ქნეს პირი. გაშლილი ადგილი იყო. ხოხვით მიაღწიეს სვეტების კვარცხლბეკს.

ბაქანზე გუშაგები მშვიდად სცემდნენ ბოლთას.

უეცრად ალი ავარდა და ბუკის ხმა გაისმა. სარანგებმა იფიქრეს – შემოგვიტიესო, და კართაგენის მხარეს გაექანნენ.

ერთი მათგანი დარჩა. ცის ფონზე შავად მოჩანდა იგი. მთვარე შუეს სცემდა გუშაგს და მისი უშველებელი ლანდი მოძრავი ობელისკივით განოლილიყო ველზე. შეიცადეს, ვიდრე მათ გაუსწორდებოდა გუშაგი. ზარქსასმა შურდული მოიმარჯვა. სიფრთხილისა თუ სისასტიკის გამო შეაჩერა სპენდიუსმა.

– არა, შურდული გაიზუზუნებს! დამაცა!

შემდეგ სპენდიუსმა მთელი ძალით მოზიდა მშვილდი, მარცხენა ფეხის ცერს მიაბჯინა მისი ბოლო, ნიშანში ამოიღო და ისარი გაფრინდა.

კაცი არ ნაქცეულა, გაუჩინარდა.

– რომ დაჭრილიყო, შევიტყობდით! – თქვა სპენდიუსმა. ბაგირით ზევით აცოცდა, ადრინდულად ჭოკს იშველიებდა. ცხედართან ავიდა და თოკი ჩამოუშვა. ბალეარელმა საბელს წერაქვი და საბეგველა გამოაბა, თვითონ კი უკან დაბრუნდა.

მინყდა ნალარა. ჩაჩუმდა ყველაფერი. სპენდიუსმა ერთი ფილა ასნია, წყალში შევიდა და კვლავ ჩამოსნია ფილა. მერე მანძილი გამოთვალა ნაბიჯებით და მიაღწია იმ ადგილს, სადაც ირიბი ნაპრალი შენიშნა. გათენებამდე სამ საათს გამალებით მუშაობდა. ზედა ფილების ჭუჭრუტანებიდან ითქვამდა სულს. შემფოთებულს ბარე ოცჯერ მოეჩვენა, ვკვდებიო. ბოლოს გრუხუნი გაისმა, ვეება ლოდი მოსწყდა ქვედა თალს და ჩამოვარდა. უეცრად ჩანჩქერი, მთელი მდინარე ჩამოიქცა ზევიდან ბარად. შუაში გადახსნილი აკვედუკი იცლებოდა. ეს კართაგენელთა დასამარებას და ბარბაროსთა გამარჯვებას მოასწავებდა.

ძილგამკრთალი კართაგენელები იმავე წამს გამოეფინნენ გალავანზე, სახლის ბანებსა და ტაძრის სახურავზე. ბარბაროსები ჩოჩქოლებდნენ და გაკიოდნენ. გახელებული მეომრები დაცუნდრუკებდნენ უზარმაზარი წყალვარდნილის ირგვლივ და გალაღებულები თავს ისველებდნენ წყლით.

აკვედუკის თავზე კაცი გამოჩნდა, რუხი ტუნიკა შემოჭფლეთოდა ტანზე. დოინჯი შემოიყარა, გადმოიხარა და ძირს ჩამოიხედა, თითქოს გაოცებული იყო თავისი ნამოქმედარით.

შემდეგ გაიჯგინა, თვალი მიმოავლო ცისკიდურს. მისი ამაყი მზერა ამბობდა, ესე ყოველი მე ვქმენო. ბარბაროსებმა ტაში შეაგებეს. კართაგენელები გამოერკვნენ, როგორც იქნა, მიხედნენ – რა უბედურებაც დაატყდათ თავს და სასონარკვეთილნი აზმუვლდნენ. კაცი აკვედუკის ერთი კიდიდან მეორისკენ გარბოდა. სიამაყით თავბრუდახვეულ სპენდიუსს ოლიმპიურ თამაშობებზე გამარჯვებულ მოჯირითესავით მალლა აღეპყრო ხელები.



თავი მესამე

მოლოქი

ბარბაროსებს სანგრები არ სჭირდებოდათ აფრიკის მხარეს, რადგან სამხრეთი მათ ეკუთვნოდა. გალავანთან მისვლა რომ გაადვილებოდათ, თხრილის გაყოლებით მოშალეს ყორე. მათომ დიდ ნახევარწრეებად დაყო ლაშქარი, რათა კართაგენს ადვილად შემორტყმოდა გარს. წინ ჰოპლიტები ჩააყენა, მათ უკან – მეშურდულენი და მხედრები; ამათ მოჰყვებოდა ალალი, ეტლები, ცხენები. გოდლებიდან სამასიოდე ნაბიჯზე საომარი მანქანები წამომართულიყო.

საუკუნეთა მანძილზე უთავბოლოდ იცვლებოდა მათი სახელები, მაგრამ ძირითადად ორ რიგად იყოფოდა ეს მანქანები. ერთი წყება შურდულის ყაიდაზე იყო გამართული, მეორე – მშვილდივით ისროდა ისარს.

პირველთაგან ფილაკვანი ოთხკუთხა ჩარჩოს ჰგავდა. ორ შვეულ ბიჯზე ერთი განივი კოჭი მაგრდებოდა. გარედან ბაგირებიანი ცილინდრი აკავებდა უშველებელ რვილს, რომელსაც ლოდების გასატყორცნი ღრმული ჰქონდა; ფსკერზე დაძახული ბაგირის მურგი იყო. ბაგირს რომ მოადუნებდნენ, ცილინდრი მაღლა იწევდა და ძელს ეხეთქებოდა. ძელი შეინჯლრეოდა და მეტი ძალით ამოქმედდებოდა.

მეორე რიგის მანქანები უფრო რთული მოწყობილობისა იყო. მომცრო სარზე შუა ნაწილით გარდიგარდმო დაემაგრებიანათ სოლი, აქვე მთავრდებოდა მართი კუთხით მოხვეული ღარი. ძელს ორივე ბოლოში შეთელილი ძუით დატენილი ორი ხუფი ჰქონდა. ორ ღირეს გამოზმული იყო საბელი, რომელიც ღარის ბოლოში მოთავსებულ ბრინჯაოს ფირფიტამდე ეშვებოდა. ზამბარის დახმარებით ფირფიტა დაიძვროდა, ღარში გასრიელდებოდა და ისრებს უბიძგებდა.

ფილაკვნებს „კანჯარსაც“ უწოდებდნენ, რადგან მეომრებს იგი აგონებდა გარეულ ვირს, ტლინკით რომ ისვრის ქვებს. ისრის სატყორცნ მანქანებს „ლრიანკალადაც“ ნათლავდნენ, ვინაიდან ფირფიტას გამობმული ჰქონდა მარწუხი, რომელიც მუშტის დარტყმით ძირს ენარცხებოდა და ზამბარას ამოძრავებდა.

ამ რთულ მანქანათა გასამართავად განაფული ხელი იყო საჭირო. ხე-ტყე მაგარი ჯიშისა უნდა შეერჩიათ; თითბრის დაკბილული ბორბლების ჩამოცმა შეიძლებოდა აზარმაციით, ჭოჭონაქით, ოწინართა და კბილანათი. ცილინდრი მანქანის გადასადგილებლად იყო საჭირო. უზარმაზარი მანქანები ნაწილ-ნაწილ მოათრეს და მტრის ცხვირწინ ააწყვეს.

სპენდიუსმა სამი დიდი ფილაკვანი სამ მთავარ კუთხეში განალგა. ყოველი კარიბჭის წინ ურნალი აღმართა, ყოველ გოდოლთან – ბირთვსატყორცნი მანქანა. მათ უკან სამაღები ტრიალებდნენ. გარემოცულთა ცეცხლისაგან უნდა დაეცვათ მანქანები, უნდა გაეთხარათ გალავნისაგან გამთიშველი ხანდაკი.

გამოჩნდა ნორჩი ლერწმისგან მოღობილი ჩელტები და მუხის მორკალული რტოები, რომლებიც სამ ბორბალზე მოგრიალე ვეება ფარებს ჰგვანდნენ. ნედლი ტყავით გადახურულ და შიგნიდან წყალმცენარეებით მოგებულ ქოხებს შეჰფარებოდნენ მუშაკები. ფილაკვნებსა და „ლრიანკალებს“ იცავდა ბაწრით მოწნული ჩარდახი; თოკები ძმრით გაეჟლინათ, რომ ცეცხლი არ მოჰკიდებოდა. დედაკაცები და ბალები ქვებს აგროვებდნენ, რიყეზე ხელით თხრიდნენ მიწას და მებრძოლეთან ეზიდებოდნენ.

არც კართაგენელები იყვნენ გულხელდაკრეფილნი.

ჰამილკარმა სასწრაფოდ დააშოშმინა მოსახლეობა, განაცხადა – ბაკებში ას ოცდასამი დღის სამყოფი წყალი მაქვსო მოკავებული. ამ ამბავმა აღაფრთოვანა ქალაქის მოსახლეობა. კართაგენმა სული მოითქვა. ქანაანელთა მოდგმას ვინც არ ეკუთვნოდა, მათაც კი გადაედოთ სხვების აღტაცება.

მონები შეაიარაღეს, ზარადხანა მთლად დაცალეს; ყოველ კაცს თავისი ადგილი და საქმე მიუჩინეს. ბარბაროსთაგან გადმოხვეწილებისგან ათას ორასი ხიზანი გადარჩა. სუფეგმა მათ ყველას მეთაურობა უბოძა. ხუროები, მეაბჯრენი, ნალბანდები და ოქრომჭედლები მანქანებს მიუყენეს. რომთან დაზავების

მიუხედავად, კართაგენელებს რამდენიმე საომარი მანქანა შემოორჩენოდათ. გულდაგულ შეაკეთეს ისინი. პუნიკელთა წესად მოსდგამდათ საქმის კარგად გაძლოლა.

ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარეს ზღვა და ყურე ერტყმოდა კართაგენელებს. ეს უბანი მიუდგომელი იყო. ბარბაროსებისკენ მიქცეულ გალავანზე აზიდეს მორები, წისქვილის დოლაბები, გოგირდით შეპირთავებული ქოთნები, ზეთით სავსე კასრები და გამართეს ლუმლები. კოშკის თავანზე ქვეები დაახვავეს; ზღუდის სიახლოვეს რაც კი სახლები იყო, ქვიშით ამოავსეს, რომ გაეფართოებინათ და განემტკიცებინათ გალავანი.

ამ სამზადისის შემყურე ბარბაროსები გაღიზიანდნენ. სურდათ, მალე შებრძოლებოდნენ მტერს, მაგრამ ფილაკენები მათ ისე დაეტვირთათ, რომ ხელნა გატყდა და იერიში გადაიდო.

ბოლოს შაბარის თვის მეცამეტე დღეს, მზის ამოსვლის ჟამს, ქამონის ტაძრის ბჭეზე დარტყმა გაისმა.

სამოცდათხუთმეტი მეომარი ეზიდებოდა უშველებელ მორზე ამოდებულ ბაგირებს. ძელი ბოლოვდებოდა თითბრის ვერძის ვეება თავით და ჯაჭვებით განივად იყო ჩამოკიდებული ღერძზე. ძელს ხარის ტყავი ჰქონდა შემოხვეული, აქა-იქ რკინით იყო შემოსალტული. სიმსხოთი იგი სამჯერ აღემატებოდა ადამიანის ტანს. ასოცნყრთიან მორს უამრავი შიშველი მკლავი უბიძგებდა და მერე უკან აბრუნებდა; იგი წინ და უკან იწევდა და ტორტმანებდა.

სხვა კარიბჭეებთან აღმართული ურნალებიც ამოქმედდნენ. მათი ბორბლების ლიობში მოჩანდა საფეხურებზე ჯგუფ-ჯგუფად ამავალი ხალხი. ოწინარებმა და ხუფებმა გაიხრჭალა, ბანრისგან მოწნული ჩარდახი ჩამოეშვა. უეცრად ქვებისა და ისრების ნაკადი დაიძრა. გაფანტულმა მემურდულეებმა მოკურცხლეს. ზოგნი სანგართან მიიჭრნენ, ფარების უკან მალავდნენ კუპრიან ქოთნებს და შემდეგ ხელის მოქნევით შორს ისროდნენ. ბირთვი, ცეცხლი თუ ისარი სეტყვასავით გადაევიდნენ წინა რიგებს, მრუდი შემოხაზა და ზღუდის იქით დაეცა. გალავანზე აიზიდა საანძე ამწეები. მათგან ჩამოეშვა უშველებელი მარწუხები, რომლებიც შიგნიდან ორი დაკბილული ნახევარწრით მთავრდებოდა. მარწუხები ჩაეჭიდნენ ურნალებს. მეომრები მორს ჩაბლაუჭებოდნენ, უკან ექაჩებოდნენ და ამ ჭიდილმა სალამომდე გასტანა.

მეორე დღეს, როცა როქის სპა შეტევას შეუდგა, მთელი გალავანი ბამბის ქულებით, ტილოთი და ბალიშებით მოგებული აღმოჩნდა. ქონგურები ჭილოფით ამოეგმანათ. ყორეზე, ამნეებს შორის, მოჩანდა ფინალთა წყება და ჯოხზე მიმაგრებული ფიცრები. დაიწყო გააფთრებული თავდაცვა.

ბაგირგამობმული ძელები რიგრიგობით ეცემოდა ურნალს და კვლავ მაღლა იწევდა. საბრძოლო მანქანათაგან განატყორცნი კაუჭები სახურავს აცლიდნენ ქოხებს. კოშკებიდან ცვიოდა ღორღი და რიყის ქვა.

ურნალებმა შეტეხეს ქამონის და ტაგასტის ტაძართა ბჭენი. კართაგენელებს შიგნიდან ისე ჩაეხერგათ ტაძრები, რომ შელენილი კარიბჭეები არ იღებოდა და უწინდებურად იყო აღმართული.

გალავანს ბურღი მიუყენეს, რათა ბზარები გაეფართოებინათ და მიწასთან გაესწორებინათ კედლები. მანქანებს კარგად უძღვებოდნენ ჯგუფებად დანაწილებული მეზრძოლები, გათენებიდან დაღამებამდე განუწყვეტლივ მოძრაობდნენ საქსოვი დაზგის მოსაწყენი სიზუსტით. სპენდიუსი დაულალავად მართავდა მანქანებს, თვითონ ჭიმავდა ბაგირს. ძაბვა და სრიალი რომ თანაბარი ყოფილიყო, თოკს ქაჩავდნენ ორივე მხრიდან, რიგრიგობით ურტყამდნენ პალოს მარცხნივ და მარჯვნივ, ვიდრე ორივე ბოლო ერთგვარ ბგერას არ გამოსცემდა. სპენდიუსი ძვრებოდა ხარიხებზე, ფეხის წვერით ნელ-ნელა უკაკუნებდა, შემდეგ დააყურებდა მემუსიკესავით, თითქოს ქნარს აწყობდა. ფილაკენის რვილი აიწეოდა და ზამბარას შეარხევდა; ღერძი შეირყეოდა, ქვები სხივებივით გადმოიფრქვეოდა და ისრები ნაკადულივით მოჩქეფდა. სპენდიუსი მოიკაკვებოდა ხოლმე და ხელებს გაშლიდა, თითქოს სურდა თავადაც გაფრენილიყო.

მეომრები ალტაცებულნი იყვნენ მისი სიმკვირცხლით და ყველაფერს უგონებდნენ. გალალეებული ბარბაროსები მუშაობდნენ, თან ლაყბობდნენ, ათასგვარ სახუმარო სახელს არქმევდნენ მანქანებს. ურნალის ჩასაჭერ მარწუხს – „მგელი“, ხარიხებს კი „ვაზის ტალავარი“ შეარქვეს. თავიანთ თავს „კრავებს“ უწოდებდნენ, მევენახეები ვართ და რთველი გვაქვსო. „კანჯართ“ ქვებით ამარაგებდნენ და აქეზებდნენ: „წამო, ჩაწიხლე ისინი“; „ღრიანკალთ“ მიმართავდნენ: „შიგ კაკალ გულში დაგესლე“. ეს უკბილო ენამახვილობა ამხნეებდა მეზრძოლთ.

მაგრამ მანქანებმა ზღუდე ვერ მოშალეს, მხოლოდ ზედა ნაწილი წააცალეს, რადგან ორი კედელი შუაში მიწით იყო ამოვსებული. გარემოცულნი იმავ წამს აღადგენდნენ ხოლმე დაზიანებულ ადგილს. მათომ ქვითკირის კოშკებივით მაღალი ძელის გოდლების აგება ბრძანა. თხრილში ჩაყარეს მიწის ბელტები, სარები, კაჭარი და ეტლები ბორბლებიანად, რათა საჩქაროდ ამოევსოთ იგი. ვიდრე თხრილი გასწორდებოდა, ბარბაროსთა ბრბო დაიძრა ველზე და ბობოქარ ზღვასავით მიასკდა გალავანს.

მოზიდეს გადმოსაკიდებელი თუ მისაყუდებელი კიბეები და სამბუკები. ეს იყო ორი ლატნიდან დაშვებული ბამბუკის ჭოკები, რომლებზედაც მოძრავი ხიდი იყო გადებული. ურიცხვი ბიჯგი მიაყუდეს გალავანს; როქის მეომრებმა იარაღი მოიმარჯვეს და ერთმანეთს გადაბანრულები თითო-თითოდ აცოცდნენ მაღლა; ზღუდის ორ მესამედს გასცდნენ, მაგრამ არცერთი კართაგენელი არ გამოჩენილა. უეცრად სათოფურებმა ურჩხულის ხახასავით გადმოაფრქვიეს ცეცხლი და კვამლი. მაღლიდან ჩამოცვნილი ქვიშა ბეგთარის ჭუჭრუტანებში ატანდა; ნავთმა გაჟლინთა სამოსელი. გამდნარი ტყვია ეშხეფებოდა ჩაჩქნებს, სხეულს უდაღვდა მებრძოლებს. ნაპერწკლების წვიმამ სახე დაუწინკლა ბარბაროსებს. თვალდავსებულითა უბეები თითქოს ტიროდნენ ნუშისოდენა ცრემლებით. ზეთით გადაყვითლებულებს თმებზე ედებოდათ ალი. საცოდავები გარბოდნენ და სხვებს უკიდებდნენ ცეცხლს. სისხლით გალუმპულ ლაბადას ესროდნენ მათ სახეში, ცეცხლს უნელებდნენ. ზოგი დაჭრილი არ იყო, მაგრამ იდგა უძრავად სარივით ჩასობილი, პირი დაელო და ხელები გაეჩაჩხა.

ბარბაროსები რამდენიმე დღეს ზედიზედ უტევდნენ. თავისი ძალითა და მამაცობით დაიმედებული როქის სპა გამარჯვებას მოელოდა.

ხანდახან ერთი მებრძოლი მხარზე შეადგებოდა მეორეს, პალოს ჩაასობდა გალავნის ქვებს შუა, ზედ შედგებოდა, ასობდა მეორეს, მესამეს და მაღლა ძვრებოდა. ქონგურების ძგიდე იფარავდა მეომრებს, ზევით მიცოცავდნენ, მაგრამ ბოლოს თავქვე ცვიოდნენ. ღრმა თხრილი პირთამდე აივსო. ცოცხალთა ფერხთით ეყარნენ გვამებსა და მომაკვდავებში არეული დაჭრილები. ნაწლავებსა, დანთხეულ ტვინსა და სისხლის ტბორებს შორის შავ ლაქებად ჩანდა შერუჯული სხეულები. გადახრუკული

ვენახის ჭიგოებივით აღმართულიყო ცხედართა გროვიდან გამოჩრილი ხელ-ფეხი,

კიბეებმა არ იკმარა და ტოლენონებს მიმართეს. ტოლენონი იყო უზარმაზარი მორი, გარდიგარდმო დაჭედებული მეორე ძელზე; ბოლოში დამაგრებული ჰქონდა ოთხკუთხა დიდი კალათი, რომელშიც ოცდაათი ქვეითი თავსდებოდა თავის საჭურვლიანად.

მათო პირველ რიგში აპირებდა ჩაჯდომას, მაგრამ სპენდიუსმა შეაჩერა.

მეომრები გადაიხარნენ ონინარზე. უზარმაზარი მორი წამოინია, გაიშალა, შვეულად აღიმართა, შემდეგ ზედმეტი სიმძიმისგან ვეებერთელა ლერწამივით გაიდრიკა. კალათში კისრებად ჩაფლული მეომრები მიიყუვნენ, მათი ჩაჩქნის ჯილებილა მოჩანდა მხოლოდ. მორი ოცდაათი წყრთის სიმაღლეზე აინია ჰაერში, რამდენჯერმე გადაიზნიქა აქეთ-იქით და დაბლა დაეშვა; გოლიათივით თითქოს ხელის გულზე შეისვა ქონდრისკაცთა მთელი რაზმი, ასწია ხელი და გალავანზე შემოდო კალათი. მეზრძოლები გადმოხტნენ, ბრბოში გადაეშვნენ და აღარც მოზრუნებულან უკან.

სხვა ტოლენონებიც სასწრაფოდ გამართეს, მაგრამ ქალაქის ასაღებად ასი ამდენი თუ იკმარებდა მხოლოდ. დაუზოგავად ხმარობდნენ მათ. კალათში სხდებოდნენ ეთიოპელი მშვილდოსნები, შემდეგ, როცა ბაგირს მოზიდავდნენ და კალათი ჰაერში გამოეკიდებოდა, მონამლულ ისრებს ისროდნენ. ორმოცდაათი ტოლენონი გალავნის ქონგურებს გადამხობოდა, უზარმაზარი ქორებივით შესეოდა ქალაქს. ზანგები ხარხარებდნენ საშინელი წამებითა და კრუნჩხვებით მომაკვდავ გუშაგთა დანახვაზე.

ჰამილკარმა მეციხოვნეებს ქვეითები მიაშველა. საწამლავისგან დასაცავად დილდილაობით ბალახების წვეწასმევდნენ მათ. ერთხელ, კარგად რომ ჩამოლამდა, ჰამილკარმა საბარგო ხომალდებსა და ტივებზე შესხა რჩეული მეომრები, ნავსაყუდლიდან მარჯვნივ გაემართა და ტენიაში გადასხა ჯარი. შემდეგ ბარბაროსთა წინა რიგებისკენ დაიძრნენ კართაგენელები და გვერდიდან დაესხნენ მტერს. საშინელი ხოცვა-ჟლეტა ატყდა. ღამით გალავნიდან თოკით ეშვებოდნენ პუნიკელი მოლაშქრეები, ხელში ჩირაღდნები ეჭირათ; წვავდნენ ბარბაროსთა მანქანებს და კვლავ ზევით მიცოცავდნენ.

მათო ბრდღვინავდა. ყოველგვარი წინააღმდეგობა მძვინვარებას მატებდა. ოცნებებში უხმობდა სალამზოს. მერე ელოდა. ქალი არ ჩანდა. ეს ამბავი მათოს ახალ მუხანათობად ეჩვენებოდა. ამიერიდან შეიძულა ჰამილკარის ასული. სადმე მის ცხედარს რომ წასწყდომოდა, თვალს მოარიდებდა ალბათ. მათომ წინა რიგები გააძლიერა, ყორის ძირას ფინლები ჩაასობინა, მახეები მიმალა მიწაში; ლიბიელთ უბრძანა – მთელი ტყე მოზიდეთ, ისეთი ცეცხლი უნდა დავაგიზგიზო, რომ მელიის სოროსავით ამოიბუგოსო კართაგენი.

სპენდიუსმა დაიჟინა – გარემოცვა ჯობსო. შიშისმგვრელ მანქანებს იგონებდა, კაციშვილს რომ არასდროს არ გაუშართავს, ისეთს.

ნახევარკუნძულის ყელზე დაბანაკებულ დანარჩენ ბარბაროსებს აოცებდა მეწინავეთა სიზანტე და ბუზლუნებდნენ. მაშინ წინ მიუშვეს ისინი.

როქის მეომრები დანებითა და ლახვრებით ხელში გამოქანდნენ და ბჭეს შეუტყიეს. მაგრამ ნახევრად შიშვლები იყვნენ, ადვილად იჭრებოდნენ და კართაგენელებმა უმოწყალოდ ჟლიტეს ისინი. ბარბაროსებს უხაროდათ თანამებრძოლთა დაღუპვა, რადგან ნადავლის მოცილე ნაკლები ეყოლებოდათ. ამას მოჰყვა დავა, ერთმანეთთან შებრძოლება. ნათესები გავერანებული იყო, ამიტომ ერთმანეთს სტაცებდნენ საჭმელს; სულით დაეცნენ, მრავალი ურდო დაიქსაქსა, თავის გზას ეწია, მაგრამ სპაიმდენი იყო, რომ არც დამჩნევია ეს დანაკლისი.

გულდინჯმა მებრძოლებმა სანგრების გათხრა სცადეს, მაგრამ ფხვიერი ნიადაგი ჩამოშვავდა. სხვა ადგილას იწყეს თხრა. ჰამილკარი ყურთან მიიტანდა ბრინჯაოს ფარს, წინასწარ იგებდა მათ მიმართულებას და ათხრევენებდა სანგრებს იმ გზების ქვეშ, სადაც ბარბაროსთა ხის კოშკებს უნდა გაევიღო. მეომრები როგორც კი დაიძვროდნენ, იმ წამსვე ორმოში ცვიოდნენ.

ბოლოს ყველა მიხვდა, რომ ქალაქი შეუვალი იყო, ვიდრე გალაგნის სისწორეზე არ აღმართავდნენ მიწაყრილს. იგი ბარბაროსებს საშუალებას მისცემდა მათსავე დონეზე შებრძოლებოდნენ გარემოცულთ. მიწაყრილი ფილებით უნდა მოეგოთ, რომ მანქანები აეგორებინათ ზედ. მაშინ კი კართაგენი ველარ შეძლებდა გამკლავებას.

უნელოდ გაუჭირდა ქალაქს. ალყის დასაწყისში თუ ორი კე-
ზიტაჰი ღირდა კოკა წყალი, ახლა ვერცხლის სიკლად ფასობდა.
ხორცისა და პურის მარაგმაც იკლო. დამშევის ეშინოდათ. მუქ-
თამჭამელებზე იწყეს ლაპარაკი და ამან ყველა შეაშფოთა.

ქამონის მოედნიდან მელქარტის ტაძრამდე ქუჩები გვამებს
დაეფარა. ზაფხულის მიწურული იყო და შავი ხარაბუხები
გულს უწყალებდნენ მებრძოლთ. ხანდაზმულთ დაჭრილები გა-
დაჰყავდათ. ღვთისმოშიშებმა სადღაც შორს ბრძოლაში დაცე-
მული სახლიკაცები და მოყვასები დაიტირეს ისე, რომ მიცვა-
ლებულნი თვალითაც არ უნახავთ. ცვილისგან გამოძერწილი,
თმებიანი და სამოსიანი ქანდაკებები გარდიგარდმო დაენვინათ
კარის დირეზე. ირგვლივ აბრიალებულ კელპტართაგან გამო-
ცემული სითბო აღლობდა გამოსახულებებს, საღებავი მხრებ-
ზე წურნურით ჩამოსდიოდათ; მათ გვერდით ღანვებზე ცრემ-
ლი სდიოდათ ცოცხალთ, რომელნიც ზარის საგალობლებს გა-
ლობდნენ. ხალხი დაძრწოდა, შეიარაღებული რაზმები დაიარე-
ბოდნენ; მეთაურები ბრძანებებს გაჰყვროდნენ, განუწყვეტლივ
ისმოდა ურნალთა გრუხუნი. ისინი ზღუდეს უტევდნენ.

ჰაერი შეიხუთა. მიცვალებულნი სივდებოდნენ და აღარ
ეტოდნენ ლუსკუმაში. შუა ეზოში წვავდნენ მათ. ალს გასაქა-
ნი არ ჰქონდა, ახლომახლო სახლების კედლებს ედებოდა და
ცეცხლის გრძელი ენები არტერიიდან ამოხეთქილი სისხლივით
ავარდებოდა ხოლმე სახლებიდან. მოლოქი დაეუფლა კართა-
გენს, სანგრებს გადაეფოფრა, ქუჩებს დაერია, ნთქავდა ყველა-
ფერს, ლემსაც კი.

გზაჯვარედინებზე იდგნენ კაცები, რომელთაც უიმედობის
ნიშნად ქუჩა-ქუჩა მოგროვილი ძონძებისგან შეკონინებული
მოსასხამები ესხათ. ისინი უხუცესების ძვირისხსენებაში იყ-
ვნენ, ბრაზობდნენ ჰამილკარზე, სრულ განადგურებას უწინას-
წარმეტყველებდნენ ხალხს და აგულიანებდნენ – ნურაფრის
რიდი ნუ გაქვთ, ყველაფერი დაამხეთ და დააქციეთო. სხვებზე
საშიშნი იყვნენ ლენცოფანაჭამნი. სიშმაგე რომ წამოუვლიდათ,
თავი მძვინვარე მხეცებად მიაჩნდათ, გამვლელ-გამომვლელს
ზედ ახტებოდნენ, მათ გაგლეჯას ლამობდნენ. გახელებულებს
ბრბო ერტყმოდა გარს. ვისლა ახსოვდა კართაგენის დაცვა! სუ-
ფეტმა ხალხის გადაბირება განიზრახა დაქრთამვით.

ღმერთების მფარველობა რომ არ მოჰკლებოდა კართაგენს, კერპები ჯაჭვებით დაბორკეს. პატეკებს შავი რიდეები შემოახვიეს, ბენვი დააგეს საკურთხეველზე, ცდილობდნენ შური აღედრათ, წაექეზებინათ ამაყი ბაალები. მათ ყურში ჩაჰლიღინებდნენ: „ნუთუ თავს დააჯაბნინებთ?! ეგებ უძლიერესნი არიან სხვანი? გვიჩვენეთ თქვენი ძალა! დაგვიფარეთ, წაგვადექით, რომ სხვა ხალხმა ვერ დაგვაყვედროს – რა იქნენ თქვენი ღმერთებიო!“

განუწყვეტელი ვარამი გულს უღრღნიდა ქურუმთა დასს. განსაკუთრებით დაშინდნენ რაბეთნას ქურუმები, რადგან ზაიმფის დაბრუნებამ ვერ იხსნა ერი. ისინი ციხესიმაგრესავით შეუღწეველ მესამე პალატში შეიკეტნენ. მხოლოდ ერთი მათგანი, ქურუმთუხუცესი შაჰაბარიმი ბედავდა გამოჩენას.

იგი სალამბოსთან მიდიოდა, დუმდა, თვალს თვალში გაუყრიდა ასულს და ესაუბრებოდა. მისი საყვედურები ადრინდელზე უფრო სასტიკი იყო, უფრო გამეტებით ტუქსავდა ასულს.

ქურუმი საოცარ წინააღმდეგობაში ვარდებოდა. ვერ ეპატიებინა სალამბოსთვის, მის რჩევას რომ დაუჯერა. შაჰაბარიმი ყველაფერს მიხვდა და კიდევ უფრო გაუძაფრდა შური თავისი უსუსურობის გამო. ქალს ბრალს სდებდა – შენ ხარ ომის მიზეზი, მათო ზაიმფის დასაბრუნებლად შემოადგა ალყად კართაგენსო. კილავდა და დასცინოდა ბარბაროსს, რომელიც ისე გათავხედდა, რომ კართაგენის წმიდათაწმიდას დაპატრონება მოისურვა. სინამდვილეში ქურუმს სულ სხვა რამ ჰქონდა სათქმელი.

ამჯერად სალამბოს არ უჭირდა შაჰაბარიმთან ყოფნა. წუხილი შეუმსუბუქდა და საოცარი სიმშვიდე დაეუფლა. მზერა აღარ გაურბოდა სადღაც, თვალებში ნათელი ჩაუდგა.

ამასობაში პითონი კვლავ დასნეულდა. სამაგიეროდ სალამბომ მოიკეთა. ბებერ ტაანაქს უხაროდა გველის ავადმყოფობა, დარწმუნებული იყო, რომ მასზე გადავიდა უფლისწულის სატკივარი.

ერთ დილას ტაანაქი ხარის ღვედებიანი სარეცლის უკან წააწყდა შეგრაგნილ პითონს. გველი მარმარილოსავით გაცივებულიყო და მატლები დასეოდა თავზე. მოახლის შეკივლებაზე სალამბო მოვიდა, სანდლის ჭვინტით შეეხო გველს. მოხუცი გადაიგააოცა მისმა გულცივობამ.

ჰამილკარის ასული ძველი გულმოდგინებით აღარ მარხულობდა. მთელ დღეებს ატარებდა უმაღლეს ტერასაზე. იდაყვებით ჩამოეყრდნობოდა მოაჯირს და სივრცეს გაჰყურებდა. ქალაქის ბოლოს გალავნის ქონგურები დაკბილულ ტეხილებად გამოჩნდებოდა ცაზე. კედლის გაყოლებით ჩამწკრივებულ გუშაგთა შუბები თავთავების არშიასავით გასდევდა გალავანს. შორს, გოდლებს შუა, სალამბო შეჰყურებდა ბარბაროსთა საომარ მზადებას. როცა ალყას შეაჩერებდნენ, ისიც კი შეეძლო გაერჩია, რას საქმიანობდნენ მეომრები. ბარბაროსები იარაღის შეკეთებით იყვნენ გართულნი, ქონით იპოხავდნენ თმებს, ზღვაში იბანდნენ სისხლიან ხელებს. კარვები დაკეცილი იყო. საკიდარი პირუტყვი იცოხნიდა. ნახევარწრეებად ჩამწკრივებულ ეტლთა სოლები მთის ძირას დაგდებულ ვერცხლის ორლესურ მახვილებს ჰგავდა. შაჰაბარიმის ნათქვამი აგონდებოდა სალამბოს, ელოდა თავის დანიშნულს – ნარჰავასს. სიძულვილის მიუხედავად, მაინც სურდა მათოს ნახვა. მთელ კართაგენში ალბათ ერთადერთს სალამბოს შეეძლო უშიშრად შელაპარაკებოდა მას.

მამა ხშირად ეწვეოდა ხოლმე ქალიშვილს პალატში. აქოშინებული ჩაჯდებოდა ბალიშებში და ნაზად უმზერდა ასულს, თითქოს მის ჭვრეტაში ეძებდა შვებას მოღლილი სუფეტი. რამდენჯერმე გამოჰკითხა როქის სპის ბანაკში ყოფნის ამბავი. ჩაეძია, ვინმემ ხომ არ შთაგაგონა წასვლაო. სალამბოს ეამაყებოდა, ზაიმფი რომ იხსნა, და თავის გაქნევით ანიშნებდა – არაო.

მაგრამ სუფეტი წარამარა მათოს უბრუნდებოდა ვითომდა სამხედრო საჭიროებისათვის. ვერ გაეგო, რაში დასჭირდა ასულს ამდენ ხანს კარავში ყოფნა, რა მოხდა ამ დროის მანძილზე. სალამბოს გისკონი არ უხსენებია. სჯეროდა, რომ სიტყვას ძალა ჰქონდა, და, თუ ვინმეს რაიმეს ეტყოდა იმ წყევლა-კრულვის შესახებ, ეშინოდა, არ ამიხდესო. მათოს მოკვლის სურვილმა რომ გაუელვა, ისიც დაფარა; იფიქრა, დამძრახვენ, რომ არ ავისრულე წადილიო. თქვა, შალიშიმი ჯერ ცოფს ყრიდა, ბევრი იყვირა და მერე ჩაიძინაო. მეტი არაფერი გაუმხელია, დაირცხვინა თუ გულუბრყვილობის გამო დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია ჯარისკაცის ზევნა-ალერსისთვის. ყველაფერი, რაც კარავში მოხდა, უსიამოვნო სიზმარივით აწვა მის დადარდინებულ და დამძიმებულ გულს. არც კი იცოდა – რანაირად, რა სიტყვებით გამოეხატა ყოველივე.

ერთ საღამოს, როცა მამა-შვილი ერთმანეთის პირისპირ იჯდა, შეშფოთებული ტაანაქი შემოვარდა, ეზოში მოხუცია, ბავშვი ახლავს და სუფეტის ნახვა სურსო.

ჰამილკარი გადაფითრდა.

– მომგვარე! – ნამოიძახა.

შემოვიდა იდიბალი. ჰამილკარის ფერხთით არ განრთხმულა. ხელი ჩაეჭიდა თხის ტყავში გახვეული ბიჭისთვის.

– აი, ბატონო! ჩაიბარე!

სუფეტი და მონა პალატის კუთხეში განმარტოვდნენ.

ბიჭი შუა ოთახში იდგა, არ გაოცებულა. ყურადღებით შეათვალიერა ჭერი, ავეჯი, მენამული ქსოვილის ნაკეცებში მიმოფანტული მარგალიტის შიბები და მისკენ დახრილი დიდებული ქალი.

ასე, ათი წლის იქნებოდა. რომაული მახვილის უმაღლესი არ იყო. თმები ჩრდილს ჰფენდა მის გამობურცულ შუბლს, თვალები სივრცეს ეძებდა თითქოს. თხელი ცხვირი ჰქონდა. ნესტოები უთრთოდა. მთელ მის არსებას რაღაც განუსაზღვრელი ნათელი ადგა, ისეთი, დიად საქმეთათვის დაბადებულთ რომ გამოარჩევს ხოლმე. თხის ტყაპუჭი გაიძრო, წელზე ფოცხვრის ტყავი ჰქონდა შემოხვეული, მტვრით გადათეთრებული პანია შიშველი ფეხებით გაბედულად დააბიჯებდა ფილებზე. უეჭველია, იგრძნო, რაღაც სერიოზული ამბავი რომ ხდებოდა, უძრავად იდგა, ცალი ხელი ზურგს უკან ამოედო, თავი დაეხარა და პირში ჩაეყო თითი.

ბოლოს ჰამილკარმა საღამბო მიიხმო თავისთან და ხმადაბლა უთხრა:

– შენთან გყავდეს, გესმის! კაციშვილმა, შინაურებმაც კი არ უნდა შეიტყონ, რომ აქაა.

შემდეგ კარს უკან ისევ ჩაეკითხა იდიბალს – ნამდვილად არავის შეუნიშნავხარო.

– არა! – უპასუხა მონამ, – ქუჩები დაცარიელებული იყო.

ომი გარეუბნებსაც გადასწვდა. იდიბალი შეძრწუნებულიყო ბატონიშვილის ბედის გამო, ვერ გაეკვლია, სად დამალა; ნავით ნაპირ-ნაპირ გამოუცურავს, სამ დღეს ყურეში იმალებოდა თურმე, ზღუდეს უთვალთვალებდა. ერთ საღამოს, როცა ქამონის მიდამოებში არავინ ჩანდა, მარდად გადაუსერავს სრუტე, ზარადხანასთან გადმოსულა ნაპირზე. ნავსაყუდელიც ცარიელი ყოფილა.

კართაგენელთათვის რომ გამოსვლა შეეშალათ, ბარბაროსებმა უზარმაზარი ტივი მიაყენეს ნავსაყუდელს. ხის გოდლები აღმართეს, ამავე დროს მიწაყრილს ამაღლებდნენ.

კართაგენს გარეუბნებთან კავშირი გაუწყდა. გაუსაძლისი შიმშილი დაიწყო.

დახოცეს ყველა ძალლი, ჯორი, ყველა სახედარი; ზედ მიაყოლეს სუფეტის მოყვანილი თხუთმეტი სპილო. მოლოქის ტაძრის ლომები უჭმელობით გაცოფდნენ, მონასტრის ფარეშები მიახლოებას ვერ ბედავდნენ. დაჭრილი ბარბაროსები შეუყარეს მათ, შემდეგ შეუგდეს ჯერ კიდევ თბილი გვამები, მაგრამ ლომები ლეშს არ გაეკარნენ და ყველანი დაიხოცნენ. შებინდებისას ხალხი დაძრწოდა ციხესიმაგრის ნანგრევებში, ქვებს შუა ამოწვერილ ბალახს და ყვავილებს კრეფდნენ და ღვინოში ხარშავდნენ. წყალზე მეტად ღვინო იაფობდა. კართაგენელები მტრის წინა რიგებში გააღწევდნენ, კარვებში ძვრებოდნენ და იპარავდნენ საჭმელს. ბარბაროსები ისე იყვნენ გაოცებულნი, რომ ზოგჯერ არას ვნებდნენ და უკან უშვებდნენ მათ. ერთ მშვენიერ დღეს უზუცესებმა გადანყვიტეს – ეშმუნის ცხენებიც დაეკლათ ფარულად. ამ ცხენებს ქურუმები ოქრომკედს უწნავდნენ ფაფარში. მათი სიცოცხლე მზის წრებრუნვას ასახიერებდა, ცეცხლის იდეას გადმოსცემდა ყველაზე დახვეწილი ფორმით. ხორცი თანაბარ ნაჭრებად აქნეს და საკურთხევლის უკან დამალეს. საღამოობით ღვთისმოსავი უზუცესები აღიოდნენ ტაძარში, ჩუმად შეექცეოდნენ ხორცს და ტუნიკის ქვეშ ამოდებული თითო ნაჭერი მიჰქონდათ თავიანთი ბავშვებისთვის. მიყრუებულ ადგილებში, გალავნიდან მოშორებით მცხოვრებ ხალხს ნაკლებად უჭირდა. ისინი სხვების შიშით სახლებში იყვნენ გამოკეტილნი.

კართაგენელებმა თავის დასაცავად ქუჩები ჩახერგეს ფილაკვნიტ ნატყორცნი ლოდებითა და ნანგრევებით. სიჩუმეში უეცრად ყვირილით დაიძვროდა ამბოხი; აქა-იქ გაჩაღებული ხანძრები აკროპოლის სიმალიდან ჰგავდა ქარისგან აფრიალებულ ძონისფერ ნაფლეთებს.

სამი დიდი ფილაკვანი საოცარი დატვირთვის მიუხედავად შეუჩერებლად ისროდა და ყველაფერს აცამტკერებდა. კაცის თავი სისიტთა ტაძრის შუბლანთან გატყორცნა. კინიზდოს ქუჩაზე მელოგინე ქალი გასრისა მარმარილოს ლოდმა, ჩვილი

სანოლიანად სინაზინის გზაჯვარედინთან გაისროლა. იქვე აღმოჩნდა საბანიც.

ყველაზე მეტად გამაღიზიანებელი იყო მეშურდულეთა ნატყორცნი ბირთვები. ისინი ცვიოდნენ ბანზე, ბალჩაში, შუა ეზოში; ცვიოდნენ, როცა ოხვრით გულგასენილი კართაგენელები ღარიბულ სუფრას უსხდნენ. ამ საშინელ ქვებზე ამოჭრეთილი იყო წარწერები, რომლებიც დამლად აჩნდებოდა სხეულს. გვამებზე სალანძღავ სიტყვებს კითხულობდნენ გარდაცვლილთა თანამოძმენი; „ლორი“, „ტურა“, „მატლი!“ – ეწერა ზოგს; ხანდახან დაცინვაც ერია, „აბა, მოკურცხლე!“ ან „ახია!“ – ასეთი კვალი აჩნდა ზოგ ცხედარს.

ნავსაყუდლის კუთხიდან წყალსატევამდე ზღუდე მოინგრა. მალქის მცხოვრებნი გამოემწყვდიენ ბირსის ძველ გალავანსა და ბარბაროსებს შორის. კართაგენელები კედლის ამოყვანას შეუდგნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება აემაღლებინათ იგი. მალქის მკვიდრნი არც გახსენებიან, უპატრონოდ დაყარეს და ყველანი ამოწყდნენ. კართაგენელებს ეჯავრებოდათ მალქელები, მაგრამ მაინც აღშფოთდნენ ჰამილკარზე და გულში ჩაიხვიეს წყენა.

მეორე დღეს ჰამილკარმა დახსნა ხორბლით სავსე ორმოები, მისმა ხელქვეითებმა ხალხს დაურიგეს მარცვალი. სამი დღის განმავლობაში განუწყვეტილვ ჭამდნენ.

ამან კიდევ უფრო მოაწყურა ისინი. მათ თვალწინ აკვედუკიდან ჩანჩქერად მოჩქეფდა ანკარა წყალი. დაბლიდან მქრქალი ნისლივით აიტაცა შხეფები მზის სხივებმა და ცისარტყელად შემოახვია წყალვარდნილს. პანია ნაკადული მიიკლაკნებოდა ველზე და ყურეში იღვრებოდა.

ჰამილკარი მხნედ იყო. იმედი ჰქონდა, რაიმე არაჩვეულებრივი შემთხვევა გვიხსნის და ყველაფერს გადაწყვეტსო.

მისმა მონებმა ვერცხლის ფირფიტები ააგლიჯეს მელქარტის ტაძარს. ნავსაყუდლიდან მაპალების ძირამდე ოწინარებით მიათრიეს ოთხი დიდი ხომალდი, სანაპიროსკენ მიქცეული კედელი გაბურღეს და გალეთისკენ გაემართნენ, რათა, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, დაეჭირავებინათ ჯარი. ჰამილკარი წუხდა, რომ ვერ უკავშირდებოდა ნუმიდილთა მეფეს, რომელიც ბარბაროსებს იქით იდგა და შეტევითვის მზად იყო. ჯაბანი ნარჰავასი მარტო ვერ გაბედავდა თავდასხმას. ჰამილკარმა თორმეტი მტკაველით აამაღლებინა მიწაყრილი, ზარადხანე-

ბიდან აკროპოლში მოაზიდვინა საჭურველი და კიდევ ერთხელ შეაკეთებინა მანქანები.

ფილაკვანზე დასახვევად ხარის კისრის ან ირმის კანჭის ძარღვებს ხმარობდნენ. კართაგენში ალარც ირემი იყო, ალარც ხარი. ჰამილკარმა უხუცესებს თავიანთი თანამეცხედრების თმები სთხოვა. ყველამ უყოყმანოდ გაიღო მსხვერპლი, მაგრამ თმამ მაინც არ იკმარა. სისიგთა ჭერქვეშ ცხოვრობდა საბერძნეთსა და იტალიაში ხარჭებად გასაყიდი ათას ორასი მხევალი. სურნელოვანი ზეთებისგან გასალუქებული მათი თმები საუცხოო იქნებოდა მანქანებისთვის, მაგრამ დიდ ზარალს ნახავდნენ. ბოლოს გადაწყვიტეს მდაბიოთა ცოლებში შეერჩიათ გრძელთმიანები. ქალებს მამულის კეთილდღეობა არაფრად მიაჩნდათ და სასომიხდილნი კიოდნენ, უხუცესთა ასეულის ფარეშები რომ გამოჩნდებოდნენ მაკრატლით ხელში.

ბარბაროსებს ხელახლა წამოუარა სიშმაგემ. შორიდან ჩანდა, მიცვალებულთა ქონით როგორ დაპოხეს მანქანები. გვამებს ფრჩხილები დაადრეს, ერთიმეორის მიყოლებით ჩაიმაგრეს სამოსში და ამნაირად გაიკეთეს ჯავშანი.

ლოდების ნაცვლად ზანგების მიერ მოყვანილი უნასებით სავსე ქოთანს დებდნენ ფილაკვანში. გასროლილი თიხის ქოთნები იფშვნებოდა ფილებზე; გველები დასარსალებდნენ, მათი რიცხვი ისე მატულობდა, თითქოს კედლებიდან მოძვრებიანო. ბარბაროსები ამას არ სჯერდებოდნენ, კიდევ უფრო სრულყოფდნენ თავიანთ გამოგონებებს. ისროდნენ ყოველგვარ სიბინძურეს: კაცის სკორეს, მძორს, გვამებს. გაჩნდა შავი ჭირი. კართაგენელებს კბილები სცვიოდათ, შორი გზისგან გასავათებული აქლემებივით გაუფერმკრთალდათ ღრძილები.

მიწაყრილი ჯერ ზღუდეს არ იყო გათანაბრებული, მაგრამ ბარბაროსებმა მაინც ჩაამწყრივეს მანქანები. ციხესიმაგრის ოცდასამი ბურჯის წინ ააგეს ხის ოცდასამი გოდოლი; გამართეს ყველა ტოლენონი. სიღრმეში, ოდნავ უკან, დემეტრეოს პოლიორკეტეს უზარმაზარი ურნალი მოჩანდა, იგი დიდი გაჭირვებით ააწყო სპენდიუსმა. დიდი ურნალი ალექსანდრიის შუქურასავით პირამიდის ფორმისა იყო, ასოცდაათი წყრთა სიმაღლე და ოცდასამი წყრთა სიგანე ჰქონდა. მისი ცხრა სართული მწვერვალისაკენ თანდათან ვიწროვდებოდა და დაცული იყო თითბრის ჯავშნით, რომელსაც უამრავი კარი ჰქონდა დატანებული. დიდი ურნალი მთლად გამოტენილი იყო მეომ-

რებით. ზედა ბაქანზე ფილაკვანი იდგა, აქეთ-იქით სამალები ჩაერიგებინათ.

ჰამილკარმა ჯვრები აღმართა მათთვის, ვინც კრინტს დაძრავდა დანებებაზე. დიაცთაც ამუშავებდნენ. ყველანი ქუჩებში ათევდნენ ღამეს და შეძრწუნებულები ელოდნენ უარესს.

ერთხელ, გათენებისას, ნისანის მოვანების მეშვიდე დღეს, შემზარავი ყვირილი მოესმათ. ყველა ბარბაროსი ერთხმად აღრიალებულიყო, ტყვიის ნალარები გრგვინავდა, პაფლალონური დიდი ბუკები ბულასავით ღმუოდნენ. ყველანი წამოიჭრნენ და ზღუდეს მიაწყდნენ.

ლახვრების, შუბებისა და ხმლების მთელი ტყე ირხეოდა ძირს. მეომრები ეძგერნენ გალავანს და კიდებდნენ კიბეებს. ქონგურებში ბარბაროსთა თავები გამოჩნდა.

მებრძოლთა ჯგუფს მხარზე გაედო ვეებერთელა მორები და კარიბჭეს უხატქუნებდა. სადაც მიწაყრილი არ იყო, იმ ადგილებს ბარბაროსები ერთად დაჯრილნი ეკვეთნენ, რათა ადვილად შეენგრიათ კედელი. პირველი რიგი ჩაცუცქულიყო, მეორეს ჩამეუხლა, უკანასკნელები ფეხზე იდგნენ და ბარბაროსები მათზე გადადიოდნენ. გალავანზე რომ უკეთ აცოცებულებოდნენ, ზოგან ახმახები წინ მიდიოდნენ, დაგვაჯულები უკან მიჰყვებოდნენ, მარცხენა ხელით ფარები ჩამოემხოთ მუზარადებზე და ისე მიტმასნოდნენ ერთმანეთს, რომ კუთა გროვას ჰგვანდნენ. განატყოცნი ქვები სხლტებოდა ამობურცულ ფარებზე.

კართაგენელები ისროდნენ წისქვილის დოლაბებს, ფილთაქვებს, კარდლებს, კასრებს, საწოლებს – ყველაფერს, რაც მძიმე იყო და ხალხს მოსრავდა. ზოგი სათევზაო ბადით ჩასაფრდა სათოფურებთან; ბარბაროსები მახეში ებმებოდნენ, ბადის თვლებში თევზებივით ფართხალებდნენ. გარემოცულნი თვითონ ანგრევდნენ ქონგურებს, კედლის ნაშალი ცვოდა და მტერის კორიანტლს აყენებდა. მიწაყრილიდან გრუხუნებდნენ ფილაკვნები. გასროლილი ლოდები ერთმანეთზე ილენებოდა და ღორღი აწვიმდა მებრძოლთ.

მალე მოწინააღმდეგეთა ორი ნაკადი გადაიხლართა, ადამიანთა სხეულებით აცმულ ჯაჭვად იქცა. მიწაყრილის შუალედებში განსაკუთრებული ჯგლეთა იყო, კიდევბში შეთხლებულიყო ბრბო. წინ ვერ მიიწევდნენ, ერთ ადგილს ტკეპნიდნენ. მიწაზე პირქვე ჩამხობილი მეომრები მოჭიდავეებივით გადას-

ჭდობდნენ და შებმოდნენ ერთმანეთს. ქონგურებზე გადმო-
კიდებული ქალები გაკიოდნენ; ბარბაროსები რიდეებზე ექაჩე-
ბოდნენ და დაბლა ითრევდნენ მათ. დიაცთა შიშველი თეთრი
სხეულები თვალისმომჭრელად ელავდა ზანგების მკლავებში;
ისინი ხანჯლით გმირავდნენ ქალებს. ბრბო ისე იყო გაჭედილი,
რომ მიცვალებულები ძირს არ ვარდებოდნენ; თანამებრძოლე-
ბი ამოსდგომოდნენ მათ მხარში და ერთხანს გაშეშებული იდგ-
ნენ მზერაგაყინული გვამები. ზოგს საფეთქელში ჰქონდა გაყ-
რილი ლახვარი და დათვივით იქნევდა თავს. საყვირლად დაბ-
ჩენილი პირის მოკუმვას ველარ ასწრებდნენ. ჰაერში მოქროდა
მოკვეთილი ხელები. ისეთი ხოცვა-ჟლეტა იყო, რომ კართაგე-
ნელებს კარგა ხანს ეყოფოდათ მოსაგონარად.

ძელისა და ქვითკირის კოშკებიდან მოფრინავდნენ ქეიბუ-
რები. ტოლენონები სწრაფად ამოძრავებდნენ გრძელ მორებს.
ბარბაროსებმა კატაკომბების ქვეშ ადგილობრივ მკვიდრთა
ძველი სასაფლაო ააოხრეს და საფლავის ლოდები დაუშინეს
კართაგენელთ. მეტისმეტად დამძიმებულ კალათებს ზოგჯერ
ბაგირი ველარ უძლებდა, წყდებოდა და მეომრები ხელების სავ-
სავით ცვიოდნენ მალლიდან.

ნაცადი ჰოპლიტები სამხრობამდე გააფთრებულნი უტევდ-
ნენ ტენიას, ნავსაყუდელში უნდა შეეღწიათ და ხომალდები გა-
ენადგურებინათ. ჰამილკარმა ქამონის ტაძრის სახურავზე კო-
ცონი გააჩაღებინა გამხმარი ზღვის ბალახით. ცეცხლი თვალს
სჭრიდა ბარბაროსებს. მათ მარცხნივ გაუხვიეს და მალქაში
მოფუთფუთე საშინელ ურდოს შეერივნენ. სინტაგმებმა, რომ-
ლებშიც საგანგებოდ ჯანლონიანი მეომრები იყვნენ შერჩეულ-
ნი, სამი კარიბჭე შელენეს. სამსჭვლებჩასობილმა მალალმა
ტიხრებმა შეაჩერა ისინი. მეოთხე ბჭე ადვილად დაჰყვა მათ
დანოლას. ბარბაროსები გამოქანდნენ და ყველანი ჩაცვივდნენ
ორმოში, რომელშიც მახე იყო დაგებული. სამხრეთ-დასავლე-
თის კუთხეში ოტარიდმა თავის მებრძოლებს მოანგრევინა და-
ხეთქილი ყორე, რომლის ნაპრალები ქვებით იყო ამოგმანული.
შემდეგ გაუჭირვებლად აჰყვნენ მალლა მიმავალ გზას, მაგრამ
ზემოთ ნააწყდნენ რიყის ქვებითა და ძელით ნაგებ მეორე ზღუ-
დეს. კედელში განივად ჩატანებული მორები ჭადრაკულად მის-
დევდა ერთმანეთს. კედლის ასე ამოყვანა გალთა წესი იყო და

საჭიროების ჟამს ჰამილკარმა მას მიმართა. გალებმა თავისი ქვეყნის ერთ-ერთი ქალაქის წინ წარმოიდგინეს თავი, უსულ-გულოდ შეუტყეს მტერს და მალე უკუიქცნენ.

ქამონის ქუჩიდან მწვანილეულის სავაჭრომდე ყველა გზას ბარბაროსები დაჰპატრონებოდნენ. სამნიელნი ჰოროლის ძვერებით ბოლოს უღებდნენ მომაკვდავთ, ანდა ცალი ფეხით კედელზე შედგებოდნენ და გაჰყურებდნენ მხრჩოლავ ნანგრევებსა და განახლებულ ბრძოლას.

უკან ჩაყენებული მეშურდულენი შეუჩერებლივ ისროდნენ ქვებს. აკარნანული შურდულების ზამბარებს დიდი ძალა დაადგათ და მოიშალნენ. მაშინ მეშურდულებმა მწყემსებივით ხელით მოიქნიეს ქვები. ზოგი ტყვიის ბურთულებს ისროდა მათრახის ტარით. ზარქასას მხრებზე დალალებად დაჰყროდა შავი თმა. იგი აქეთ-იქით დაქროდა და ბალეარელინც აიყოლია. გვერდზე ჩამოკიდებული ჰქონდა ქვებით სავსე ორი ტომსიკა, რომლებშიც წამდაუნუმ ყოფდა მარცხენა ხელს, მარჯვენას კი ეტლის თვალივით ატრიალებდა.

უკეთ რომ გასძლოლოდა ბარბაროსთა მთელ სპას, მათო ჯერ ბრძოლაში ჩაბმას ერიდებოდა. ხან ყურესთან გაჩნდებოდა, ხან ნუმიდიელებთან იყო, ხან ტბის პირას, ზანგებს შორის; მინდვრიდან მიერკებოდა მეომრებს. სიმაგრეებთან განუწყვეტლივ მატულობდა მებრძოლთა რიცხვი. მათო ნელ-ნელა მიუახლოვდა გალავანს. სისხლის სუნმა, ხოცვა-ჟლეტამ და ბუკის ცემათ გული აუჩქროლა; თავის კარავში შებრუნდა, თორნ-აბჯარი შემოიძარცვა და ბრძოლაში უფრო მოსახერხებელი ლომის ტყავი მოისხა. ხახა თავზე ჩამოიცვა, შუანები არშიად შემოერტყა მის სახეს. მკერდზე გადანასკვა წინა თათები, უკანა ტორები ჭანგებიანად მუხლს ქვემოთ სთრევდა.

მათომ შეიტოვა ფართო სარტყელი, რომელშიც ორღესული ჩუგლუგი უელავდა. ორივ ხელით დასწვდა თავის უშველებელ ხმალს და სულმოუთქმელად გადაეშვა გალავნის ნაპრალიდან. მებაღე რომ ტირიფის რტოებს ბელავს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოსხიპოს, რათა გასამრჯელო დაიმსახუროს, – ასე დაერია კართაგენელებს; წინ მიიწევდა და ირგვლივ ყველას ჟლეტდა. გვერდიდან ვინც შეეცადა მის შეპყრობას, მათომ მათ ხმლის ვადა მოუქნია და ძირს დასცა; პირისპირ ვინც შემოუტევდა, მათ უმაღ გმირავდა, გაქცეულებს შუაზე აპობდა. ორი კაცი ერთად შეახტა ზურგზე. მათო ერთი ნახტომით ბჭეს-

თან გაჩნდა და ზედ მიაჭყლიტა ისინი. მისი მახვილი დაეშვებოდა და კვლავ აღიმართებოდა ხოლმე. კედლის ძგიდეს შეატება ხმალი. შემდეგ მძიმე ჩუგლუგი იძრო; წინ და უკან იქნევდა, ცხვრის ფარასავით დაერია კართაგენელებს. ისინი უკან იხევდნენ. მათო მარტოდმარტო აღმოჩნდა აკროპოლის ძირას, მეორე ზღუდესთან. ზევიდან ჩამოყრილ ხარახურას საფეხურები ჩაეხერგა და გალავანს ზევით ახირხლულიყო. ნანგრევებში ჩამდგარმა მათომ მიმოიხედა, თანამოძმეთა ხმობა სურდა.

ბრბოში გაფანტულ თავის მებრძოლთა ჩაჩქნის ჯილები დაინახა. ჯილები დაბლა დაეშვა. როგორც ჩანს, ილუპებოდნენ მისი მეომრები. მათო მათკენ გავარდა. კვლავ შეიკრა მენამული ფრთების გვირგვინი, მებრძოლეები კვლავ შემოერტყნენ მათოს. გვერდითი ქუჩებიდან ბრბო მოეშურებოდა. ბარბაროსებმა ხელი სტაცეს მათოს, მალლა აზიდეს და გააქანეს ყორის იქით, იმ ადგილისკენ, სადაც მინაყრილი ამაღლებული იყო.

ლიბიელმა ბრძანება დაიქუხა. ყველამ ჩაჩქანზე ჩამოიმხო ფარები. მათო ფარებზე ახტა, სურდა რაიმეს მობლაუჭებოდა და კართაგენში შეეღწია. შემზარავ ჩუგლუგს ატრიალებდა და დარბოდა ბრინჯაოს ტალღებისდარ ფარებზე; ზვირთებში ჩამდგარ ზღვის ღმერთს ჰგავდა, თითქოს მასავით იქნევდა სამკაპა ბარჯს.

თეთრით მოსილი კაცი დადიოდა ყორის კიდეში. უშფოთველი და გულგრილი იყო ირგვლივ გამეფებული სიკვდილის მიმართ. ზოგჯერ მარჯვენას მოიჩრდილებდა, თითქოს ეძებდა ვინმეს. მათომ ქვევით ჩაუარა. უეცრად თეთრსამოსიანს თვალები აუელვარდა, ჩალურჯებული სახე მოეღრიცა, მალლა აღაპყრო გაძვალტყავებული ხელები და ლანძღვა-გინება მიჰაძახა მათოს.

ლიბიელმა ნათქვამი ვერ გაიგო, მაგრამ გულში ჩაესო მისი სასტიკი და მძვინვარე მზერა. მათოს ღრიალი აღმოხდა და გრძელი ჩუგლუგი გაუქანა ქურუმს. ხალხი მისცივივდა შაჰაბარიმს. ღონემიხდილი მათო პირალმა დაეცა და ველარ ხედავდა მას.

სადღაც ახლოს საშინელი ხრჭიალი გაისმა, მას შეერია ყრუ, შეწყობილი გალობა.

უზარმაზარ ურნალს მებრძოლეები მისეოდნენ, ორივე ხელით ჩაებლუჯათ და ეწეოდნენ ბაგირით, უბიძგებდნენ მხრებით. მინდვრიდან მინაყრილამდე ფერდი მაინცდამაინც დამრეცი არ ყოფილა, მაგრამ მძიმეწონიანი მანქანებისთვის მოუხერ-

ხებელი იყო. დილას აქეთ ნელ-ნელა მიიწევდა წინ ურნალი რკინით შემოსალტული თავისი რვა ბორბლით, მთა მთაზე ადიოდა თითქოს. მისი ძირიდან გამოზიდეს უზარმაზარი „ვერდი“. ქალაქის მხარეს მიქცეული სამი კარი დაეშვა და გამოჩნდნენ აბჯარში ჩამსხდარი მებრძოლები. ისინი რკინის სვეტებს ჰგავდნენ, მაღლა ძვრებოდნენ და თავქვე ეშვებოდნენ ორი კიბით, რომლებიც ყველა სართულს გასდევდა. ზოგმა შეიცადა, ვიდრე კარის კაუჭები კედელს გამოედებოდა, და შემდეგ ეკვეთა მტერს. ზედა ბაქანზე ბრუნავდა სამალის მურგები და დაბლა იწეოდა ფილაკენის რვილი.

ამ დროს ჰამილკარი მელქარტის ტაძრის სახურავზე იდგა. მან გაითვალისწინა: წესით, ურნალი მისკენ უნდა დაძრულიყო და მისდგომოდა გალავანს, რომელიც იმ ადგილას იმდენად შეუვალი იყო, რომ გუშაგები არც კი იცავდნენ. რა ხანია, მისი მონები საგუშაგოზე ეზიდებოდნენ რუმბებს. აქვე აღმართეს მათ თიხის ორი გადამკვეთი კედელი. ტიხრებს შორის აუზივით ღრმული იყო. წყალი შეუმჩნევლად მიედინებოდა მიწაყრილზე და ყველას უკვირდა, ჰამილკარს რომ არ ანუხებდა ეს ამბავი.

ოცდაათიოდე ნაბიჯზე დაუახლოვდა დიდი ურნალი სუფეტს. ჰამილკარმა წყლის მოსაკავებელი ბაკიდან ყორემდე ქუჩებში სახლებს შორის ფიცრები გაადებინა. მეომრები ერთი მეორის მიყოლებით გარბოდნენ ფიცრებზე, ხელიდან ხელში გადადიოდა წყლით სავსე ჩაჩქნები და ბადიები, რომელთაც სულმოუთქმელად ცლიდნენ. წყლის ასე ფლანგვა არ მოსწონდათ კართაგენელებს. ურნალი გალავანს ანგრევდა. უეცრად შადრევანმა ამოხეთქა დაშორიშორებული ქვებიდან. ცხრა სართულად აზიდული თითბრის ბუმბერაზი, რომელიც სამ ათასზე მეტ კაცს იტევდა, ნელა შეტორტმანდა ხომალდივით. წყალმა მიწაყრილში შეჟონა და წალეკა გზა. თვლები ლაფში ეფლობოდა. პირველ სართულზე ფარდაგებს შორის სპენდიუსი გამოჩნდა. მთელი ძალით ჩაბერა სპილოს ძვლის ბუკს. ვეებერთელა მანქანა თითქოს დაიკრუნჩხა და ნაბარბაცდა კიდევ ათიოდ ნაბიჯზე. ნიადაგი უფრო და უფრო გაჟივდა. ბორბლის სოლები ტალახით გაითითხნა. ურნალი საშინლად გადაიხარა ცალ მხარეს და შედგა. ბაქნის კიდეში ფილაკვანი დაგორდა, ხელნამ დაამძიმა, ჩამოვარდა და ქვეშ მოიყოლა დანარჩენი სართულები. კარებთან მდგომი მებრძოლები უფსკრულში ცვიოდნენ ანდა ეჭიდებოდნენ დიდ ძელს. მათი სიძიმით ურნალი კიდევ

უფრო წაყირავდა. მანქანა ჭრივლით იშლებოდა ნაწილ-ნაწილ.

ბარბაროსები ერთად დაჯდნენ და საშველად გამოეშურნენ. კართაგენელები მიწაყრილიდან დაეშვნენ, უკნიდან მოუარეს როქის მებრძოლებს და გული იჯერეს მათი ჟღერით. ამასობაში მოგრივალდნენ ეტლები, რომლებზედაც ცელები იყო დამაგრებული. ეტლები გრუხუნებდნენ და გარს ერტყმოდნენ ბრბოს. კართაგენელები უკან აბრუნდნენ მიწაყრილზე. ჩამოლამდა. ბარბაროსები ნელ-ნელა გაიკრიფნენ.

მოლურჯო ყურიდან ვიდრე თეთრ ტბამდე ველზე არაფერი მოჩანდა შავად მოფუთფუთე ბრბოს გარდა. მოშორებით მენამული ტბორივით გადაჭიმულიყო ტბა, რომელსაც სისხლის ღვარი ერთოდა. მიწაყრილი ისე იყო დაფარული გვამებით, რომ ცხედართა ზედახორას ჰგავდა. შუაში დაჯავშნული დიდი ურნალი აწონილიყო. დროდადრო მისი უშველებელი ნაწილები ისე ცვიოდა ძირს, როგორც – ლოდები პირამიდის ნგრევისას. გამდნარი ტყვიის ნაკადს დაელარა გალავანი. აქა-იქ ხის კოშკები იფერფლებოდა. ბუნდოვნად იკვეთებოდნენ სახლები, რომლებიც ნანგრევებად ქცეული ამფითეატრის საფეხურებს ჰგვანდნენ. კვამლის მძიმე ბოლქვებით მაღლა ატაცებული ნაპერწკლები შავ ცაში უჩინარდებოდნენ.

წყურვილით განანამები კართაგენელები ბაკებს ეცნენ, ხუფი შეტეხეს. ბაკის ფსკერზე მღვრიე გუბე დახვდათ მხოლოდ.

რა ქნან, რა წყალში ჩაცვივდნენ? ბარბაროსები ურიცხვნი არიან, ოდნავ სულს მოითქვამენ და განაახლებენ ბრძოლას. ქუჩის კუთხეებში მთელ ღამეს ჯგუფ-ჯგუფად ბჭობდა ხალხი. ზოგმა ქალების, დავრდომილებისა და მოხუცების გახიზნვა დაიჩემა. სხვებმა – ქალაქი მივატოვოთ და სადმე შორს დავეშენოთო. მაგრამ ხომალდები არ კმაროდა. ისე დაათენდათ თავზე, რომ ვერაფერი გადანყვიტეს.

მეორე დღეს არ უბრძოლიათ, ქანცი ჰქონდათ განყვეტილი. მძინარენი მიცვალებულთ ჰგავდნენ.

ბოლოს კართაგენელებმა იწყეს თავიანთი უბედურების მიზეზის ძიება. მოაგონდათ, რომ ფინიკიაში ტვიროსელი მელქარტისათვის არ გაუგზავნიათ აღთქმული ყოველწლიური საბოძვარი. ზარი დაეცათ. რესპუბლიკაზე გულაყრილი ღმერთები, უეჭველია, შურისგებას განაგრძობენ.

კართაგენელებს ღმერთები მიაჩნდათ მრისხანე ბატონებად, რომელთა მოლმობიერება და გულის მოგება მუდართა და ძღვენით შეიძლებოდა მხოლოდ. ხალხი უსუსური იყო ყოვლისმომსვრელი მოლოქის წინაშე. კაცის სიცოცხლე და თვით სხეულიც კი ამ სასტიკ ღმერთს ეკუთვნოდა. კართაგენელები, ადათისამებრ, სხეულის ნაწილს მსხვერპლად სწირავდნენ მოლოქს, რათა მისი მძვინვარება დაეცხროთ. აღმოდებული ღაზლით შუბლს ან კისერს ამოუნვავენ ხოლმე ბალებს. ბაალის დაშოშმინების ეს წესი სარფას აძლევდა ქურუმთ, ამიტომ ისინი ირწმუნებოდნენ, ესაა ყველაზე იოლი და ღმობიერი საშუალებაო.

მაგრამ ამჯერად საქმე ეხებოდა რესპუბლიკას. ყოველი სარგებელი რაიმე დანაკარგის ფასად უნდა დასჯდომოდათ. მორიგება ხდებოდა ძლიერთა მოთხოვნილებისა და სუსტთა საჭიროების მიხედვით. უდიდესი სატანჯველი უნდა აეტანათ, რადგან მოლოქს დაამშვიდებდა მხოლოდ საშინელი გვემა. არადა, კართაგენელები ღმერთების ხელთ იყვნენ. უნდა დაენაყრებინათ მოლოქი. გამოცდილებამ უჩვენა პუნიკელებს, რომ მხოლოდ ამ ხერხით შეიძლებოდა მისი წყრომის განელება. ამასთანავე სწამდათ, რომ მსხვერპლთა დანვა განწმენდა კართაგენს. ხალხის წინააღმდეგობა წინდანინვე მოთოკეს, არჩევანი საგანგებოდ დიდებულითა ოჯახებზე უნდა შეჩერებულიყო.

უზუცესებმა ითათბირეს. ბჭობამ დიდხანს გასტანა. მას ჰანონიც დაესწრო. ჯდომა აღარ შეეძლო, კარის სიახლოვეს იწვა, ამოქარგული დიდი რიდის ფოჩებში სანახევროდ ჩაკარგულიყო. როცა მოლოქის ქურუმმა იკითხა – საკუთარ შვილებს თუ განირავთო, ბნელ გამოქვაბულში დაბუდებული ავი სულის ღრიალივით გაისმა ჰანონის ხმა. დიდად ვინაღვლი, ჩემი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი რომ არ გამაჩნიაო, – თქვა მან და პირისპირ, დარბაზის მეორე კიდეში მჯდარ ჰამილკარს მიაჩერდა. სუფეტი ისე შეაძრწუნა მისმა მზერამ, რომ თვალი მოარიდა. თავის დადრეკით ყველამ კვერი დაუკრა ჰანონს. ადათი აიძულებდა ბარკას ქურუმთუზუცესისათვის ეპასუხა: „დაე, იყოს ასე!“ უზუცესებმა მსხვერპლის შეწირვა დაასკვნეს და, ჩვეულებისამებრ, მინიშნებით გამოხატეს თავიანთი სათქმელი. არის საქმე, რომლის შესრულება უფრო ადვილია, ვიდრე მასზე ლაპარაკი.

უზუცესთა გადანყვეტილება მთელმა კართაგენმა შეიტყო. გოდება გაისმა. ქალები მოთქვამდნენ ყველგან. ქმრები ანუგეშებდნენ მათ, ზოგჯერ ტუქსავდნენ და ჭკუას არიგებდნენ.

სამი საათის შემდეგ არაჩვეულებრივი ამბავი გახმაურდა: სუფეტმა კლდის ძირას წყარო აღმოაჩინა. ხალხი იქით გაექანა. დაღარულ ქვიშაში წყალი მოჩანდა. ზოგი ჩამხობილიყო და სვამდა.

ჰამილკარმა თავადაც არ იცოდა, ღმერთების შთაგონებით მიაგნო წყალს თუ ბუნდოვნად ახსოვდა მამამისის მიერ განდობილი საიდუმლო. უზუცესები რომ მიატოვა, სანაპიროზე დაემშვა და მონებს ქვიშა გაათხრევინა.

ჰამილკარმა გასცა სამოსელი, ხამლი და ღვინო. თავისთვის მომარაგებული პური დაარიგა; სასახლეშიც კი შეუშვა ბრბო, დახსნა სამზარეულოები, საკუჭნაოები და ყველა პალატი, სალამბოს სამყოფლის გარდა. განაცხადა – სადაცაა გამოჩნდება გალთა ქვეყანაში დაქირავებული ექვსათასიანი ლაშქარი, მაკედონიის მეფეც მომაშველებს მეომრებსო.

მეორე დღეს წყარომ იკლო. მესამე საღამოს მთლად დაიშრიტა. უზუცესთა გადანყვეტილება ყველას პირზე ეკერა ისევ. მოლოქის ქურუმები სამზადისს შეუდგნენ.

შავსამოსიანი კაცები დაიარებოდნენ კარდაკარ. ბევრმა წინასწარ დატოვა სახლი. რაიმე საქმეს იმიზეზებდნენ, ტკბილეულის საყიდლად მივალთო, ამბობდნენ. მოლოქის მსახურნი მოდიოდნენ და მიჰყავდათ ბავშვები. ზოგი ბრიყვულად თავისი ნებით შეელია შვილს. ტანიტის ტაძარში აბინავებდნენ ბალებს. აქ მათთვის უნდა ეპატრონათ ქურუმ ქალებს და საზეიმო დღემდე უნდა შეექციათ ისინი.

ეს ხალხი უეცრად თავს წაადგა ბაღში მყოფ ჰამილკარს.

– ბარკა, ხომ იცი, რისთვის მოვედით? შენი ვაჟი მოგვგვარე!

თან დაატანეს, რომ წინა თვეში, საღამოჟამს, მაპალებში უნახავთ ბიჭი მოხუცის თანხლებით.

ჰამილკარს სუნთქვა შეეკრა, მაგრამ მალე მიხვდა, უარი რომ არ გაუვიდოდა და დაეთანხმა მათ. ქულბაქში შეუძღვა მოსულებს. მონები მოცივდნენ, ჰამილკარმა მათ ანიშნა – კარს უდარაჯეთო.

გაოგნებული სუფეტი შევიდა სალამბოს პალატში. ცალი ხელი დაავლო ჰანიბალს, მეორით იქვე დაგდებულ სამოსელს ყაითანი მოგლიჯა, ხელ-ფეხი გაუკრა ბიჭს, ზონრის ბოლო

პირში ჩასჩარა, ხარის ღვედებიანი სარეცლის ქვეშ დამალა და იატაკამდე ჩამოუშვა გრძელი გადასაფარებელი.

სუფეტი ბოლთას სცემდა. ხელები აღაპყრო, წრიალებდა, ტუჩებს იკვნეტდა. მერე თვალები გაუშტერდა და ისე აქოშინდა, თითქოს სულს ლაფავდა.

სამჯერ შემოკრა ტაში. შემოვიდა გიდენემი.

– ყური მიგდე! მონებს შორის მოძებნე რვა-ცხრა წლის ბიჭი, შავი თმა ჰქონდეს და მაღალი შუბლი! გასწი! მომგვარე!

გიდენემი მალე მობრუნდა. ბიჭი თან ახლდა.

საცოდავი ბავშვი იყო, გამხდარი და აბუზული. ტანზე ჭუჭყიანი კონკები ეკიდა, ძონძებივით მონაცრისფრო იყო მისი ზინზლიანი კანიც. თავი მხრებში ჩაერგო და ხელის ზურგით ისრესდა წირპლიან თვალებს, რომლებზეც ბუბები მისეოდა.

აბა, ვინ ჩათვლის მას ჰანიბალად! არადა, სხვა ბიჭის შესარჩევი დრო აღარ იყო. ჰამილკარმა რისხვით გადახედა გიდენემს, მისი მოხრჩობა სურდა.

– გაეთრიე! – დაიღრიალა მან.

მონათა მეთვალყურე გარეთ გავარდა.

განსაცდელი, რომელსაც კარგა ხანია ელოდა ჰამილკარი, კარს იყო მომდგარი! დაიძაბა სუფეტი, რაიმე საშუალებას ეძებდა ამ უბედურების ასაცილებლად.

კარს უკან გაისმა აბდალონიმის ხმა. სუფეტს კითხულობენ, მოლოქის მსახურნი აღარ ითმენდნენ.

ჰამილკარი თითქოს გავარვარებული შანთით დაედაგოთ, ძლივს შეიკავა ყვირილი. ხელახლა იწყო ოთახში შეშლილივით წრიალი. მერე მოაჯირთან ჩაიკეცა, იდაყვები მუხლებზე დაიბიჯა და შუბლზე წაიჭირა მუშტები.

პორფირის აუზში კიდევ იყო ჩარჩენილი სალამბოს განსაბანი სუფთა წყალი. ზიზლისა და სიამაყის მიუხედავად, ჰამილკარმა შიგ ჩააყურყუმაღავა ბავშვი და მონებით მოვაჭრესავით იწყო მისი დაბანა. უგლასუნებდა სამუნველს და ხეხავდა წითელი მინით. თახჩიდან გადმოიღო ორი ოთხკუთხა ძონი, ერთი მკერდზე დაუმაგრა ბიჭს, მეორე ზურგზე; ლავინთან აღმასის ორი ღილ-კილოთი შეუერთა ერთმანეთს ძონის ფირფიტები. თავზე სურნელი აპკურა, ყელზე ქარვის ფარღული შეაბა; მარგალიტის ქუსლიანი სანდლები, თავისი ასულის სანდლებიც კი ჩააცვა. ცახცახებდა დარცხვენილი და გაღიზიანებული ჰამილკარი. სალამბო ფაციფუცით ეხმარებოდა, ისიც მამასავით იყო გაცრე-

ცილი. ბიჭმა გაიღიმა, თვალს სჭრიდა ბრწყინვალეობა, წათამამე-ბულმა ტაში შემოკრა და კუნტრუშით გაჰყვა ჰამილკარს.

მან ისე მაგრად ჩასჭიდა ხელი ბიჭს, თითქოს ეშინოდა არ დაჰკარგოდა. ბავშვი გვერდით მისდევდა, ხელი ეტკინა და წა-იტირა.

დილეგს რომ გაუსწორდნენ, პალმების ქალიდან მოთქმა და მუდარა მოისმა. ვილაც ჩურჩულებდა: „ბატონო! ბატონო!“

ჰამილკარი შემობრუნდა და საზარელი შესახედავი კაცი იხილა. იგი სასახლეს შემოკედლებული ერთი მიუსაფართაგა-ნი იყო.

— რა გინდა? — ჰკითხა სუფეტმა.

აკანკალენულმა მონამ წაილულლულა:

— მამა ვარ მისი.

ჰამილკარმა სვლა განაგრძო. წელში მოდრეკილმა მონამ კი-სერი წაიგრძელა და აედევნა სუფეტს. აუნერელ ტანჯვა-წამე-ბას სახე მოექცია მისთვის. ქვითინს ძლივს იკავებდა, იხრჩო-ბოდა, სურდა შევედრებოდა და თან შეეცდია, სურდა ეღრიალა ჰამილკარისთვის — „შემიბრალეო“.

შემდეგ შებედა, თითით ოდნავ შეეხო მის იდაყვს.

— ნუთუ ჩემი ბიჭი?... — მონას ძალა აღარ შესწევდა, ველარ დაამთავრა სათქმელი. ჰამილკარი შეაკრთო მისმა მწუხარებამ და შეჩერდა.

იმოდენა უფსკრული აშორებდა მათ ერთმანეთს, რომ თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა ბარკა, თუ ოდესმე რაიმე საერთო ექნებოდა მონასთან. მონის განცდები შეურაცხყოფად, თავის უპირატესობათა ხელყოფად ერქვნა. პასუხის ნაცვლად ჯალა-თის ნაჯახზე ცივი და სასტიკი მზერა შეაგება. მონა გულწა-სული დაეცა მის ფერხთით მტვერში. ჰამილკარმა გადააღაჯა.

შავით მოსილი სამი კაცი ელოდა სუფეტს დიდ დარბაზში. ისინი ქვის ბირთვთან იდგნენ. უეცრად ჰამილკარმა ტანსაც-მელი შემოიძარცვა, იატაკის ფილებზე გაგორდა და საშინელი კივილი ატეხა.

— ო! ბედშავო ჰანიბალ! ჩემო ბიჭო! ჩემო ნუგეშო! ჩემო იმე-დო! ჩემო სიცოცხლე! მომკალით! მეც თან წამიყოლეთ! რა უბედურებაა, რა უბედურება! — სახეს იხოკავდა ფრჩხილებით, თმებს იგლეჯდა, ჭირისუფალი ქალივით ღრიალებდა: — რაღას უცდით? წაიყვანეთ! საშინლად ვიტანჯები! წადით, გამეცა-ლეთ! მეც ჩემი ბიჭივით მომკალით!

მოლოქის მსახურთ უკვირდათ, დიდ ჰამილკარს რა სათუთი გული ჰქონიაო. ცოტა არ იყოს, მოლმოზიერდნენ კიდეც.

გაისმა შიშველი ფეხების ტატუნი და ძვინვარე მხეცის მგავსი ხროტინი. მესამე ტალანის ზღუბლზე, სპილოს ძვლის წირთხლებს შორის გამოჩნდა კაცი, ფერნასული და გასაცოდავებული იწვდიდა ხელებს:

– ჩემო ბიჭო! – წამოიყვირა მან.

ჰამილკარი ერთი ნახტომით დააცხრა მონას, პირზე ხელი ააფარა და უარესად აყვირდა:

– ამ ბებერმა გაზარდა იგი! თავის ბიჭს ეძახის! შეიშლება საბრალო! კმარა! გვაკმარეთ! – მხრებით უბიძგა სამივე ქურუმს და მსხვერპლს, გარეთ გამოჰყვა მათ და გამოიჯახუნა კარი.

ერთხანს დააყურა, ეშინოდა არ მობრუნებულიყვნენ. შემდეგ გაიფიქრა – ხომ არ აჯობებს, თავიდან მოვიცილო მონა, დარწმუნებული მაინც ვიქნები, რომ დუმსო. მაგრამ განსაცდელი ჯერ არ ასცილებია, მისმა მოკვლამ რომ ღმერთები გაანაწყენოს? ვინ იცის, ეგებ ჰანიბალს შეემთხვეს ხიფათი. გადაიფიქრა და ტანაქის ხელით გაუგზავნა მონას, რაც კი რამ სახაბიელო იყო სამზარეულოებში: მეოთხედი თხა, ცერცვი და წუა. დამშეული ბერიკაცი ეცა საჭმელს. ლანგარზე ცვიოდა მისი ცრემლები.

ჰამილკარი სალამბოსთან დაბრუნდა და გამოხსნა გაბანრული ჰანიბალი. გამწარებულმა ბავშვმა ხელზე ისე მწარედ უკბინა მამას, რომ სისხლი ადინა. სუფეტმა ალერსით მოიცილა ბიჭი.

ბავშვი რომ გაეყურებინა, სალამბომ კირენელი კაციჭამია ლამიათი დააშინა იგი.

– მერე, სადაა? – იკითხა ბიჭმა.

უთხრეს: ავაზაკები მოვლენ და დილეგში ჩაგამწყვდევენო.

– ნეტა მოვიდოდნენ, ყველას დავხოცავდი! – პასუხად ეს მიუგო ბიჭმა.

მაშინ ჰამილკარმა საშინელი სიმართლე გაუმხილა ბავშვს. ჰანიბალი გაგულისდა მამამისზე. კართაგენის განმგებელი რომ ვიყო, მთელ ხალხს ერთიანად ამოვჟღელტდიო, – თქვა.

ბოლოს დაძაბულობითა და რისხვით დაქანცულმა ბიჭმა ჩაიძინა ბორცნეული ძილით. ბოდავდა. მენამულ ბალიშებზე იყო მიწოლილი, თავი უკან გადავარდნოდა, პანია ხელი მბრძანებლურად გაეშვირა.

როცა ჩაქუფრდა ღამე, ჰამილკარმა ფრთხილად აიტატა ბავშვი და ხომალდთა წყალსაკვეთიან კიბეზე დაეშვა. ჩირაღდნით არ გაინათა გზა. ქულბაქს რომ ჩაუარა, კალათით ყურძენი და ერთი თუნგი სუფთა წყალი წაიღო. ბიჭმა გაიღვიძა ალექსის ქანდაკების წინ, პარეხში, სადაც განძეული ინახებოდა. მამის მკლავებზე გადანოლილმა ბავშვმა გაიღიმა ირგვლივ მოელვარე თვალ-მაგალიტის დანახვაზე, გაიღიმა იმ საცოდავი ბიჭივით.

ახლა კი მიხვდა ჰამილკარი, რომ ვერავინ წაართმევდა შვილს. აქ შემოღწევა არვის შეეძლო, გამოქვაბული სანაპიროს უერთდებოდა მიწისქვეშა გვირაბით, რომელიც მხოლოდ ჰამილკარმა იცოდა. თვალი მოავლო იქაურობას, ღრმად ამოისუნთქა და ოქროს ფარის გვერდით ჯორკოზე ჩამოსვა ბიჭი.

არაკაცს არ დაუნახავს, ამიერიდან არა აქვს საფიქრალი. ჰამილკარმა სული მოითქვა. დაკარგულ პირმშოს რომ დაიბრუნებს დედა, ასე გადაეფოფრა ვაჟიშვილს, მკერდზე მიიხუტა, სიცილ-ტირილი აუტყდა, ალერსით ეტიტინებოდა, ჰკოცნიდა. პატარა ჰანიბალი დააფრთხო მამის მოჭარბებულმა სინაზემ და გაილურსა.

ჰამილკარი კედლებზე ხელის ცეცებით ფეხაკრებით დაბრუნდა უკან. დიდ დარბაზში შევიდა. გუმბათის ჭრილიდან აღწევდა მთვარის ნათელი. შუა დარბაზში მარმარილოს ფილებით მოგებულ იატაკზე გაშოტილიყო გამაძლარი მონა და ეძინა. დააცქერდა. სიბრალულმა შეზარა ჰამილკარი. კოთურნის ჭვინტით ხალიჩა მიუჩოჩა და თავქვეშ ამოუდო სასთუმლად. შემდეგ თვალები მიაპყრო ქალღმერთს. ტანიტის ხატება, განლობილი ნახევარმთვარე კრთებოდა ცაზე. ჰამილკარმა ბაალთა უძლიერესად იგრძნო თავი და მათდამი ზიზლით აივსო.

სამსხვერპლო სამზადისს უკვე შესდგომოდნენ.

მოლოქის ტაძარში კედელი გამოანგრეეს, რათა საკურთხევლის ფერფლს არ გაჰკარებოდნენ, ისე გამოეტანათ თითბრის ღვთაება. როგორც კი მზე ამოიწვერა, მოლოქის მოსავეებმა ქამონის მოედნისკენ უბიძგეს კერპს.

იგი უკუსვლით მიგორავდა ლილვზე. გალავანი მხრებამდე სწვდებოდა. თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, კართაგენლები თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ, რადგან დამლუპველად მიაჩნ-

დათ ბაალის დანახვა. მხოლოდ განრისხებული კერპისთვის შეიძლებოდა თვალის გასწორება.

ქუჩებში ნელსულნელება აკმიეს, ყველა ტაძრის ბჭენი დახსნეს. საყდრებიდან დაიძრა ტახტრევენები, რომელთაც ქურუმები დაატარებდნენ. მოემართებოდნენ ჩარდახიანი ეტლები. გრძელი ჯილები ირხეოდნენ საჩრდილობლის კიდეებში, სხივებს ისროდნენ ტახტრევენების წამახული გავალაკები, რომლებიც ბროლის, ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ბირთვებით ბოლოვდებოდნენ.

ესენი იყვნენ ქანაანური ბაალები, უზენაესი ბაალის ორეულები, რომელნიც პირველსაწყისს უბრუნდებოდნენ, რათა დაკნინებულიყვნენ მისი ძალის წინაშე და მის ბრწყინვალეებას განზავებოდნენ.

მელქარტის ძონისფერ ჩარდახში ნავთობის ალი იყო დაცული. ქამონის იაკინთისფერ საჩრდილობელქვეშ აღმართულიყო სპილოს ძვლის ფალოსი, რომელსაც პატოსანი თვლების წრე ერტყა გარშემო. ეშმუნის ტაძრის ეთერივით ლაჟვარდისფერ რიდეთა შორის კუდით შემორკალულიყო მძინარე პითონი. პატეკი ღმერთები ჩვრებში გახვეულ ჩვილ ბალებს ჰგავდნენ, ქურუმებს აეტატებინათ ისინი, ქუსლები მიწაზე მისთრევდათ. შემდეგ მოჰქონდათ ღვთაების უმდაბლესი ხატებიანი: ბაალსამინი – ზესკნელთ მეუფე, წმინდა სიმაღლეთა განმგებელი ბაალ-პეორი, ბაალ-ზებუბი – განმხრწნელი; წინ მოიწევდნენ მეზობელ ქვეყანათა და მონათესავე ტომთა ღმერთები: ლიბიელთა იარბალი, ქალდეველთა ადრამელექი, სირიელთა კიიუნი. ქალწულისსახიანი დერკეტო ცოცავდა ფარფლებით. ერთ ტახტრევანში ჩირაღდნებსა და თმების ბლუჯებს შორის დასვენებული იყო თამუზის ცხედარი. ზეციური მეუფენი რომ მზისთვის დაემორჩილებინათ, მათი გავლენა რომ მზის დიდებას არ აღმატებოდა, ქურუმები გრძელ ლატნებზე წამოცმულ ფერადი ლითონის ვარსკვლავებს მოარხევდნენ. ყველა აქ იყო, მერკურის სულიდან, შავი ნებოდან, ვიდრე შემზარავ რაჰაბამდე, რომელიც ნიანგის თანავარსკვლავედს გამოხატავდა. მთვარიდან ჩამოცვენილი ქვები, აბადირები, ტრიალებდნენ ვერცხლით მოსირმულ შურდულებში. ცერერას ქურუმებს კალათებით მოჰქონდათ პურის კვერები, რომლებიც დიაცთა სქესს განასახიერებდნენ. სხვებიც ყველანი თავიანთი კერპებითა და ავგაროზებით მოდიოდნენ. მივიწყებული ღმერთები გაიხსენეს. ხო-

მალდებსაც კი აართვეს იდუმალი ნიშნები. კართაგენს თითქოს სურდა სიკვდილსა და გაპარტახებაზე შეეჩერებინა ყველას ფიქრი.

ყოველი ჩარდახის წინ კაცი იდგა თავზე შემოდგმული ვეებერთელა მუჯამრით. მუჯამრებში გუნდრუკი იკვამლებოდა. აქა-იქ ღრუბლები მიირწეოდნენ, ბურუსში განირჩეოდა ფარდები, ფოჩები და წმინდა ტალავრების ამოგვირისტებული რიდები. ქურუმებს ტვირთი უმძიმდათ და ნელა მიიწევდნენ წინ. ხანდახან ბორბლის სოლი ქუჩაში რაიმეს გამოედებოდა ხოლმე. მოსავნი შემთხვევით სარგებლობდნენ, სამოსის კალთით ეხებოდნენ ბაალებს და შემდეგ წმინდა ნაწილივით ინახავდნენ ჩაქს.

თითბრის ქანდაკება ქამონის მოედნისკენ განაგრძობდა სვლას. მეგარიდან დაიძრნენ დიდებულები, რომელთაც ხელთ ეპყრათ ზურმუხტისთავიანი კვერთხები. გვირგვინებით თავმორთულ უხუცესებს კინიზდოში მოეყარათ თავი. ხაზინადრები, ეზოსმოძღვრები, მოვაჭრენი, მებრძოლები და დამკრძალავ მსახურთა წყება – ყველანი თავიანთი წარჩინებისა და ხელობის ნიშნებით მიეშურებოდნენ აკროპოლიდან გადმოშვებული ჩარდახებისკენ, რომლებიც ქურუმთა დასით იყო გარშემორტყმული.

მოლოქის პატივსაცემად უძვირფასესი განძეულით მოკაზმულიყვნენ. ქურუმთა შავ სამოსს ალმასები აელვარებდა. ბექდები მოფამფალებოდათ გაჩხიკულ თითებზე. არაფერი იყო მათზე საზარელი. მიაბიჯებდნენ ხმაგაკმენდილნი, ფერგამკრთალ ღანვებზე სცემდათ საყურეები, ოქროს ტიარები უჭმუხნიდათ საშინელი სასონარკვეთილებისგან ისედაც შეკრულ შუბლს.

ბაალმა შუა მოედნამდე მიაღწია. მისმა ქურუმებმა ბრბოს შესაკავებლად არე მოლობეს ხარიხებით და კერპის ირგვლივ ჩარიგდნენ.

ქამონის ქურუმები, ჟღალი შალეულით დამოსილნი, თავიანთი ტაძრის სტოაში სვეტებქვეშ დადგნენ. ეშმუნის ქურუმებს სელის ლაბადები ებურათ, კუკუფას მარცვლების ასხმულა შეებათ ყელზე, თავზე წონოლა მიტრები ედგათ. ისინი აკროპოლის საფეხურებზე განლაგდნენ. დასავლეთის მხარე იისფერი ტუნიკებით მოსილმა მელქარტის ქურუმებმა დაიკავეს. ფრიგიული ქსოვილი ჰქონდათ სარტყლად აბადირთა მოსავებს,

რომელთაც აღმოსავლეთი აირჩიეს. სამხრეთით, სვირინგებით დაფარული მისნების გვერდით, ჩადგნენ დაბეჭკილმოსასხამიანი მოტირალნი, პატეკთა და იიდონთა მსახურნი, რომელნიც მიცვალებულის ძვალს იდებდნენ ხოლმე პირში და მომავალს წინასწარმეტყველებდნენ. ცერერას ქურუმნი, ლაჟვარდისფრად დამოსილნი, სიფრთხილის გამო სათების ქუჩაზე შეჩერდნენ და მეგარულ კილოკავზე იწყეს დაბალი ხმით ფსალმუნთა გალობა.

დროგამოშვებით სრულიად შიშველი ხალხი გამოჩნდებოდა, გაშლილი ხელები მხრებში ჩაეჭიდათ ერთმანეთისთვის; გულის სიღრმიდან აღმოხდებოდათ ხოლმე როყიო და ყრუ ბგერები; მტვრის კორიანტელში ელავდა მათი თვალები; კერპს მიმტერებოდნენ, დროდადრო თანაბრად ირწეოდნენ, თითქოს ყველას ერთი ბიძგი ამოძრავებდა. ისე იყვნენ აღტყინებულნი, რომ მონასტრის ფარეშებმა კომბლის დაშენით პირქვე დაანვინეს ისინი. სახით თითბრის ხარისხზე იყვნენ დამხობილნი.

ამასობაში მოედნის სიღრმიდან თეთრსამოსიანი კაცი გამოემართა და ნელა გააპო ბრბო. ყველამ იცნო ტანიტის მსახური უზეშთაესი ქურუმი შაჰაბარიმი. აღრიალდნენ. ამ დღეს მამაკაცური სანყისი მძლავრობდა ყველას შეგნებაში. ქალღმერთი ისე მიივიწყეს, არც კი შეუმჩნევიათ, მისი ქურუმები რომ არ ჩანდნენ. გაოცებამ იმატა, როცა შაჰაბარიმი ხარისხასთან მივიდა და მსხვერპლის შემწირველთათვის განკუთვნილი კარი შეაღო. მოლოქის ქურუმებმა თავიანთი ღმერთის შეგინებად მიიჩნიეს ეს ამბავი, მუქართა და ხელის ქნევით შეეცადნენ მის გამოგდებას. შეწირულებებით ნაპატიებ ქურუმებს მეფეების დარად ძონეული ემოსათ და სამგვირგვინიანი მიტრები ედგათ თავზე. მათ ეზიზღებოდათ ხორცის დათრგუნვით ჩამომხმარი და ფერგაცრეცილი საჭურისი. გესლიანმა სიცილმა შეათრთოლა მათ მკერდზე მზის სხივებივით დაფენილი შავი წვერი.

შაჰაბარიმმა ხმის ამოუღებლად განაგრძო სვლა, შემოღობილი გადასერა და კერპის ფერხთით შედგა, ორივე მხარი შეახო მას. შემდეგ ხელები აღაჰყრო. ასეთი იყო სადღესასწაულო ღვთისმსახურების წესი. შაჰაბარიმი დიდხანს ტანჯა ქალღმერთმა. ვინ იცის, ეგებ თავისი წარმოსახვის შესაფერი ღვთაების ძიებამ მიიყვანა აქამდე ქურუმთუხუცესი.

რჯულისგან განდგომამ შეაშფოთა ხალხი. გაისმა ბუზღუნი. განყდა უკანასკნელი ძაფი, მონყალე ღვთაებასთან სულთა დამაკავშირებელი.

მაგრამ დასაჭურისებულ შაჰაბარიმს არ შეიძლებოდა წილი რგებოდა ბაალის თაყვანებაში. წითელმოსასხამიანმა კაცებმა შემოკავებულიდან გააძევეს იგი. გარიყულმა საჭურისმა რიგ-რიგობით შემოიარა ქურუმთა ყველა დასი და უღმერთოდ დარჩენილი ქურუმთუხუცესი ხალხში გაუჩინარდა. ბრბო იპოვოდა მის მიახლოებაზე.

კერპის ფეხებს შუა ალოეს, კედრისა და დაფნის კოცონი ააბრიალეს. ბომონის ფრთები ალში გაეხვია, ნელსაცხე-ბელი ოფლივით ნურნურით ჩამოსდიოდა ბრინჯაოს ნაკვთებზე. ქანდაკება ფეხებით ეყრდნობოდა მრგვალ ფილას, რომელსაც წრედ შემორტყმოდნენ შავრიდემშემოხვეული გატრუნული ბავშვები. კერპის უსაშველოდ გრძელი ხელის მტევნები სწორედ ბალღებამდე აღწევდა, თითქოს უნდა ჩაებლუჯა ეს გვირგვინი და ზეცაში აეტაცებინა.

დიდებულები, უხუცესნი, დედაკაცები, მთელი ერი – ყველანი ჩოჩქოლებდნენ ქურუმების უკან და სახლის ბანებზე. ნაირ-ფერად შედებილი ჩახჩახა ვარსკვლავები აღარ ტრიალებდნენ. ტახტრევენები მიწაზე დადგეს. მაღლა ბოლქვებად ასული გუნდრუკის კვამლი უზარმაზარ ხეებს ჰგავდა, მათ თითქოს ცის ლაჟვარდში გაეშალათ მოლურჯო ვარჯი. ბევრს შეუღონდა გული. სხვები ნეტარებით იყვნენ აღტყინებულნი და უძრავად გარინდებულიყვნენ. უსაზღვრო სევდამ დაუძძიმა მათ გული. მიწყდა უკანასკნელი ამოძახილები. ნგრევის სურვილით ატანილი კართაგენელები სულს ძლივს ითქვამდნენ.

ბოლოს მოლოქის ქურუმთუხუცესმა მარცხენა ხელი შეყო რიდეში, ბალღებს თითო ბლუჯა თმა ააგლიჯა შუბლზე და ცეცხლში ისროლა. მენამულმოსასხამიანი კაცები წმინდა ჰიმნს გალობდნენ:

– დიდება შენდა, მზევ, დედამიწის ორივე სარტყლის მე-უფეო, შენი თავის შემქმნელო, მამაო და დედავ, მამაო და ძევ, ღმერთო და ქალღმერთო, ქალღმერთო და ღმერთო!

ქურუმთა ხმები მსხვერპლთა კივილის გასაყრუებლად ერთად ახმიანებულ საკრავთა გუგუნში მიიკარგა. რვაძალიანი შემინითები, ათძალიანი ჩანგები, თორმეტძალიანი ნებალები აწრიპინდნენ, აჟღერებდნენ, აგრუხუნდნენ. გუდა-სტვირები მჭახედ გაკიოდნენ. ისმოდა დაფდაფთა გამალებული ცემის ყრუ ხმები. მთლად შეიშალა ნესტვი, კალიის ფრთებივით ტკაცუნობდნენ სალსალიმები.

მონასტრის ფარეშებმა გრძელი ქანჩებით დახსნეს ერთიმეორეზე წაწყობილი შვიდივე ნაწილი ბაალის სხეულისა. ზევით ფქვილი ჩაყარეს, მეორე განყოფილებაში წყვილი მტრედი შესვეს, მესამეში – მაიმუნი, მეოთხეში – ვერძი, მეხუთეში – ნერბი ცხვარი. ხარი არ ჰყავდათ და მეექვსეში საკურთხეველიდან მოტანილი დათრიმლული ტყავი ჩადეს, მეშვიდე ნაწილი ცარიელი დატოვეს.

ვიდრე საქმეს შეუდგებოდნენ, კერპის ხელების მოსინჯვა ინდომეს. თითებზე გამობმული წვრილი ჯაჭვი მხრებზე ჰქონდა გადაგდებული მოლოქს და შემდეგ უკან ეშვებოდა. ჯაჭვებს რომ მოზიდავდნენ, ხელები იდაყვებამდე აღიმართებოდა, ერთმანეთს გადაეჭდობოდა და მუცელს ეკვროდა. რამდენჯერმე ჩამოსწიეს. მესაკრავეები გაყურდნენ. ცეცხლი გიზგიზებდა.

მოლოქის ქურუმები კვარცხლბეკზე ბოლთას სცემდნენ, თან ხალხს ათვალიერებდნენ.

სხვების წასაქეზებლად ვინმეს თავისი ნებით უნდა გაეწირა სიცოცხლე. ჯერ არავინ ჩანდა. ხარიხებიდან კერპისკენ მიმავალი შვიდივე ბილიკი სრულიად ცარიელი იყო. ბრბოს შესაგულიანებლად ქურუმებმა სარტყლიდან სადგისები იძრეს და სახე დაიკანრეს. შემოლობილში შემოუშვეს შეწირულები, რომლებიც აქამდე განზე ეყარნენ მიწაზე განრთხმულნი. მათ გადაუგდეს რკინის საზარელ იარაღთა შეკვრა. ყოველმა მათგანმა თვითონ აირჩია თავისი სატანჯველი. მკერდში იყრიდნენ შამფურს, ლოყებს ისერავდნენ, ეკლის გვირგვინს იდგამდნენ თავზე. შემდეგ ხელი ხელს ჩასჭიდეს და შემოერტყნენ ბავშვებს, მეორე დიდი წრე შეკრეს. ხან შემჭიდროვდებოდნენ, ხან კი ფართოდ გაიშლებოდნენ, მერე უკან იხევდნენ, კვლავ წინ იწევდნენ და ამნაირად ბრბოს ითრევდნენ თავბრუდამხვევ ფერხულში, სისხლის ღვრასა და ღრინაცულში.

ხალხმა ნელ-ნელა იწყო გასასვლელებში დენა. ცეცხლში ისროდნენ მარგალიტებს, ოქროს ლარნაკებს, ბარძიმებს, ჩირაღდნებს, მთელ თავიანთ ავლა-დიდებას. უხვი საბოძვრები თანდათან მატულობდა. ბოლოს შიშით დაზაფრული და გადაფითრებული კაცი წამობარბაცდა და ბავშვს უბიძგა. ბრბომ დაინახა მოლოქის ხელებმა როგორ აიტაცა პანია შავი არსება, როგორ შთანთქა იგი ბნელმა ნაპრალმა. უზარმაზარი ფილის კიდეში ქურუმებმა ქედი მოიდრიკეს, კვლავ გაისმა სიკვდილის სამახარობლო და მარადიული განახლების სადიდებელი გალობა.

კვამლი ისე იბოლქვებოდა, რომ შორიდან გეგონებოდათ ღრუბლებში უჩინარდებიანო მაღლა აზიდული განწირულები. არცერთი არ იძვროდა, ხელ-ფეხი გაკოჭილი ჰქონდათ. თალხი რიდიდან ვერც ვერაფერს ხედავდნენ. არც ცნობა შეიძლებოდა მათი.

ქურუმთა დარად წითლით მობურული ჰამილკარი მოლოქის მარჯვენა ფეხის ცერთან იდგა. მეთოთხმეტე ბალლი გამოიყვანეს. ყველამ შენიშნა, რომ შეძრწუნდა ჰამილკარი, მაგრამ უმაღვე შეიკავა თავი, გულხელი დაიკრიბა და მინას დაამტერდა. ქანდაკების მეორე მხარეს ჰამილკარივით გაშეშებულიყო უზეშთაესი ქურუმი, ასურული მიტრით დამძიმებული თავი დაედრიკა და მისჩერებოდა მკერდზე დამაგრებულ ჯადოსნური ქვებით მოოჭვილ ოქროს გულქანდას, რომელსაც ალი აელვარებდა. გაოგნებული ქურუმი ფითრდებოდა. ჰამილკარმა თავი ჩაქინდრა. ორივენი ცეცხლთან ისე ახლოს იდგნენ, რომ მათი მოსასხამების აფრიალებული კალთები დროდადრო ლამის ეხებოდა ალს.

თითბრის ხელები გამალებით მოძრაობდა, მოძრაობდა შეუჩერებლივ. ყოველთვის, როცა მოლოქის ქურუმნი ბავშვებს აჩეჩებდნენ კერპს, ხელებს ინვდიდნენ, რათა ქვეყნის ცოდვა და ბრალი თავს მოეხვიათ მსხვერპლისთვის; გაკიოდნენ: „ეს ხალხი კი არა, ხარია!“ ირგვლივ ბრბო აიტაცებდა: „ხარია! ხარია!“ მსახურნი ღრიალებდნენ: „უფალო, მიირთვი!“ პროზერპინას ქურუმები, კართაგენელთაგან დაჯაბნილნი, ელევსინურ ლოცვას ბუტბუტებდნენ: „წვიმა გვინვიმე! შობე!“

ნაპრალის კიდეს მიაღწევდნენ თუ არა მსხვერპლად შესაწირნი, გავარვარებულ ფირფიტაზე დაცემული წყლის წვეთებით ქრებოდნენ, წითლად მღვივანი ცეცხლიდან მოთეთრო კვამლი ავარდებოდა.

დღე მიილია. ღრუბლები თავს წამოეგრავნა ბაალს. მუგუზლების პირამიდასავით აღმართული ჩალველფილი კოცონი მუხლამდე სწვდებოდა კერპს. იგი სისხლში გათხვრილი გოლიათივით იყო ალანძული. თავი უკან გადაეგდო და შეზარხოშებულივით ბანცალობდა თითქოს.

რაც უფრო ჩქარობდნენ ქურუმები, ბრბოს სიშმაგეც მატულობდა. მსხვერპლთა რიცხვმა იკლო. ზოგი გაჰკიოდა, შეწირულები შევიბრალოთო, სხვები მეტ მსხვერპლს ითხოვდნენ. ხალხით დაზვინული კედლები, გეგონებოდათ, ჩამოინგრეოდა ამ

საზარელ ღრიალსა და მისტიკურ ნეტარებაში. გასასვლელელებში მორწმუნენი მოიწვედნენ, მოათრევდნენ ბავშვებს, რომელნიც მათ ეპოტინებოდნენ. ისინი ბალებს სცემდნენ, ძლივს იცილებდნენ და წითელსამოსიანებს უწვდიდნენ. ქანცგანყვეტილი მესაკრავენი დროდადრო ჩერდებოდნენ. მაშინ ნათლად ისმოდა დედათა კივილი და ნაკვერჩხლებზე მწვეთავი ქონის შიშხინი. ლენცოფანაჭამნი ოთხით დაბობლავდნენ კერპის ირგვლივ და ვეფხვებივით ბრდღვინავდნენ. იიდონიმები წინასწარმეტყველებდნენ, ტუჩებდასერილი შეწირულები გალობდნენ. ხარბები გადაქელეს, ყველას სურდა წილი რგებოდა მსხვერპლთ-შეწირვაში. მამები, რომელთაც შვილები ადრე დახოცოდათ, მათ ხატებს, სათამაშოებსა და მათ შენახულ ძვლებს ისროდნენ ცეცხლში. ვისაც დანები ჰქონდა, მოიმარჯვეს და ეძგერნენ დანარჩენთ. ყელს ლადრავდნენ ერთმანეთს. მონებმა ბრინჯაოს სანიაგებლით მოხვეტეს ფილების კიდეში დაცვენილი ფერფლი და ჰაერში გაფანტეს, რათა მსხვერპლის გაღება მთელ ქალაქში განფენილიყო და ვარსკვლავთა სივრცემდე აეღწია.

ღრიანცელმა და მოკიაფე ალმა გალავნის ძირას მოიზიდა ბარბაროსები. უკეთ რომ დაენახათ, დიდი ურნალის ნამსხვრეებს ებლაუჭებოდნენ და შიშით გამოთაყვანებულები უმზერდნენ კართაგენელთ.



თავი მეთოთხმედი

ნაჯახის ხევი

კართაგენელები ჯერ კიდევ არ გაკრეფილიყვნენ სახლებში, რომ ცას ჯანლი გადაეკრა, შუბლი მსხვილი წვეთებით დაეცვარა მათ, ვისაც თავი მაღლა აენია და კერპს შესცქეროდა.

მთელ ლამეს გადაუღებლივ წვიმდა. გრგვინავდა. მოლოქის ხმა იყო ქუხილი. მან დაამდაბლა ტანიტი და განაყოფიერებულმა ქალღმერთმა ზეცაში გადაშალა თავისი ფართო გულმკერდი. ზოგჯერ ღრუბელთა შორის გაელვებულ ნათელში ხედავდნენ ტანიტს. შემდეგ კვლავ ჩამოხსნებოდა, ღონემიხდილ ქალღმერთს რული ეკიდებოდა თითქოს. კართაგენლთა რწმენით, ნოტიოს მთვარე შობდა და ყვიროდნენ, რომ მშობიარისთვის სატკივარი დაეამებინათ.

ტერასები შეტბორდა. ეზოებში გუბეები იდგა, კიბეებზე ჩანჩქერებად დიოდა წყალი, მოსახვევებში მორევი გაჩნდა. კოკისპირულად წვიმდა. შენობათა კუთხეებიდან აქაფებული ნიაღვარი მოედინებოდა. კედლებზე თითქოს მოთეთრო ფარდაგები გადმოეკიდათ. ტაძრების ჩამორეცხილი სახურავები შავად ბზინავდა ელვის გამოკრთომაზე; აკროპოლიდან ათასნაირი გზებით მოედინებოდნენ ნაკადები; დელგმამ სახლები წალეკა. ბოყვები, ტკეჩი და ავეჯი მიჰქონდა ფილებზე მოჩუხჩუხე ღვარს.

წვიმის წყლის მოსაკავეებლად გამოედგათ ბადიები, კოკები, ხამი გაეშალათ. ჩირალდნები ქრებოდა. მაშინ კართაგენელებმა ბაალის კოცონიდან მუგუზლებს დაავლეს ხელი, თავი უკან გადააგდეს და პირი დააფჩინეს წყურვილის მოსაკლავად. სხვები ჭუჭყიან გუბეებს მისდგომოდნენ, ილღიებამდე ჩაეყოთ შიგ ხელები და ისე იჭყიპებოდნენ, რომ კამეჩივით დუჟი მოადგათ პირზე. აგრილდა. კართაგენელები ხარბად ისუნთქავდნენ ნესტიან ჰაერს და ხელ-ფეხს ისრესდნენ. იმედი ჩაესახათ სიამით

შემთვრალთ, ყოველგვარი განსაცდელი გადაავიწყდათ. კვლავ აღდგა ქვეყანა.

საკუთარ თავს ვერა ავნეს რა და ერთმანეთზე სურდათ გადმოენთხიათ მოძალებული მძვინვარება. ამოდენა მსხვერპლი უშედეგოდ არ ჩაივლიდა. ბუზლუნს ვერ ბედავდნენ, მაგრამ ისე იყვნენ გახელებულნი, საშინელ ბოროტმოქმედებათა თანამზრახველთ რომ სჩვევიათ ხოლმე.

ბარბაროსებს ფარლალა კარვებში მოუსწრო თქეშმა. მეორე დღეს გალუმბულები დააბოტებდნენ ლაფში, ეძებდნენ გაბნეულ იარაღს, წამხდარ სანოვავებს.

ჰამილკარმა თვითონ მონახა ჰანონი, თავისი უფლებამოსილებით ისარგებლა და სარდლობა შესთავაზა.

ბებერი სუფეტი შეყოყმანდა, გულში ჩახვეულ ბოლმას წინ აღუდგა განდიდების სურვილი. ბოლოს მაინც დაჰყაბულდა.

ჰამილკარმა ხომალდი აღჭურვა, ქიმებზე თითო ფილაკვანი დაადგმევინა და ყურეში ტივის პირისპირ დააყენა. რაც ხომალდები გააჩნდა, ყველას თავი მოუყარა, შიგ ჩასხა რჩეული მეომრები, ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი და მალე გაუჩინარდა ნისლში.

მას აქეთ სამმა დღემ გაიარა. საიერიშოდ ემზადებოდნენ. ლიბიის სანაპიროდან ხალხი მოზღვავდა. ბარკა მათ მიწაზე გადასულიყო, სანოვავე მოეკრიბა და ქვეყანას დაჰპატრონებოდა.

ბარბაროსები ისე აღშფოთდნენ, თითქოს ჰამილკარს პირი შეეშალოს მათთვის. მეომრებს ალყად დგომა მობეზრდათ, განსაკუთებით მოინყინეს გალებმა. მათ დაუფიქრებლად მიატოვეს გალავანი, რათა ბარკას შეერთებოდნენ. სპენდიუსმა დიდი ურნალის შეკეთება მოინდომა. მათომ მოიფიქრა, თავისი კარვიდან პირდაპირ მეგარაში როგორ გადასულიყო; დაიფიცა, ამ გზას დავადგებო, მაგრამ მის მეზრძოლთაგან არცერთი არ განძრეულა. სხვები ოტარიდის წინამძღოლობით დაიძრნენ და უპატრონოდ მიატოვეს ზღუდის დასავლეთი მხარე. უთავბოლობა იქამდე მივიდა, რომ მათ ჩანაცვლებაზე არც უფიქრიათ.

ნარჰავასი მთებიდან უთვალთვალეებდა ბარბაროსთ. ღამით თავისი ლაშქარი ყურის მხრიდან ზღვის სანაპიროთი გადასხა კართაგენში.

იგი გარემოცულთ მხსნელად მოვლინა თავისი ექვსი ათასი კაცით, რომელთაც მოსასხამქვეშ ფქვილი ჰქონდათ დამალული

და ბზითა და შაშხით დატვირთული ორმოცი სპილო ახლდათ. სპილოებს შემოესივნენ, სახელებს უძახდნენ. მაშველი ძალის შემატებაზე უფრო ბაალს შეწირული ამ მძლავრი ცხოველების ხილვამ მოაღხინა კართაგენელები. მოლოქის ლმობიერების საწინდარი იყო მათი მოსვლა. ამიერიდან ღვთაება ბრძოლაში ჩაება მათ დასაცავად.

ნარჰავასმა უხუცესთა ქათინაურები დაიმსახურა. შემდეგ სალამბოს სასახლისკენ გაეშურა.

ქალი აღარ უნახავს მას აქეთ, რაც ჰამილკარის კარავში ხუთი ლაშქრით გარშემორტყმული ასულის ცივი პატარა ხელი შეეხო მისას. ნიშნობის შემდეგ სალამბო კართაგენს გაემგზავრა. ათასი საზრუნევი სიყვარულს უნელებდა ჭაბუქს. ახლა კი ტრფობა გაუცხოველდა. თავისი მდგომარეობით უნდოდა ესარგებლა, სურდა შეერთო სალამბო, დაუფლებოდა მას.

ჰამილკარის ასულს ვერ წარმოედგინა, ეს ვაჟი როგორ უნდა დაჰპატრონებოდა. ლიბიელისადმი ძრწოლამ იკლო, თუმცა ყოველდღე ევედრებოდა ქალღმერთს მათოს სიკვდილს. სალამბო გუმანით გრძნობდა, რომ მათოს სიძულვილი და დევნა სარწმუნოებრივ საფუძველზე იყო წარმოშობილი. ასულს ხიბლავდა ლიბიელის სიმშაგე და სურდა, რომ ნარჰავასის არსებაში თუნდაც მკრთალი ანარეკლი მაინც ეხილა მათოს გახელებისა. უნდოდა უკეთ გაეცნო თავისი დანიშნული, მაგრამ მასთან ყოფნა უმძიმდა. პასუხად შეუთვალა, აკრძალული მაქვსო შენი ნახვა.

ამასთანავე ჰამილკარმა მეკრეებს დაუშალა სალამბოსთან ნუმიდიელთა მეფის შეშვება. ნარჰავასისთვის საზღაურის მიზლვა ომის დასრულებამდე არ უნდოდა, ფიქრობდა, რომ ამით გაამყარებდა მის ერთგულებას.

ნარჰავასი ქედმაღლურად მოექცა უხუცესთა ასეულს. მათი თათბირი შეცვალა, მეტი პატივი მოითხოვა თავისი მებრძოლებისთვის და თავკაცებად დანიშნა ისინი. ბარბაროსებმა თვალეზი დააჭყიტეს, როცა კოშკებზე ნუმიდიელები იხილეს.

საერთო გაცეხას საზღვარი არ ჰქონდა, ძველი პუნიკური ტერიტორიებით ნაპირს რომ მოადგა სიცილიასთან ბრძოლაში დატყვევებული ოთხასი კართაგენელი. ჰამილკარს კვირიტელთათვის ჩუმად გაეგზავნა ტვიროსის ქალაქების განდგომამდე ხელში ჩაგდებული ლათინელთა ხომალდები. სამაგიეროდ რომმა ტყვეები დააბრუნა, უარი თქვა როქის სპის მიერ სარდინიაში

ნარდგენილ მოთხოვნებზე და უტიკის მკვიდრთა შემოკედლებაზე.

სირაკუზის მმართველი ჰიერონი აიყოლია რომის მაგალითმა. სამთავრო რომ შეენარჩუნებინა, ამ ორ ხალხთან თანხმობა უნდა დაეცვა. ჰიერონი ქანაანელთა გამარჯვებით იყო დაინტერესებული, თავი მათ მოკეთედ გამოაცხადა, ათას ორასი ხარი და ორმოცდაცამეტი ათასი კოდი ხორბალი შეაწია კართაგენელებს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი აიძულებდა სხვა ქვეყნებს, რომ კართაგენს დახმარებოდნენ. მშვენივრად გრძნობდნენ, თუ ბარბაროსები გაიმარჯვებდნენ, მაშინ უბრალო მეომრიდან ჭურჭლის მრეცხავამდე ყველა ამბოხდებოდა და ვერავითარი სახელმწიფო, ვერავითარი ძალა ვერ მოთოკავდა მათ.

ამასობაში ჰამილკარი აღმოსავლეთის მხარეს უტევდა. გალებს უკან დაახევინა და ბარბაროსები გარემოცულნი აღმოჩნდნენ თითქოს.

შემდეგ მათ გალიზიანებას შეუდგა. ხან მიეჭრებოდა, ხან გაეცლებოდა ბარბაროსთ. ამ ფანდს კარგა ხანს იმეორებდა და ნელ-ნელა ბანაკიდან გააძევა ისინი. სპენდიუსი იძულებული შეიქნა მებრძოლებს გასდევნებოდა. ბოლოს მათოც მიჰყვა ლაშქარს.

მაგრამ მათო ტუნისის აღარ გასცილებია, ქალაქის გალავანში ჩაიკეტა. მისმა სიჯიუტემ გაჭრა. მალე გამოჩნდა ქამონის ბჭეთაგან სპილოებითა და ლაშქრით გამომავალი ნაჰავასი. ჰამილკარი უხმობდა ნუმიდიელს. გარეუბნებში უკვე სხვა ბარბაროსებიც აეკიდნენ სუფეტს.

კლიპეაში სამი ათასი გალი შემოიმტკიცა ჰამილკარმა. კირენაიკიდან ცხენები მოჰგვარეს მას, ბრუტიუმიდან – თორნაბჯარი. ომი განახლდა.

არასდროს ყოფილა ჰამილკარი ასე მოუთმენელი და თან ასე მარჯვე. ბარბაროსები უკან გაიყოლია, ხუთ თვეს დაატარებდა, წინასწარ დასახული მიზნისკენ მიუძღოდა მათ.

ბარბაროსები ჯერ შეეცადნენ, პატარ-პატარა რაზმებად გარს შემორტყმოდნენ ჰამილკარს, მაგრამ იგი მუდამ უსხლტებოდათ ხელიდან. მაშინ ყველანი ერთად დაედევნენ. ლაშქარში დაახლოებით ორმოცი ათას მებრძოლს მოეყარა თავი. რამდენჯერმე უკან დაახევინეს სუფეტს და სიხარულით ცას ეწიენ.

ყველაზე მეტად ნარჰავასის მხედრობამ გააწამა როქის სპა. გაჭირვების ჟამს, როცა იარაღით დამძიმებული ძილმორეული მეომრები მინდვრად მიაბიჯებდნენ, უეცრად ცის დასალიერზე სვეტად ავარდებოდა მტვერი; ცხენებს მოაგელვებდნენ მხედრები, ანთებული თვალები ელავდა კორიანტელში და ისრის წვიმა წვიმდა. თეთრლაბადიანი ნუმიდიელები დასჭყვივლებდნენ, ხელებს აღმართავდნენ, მუხლებს აჭერდნენ ყალყზე შემდგარ ულაყებს, შემდეგ უეცრად გაბრუნდებოდნენ და თვალს მიეფარებოდნენ. შორიახლო ალალი იდგა. ღურკანი აქლემები ლახვრებით ჰყავდათ დატვირთული. მხედრები კვლავ ბრუნდებოდნენ, კიდევ უფრო შემზარავნი იყვნენ, მგელივით ყმუოდნენ და ქორივით დაქროდნენ. მწყობრის კიდეში მდგარი ბარბაროსები იცვლებოდნენ. ასე გასტანდა ხოლმე დაღამებამდე, ვიდრე მთას შეუყვებოდა ლაშქარი.

სპილოებისთვის სახიფათო იყო მთა-მთა სიარული, მაგრამ ჰამილკარმა მაინც არ დაიხია უკან და ჰერმეუმის კონცხიდან მწვერვალ ზაგუანამდე გადაჭიმულ გრძელ სერს მიჰყვა. ბარბაროსებმა ლაშქრის სიმცირის დასამალავად მოგონილ ხრიკად მიიჩნიეს ეს. ჰამილკარი ისე იქცეოდა, რომ დაუსრულებელი გაურკვევლობა დამარცხებაზე უფრო ტანჯავდა როქის მეომრებს; მაგრამ ისინი იხტიბარს არ იტეხდნენ და უკან მისდევდნენ სუფეტს.

ბოლოს, ერთ საღამოს, ვერცხლისა და ტყვიის მთებს შორის, ქარაფების გამყარი ხევის პირას, ბარბაროსები წამოენიენ ველიტებს. ისმოდა ფეხის ხმა და ნალარის დგერა. კართაგენის მთელი სპა უთუოდ წინ იყო. კართაგენელები გაუყვნენ ჭიუხისკენ. იგი გადადიოდა ველში, რომელსაც ნაჯახის მოყვანილობა ჰქონდა და სალი კლდეებით იყო შემოზღუდული. ბარბაროსები დაედევნენ ქვეითებს. გამოქანებულ ხარებთან ერთად შორიდან მორბოდნენ არულ-დარეული კართაგენელები. გამოჩნდა მენამულმოსასხამიანი კაცი. ეს ჰამილკარი იყო. მის სახელს გაჰყვიროდნენ. ბარბაროსთ სიშმაგე და სიხარული გაუორკეცდათ. ზოგნი ხეობის კიდეში შედგნენ, შეეზარათ შესვლა თუ სიფრთხილის გამო შეჩერდნენ; მაგრამ ტყეს შეფარებული მხედრები მოცვივდნენ, შუბის ძკერებითა და ხმლების ტრიალით შერეკეს ისინი ველზე.

ამოდენა ზღვა ხალხი ერთხანს ჩოჩქოლებდა და შემდეგ გაყურდა. გზას ვერ პოულობდნენ.

ვინც ხევის სიახლოვეს იდგა, უკან გაბრუნდა, მაგრამ გასასვლელი აღარ ჩანდა. მენინვეებს შეუძახეს – გზა განაგრძეთო. ისინი მთას შეეჯახნენ. დანარჩენები შორიდან ლანძღავდნენ თანამებრძოლებს, რომელთაც გზა ვერ გაეგნოთ.

როგორც კი ბარბაროსები თავქვე დაეშვნენ, კლდეს ამოფარებულმა კართაგენელებმა ძალაყინებით დააგორეს ლოდები. ციცაბო ფერდზე დაქანებულმა უზარმაზარმა ლოდებმა მთლად ჩახერგეს ვიწრო ყელი.

მინდვრის ბოლოს ორწოხი იყო, აქა-იქ ნაპრალებით დასერილი. იგი ღარტაფს უერთდებოდა, ღარტაფი კი გადადიოდა ზეგანში, სადაც პუნიკური ლაშქარი იდგა. ვიწრო ჭიუხზე, ზღუდედ აღმართულ კლდეზე, წინასწარ ჩამოეკიდათ კიბეები და მაღლა აცოცდნენ. ზოგი ხრამში ჩაეშვა და დანარჩენებმა თოკებით ამოათრიეს ისინი. ფეხქვეშ მოძრავი ქვიშა ჰქონდათ და კალთა ისე იყო წაფერდებული, რომ მუხლებზე ხოხვითაც კი ვერ შეძლეს ამოძრომა. ის იყო ბარბაროსებიც გაჩნდნენ, რომ ზეციდან ჩამოვარდნილი კედელივით დაეშვა მათ წინ ორმოცწერთიანი ტიხარი, რომელსაც ორწოხის შესაფერი განი ჰქონდა.

სუფეტის ჩანაფიქრი განხორციელდა. ბარბაროსები მთებს არ იცნობდნენ, წინამავლებმა სხვები წაიყოლიეს. ძირში მოვიწროებული კლდეები ადვილად იშლებოდა. ბარბაროსები გარბოდნენ. თვალსაწიერზე ჰამიკლარის ლაშქარი მოჩანდა. მისი მებრძოლები ისე გაკიოდნენ, თითქოს დიდი გასაჭირი დასდგომოდათ. სუფეტის ველიტთაგან მხოლოდ ნახევარი გადარჩა. ადვილი შესაძლებელი იყო მთლად დაღუპულიყვნენ, მაგრამ ოც ამდენ მსხვერპლსაც გაიღებდა ბარკა თავისი განზრახვის მისაღწევად.

ერთმანეთზე მიჯრილი ბარბაროსები გათენებამდე აწყდებოდნენ მინდვრის კიდეებს, კლდეებზე ხელის ფათურით ეძებდნენ გასაღწევს.

როგორც იქნა, ინათა. ბარბაროსებს ირგვლივ ერტყმოდა შუბებივით წამახული თეთრი ჭიუხების გაღავანი. გამარჯვების არავითარი იმედი არ იყო. ამ მიყრუებული ადგილიდან გასასვლელი ორივე გზა დაეგმანათ კართაგენელებს, ერთი – ტიხრით, მეორე – ლოდებით. ბარბაროსებმა უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს და ჩაიკეცნენ, ქუთუთოები დაუმიძიმდათ, საშინელმა სიცივემ დაზრინათ ტანში.

წამოიჭრნენ და კლდეებს ეცნენ. ყველაზე პატარა ლოდის დაძვრაც კი ვერ შეძლეს, ისე იყო ჩაჭედილი სხვებში. ცდილობდნენ, ჩაბლაუჭებოდნენ მათ და მაღლა ახოხებულებდნენ, მაგრამ ფეხს ვერ იკიდებდნენ ამოზურცულ და წყლტუ ქვებზე. ხევის ორივე მხრიდან მინის გათხრა იფიქრეს. იარაღები ჩაატყდათ ხელში. კარვის დედაბოძებით დიდი კოცონი გააჩაღეს, მაგრამ მთას ხომ ვერ დაწვავდა ცეცხლი.

შემდეგ ზღუდეს მოუბრუნდნენ. ტიხარში ჩასობილი იყო ქაცვივით წანვეტიებული და ჯაგრისის ძგვიტებივით ხშირი სამსჭვლები. ბარბაროსები ისე გაავდნენ, რომ მაინც ეძგერნენ ტიხარს. ხერხემლამდე გაატანა ლურსმნებმა, დანარჩენები მათ დააცხრნენ ზევიდან. მერე ყველანი ჩამოცვივდნენ, საზარელ რტოებს შეატოვეს ხორცის ნაფლეთები და სისხლში გათხვრილი თმის ბლუჯები.

ოდნავ ჩაუცხრათ გახელება და საჭმელი მოიკითხეს. როქის სპის საპალნეები გაბნეულიყო, ორიოდე დღის საგზალი შერჩენოდათ მხოლოდ. ზოგს არაფერი არ გააჩნდა. ისინი სამხრეთის დაბების დანაპირებ ალაღს მოელოდნენ.

ხევში ბარბაროსთა შესატყუებლად მორეკილი ხარები ირეოდნენ.. მეომრები ლახვრებით დაერივნენ მათ. შეექცნენ. ფაშვი რომ ამოიყორეს, გონება დაუდინჯდათ.

მეორე დღეს ყველა ჯორი დაკლეს, ორმოცივე გაატყაცეს, შიგნეული მოხარშეს, ძვლები დახრეს. სასონარკვეთილებამ იკლო. ტუნისის ლაშქარი, უეჭველია, შეიტყობდა მათ გასაჭირს და საშველად გამოსწევდა.

მესუთე საღამოს შიმშილი გამძვინვარდა. მთლად დაღრღნეს ხმლების აშურმები და ღრუბელი, რომელიც მუზარადს შიგნიდან ჰქონდა არშიად ამოდებული.

ორმოცი ათასი კაცი ირეოდა ცხენთა სარბიელივით მთებით შემოზღუდულ მინდორზე. ზოგი ტიხართან ან კლდის ძირთან იდგა. სხვები უთავბოლოდ დაეხეტებოდნენ ტაფობში. ვაჟკაცები თვალს არიდებდნენ ერთმანეთს, ჯაბანნი ეძებდნენ ძაღგულოვანთ, მაგრამ მათ შველა არ შეეძლოთ.

ჭირისა და სნების შიშით ველიტები საჩქაროდ დამარხეს. სამარეები უცებ გადაიქელა. ბარბაროსები ღონემიხდილნი ეყარნენ მიწაზე. ხანდახან თუ ჩაივლიდა ომში ნაცადი რომელიმე მებრძოლი. ღრიალით წყევლა-კრულვას უთვლიდნენ კართაგენს, ჰამილკარს და მათოს, თუმც მას ბრალი არ მიუძღოდა

მათ უბედურებაში. ასე ეგონათ, ტანჯვა შეუმცირებოდათ, სხვებსაც რომ გაეზიარებინა მათი სვედრი. გმინავდნენ. ზოგი ჩუმად იცრემლებოდა ბალღივით.

მეთაურებთან მიდიოდნენ, ევედერებოდნენ, რაიმე იღონეთო, შეგვიმსუბუქეთო გასაჭირი. ისინი ხმას არ იღებდნენ, ანდა ბრაზმორეულნი ქვას დაავლებდნენ ხელს და სახეში ესროდნენ მეომრებს.

ზოგნი საგულდაგულოდ ინახავდნენ მიწაში ჩაფლულ მარაგს: რამდენიმე მუჭა ინდისხურმას და ფქვილს. ღამლამობით მოსასხამს წაიფარებდნენ თავზე და ჩუმად ჭამდნენ. ვისაც ხმალი შერჩენოდა, ამონვდილი ეჭირა ხელში. ყველაზე მეტად უნდონი მთას მიყრდნობოდნენ და იდგნენ ფეხზე.

მებრძოლები ამტყუნებდნენ და ემუქრებოდნენ მეთაურებს. ოტარიდს მაინც არ ეშინოდა გამოჩენა. ბარბაროსის უტეხი სიჯიუტით დღეში ოცჯერ მაინც გასწევდა შორს, კლდეებისკენ და ყოველ წასვლაზე იმედი ჰქონდა, რომ ქარაფები გადაადგილებული დახვდებოდა. დაიარებოდა და დაარხევდა განიერ მხრებს, ტყავი ჰქონდა წამოსხმული, გაზაფხულის პირს ბუნაგიდან გამოზაფხავებულ დათვს ჰგავდა ოტარიდი, თოვლი თუ გალხვაო, — ამის შეტყობა სურდა თითქოს.

ბერძნებით გარშემორტყმული სპენდიუსი კლდის ერთ-ერთ ეხში დამალულიყო. ისე დაშინდა, რომ ხმა დაარხია თავისი სიკვდილის შესახებ.

ბარბაროსები საშინლად ჩამოხმნენ, კანი მოლურჯო ლაქებით დაეფარათ. მეცხრე საღამოს სამი იბერიელი მოკვდა.

მათი თანამოდმენი დაფეთდნენ და მიიმალნენ. გარდაცვლილთ სამოსელი შემოაძარცვეს. გაშიშვლებული თეთრი გვამები მზეზე ეყარა ქვიშაში.

გარამელებმა წრიალი იწყეს მათ ირგვლივ. ისინი უდაბნოში ცხოვრებას იყვნენ შეგუებულნი და არავითარი ღმერთი არ სწამდათ. ბოლოს ტომის უხუცესმა ანიშნა მათ. გარამელნი გვამებზე წაიხარნენ, დანებით ზოლებად ამოაჭრეს ხორცი. შემდეგ ჩაცუცქდნენ და მიირთვეს. სხვები შორიდან შესცქეროდნენ. შეშფოთებულ მეომრებს ყვირილი აღმოხდათ, მაგრამ სულის სიღრმეში შენატროდნენ მათ გამბედაობას.

ნაშუალამევს ზოგი მათგანი მიუჩოჩდა კაციჭამიებს. სურვილს არ ამხელდნენ, თავს იკატუნებდნენ, თითო ლუკმა ითხოვეს, ვითომდა გასასინჯად. გულმაგარნი ბაძავდნენ გარამე-

ლებს. კაციჭამიათა რიცხვმა იმატა. მალე მთელი ბრბო შეიყარა. ზოგს ცივი ხორცი რომ შეეხო ტუჩებზე, ხელები ჩამოუცვივდა; ზოგი, პირიქით, სიამოვნებით სანსლავედა.

სხვების ასაყოლებლად ერთმანეთის შეგულიანება იწყეს. ვინც ადრე იუარა, ისინი გარამელებთან მივიდნენ და აღარც მობრუნებულან უკან. ნაკვერჩხლებზე შებრანეს მახვილის წვერზე წამოგებული ნაჭრები, მტვერში ანებდნენ, ამარილებდნენ თითქოს და საუკეთესო ლუკმებისთვის დაობდნენ. სამი გვამი გაათავეს. ბარბაროსებმა თვალი მოავლეს მინდორს, საჭმელს ეძებდნენ.

აკი ჰყავდათ უკანასკნელ ბრძოლაში დატყვევებული ოცი კართაგენელი! კაციშვილს არ შეუნიშნავს ისინი, სადღაც გაქრნენ. მათი შეჭმით შურსაც იძიებდნენ, როგორმე ხომ უნდა ეცოცხლათ! რაკი გემო გაუგეს ლეშს, მაღაც გაეხსნათ. შიმშილით ხომ არ დაიხოცებოდნენ. დაკლეს თულუხჩები, მეჯინიბეები, როქის სპის ყველა ფარეში. ყოველდღე ხოცავდნენ ხალხს. ზოგნი ბევრს ჭამდნენ, ძალა მოიკრიბეს და აღარ ჭმუნავდნენ.

მარაგი მალე გამოეღიათ. დაჭრილებსა და სნეულებზე მიდგა ჯერი. სულ ერთია, მაინც ვერ გამომჯობინდებიან, ჯობს მათ ტანჯვას ბოლო მოეღოსო, – ამბობდნენ. როგორც კი ვინმე წაბარბაცდებოდა, ყველანი გაკიოდნენ, ამის საქმე წასულია, უკეთესია, სხვებს წაადგესო. დავრდომლთა სიკვდილი რომ დაეჩქარებინათ, ცბიერობდნენ, იპარავდნენ მათი არჩივი ცოდვილი კერძის უკანასკნელ ნარჩენებს, თითქოსდა უნებურად ფეხს აბიჯებდნენ ავადმყოფებს. მომაკვდავთ სურდათ ეჩვენებინათ, კარგად ვართო, და ხელებს შლიდნენ, წამოიწეოდნენ, იცინოდნენ. გულწასულნი გონს მოდიოდნენ ბლაგვი მახვილის შეხებისას, როცა ხელ-ფეხს კვეთდნენ მათ. ზოგჯერ კაცს კლავდნენ საჭიროების გარეშე, სისასტიკის გამო, თავიანთი შმაგი სურვილების დასაოკებლად.

ზამთრის მიწურულს ამ ადგილებისთვის ჩვეული მოთბო და შეხუთული ნისლი ჩამოწვა. მეთოთხმეტე დღეს ამინდის ცვლილებას მოჰყვა სიკვდილიანობა. მთებით შემოკავებული ტენიანი ჰაერი შეხურდა. საოცარი სისწრაფით იხრწნებოდა გვამები. ჟინჟღავდა, ცხედრები იცვარებოდა და ლპებოდა. მალე მთელი მინდორი თხრამლიან იარას დაემსგავსა. მოთეთრო ოხშივარი რიალებდა მაღლა ჰაერში. იგი კანში აღწევდა, ცხვირში

სცემდა და თვალს უცრემლავდა მებრძოლთ. ბარბაროსებს ეგონათ, თანამოძმეთა უკანასკნელი ამოსუნთქვაა ეს და მათ სულებს ვხედავთო. უსაზღვრო ზიზღმა აიტანა ისინი. აღარ სურდათ მძორი, სიკვდილი უფობდათ ამას.

ორი დღის შემდეგ გამოიდარა და კვლავ იგრძნეს შიმშილი. თითქოს შიგანს უგლეჯდნენ მარნუხებით, იკრუნჩხებოდნენ, მიწის ბელტებს იტენიდნენ პირში, ხელებს იკბენდნენ და გიჟურად ხარხარებდნენ.

წყურვილმა კიდევ უფრო გაანამა ბარბაროსები. წვეთი წყალი არ გააჩნდათ, მეცხრე დღეს აქეთ ყველა რუმბი ცარიელი იყო. წყურვილის მოსაკლავად მეომრები ენაზე იდებდნენ სარტყლებზე დამაგრებულ ლითონის ქაცვებს, სპილოს ძვლის ბუნიკებს, მახვილის პირს. ყოფილმა მექარავნებმა ბანარი წაიჭირეს მუცელზე. სხვანი ქვებს ლოკავდნენ ან თითბრის ჩაჩქნებში გაგრილებულ შარდს სვამდნენ. ბარბაროსები მოუთმენლად ელოდნენ ტუნისის ლაშქარს. მათი ვარაუდით, ამდენ ხანს დაყოვნება ჯარის მალე გამოჩენას მოასწავებდა. გარდა ამისა, მათოს სიმამაცის ამბავი რომ იცოდნენ, ასე არ მიატოვებდა თავის ლაშქარს. „ხვალ მოვლენ!“ – ამბობდნენ ბარბაროსები. ხვალე ხვალეს მისდევდა.

თავდაპირველად ლოცულობდნენ, აღთქმას დებდნენ, ათასგვარ თილისმას მიმართავდნენ. ახლა ღვთაებათა მიმართ სიძულვილის მეტს არაფერს გრძნობდნენ. ცდილობდნენ გულიდან ამოერეცხათ რწმენა, რომ ამით შური ეძიათ ღმერთებზე.

მშფოთვარე ხალხი ადრე ილუპებოდა. აფრიკელები გალებზე უფრო ამტანნი აღმოჩნდნენ. ზარქსასი ბალეარელთ შორის გამოტილიყო, თმები მკლავზე გადაეგდო და ინვა გარინდებული. სპენდიუსმა ფართოფოთლებიანი წვნიანი მცენარე იპოვა, სხვები რომ არ შეცილებოდნენ, განაცხადა – შხამიანიო – და წუნნიდა.

მეომრები ისე მისუსტდნენ, რომ ქვა ვერ მოექნიათ მოფრენილი ყორნებისთვის. ხანდახან, როცა კრავიჭამია დააცხრებოდა ლეშს და ჯიჯგნიდა, კაცი მიხოხდებოდა მასთან, კბილებში დანა ჰქონდა გაჩრილი; ბარბაროსი ცალ ხელს დაიბიჯებდა, მიზანში ამოიღებდა ფრინველს და ესროდა დანას. თეთრბუმბულიან მტაცებლს ჩქამი დააფრთხოდა, შეჩერდებოდა, ზვირთებში ჩაფლულ თევზიყლაპიასავით მშვიდად მიმოიხედავდა და კვლავ ჩაყოფდა მძორში თავის საზარელ ყვითელ

ნისკარტს. იმედდანურული კაცი პირქვე ვარდებოდა მტვერში. ზოგმა ქამელეონს მიაგნო, ზოგმა გველს. რა აცოცხლებდათ და – სიცოცხლის სიყვარული. ერთ აზრს ჩაბლაუჭებოდნენ, ნებისყოფა დაეძაბათ, არსებობას იყვნენ მიჯაჭვულნი და მართლაც გაუხანგრძლივდათ სიცოცხლე.

ყველაზე გამძლენი ერთმანეთის სიახლოვეს, მკვდრებს შორის წრიულად დამსხდარიყვნენ შუა მინდორში, მოსასხამებში გახვეულიყვნენ და უჩუმრად მისცემოდნენ სევდას.

ქალაქში დაბადებულებს აგონდებოდათ ხმაურიანი ქუჩები, დუქნები, თეატრები, აბანოები და სადალაქოები, სადაც უამრავ ამბავს მოჰყარავ ყურს. სხვებს ელანდებოდათ სოფლები. ჩამავალი მზის შუქზე ოქროსფრად ღელავდა ჯეჯილი და გორაკებს მიუყვებოდნენ ნაპატიები ხარები, რომელთაც უღელი ჰქონდათ ქედზე. მოგზაურები წყალსატევებს ნატრობდნენ, მონადირენი ტყეებს იხსენებდნენ; მრავალმგადახდილი მეომრები ბრძოლებზე ფიქრობდნენ. ბურანში იყვნენ გახვეულნი, აზრი სიზმრის ხატოვანებასა და მიმზიდველობას იძენდა, უეცრად ჩვენებები ეცხადებოდათ; მთის გადასერვა სურდათ და გასასვლელს ეძებდნენ გასაქცევად. სხვებს ეგონათ, რომ ქარიშხალში ხომალდს უძლოდნენ; ზოგი ღრუბლებში პუნიკურ ლაშქარს ხედავდა და უკუიქცეოდა შეშინებული; ზოგმა ღრეობაზე წარმოიდგინა თავი და მღეროდა..

ბევრ მათგანს უცნაურად აჰკვიატებოდა ერთი და იგივე სიტყვა ან ერთი და იგივე ქცევა. შემდეგ, თავს რომ წამოსწევდნენ და ერთმანეთს გადახედავდნენ, ქვითინით იხრჩობოდნენ გატეხილი და განადგურებული სახეების დანახვაზე. ზოგიერთი უკვე აღარ იტანჯებოდა. დროის მოსაკლავად ერთმანეთს მოუთხრობდნენ თავს გარდახდილ ფათერაკებს.

ყველასთვის ცხადი და გარდაუვალი იყო სიკვდილის სიახლოვე. რამდენჯერ შეეცადნენ გვირაბის გაჭრას! გამარჯვებულებს რომ თათბირი შესთავაზონ? მაგრამ რა გზით? ჰამილკარის ასავალ-დასავალი არ იცოდნენ.

ლარტაფიდან მონაბერი ქარი ტიხარს ზემოდან ტალღებად ისროდა დაბლიდან ახვეტილ ქვიშას. ბარბაროსთა თმები და ლაბადები ისე დაეფარა ქვიშას, თითქოს მიწას მათი დასამარება მოსურვებოდა, ამოზიდულიყო და ნაჰხუროდა ზემოდან. არაფერი არ იძვროდა. მხოლოდ მარადიული მთა მალღებოდა დღითი დღე თითქოს.

ზოგჯერ ჩიტუნების გუნდი ფრთების ფათქუნით გადაეცლებოდა ლურჯ ცას, გაინავარდებდა უსასრულო სივრცეში. განწირულები თვალებს ხუჭავდნენ, რომ არ დაენახათ ზეცის თავისუფალი ბინადარი.

ჯერ ყურები უწიოდათ, მერე ფრჩხილები ჩაუშვდათ, სიცივე ჩაუდგათ მკერდში. გვერდზე გადაბრუნდებოდნენ და სულს ლაფავდნენ ყვირილ-წივილის გარეშე.

მეცხრამეტე დღეს დახოცილი იყო ორი ათასი აზიელი, არქიპელაგიდან მოსული ათას ხუთასი მებრძოლი, რვა ათასი ლიბიელი, ყველაზე ახალგაზრდა მეომრები და კიდევ სხვა ტომები ერთიანად. სულ ოცი ათასი კაცი, ლაშქრის ნახევარი იყო გაჟლეტილი.

ოტარიდს ორმოცდაათი მებრძოლია შერჩა. ის-ის იყო თავის მოკვლა და ტანჯვისთვის ბოლოს მოღება გადანყვიტა, რომ მთის მწვერვალზე ვილაც გამოჩნდა.

იგი ისე მალლა იდგა, რომ ქონდრის კაცს ჰგავდა. ოტარიდმა მაინც გაარჩია მის მარცხენა ხელში სამყურა ბალახის მოყვანილობის ფარი და წამოიძახა: „კართაგენელი!“ მინდორში, ტიხართან და კლდეებქვეშ მოკალათებული ბარბაროსები წამოიშალნენ. კართაგენელი ფლატის კიდეში მიმოდიოდა. ბარბაროსები ქვემოდან შესცქეროდნენ მას.

სპენდიუსი ხარის თავს დასწვდა, ორი ქამარი გვირგვინად შეკრა, რქებზე დაამაგრა და სარზე წამოაგო თავი. ეს მშვიდობიანი ზრახვების ნიშანი იყო. კართაგენელი გაქრა. ბარბაროსები ელოდნენ.

სალამოს ქარაფს მოწყვტილ ქვასავით ზემოდან ჩამოვარდა გრაგნილი. ეს იყო აღმასის სამი ვარსკვლავით შემკული წითელი ტყავის აშურმა. შუაში დატვიფრული ჰქონდა დიდი საბჭოს ნიშანი – პალმის ქვეშ მობალახე ცხენი. ასე უპასუხა ჰამილკარმა ბარბაროსთ, მან საშვი გამოგზავნა.

ალარაფრის აღარ ეშინოდათ. მათი ხვედრის ყოველგვარ ცვლილებას ტანჯვა-ვაების დასასრული უნდა მოჰყოლოდა. ბარბაროსები უნაპირო სიხარულმა აიტანა. ერთმანეთს ეხვეოდნენ, იცრემლებოდნენ. სპენდიუსმა, ოტარიდმა, ზარქსასმა, ოთხმა იტალიელმა, ზანგმა და ორმა სპარტელმა დესპანობა იკისრეს. ლაშქარი დაეთანხმა მათ, მაგრამ არ იცოდნენ, რა გზით გაელნიათ აქედან.

კლდეების მხარეს საშინელი გრუხუნი გაისმა. უზარმაზარი ლოდი შეირყა და ჩამოვარდა. ბარბაროსთაგან ლოდები ხელშეუვალი იყო, მათი ნაფერდება ჭირდა. გარდა ამისა, ისინი ვინრო ხევში იყვნენ ჩაჭედილი. ზემოდან კი ძლიერი დარტყმა კმაროდა მათ გადმოსაგორებლად. კართაგენელებმა უბიძგეს და ალიონზე ველი მთლად დახერგილი იყო. ლოდები ნანგრევებად ქცეული უშველებელი კიბის საფეხურებს ჰგავდნენ.

ბარბაროსებმა ვერ შეძლეს აძრომა. მაშინ ზემოდან კიბეები ჩამოუშვეს. ყველანი ერთად ეცნენ კიბეებს. ფილაკენის ზათქმა უკუაგდო ისინი. ათი კაცი აიყვანეს მხოლოდ.

კართაგენელებმა აქეთ-იქით ბადრაგად ამოუყენეს მათ კლინაბარები. ბარბაროსები ცხენის გავას ეყრდნობოდნენ თავის შესამაგრებლად.

ადრინდელი სიხარული გაქრა და შფოთმა მოიცვა წარგზავნილები. ჰამილკარის მოთხოვნები სასტიკი იქნება ალბათ.

– მე დაველაპარაკები! – აშოშმინებდა მათ სპენდიუსი. თან ნაიტრაბახა – სიტყვა-პასუხი მივარგა, ლაშქრის საკეთილდღეოდ წავიყვან საქმესო.

ყოველ ჩირგვთან გუშაგი იყო ჩასაფრებული. ისინი მიწას გაწერტხნენ, სპენდიუსის მხარზე გადაკიდებული წითელი აშურმა როცა დაინახეს.

პუნიკურ ბანაკს რომ მიაღწიეს, ბრბო შემოერტყათ გარს. ყური მოჰკრეს ჩურჩულსა და სიცილს. ერთი კარვის კალთა გადაიხსნა.

კარვის სიღრმეში სკამზე იჯდა ჰამილკარი. მის სიახლოვეს დაბალ ტაბლაზე გამიშვლებული ხმალი ელავდა. სუფეტს სარდლები შემოსჯარვოდნენ.

ბარბაროსების დანახვაზე უკან გადაინია, მერე გადმოიხარა და დააკვირდა მათ.

გუგები გაფართოებოდათ, ამოლამებული თვალის უპეებიდან ყურებს სწვდებოდა შავი წრეები. ღრმა ნაოჭებით დაღარულ ჩამომხმარ ლოყებს შუა წაგრძელებოდათ გალურჯებული ცხვირი; მომჩვარული კანი ასპიტისფერ ჭუჭყს დაეფარა, ტუჩები ჩაყვითლებულ კბილებს შესწებებოდა. ისეთი სიმყრალე ამოსდიოდათ პირიდან, რომ ღრიჭოდ დატოვებული სამარხი ეგონებოდა კაცს. ცოცხალი ლეშები იყვნენ.

შუა კარავში, მეთაურების ფეხმოსართხმელ ჭილობზე, ოხშივარი ასდიოდა გოგრას. ბარბაროსები მთელი ტანით აცახ-

ცახდნენ, მზერა ვერ მოაცილეს მას, თვალზე ცრემლი მოადგათ. მაინც იკავებდნენ თავს.

ჰამილკარი შებრუნდა, ვილაცას გამოელაპარაკა. მაშინ კი ყველანი დააცხრნენ საჭმელს, პირქვე ჩაემხნენ. სახე ქონით გაეზინზლათ, სიხარულის ქვითინს ერთოდა ყბების კაპუნი. კართაგნელებს ისინი არ შებრალებიათ, მაგრამ გაოცების გამო დააცალეს დამშეულებს კარდლის ამოთავება. როცა წამოიშალნენ, ჰამილკარმა აშურმიანს ანიშნა, – თქვით. დამფრთხალი სპენდიუსი აღულლულდა.

ჰამილკარი უსმენდა, თან ატრიალებდა თითზე წამოცმულ ოქროს ბეჭედს, რომლითაც აშურმაზე გერბი დაეტვიფრა. ძირს დააგდო ბეჭედი. სპენდიუსი იმავე წამს დასწვდა. ბატონის წინ რომ აღმოჩნდა, მასში კვლავ გაიღვიძა მონურმა ჩვევამ. დანარჩენები აძაგდადნენ, ითაკილეს მისი უღირსი ქცევა.

მაგრამ ბერძენმა ხმა აიმაღლა, ილაპარაკა ჰანონის ბოროტმოქმედებებზე. იცოდა, რომ ის მტრობდა ბარკას. ცდილობდა მისთვის თავი შეეცოდებინა, წვლილად მოუთხრო თავისი თანამოძმეების გასაჭირი, როქის სპის ერთგულებაც მოაგონა. კარგა ხანს იქაქანა. ლაპარაკობდა სხაპასხუპით, ცბიერად და, ცოტა არ იყოს, უკემხადაც კი. ბოლოს ისე აღევჩნო, რომ თავი დაკარგა.

ჰამოლკარმა მიუგო – თქვენს მობოდიშებას შევიწყნარებო. ზავი ჩამოვარდება, საბოლოო ზავი! მაგრამ ათი მძევალი მოითხოვა. მძევლებს მე თვითონ შევარჩევ, იარაღაყრილნი უნდა იყვნენ, ტუნიკაც კი არ უნდა ეცვათო.

ელჩები არ ელოდნენ ასეთ ღმობიერებას.

– ოცს მოგვვრით, თუ ინებებ, ბატონო! – წამოიძახა სპენდიუსმა.

– არა, ათი კმარა, – მშვიდად უპასუხა ჰამილკარმა.

ისინი გარეთ გავიდნენ მოსათათბირებლად. განმარტოვდნენ თუ არა, ოტარიდი მსხვერპლად გასანირავ თანამებრძოლებს გამოესარჩლა. ზარქსასმა უსაყვედურა სპენდიუსს;

– რატომ არ მოკალი? შენ გვერდით ეგდო მისი ხმალი!

– ის მომეკლა?! – სპენდიუსმა ზედიზედ გაიმეორა, – ის! ის! – თითქოს შეუძლებელს სთხოვდნენ ან ჰამილკარი ყოფილიყოს უკვდავი.

სისუსტე ისე მოერიათ, რომ მიწაზე განვნენ. არ იცოდნენ, რა ელონათ.

სპენდიუსი ამხანაგებს არწმუნებდა, დავუთმოთო. ბოლოს მათ კვერი დაუკრეს ბერძენს და ყველანი კარავში შებრუნდნენ.

სუფეტმა რიგრიგობით ხელი ჩამოართვა ბარბროსებს, ათივეს ცერზე წაუჭირა ხელი, მერე სამოსელზე შეიხოცა, შეეზარა მათი მწვირიანი და ქონით გაპოხილი კანის შესება. შემდეგ იკითხა:

– თქვენ ყველანი ბარბაროსთა თავკაცები ხართ და ყველას მაგიერ შემომფიცეთ?

– ჰო! – უპასუხეს.

– ძალდაუტანებლად? ნამდვილად სულითა და გულით გასურთ აღთქმულის განხორციელება?

ბარბაროსები ირწმუნებოდნენ, თანამოძმეებთან იმიტომ ვბრუნდებით, დანაპირები შევასრულოთო.

– ძალიან კარგი! ჩემ და თქვენ შორის, ბარბაროსთა წარმოგზავნილებს შორის, მომხდარი შეთანხმების საფუძველზე ამომირჩევიხართ, დარჩებით ჩემთან!

სპენდიუსი გულწასული დაეცა ქილობზე. ბარბაროსებმა თითქოს მიატოვეს იგი, განზე გადგნენ და ერთად შეჯგუფდნენ. სიტყვა არ თქმულა, არავის დაუჩივლია.

თანამბრძოლები დიდხანს ელოდნენ წარგზავნილებს, მაგრამ ისინი არ ჩანდნენ და ჯარმა იფიქრა – გვიღალატესო. მეომრებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ სუფეტმა გადაიბირა მათი ელჩები.

კიდევ ორ დღეს შეიცადეს. მესამე დილას გადანყევტილება მიიღეს. ტილოს ნაფლეთებს საფეხურებივით გარდიგარდმო გადაასკვნეს თოკები, შუბები, ქეიბურები და ახოხდნენ. უკან მოიტოვეს სამ ათასამდე დავრდომილი და დაიძრნენ, რათა ტუნისის ლაშქარს შეერთებოდნენ.

ტაფობის ზემოთ ჯაგებით დაფარული ზეგანი იყო. ბარბაროსებმა კვირტები შესანსლეს. შემდეგ ცერცვის ნათესებში მოხვდნენ. ყველაფერი ისე გაცამტვერდა, თითქოს კალიების ღრუბელს გადაეველო ველზე. სამი საათის შემდგომ მიაღწიეს მეორე ზეგანს, რომელსაც ამწვანებული გორაკი ეკვროდა.

ოკრობოკრო ბორცვებზე ვერცხლისფრად ელავდა ერთმანეთის შორიახლო დაყრილი ძნები. მზე თვალს სჭრიდა ბარბაროსებს და ისინი ძლივს არჩევდნენ ქვემოთ რაღაცას შავსა და

დიდს, რომელსაც ძნები გადაჰქონდა. შემდეგ კონები მაღლა აიზიდა, თითქოს გადაიფურჩქნა. თურმე ეს იყო შიშისმგვრელად შეიარაღებული სპილოების ხუხულებზე დასობილი ლახვრები.

გარდა მკერდზე დამაგრებული მახვილებისა, წამახული ეშვებისა, გვერდებზე შემოკრული თითბრის თორნისა და სამუხლებში ჩატანებული ხანჯლებისა, ხორთუმზე წამოცმული ჰქონდათ ტყავის რგოლები, რომლებშიც დიდი ბებუთების ტარები იყო გაჩრილი. სპილოები ერთად დაიძრნენ ველის კიდიდან და ორივე მხრიდან გვერდიგვერდ გამოემართნენ.

აუნერელმა ძრწოლამ გააშეშა ბარბაროსები. გაქცევას არ ცდილან. გარემოცულნი იყვნენ უკვე.

სპილოებმა გადაქელეს ბარბაროსთა რიგები. მათი მკერდიდან ამოწვდილი მახვილი ორად აპობდა ლაშქარს; სახნისი რომ მიწას ამოაბრუნებს, ეშვები ასე თავდაყირა ატრიალებდა მებრძოლეს. სპილოები ბარბაროსებს ჭრიდნენ, ჩეხდნენ, ცელავდნენ ხორთუმებით. მოსიარულე ვულკანებს წააგავდნენ კოშკები, საიდანაც აღმოდებული ქეიბურები მოქროდა. არაფერი გაირჩეოდა უზარმაზარი გროვის გარდა, აქა-იქ თეთრ ლაქებად ჩანდა ადამიანთა სხეულები. თითბრის წამსხვრევები მონაცრისფრო ფირფიტებს ჰგავდა, წითელი ძაფის მურგივით მოჩანდა სისხლის ტბორები. შემზარავი ცხოველები ჯეკნიდნენ ადამიანებს და შავ ხნულებს ტოვებდნენ. ყველაზე მძვინვარე სპილოს ჯილიანი ნუმიდიელი მოუძლოდა. იგი საოცარი სისწრაფით ისროდა სათხედებს, თან გამაყრუებლად სტვენდა. ძალღივით თვინიერ ვეება ცხოველებს ამ ხოცვა-ჟლეტაში ცალი თვალი მისკენ ეჭირათ.

სპილოების წრე ნელ-ნელა შევიწროვდა. ღონემიხდილი ბარბაროსები აღარ უძალიანდებოდნენ მათ, მალე სპილოები შუა მინდორში აღმოჩნდნენ. გასაქანი არ ჰქონდათ, ყალყზე დგებოდნენ, დრტვინავდნენ, ეშვებს ატაკებდნენ ერთმანეთს. ნარჰავასმა სწრაფად დაიურვა ისინი. სპილოები შებრუნდნენ და გორაკებს მიაშურეს.

მარჯვნივ, ტაფობისკენ გაქცეულ ბარბაროსთა ორმა სინტაგმამ იარაღი დაყარა, პუნიკური კარვების წინ დაიჩოქა და ხელაღპყრობილმა ითხოვა შებრალება.

ისინი გათოკეს, ერთიმეორის გვერდით გაანვინეს მიწაზე და მორეკეს სპილოები.

თითქოს სკივრები იმტვრეოდა, ისმოდა შელენილ მკერდთა მსხვრევის ხმა. თითო ნაბიჯის გადადგმაზე ორ კაცს სრესდა სპილო. უზარმაზარი ფეხები ეფლობოდა სხეულებში, სპილოები ბორძიკობდნენ, თითქოს კოჭლობდნენ; სვლას განაგრძობდნენ და ბოლომდე ჩაათავეს ბარბაროსთა რიგები.

ველზე კვლავ არაფერი არ იძვროდა. ღამე ჩამოწვა. ჰამილკარი ტკბებოდა შურისძიების ხილვით. უეცრად შეკრთა.

მარცხნივ, ბექობზე, ექვსასიოდ ნაბიჯზე მან თვალი მოჰკრა ბარბაროსებს. სხვებმაც დაინახეს ისინი. ყველაზე უდრეკი ოთხასი მებრძოლი – ეტრუსკები, ლიბიელები და სპარტელები – ადრევე გაჭრილიყვნენ მთებში და აგერ აქამდე ვერა ელონათ რა. თანამებრძოლთა გაჟლეტის მერე გადანყვიტეს კართაგენელთა რიგები დაენიოკებინათ. მჭიდროდ დაჯრილნი დაეშვნენ ფერდობზე. დიდებული სანახავი იყვნენ.

ჯარჩი შეეგება მათ. სუფეტს მეომრები სჭირდება, თან ისე ალტაცებულია თქვენი სიმამაცით, რომ ყოველგვარ მოთხოვნილებათა გარეშე მზადაა შეგინყნაროთო. ცოტას თუ გამოიყვებით, გირვენებთ ადგილს, სადაც საჭმელ-სასმელი დაგხვდებათო, – დაატანა კართაგენელმა.

ბარბაროსები გაჰყვნენ და მთელი ღამე ჭამაში გაატარეს. კართაგენელებმა ყვედრება დაუწყეს სუფეტს, ბარბაროსებს მიკერძოებით ექცევიო.

კაცმა არ იცის, ჰამილკარი თავისი ლაშქრის დაუცხრომელ სიძულვილს აჰყვა, თუ კარგად შენიღბული ვერაგობა იყო ბარბაროსთა შეკედლება. მეორე დღეს თავშიშველი და იარაღაყრილი სუფეტი კლინაბართა რაზმის თანხლებით მივიდა ბარბაროსებთან. ბევრი ხალხი მყავს სარჩენი და ყველას ვერ შეგიფარებთ, თან მეომრები მჭირდება. როგორ შევარჩიო უკეთესები, არ ვიციო, – განაცხადა და ბარბაროსთა შესთავაზა: სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეტაკეთ ერთმანეთს, რათა გამარჯვებულები განსაკუთრებულ რაზმში მიგიღოთ, სხვაგვარ დალუპვას ასეთი სიკვდილი სჯობსო. შემდეგ თავისი მებრძოლები განზე განია, რადგან პუნიკური აღმები ცის დასალიერს ფარავდა და ბარბაროსებს დაანახვა ერთ რიგად ჩამნკრივებული ნარჰავასის ასოთხმოცდაცხრამეტი სპილო. ისინი ხორთუმებზე დამაგრებულ მახვილებს იქნევდნენ და წალდმომარჯვებულ გოლიათებს ჰგავდნენ.

ბარბაროსებმა უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს. გადაფითრდნენ. სიკვდილი კი არ აშინებდათ, ძრწოლას ჰგვრიდათ საზარელი პირობა, ურომლისოდაც მიუსაფარნი რჩებოდნენ.

ზიარმა ყოფა-ცხოვრებამ სათუთი მეგობრობა ჩანერგა მათ შორის. უმეტესობისთვის ბანაკი იყო მამულის მაგიერი. ოჯახურ სიტბოს მოკლებულებს თანამებრძოლებზე გადაჰქონდათ ალერსის მოთხოვნილება; ვარსკვლავების შუქზე ეძინათ ერთმანეთის გვერდით, ერთ მოსასხამქვეშ. ქვეყნის ზურგზე უგზო-უკვლოდ ხეტიალის დროს, სიკვდილისა და ხიფათის პირისპირ მათ შორის საოცარი ტრფობა ჩაისახა. გაჩნდა ქორწინებაზე არანაკლებ მყარი სამარცხვინო ურთიერთობანი. ომის ქარცეცხლში უფრო ძლიერი მებრძოლი იცავდა ჭაბუკს, ეხმარებოდა უფსკრულებზე გადახტომისას, ოფლს სწმენდდა ციებ-ცხელებით გახურებულ შუბლზე, საჭმელს იპარავდა მისთვის. მეორე კი, გზის პირას ნაპოვნი და შეკედლებული ბავშვი, შემდეგ როქის მეომრად ქცეული, მეგობარს ერთგულებაზე სინაზეს აგებებდა პასუხად და მეუღლის სიამტკბილობას სთავაზობდა.

ცვლიდნენ შიბებსა და საყურეებს, რომლებიც თრობის ჟამს, დიდი განსაცდლის მერე უძღვნეს ერთმანეთს. სიკვდილი ერჩიათ, არვის სურდა კვლა. ჭაბუკი ეუბნებოდა ხანდაზმულს: „არა! არა! შენ ჩემზე ამტანი ხარ! მათ უფრო მიუზღავ სამაგიეროს, მომკალი!“ საპასუხოდ ისმოდა: „მე ნაკლები ხანი დამრჩენია სასიცოცხლოდ! შიგ გულში ჩამკარ და დამივიწყე!“ ძმებს ხელები ჩაეჭიდათ და შესცქეროდნენ ერთმანეთს; მიჯნურები იდგნენ, სამარადჟამოდ ეთხოვებოდნენ და ცრემლს ღვრიდნენ ერთიმეორის მკერდზე.

თორნ-აბჯარი შეიხსნეს, რათა ადვილად ჩასობოდათ მახვილის წამახული პირი. გამოჩნდა კართაგენისთვის ბრძოლებში ნაჭრილობევი მათი გულ-მკერდი, უშველებელი ნაიარევები. სვეტზე ამოკვეთილი წარწერებივით მეტყველებდნენ ისინი.

ბარბაროსები გლადიატორებივით ჩარიგდნენ ოთხ თანაბარ მწკრივად. გაუბედავად შეუდგნენ საქმეს. ზოგმა თვალები აიხვია და ბრმის კომბალივით ნელა მოიქნია მახვილი. კართაგენელები ხორხოცობდნენ, გაიძახოდნენ – ლაჩრები ხართო. ბარბაროსები გამოცოცხლდნენ და გაჩაღდა საერთო ბრძოლა, ელვისებურად სწრაფი და საზარელი.

ზოგჯერ სისხლჩამომდინარე ორი მებრძოლი შედგებოდა, ერთმანეთს მკლავებში უვარდებოდნენ, კოცნიდნენ და ასე

კვდებოდნენ. ბარბაროსთა სიშმაგემ დააფრთხო მოშორებით მდგარი კართაგენელები.

ბოლოს როქის მეომები შეჩერდნენ. ხროტინებდნენ. გრძელი დალალები სისხლში გათხვროდათ, თითქოს წითელი აბაზანიდან ამოსულიყვნენ. გაბურძენილ და ჩამოშლილ თმებში თვალები ელავდა. ზოგი შუბლში დაჭრილ ავაზასავით ბორგავდა. სხვები უძრავად იდგნენ და მათ ფერხთით დაგდებულ გვამებს დაჰყურებდნენ. შემდეგ სახეს იხოკავდნენ ფრჩხილებით, ორივე ხელს დაავლებდნენ მახვილს და მუცელში ჩაიცემდნენ.

სამოცი დარჩა ცოცხალი. წყალი მოითხოვეს. კართაგენელებმა გასძახეს – ხმლები დაყარეთო. როცა მახვილი ჩააგეს, წყალი მოუტანეს.

ვიდრე სვამდნენ სარწყულში თავჩარგულნი, სამოცი კართაგენელი მიიჭრა და ზურგში ჩასცა მათ ხანჯალი.

ბარკა თავისი ვნებააშლილი ლაშქრის საამებლად მოიქცა ასე, თანაც ამ ვერაგობით კიდევ უფრო შემოიმტკიცა სპა.

ომი დასრულდა, ყოველ შემთხვევაში ჰამილკარი ასე ფიქრობდა. მათოს წინააღმდეგობას აღარ მოელოდა. მოუთმენლობამ შეიპყრო სუფეტი და დაძვრა უბრძანა ლაშქარს.

მაცნეები ეახლნენ და მოახსენეს, რომ მთისკენ მიმავალი ალაღისთვის მოუკრავთ თვალი. ჰამილკარს ეს არ ანაღვლებდა. როქის სპა განადგურებულია, ამიერიდან მომთაბარენი ველარ შეაწუხებენ. მთავარია ტუნისის აღება. ჩქარი ნაბიჯით გასწია იქით.

კართაგენში ნარჰავასი აფრინა გამარჯვების მახარობლად. მიღწევებით გაამაყებული ნუმიდიელთა მეფე სალამბოს წინაშე წარდგა.

ქალმა ნალკოტში, დიდი ნეკერჩხლის ძირას, მიიღო იგი. ტანაქი თან ახლდა. სალამბო ყვითელი ტყავის ბალიშებზე იყო მხარ-თეძოზე მიწოლილი. მხოლოდ თვალები უჩანდა, შუბლსა და ბაგეებს სახეზე ჩამოზურული თეთრი რიდე უმაღავდა. გამჭვირვალე ქსოვილში ისე ელავდა ბაგეები, როგორც პატიოსანი თვლები ასულის თითებზე. ხელებიც დაფარული ჰქონდა. ვიდრე საუბრობდნენ, ერთხელაც არ შერხეულა.

ნარჰავასმა ბარბაროსთა დამარცხება შეატყობინა. სალამბომ დალოცა და დაუმაძღა მამამისისთვის გაწეული სამსახური. შემდეგ ბრძოლის ამბების თხრობა იწყო ვაჟმა.

მათ ირგვლივ აშოლტილ პალმებზე ტკბილად ღუღუნებდნენ მტრედები, ბალახებში დაფათურებდნენ ტარტესული მწყრები

და პუნიკური ციცრები. მოუვლელად მიშვებული ბაღი დაბურულიყო. აკაციის ვარჯში გახლართულიყო აყირო, ვარდნარს შორვალა შერეოდა, ათასგვარი სარეველა გადაბლარდნოდა ერთმანთს, ფანჩატურები გაჩენილიყო. მზის სხივები ირიბად ეშვებოდა და ფოთოლთა ჩრდილს ჰფენდა მინაზე სწორედ ისე, როგორც ტყეში. მოშინაურებული ცხოველები გაგარეულებულიყვნენ, მცირე ჩქამზე ფრთხებოდნენ. აქა-იქ ქურციკი გამოჩნდებოდა, პანია შავ ჩლიქებზე ფარშევანგის ფრთები ჰქონდა დამაგრებული. ქალაქის შორეული ხმაური ტალღების ბუტბუტში იკარგებოდა.

ნარჰავასი დადუმდა. სალამბო შეჰყურებდა, არაფერი უთქვამს პასუხად. ჭაბუკს ყვავილებით მოხატული სელის კაბა ემოსა. კაბას ოქროსფორებიანი ქობა ჰქონდა მოყოლებული. ყურს უკან გადანულ თმას ვერცხლის ორი ისარი უმაგრებდა. მარჯვენათი ჩამოყრდნობოდა ქარვის ბურთულებით შემოსალტულ და ბუმბულით დამშვენებულ შუბის ტარს.

სალამბო შესცქეროდა ნარჰავასს და ფიქრები ეხვეოდა. ტკბილმოუბარმა და ქალივით ტანწერწეტა ვაჟმა დაატყვევა მისი მზერა თავისი სინატიფითა და მოხდენილობით. სალამბომ გულში გაივლო – ბაალებმა მფარველად უფროსი და თუ მომივლინესო. მათო გაახსენდა, უნდოდა შეტყო, რა შეემთხვა მას. სურვილს ვერ გაუძალიანდა.

ნარჰავასმა მიუგო, კართაგენელებმა ტუნისის დასაპყობად გასწიესო. მოსალოდნელ გამარჯვებასა და მათოს სისუსტეზე რომ ლაპარაკობდა, ქალი არაჩვეულებრივად გახარებული ჩანდა. ბაგეები უთრთოდა, მკერდი უძგერდა. ბოლოს, როცა ნარჰავასი დაჰპირდა, მათოს მე თვითონ მოვკლავო, სალამბომ წამოიძახა: „ჰო! მოკალ! ღირსია!“

წუმიდიელმა უთხრა, რომ სწყურია მისი სიკვდილი, რადგან ამით ომი დასრულდება და შეირთავს სალამბოს. ქალი შეკრთა, თავი დახარა.

ნარჰავასმა მაინც განაგრძო. თავის წადილს ადარებდა წვიმას მონატრებულ ყვავილებს, გზააბნულ ყარიბს, რომელიც გათენებას მოელის. კიდეც უთხრა, მთვარის ულამაზესი და ნიავის უნაზესი ხარ, დიდი ხნის ნანატრ სტუმარზე უფრო მესურვიო. ზანგთა ქვეყნებიდან ისეთი ნივთების ჩამოტანა აღუთქვა, როგორიც კართაგენში არ იშოვებოდა; ჩვენი სასახლის დარბაზებში ოქროს ქვიშა იქნება მობნეულიო, – ეუბნებოდა.

შესაღამოვდა. ინის სურნელი დადგა. კარგა ხანს უსიტყვოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ღრუბლებში გამომკრთალ ორ ჩახჩახა ვარსკვლავს უგავდა თვალები რიდემობურულ ასულს. მზის ჩასვლამდე ვაჟი წავიდა.

კართაგენს რომ გაეცალა ნუმიდიელთა მეფე, შეშფოთებულიმა უხუცესებმა შვეებით ამოისუნთქეს. ხალხი ადრინდელზე მეტი აღფთოვანებით შეხვდა მას. ჰამილკარი და ნარჰავასი თუ უხუცესთა დაუხმარებლად გაიმარჯვებენ, მერე წინ ვერაფერი დაუდგებოდა მათ. ამიტომ გადანყვიტეს, ბარკას დასასუსტებლად რესპუბლიკის ხსნაში წილი რგებოდა მათთვის სასურველ ბებერ ჰანონს.

იგიც სასწრაფოდ გაეშურა დასავლეთის მხარეს, სურდა შური ეძია სწორედ იმ ადგილებში, სადაც ადრე სირცხვილი ჭამა. მაგრამ მოსახლეობა და ბაბაროსები ან ამონყვეტილი იყვნენ, ან გახიზნული. მაშინ ჰანონის რისხვა სოფლებს დაატყდა. ცეცხლს მისცა დანგრეული ნასახლარები, არ დატოვა ხე, ბალახის ღერო! სადაც კი ბავშვი და ხეიბარი შემოხვდათ, ყველა აწამეს. დიაცები მეომრებს გადასცა, რათა გაეუჰატიურებინათ, ვიდრე სულს ამოხდიდნენ. ყველაზე ლამაზები მის ტახტრევანში შეყარეს. საზარელმა საღმრთო დაუცხრომელი ვნებები აუშალა ჰანონს და იგი იმედდანურული კაცის სიშმაგით იკლავდა ჟინს.

გორაკების თხემებზე შავად ჩამუქებული კარვები ისე უჩინარდებოდნენ, თითქოს ქარმა ახვეტაო. მოელვარე საღებავებით შეკრული დიდი წრეები, რომლებიც ეტლის თვლები უნდა ყოფილიყო, გულის გამანვრილებელი ჭრილობით ამოძრავდებოდა ხოლმე და ნელ-ნელა მიიკარგებოდა სივრცეში. ესენი იყვნენ მოხეტიალე ტომები, კართაგენის ალყა მიეტოვებინათ, გარეუბნებში დაძრწოდნენ და უცდიდნენ შემთხვევას, როქის სპის გამარჯვებას, რომ კვლავ დაბრუნებულიყვნენ უკან. მაგრამ ბოლოს შიშისა თუ შიმშილის გამო თავიანთი ქვეყნის გზას დაადგნენ და თვალს მიეფარნენ.

ჰანონის წარმატება არ ეხარბებოდა ჰამილკარს, ეჩქარებოდა ომის მოგება და ჰანონს ტუნისში დახვევა უბრძანა. ისიც, როგორც ღირსეული მამულიშვილი, დათქმულ დღეს ქალაქის კედლებთან იყო.

ადგილობრივ მკვიდრთა გარდა ქალაქს იცავდა თორმეტი ათასი როქის მოლაშქრე და უწმინდურ საკვებს მიჩვეული

ტომები. ისინი მათოს დარად თვალს არ აცილებდნენ კართაგენს, რომელიც ცის დასალიერთან მოჩანდა. ერი თუ შალიშიმი – ყველა მაღალ გალავანს გასცქეროდა და ოცნებობდა მის უკან დაფარულ დაუსრულებელ სიამოვნებაზე. სიძულვილით ატანილნი მალე მოემზადნენ წინააღმდეგობის გასაწევად. ჩაჩქნის მაგიერ ტიკები ჩამოიცვეს თავზე, ბაღნარებში ლახვრისთვის მოჭრეს ყველა პალმა, ამოთხარეს წყალსაცავები. სურსათს რაც შეეხება, ტბაში იჭერდნენ მძორითა და სიბინძურით ნასუქ დიდ თეთრ თევზებს. კართაგენელთა სიხარბის გამო ტუნისის შერყეული ზღუდეები არ აღდგენილა. გალავანი ისე იყო მოფამფალებული, რომ მხარის ერთი ნაკვრა დაანგრევდა. მათომ სახლების ნაშალი ქვებით დაგმანა ნაპრალები. უკანასკნელი ბრძოლა იყო. იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ ხანდახან მაინც იფიქრებდა: ვინ იცის, ბედი ცვალებადიაო.

მოახლოებულმა კათაგენელებმა გალავნის ქონგურებზე კაცი შენიშნეს, მთელი ტანით იყო გადმოხრილი. მას წარბი არ შეუხრია, მოზუზუნე ისრები თითქოს მერცხლების გუნდი ყოფილიყოს. საოცარი იყო, რომ არცერთი ისარი არ გაჰკარებია.

ჰამილკარმა სამხრეთით დააბანაკა თავისი ლაშქარი, ნარჰავასმა მარჯვნივ რჰადესის ველი დაიკავა, ჰანონმა – ტბის ნაპირი. სამივე სარდალს უნდა შეენარჩუნებინა ასეთი განლაგება, რათა ერთდროულად შეეტიათ გალავნისთვის.

ჰამილკარს უნდოდა ჭკუა ესწავლებინა როქის მეომართათვის, უნდოდა ერვენებინა, რომ მონების შესაფერად დაისჯებოდნენ. ქალაქის წინ მალლობზე ერთიმეორის გვერდით ჯვარს აცვა ათივე დესპანი.

ამის დანახვაზე გარემომცველებმა მიატოვეს ზღუდე. მათომ გადანყვიტა ნუმიდიელებისთვის დაესწრო, გალავანსა და კარვებს შორის სწრაფად გაელწია, ზურგში მდგარ კართაგენელთა ქვეითებს დასხმოდა და თავის ლაშქარსა და ქალაქის ჯარს შუა გამოემწყვდია ისინი. ნაცად მებრძოლთა თანხლებით წინ გაიჭრა კიდეც.

ნარჰავასმა დაინახა, ტბის სანაპირო გადასერა და ჰანონს აცნობა, რომ ჰამილკარისთვის მაშველის გაგზავნა იყო საჭირო. კაცმა არ იცის, ნარჰავასს მართლა ეგონა, რომ ბარკა ვერ გაუმკლავდებოდა ბარბაროსებს, ცბიერობდა თუ უჭკუობით დაემართა ეს ამბავი. ეს მერეც ვერვინ შეიტყო.

ჰანონი თავისი მოქიშპის დამდაბლების სურვილით იწვოდა და არც შეეყოყმანებულა. დაიყვირა – ბუკსა ჰკარითო, და მისი ლაშქარი გაექანა მათოსკენ. მაგრამ ბარბაროსები შემობრუნდნენ და ეძგერნენ კართაგენელებს. ძირს სცემდნენ, ფეხით თრგუნავდნენ მათ. როქის მეომრებმა უკუაგდეს პუნიკელები და ჰანონის კარავს მიადგნენ. კარავში თავმოყრილი იყო უხუცესთაგან ყველაზე წარჩინებული ოცდაათი კართაგენელი.

ჰანონი გაოცებული ჩანდა ბარბაროსთა თავხედობით, თავის მეტაურებს უხმობდა. მებრძოლეებმა მას მუშტები მოუღირეს, ყელში სწვდნენ და ლანძღვა-გინებით იკლებდნენ. ატყდა ერთი ალიაქოთი. ბებერი სუფეტისთვის ხელი ჩავლოთ ბარბაროსებს და ფეხზე ძლივს ამაგრებდნენ. ჰანონი ყურში უჩურჩულებდა მებრძოლეებს: „რასაც გსურთ, გიბოძებთ! შეძლებული ვარ, მიშველეთო!“ მეომრებმა გაათრიეს, მიუხედავად დიდი სიმძიმისა, მიწას არ ეხებოდა ფეხებით. უხუცესებიც გაიყვანეს. ჰანონს შიში ზარავდა. „ხომ დამამარცხეთ! თქვენი ტყვე ვარ! თავს გამოვისყიდი! გამიგონეთ, ჩემო მეგობრებო!“ ჯარისკაცებს გვერდებში წაეჭირათ მისთვის მხრები და მიაქანებდნენ. „რას მიპირებთ? რა გინდათ? ხომ ხედავთ, არ ვჯიუტობ! ყოვლთვის კეთილად გეპყრობოდით!“ – გაიძახოდა იგი.

დიდი ჯვარი აღმართეს კართან. ბარბაროსები გაკიოდნენ: „აქეთ! აქეთ!“ ჰანონმა ხმა აიმაღლა, მათ ღრიალს წააჭარბა, ღვთის გულისათვის, შალიშიმს მიმგვარეთ, უნდა გავუმხილო რალაც, რაზედაც დამოკიდებულია თქვენი გამარჯვებაო, – ამბობდა,

ბარბაროსები შედგნენ. ზოგმა იფიქრა, მათოს ხმობა აჯობებსო. მის საძებრად გაცვივდნენ.

ჰანონი მოლზე დაეცა. ირგვლივ სხვა ჯვრებიც დაინახა, თითქოს წინასწარ გამრავლებულიყო სატანჯველი, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო მისთვის, სურდა თავი დაერწმუნებინა, რომ ცდებოდა, რომ ერთი ჯვარია მხოლოდ, რომ ერთიც აღარაა. ბოლოს წამოაყენეს იგი.

– თქვი! – უბრძანა მათომ.

ჰანონმა შესთავაზა ჰამილკარის გაცემა, ქალაქის დაკავება და კართაგენის საზიაროდ მართვა.

მათო გაეცალა. მეომრებს ანიშნა – იჩქარეთო. დარწმუნებული იყო, რომ დროის მოსაგებად ხრიკი მოიგონა ჰანონმა.

ლიბიელი შეცდა. ჰანონი ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში იყო, აღარაფერს აღარ უწევდა ანგარიშს. გარდა ამისა, ჰამილკარი სძულდა და მთელი ლაშქრითურთ გასწირავდა მას, გადარჩენის მცირე იმედიც კი რომ ჰქონოდა. ოცდაათი ჯვრის ქვეშ მიწაზე ეყარნენ უზუცესები. ილღიებში საბელი ამოეყარათ მათთვის. ბებერი სუფეტი მიხვდა, რომ კვდებოდა და ატირდა.

ჰანონს შემოაძარცვეს ტანზე შერჩენილი სამოსი. გამოჩნდა შემზარავი სიმახინჯე. დარღვეული სხეული იარებით ჰქონდა დაფარული. ფეხებზე ჩამოკიდებული ქონი ფრჩხილებს უმაღავდა და მომწვანო ნაფლეთებივით სთრევდა თითებიდან. ლანვისთავებზე ჩამონადენი კურცხალი ამაზრზენ იერს აძლევდა ჰანონს. მის დაღრღნილ-დაფორეჯებულ სახეს კიდევ უფრო საზარლად აჩნდა ცრემლი. სამეფო სამხარილლიე შეხსნოდა და თეთრ თმებთან ერთად ეთრეოდა მტვერში.

ბარბაროსებმა იფიქრეს, ჰანონს თოკები ვერ გაუძლებს, ჯვარზე ვერ ავზიდავთო, და, პუნიკური ჩვეულებისამებრ, ჯერ ჯვარს აცვეს და შემდეგ აღმართეს მაღლა. ტანჯვამ სიამაყე გაუღვიძა ჰანონს და მწვალელებს თათხვა დაუწყო. დორბლი სდიოდა, ნაპირზე ყელგამოლადრული ზღვის ურჩხულივით იკლაკნებოდა. უარესი წამება მოგიწევთ, შურისგება არ აგცდებათო, – უწინასწარმეტყველებდა ჯვარმცმელებს.

ასეც მოხდა. ქალაქის მეორე კიდეში ალი ავარდა და კვამლი აიბოლქვა. როქის სპის წარგზავნილები სულს ლაფავდნენ.

გონმიხდილები ბოროთი გამოაფხიზლა. ნიკაპი მკერდზე ჩამოეყრდნოთ, ტანი დაბლა დანეულიყო, თუმცა ხელები თავს ზემოთ ჰქონდათ მილურსმული. ტერფებიდან და ხელებიდან ნელა წვეთავდა სისხლის მსხვილი წვეთები, დახუნძლული რტოებიდან რომ ცვივა მოწეული ხილი, ისე. კართაგენი, ყურე, მთები და ველები – ყველაფერი ბრუნავდა უზარმაზარი ბორბალივით. ზოგჯერ მტვერი აიხვეტებოდა მიწიდან, კორიანტელი დატრიალდებოდა და შემოეხვეოდა წამებულთ. წყურვილი ახრჩობდათ. პირში ენა მოღრეცოდათ. ცივი ოფლი ასხამდათ. სული ხდებოდათ.

სადღაც, ქუჩების უსასრულო შორეთში, მაინც არჩევდნენ დარაზმულ მებრძოლებს, ხმლების ქნევას. ბრძოლის ყიჟინა აღწევდა, როგორც ტალღების ჩქერა ჩაძირული ხომალდის ანძას ჩაბლაუჭებულ მომაკვდავებამდე. იტალიელთ, ყველაზე

ამტანთ, ჯერ კიდევ ჰქონდათ ყვირილის თავი. ლაკედემონიელნი გაყუჩებულიყვნენ და თვალები მოეხუჭათ. ოდესღაც ლომგული ზარქსასი გადამტყდარი ლერწამივით გადრეკილიყო. მის გვერდით ჯვარცმულ ეთიოპს თავი უკან გადაეგდო ჯვრის განივ ძელზე. ოტარიდი არ იძვროდა, თვალებს აბრიალებდა მხოლოდ. გრძელი თმა ხის ნაპრალში ჩარჩენოდა და შუბლზე ჰქონდა ანეული. მისი ხროტიანი მრისხანე ბრძღვინვას უფრო ჰგავდა. სპენდიუსი საოცრად გაკაჟდა. სიცოცხლე შეეზარა. დარწმუნებული იყო, რომ მალე სამუდამოდ დაისვენებდა და მშვიდად ელოდა სიკვდილს.

მისუსტდნენ. ტუჩებზე ბუმბულის შეხებისას შეტოკდებოდნენ მხოლოდ. უშველებელი ფრთები ირხეოდა და ჩრდილს ისროდა მათ ირგვლივ. სპენდიუსის ჯვარი სხვების უმაღლესი იყო და პირველი ძერა მას დააცხრა. სპენდიუსმა თავი მიაბრუნა ოტარიდისკენ, უცნაურად გაუღიმა და ნელა უთხრა:

– გახსოვს ლომები სიკას გზაზე?

– ჩვენი ძმები იყვნენ ისინი! – უპასუხა გალმა და სული დალია.

ამასობაში სუფეტმა გალავანი გაარღვია და ციხესიმაგრეში შეაღწია. ქარმა დაქროლა, კვამლი გაფანტა და ცის კიდეში კართაგენის კედლები გამოჩნდა. ჰამილკარი ეშმუნის ტაძრის ბანზე საჭვრეტად გასულ ხალხსაც კი არჩევდა თითქოს. თვალი გააყოლა მარცხნივ და ტბის პირას აზიდული ოცდაათი ჯვარი დაინახა.

მტერი რომ უფრო დაეშინებინათ, ბარბაროსებს ერთმანეთზე დაჭედილი კარვის დედაბოძებით მალლა აღემართათ ჯვრები. ცის ფონზე მოჩანდა ოცდაათი უხუცესის გვამი. მკერდზე თეთრი ფარვანებივით ჰქონდათ რაღაც. ეს იყო ქვემოდან ნატყორცნი ისრის ფრთები.

ყველაზე დიდი ჯვრის ძელზე ოქროსფერი სამხარილღიე ელავდა. ჯვარცმულს მკლავი არ ჰქონდა, ამიტომ მხარზე ჩამოსთრეოდა იგი. ჰამილკარმა ძლივს იცნო ჰანონი. მისი სწეული ძვლები ვერ უძლებდა რკინის საწერტელს, იშლებოდა და ხელ-ფეხი ნაწილ-ნაწილ სცილდებოდა ტანს. მონადირის ქოხის კარზე მიკიდებული ნანადირევის ნარჩენების მსგავსი ნაშთილა დარჩა ჯვარზე.

სუფეტმა არ იცოდა ეს ამბავი. წინ გადაჭიმული ქალაქი ფარავდა ყველაფერს, რაც კი მის იქით ხდებოდა. სპასალარებ-

თან რიგრიგობით გაგზავნილი მეთაურები არ მობრუნებულან. შემდეგ გამოქცეულები მოცვივდნენ და მოუთხრეს ჰამილკარს მათი უბედურება. პუნიური ლაშქარი შედგა, გამარჯვების ჟამს თავს დამტყდარმა მარცხმა გააშეშა. სპა აღარ უგონებდა ჰამილკარს.

მათომ შემთხვევით ისარგებლა და დაერია ნუმიდიელებს.

ჰანონის ბანაკის განადგურების შემდეგ მათ მიუბრუნდა. სპილოები დაიძრნენ. როქის მეზობლებმა გალავანზე ჩირაღდნებად დამაგრებულ მუგუზლებს დასტაცეს ხელი და ცეცხლის ბრიალით გაექანნენ ველზე. უზარმაზარი ცხოველები დაფრთხნენ და ყურეს მიაშურეს. აქ ისინი ერთმანეთს ეჯახებოდნენ და იძირებოდნენ ჯავშან-იარაღით დამძიმებულნი.

მაშინ ნარჰავასმა თავისი მხედრები აფრინა. ბარბაროსები მიწას განერთხნენ და, როცა ბედაურები სამ ნაბიჯზე მიუახლოვდნენ, მუცელში ეცნენ, ხანჯლებით დაუნყეს ფატვრა. ბარკას მოსვლამდე განყდა ნუმიდიელთა ნახევარი.

ქანცმილეული ბარბაროსები ჰამილკარის ლაშქარს ველარ გაუმკლავდნენ და მწყობრად დაიხიეს ცხელი წყაროების მთამდე. სუფეტი ფრთხილობდა, არ დასდევნებია მათ, მაკარის შესართავისკენ გასნია.

ტუნიისი მისია. მაგრამ ქალაქი მხრჩოლავი ნანგრევების გროვად იყო ქცეული. დახეთქილი გალავნიდან შუა მინდვრამდე წანყობილიყო ნასახლარები. შორს, ყურის ნაპირებთან, ქარი ერთმანეთს ახლიდა დამხრჩვალ სპილოებს. სპილოთა ლეშები წყალში მოტივტივე შავ ბრაგებს ჰგავდა.

ომს რომ ასთავებოდა, ნარჰავასმა ტყეებიდან გამოარეკვინა ყველა სპილო: დიდი თუ პატარა, ძუ თუ ხვადი. ამიერიდან რალა აღადგენდა მისი სამეფოს საომარ ძალას! იმედდანურული ხალხი შორიდან შესცქეროდა სპილოების დაღუპვას. ქუჩებში ქვითინებდნენ, გარდაცვლილ მეგობრებსავით უხმობდნენ სპილოებს: „ო, უძლეველო! გამარჯვებაჲ! მრისხანეჲ! მერცხალაჲ!“ – გაისმოდა ხმები. პირველ დღეს დახოცილ ადამიანებზე არ ულაპარაკიათ ამდენი. მეორე დღეს ცხელი წყაროების მთაზე როქის სპის კარგები შენიშნეს. სასონარკვეთილება იქამდე მივიდა, რომ ბევრნი, განსაკუთრებით კი ქალები, თავქვე ცვიოდნენ აკროპოლიდან.

ჰამილკარის ზრახვები კაციშვილმა არ იცოდა. იგი მართო იდგა კარავში, ერთი პატარა ბიჭი ახლდა. ნარჰავასაც კი არ იპატიჟებდა სუფრაზე. ჰანონის დამარცხების შემდეგ იგი განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა ნუმიდიელთა მეფის მიმართ. ნარჰავას ისე ენადა ჰამილკარს დასიძებოდა, რომ ეშინოდა, პირი არ შემეშალოსო, და არ ენდობოდა მას.

სუფეტის უმოქმედობა ხერხი იყო მხოლოდ. ათასგვარი ხრიკით თავს უქონავდა დაბათა მმართველებს და ისინი როქის მეომრებს დევნიდნენ, აძევებდნენ, მძვინვარე მხეცებივით ერეკებოდნენ. ბარბაროსები ტყეში თავს შერგავდნენ თუ არა, ხეებს ცეცხლი ედებოდა; წყალს სვამდნენ და – წყარო მონამღული იყო; გამოქვაბულს თუ შეაფარებდნენ თავს ღამის გასათევად, გამოსასვლელი ამოქოლილი ხვდებოდათ. ძველი თანამზრახველი სოფლელები აქამდე თუ იცავდნენ, ახლა მტრობდნენ მათ. მოსახლეობა კართაგენული იარაღით იყო აღჭურვილი.

როქის მეომართაგან ბევრს წითელი წყლულებით ჰქონდა სახე დაფარული. ზოგს ეგონა, ჰანონს რომ შევეხეთ, სენი გადაგვედო; ზოგი ფიქრობდა, სალამბოს თევზების შეჭმისთვის მოგვეზლოო სამაგიერო. მონანიების მაგიერ ოცნებობდნენ უარეს მკრეხელობაზე, რათა დაემდაბლებინათ პუნიკელთა ღმერთები. მზად იყვნენ მთლად გაენადგურებინათ ისინი.

სამ თვეს დაძრწოდნენ აღმოსავლეთ ნაპირზე, მერე სელუმის მთა გადალახეს და უდაბნოს ქვიშნარებში დაეშვნენ. ეძიებდნენ თავშესაფარს, სულერთია, როგორს. მხოლოდ უტიკას და ჰიპო-ზარიტს არ უღალატია მათთვის, მაგრამ ჰამილკარმა ალყა შემოარტყა ორივე ქალაქს. ბარბაროსებმა ანგარიშმიუცემლად გასწიეს ჩრდილოეთისკენ. გზებიც კი არ იცოდნენ. თავბრუ დაესხათ ამდენ გასაჭირში.

საშინლად იყვნენ გაღიზიანებულნი. მათი გააფთრება თანდათან მატულობდა. ერთ მშვენიერ დღეს კობუს პარესში აღმოჩნდნენ, კართაგენის პირისპირ.

შეტაკებები გახშირდა. ბედი თანაბრად სწყალობდა ორივე მხარეს. მონინალმდეგეებს ისე გაუწყაღდათ გული, რომ მცირე შეჯახებებს ერჩიათ ცხარე ბრძოლა, სასტიკი და უკანასკნელი.

მათოს სურდა, თავად შეეთავაზებინა ჰამილკარისტვის ბრძოლა, მაგრამ ერთი ლიბიელი შეენაცვლა. ყველამ დაინახა, როგორ წავიდა იგი. დარწმუნებული იყვნენ, რომ არ მობრუნდებოდა.

მაგრამ ლიბიელი იმ საღამოსვე დაბრუნდა.

ჰამილკარი დაყაბულებულიყო. მეორე დღეს, მზის ამოსვლის ჟამს, რჰადესის ველზე უნდა შეჰყროდნენ ერთმანეთს.

მებრძოლებს სურდათ გაეგოთ, მეტი რა თქვა სუფეტმა. ლიბიელმა დაურთო:

– მის წინ ვიდექი, მკითხა, რას უცდიო. ვუპასუხე – სიკვდილს-მეთქი! არა, გასწი, ხვალ მოგკლავ სხვებთან ერთადო, – მომიგო.

ასეთმა დიდსულოვნებამ გააოცა ბარბაროსები, ზოგი შეძრწუნდა კიდეც. მათოს გული დასწყდა, მისი ეჭვიბი რომ არ მოკლეს.

სამი ათასი აფრიკელი, ათას ორასი ბერძენი, ათას ხუთასი კამპანიელი, ორასი იბერიელი, ოთხასი ეტრუსკი, ხუთასი სამნიელი, ორმოცი გალი და ინდისხურმის უბნებში გზად შემოყრილ მომთაბარე აბრაგთა, ნაფურთა, რაზმი შემორჩა მათოს, სულ შვიდი ათას ორას ცხრამეტი კაცი, რომლებიც ერთ სრულ სინტაგმას ვერ შეადგენდნენ. თორნ-აბჯრის ნაპრალები საქონლის ბეჭის ძვლით ამოავსეს, ბრინჯაოს კოთურნების ნაცვლად ძირგავარდნილ სანდლებში ტუცეს ფეხი. რკინისა და თითბრის ბალთები ამძიმებდა მათ სამოსელს. ჯავშანი ნაფლეთებად ეკიდათ სხეულზე; სახესა და ფაჩვნიერ მკლავებზე მენამულ ზოლებად აჩნდათ ნაიარევი.

დალუპულ თანამებრძოლთა რისხვა გულს უმაგრებდა, გამბედაობას მატებდა ბარბაროსთ. ბუნდოვნად გრძნობდნენ, რომ ჩაგრულთა სულში დავანებული ღმერთის მსახურნი და საყოველთაო შურისძიების წარმმართველნი იყვნენ. ცის ტატნობზე კართაგენის გამოჩენამ და უსამართლოდ მიყენებულმა ტკივილმა გაააფა ისინი. დაიფიცეს, ერთმანეთის დასაცავად ებრძოლათ სამარის კარამდე.

საალაღე პირუტყვი დახოცეს. რამდენიც შეძლეს, ჭამეს, ძალა მოიკრიბეს. შემდეგ წაიძინეს. ზოგს სხვადასხვა თანავარსკვლავედთათვის მიეპყრო მზერა და ლოცულობდა.

კართაგენელებმა ველზე მისვლა დაასწრეს მათ. ფარები ზეთით გაპოხეს, რომ ისარი ადვილად აესხლიტა. გრძელდაღლებიან ქვეითებს სიფრთხილისთვის შუბლზე აეკეცათ თმა. ჰამილკარმა კარგად იცოდა, ნაჭამზე ბრძოლა რომ არ ვარგოდა, და ხუთი საათი იქნებოდა, ყველა ჯამი რომ გადმოაპირქვევებინა მებრძოლებს. მისი თოთხმეტათასიანი ლაშქარი თითქმის ორჯერ სჭარბობდა ბარბაროსთა სპას. ასე მშფოთვარე ჯერ არასდროს ყოფილა ჰამილკარი. მისი დამარცხება რესპუბლიკის აღსასრულს ნიშნავდა, მას კი ჯვარცმა არ ასცდებოდა. თუ გაიმარჯვებდა, პირინეის, გალთა მიწებისა და ალპების გადალახვით იტალიაში შეაღწევდა, სამარადისო იქნებოდა ბარკას დიდება. ლამის განმავლობაში ოცჯერ მაინც წამოიჭრა, თვალყურს ადევნებდა ყოველგვარ წვრილმანს. კართაგენელები განამდნენ დაუსრულებელი შიშითა და ძრწოლით.

ნარჰავასს ეჭვი ეპარებოდა თავის ნუმიდიელთა ერთგულებაში. ამას გარდა, ბარბაროსებს შეეძლოთ მათი დაჯახნა. ნუმიდიელთა მეფე საოცარმა სისუსტემ შეიპყრო. დიდი თასით წამდაუნუმ ენაფებოდა წყალს.

ვილაც უცნობმა გადასწია მისი კარვის კალთა და მიწაზე დადო ქვამარილის გვირგვინი, რომელიც გოგირდითა და სადაფის რომბებით ამოჭრეთილი წმინდა გამოსახულებებით იყო შემკობილი. ქალი თავის დანიშნულს ტრფობის ნიშნად და შესაგულიანებლად ზოგჯერ უგზავნიდა ხოლმე ასეთ საქორწინო საჩუქარს.

ჰამილკარის ასულს ნარჰავასის სურვილი არ სწვავდა.

მათოს გახსენება საშინლად აწვალებდა სალამბოს. როგორც უნასის ნაკბენის განსაკურნავადაა საჭირო იარაზე გველის დასრესა, ასევე ეგონა, რომ მათოს სიკვდილი დაიხსნიდა მასზე ფიქრისაგან. ნუმიდიელთა მეფე მისი მორჩილია და მოუთმენლად მოელის ქორწილს. მათი შეუღლება გამარჯვებას უნდა მოჰყოლოდა და ამიტომ წასაქეზებლად ქალმა ძღვენი მიართვა საქმროს. ნარჰავასი დამშვიდდა. ოცნებობდა ბედნიერებაზე, რომელსაც უმშვენიერესი ქალის დაუფლება მოუტანდა.

მათოსაც აეკვიატა სალამბოს ხატება, მაგრამ ვაჟი ცდილობდა უკუეგდო ზმანება, გულში ჩაკლული ტრფობა თანამებრძოლებზე გადაჰქონდა. თავისი არსების ნაწილად, დაუოკებელი სიძულვილის ნაწილად მიაჩნდა ისინი. ლაშქრის სიყვარული სულიერად ამაღლებდა მათოს, მკლავში ძალას მატებდა. ცხა-

დად ხედავდა, რა უნდა ელონა. დროგამოშვებით თუ ამოიგმი-
ნებდა, სპენდიუსის გახსენება იყო ამის მიზეზი.

მათომ ექეს თანაბარ მწკრივად ჩაარიგა ბარბაროსები, შუ-
აში ჩააყენა ბრინჯაოს ჯაჭვით ერთმანეთს გადაბმული ეტრუს-
კები; მოისარნი უკან იყვნენ, გვერდებში ჩადგნენ სირაქლემას
ფრთებით მორთულ დაბალბენვიან აქლემებზე ამხედრებული
ნაფურები.

სუფეტმაც ამგვარად დაანაწილა სპა. ქვეითების იქით ველი-
ტებს გვერდში ამოუყენა კლინაბარები, მათ უკან ნუმიდიელებს
მიუჩინა ადგილი. როცა ინათა, ორივე ლაშქარი ერთმანეთის
პირისპირ იყო ჩამწკრივებული. მეომრებს თვალები დაეჭყი-
ტათ და სასტიკი მზერით შორიდან წონიდნენ ერთმანეთს. ჯერ
შეყოყმანდნენ. ბოლოს ორივე მხარე ამოძრავდა.

ბარბაროსები ნელა დაიძრნენ და, რომ არ აქოშინებულიყვ-
ნენ, მძიმედ აბიჯებდნენ. პუნიკური ლაშქრის ყოლბი შემოირ-
კალა. გაისმა საზარელი გრუხუნი, ხომალდთა შეჯახების დარი.
ბარბაროსთა პირველი რიგი სასწრაფოდ გაიპო და უკან დამა-
ლულმა მშვილდოსნებმა იწყეს ბირთვების, ისრებისა და სათხე-
დების ტყორცნა. ამასობაში კართაგენელთა გაღუნული მწკრი-
ვი გასწორდა და ახლა შიგ შეიდრიკა. ველიტთა ორი შტო გასწ-
ვრივ დაუახლოვდა ერთმანეთს და ფარგლის ისრებივით ჩაიხუ-
რა. ბარბაროსები კიდევებს მიაწყდნენ და ვიწრო გასასვლელში
შევიდნენ. ამით თავს ილუპავდნენ. მათომ შეაჩერა ისინი, კარ-
თაგენელთა ორ ფრთას შეაგება თავისი ლაშქრის სამი მწკრივი.
მათოს ჯარი გასცდა მტრის რიგებს და სამმაგად წაგრძელდა.

მაგრამ ბარბაროსთაგან ყველაზე ჯაბანნი კიდევებში აღმოჩ-
ნდნენ. განსაკუთრებით შესუსტდა მარცხენა მხარე, კაპარჭში
ერთი ქეიბურიც კი აღარ ჰქონდათ. ველიტები წამოენივნენ და
დაერივნენ მათ.

მათომ უკან დახია ბარბაროსები. მარჯვნივ მდგარი წალ-
დმომარჯვებული კამპანიელები კართაგენელთა მარცხენა
ფრთას შეუსია. ყოლბიც უტევდა მტერს. ველიტები შეაკავეს
ბოლოში გადასროლილმა მეზრძოლებმა, რომელნიც შედარე-
ბით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ.

ჰამილკარმა რაზმებად დაყო მხედრობა, შუაში ჰოპლიტები
ჩააყენა და აძგერა როქის სპას.

კონუსის ფორმის მწყობრს ცხენოსნები მიუძღოდნენ. გან-
ზე გაზიდულ გვერდებში ლახვრები გამოჩრილიყო. ბარბარო-

სებს გაუძნელდათ გამკლავება. მხოლოდ ბერძენ ქვეითებს ჰქონდათ ბრინჯაოს აბჯარი. დანარჩენებს სარზე დამაგრებული დანების, ხოდაბუნებიდან წამოღებული ცეცხლისა და ბორბლის ფერსოსაგან სახელდახელოდ გამართული ხმლების მეტი არაფერი ებადათ. გამოუწრთობი მახვილის პირი დარტყმისას იდრიკებოდა. ვიდრე ბარბაროსები ფეხით ასწორებდნენ გაღუნულ ხმლებს, აქეთ-იქიდან კართაგენელები უშენდნენ და ჟლეტდნენ მათ.

ჯაჭვით დაბორკილი ეტრუსკები არ იძვროდნენ, მოკლულნი არ ვარდებოდნენ და გვამები კედელივით აღმართულიყვნენ. უნასივით მოქნილი და ზღუდესავით შეურყეველი, ბრინჯაოში ჩასმული დიდი მწკრივი გაიშლებოდა და კვლავ იკუმშებოდა. მის უკან ძალას იკრებდნენ და სულს ითქვამდნენ ბარბაროსები, შემდეგ ხელში შერჩენილი მახვილის ნამსხვრევით ეკვეთებოდნენ მტერს.

ბევრს იარაღის ნამსხვრევიც აღარ ჰქონდა. ისინი ზედ ახტებოდნენ კართაგენელებს და ძაღლებივით კბენდნენ სახეზე. გალებმა ტანსაცმელი შემოიძარცვეს. შორიდან მოჩანდა მათი თეთრი სხეულები. მტრის დასაფრთხობად იგანიერებდნენ ჭრილობებს. პუნიკურ სინტაგმებში აღარ გაისმოდა ჯარჩების ძახილი. მტერის კორიანტელში მოჩანდა, ალმებით როგორ გადასცემდნენ ბრძანებებს. ყველანი მიიწევდნენ წინ. ირგვლივ შემოჯარული ლაშქრის რყევა ითრევდა თითოეულ მათგანს.

ჰამილკარმა ნუმიდიელებს უბრძანა დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ ნაფურები გაექანნენ შესახვედრად და შეაფერხეს ისინი.

ნაფურებს განიერი შავი კაბა ეცვათ, კეფაზე თმები ჰქონდათ გამონასკული, მარტორქის ტყავის ფარი ეჭირათ და თოკგამობმულ უტარო დანებს ატრიალებდნენ. ფრთებით მორთული აქლემები გაბმით ხაოდნენ. მახვილი მიზანს ხვდებოდა. ძლიერი ხელი მაღლა აიტაცებდა ხოლმე იარაღს, რომელსაც სხეულის მოკვეთილი ნაწილი ჰქონდა შერჩენილი. გაცოფებული ცხოველები ცხრილავდნენ სინტაგმებს, კანჭმომტვრეული აქლემები დაჭრილი სირაქლემებივით დალახლახებდნენ.

კართაგენელთა ქვეითები მიანყდნენ ბარბაროსებს და გადაქლეს ისინი. ერთმანეთს დაშორიშორებული რაზმები წაღმა-უკუღმა ირეოდნენ. კართაგენელთა იარაღის ბზინვა ოქროს გვირგვინივით გარს ერტყმოდა ბარბაროსებს. შუაში ერთი

ორომტრიალი იყო. მზეზე ალაპლაპებული მახვილის პირები არილს ისროდა. კლინაბართა რიგები ველზე გაშლილიყო. როქის მებრძოლები თორნ-აბჯარს გლეჯდნენ კლინაბართ, თავად იჭურვებოდნენ და ბრძოლის შუაგულში ებმებოდნენ. კართაგენელებს კლინაბარებში ერეოდათ ისინი და რამდენჯერმე კიდევ შეერივნენ ბარბაროსებს. მაშინ გაოგნებული პუნიკელები ჩერდებოდნენ ან უკან იხევდნენ. შორიდან მოისმა გამარჯვების ყიჟინა, ის ქარიშხალივით აიტაცეს მეომრებმა. ჰამილკარი უიმედობამ შეიპყრო. ყველაფერი წყალში უცვიოდა მათოს გამჭრიახობისა და მისი ლაშქრის გაუტეხავი სიმამაცის წყალობით.

შორიდან, ცისკიდურიდან, დაირების ჟღრიალმა მოაღწია. ამბოხი დაძრულიყო. მოემართებოდნენ მოხუცები, სნეულები, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბავშვები და ქალებიც კი. შემფოთებულიყვნენ, კართაგენი მიეტოვებინათ, რათა რაიმე დიდ ძალას შეჰფარებოდნენ. ჰამილკარისთვის გამოურთმევიათ რესპუბლიკის ერთადერთი სპილო, ისიც ხორთუმნაჭრილი.

კართაგენელ მეომრებს მოეჩვენათ, რომ მშობლიური ქალაქი გალავანს გასცდა, აქეთ წამოიწია და მამულისთვის სიკვდილი ითხოვა მათგან. მძვინვარება გაუორკეცდათ, ნუმიდიელები წაუძღვნენ ლაშქარს.

შუა მინდორზე გაშლილ ბარბაროსებს პატარა ბორცვი ჰქონდათ ზურგს უკან. არათუ გამარჯვების, თავის დაღწევის შესაძლებლობაც კი არ იყო, მაგრამ როქის სპიდან გადარჩენილიყვნენ რჩეული და უმამაცესი მეომრები. მათ არ შეეძლოთ უკან დახევა,

ნუმიდიელებს ამოფარებული კართაგენელები ისროდნენ შამფურებს, უროებს. დიაცთა მოქნეული ჭოლოკით კვდებოდნენ ისინი, ვინც შიშის ზარს სცემდა კონსულებს. ბრბო ჟღერდა როქის სპას.

ბარბაროსებს ბორცვი იცავდა. მათი წრე ირღვეოდა, მეჩხერდებოდა და კვლავ ერთიანდებოდა. ორჯერ დაეშვნენ ბექობზე, მაგრამ ორჯერვე უკუიქცნენ თავზარდაცემულნი. კართაგენელთა აჩოჩქოლებული ბრბო ხელებს იწვდიდა. თანამებრძოლთა ფეხებს შუა ჩრიდნენ და ანგარიშმიუცემლად იქნევდნენ შუბებს. ფეხი უსხლტებოდათ სისხლის გუბებში. მოკლულები მიგორავდნენ დამრეც კალთაზე. მუცლამდე გვამებში ჩაფლული სპილო ამაოდ ცდილობდა გორაკზე ასვლას, ფეხებით ჯეკნიდა

მიცვალებულთ, თითქოს ცხედართა დათრგუნვა სიამოვნებდა. ბოლოში გაგანიერებული ხორთუმის გადანაჭერი დროდადრო აღიმართებოდა უზარმაზარ წურბელასვით.

შემდეგ ყველანი შეჩერდნენ. კართაგენელები კბილთა ღრჭენით შეჰყურებდნენ გორაკს, რომელზეც ბარბაროსები იდგნენ.

ბოლოს ისინი მოსხლეტით ეძგერნენ მოწინაარმდეგეს და ბრძოლა გაჩაღდა. ბარბაროსები ახლოს უშვებდნენ კართაგენელებს, გაჰკიოდნენ – გნებდებითო, შემზარავად ხარხარებდნენ და ხელის ერთი მოქნევით იკლავდნენ თავს. ცოცხლები ფეხით დგებოდნენ ძირს დაცვენილ მკვდრებზე. პირამიდასავით იზრდებოდა გვამების გროვა.

მალე ორმოცდაათი კაცი დარჩა მხოლოდ, შემდეგ – ოცი, მერე – სამი, მერე – ორი, ჩუგლუგით შეიარაღებული სამნიელი და მათო, რომელსაც აქამდე შერჩენოდა ხმალი.

სამნიელი მუხლებში მოხრილიყო, მარჯვნივ თუ მარცხნივ რიგრიგობით იქნევდა ჩუგლუგს, თან მათოს აცილებდა დარტყმებს. „აგერ, აქეთ, ბატონო! იქით! დაიხარე!“ – აფრთხილებდა მას.

მათომ დაკარგა სამხრეები და მუზარადი, თორნ-აბჯარიც შემოეძარცვა. მთლად შიშველი იყო. მკვდრის ფერი ედო, თმა გაბურძნოდა, ტუჩის უკეებში დორბლი ჩასდგომოდა. ისეთი სისწრაფით ატრიალებდა ხმალს, რომ თავზე შარავანდედით ედგა მახვილით მოხაზული წრე. ქვამ ვადაში გადაუტეხა ხმალი. სამნიელი განგმირული დაეცა. კართაგენელთა ნაკადი შემჭიდროებულიყო და მოინევდა მისკენ. მათომ ზეცისკენ ალაპყრო ცარიელი ხელები, თვალები დახუჭა, შემდეგ ხელები გაშალა და ისე გადაეშვა მოღერილი შუბებისკენ, თითქოს ქარაფიდან ზღვაში გადამხტარიყოს. მაგრამ მახვილთა ზღუდე გაიპო მის წინ. რამდენჯერმე ეცა კართაგენელებს. ისინი უკან იხევდნენ და იარაღს არიდებდნენ მათოს.

ხმალს წამოჰკრა ფეხი და წაბორძიკდა. სურდა დასწვდომოდა, მაგრამ იგრძნო, რომ გაეკოჭათ, და ძირს დაეცა.

კარგა ხანია, რაც ნარჰავსი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მას მხეცთა დასაჭერი ქამანდით. მათო რომ დაიხარა, ნუმიდიელმა დრო იხელთა და წამოაცვა.

შემდეგ ხელ-ფეხი გადაუჯვარედინეს და სპილოზე დააკრეს. ყველა, ვინც კი დაჭრილი არ იყო, ბადრაგად ამოუდგა მათოს. ერთი აურზაურით გაემართნენ კართაგენისკენ.

გაუგებარია როგორ, მაგრამ გამარჯვების ამბავი ღამის სამ საათზე უკვე შეეცყოთ კართაგენში. ქამონის ტაძრის წყლის საათი ხუთს უჩვენებდა, როცა მალქას მიაღწია ამბოხმა. მათომ თვალები გაახილა. ისე გაეშუქებინათ სახლები, რომ ქალაქი ალში გახვეულს ჰგავდა.

საშინელი ღრიანცელი ძლივს აღწევდა მის ყურთასმენამდე. პირალმა განოლილი შესცქეროდა ვარსკვლავებს.

შემდეგ კარი ჩაიხურა. მათოს ირგვლივ სიბნელემ მოიცვა ყველაფერი.

მეორე დღეს, სწორედ იმავე დროს, ნაჯახის ხევში დარჩენილთაგან უკანასკნელმა დალია სული.

იმ დღეს, როცა როქის სპის ნაწილმა ხევს დააღწია თავი, ზუაყეები მობრუნდნენ, ლოდები დააგორეს და ერთხანს საკვებს აწვდიდნენ დავრდომილთ.

ბარბაროსები მათოს გამოჩენას ელოდნენ. იმედდანურულებსა და დაქანცულებს ამ ადგილიდან ფეხის მოცვლა არ სურდათ ჩვეული სიჯიუტით. ბოლოს ხორაგი გათავდა, ზუაყეები წავიდნენ. კართაგენელებმა იცოდნენ, ათას სამას კაცზე მეტი რომ არ იქნებოდა ხევში. მათ ამოსაჟღელტად მეომრები არც კი იყო საჭირო.

სამ წელს გასტანა ომმა. ამ ხნის განმავლობაში ნადირი მომრავლდა. ნარჰავასმა მოარეკინა მხეცები, ერთმანეთს გადააბა სამი თხა და ნაჯახის ხევში შეარეკინა. ნადირი იქ იყო, როცა ბარბაროსთა ამბის შესატყობად უზუცესებმა მაცნე აფრინეს ხევისკენ.

მინდორი მთელ სიგრძეზე გვამებსა და ლომებს დაეფარათ. მიცვალებულნი სამოსელსა და იარაღში არეულიყვნენ. ზოგს სახე აკლდა, ზოგს – ხელ-ფეხი; ზოგი მათგანი ჯერ კიდევ შეურყენელი ჩანდა; ზოგი მთლად გამოფიტულიყო, დაფშვნილი თავის ქალები ეყარა ჩაჩქნებში. საბარკულებში ხორცგართმეული ძვლები მოჩანდა. გაძვალტყავებულთ მოსასხამილა შერჩენოდათ მთელი. ქვიშას ცინცხალ ლაქებად აჩნდა მზეზე დამხმარი ძვლები.

ლომები ნებიერად ისვენებდნენ, მიწას გართხმოდნენ, ტოტები გაეშოტათ. თეთრი კლდეების ანარეკლი ნათელი თვალს სჭრიდათ და ქუთუთოები მოეჭუტათ. სხვები უკანა ტორებზე დაყუნცულიყვნენ და სივრცეს გაჰყურებდნენ; დანარჩენებს, ფაფარაშლილთ, სანახაობა მობეზრებოდათ და მოკუნტულებს

ეძინათ.” იწვნენ უდრტვინველად, ქარაფებისა და მიცვალებულთა დარად. შესაღამოვდა. ცის დასალიერი სისხლისფერმა ფართო ზოლებმა დასერა.

ველზე დახირხლული ერთ-ერთი გროვიდან რალაც მოჩვენების მსგავსი წამობარბაცდა. ლომთაგან ერთი წამოიმართა და მოჩვენებისკენ დაიძრა. მენამულ ზეცას შავად გადაეფოფრა მისი ამაზრზენი აჩრდილი. ლომი კაცს მიუახლოვდა და ტორის ერთი მოქნევით ძირს დასცა.

მერე ზედ დააცხრა და ჭანგებით ნელ-ნელა გამოშიგნა.

შემდეგ ხახა დაალო და კარგა ხანს გაბმით ღმუოდა. ბუმბერაზმა მთებმა მოძახილით გაიმეორეს მისი ბრდღვინვა, რომელიც ბოლოს სადღაც შორს, უდაბნოს სიღრმეში, მიწყდა.

კლდიდან ღორღი ჩამოიშალა და ჩქამი მოისმა. ჭიუხის კიდეში, ტიხრის მხარეს, წაგრძელებული დრუნჩები და აცქვეტილი ყურები გამოჩნდა. ნადირის ანთებულმა თვალებმა გაიელვა. ტურები მოძუნძულებულიყვნენ, რათა წამუსრევით ამოეყორათ ფაშვები.

კართაგენელთა მაცნე, უფსკრულს გადამხობილი რომ იმზირებოდა, უკან გაბრუნდა.



თავი მეტხუთმეტი

ათო

კართაგენი სიხარულს აეტანა, საერთო სიხარულს, უსაზღვროსა და დაუოკებელს. ნანგრევთა ნაპრალები ამოქოლეს, საღებავით ისევ შეითიხნეს კერპები, ქუჩები ტვიის რტოებით მოფინეს და მეზოძირებზე ააბოლქვეს საკმეველი. ტერასები ჭრელად დამოსილ ბრბოს მოეჩითა და გაფურჩქნილ ყვავილთა კონას ჰგავდა.

განუწყვეტელ ბუბუნში გაისმოდა თულუხჩთა წამოძახილები, ისინი ფილაქანს რწყავდნენ. მონებმა მოხალული ქერი და უმი ხორცის ნაჭრები ჩამოურიგეს ბრბოს ჰამილკარის სახელით. ერთმანეთს ეგებებოდნენ, ეხვეოდნენ, სიხარულის ცრემლი სდიოდათ. ტვიროსის ქალაქები მათ ხელშია, მომთაბარეთა ურდოები გარეკილია და ბარბაროსები – მთლად ამოჟლეტილი. აკროპოლი ფერადმა ჩარდახმა დაფარა. თავთხელზე დაჯრილ ხომალდთა წყალსაკვეთები ბზინავდნენ ძვირფასი თვლებით მოკენჭილი ჯებირის მსგავსად. წესრიგი აღედგინათ, ახალი ცხოვრება დაეწყოთ. ბედნიერება იგრძნობოდა ყველგან. სალამბოსა დ ნუმიდიელთა მეფის შეუღლებას ზეიმობდნენ.

ქამონის ტაძრის ტერასაზე, სამ გრძელ მაგიდაზე, აუარებელი ოქრო-ვერცხლი დაეხვავებინათ. ეს მაგიდები ქურუმთათვის, აგრეთვე უხუცესთა და დარბაისელთათვის გაეწყოთ. მეხუთე, ოდნავ მაღალი ტაბლა, ჰამილკარის, ნარჰავასისა და სალამბოსთვის იყო განკუთვნილი. სალამბომ მამული იხსნა, მიტაცებული რიდე დაუბრუნა კართაგენს. ამიტომ მისი ქორწილი ხალხმა დღესასწაულად აქცია და ქვემოთ, მოედანზე, თავმოყრილნი მის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ.

მაგრამ სხვა უფრო ძლიერი სურვილი სულს უხუთავდა ბრბოს. ამ საზემო დღეს მათო უნდა ეწამებინათ.

ჯერ მოითხოვეს, მათო ცოცხლად გავატყაოთ, შიგნეულში გამდნარი ტყვია ჩავასხათ ან შიმშილით სიკვდილი ვარგუნო-

თო. ზოგმა – ხეს მივაბანროთ, უკან მაიმუნი დავუყენოთ და ქვები დავაშენინოთ მისთვის, ტანიტი შეურაცხყო და ქალმერთს შეწირული ცხოველებისგან შესაფერადაც უნდა დაისაჯოსო. სხვებმა თქვეს, – ღურკან აქლემს გამოვაბათ და ზეთით გაჟღენთილი სელის პატრუქები შემოვახვიოთო ტანზე. კმაყოფილებით ივსებოდნენ, რომ წარმოიდგენდნენ, უშველებელი ცხოველი როგორ შემოირბენდა კართაგენის ქუჩაბანდებს, მოგიზიგზე ცეცხლში გახვეული მათო როგორ გაიკლანებოდა ქარით აფარფატებული ალის დარად.

მაგრამ ვისთვის მიენდოთ მათოს წამება, ანდა დანარჩენებს რატომ უნდა მოჰკლებოდათ ეს სიამე? სხვა გზა უნდა ეძიათ, მთელ ქალაქს, მის ყველა მკვიდრს, ყველა მარჯვენას, ყველა მკლავს, ყველაფერს, რაც კი კართაგენში მოიძევება – საჭურველს, ქუჩებში დაგებულ ქვის ფილებსა თუ ხმელეთში შემოჭრილი ყურის ზვირთებს – ყველაფერს უნდა რგებოდა წილი მათოს წამებაში, მის გვემასა და ვნებაში. უხუცესთა საბჭომ მოითათბირა: ზურგზე ხელებგაკრული მათო დილეგიდან ქამონის მოედნისკენ უნდა წამოსულიყო მარტო, თანმხლებთა გარეშე. გულის არეში დაჭრა აუკრძალეს ბრბოს, რომ მეტხანს ეცოცხლა, გახანგრძლივებულიყო მისი წამება, თვალებს ნუ დასთხრით, საკუთარ ტანჯვას უმზიროსო; ნურაფერს ესვრით, მთელი ძალით ხელს ნუ მოუქნევთ, სამი თითის დარტყმა იკმარეთო.

მწუხრის ჟამს უნდა გამოსულიყო დილეგიდან, მაგრამ ბრბოს რამდენჯერმე მოეჩვენა იგი. აკროპოლს აწყდებოდნენ, ქუჩები იცლებოდა, ცოტა ხნის შემდეგ ბუზღუნით ბრუნდებოდნენ უკან. ბევრნი ღამენათევნი იყვნენ, ფეხმოუცვლელად იდგნენ და შორიდან ეხმიანებოდნენ თანამოძმეებს; ერთმანეთს უჩვენებდნენ დაუქნელ ფრჩხილებს, მათოს დასაკანრავად რომ მოეზარდათ; სხვები მეტისმეტად ღელავდნენ და ბოლთასა სცემდნენ; ზოგნი ისე გაცრეცილიყვნენ, თითქოს საკუთარ წამებას ელოდნენ.

უეცრად მაჰალებს იქით ფრთებით შეკრული საჩრდილობელი გამოჩნდა. სალამბო გამოვიდა სასახლიდან. ხალხმა შვევით ამოისუნთქა.

ამალა ნელა დაიძრა და კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ბრბოს მოუახლოვდებოდა.

წინ პატეკ ღმერთთა ქურუმები მოდიოდნენ, მათ უკან ეშმუნისა და მელქარტის ქურუმები მოაბიჯებდნენ; ამათ ზედიზდ

მოსდევდა ქურუმთა ყველა დასი იმავე მორთულობითა და რიგით, მსხვერპლის შეწირვის დღეს რომ იყვნენ. მოლოქის მსახურებმა თავჩაქინდრულებმა ჩაიარეს. მათ დანახვაზე ხალხმა სიხარული იგრძნო და უკან დაიხია. რაბეთნას ქურუმები ქნარებით ხელში ამაყად მოემართებოდნენ. მათ უკან შავ-ყვითელ მჭვირავ სამოსში გამოწყობილი ქურუმი ქალები მოირხეოდნენ, ჩიტებივით ჟღურტულებდნენ, გველებივით სარსალებდნენ, – ვარსკვლავთ ციმციმს ბაძავდნენ. მათი მსუბუქი სამოსი უნაზეს სურნელს აფრქევდა ქუჩებში. ბრბო ტაშისკვრით მიეგება დიაცებში ჩამდგარ ქედეშიმებს, რომელთაც ქუთუთოები და ელებათ და ღვთაების ორსქესიანობას ასახიერებდნენ; ასულეზივით მორთულიყვნენ, ნელსაცხებელი წაეცხოთ, კოპნია ქალებივით დაგოგმანებდნენ, თუმც ჩაბრტყელებული მკერდი და ვიწრო თეძოები ჰქონდათ. ქალური სანყისი მეფობდა ამ დღეს. იდუმალ ნეტარებას შეეცბორებინა დახუთული ჰაერი. წმინდა ჭალებში ჩირალდნები ააბრიალეს, ორგია უნდა მოეწყოთ აქ. სამმა ხომალდმა სიძვის დიაცნი მოასხა სიცილიიდან, უამრავი მეძავი გამოეშურა უდაბნოდან.

ქურუმთა დასებმა ტაძრის ეზოსა და სტოაში მოიყარეს თავი, გალავნისკენ აზიდული ორმხრივი კიბეების გასწვრივ ჩადგნენ. ტაძრის სვეტებს შორის თეთრსამოსიანთა წყება ჩანდა, მთელი შენობა ქვის ქანდაკებასავით უძრავი ადამიანებით აივსო.

ქურუმთა დასს მეჭურჭლეთუხუცესნი, ეზოსმოძღვარნი და დიდებულები მოჰყვებოდნენ. ძირს ჩოჩქოლი ატყდა. მახლობელი შუეკებიდან ხალხი მოაწყდა ტაძარს. მონასტრის ფარეშნი კომბლის ქნევით მიერეკებოდნენ ბრბოს. ოქროს მიტრებით თავდარქმულ უხუცესთა შორის მენამულგავალაკიან ტახტრევანში სალამბო გამოჩნდა.

თავაშვებულმა ყვირილმა იმატა. აახმიანს წინწილები, ააჯაჯგურეს ჯიმჯიმები, ბობლანს სცეს და ძონისფერი გავალაკი სვეტებში მიიმალა.

ტახტრევანმა ისევ გაიელვა ტაძრის ქვედა სართულზე. სალამბო რონინით დაიძრა, ტერასა გადასერა და კუს ბაკნის საკარცხულში ჩაესვენა. ფეხებში სპილოს ძვლის სამსაფეხურიანი სკამი შეუდგეს. ქვედა საფეხურზე ორმა ზანგმა ბიჭმა მოიყარა მუხლი. დროდადრო ქალი თავზე აყრდნობდა მათ სამკაულებით დამძიმებულ ხელებს.

კოჭებიდან თეძომდე წმინდად ნაქსოვი მაქმანი შემოტმასნოდა. მაქმანი თევზის ქერეჭს ჰგავდა და სადაფივით ციალებ-

და. ზღვისფერი ქამარი ჰქონდა შემორტყმული; ნახევარმთვარეებად ჩაჭრილი ნაპრალიდან მკერდი უჩანდა, ძუძუს კერტებს ძონი უფარავდა; ფარშევანგის ფრთებში შერთული პატიოსანი თვლები ჰქონდა თავსაბურველად. თოვლივით სპეტაკი ფართო რიდე სთრევდა უკან. მკლავებზე ალმასის სამაჯურები ჰქონდა ასხმული. მუხლები შეაწეა, იდაყვები ტანს მიატმასნა და აისვეტა წმინდანთა იერით.

დანარჩენი ორი საფეხური ჰამილკარმა და ნაჰავასმა დაიკავეს. ღია ფერით დამოსილ ნარჰავასს თავს უმშვენებდა ქვამარილის გვირგვინი, რომლიდანაც ამონის რქასავით დახვეული ორი ზილფი ეშვებოდა. ჰამილკარს იისფერი ტუნიკა ემოსა, ტუნიკაზე ოქრომკედით ვაზის ლერწები იყო ამოქარგული. ნელზე ხმალი ერტყა.

ემშუნის ტაძრიდან მოეყვანათ პითონი. იგი მაგიდებს შორის მიწაზე განოლილიყო ვარდის ზეთის გუბებში, კუდი ჩაეჩარა პირში და დიდი წრე შემოენერა. წრის შუაგულში შავი ბიჯგი შეეყენებინათ ბროლის კვერცხისთვის, რომელიც არეკლილ მზის სხივებს ყოველმხრივ ფანტავდა.

სალამბოს უკან სელით დამოსილი ტანიტის ქურუმები ჩადგნენ. მარჯვნივ ოქროს ზოლად განლაგდნენ ტიარებით თავდამშვენებული უხუცესები, მარცხნივ მომწვანო რიგი შეექმნათ დარბაისელთ, რომელთაც იაგუნდით მოლამაზებული არგნები ეპყრათ. მოშორებით მოლოქის ქურუმები ჩამწკრივდნენ, მათი წითელი მოსასხამები მენამულ ზღუდედ აღიმართა თითქოს. სხვა კრებულებმა ქვედა ტერასაზე მოიკალათეს. ხალხს ქუჩები აღარ გასწვდა, სახლის ბანებს მიაშურა და ერთმანეთზე წაწყობილ რიგებად განლაგდა აკროპოლამდე. სალამბოს ფერხითი ბრბო განრთხმოდა, თავს ცის თალი წამომხობოდა, ირგვლივ უნაპირო ზღვა, ბუმბერაზი მთები და შორეული გარეუბნები შემოსჯარვოდა. თვალისმომჭრელი სამოსით მორთული ასული ტანიტს შეეზავა თითქოს და კართაგენის მფარველ ანგელოზს, მისი სულის განსხეულებას ჰგავდა.

ღრეობა მთელ ღამეს გასტანდა. დაბალ მაგიდებზე, ფერადი შალის სუფრებზე ხეთა ვარჯივით დატოტვილი ჩირალდნები იდგა. ამარტის სირჩები, ლურჯად მოჭიქული ამფორები, კუს ბაკნის კოვზები და პურის კვერები დაეხვავებინათ მარგალიტის არშიამოვლებული და ორ რიგად ჩამწკრივებული თეფშების გასწვრივ. სპილოს ეშვებს თირსივით შემოტმასნოდა ფოთ-

ლებიანად დაკრეფილი ყურძნის მტევნები. ეკალმუხის ლანგრებზე თოვლის გუნდები ღვებოდა. ვერცხლის მალაღფეხიან ღარნაკებზე ღიმონის, ბრონეულის, გოგრისა და საზამთროს მთები იდგა. სანებელში ტივტივებდნენ დრუნჩდაბჩენილი ტახები; გაუტყავებელი კურდღლები თითქოს დახტოდნენ ყვავილთა შორის; გუფთით ამოევსოთ ლოფორთქინათა ნიჟარები; საოცარი ნაზუქები დაეცხოთ. ხუფს რომ ახდიდნენ, მტრედები ამოფრინდებოდნენ ხოლმე ლანგრებიდან.

მაგიდებს შუა ფეხაკრეფით დაფათურებდნენ ტუნიკადაკარნახებული მონები. დროდადრო ქნარებზე ჰიმნს აჟღერებდნენ ან გუნდი ახმიანდებოდა. ზღვის ღელვასავით დაუშოშმინებელი ბრბოს ბუბუნი თავს დასტრიალებდა მეინახეებს და იდუმალ ჰანგებს უნანავებდა. ზოგმა როქის სპის ღრეობა გაიხსენა. ბედნიერების გამო ოცნებას მიეცნენ. მზემ დასავალისკენ იბრუნა პირი და ცის თალის მეორე კიდეში განლობილი მცხრალი მთვარე წამოიწია.

უეცრად სალამბომ თავი მოაბრუნა, თითქოს დაუძახესო. ხალხმა ქალის მზერას გააყოლა თვალი.

აკროპოლის ამაღლებასთან, ტაძრის ძირას, კლდეში შეთხრილი სენაკის კარი გაიღო. ბნელი პარეხის ზღურბლზე კაცი გამოჩნდა.

მოხრილი იყო და დამფრთხალი, მძვინვარე ნადირს ჰგავდა, მოულოდნელად ნებაზე მიშვებულს. ნათელი თვალს სჭრიდა და კარგა ხანს ფეხმოუცვლელად იდგა. ყველამ იცნო. ბრბოს სუნთქვა შეეკრა.

დღევანდელი მსხვერპლი ხალხს რაღაც საოცრებად, თითქმის ღვთაებრივი ბრწყინვალეობით მოსილად მიაჩნდა. მის დასანახავად კისერი წაეგრძელებინათ, განსაკუთრებით ქალები შეეცადნენ მათი ქმარ-შვილის ამომწყვეტლის ხილვას. უნებურად სულის სიღრმეში ცნობისნადილმა იჩინა თავი, უკეთ სურდათ მისი შეცნობა. ამ სურვილს სინდისის ქენჯნაც ერთოდა და სიძულვილს აცხოველებდა.

მათო დაიძრა. მოულოდნელობით შემცბარი ხალხი დამშვიდდა. ბრბომ ხელები გაიშვირა მისკენ და მათო თვალს მიეფარა.

სწრაფად ჩამოათავა აკროპოლის სამოცსაფეხურიანი კიბე, მთით მოვარდნილმა ღვარმა წაიტანა თითქოს. ბრბომ თვალი შეავლო, სამჯერ როგორ გადაევლო საფეხურებს. კიბის თავთან შეჩერდა.

მხრები სისხლში ჰქონდა მოთხვრილი, მძიმედ სუნთქავდა; ღვედების გაგლეჯას ეძალოდა და შიშველ ზურგზე გაკრული ხელები გველებივით ებერებოდა.

რამდენიმე ქუჩის გასაყართან იდგა. ყოველ ქუჩას ბრინჯაოს ჯაჭვების სამი წყება გასდევდა. ჯაჭვები პატეკ ღმერთთა ჭიპებს იყო გამობმული. ქუჩის კიდეში ირეოდა ამბოხი. შუა ქუჩაში უზუცესთა ფარეშები დაიარებოდნენ და მათრახებს ატრიალებდნენ.

ერთმა დაუზოგავად მოუქნია. მათო გამოემართა.

ბრბო ხელებს ასავსავებდა, გაყვიროდა – მათოს დიდი გზა დაუტოვეთო სავალი. მათო მიდიოდა. ბრბო ხელით ეხებოდა, ჯიჯგნიდა, ასახიჩრებდა. ერთ ქუჩას რომ ჩაათავებდა, მეორე ქუჩა გადაიშლებოდა მის წინ. რამდენჯერმე ეცა მწვალელებს, მათი დაკბენა სურდა. მაშინ ბრბო უკან იხევდა, ჯაჭვები ბორკავდა მათოს, ხალხი კი სიცილით იჭაჭებოდა.

რომელიდაც ბავშვმა ყური გაუხია. ვილაც გოგონამ სახელოში დამალული თითისტარის წამახული წვერით ლოყა გაუკანრა. ბლუჯა-ბლუჯა გლეჯდნენ თმებს, ნაჭერ-ნაჭერ ღლუტდნენ ხორცს. ჯოხებით ან სკორეში გასვრილი ღრუბლით სახეს უთითხნიდნენ. მარჯვენა ყვრიმალიდან სისხლი წასკდა. ბრბო შეიშალა. ეს, ბარბაროსთაგან უკანასკნელი, კართაგენელთათვის ყველა ბარბაროსს, მთელ ლაშქარს გაუტოლდა. მას უზღავდნენ სამაგიეროს გარდახდილი ჭირის, ხიფათისა და თავის შერცხვენის გამო. შურისგებამ მთლად გააავა ბრბო. დაჭიმული ჯაჭვები იზნიქებოდნენ და განყვეტაზე იყვნენ. გახელებული ბრბო ვერც კი ამჩნევდა მონებს, რომელნიც მას ცემით აშოშმინებდნენ. ზოგი სახლის ძგიდეებს ებლაუჭებოდა. დახეთქილი კედლები სანახაობის მოყვარულთა თავებით იყო ამოგმანული. მეტი ვნება რომ ვერ მიაყენა, ბრბომ ბოლმა ღრიანცელში გადმონათხია.

უშვერად ლანძღავდნენ, ქირდავდნენ, კილავდნენ. მათოს ტანჯვა ეცოტავებოდათ თითქოს და წყევლა-კრულვით უმეტეს, მარადიულ წამებას უქადდნენ.

კართაგენი უაზრო და დაუოკებელმა ღრიანცელმა აიტანა. ხალხი აიტაცებდა ჩახრენწილსა და როყიო ბგერას და ერთხანს იმეორებდა. კედლები მთელ სიგრძეზე შეაზანზარა ხმებმა და მათოს მოეჩვენა, რომ ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებული სახლები მისკენ წამობარბაცდნენ, უშველებელი ხელებივით აიტაცეს მაღლა და სულს ხდიდნენ.

გაახსენდა, რომ ოდესღაც კიდევ განიცადა რაღაც ამგვარი. მაშინაც ბრბო იყო ტერასებზე თავმოყრილი. იგივე მზერა. იგივე გახელება... ოღონდ თავისუფალი იყო, ღმერთი იფარავდა და ხალხი ორად იპობოდა მისთვის გზის მისაცემად. მოგონება დაიხვეწა და უსაშველო სევდა მოჰგვარა მათოს. თვალწინ აჩრდილები დაბორიალებდნენ, ქალაქი ირნეოდა, ნაიარევი გვერდიდან სისხლი სდიოდა, სიკვდილის სიახლოვეს გრძნობდა. მუხლები ეკეცებოდა. ნელა დაეშვა ფილაქანზე.

მელქარტის ტაძრის სტოას მიაშურა ვილაცამ, ნალვერდლებზე გადამხობილი სამფეხიდან გავარვარებულ შანთს დასწვდა, პირველსავე ჯაჭვში გაჩხირა და მათოს იარას მიაჭდო. სხეულიდან კვამლი აიბოლქვა. მათოს ღრიალი ბრბოს შეძახილმა ჩაახშო. ისევ დადგა ფეხზე.

ექესი ნაბიჯი გადადგა და დაეცა მესამედ... მერე მეოთხედ. ახალი გვემა წამოაყენებდა. მდულარე ზეთი მოწვეთავდა მისკენ მიშვერილი სანვეთრებიდან. ფეხქვეშ შუშის ნამსხვრევებს უყრიდნენ. სვლას განაგრძობდა. სათების ქუჩის კუთხეში კედელთან მიბანდალდა, მოჩარდახულ ფარდულს მიეყრდნო. აღარ იძვროდა.

უხუცესთა საბჭოს ფარეშები ჰიპოპოტამის ტყავით დანულ მათრახებს უტლაშუნებდნენ ისეთი თავგამეტებით, რომ მათი ხავერდოვანი ტუნიკის ფოჩებში ოფლმა გამოატანა. მათო გრძნობამიხდილს ჰგავდა. უეცრად მოსწყდა ადგილს, ანგაროშმიუცემლად გარბოდა და კბილებს აკანკანებდა, თითქოს საშინელ სიცივეს აეტანა. გადაეწვო ბუდესის ქუჩას, ჩაათავა სეფოს ქუჩა, ჩაუქროლა ბოსტნეულის ქულბაქს და ქამონის მოედანზე მიიჭრა.

ამიერიდან ქურუმთა ანაბარა იყო. ფარეშებმა გააპეს ბრბო. მათომ თავისუფლად ამოისუნთქა. მიმოიხედა და მისი თვალეზი სალამბოს თვალეზს შეხვდა.

მათო მისკენ გაეშურა. სალამბო წამოდგა და უნებლიეთ დაიძრა ტერასის კიდეკენ. მალე ირგვლივ ყველაფერი გაქრა და მათოს გარდა ველარაფერს ამჩნევდა. სულში სიმშვიდე ჩაუდგა, წინ უფსკრული გადაეხსნა თითქოს და მთელი სამყარო ერთადერთმა აზრმა, ერთმა მოგონებამ, ერთმა გამოხედვამ დაჩრდილა. მისკენ მომავალი ვაჟი იზიდავდა სალამბოს.

მენამულ მასად ქცეულიყო, თვალეზილა შერჩენოდა ადამიანური. თეძოზე მისთრევდა დაძენილი თასმები, რომლებიც

მისი დაჯიჯგნილი მკლავის ტყავგართმეულ მყესებს ჰგავდა. პირი დაელო, თვალის უპეებიდან ორი ალი სწვდებოდა თმებს და უბედური სვლას განაგრძობდა.

ტერასის კიდეს მიაღწია. სალამბო ხარიხაზე გადმოიხარა. ორი საოცარი თვალი შესცივინებდა და ქალმა შეიტყო, მათო როგორ ევნო და ეწამა მისთვის. წინ მომაკვდავი ედგა, მაგრამ ჰამილკარის ასული ხედავდა კარავში ჩაჩოქილ ჭაბუკს, წელზე რომ შემოეჭდო მისთვის ხელი და უნახეს სიტყვებს რომ ეჩურჩულებოდა. ეწადა მათი კვლავ გაგონება, აღარ სურდა მისი სიკვდილი. ვაჟი შეტორტმანდა. სალამბომ ყვირილი დააპირა. მათო გულალმა დაეცა და აღარც განძრეულა.

სალამბოს ქურუმები შემოეხვივნენ. უგონოდ იყო. ნაიყვანეს და კვლავ ტახტზე დასვეს. ულოცავდნენ. ყველაფერი, რაც გვჭირს, შენი წყალობააო, – ეუბნებოდნენ; ტაშს უკრავდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ და მის სახელს გაჰყვიროდნენ სულმოუთქმელად.

გვამთან ვილაც მიიჭრა. მოლოქის ქურუმთა ლაბადა მოეგდო მხარზე, თუმც უწვერული იყო. სარტყელში დანა ჰქონდა გაჩრილი, ქურუმთა დანა, რომლითაც წმინდა მსხვერპლს აქნიან ხოლმე. დანას ოქროს ჩქიფი ჰქონდა ტარად. შაჰაბარიმმა ერთი დაკვრით გადაუსერა მათოს მკერდი, გული ამოართვა, ჩქიფზე წამოაგო და მზეს მიართვა ძღვნად.

მზე ჩადიოდა ტალღებში. მისი სხივები წაგრძელებული ისრებივით შეესია წითლად მღვივან გულს. გულის ძგერა წელდებოდა და მზე ზღვაში ეშვებოდა. გულის უკანასკნელ შეფართხალებაზე მზე ჩაესვენა.

ყურიდან ტბამდე, ნახევარკუნძულის ყელიდან შუქურამდე ყველა ქურას, სახლსა თუ ტაძარს ერთიანი ყიჟინა მოედო. დროდადრო ხმები ცხრებოდა და შემდეგ კვლავ წამოიშლებოდა. ღრიანცელმა შენობები ააბარბაცა. ზღვა სიხარულითა და დაუღლეველი იმედით წალეკილი კართაგენი ტორტმანებდა.

სიამაყით შემთვრალმა წარჰავასმა დაუფლების ნიშნად სალამბოს წელზე შემოაჭდო მარცხენა, მარჯვენათი ოქროს ბარძიმს დასწვდა და კართაგენის ადგილის დედის სადიდებელი შესვა.

სასმისით ხელში სალამბოც წამოიწია მეუღლის დარად, მაგრამ იქვე ჩაიკეცა, თავი საკარცხულზე გადაუქანდა. ფერგამკრთალსა და გაშეშებულს ბაგე გაპობილი დარჩა. ლელი თმა ჩამოშლოდა და მიწამდე სთრევდა.

ასეთი სიკვდილი ერგო ჰამილკარის ასულს ტანიტის რიდის შეხებისთვის.

შენიშვნები¹

აგათოკლე – (ძვ.წ. 361-289) სიცილიელი ბერძენი, სირაკუზის ქალაქ-სახელმწიფოს ტირანი, კართაგენს უპირისპირდებოდა სიცილიაში ბატონობისთვის.

აეშაგი – მსტოვარი, ჯაშუში.

ავგური, ავგურები – მისან ქურუმთა კოლეგია ძველ რომში. მათ მისნობას იყენებდნენ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას.

ავშარა – ულაგმო აღვირი.

აკვედუკი – ბურჯებზე დაყრდნობილი წყალსადენი ნაგებობა.

აკინაკი – „მახვილი ორპირი და ბუნგრძელი“ (საბა), ჰოროლის, შუბის სახეობა.

აკარნანია – ძველი საბერძნეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, იონიის ზღვისპირა მხარე. აკარნანელები განთქმული მეომრები იყვნენ.

აკროპოლი – ანტიკური ქალაქის ამაღლებული ნაწილი, სტრატეგიული მიზნებისთვის სათანადოდ გამაგრებული.

ალაჩუხი – კარავი ნაბდისა ან ქეჩისა.

ალეტი – ბერძნული მითოლოგიის თანახმად, მიკენის მეფის, ეგისტეს, ვაჟი. ორესტმა როცა შური იძია და მოკლა ეგისტე, ალეტი გამეფდა მიკენში.

ალექსანდრე – იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი (ძვ.წ. 356-323).

ალო – დღიური სახნავი; **ალო, ალოობა** – შესაფერი დრო, პერიოდი ხვნისა, თესვისა, მკისა...

ამონი – ძველ ეგვიპტელთა უმთავრესი ღვთაება, მზის ღმერთი. ეგვიპტიდან ამონის კულტმა შეაღწია აზიისა და აფრიკის ზოგ ხალხთა რწმენაში.

ამონიელები – მდინარე იორდანის აღმოსავლეთ სანაპიროზე, არაბეთის საზღვრებამდე, მობინადრე ტომი.

¹ საძიებელში არ არის შეტანილი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობას ტექსტშივე მიგვანიშნებს ავტორი.

- ამფორა** – თიხის ჭურჭელი ოვალური ფორმისა, ვინროყელიანი და ორყურიანი. მეტწილად ხმარობდნენ ღვინისა და ზეთისთვის.
- ანაბა** – ქალაქი, ნავსადგური ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ანაბის ყურეში.
- ანისი, ანისული** – სურნელოვანი მცენარე.
- ანქვითი** – პატიოსანი ქვა, ონიქსი.
- აპოხტი** – ხორცი, შესანახავად საგანგებოდ გამხმარ-გამომშრალი.
- არგანი** – ჯოხი „საბჯენად და დასაყრდნობელად უძღურთათვის“ (საბა).
- არვე** – თხათა ჯოგი.
- არიანა** – ნავსადგური ალჟირის სანაპიროზე.
- არილი** – მზის შუქი, რაიმე ზედაპირიდან არეკლილი.
- არქაგატე** – (ძვ.წ. ?-307) სირაკუზის ტირანის აგათოკლეს ძე, მამას ახლდა კართაგენზე თავდასხმისას ძვ.წ. 307 წელს, დაიღუპა ამ ბრძოლაში.
- არქონტი** – მაღალი თანამდებობის პირი ძველი საბერძნეთის პოლისებში და ზოგ სხვა ელინისტურ სახელმწიფოშიც.
- ასაფეტიდა** – მრავალწლიანი მცენარე, მისი ფესვები კულინარიაში გამოიყენება.
- ასური** – ქალაქი ნუბიაში, ნილოსის მარჯვენა ნაპირზე.
- ატარანტები** – აფრიკის მომთაბარე ტომი.
- აფაკა** – ძველად ამ სახელწოდების რამდენიმე ქალაქი არსებობდა. რომანში უნდა იგულისხმებოდეს ქალაქი ჰელიოპოლისსა და ბიბლოს შორის, სწორედ ის იყო განთქმული ვენერას დიდებული ტაძრით.
- ალალი** – ტვირთის ერთობლივად გადამზიდავი ჯგუფი, დატვირთულ აქლემთა ან სხვა საკიდარ პირუტყვთა ქარავანი.
- აშიფი** – ხის გამონაჟონი ფისი.
- აშურმა** – ხმლის სამხარილღიე, ყანიმი, ყაბინი.
- ბაალი** – უფალი. საერთო სემიტური ღვთაება, ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ღმერთი. ეთაყვანებოდნენ წინა აზიაში, არაბეთსა და კართაგენში. ბაალი ცის, მზის, ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ღმერთია ფინიკიელებთან; გვხვდება აღმოსავლეთის სხვა ხალხებშიც. ხშირად მოიხსენიებოდა იმ ადგილის სახელთან ერთად, რომლის უფლა-

დაც მიჩნეოდა. ამიტომ გვხვდება ფლობერთან ბაალ-ქამონი, ბაალ-პეორი, ბაალ-ზებუბი და სხვ.

ბაარასი – მცენარე, ე.წ. „ოქროს ბალახი“, ხარობს ლიბანის მთებში, ღამით ანათებს, დღისით ძნელად შესამჩნევია. ბაარასს ალქიმიკოსები საოცარ თვისებებს მიაწერდნენ.

ბადია – წყლის ჭურჭელი, „დიდი ჯამი“ (საბა).

ბათმანი – მარცვლეულის საწყაო, მისი მოცულობა ცვალებადი იყო დრო და ჟამის მიხედვით.

ბაკარისი – მცენარე, რომლის ფოთლები ძველად გვირგვინის დასაწნავად გამოიყენებოდა.

ბალეარის კუნძულები – კუნძულთა ჯგუფი ხმელთაშუა ზღვაში, ესპანეთის სიახლოვეს. კარგა ხანს იყო კართაგენის ქვეშევრდომობაში. ბალეარელები კართაგენის დაქირავებულ ჯარში მსახურობდნენ.

ბარბითი – სიმებიანი საკრავი, ქნარის ერთ-ერთი სახეობა.

ბარჯი – ორკაპა ჯოხი, ბიჯგად შესაყენებელი; რკინის კავიანი ჯოხი, სათევზაოდ გამოსაყენებელი.

ბაქტრიანა, ბაქტრია – შუა აზიის ერთი მხარე ამჟ-დარიის გაყოლებით, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მისი კონტურები იცვლებოდა; მოიცავდა ტერიტორიას ჰინდუკუშის მთების კალთებიდან მდინარე ამჟ-დარიამდე.

ბდელიუმი – განსაკუთრებული ჯიშის ხის წვენია, მისი შედედებით ამზადებენ მონითალო ან მოყვითალო ფირფიტებს, რომლებიც ნაკვერჩხლებზე დაგზნებისას ზმირნის მსგავს სასიამოვნო სუნს გამოსცემდა და საკმევლად მოიხმარდნენ.

ბედასლი – უხეირო, უუნარო, უნდილი.

ბეზოარი – ოთხფეხთა (უფრო კი თხის) კუჭში მცენარის ბოჭკოსგან წარმოქმნილი მარცვლები, საწამლავის გასაწენლებლად იყენებდნენ.

ბელეკონი – ხის ჯიში, იგივე ტერებინთო, სკიპიდრის ხე.

ბეოტია – საბერძნეთის მხარე კორინთოს ყურის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ბეოტიის კავშირში რამდენიმე ქალაქი იყო გაერთიანებული.

ბივრიტი – იგივე ბივრილი, ძვირფასი თვალი, „ზღვისა და ცის ფერია“ (საბა).

ბიზაცენა – მნიშვნელოვანი ქალაქი-ნავსადგური ტუნისში, რომის კოლონია იყო.

ბირსა – უბანი და ციხესიმაგრე კართაგენში.

ბისონი – სამეფო შესამოსელი, პორფირი; ასევე – ძვირფასი ქსოვილი, „ელვარე და ნაკვერცხლისფერი“ (საბა).

ბობვა, ბობვით სვლა – კრთომით ფრთხილად სვლა ცხენისა, ფეხს სანამ გადადგამდეს. რომ მოუფათურებს და მოსინჯავს ნიადაგს.

ბობლანი – დაფდაფის ყაიდის საკრავი, ტყავისაგან დამზადებული.

ბორიო – ნიაგი, სიო.

ბორსიპა – ბაბილონის ქალაქი მდინარე ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე.

ბრავა – ზღვაში წყალქვეშა კლდე.

ბრუტიუმი – ძველად იტალიის სამხრეთი ნაწილი, დღევანდელი კალაბრია.

ბუნი – „შუბის ტარი“ (საბა).

გავალაკი – ძვირფასი ქსოვილისგან დამზადებული საჩრდილობელი.

გალერა – სამხედრო ხომალდი. თითო გალერაზე მიჯაჭვული იყო 100-დან 150-მდე მენიჩბე: ტყვეები ან მონები.

გალები – მონათესავე უძველესი კელტური ტომები, ძვ.წ. VI-V საუკუნეებში დასახლებულან მდინარეების – რაინის, სენის, ლუარის ნაპირებზე, დუნაის სათავესა და პოს ველზე, დღევანდელი ევროპის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე. რომაელებმა მათ სამოსახლოს გალია უწოდეს, თავად მათ კი – გალები.

გაჟივება – სითხით გაჟღენთვა.

გარამელები – ცენტრალური აფრიკის ტომი. გარამა (დღევანდელი ჯერმა) იყო მათი მთავარი ქალაქი. მიწათმოქმედებას მისდევდნენ, სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ კართაგენთან.

განლობილი – წვრილი, თხელი, წმინდა (იხ. „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“); ხშირად გვხვდება მთვარის ეპითეტად: განლობილი მთვარე – მცხრალი მთვარე.

გეტულია – ატლასის მთების სამხრეთით მდებარე ქვეყანა. გეტულიელები შიდა ლიბიის მომთაბარე ხალხი იყო.

გიზა – ქალაქი ნილოსის მარცხენა სანაპიროზე, პირამიდების მახლობლად.

გლოსოპეტრი – გაქვავებული ეშვი ან ძვალი.

გუმფისი – ხის ნებო, მერქნიანი მცენარეების ქერქში გამოწეული და მიმხმარი.

დაბალი – ტყავის გამოწყვანი.

დგერა – ასე უწოდებდნენ ჩვენი მამა-პაპანი ნალარის ხმიანობას.

დელგმა – კოკისპირული წვიმა, თავსხმა, „დიდი წვიმა, გვიან მომდარებელი“ (საბა).

დემეტრე პოლიორკეტე – ელინისტური ხანის მაკედონიის მეფეთა დინასტიის, ანტიგონიდების, წარმომადგენელი. დინასტიის დამფუძნებლად მიიჩნევა მამამისი – ანტიგონე მონოფთალმოსი (ცალთვალა), რომელმაც თავის ვაჟიშვილთან, დემეტრე პოლიორკეტესთან, ერთად ძვ.წ. 306 წელს თავი გამოაცხადა მეფედ.

დერკეტო – ასურელთა ქალღმერთი, მიიჩნევდნენ ლეგენდარული დედოფლის – სემირამიდას დედად.

დვრინი – დაბალი ბანი.

დიონისე – იგულისხმება სირაკუზის ტირანი დიონისე I (ძვ.წ. 431-363), რომელიც დიდხანს ებრძოდა კართაგენს სიცილიისთვის.

დორიელები – ძველ ბერძენთა ერთ-ერთი ძირითადი ტომი. ძველთაგანვე სახლობდნენ ჩრდილო და ცენტრალურ საბერძენეთში. ძვ.წ. V საუკუნიდან ბერძნულ ტომთაგან განსაკუთრებით დანიანაურდნენ დორიელები და იონიელები. განსხვავებული იყო მათი კილო, ასევე მათი სტილი ხელოვნებაში, არქიტექტურაში.

დრაქმა – ფულის ერთეული საბერძნეთში.

დრეპანუმი – ანტიკურ ხანაში რამდენიმე ქალაქს ერქვა ეს სახელი. ფლობერთან ნაგულისხმები უნდა იყოს სიცილიის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ნავსაყუდელი.

ებანოზი – ეკალმუხა.

ეგატის კუნძულები – მთაგორიანი რამდენიმე კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, სიცილიის მახლობლად. ძვ.წ. 241 წელს რომაელებთან საზღვაო ბრძოლაში ეგატის კუნძულებთან სასტიკად დამარცხდა კართაგენელთა ლაშქარი, რომელსაც სუფეტი ჰანონი სარდლობდა.

ეგინა – კუნძული ეგეოსის ზღვაში, ეგინის ყურეში. რომაელებთან ბრძოლაში აქ დამარცხდა კართაგენი.

ეგბეა – კუნძული ეგეოსის ზღვაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან.

ეზიონგაბერი – ბიბლიის თანახმად, ადგილი, სადაც ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ პირველად შეისვენეს ებრაელებმა.

ეკედერი – „მცირე სამწირველო“ (საბა).

ელათია – ძველი ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო.

ელევსინი – მისტერიების კერა ძველ საბერძნეთში. ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე აქ იმართებოდა დემეტრასა და პერსეფონას დღესასწაულები.

ეპამინონდასი – გამოჩენილი ბერძენი მხედართმთავარი (ძვ.წ. 418-362). დიდად შეუწყო ხელი თებეს აღორძინებას, არაერთხელ დაამარცხა ლაკედემონიელები, თავად არასდროს დამარცხებულა.

ეპირი – საბერძნეთის ჩრდილო-დასავლეთში მთაგორიანი მხარე, მაკედონიის შემადგენლობაში შედიოდა, ძვ.წ. 146 წლამდე შეინარჩუნა რომისაგან დამოუკიდებლობა.

ერიდანი – მითიური მდინარე ჰიპერბორეელთა ქვეყანაში. ზევსის მიერ მეხით განგმირული ფაეტონი ერიდანში ჩავარდა. სხვა ლეგენდის თანახმად, ფაეტონი ჩავარდა მდინარე ფაეტონში, ერიდანის შენაკადში. გვიანდელ ლეგენდებში ერიდანი გაუთანაბრდა პოს, რონას, ზოგჯერ მიწისქვეშა სამეფოს მდინარედაც მიიჩნევენ.

ერიქსი – ასე ეწოდება სიცილიის დასავლეთ ნაწილში მთას და მის მახლობლად მდებარე ქალაქსაც. პირველი პუნიკური ომის დროს ჰამილკარ ბარკამ დაიპყრო ერიქსი და აქცია თავის პლაცდარმად.

ერკემალი – ვერძი, მამალი ცხვარი.

ეტნა – მთა, ვულკანი კუნძულ სიცილიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ეტრურია – მხარე ცენტრალურ იტალიაში, ეტრუსკების სამოსახლოდ მიიჩნევა.

ეფესო – მცირე აზიის ქალაქი ეგეოსის ზღვასთან, ზმირნის სიახლოვეს. განსაკუთრებით დაწინაურებული იყო იონიის ძლიერების დროს.

ეშმუნი – ფინიკიელთა ერთ-ერთი ღვთაება, მას ექვემდებარებოდა მკურნალობის საქმე, ბერძენთა ესკულაპესა და რომაელთა ასკლეპიუსს შეეფარდებოდა.

ეჩო – ხის სათლელი პირბრტყელი იარაღი, ნაფოტებს ისვრის მთლელისკენ.

ეჯიბი – მოხელე, უფლებრივად ზემდგომის მიერ ნარგზავნილი წარმომადგენელი, „მეფის მაგიერ მოლაპარაკე“ (საბა).

ვაშკარანი – ქსოვილისგან ქმნილი „ჭურჭელი შთასადებელი“ (საბა).

ველიტი – რომაელი მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი.

ზარაფი – ფულის გადამხურდავებელი.

ზარგანხდილი – ზარდაცემული, შეშინებული.

ზერდაგი – ჩალისფერი ცხენი.

ზილფი – თმის კავი, კულული.

ზინათი – სიმდიდრე, განძეულობა.

ზუმილი – მოლუსკები, ზღვის უხერხემლო ცხოველები.

თაბუნი – საერთო საქმიანობითა და ინტერესებით გაერთიანებული ადამიანთა გუნდი, ჯგუფი.

თალარი – ტალავერი, ფანჩატური, ვაზით გადახურული საჩრდილობელი.

თამუზი – ბაბილონური ღვთაება. თამუზის ყოველწლიური სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა გამოხატულება იყო სამყაროს მარადიული განახლებისა.

თესალია – ძველი სახელმწიფო ეგეოსის ზღვის ნაპირას, აქ დამკვიდრებული პელაზგები განდევნეს ბერძნულმა ტომებმა. პუნიკური ომების ხანაში რომს ემორჩილებოდა.

თირსი – ბახუსის კვერთხი, რომელზედაც ვაზის ან სუროს ღერწები იყო შემოტმასნილი.

თორნი – აბჯარი, ჯაჭვის კარშიკების ნაცვლად რკინის ფირფიტებით ნაკეთები.

თოქალთო – ცხენის ზურგზე, უნაგირის ქვეშ დასაფარებელი ქეჩა. იხ. ჩული, საძაგრავი.

თრიმლვა – ცხოველის ტყავის დამუშავება თრიმლის (მცენარეა, ბუჩქია) ქერქის ნაყენით. „დათრიმლულს“ იტყვიან გადატანითი მნიშვნელობით (კვალდაჩენილი, დალდასმული).

თულუხჩი – წყლის მზიდავი.

იალლუნი – მცენარე, ბუჩქად ან ტანდაბალ ხედ იზრდება, მდინარის პირად ხარობს.

იბერია – ასე უწოდებდნენ ანტიკური ავტორები პირენეის მთელ ნახევარკუნძულს, რომელიც დასახლებული იყო იბერიელებით, კელტებით, ჰუნებით. ძვ.წ. V-III სს-ში კარ-

თაგენელებმა დაიპყრეს, იბერიელები ხშირად მსახურობდნენ კართაგენის დაქირავებულ ჯარში.

ილი – ინდოეთში გავრცელებული მრავალწლიანი მცენარე, მოგრძო ფოთლები და თავთავის მსგავსი ყვავილები აქვს. გამოიყენებოდა მედიცინასა და კულინარიაში.

იონიელები – ძველ ბერძენთა ერთ-ერთი ძირითადი ტომი. სახლობდნენ ატიკაში, კუნძულებზე: ევბეაზე, ქაოსზე, სამოსზე, ნაქსოსსა და სხვ. ბერძნულ მოსახლეობას ხშირად იონიელებად მოიხსენიებენ. იონია ძველი ბერძნული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა იყო. იონიურ კილოზე შეიქმნა უმდიდრესი ლიტერატურა.

კადისი – ნავსადგური პირენეის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, კადისის ყურეში. ფინიკიელებმა დაიპყრეს, ძვ.წ. II საუკუნეში რომი დაეპატრონა.

კაკილა – მძივების აცმულა.

კალდიმი – ხმლის ერთ-ერთი სახეობა.

კამპანია – მხარე სამხრეთ იტალიაში, ტირენის ზღვის სანაპიროზე. ადგილობრივი ტომები ეტრუსკებს დაუპყრიათ, შემდეგ – სამნიელებს. ძვ.წ. IV საუკუნეში რომმა დაიმორჩილა ეს მხარე.

კანჯარი – გარეული ვირი.

კანტაბრია – პირენეის ნახევარკუნძულის ერთი მხარე ბისკაის ყურის სამხრეთ ნაპირას. კანტაბრიელები იბერიელი მთიელები იყვნენ, სახლობდნენ კანტაბრიის მთებში.

კაპადოკია – მცირე აზიის უძველესი ქვეყანა ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჯერ ასურეთის, შემდეგ კი სპარსეთის ბატონობის ქვეშ იყო. I საუკუნეში ტიბერიუსმა დაიპყრო და რომის პროვინციად აქცია.

კაპარჭი – ისრების ჩასანყოფი ბუდე, „ისართ ქარქაში“ (საბა).

კაპი – მოკვეთილი ტოტი ბოლოში განტოტებით.

კარიელები – მცირე აზიის ერთ-ერთი უძველესი ტომი.

კარობალისტი – საბრძოლო იარაღი, რომაული ფილაკვანი. ისროდა ისარს შუბსა და ქვას.

კარშიკი – მცირე ზომის რგოლი.

კარჭაპა – ნავის სახეობა, დიდია და ტვირთის გადასაზიდად გამოსადეგი.

კასიტერიდა – კასიტერიდის კუნძულები, ბრიტანეთის დასავლეთით მდებარე კუნძულები, მდიდარი იყო კალით, რაც

მათ სახელწოდებაშიც აისახა („კასიტერიტ“ ბერძ. – კალა), სწორედ ამ კუნძულებიდან შემოჰქონდათ კართაგენელებს კალა.

კატაბარდები – ბურქები მცოცავი გრძელი ღეროებით.

კატაკომპები – სართულებად განლაგებული და ვიწრო გასასვლელებით დასერილი მინისქვეშა ან კლდეში გამოკვეთილი სამარხები.

კატაფრაქტი – მიძიმედ აღჭურვილი მხედარი სასანიდების სპარსეთსა და ძველი აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში. თორნ-აბჯრიან მხედარს ცხენიც ჯავშნიანი ჰყავდა. იბრძოდნენ გრძელი შუბებითა და ხმლებით. კატაფრაქტებს მეტწილად იყენებდნენ გადამწყვეტ ბრძოლაში.

კატონ უფროსი – მარკუს ჰორაციუს კატონი (ძვ.წ. 234-149), რომელი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, მწერალი. რომის დამპყრობლური პოლიტიკის აპოლოგეტი. კართაგენის დაუძინებელი მტერი იყო. თავის ყოველ გამოსვლას ამთავრებდა ფრაზით: „ამას გარდა, ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს!“ თავისი შვილიშვილისაგან, კატონ უმცროსისაგან, განსასხვავებლად კატონ უფროსად მოიხსენიებენ.

კაჭარი – მთის ქანის ჩამონამსხვრევი ქვა, ჟამთა ვითარებაში გახეხილი და რიყის ქვასავით გლუვი; „უწყლო ადგილას რიყის მსგავსი ქვა“ (საბა).

კელტიბერია – ძველად ასე ეწოდებოდა პირენეის ნახევარკუნძულის შუა ნაწილს. კელტიბერიელები აქაურ მკვიდრ იბერიელთა და ჩამოსახლებულ კელტთა ნაშთები იყვნენ.

კელტები – ენობრივად და მატერიალური კულტურით ერთმანეთის მონათესავე ტომები, რომელნიც უძველესი დროიდან ბინადრობდნენ რაინის, სენის, ლუარის აუზში, დუნაის სათავეებთან, პოს ველზე. ანტიკურ ხანაში ცხოვრობდნენ დღევანდელი ევროპის უმეტეს ტერიტორიაზე. რომაელები მათ გალებს უწოდებდნენ. ძვ.წ. I საუკუნეში გაიუს იულიუს კეისარმა დალაშქრა ისინი.

კვირიტელნი – ასე ეწოდებოდათ რომის სრულუფლებიან მოქალაქეებს. ეს სახელწოდება მომდინარეობს ძველი ღვთაებისგან – კვირინესაგან. ფლობერი უნდა გულისხმობდეს შუა იტალიის აბორიგენებს, საბინელთა ტომის ერთ ნა-

ნილს, რომელიც ქალაქ კვიროსში სახლობდა. კვირიტელნი რომის ქვეშევრდომი საბინელები იყვნენ.

კვლიავი – მთაში გავრცელებული ორწლიანი სურნელოვანი მცენარე, ეთერზეთებით მდიდარი მისი ნაყოფი გამოიყენება საკვების საკმაზად.

კიკარი – ეგვიპტესა და აზიის ზოგ ქვეყანაში გავრცელებული ფული. კიკარი წონის ერთეულიც იყო.

კირენე – კირენაიკის ცენტრი.

კირენაიკა – ძველი ბერძნული კოლონია აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ჯერ აქემენიდებს ემორჩილებოდა, შემდეგ ალექსანდრე მკედონელისა და პტოლემეთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა, პუნიკური ომების ხანაში რომის პროვინცია იყო.

კლინაბარი – ჯავშნიანი მეომარი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. მათი ჯავშანი შედარებით მსუბუქი იყო კატაფრაქტებისაზე, რომელთაც ცხენიც ჯავშნიანი ჰყავდათ.

კლიპეა – სანაპირო გზა კართაგენიდან ალექსანდრიამდე.

კოთურნი – მაღალყელიანი და სქელლანჩიანი ფეხსაცმელი, ზონრებით იკვრებოდა და მუხლამდე აღწევდა.

კოლუმბარიუმი – რომაული ნაგებობა მიცვალებულთა ფერფლის შესანახად კედლებში დატანებული თახჩებით.

კომაგენი – სამეფო მცირე აზიის ტერიტორიაზე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა თავის იმპერიას მიუერთა.

კორინთი – ძველი ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო, ნავსადგური, გაშენებული კორინთის ყელზე.

კოტაბი – ძველ საბერძნეთში საკმაოდ გავრცელებული თამაში. ჩვეულებრივ, კოტაბით თავს იქცევდნენ ღრეობებზე. მოთამაშეს ფიალიდან ღვინო უნდა გადაეშხეფებინა შორიახლო მდგარ სხვა ფიალაში ისე, რომ ჯერ მოხვედროდა ამ ფიალაში მოთავსებული პატარა ქანდაკების თავს და მერე ჩაქცეულიყო ფიალაში.

კოჰორტა – რომაული ლეგიონის ნაწილი, რაზმი, რომელშიც 360-დან 600-მდე მებრძოლი შედიოდა. ათი კოჰორტა ერთ ლეგიონს ქმნიდა.

ლავგარდანი – შენობის ჭერზე ან კედელზე შემოვლებული არშია, კარნიზი.

ლაკედემონია – სპარტის ძველი სახელწოდება. ლაკედემონიელი – სპარტელი.

ლალვა – გარეკვა, გადენა, მოდენა. მოვლალავ – მოვდენი, მოვრეკავ.

ლაჟვარდი – ძვირფასი ქვა ლურჯი ფერისა.

ლატანი – სარი, „წვრილი გრძელი ძელი“ (საბა).

ლაციუმი – ძველი ქალაქი იტალიის ცენტრალურ ნაწილში.

ლახუსტაკი – „წარბთ საღებავი ქვა“ (საბა).

ლელი – ლერნამი, „წვრილი ლერნამი“ (საბა).

ლელი თმა – სწორი თმა, შოთი თმა, დაუტალღავ-დაუხუჭუჭე-ბელი თმა („შვენის აკრვა თმასა ლელსა“. რუსთაველი).

ლემნოსი – კუნძული ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში.

ლექტიისი – ფინიკიელთა დაარსებული ძველი ქალაქი ლიბიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

ლიბია – თავდაპირველად ასე უწოდებდნენ ბერძნები მთელ აფრიკას. შემდეგ კონტინენტის მხოლოდ ჩრდილოეთს, ეგვიპტის დასავლეთით მდებარეს, შერჩა ეს სახელწოდება და ამასვე აღნიშნავდა პუნიკური ომების ხანაში.

ლიგურია – ანტიკურ ხანაში ქვეყანა ლიგურიის ზღვის პირას. ლიგურიელები ჩრდილო-დასავლეთ იტალიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ გალიაში მცხოვრები ტომების საერთო სახელწოდებაა. პუნიკური ომების დროს წინააღმდეგობას უწევდნენ რომის დამპყრობლურ პოლიტიკას.

ლიდია – ძველი სახელმწიფო მცირე აზიაში, ეგეოსის ზღვის პირას. ფართო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან, ეგვიპტესთან, სირიასთან. რომანში ასახულ ეპოქაში იგი ჯერ კიდევ არ არის რომის პროვინციად ქცეული.

ლილიბე – ნავსაყუდელი სიცილიის დასავლეთ სანაპიროზე, ამავე სახელწოდების კონცხთან. კართაგენის ძირითადი სტრატეგიული პუნქტი იყო პირველი პუნიკური ომის დროს.

ლილეი – ურმის ღერძი; სხვადასხვა ხელსაწყოთა ან მანქანათა ცილინდრი, რომელიც ბრუნავს ღერძის გარშემო.

ლოკრი – ბერძნული ახალშენი ბრუტიუმში.

ლუსკუმა – კუბო.

ლუზიტანია – რომის პროვინცია პირენეის ნახევარკუნძულზე, დღევანდელი პორტუგალიის ტერიტორიაზე.

ლუტაციუსი – გაიუს ლუტაციუს კატული, რომის კონსული იყო პირველი პუნიკური ომის დროს.

მაგდალა – ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი გალი-
ლეაში, ტიბერიის ტბის პირას.

მაზანდა – საბაზრო ფასი, ნიხრი.

მალქა – მეზღვაურებისა და მღებავების უბანი კართაგენში.

მამერტინები – (ლათინ. „მარსის შვილები“) ასე უწოდებდნენ
ჩრდილო სიცილიის მკვიდრთ, ასევე მამერტინებს უწო-
დებდნენ კამპანიელ დაქირავებულ მებრძოლებს.

მანდრაგორა – შხამიანი მცენარეა ძალღყურძნისებრთა ჯიში-
სა, იგივე ადამის ფესვი. იყენებდნენ სამკურნალოდაც და
ბანგადაც.

მანიაკი – ყელსაბამი, „საყელო მოთვალულ-მოოჭვილი“ (საბა).

მაპალები – კართაგენის უბანი.

მარგილი – სარი, ჭიგო; თავნათლილი სარი.

მარკიტანტი – პირი, რომელიც მიჰყვება ჯარს ლაშქრობებში
და პროდუქტებით ამარაგებს.

მარმარიკი – კირენაიკის შიდა ნაწილი.

მარცახი – თევზის საჭერი ჩანგალი ან ბარჯი.

მასიკი – ძველად განთქმული ღვინო. მზადდებოდა ყურძნის
განსაკუთრებული ჯიშისგან, რომელიც მხოლოდ კამპანი-
აში, მასიკის მთის ფერდობებზე, ხარობდა.

მასილიელები – სტრაბონი ნუმიდიელ ტომად მოიხსენიებს.

მალრიბი – დასავლეთი.

მაშრიყი – აღმოსავლეთი.

მეზოძირი – „სადა გზანი შეიყრებიან“ (საბა), გზაგასაყარი,
გზაჯვარედინი.

მეგარა – კართაგენის გარეუბანი.

მედიმნი – წონის ერთეული, დაახლოებით 50 ლიტრს უდრიდა,
თუმცა დროთა მდინარებაში იცვლებოდა.

მეკრე – კარის მცველი.

მელქარტი – ფინიკიელთა ღვთაება. თავდაპირველად ტვირო-
სის ღვთაებად მიიჩნეოდა, აქედან მომდინარეობს მისი სა-
ხელიც („ქალაქის მეუფე“). ტვიროსში იყო მისი დიდებული
ტაძარი. შემდეგ მელქარტის კულტი ფართოდ გავრცელდა
სხვა ხალხებშიც.

მეტაპონტი – უძველესი ბერძნული ქალაქი-კოლონია იტალიის
სამხრეთ ნაწილში, პითაგორეს სახელს უკავშირდება, გად-
მოცემით, აქ გარდაიცვალა პითაგორე.

მთვარე – აქ: თვე. მეოთხე მთვარეზე – მეოთხე თვეს.

მინა – ფულის ერთეული ძველი აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში, ტალანტის მესამოცედი. ძველი ბერძნები წონის ერთეულადაც ხმარობდნენ მინას, ისევე როგორც ტალანტს.

მირობალონი – ნაყოფი მცენარისა, რომელიც ინდოეთში ხა-რობს, გამოიყენებოდა მედიცინაში, ხმარობდნენ შავ საღე-ბავადაც.

მოლოქი – (მეფე, მეუფე) სემიტური ტომების მთავარი ღვთა-ება, მზის ღმერთი.

აღმოსავლეთის ხალხები აღიარებდნენ მის ყოვლისმაცოც-ხლებელ და ყოვლისშთანმთქმელ ძალასაც. მას ხარის სახით გამოხატავდნენ. მოლოქს მსხვერპლად სწირავნენ ადამიანს, განსაკუთრებით კი – ბავშვებს. მოლოქის კულ-ტი გავრცელდა და ფეხი მოიკიდა კართაგენშიც.

მოლორება – მოტყუება, შეცდენა, იმედგაცრუება.

მრუმე – ნათელ-ბნელი, „ბნელად საჩინარი“ (საბა); დაბინდუ-ლი, მქრქალი, მკრთალი,

მუშკი – ცხოველური წარმომავლობის სურნელოვანი ნივთი-ერება.

მუჯამარი – საცეცხლოური, სასაკმევლე.

ნაბათელნი – არაბეთის მთავორიან ნაწილში მოსახლე სემი-ტური ტომი, მისდევდნენ ვაჭრობასა და მეცხოველეობას. ძვ.წ. II საუკუნეში რომმა დაამხო მათი სახელმწიფო.

ნაკრტენი – ფრინველის ბუმბული, ფრთა.

ნაფურები – მომთაბარე აბრაგები.

ნარდი – ნელსაცხებელი, ამზადებენ სურნელოვანი მცენარის-გან, რომელსაც აგრეთვე ნარდი ეწოდება.

ნებალი – სიმებიანი, თორმეტძალიანი საკრავი.

ნერბი – დედალი ცხვარი.

ნესტვი – სასულე, ჩასაბერ საკრავთა საერთო სახელწოდება.

ნეფრიტი – მინერალი, თირკმლის დაავადების სამკურნალოდ იყენებდნენ.

ნივნივი – სახლის სართულებს შორის გადებული ძელი.

ნოლა ცხვირი – პატარა და მაღლა აპრეხილი ცხვირი.

ნუმიდია – ძველი სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში. ხმელთა-შუა ზღვის სანაპიროდან ატლასის მთებამდე იყო გადაჭი-მული. ნუმიდიელები კარგი მხედრები იყვნენ.

ომბრია – ძველი იტალიის ერთი მხარე, ეტრურიასა და ადრიატიკის ზღვას შორის მდებარე. ომბრიელები წარმოშობით გალური ტომები იყვნენ.

ორნატი – ხნული.

ორნოხი – ვინრო და ძნელად მისადგომი ადგილი მთებსა და ხეებში. ხშირად გვხვდება მრავლობით რიცხვში : **ორნოხები**.

ოქსინო – ქსოვილი, „ოქროქსოვილი ხავერდი“ (საბა).

პარეხი – გამოქვაბული კლდეში.

პატეკი ღმერთები – ფინიკიელთა ჯუჯა ღვთაებები.

პაფლაღონია – უძველესი სახელმწიფო მცირე აზიაში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

პერი – ზღვის ქაფი.

პეროვანი – ასე იტყვიან ზღვაზე, როცა აქოჩრილი, აქაფებული ტალღებით დაიფარება.

პერისტილი – სვეტებით გარშემორტყმული გადახურული ეზო, ბაღი ან მოედანი შენობის ირგვლივ.

პესინუნტი – ძველი ქალაქი მცირე აზიაში.

პეტელი – ცხვრის ხმიანობა, ცხვრის ბლავილი.

პიროსი – (ძვ.წ. 318 – 272) ეპირის მეფე, სამხრეთ იტალიის ქალაქებს შეუკავშირდა და რომაელები სასტიკად დაამარცხა. ებრძოდა კართაგენს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სიმამაცით, მსხვერპლს არ ერიდებოდა და გამარჯვება უდიდეს დანაკარგად უჯდებოდა. გამოთქმა – „პიროსის გამარჯვება“ – დღემდე შემოგვრჩა.

პოლემარქი – (ბერძნ. „ომის თავკაცი“), ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს ლაშქრის სარდალი.

პროზერპინა – ბერძნული პანთეონის ერთ-ერთი ქალღმერთი, ზევსისა და დემეტრას ასული. აიღმა იგი მიწისქვეშა სამეფოში გაიტაცა, დემეტრამ დააბრუნა იგი, ოღონდ პროზერპინას მხოლოდ გარკვეულ ხანს შეეძლო მიწაზე ყოფნა, დანარჩენი დრო საიქიოში უნდა გაეტარებინა. პროზერპინას კულტი უკავშირდება ძველად დიდად გავრცელებულ მითს მკვდარი და შემდეგ მკვდრეთით აღმდგარი ღვთაების შესახებ (ოსირისი, ადონისი, თამუზი).

პტოლემეთაგანი – პტოლემეთა სამეფო დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მისმა სარდალმა პტოლემე I სოტერად გამოაცხ-

ხადა თავი და დასაბამი დაუდო პტოლემეთა დინასტიას, რომელიც თითქმის 3 საუკუნეს იყო ეგვიპტის სათავეში. კლეოპატრას თვითმკვლელობით (ძვ.წ. 30) დამთავდა პტოლემეთა დინასტია.

პუნიკური ომები – ომები რომსა და კართაგენს შორის. რომაელები „პუნებს“ უწოდებდნენ კართაგენელებს. სამი პუნიკური ომი (ძვ.წ. 264-146) დამთავრდა კართაგენის დამხობით.

პნკალი – მცენარის ნვრილი ღერო.

ჟვერი – ფოთლებიანი რტო; ასევე ჟვერს უწოდებენ ნაწვიმარზე სველ ბალახს, ან ნამით ძლიერ დასველებულ ბალახს.

რაბეთი, რაბეთნა – ქალღმერთ ტანიტის ეპითეტებია (ქალბატონი, დედოფალი).

რეგიუმი – ძველი ბერძნული კოლონია აპენინის ნახევარკუნძულის ცენტალურ ნაწილში.

რეგულუსი – მარკუს ატილიუსი (ძვ.წ. 307-250), რომაელი კონსული. I პუნიკურ ომში სარდლობდა რომის ლაშქარს, მან დაარწმუნა სენატი, რომ ჰამილკართან მოლაპარაკებას სჯობდა ბრძოლის გაგრძელება.

რემა – ცხენების ჯოგი.

როკი – ხის ტოტის ძირი ან ნუჟრებიანი კაპი.

როფი – ხის მორში ამოთლილი ან ფიცრებისგან შეკრული დიდი პირღია ჭურჭელი.

როქი – ქირა, ჯამაგირი.

როქის სპა – დაქირავებული ლაშქარი.

რჰადესი – ქალაქი-ნავსადგური ტუნისში.

საბარკული – „სანვივე აბჯარი“ (საბა).

სათხეველი – „სასროლი ბადე“ (საბა).

სათხედი – მოკლე შუბი.

საკარცხული – საპატიო სავარძელი, ე.წ. ტახტი; „მცირე სკამ-ლოგინი“ (საბა).

სალმანდი – ქვა, მინასავით გამჭვირვალე.

სალმოზა – ავადმყოფობა, სენი, „სატკივარი“ (საბა).

სამალი – ისრების სატყორცნი მანქანა, არბალეტი.

სამერხული – სვეტისთავი, ბულაური.

სამნიუმი – მთაგორიანი ქვეყანა ცენტრლურ და სამხრეთ იტალიაში, ადრიატიკის ზღვასთან. სამნიელები მეომარი ტომი იყო, განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდათ რომთან.

- სამოთრაკი** – კუნძული ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში.
- სამოსი** – კუნძული ეგეოსის ზღვაში, მცირე აზიის სიახლოვეს.
- სამურველი, სამუნველი** – კბილებიანი რკინის ხელსაწყო ცხენის დასავარცხნ-დასაფხანად და დასაურვებლად.
- სანდასტრუმი** – ძვირფასი ქვა, მოიპოვებოდა ინდოეთსა და ეთიოპიაში, ვარსკვლავების ფორმის ოქროსფერი ფორეჯები აქვს.
- საოლავი** – თვალის მოსახატავი საღებავი, „თვალის სურმა“ (საბა).
- სარანგი** – წესრიგის დაცველი; გუშაგი.
- სარდინია** – კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, აპენინის ნახევარკუნძულის დასავლეთით, კორსიკიდან სრუტითაა გამოყოფილი.
- სატრაპი** – პროვინციის განმგებელი სპარსეთში და ელინისტური ხანის აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში.
- საყე** – სარი, ლატანი.
- საძაგრავი** – ჩული. ცხენის ან სპილოს ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი, მეტწილად ქეჩისა.
- სანერტელი** – საჩხვლეტი იარაღი.
- სერი** – დამლა, ნაჭდევი, ნიშანი.
- სიღონი** – ფინიკიის ქალაქი-სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, მსხვილი სავაჭრო ცენტრი იყო, მეტოქეობას უწევდა ტვიროსს.
- სიკა** – ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ტუნისში.
- სიკლი** – ნონის ერთეული ძველად, განსაკუთრებით გამოიყენებოდა კეთილშობილი მეტალებისთვის. ძვ.წ. II საუკუნიდან ფულის ერთეულადაც იხმარებოდა.
- სილფიუმი** – მცენარე ქოლგისებრთა ოჯახისა. სამკურნალოდ გამოიყენებოდა, დიდად ფასეული იყო ბერძნულ-რომაულ სამყაროში, აპოლონისგან ბოძებულ საჩუქრად მიაჩნდათ. სტრაბონის ცნობით, ალექსანდრე დიდის ლაშქარს სილფიუმით უზავებდნენ კერძებს.
- სიმარა** – ქალის ზედა სამოსი, გრძელი.
- სინტაგმა** – საბრძოლო რაზმი მაკედონელის ლაშქარში. სინტაგმა 256 მეგრძოლს აერთიანებდა, მწკრივში მეგრძოლთა რაოდენობა (16) ტოლი იყო მწკრივთა რაოდენობისა.
- სირაკუზი** – ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო კუნძულ სიცილიაზე. პუნიკურ ომებში სირაკუზს დიდი როლი ეკისრა.

სირტის ყურე – ხმელთაშუა ზღვის ყურე აფრიკის სანაპიროზე.

სისიტები – მდიდარ მოვაჭრეთა ფენა, რომელიც კართაგენის მართვის საქმეში განსაკუთრებულ უფლებებს ფლობდა.

სისტრა – აღმოსავლური უძველესი საკრავი (ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში არსებობდა), ჟღარუნის ხმას გამოსცემდა.

სკორე – ექსკრემენტი.

სოფიის კენჭი – მოზაიკა.

სოხანე – მიწის იატაკი.

სტავრა – ძვირფასი ქსოვილი, სქელი ფარჩა ოქროქსოვილი.

სტოა – შენობის კარიბჭის წინ აღმართული თაღოვანი სვეტები.

სუბური – ღარიბთა უბანი რომში, ქალაქის ძირითადი ნაწილიდან გაღავნით გამოყოფილი.

სუმბული – სურნელოვანი მცენარე, „სხვათა ენაა, ქართულად – ნარდი“ (საბა). ნელსაცხებელს ამზადებდნენ მისგან.

სურინჯი – მცენარეული საღებავი წითელი ფერისა.

სუფეტი – ასე ეწოდებოდა კართაგენის რესპუბლიკის ორ ადმინისტრაციულ პირს. სუფეტი იყო უზენაესი მსაჯული. ომის დროს მხედართმთავრობაც ეკისრებოდა. დამარცხების შემთხვევაში სუფეტს ჯვარცმა არ ასცდებოდა.

სხურებული – ჭრელი, ხალებიანი. ასე იტყვიან ლაქებით დაწინკლულ ცხენზე.

ტალავარი – მამაკაცის ძველებური სამოსი.

ტალავერი – საჩრდილობელი, თალარი, ფანჩატური.

ტალანტი – წონის ერთეული ძველად. ოქროსა და ვერცხლის ზოდი, რომელიც ტლანტს იწონიდა, იხმარებოდა ფულის ერთეულადაც.

ტანიტი – ფინიკიელთა ქალღმერთი, განსაკუთრებით დიდი პატივით სარგებლობდა კართაგენში. ეგვიპტელთა ისიდას კულტისა და ისიდას რიდის ფინიკიური შესატყვისია ტანიტი და მისი რიდე, ზაიმფი. ტანიტი მთვარის კულტთანაა დაკავშირებული. ქალღმერთის ეპითეტები: რაბეთ, რაბეტნა, ბაალეთ და სხვ.

ტაპრობანი – სტრაბონის თანახმად, შორეული, საოცარი, მდიდარი კუნძული. ფიქრობენ, ცვილონს გულისხმობდაო.

ტარენტელნი – ტარენტის მკვიდრნი. ტარენტი ძველი ქალაქია სამხრეთ იტალიაში.

ტარტესი – ძველი ქალაქი პირენეის ნახევარკუნძულზე, გვადალკვივირის შესართავთან. სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა კართაგენთან.

ტეტრარქი – რომის იმპერიის პროვინციის მმართველი.

ტვიროსი – ძველად ფინიკიური ქალაქი-სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სიდონის სამხრეთით. მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა და ხელოსნობით იყო განთქმული. ერთხანს მისი კოლონიები იყო კვიპროსი, სიცილია, უტიკა. ფლობერი ახსენებს „ტვიროსის ქალაქებს“, რადგან ტვიროსს ორი ცენტრი, ორი ნავსაყუდელი ჰქონდა.

ტიარა – აღმოსავლეთის მბრძანებელთა და ქურუმთა თავსაბურავი მიტრის ფორმისა.

ტოტი – ცხოველის ტორი, თათი.

ტრიუმფა – სამხედრო ხომალდი, სამწყება ნიჩბებიანი გალერა.

ტროგლოდიტები – საზოგადო სახელია იმ ტომებისა, რომელნიც კულტურის დაბალ საფეხურზე იდგნენ და გამოქვაბულებში ბინადრობდნენ.

ტუნიკა – ძველი ბერძნების სამოსი კაბის ტიპისა, გავრცელდა რომაელებშიც და სხვა ხალხებშიც. ტუნიკაზე ქამარს ირტყამდნენ. მამაკაცებს ტუნიკა მუხლებამდე სწვდებოდათ, ქალებს – კოჭებამდე. რომაელები იცვამდნენ ტოგის ქვეშ და ტოგის გარეშეც.

ურნალი – გალავნის დასანგრევი მანქანა. გამოიყენებოდა ქალაქის ალყის დროს.

უტიკა – ფინიკიის კოლონია ჩრდილო აფრიკაში, კართაგენის უახლოესი ნავსაყუდელი.

უშქარი – უამრავი, დიდი სიმრავლე.

უხამური – ფეხშიშველი.

ფაიქი – მალემსრბოლი, შიკრიკი.

ფარღული – „მარგალიტის ყელსაბამი“ (საბა); მანიაკი, ყელზე ჩამოსაკიდებელი სამკაული.

ფერსო – ბორბლის გარემემონერილობა, „ურმის თვალის გარემემო“ (საბა).

ფილაკვანი – ძველებური საომარი მანქანა, ლოდსატყორცნი, კატაპულტა.

ფილიპენდულა – ფართოფოთლებიანი და ხუთყურაყვავილიანი მცენარე, სანელებლად, საკმაზად გამოიყენებოდა.

ფრიგია – ძველი სახელმწიფო მცირე აზიაში, მოიცავდა ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილს. ძვ.წ. III საუკუნეში გალატელებმა დაიპყრეს მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნა-

ნილი, ავინროებდნენ ლიდიელებიც, შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა დალაშქრა. ფრიგია მდიდარი იყო ოქროთი, მარმარილოთი, შალეულით.

ფრონტონი – შუბლანი, შენობის ფასადის ზემოთა ნაწილი, ჩვეულებრივ, სამკუთხა ფორმისა.

ქაბირი, ქაბირები – ბერძნული მითოლოგიიდან ფინიკიელებთან შემოღწეული იდუმალი ღვთაებები. არსებობდა 7 ქაბირი, ისინი ვულკანურ ძალებს ასახიერებდნენ. ქაბირებს ზღვაოსნობის, ზოგან კი მეღვინეობის მფარველადაც მიიჩნევდნენ. კუნძულებზე – სამოთრასა და ლემნოსზე – მისტერიები იმართებოდა ქაბირთა კულტის პატივსაცეზად.

ქალცედონი – მინერალი, კვარცის სახეობა.

ქამონი – იგივე ბაალ-ქამონი. ფინიკიელთა მთავარი ღვთაება.

ქანაანელები – ბიბლიურ ეპოქაში ქანაანელები ეწოდებოდათ ევფრატისა და იორდანის ნაპირებთან მოსახლე ტომებს. ფინიკიელები წარმომავლობით ქანაანიდან იყვნენ. რომანში აღწერილ ხანაში კართგენელები იწოდებოდნენ ქანაანელებად.

ქართა – მოლობილი ადგილი პირუტყვისათვის.

ქეიბური – გრძელი ისარი, „პირდიდი და ფრთამაღალი“ (საბა).

ქიცვი – წვეტებიანი ძვლოვანი წარმონაქმნი

ქსანტიპე – ბერძენი მხედართმთავარი, რომელიც კართაგენელებმა მიიწვიეს რომთან საომრად. მან გაწრთვნა პუნიკური ლაშქარი, ძვ.წ. 255 წელს დაამარცხა რომაელები და დაატყვევა რომაელი კონსული მარკუს ატილიუს რეგულუსი.

ქულბაქი – სავაჭრო ადგილი, ბაზარი; „ბაზრის დუქნები“ (დ.ჩუბინაშვილი).

ლაზლა – მსხვილად და ფომფლოდ დართული შალის ძაფი.

ლარტაფი – დაბალი, ჩავარდნილი ადგილი; ღელე, სიღრმით ხეობაზე ნაკლები.

ლომორი – ძველ აღმოსავლეთში, იუდეასა და ეგვიპტეში გავრცელებული მარცვლეულის საწყაო, დროის შესაბამისად იცვლებოდა მისი მოცულობა.

ლურკანი აქლემი – ცალკუზიანი აქლემი, დრომადერი.

ლინჭილა – პატარა ნიჟარა.

ყაითანი – წნული ზონარი, სამოსის მოსართავად გამოიყენებოდა.

ყანიმი – აშურმა, სამხარილლიე, ყაბინი.

ყაჯარი – ცხენის ზურგზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილი. აღმოსავლეთში სპილოებსაც აფარებენ.

ყოლბი – ლაშქრის წყობის შუაგული, „კაცნი გარშემორიგებულნი“ (საბა).

ყორე – ქვის ღობე; შეუმტკიცავი ქვის კედელი; ქვების გროვა;

ყურთმაჯა – სამოსის სახელო, რომელიც ილლიიდან ღიაა და თავისუფლადაა ჩამოშვებული, სამკუთხა ფორმის ბოლო აქვს.

შიბი – ყელსაბამი, ყელის სამკაული (თვალმარგალიტი, ძენკვი, მძივი).

შემინითი – ძველი აღმოსავლური საკრავი, რვაძალიანი ქნარი.

შუანი – ნადირის ეშვი, ღოჯი, „მხეცთა და ძაღლთა მაგარნი და დიდნი კბილნი“ (საბა).

ჩაქი – სამოსის ჩაჭრილი კალთა, ამოუკერავად დატოვებული.

ჩელტი – ლასტი.

ჩუგლუგი – ნაჯახის მსგავსი გრძელტარიანი საომარი იარაღი.

ჩული – ცხენის ზურგზე უნაგირის ქვეშ დასაფარებელი ქეჩა, იხ. თოქალთო, საძაგრავი.

ჩქიფი – რაიმეს ასაღები, ხის, ძვლის ან მეტალისაგან ნაკეთები, ჩანგლის მსგავსი. ჩქიფს უწოდებენ ამავე მიზნით გამოსაყენებელ კაპს, ტოტის ორკაპა ან სამკაპა ბოლოს.

ცახე – მტერის უმცირესი ნაწილაკი, მზის ათინათში ხილული.

ცერერა – მოსავლისა და ნაყოფიერების ქალღმერთი რომაელთა მითოლოგიისა, ბერძენთა დემეტრას შეესაბამება.

ციზალპინა – იტალიის ჩრდილოეთით ალპებს გადმოღმა მდებარე მხარე.

ცხრატყავა – მცენარე, დატოტვილ ბუჩქად იზრდება.

ძაღლის დასი – ხომლი, თანავარსკვლავედი.

ძგვიტი – ნაწვეტებული ნანაზარდი, წვეტიანი დაბოლოება რაიმესი. ღორის ჯაგარზეც იტყვიან, ბალანი კი არა, ძგვიტებიანო.

ძიქვა – შარვალი.

ძლოკვი – გველი, ანკარა.

ნათხი – მარილიანი შრავი, ყველის შესანახად.

ნინწილა – საკრავი, ლითონის თეფში, რომელსაც ამნაირივე თეფშის დაკვრით აჟღერებენ.

წირი – მოჩვენება, მირაჟი.

ნუა – ხილის (ძირითადად ბროწეულის, შინდის, ლოღნაშოს, ტყემლის...) დადუღებული წვენი.

ნყლტუ – უხორკლო, სიპი, გლუვი; ასევე – უთმო, უბალნო; „უმქისო“ (საბა).

ნყრთა – მანძილი იდაყვიდან შუათითის წვერამდე.

ჭილი – პაპირუსი.

ჭლიკი – ცხოველის ფეხის ნაწილი კოჭიდან მუხლამდე.

ჭოგრი, ჭოგრიტი – დურბინდი.

ჭოლოკი – სასროლი მოკლე კეტი, „აღმა სასროლი ჯოხი“ (საბა).

ხამი – მსხვილად ნაქსოვი ბამბის უხეში ქსოვილი.

ხამლი – ფეხსაცმელი, წალა.

ხანდაკი – თხრილი, სანგარი.

ხაპი – გოგრა, აყირო.

ხაჯალური – წამების იარაღი, გრძელი ჯაჭვი ყელზე შესაბმელი რგოლითურთ.

ხვიმირი – წისქვილის დოლაბის ზემოთ მოთავსებული ვინრო-ძირიანი ყუთი, საიდანაც მარცვალი ჩადის კრიჭაში.

ხიმინჯი – ძელი, ან რაიმე მყარი მასალა ძელის ფორმისა, ნი-ადაგში ჩასმული ნაგებობის საყრდენად. გამოიყენება სხვა მიზნითაც, მაგალითად, ნავის მისაბმელად და სხვ.

ხოფი – „ნავის ნიჩაბი“ (საბა).

ჯარჩი – გზირი, მაცნე.

ჯევარდენი – იგივე ჯავარდენი, საგანგებოდ ნაწრთობი ფოლადისგან დამზადებული ხმალი.

ჯიდაო – ცხენის კისრის ძირი, მხრების სიახლოვეს.

ჯიმჯიმები – სატკაცუნებელი, კასტანეტები.

ჯილა – თვალ-მარგალიტით შემკული თავსამკაული; მუზარადზე მიმაგრებული ფრთებიანი მოსართავი; ასევე ჯილას უწოდებენ ზოგი ფრინველის (ფარშავანგი, თუთიყუშისა და მიმინოს ზოგი სახეობა) თავზე ბუნებრივი გვირგვინით ამოსულ ფრთებს.

ჯლარდალა – იგივე შავჯაგა, მცენარეა.

ჰადრუმეტი – ფინიკიელთა კოლონია ჩრდილო აფრიკაში, ჰანი-ბალს სამხედრო ბაზად ჰქონდა.

ჰამილკარ ბარკა – (ძვ.წ. 275-228) კართაგენის მხედართმთავარი, სახელმწიფო მოღვაწე. სიცილიაში ებრძოდა რომს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ეგატის კუნძულებთან კართაგენის მეორე მხედართმთავრის, ჰანონის, დამარ-

ცხების შემდეგ იძულებული შეიქნა რომს დაზავებოდა. კართაგენში დაბრუნდა და ჩაახშო დაქირავებული ჯარის აჯანყება. 237 წლიდან პირენეის სანაპიროების დაპყრობას შეუდგა. მიიჩნევენ, რომ იგი იყო თავისი ვაჟის, ჰანიბალის მომავალ ლაშქრობათა შთამაგონებელი.

ჰანიბალი – (ძვ.წ. 247-183) ჰამილკარის ვაჟი, კართაგენის მხედართმთავარი II პუნიკურ ომში. 218 წელს გადალახა ალპები, რამდენჯერმე დაამარცხა რომაელები, განსაკუთრებით დიდი მარცხი განაცდევინა მათ 216 წელს კანასთან. 202 წელს რომაელთა მხედართმთავარმა, სციპიონ აფრიკელმა სძლია მას.

ჰეკატომპილი – (ბერძნ. „ასი კარიბჭე“) ასე ეწოდა სპარსეთის ძველ ქალაქს გალავანში დატანებული მრავალი ბჭის გამო. პართიის იმპერიის დედაქალაქი იყო.

ჰერაკლეა – რამდენიმე ძველი ქალაქის სახელწოდება. აგრეთვე კუნძულია ეგეოსის ზღვაში. ფლობერი გულისხმობს სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე ნავსაყუდელს, რომელიც პუნიკური ომების დროს კართაგენის პლაცდარმი იყო.

ჰერკულესი – რომაული შესატყვისი ბერძნული გმირის – ჰერაკლესი, ზევსისა და ალკმენეს ძისა. ფლობერის მიერ ნახსენები „ჰერკულესის ტაძარი“ აღმართულია რომში, ტიბრის ნაპირას. იგი განსხვავებულია რომაულ ტაძართაგან, მთლანად მრგვალია და 20 კორინთული სვეტიტათა გარშემორტყმული.

ჰიპო-ზარიტი – ფინკიელთა უძველესი კოლონია ჩრდილო აფრიკაში, დღევანდელი ბიზეტა.

ჰოპლიტი – მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მეომარი ბერძნულ ჯარში. ჰოპლიტები ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ, ერთად დაჯრილნი იბრძოდნენ, თითბრის აბჯარი ესხათ და შეიარაღებულნი იყვნენ მხოლოდ ხელჩართული ბრძოლისთვის. მათი აკაზმულობა იმდენად მძიმე იყო, რომ ჰოპლიტებს საჭურველმტვირთველი მონები ახლდნენ. ჯერ ბერძენი მოქალაქეები იყვნენ ჰოპლიტებად, შემდეგ – დაქირავებულებიც.

ჰოროლი – „ლახვარი ორპირი და ბუნგრძელი“ (საბა).

გუსტავ ფლობერის ქართული თავგადასავალი

2014 წელს გამომცემლობა „პალიტრა L“-მა გუსტავ ფლობერის ისტორიული რომანის, „სალამბოს“, გამოცემა განიზრახა. გამომცემლობის დირექტორი ქალბატონი თინათინ ასათიანი დაგვიკავშირდა „სალამბოს“ პირველი ნახევრის მთარგმნელის, კარლო ქილარჯიანის, ვაჟს, ჯონდი ქილარჯიანს, და მე, მანანა გიგინეიშვილს, რომანის მეორე ნახევრის მთარგმნელს, გამოცემის უფლება გვთხოვა, რაც სათანადო ხელშეკრულებით გაფორმდა.

გუსტავ ფლობერის „სალამბო“ რთული ტექსტია. რომანში აღწერილია პუნიკური ომების ეპოქა, კერძოდ, პირველი პუნიკური ომის შემდგომი ხანა, ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის კართაგენის ყოფა, დაქირავებული ლაშქრის, როქის სპის, აჯანყების ჩახშობა და ამ ფონზე – ბარბაროსთა თავგაცისა და ჰამილკარის ასულის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი.

რომანში ასახულია აფრიკისა და ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხთა და ტომთა ყოფა, ზნე-ჩვეულებანი, საომარი აღჭურვილობა, სამოსელი, ძვირფასეულობა, ნელსაცხებლები, კერძები, რელიგიური კულტის თავისებურებანი. ფლობერი ძირითადად ეყრდნობოდა რომაელ და ბერძენ ისტორიკოსთა ცნობებს: პოლიბიუსის, დიოდორეს, აპიანეს, ნეპოტის, ათენეოსის, ჰეროდოტეს, სტრაბონის, ტერტულიანეს, პლუტარქეს და სხვათა თხზულებებს. რომანის პერსონაჟის, კართაგენელთა ერთ-ერთი მთავარსარდლის, ავადმყოფობის აღსაწერად საფუძვლიანად გაეცნო არაბულ მედიცინას, აღმოსავლურ კარაბადინებს; სალამბოს სამკაულთათვის შეისწავლა თეოფრასტეს ტრაქტატი „თვალთათვის“ და ეპიფანე კვიპრელის „თვალთაი“.

ბუნებრივია, ფრანგულ ენას ძველი სამყაროს ყოფის შესაბამისი ლექსიკური მარაგი არ გააჩნდა. ფლობერი იძულებული

შეიქნა გამოეყენებინა ლათინური ლექსიკა და ბერძენ-რომაელ მემამულეებთან ნაშრომებში დაცული სახელწოდებები საომარი მანქანებისა, კერძებისა, სანელებლებისა, სამოსლისა და ა.შ. ფლობერის თხზულებათაგან „სალამბო“ განსაკუთრებით გამოირჩევა უმდიდრესი ლექსიკით. ლექსიკის ამ მრავალფეროვნებას გარკვეული სირთულეც ახლდა. „სალამბოს“ გამოქვეყნების უმაღლეს ფლობერს თავს დაესხნენ ლიტერატორები, მეცნიერები, მათ შორის – ცნობილი კრიტიკოსი სენტ-ბევი, დოქტორი ფრენერი და სხვანი. ფლობერს, უბადლო სტილისტს, უსაყვედურებდნენ, „სალამბო“ ლათინური ლექსიკონით საკითხავიაო. მწერალი ოპონენტებს არ შეეპუა და ნათელი გახადა, რომ მან ერთადერთი სწორი გზა აირჩია, რომ ძველი აღმოსავლეთის ყოფის ამსახველი ლექსიკის დიდი ნაწილი ფრანგულს არ გააჩნდა.

არქაული აღმოსავლური და ლათინური ტერმინოლოგიის ნაცვლად „სალამბოს“ ქართველმა მთარგმნელებმა მოვიხმეთ სამოსის, სამკაულთა, კერძების, საკრავების, საომარი აღჭურვილობის და სხვათა ქართული შესატყვისები. დიდი შრომა დასჭირდა მათ მოძიებას. ეს სიტყვები დღეს ყოველდღიურ მეტყველებაში არ იხმარება, მაგრამ რომანში ჩვენგან 24 საუკუნით დაშორებული ეპოქა, გარდასულ ხალხთა და ტომთა ადამიანები იხატება და ლექსიკაც შესაბამისია საჭირო, – მით უმეტეს, რომ არქაიზმს გარკვეული მხატვრული ფუნქცია აკისრია ქართულში. ჩვენს ენას არ გასწყვეტია განვითარების ერთიანი ლერძი. დღევანდელ ქართველს სადღეხვადიო ყოფაში არ სჭირდება ის ლექსიკა, რომელსაც ქართულ „სალამბოში“ მრავლად შეხვდება მკითხველი, მაგრამ ლათინურ ტერმინოლოგიას ვამჯობინეთ იშვიათი ქართული სიტყვების განმარტება შეგვეთავაზებინა მკითხველისთვის.

„სალამბოს“ ფრანგულ ტექსტთან ერთად ხშირად აქვეყნებენ ფლობერისა და მისი კრიტიკოსების პოლემიკურ სტატიებს, რათა მკითხველისთვის გასაგები და მისაღები გახადონ „სალამბოს“ ავტორის პოზიცია.

სწორედ ამიტომ ქალბატონ თინათინ ასათიანს, გამომცემლობა „პალიტრა L“-ის დირექტორს, გადავეცი თარგმანის ტექსტი და ვუთხარი, რომ იშვიათი ლექსიკაა, სხვას ვერ ვანდე, თვითონ ავკრიფე, თვითონვე ჩავწერე CD-ზე, რთული ტექსტია და გთხოვთ, არაფერი შემიცვალოთ-მეთქი.

პასუხად მივიღე: „აბა, რა არის რედაქტორის მოვალეობა?!“ არ შევეკამათე, არ ვუთხარი, რომ რედაქტორის მოვალეობაა შეცდომის გასწორება და მთარგმნელისთვის შეთავაზება თავისი მოსაზრებისა, მთარგმნელთან შეთანხმებული მუშაობა. ეს გუნებაში მქონდა, მაგრამ ვერ ვაკადრე და პასუხად ესლა ვუთხარი: „ყოველ შემთხვევაში, უჩემოდ ნურაფერს შეცვლით“. არაფერი უთქვამს.

გამოხდა რამდენიმე ხანი და გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად ცელოფანში ჩადებული „სალამბო“ შევიძინე. შევიძინე და შემოვდე თაროზე „სალამბოს“ წინა სამი გამოცემისა და ჩემი სხვა თარგმანების გვერდით. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რაკი ჩემთან არაფერი შეუთანხმებიათ, ცხადია, თარგმანში არაფერია შეცვლილი. ამაში ოდნავაც კი არ შემპარვია ეჭვი.

2 წლის შემდეგ შემთხვევით გადავშალე „სალამბო“.

ეს იყო რომანის ერთ-ერთი თავი – „კარავში“. მასში იხატება ერთმანეთის პირისპირ დაბანაკებული ჰამილკარის ლაშქარი და ბარბაროსთა აჯანყებული სპა. ბარბაროსთა სარდალთან, მათოსთან, კარავში განმარტოებულია სალამბო. ეს თავი დაძაბული რიტმითა და თან ლირიზმით არის გამოსარჩევი. მძაფრი განცდები ერთმანეთს ენაცვლება. შესაბამისად, ლამის მაღალი და დაბალი შაირივით მონაცვლეობს რიტმი. ეს თავი თითქმის ზეპირად მახსოვს.

გადავშალე და სახტად დავრჩი. ჩემი თარგმნილი ეს მონაკვეთი ვერ ვიცანი. შემდეგ სხვაგან გადავშალე, კიდევ სხვაგან... ყველგან ერთნაირი ვითარებაა. წიგნში საშუალოდ გვერდზე 10-12 ცვლილებაა. არის გვერდები, რომლებზეც 20-25 „შეცდომის გასწორებაა“. რომანში სულ რამდენიმე გვერდია, რომლებზეც მხოლოდ 5-6 „შესწორებაა“.

ათიოდე გვერდის შედარებაც კმაროდა „პალიტრა L“-ის გამოცემული ტექსტისადმი ჩემი დამოკიდებულების გასარკვევად. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ისე გამაოგნა კარლო ქილარჯიანისა და ჩემს უფლებებში რედაქციის უპრეცედენტო ჩარევამ, რომ უკვე სხვა, ახლახან დასრულებული თარგმანის გამოცემასა და წინასიტყვაობაზე ფიქრი ვერ შევძელი, სანამ დეტალურად არ გავისიგრძეგანე, თუ რა დამართა გამომცემლობა „პალიტრა L“-მა ჩვენს თარგმანს.

„სალამბოს“ პირველი ნახევრის მთარგმნელმა კარლო ქილარჯიანმა, უაღრესად განათლებულმა პიროვნებამ, რომენ როლანის „ჟან ქრისტოფის“ სამი წიგნისა და ფრანსუა მორიაკის მთარგმნელმა, 28 წლის ასაკში ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. „სალამბოს“ თარგმანზე განეული მისი შრომა რომ არ დაკარგულიყო, ბოლომდე მივიყვანე მისი თარგმანი. დღეს მე მაკისრია პასუხისმგებლობა.

ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, გამომცემლობა ასე განუკითხავად თუ მოექცეოდა გამოსაცემ ტექსტს, რომ „პალიტრა L“-ის ტექსტი მთლიანად შევეუდარე ჩვენს თარგმანსა და ფლობერის დედანს. 3000-ზე მეტმა გასწორებამ მოიყარა თავი. რედაქციის არცერთმა გასწორებამ არ მომცა საშუალება მეფიქრა, რომ დედანთან სიახლოვეს ითხოვდნენ; მათმა არცერთმა ჩარევამ არ მაფიქრებინა, რომ დედანზე ხელი მიუწვდებოდათ. თან მიკვირს, ფრანგული რომ არ სცოდნოდა ეკატერინე ჭკადუას, რომელიც რედაქტორად აწერია წიგნს, როგორ ანდობდნენ რედაქტირებას ფრანგულ ლიტერატურაში თავისი სტილით განთქმული მწერლისას, განსაკუთრებით კი მის შემოქმედებაში „ლექსიკის ფოიერვერკით“ გამორჩეული რომანისას?!

3000-ზე მეტი ბარათი მაქვს ამონერილი და არაკომპეტენტურობის მეტ-ნაკლები დონის მიხედვით განხილული უცოდინრობითა და უდიერებით დაკუნწული და წარყვნილი ტექსტისა. ან თქვენს თავს რა აუტეხეთ, ან მთარგმნელებს რას გვერჩოდით, ან ფლობერს როგორ აკადრეთ მისი ნაღვანის ჩეხვა და წარყვნა?! ტექსტში ამდენ ცვლილებას ხომ დიდი ჯაფა სჭირდებოდა?! ეგ ენერგია და შემართება რაიმე სასიკეთო საქმისთვის შეგელიათ! ამდენი შეცდომა თუ იყო წიგნში, როგორ არ მოგვიბრუნეთ უკან, გამომცემლობამ როგორ იკისრა მისი დაბეჭდვა?! მით უმეტეს, რომ ჩვენი ინიციატივა არ ყოფილა მისი გამოქვეყნება.

ნუთუ არც იმან დაგაფიქრათ, თქვენამდე სამჯერ როგორ გამოიცა წიგნი, რომელშიც ამდენი „შესწორება“ იყო შესატანი. არ დაინტერესდით, „სალამბოს“ პირველი გამომცემის („სალამბო“ ითარგმნა 1958 წელს, გამოიცა მხოლოდ 1963 წელს, გამომცემლობებში დასაბეჭდი მასალა რიგს წლობით ელოდა) რედაქტორმა, ბატონმა ნიკა აგიაშვილმა, შესანიშნავმა მწერალმა და „დიდებულმა მოქართულემ“ (ასე მოიხსენიებდნენ მას) როგორ

გაუხსნა გზა ამ წიგნს?! ფლობერის ხუთტომეულში როგორ შეიტანეს (1975 წელს), ანდა მესამე გამოცემის რედაქტორმა – პოეტმა, მთარგმნელმა, მეცნიერმა, ყველასთვის ძვირფასმა ვახუშტი კოტეტიშვილმა, ასე სასწორებელი თუ იყო, ფრანგული ლიტერატურის ანთოლოგიის ორმოცტომეულში 22-ე ტომად როგორ გამოაქვეყნა „სალამბოს“ ეს თარგმანი?!

სამწუხაროდ, ნათელი გახდა, რომ ჩვენი ტექსტის ხელყოფით არ შემოიფარგლა გამომცემლობა. თქვენ მხოლოდ მთარგმნელებს კი არა, **თავად ფლობერსაც შეუსწორეთ; ზოგჯერ მის ტექსტში მთელი აზრაცებია შეკვეცილი, ზოგი გვერდიდან რამდენიმე წინადადებაა ამოჭრილი, ზოგჯერ ჩამატებულია თქვენი შეთხზული ფრაზები, წინადადებები.** გამომცემლობამ, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ ფლობერს მისი „ნახმარება“ სჭირდებოდა. ფლობერისთვის „ნახმარების“ ნიმუშებს მოგახსენებთ:

ტექსტიდან ამოჭრილია წინადადება: **[„მეორე დღეს, სწორედ იმავე დროს, ნაჯახის ხევში დარჩენილთაგან უკანასკნელმა დალია სული“.]** ამოღებული მონაკვეთი რომანის ტრაგიკულ დასასრულს ამზადებს. ამ წინადადების გარეშე გაუგებარი რჩება, რატომ არის მათო უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილი ბარბაროსი, რომლის წამების სურვილით არის ატანილი კართაგენის ყველა მკვიდრი. ასეც რომ არ ყოფილიყო, ვინ მოვცათ ფლობერის ნაწერისთვის რაიმეს ჩამოკვეცის ან წამატების უფლება?!

„ბევრს იარაღის ნამსხვრევიც აღარ ჰქონდა. ისინი ზედ ახტებოდნენ კართაგენელებს და ძაღლებივით კბენდნენ“. ამ ორ წინადადებას შუაში ჩაუმატეს: **„ისინი შიშველი ხელებით იბრძოდნენ“.** მსგავსი არაფერია დედანში!

ტექსტიდან ამოგდებულია წინადადება: **„პუნიკურ სინტაგმებში აღარ გაისმოდა ჯარჩების ძახილი“.** ფლობერის ტექსტშია: *Au milieu des syntagmes puniques on n'entendait plus la voix du crieurs annonçant les ordres.* სწორედ ეს crieurs (დამძახებელი), რომელიც ბრძანებებს გაიძახის, არის **ჯარჩი.** ეს წინადადება, ვფიქრობ, გაიწერა ჯარჩის გამო. ლექსიკონში ჩახედვაზე იოლი აღმოჩნდა ფლობერის წინადადების გაქრობა.

ამოგდებულია წინადადება: **„წუმდიდელთა მეფეს ისე ენადაჰამილკარს დასიძებოდა, რომ ეშინოდა, პირი არ შემოიშალოსო, და არ ენდობოდა“.** იგი ზუსტად მიჰყვება დედანს: *Le*

roi de Numides avait trop d'intérêt à devenir son fils pour ne pas s'en méfier. გაუგებარია, რატომ მიიჩნიეთ ზედმეტად ფლობერის ეს ფრაზა. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნუმიდიელთა მეფისა და ჰამილკარის შემდგომ ურთიერთობაში და სალამბოს ბედის წარმართვაშიც. ასეც რომ არ იყოს, ის ფლობერს ეკუთვნის!

ახლა სხვა შემთხვევა: „სპილოს ეშვებს **თირსივით შემოტმასნოდა** ფოთლებიანად დაკრეფილი მტევნები“. **თირსივით შემოტმასნოდა** – ეს ორი სიტყვა ამოაგდეთ. მიზანი? ეს ხომ ზუსტი შესატყვისია ფლობერის ტექსტისა: *enroulées comme des thyrses*. როგორც ჩანს, **თირსი** გაუგებარი აღმოჩნდა თქვენთვის, მაგრამ ფლობერი ხომ მხოლოდ თქვენთვის არ წერდა?! წიგნისთვის დართულ შენიშვნებში ჩაგეხედათ, ნახავდით, რომ თირსი არის ბახუსის კვერთხი, რომელზეც ვაზის ან სუროს ღერწებია შემოხვეული. ტექსტიდან **თირსი** თვითნებურად მოიშორეთ, მაგრამ შენიშვნებიდან ამოღება გამოგრჩათ და წიგნის ბოლოს განმარტებულია სიტყვა, რომელიც „სალამბოს“ თქვენეულ ტექსტში აღარ არის.

ერთმანეთის გასანადგურებლად დაბანაკებული ორი ლაშქრის სიძულვილი და მტრობა არის სალამბოსა და მათოს სიყვარულის ფონი. თავად სალამბოც ვერ გარკვეულა თავის გრძნობებში. მას ჰგონია, რომ სძულს მათო. ვაჟი ზღაპრულ კუნძულზე განმარტობას სთავაზობს, ქალღმერთის რიდით უფუთნის ფეხებს, თავად ხარ ქალღმერთიო, – ეუბნება. საჭურისების გარემოცვაში აღზრდილი ქალწული მონუსხულია მისი ძალით. სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ გარემოში ბუკოლიკური მოტივის შემოჭრით შეგვამზადა ფლობერმა მათი სატრფიალო ვნებათაღელვისთვის: „დადუმდნენ. სადღაც შორს დაიქუხა. ავდრით დაშინებული **ცხვრების პეტელი** მოესმათ“. ზუსტად ასეა დედანში: *Ils ne parlaient plus. La tonnerre au loin roulait. Des moutons balaient, effrayés par l'orage.*

რედაქციისათვის, როგორც ჩანს, მოულოდნელი აღმოჩნდა ერთმანეთის პირისპირ დაბანაკებული ორი ლაშქარი და **ცხვრების პეტელი**. და... ერთი ხელის მოსმით გადააკეთეს **ცხენების ფრუტუნად**. როგორც ჩანს, **პეტელი** გეუცხოვათ. რა გაენცობა, ცხვარი პეტელებს, თხა კიკინებს, ვირი ყროყინებს, ცხენი ჭიხვინებს, ბაყაყი ყიყინებს და ა.შ. ცხვარს თუ ცხენისაგან ვერ არჩევდით და პეტელს – ფრუტუნისაგან, **ამ ცოდნის პატრო-**

ნებმა როგორ იკისრეთ გუსტავ ფლობერის რედაქტირება?! რა საფუძველი და რა მიზანი ჰქონდა თქვენს შემართებას?! ფრანგული კლასიკის მშვენებასთან რა ხელი გაქვთ, ან ქართველ მთარგმნელთა საქმიანობაში როგორ ერევით?! დედანში ჩამხედავი რომ ყოფილიყავით, ამ კურიოზს ხომ არ დამართებდით საკუთარ თავს. დედანზე ხელი თუ არ მიგიწვდებათ, მით უფრო საკვირველია, საიდან გაქვთ ასეთი თავდაჯერება?

ვფრთხილობდი, უსაფუძვლოდ არაფერი შეგკადრო-მეთქი გამომცემლობას, რომლის მიმართ დიდი კეთილგანწყობა მქონდა წიგნისკენ მკითხველის მიზიდვისა და მრავალმხრივი საქმიანობის გამო. ამიტომ რედაქციის მიერ ნაჯიჯგნ-ნასწორები ტექსტი თავიდან ბოლომდე შევუდარე ჩვენს თარგმანსა და ფრანგულ დედანს. არცერთი თქვენი გასწორება დედანს არ ეთანხმება. კი მაგრამ, ფრანგული თუ არ იცოდა ქალბატონმა ეკატერინე ჭკადუამ, უმდიდრეს ფრანგულ ლიტერატურაში სტილის საოცრებით გამორჩეულ მწერალს როგორ ანდობდით? თუ იცის, ამდენ დაკლება-წამატებაში ერთხელ მაინც ხომ უნდა გაეთვალისწინებინა დედანი?! **სად იყავით, ბატონებო, რედაქტორი მოიქცა თავისი ცოდნისა და გუნება-განწყობის შესაბამისად, მაგრამ მთელი რედაქცია ამ ერთი ქალბატონის იმედად არის დარჩენილი?**

მივყვეთ რედაქტორის ნაჯაფ-ნამუშევარს: ქართული ტექსტი – **„აკაციის ვარჯში გახლართულიყო აყირო, ვარდნარს შორვალა შერეოდა, ათასგვარი სარეველა გადაბლარდნოდა ერთმანეთს, ფანჩატურები გაჩენილიყო“**, – ზუსტი თარგმანია დედნისა: *Des coluquintes montaient dans le branchage des canéfiers, des asclépias parsemaient les champs de roses, toutes sortes de végétations formaient des entrelacement des berceaux.* რას იზამთ, *coluquintes* არის აყირო, *champs de roses* ვარდნარია, *asclépias* არის შორვალა. თქვენ **აყირო** შეცვალეთ **სხვა მცენარეებით, შორვალა** ჩაანაცვლეთ **სარეველათი**, მაგრამ მომდევნო წინადადებაში დაგხვდათ **სარეველა**. ორი სარეველა ერთმანეთის გვერდიგვერდ მეტისმეტი იყო. ამიტომ **„თქვენი სარეველა“** დატოვეთ და **„ფლობერის სარეველა“** განირთ, ამოაგდეთ წინადადება: **„ათასგვარი სარეველა გადაბლარდნოდა ერთმანეთს“**.

ფლობერის, სტილით გამორჩეული მწერლის, ოსტატობა უმდიდრესი ლექსიკით არ შემოიზღუდება. კარვის ეპიზოდში, როცა ბარბაროსთა თავკაცი მათო განმარტოებული აღმოჩნდება ქალღმერთად წარმოსახულ თავის სატრფოსთან, ის ხან პირგამეხებულია და რისხვას აფრქევს, ხან ბავშვივით ნაზია და სათუთი. მისი განწყობილების შესაბამისად მათოს ნათქვამს რიტმი იმორჩილებს, რიტმი წარმართავს: „შიშველი ხელით ვირიდებდი მოღერილ ჰოროლთ, გაფრენილ რაშებს **[ვიურვებდი]** თავის დადრეკით. მე ვერ შემარყევს ფილაკენიდან ნატყორცნი ლოდი“. თქვენ რიტმი რომ გეგრძნოთ, **ვიურვებდის** ნაცვლად არ დაწერდით: **ვიმორჩილებდი**. მიხვდებოდით, რომ აქ ზედმეტი მარცვალი არ იყო საჭირო. არადა, რა დაგვიზავათ გაფრენილი რაშების **დაურვებამ?** რით ჯობს მას **დამორჩილება?**

შემდეგ მათო განაგრძობს: „ზოგჯერ შენი **[ტანის მიმოტანა,]** შენი სამოსის ნაკეცთა გახსენება წამიტანს, შემომებურვის, შენი თვალები მეზმანება ისართა ცეცხლში, მოზარნიშულ ფარებში, შენი ხმა მეყურება წინწილების ხმიანობაში! მიმოვიხედავ, არსად ხარ და... მტერს ვეკვეთები!“ **ტანის მიმოტანა** არ მოგეწონათ, **სხეულის წარწარად** შეცვალეთ. ეგებ მე სხეულის წარწარი არ მომწონს?! **მოზარნიშული ფარებიც** (*dorure des boucliers*) დაუწუნეთ ფლობერს და ამოაგდეთ, ასევე ამოაგდეთ **წინწილების ხმიანობაც** (*retentissement des cymbales*)

„ქალმა **[გარდუვალის სიახლოვე იგრძნო, თავს დასძლია.]** ზაიმფისკენ წაიწია დ ხელით წაეპოტინა“. კვადრატულ ფრჩხილებში რაც არის ჩასმული, თქვენ თავიდან მოიცილეთ, თუმცა იგი ზუსტი შესატყვისია დედნისა: *qu'elle touchait à un moment suprême, irrevocable*. **გარდუვალის სიახლოვის** ნაშლამ გააფერმკრთალა, გაამარტივა სალამბოსა და მათოს ურთიერთობა. ჰამილკარის ასულს ტრფობის ალი სწვავს. ფლობერი სალამბოს მზერით დანახულ ჭაბუკს გვიხატავს: „ხელები აღმართა. ხეთა ვარჯში გახლართული ფათალოს ლერწებივით დასჩენოდა ძარღვები. ოფლი ღვარად სდიოდა დაკუნთულ მკერდზე. ბრინჯაოს საღტეებიან ქამარში გამომწყვდეული გვერდები მძიმე სუნთქვისგან ებერებოდა. სარტყლიდან მარმარილოზე უფრო მაგარი ღვედები სთრევდა მუხლებამდე. საჭურისებს ჩვეული ქალწული გააოცა მისმა ძალამ, გაიფიქრა – ქალღმერთის მოვლენილი რისხვა თუა ან მოლოქის წყრომა, თან რომ მდევს და... ლაშქარს თავს რომ დასტრიალებსო“. ამ მონაკვეთ-

ში ფლობერი მათოს სახელსაც კი არ ახსენებს, ზმნებს ახვავებს მხოლოდ, მაგრამ მკითხველმა იცის, ვინ აღმართა ხელები, ვის აჩნდა ძარღვები, მძიმე სუნთქვისგან ვის ებერებოდა გვერდები. მოგახსენეთ, სახელს არ ახსენებს მათოსას და, მით უმეტეს, არ მოიხსენიებს მას **მთავარსარდლად**. ძლევამოსილი მთავარსარდლის, ჰამილკარის, ასულისთვის მათოს მთავარსარდლობა კი არ არის მომხიბვლელი, – საჭურისების გარემოში აღზრდილი ასული სწორუპოვარ ვაჟკაცს ხედავს მისი სახით. მწერალი რომანის ამ მონაკვეთში სალამბოს აღქმაში ერთმანეთისგან გაუმიჯნავ მოლოქის მამაკაცურ საწყისს და რეალურ ჭაბუკს ხატავს. თითქოს არაფერი განსაკუთრებული, თქვენ ამჯერად სულ ერთი სიტყვა – **მთავარსარდალი** ჩაამატეთ თხრობაში. რედაქტორმა მწერლის ჩანაფიქრი ვერ გაითვალისწინა და ეს უფაქიზესი და უძლიერესი ეპიზოდი, გარდასული ეპოქის ადამიანის სულის მიმოხრის მაუწყებელი, – გაფერმკრთალდა.

კარვის ეპიზოდში ფლობერი კვლავ გვესაუბრება მათოს შესახებ, თან ისე, რომ, არათუ **მთავარსარდლს**, მის სახელსაც კვლავ არ ახსენებს და ისევ საგანგებოდ მოიხმობს ზმნებს, მოქმედების ენერგიით მუხტავს თხრობას: „ჩაიმუხლა, მკლავები წელზე შემოაჭდო, თავი გადაუქანდა, მისი ხელები აფათურდა ქალწულის სხეულზე. ყურში გაჩრილი ოქროს რგოლები უელავდა გარუჯულ ყელზე. თვალებში მსხვილი ცრემლი ჩაუდგა, **[ვერცხლის ბირთვებისდარი.]** ნეტარებით ოხრავდა, გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა, ნიავის უნაზესს და ამბორის უტკბესს“. მთელ ამ აბზაცში ერთხელაც არ არის ნახსენები მათო, მაგრამ ნათელია, ვისზეა საუბარი. თქვენ ფლობერს კიდევ ერთხელ „ნაეშველეთ“, ამ მონაკვეთშიც ჩაამატეთ **მთავარსარდალი** და რატომღაც ნაუშალეთ **ვერცხლის ბირთვებისდარი ცრემლები**. ეს ხომ ფლობერის მიერ შექმნილი ხატია: მზიური ღვთაების განმასახიერებელი გმირი ჭაბუკი ვერცხლის ბირთვებისდარი ცრემლებით. არ ვიცი, რა გქონდათ მიზნად, რატომ გაისარჯეთ, რატომ იყო აუცილებელი ამ ეპიზოდში მათოს მთავარსარდლობის კვლავ ხსენება. **ნუთუ ვერ დაიოკეთ ფლობერის ჩანაფიქრში ჩარევის სურვილი? თუ საერთოდ ვერ მიუხვდით ჩანაფიქრს?**

იმავე მონაკვეთში **ფათალოს ლერწებივით დასჩენოდა ძარღვები** შეცდომად მიიჩნიეთ და ასე გაასწორეთ: **სუროს ღერებივით დასჩენოდა ძარღვები**. ფათალო რატომ დაიწუნეთ?

სურო და **ფათალო** ერთი და იგივეა. სუროს კახეთში ფათალოს უწოდებენ. ეს სიტყვა სუროს გვერდიგვერდ იხმარება და დამკვიდრებულია სალიტერატურო ქართულში. ვინ აკრძალა ფათალო? რაც შეეხება ლერწს, **ლერწი** ვაზთან ერთად ითქმის ყველა მცენარის დახვეულ რტოზე. მაგრამ თქვენ **ლერწი** შეცვალეთ **ლერად** და არა **ლეროდ**. **ლერი** სხვაა და **ლერო** – სხვა. **ლერო** მაინც დაგენერათ, თუ ასე აუცილებლად მიიჩნიეთ შეცვლა. ნუთუ არც ის იცით, რას ნიშნავს **თმის ლერი**, **ერთი ლერი შეშა**, **ასანთის ლერი**? თქვენ რაც გუნებაში გქონდათ, იმას **ლერო** ჰქვია ქართულად. ლერწი ჰგავს სისხლის ძარღვებს და კარგი შედარებაა, **ლერი** – არა.

მათო მიმართავს სალამბოს: „თუ გსურს, მოუხმე მამაშენს და **[მთელ სპას მამისას,]** უხუცესთ, მდიდართ, შენს დაწყევლილ ხალხს. სამასი ათას კაცს ვმბრძანებლობ, კიდევ მეტს მოვხვეტ ლუზიტანიაში, გალეთსა და უდაბნოთა ვრცელ ტრამალებში. შენს ქალაქს აღვგვი, ტაძართ დავენვაგ! ხომალდები სისხლის ზვირთებში იტივტივებენ! სპა დამელევა? მთით მოვრეკ დათევბს, **[მხეცთ მოვლალავ,]** ლომებს მოვდენი! გაქცევას **[ნუ ლამობ,]** შემომაკვდები!“ აქაც ფლობერის პროზის რიტმი! კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ფრაზების ამოღება არ იკმარა რედაქტორმა, თითქოს უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა, ნართანიანი მრავლობითი ებიანით შეცვალა, **ნუ ლამობ** ნაშალა და მის ნაცვლად ჩაწერა: **ნუ ცდილობ**, მაგრამ რიტმი, დაძაბული რიტმი, რომლის საშუალებითაც მათოს პიროვნებას წარმოგვისახავდა ფლობერი, – ჩაიფერფლა, ჩაიფუშა. ნუთუ რიტმმა არაფერი გითხრათ? გარდა ამისა, **ქვას არ დავტოვებ** რომ შეცვალეთ ასე: **ქვას ქვაზე არ დავტოვებ**, – და ამას მოჰყვება **არც სახლს, არც პალმას**, – არ დაფიქრდით, რომ „ქვას ქვაზე არ დავტოვებ“ კი არის ქართულისთვის ბუნებრივი გამოთქმა, მაგრამ ამას **სახლი** და **პალმა** მოსდევს. ასეთ კონტექსტში იგულისხმება „სახლს სახლზე არ დავტოვებ, პალმას პალმაზე“, – რაც არ არის კარგი ქართული. წაგეშალათ, **სახლი** და **პალმა**, რამ დაგატოვებინათ, **თქვენ ხომ გეხერხებათ ნაშლა. თქვენ ხომ თქვენი გუნება-განწყობისამებრ კრიჭეთ ქართული თარგმანი კი არა მხოლოდ, არამედ ფლობერიც. აქ ყველაფერი, რაც ნაშალეთ, ფლობერისა იყო. ეს ორი სიტყვა რა გაგიხდათ, მათ ნაშლას რა ედგა წინ?!**

ამ მონაკვეთიდან **მხეცთ მოვლალავ** ამოიღეთ. საერთოდ სხვაგანაც ყველგან, სადაც შეგხვდათ, ამოაგდეთ ეს ზმნა. თქვენ თუ სიტყვა არ იცით, ან არ მოგწონთ, – ეს არ უნდა გაძლევდეთ უფლებას, რომ ეს სიტყვა ქართული თარგმანიდან განდევნოთ.

შემდეგს მივხედოთ: „გადაფითრებული და მუშტებშეკუმშული მათო გასანყვეტად გამზადებული ქნარის ძალივით აცახცახდა, მუხლთ მოეკვეთა, ქვითინი ახრჩობდა“. ფლობერმა კვლავ მძაფრი ენერგიით დამუხტული ზმნები მოიხმო. თქვენ ეს მონაკვეთი მდორე თხრობად გადააკეთეთ. ჯერ ჩაამატეთ **უეცრად** („მუხლთ მოეკვეთას“ წინ), რაც სრულიად ზედმეტი და უადგილოა; ასევე ქვითინს წაუმატეთ **ყელში მომდგარი**. თქვენ იმდენი ცვლილება შეიტანეთ კარლო ქილარჯიანისა და ჩემი სახელით გამოქვეყნებულ თარგმანში, – თანაც ჩემთან შეუთანხმებლად, ჩემგან ფარულად, – **თითო-ოროლა სიტყვა რა სახსენებელია, მაგრამ ეს იმის ნიმუშად მოვიხმე, რომ თხრობა გააღარიბეთ, აზრის დინამიკა შეანელებთ. ნაწარმოებიდან წინადადებებისა და ზოგჯერ აზრების ამოგდებით რიტმი არაერთხელ დაურღვიეთ მწერალს, რომლის პროზაში რიტმს უდიდესი როლი ენიჭება, – მწერალს, რომელსაც პროზის რიტმის თაობაზე თავისი თეორია ჰქონდა**.

შემდეგი: „ჭაბუკმა დაუკოცნა ხელის თითები, მკლავები, ფეხები, **[მიესიყვარულა გრძელ ზილფებს ასულისას.]** ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა ამ წინადადებას კუდივით მოაკვეცა რედაქტორმა. ასეთი რამ აღარ მიკვირს, მაგრამ მან ჩამონათვალი – **ხელის თითები, მკლავები, ფეხები** – შეცვალა ასე: **მკლავები, ფეხები, ხელის თითები**. ვერ გავიგე, ვერ მივხვდი, რა აზრი ჰქონდა **ხელის თითების** გადასმას ჩამონათვალის ბოლოს. ეგებ დედანშია ასეთი თანმიმდევრობა და ამჯერად ერთხელ მაინც გაისარჯა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ არა, ფრანგულშია: *les doigts de sa main, les bras, les pieds*.

მათო მიმართავს ჰამილკარის ასულს: „ნაილე ზაიმფი! რად მინდა იგი! **მეც თან წამიტანე!**“ რედაქციამ, როგორც ჩანს, იფიქრა, რომ შემეშალა, **მათო უსულო საგანი მეგონა, ის კი ადამიანია** და გამისწორა: **მეც თან წამიყვანე!**

მათო განაგრძობს: „სპას მივატოვებ, ყველაფერს გავემიჯნები! კადისის იქით, ზღვით ოცი დღის სავალზე, ფრინველთ საბუდარი კუნძულია, ოქროს ქვიშითა და მწვანით დაფარული.

სურნელს აფრქვევენ მთის ვეება ყვავილები და ირწევიან მარადიულ საგუნდოუკესავით. კედრის უმაღლეს ლიმონთა ძირას უნასები დასარსალებენ და აღმასებით მოკენჭილი ხახით ბერტყავენ მოლზე ნაყოფს. ჰაერი ისე მსუბუქია, რომ სიკვდილი უძლურია იმ მხარეში. მივაკვლევ იმ კუნძულს! ქარაფებში შეთხრილ ბროლის მღვიმეში დავბინავდებით. არავინ მკვიდრობს იმ კუნძულზე სულიერთაგან და მე მეუფე ვიქნები მისი!“

ამ პატარა მონაკვეთში **უნასი გველით** შეცვალეთ, **მოლი – მდელოთი, ქარაფები – კლდეებით, ვეება – ვეებერთელათი**; ხოლო **დასარსალებენ** შეცვალეთ ასე: **დასრიალებენ**. რატომ იყო აუცილებელი ეს ჩასწორებები? გველის მოძრაობას **სარსალიც** ჰქვია და **სრიალიც**, ოღონდ ერთმანეთისგან განსხვავებულია ეს ორი მოძრაობა. ამაზე არ დაფიქრებულხართ, მაგრამ ამ მონაკვეთში სხვა რამ არის უფრო სავალალო:

მათო ნატრობს ზღაპრულ გარემოში სალამბოსთან განმარტოებას, ახსენებს უკაცრიელ კუნძულს, სადაც რძისფერ უნასებს აღმასებით მოკენჭილი ხახა აქვთ. ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, რომ აღმასი კბილის მეტაფორაა. მათო ოცნებობს ზღაპრულ კუნძულზე, სადაც გველებს აღმასები აქვთ კბილებად. რას ერჩოდით **მოკენჭილს**? მის ნაცვლად რამ დაგანერინათ **მოკირწყლული**?! **კირი** და **წყალი** რომ არის მის ფუძეში, – ამას მაინც უნდა დაეფიქრებინეთ. მოკირწყლვა კირთან და წყალთანაა დაკავშირებული. გზის მოპირკეთებასთან, მოკირწყლვასთან ხომ არ გვექონდა საქმე? ამ ჯადოსნურ გარემოში რამ შემოგატანინათ **მოკირწყლული**?! თანაც **აღმასებით მოკირწყლული**?!

კარვის ეპიზოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რომანის ორი გმირის სახის გახსნაში. სალამბოს, თავის გაუცნობირებელ მიჯნურთან განმარტოებულს, მიაჩნია, რომ მათოს სახით მოლოქის, მზიური ღვთაების, დამთრგუნველი ძალა ბატონობს მასზე. კარავში მათოსთან სატრფიალო ვნებათაღელვისას რომანში ვკითხულობთ: **მოლოქ, შენ მწვავ!** რედაქტორი რემარკას უმატებს: **თქვა ხმადაბლა**. იმდენი რამაა რედაქტირებისას ნაშლილი თუ დამატებული, რომ ეგებ არც ღირდეს ამ ერთ ჩანართზე ყურადღების შეჩერება, მაგრამ რედაქციის ეს ჩართვა კიდევ ერთხელ ავლენს სარედაქციო ტექსტთან სრულიად გაუაზრებელ დამოკიდებულებას. საქმე ისაა, რომ ფლობერი გარდასული ეპოქის ადამიანთა ფსიქიკას

გვიხატავს. მათოს მთვარის ქალღმერთთან, ტანიტთან, ჰყავს გაიგივებული სალამბო, სალამბოს კი მათო მზის ღმერთის, მოლოქის ხატებად მიაჩნია. ბარბაროსთან სტრფიალო ვნებათაღელვას აღწერს ფლობერი. ტანიტის რიდე ჩამოიშალა და შებურა სალამბო. ამ დროს **მოლოქ, შენ მწვავ!** – ეს გაისმის კარავში თუ სალამბოს ფიქრია, არ ჩანს ტექსტში. ამას მოჰყვება; „მისი სხეული ჯარისკაცის კოცნამ დაფარა, ცეცხლის უფიცხელესმა კოცნამ. ქარიშხალმა აიტაცა, მზის ძალამ დაატყვევა სალამბო“. **ფლობერის ჩანაფიქრში თქვენმა ჩართვამ – თქვა ხმადაბლა – ეს დაძაბული სცენა – რეალობისა და წარმოსახვის, ქვეცნობიერისა და ზეგრძნობადის ზღვარზე ასახული, – მოსპო, წაახდინა. რაში დაგჭირდათ, რაღაც აზრი ხომ უნდა ჰქონდეს თქვენს ამ ჩარევას?! ტექსტისთვის თქვენი ფრაზების დამატებისაგან ისევე ვერ იკავებთ თავს, როგორც ფლობერის უამრავი წინადადების მოშორებისგან!**

ფლობერს სალამბო თანდათან გადმოჰყავს რეალობაში და ათქმევინებს: „დახე, როგორი ყოფილა ეგ საოცარი კაცი, კართაგენს რომ რისხვად დაატყდა.“ და თავად ფლობერი დასძენს: „გაიფიქრა სალამბომ“. როგორც ხედავთ, როცა საჭიროდ მიიჩნია, მწერალმა თქვენი ჩარევის გარეშე მოახერხა თავისი რემარკის ჩართვა.

განვაგრძოთ: „ისეთი შიშისმგვრელი იერი ჰქონდა, რომ სალამბო გაიღურსა“. ეს არის თარგმანი ფრანგული წინადადებისა: *Elle fût immédiatement comme cluée sur ses talons*. სიტყვასიტყვით იქნება: ქუსლებით მიეღურსმნა (იგულისხმება: ერთ ადგილს მიეღურსმნა). ვთქვათ, არაადეკვატურად მიიჩნიეთ **გაიღურსა**, მაგრამ მის ნაცვლად რამ დაგანერინათ : **თავი დახარა?!**

„**მეგზურმა** მუჭით ოქრო **წაუჩვენა**“. ეს წინადადება გვაუწყებს, რომ სალამბოს მეგზური შეეცადა მეფუნდუკე დედაკაცი დაეყოლიებინა მათთვის სამსახურის განწევას. გასწორდა ასე: „**მგზავრმა** მუჭით ოქრო **უჩვენა**“. თითქოს არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ სალამბოს **მგზავრი** კი არა, **მეგზური**, გამყოლი, გზის გამკვლევე ახლდა. არ მესმის, რატომ უნდა მოგინდეთ ამ კონტექსტში **მეგზურის მგზავრად** შეცვლა. **წაუჩვენა** არ არის იგივე, რაც **უჩვენა**. ქართულში ზმნისწინის სემანტიკური დატვირთვაც აქვს. **წაუჩვენა** ნიშნავს, რომ აჩვენა და შეაძლია, შეახარბა, მოანდომა.

მათოს სალამბოს მსახურების, მის წინაშე თავის დამდაბლების სურვილი აქვს: „მტვერი მოაცილა სალამბოს *კოთურნებს*“, – ასეა ფლობერთან. თქვენ *კოთურნი* ისე შეცვალეთ *სამოსით*, რომ დედანში არ ჩაგიხედავთ. ბევრგან, სადაც კოთურნი შეგხვდათ, შეცვალეთ, ან ამოაგდეთ. ამჯერად *სამოსით* კი ჩაანაცვლეთ, მაგრამ კოთურნი სამოსი, ანუ ტანსაცმელი, არ არის, კოთურნი ფეხსაცმელია. რომაული კულტურის, რომაული ეპოქის შესახებ ლამის წიგნს ვერ ნახავთ, კოთურნი რომ არ იყოს ნახსენები. „სალამბოსთვის“ დართულ კომენტარებში მაინც ჩაგეხედათ, ნახავდით, რაც არის *კოთურნი*. წიგნს დართული განმარტებების რედაქტირება ისედაც გმართებდათ.

განვაგრძოთ: „შემცივებული ქალი ათრთოლდა. **[ჰაერმა დასცადა.]**“ რედაქტირებული ტექსტიდან **ჰაერმა დასცადა** ამოღებულია. მიზეზი გაუგებარია. გეუცნაურათ? მე კი მგონია, რომ ეს არის დედნის – *le grand air l'élourdissaient* – შესატყვისი შესანიშნავი ქართული იდიომა. ფრანგულშიც იდიომაა მოხმობილი. სიტყვასიტყვით იქნება: დიდმა (ბევრმა) ჰაერმა დაამძიმა. სწორედ ამას გადმოსცემს ხსენებული ქართული იდიომა, რომელიც რედაქციამ მოიცილა.

„სალამბო დარბაზის ერთ კუთხეში მიგდებულ **[ყაჯრებზე მიწვა წასაძინებლად]**“ ამ წინადადებამ სახე იცვალა: „... **კუთხეში დაგებულ ქვეშაგებზე მიწვა წასაძინებლად**“. დედანშია: *Elle s'endormit sur les caparaçons des chevaux dans un coin de la salle*. სწორედ *Le caparaçon* – არის ყაჯარი, იგივე თოქალთო, იგივე ჩული – ცხენის ზურგზე გადასაფარებელია და არა – ქვეშაგები (!). გარდა ამისა, **წასაძინებლად** სხვაა და **დასაძინებლად** – სხვა. ფრანგულში ეს არ არის გარჩეული, თუ არ დაემატა *en peau* (ცოტა, ოდნავ). ქართულს აქვს ზმნისწინით სემანტიკური ელფერის გამოხატვის უნარი. **დაიძინა, წაიძინა, ჩაიძინა, მიიძინა, გამოიძინა** – ყველა სხვადასხვას ნიშნავს. ამ კონტექსტში, როცა მცირე ხნით გზად შეისვენეს სალამბომ და მისმა მეგზურმა, **წაიძინა** უფრო შესაფერია, ვიდრე **დაიძინა**. მაგრამ რას იზამთ, **გაუსწორებლად ხომ არ დატოვებდით!**

„შელამების ბინდუნდში შენიშნეს შეუმტკიცავი ქვით ნაშენი ყორე“. **შეუმტკიცავი** ამოგილიათ და დაგიტოვებიათ **ქვით ნაშენი ღობე**. ფრანგულ დედანშია: *un enclos de pierres seches*, რაც სიტყვასიტყვით არის: „მშრალი ქვის ყორე“. ქართულად ამას ჰქვია **შეუმტკიცავი ქვის ყორე** ან **შეუმტკიცავი ყორე**.

გარდა ამისა, **ყორე** და **ლობე** არ არის ერთი და იგივე. ყორე ქვისაა, ლობე – ხის, წკნელის, მავთულის, ცოცხალი მცენარეების და ა.შ.

მალემსრბოლმა ბარბაროსებს მოუტანა ტუნისელების გამოგზავნილი ქილის გრაგნილი. თარგმანში ვკითხულობთ: „ბერძენმა მას ხელიდან გამოგლიჯა ფინიკიური წარწერებით აჭრელებული **ქილის გრაგნილი**“. რედაქცია ასწორებს: **ჭილოფის გრაგნილი**. ჭილოფი არ არის ის, რაც შეიძლება იყოს ფინიკიური წარწერებით აჭრელებული. დედანში რომ ჩაგეხედათ, – ამ კურიოზს ასცდებოდით: *Le grec lui arracha des mains un rouleau de **papyrus** chargé d'écritures phéniciennes*. ქილი არის მაღალი ბალახი, რომლითაც ჭილოფს წნავენ. მაგრამ გარდა იმისა, რომ ქილი ჭილოფის დასაწნავი ბალახია, ქართულად ქილი ეწოდება პაპირუსს. ფრანგულ ტექსტში **papyrus** წერია. თქვენთვის რომ ფრანგული დედანი ყოფილიყო ორიენტირი, ხომ მიხვდებოდით, რომ **ქილის გრაგნილი**, თანაც ფინიკიური წარწერებით აჭრელებული, – პაპირუსი ყოფილა. საკვირველია, ჭილ-ეტრატის გრაგნილი, ხელნაწერთა ცენტრში რომაა დაცული, არ გაგიგონიათ? ამ ცოდნის პატრონები თითო გვერდზე 10-12 „შეცდომას“ და ბევრჯერ 20-ზე მეტსაც უსწორებთ ფლობერსაც და მის ქართველ მთარგმნელებსაც! **ეს ყველაფერი თუ ეკატერინე ჭკადუას ნახელავია, ისინი რას ფიქრობდნენ, ვინც ფლობერი ჩაუგდო მას ხელში?! იმ ოთხ პიროვნებას, სარედაქციო ჯგუფის სახელით ხელს რომ აწერთ „სალამბოს“ გამოცემას – ზურაბ აბაშიძეს, თინათინ ასათიანს, დავით ორაგველიძეს, მანანა ჯანელიძეს – რაღაც მოვალეობა, რაღაც პასუხისმგებლობა ხომ გეკისრათ? როგორ დაუშვით, რომ თქვენმა რედაქციამ ასე შეურაცხყო ფლობერი, ასე შებღალა ჩვენი თარგმანი?!**

ფლობერი კართაგენის გარემოცვას აღწერს: „მარცხენა ხელით ფარები ჩამოემხოთ მუზარადებზე და ისე მიტმასნოდნენ ერთმანეთს, **[რომ კუთა გროვას ჰგავდნენ.]** მკითხველმა უკვე იცის, რომ კვადრატული ფრჩხილებით მონიშნული მონაკვეთი წაშლილია „პალიტრა L“-ის გამოცემაში. **კუ** რომაული ლაშქრის ერთ-ერთი საბრძოლო წყობა იყო. ცალ ფეხზე ჩაჩოქილი მეომრები მუზარადზე ფარებს ჩამოიმხოვდნენ და ასე შემჭიდრობულნი თავზევით, ფარებზე, ცხენოსანი მხედრის ჯირითსაც კი უძლებდნენ. ერთმანეთთან მიჯრილი ფარები **კუს** ბაკანს

ჰგავდა, აქედან – ილეთის სახელწოდება. ვთქვათ, გაგაოცათ ბრძოლის ველზე კუს ხსენებამ, მაგრამ თქვენ რაც გიკვირთ და არ იცით, იმას ფლობერს როგორ უსწორებთ! დედანშია: *Qu'on aurait dit un assemblage de grand tortues*. ამ ილეთის ჩართვით მწერალმა კართაგენის საბრძოლო წყობაში რომაელთა გავლენაზეც მიგვანიშნა.

მე აქ ერთი სიტყვის შესახებ მოგახსენეთ, მაგრამ ამავე გვერდზე გამოტოვებულია: **„გალავანზე რომ უკეთ აცოცებულებოდნენ, ახმახები წინ მიდიოდნენ, დაგვაჯულები უკან მიჰყვებოდნენ“**. ისევ ამ გვერდზე ფლობერს წაართვეს მთელი აზნაური: **„გარემოცულნი თვითონ ანგრევდნენ ქონგურებს. კედლის ნაშალი ცვიოდა და მტვრის კორიანტელს აყენებდა. მიწაყრილიდან გრუხუნებდნენ ფილაკვნები. გატყორცნილი ლოდები ერთმანეთზე ილენებოდა და ღორღი აწვიმდა მეზრძოლთ“**.

ასე და ამაზე ბევრად მეტად ნაკლული გვერდები უამრავია, ყველა აღნუსხული მაქვს, მაგრამ მკითხველის სულგრძელი მოთმინებით არ მინდა ვისარგებლო.

როგორ უნდა გაკადნიერდეს ადამიანი, რომ ფლობერის რანგის მწერალს ტექსტის „შესწორება“ შეჰკადროს! მაგრამ, როცა მწერლის ტექსტის შემოკლება, წამატება, გადასხვაფერება ავლენს ამის მოქმედთა თვალსაწიერს, ცოდნის დონეს და უკმეხ, სრულიად უსაფუძვლო სითამამეს, – ეს კიდევ სხვა რამაა. ამის ანალიზი მკითხველისთვისაც და საერთო საქმისთვისაც ალბათ საჭირო და სასარგებლო უნდა იყოს. ის, რაც ამ რედაქციამ ჩაიდინა, სერიოზული ავტორიტეტის მქონე გამომცემლობას, „პალიტრა L“-ს, არ ეკადრება.

შემდეგი: „თითბრის საყვირებში ჩასძახეს, რომ ამიერიდან კართაგენელთა და ბარბაროსთა შორის აღარ არის არც ნდობა, არც სიბრალული, არც კაცი, არც ღმერთი“. **საყვირებში ჩასძახეს** რედაქციამ შეცვალა ასე: **საყვირებში ჩაბერეს**. ამდენი თვითნებობიდან კვლავ ერთ სიტყვაზე ვამახვილებ მკითხველის ყურადღებას: საყვირის ჩაბერავდნენ, როცა მისი დგერა (ასე ეწოდებოდა საყვირის ხმიანობას) სურდათ. ამისთვის ჰქონდათ აგრეთვე ბუკი და ნალარა. ხოლო, როცა ტექსტი იყო გასახმიანებელი, როცა ხმის გარკვეული მიმართულებით წარმართვა ან გაძლიერება იყო საჭირო, მაშინ **ჩასძახეს** არის სწო-

რი. სიტყვა **საყვირის** ეტიმოლოგიაც მიგვითითებს ამაზე, მასში „ყვირის“ ზმნის ფუძეა.

კართაგენელებმა ხეობაში გამომწყვდეულ ბარბაროსებს ლომები მიუსიეს. კართაგენელთა მაცნეს დახვდა საზარელი სურათი: „**[საბარკულებში]** ხორცგართმეული ძვლები მოჩანდა. **[გაძვალტყავებულთ]** მოსასხამილა შერჩენოდით მთელი. **[ქვიშას ცინცხალ ლაქებად აჩნდა მზეზე დამხმარი ძვლები]**. მონიშნული რაცაა, რედაქციამ ზედმეტად მიიჩნია. იგი ზუსტი შესატყვისია დედნისა: *Des ossements nettoyés par le soleil faisaient des taches luisantes au milieu de sable*. რა გსურდათ, რალაც მიზანი ხომ უნდა გეკონოდათ, რამ მოგაკვეცინათ ეს წინადადება?! ფლობერი აღწერს საზარელ სასაკლაოს, სადაც ყველაფერი ერთმანეთშია ამთხვლეული, შემოზღუდულ უზარმაზარ ხევში არაფერი გაირჩევა, მხოლოდ ადამიანთა ძვლებილა მოჩანს ცინცხალ ლაქებად. რალაც ლოგიკა ხომ უნდა იყოს თქვენს ნამოქმედარში! და... გამომცემლობამ ერთ გაუგებრობას მეორე დაამატა, განდევნილი წინადადების ნაცვლად დაურთო: „**ლაფში ამოსვრილი ხორცგართმეული ძვლები მოჩანდა**“. საიდან მოიტანეთ „**ლაფში ამოსვრილი**“? მსგავსი არაფერია დედანში. ფანტაზიასაც ხომ აქვს ზღვარი!

ფლობერის წინადადებას – „**ბევრს სახე აკლდა, ბევრს – ხელ-ფეხი**“ – ასწორებთ ასე: „**ბევრს თავი არ ჰქონდა**“. როგორ გგონიათ, დედნის *le visage თავია* თუ *სახე*? კონტექსტი ნათელს ხდის, რომ დახოცილ მეომრებს თავი კი ედგათ ტანზე, მაგრამ სახე მოაჭამეს ლომებმა. ამ უჩვეულო და შემზარავი დეტალითაც გაამძაფრა მწერალმა ბარბროსთა ხვედრი.

შემდეგი: „სადაც კი თვალი მიუწვდებოდათ, მინდვრები უდაბნოსავით იყო უკაცრიელი, თუმცა **[ხვნა-თესვის ალო იდგა]**. ეს წინადადება ზუსტი შესატყვისია ფლობერის დედნისა: *Mais les champs, bien qu'on fût à l'époque des semailles fût des labours, d'aussi loin qu'on les apercevait, étaient vides comme le désert*. ასე გვიხატავს იგი კართაგენის გასაჭირს. ომისგან გაპარტახებულია ქვეყანა, მხვნელი და მთესველი აღარავინაა. რამ შეგაცვლევინათ ეს წინადადება ასე: „... თუმცა ხვნა-თესვის კვალიც აჩნდა აქა-იქ“. ფრანგი რასაც უწოდებს *l'époque des semailles et des labours*, – ამას ქართულად **ხვნა-თესვის ალო** ჰქვია. ეგებ **ალო** იყო თქვენთვის უცნობი სიტყვა, ეგებ **ალოობა** არ გაგიგონიათ, მაგრამ ამისთვის ლექსიკონი არსე-

ბოხს, მასში ჩახედვაა საჭირო და არა – ფლობერისა და მისი ქართველი მთარგმნელების სახელით მკითხველისთვის თქვენი შეთხზული ფრაზების მიწოდება.

ამავე აბზაცში რას ერჩოდით წინადადებას: „**ზოგან ქერი ჩაცვენილიყო**“, რისთვის მოიცდილეთ?! რა უფლებით?!

„ნასახლარში გაარჩევდით თიხის ჭურჭლის ნამსხვრევებს, ფლასებს, საოჯახო ნივთებს“. ამ წინადადებაში **გაარჩევდით** (ეს არის ზუსტი შესატყვისი ფრანგულისა: *on distingueait*) – შეცვალეთ, მის ნაცვლად ჩაწერეთ – **ნახავდით**. ამით ქვეყანა არ იქცევა, მაგრამ რატომ გიჩნდებათ სურვილი შეცვალოთ ის, რაც ზუსტად მიჰყვება ფლობერის ტექსტს. თან **არაფრის შეცვლის უფლება არ გაქვთ მთარგმნელთან შეუთანხმებლად**. ამ ჩამონათვლიდან **ფლასები** გააქრეთ. რატომ? როცა ფლობერს აქვს: *les lambeaux de vêtements*. ნუთუ **ფლასიც** უცნობი სიტყვა იყო თქვენთვის?! როგორ გგონიათ, არ არის ფლასები სამოსლის ნაფლეთები?

მივყვეთ რედაქტირების თქვენეულ მეთოდს:

„**ისმოდა ყაყანი, ჭიხვინი, თორნ-აბჯრის ჩხარუნი**“. ეს წინადადება გადაკეთდა: „**ისმოდა მხედრების ყაყანი, ცხენების ჭიხვინი და აბჯრის ჩხარუნი**“. როგორც ჩანს, გსურდათ მკითხველს წაშველებოდით, მას არ ჰგონებოდა, რომ მხედრები ჭიხვინებენ და ცხენები ყაყანებენ! **თორნი** კი მთელ წიგნში ლამის ყველგან შეცვალეთ. ხან მრავლობითის ფორმა გგონიათ და **ნ-**ს ამოაგდებთ ხოლმე, ხან მთელ სიტყვას გააქრობთ. **თორნი** ჯავშნის სახეობაა და, ჯაჭვის პერანგისგან განსხვავებით, ნაკეთებია ფოლადის ფირფიტებისგან და არა – ჯაჭვის კარშიკებისგან, რგოლებისგან. **თორი** კი სხვა რამაა, ოქროს ბეჭდის სახეობაა მბრძანებლის ხელრთვით. ასე რომ, **თორნი** მხოლოდობითია, **ნ** ფუძეს ეკუთვნის, არ არის ნართანიათი მრავლობითი. თუმცა, ასეთი შეცდომა ზოგ მწერალსაც მოსვლია.

„**ტყავის ფარღალალა** კარვიდან ჩანდა მეომრებით შეფენილი მთები“. **ფარღალალა** არ მოიწონეთ და მის ნაცვლად ჩასვით **მსუბუქი**. რა კავშირი აქვს კარავთან სიმსუბუქესა თუ სიმძიმეს? ჰამილკარის კარავი ნადირის ტყავით არის გადახურული, გვერდები მოლიავებული აქვს. და ირგვლივ მთებზე შეფენილი ლაშქარი ხედავს, ქალღმერთის რიდე რომ გაშალა და ააფრიალა სალამბომ. *La tente de cuir, relevée dans le coins* – ესაა სწორედ „კუთხეებლია“, გვერდებლია, ფარღალალა კარავი.

შემდეგი: „მეომრები ისე მისუსტდნენ, რომ ქვა ვერ მოეწნიათ მოფრენილი ყორნებისთვის. ხანდახან, როცა **[კრავიჭამია]** დააცხრებოდა ლეშს და ჯიჯგნიდა, კაცი მიხოხდებოდა მასთან, კბილებში დანა ჰქონდა გაჩრილი. ბარბაროსი ცალ ხელს დაეყრდნობოდა, მიზანში ამოიღებდა **[ფრინველს]** და ესროდა დანას. თეთრბუმბულიან მტაცებელს ჩქამი დააფრთხოვდა, შეჩერდებოდა, ზვირთებში ჩაფლულ თევზიყლაპიასავით მშვიდად მიმოიხედავდა და კვლავ ჩაყოფდა მძორში თავის საზარელ ყვითელ ნისკარტს“. ამ აბზაცში ფლობერი ჯერ ახსენებს ყორნებს, რომელთა დასაფრთხოვად ქვა ვერ მოუქნევიათ მომაკვდავ მეომრებს. შემდეგ გვესაუბრება კრავიჭამიაზე (*le gypaète*), რომელიც ლეშს ჯიჯგნის. კრავიჭამია – ასე ეწოდება ამ ფრინველს. იგი მტაცებელია, თეთრი ბუმბული აქვს და მოკაუჭებული ნისკარტი. ჩვენს ზოოპარკსაც ჰყავდა კრავიჭამია. ეს სახელიც იმიტომ ჰქვია, რომ კრავს ერევა (ინგლ. *lammergeyer*, რუს. *ягнятник*), ბევრად დიდია ყორანზე, ორბისხელაა. ყორანზე საუბარი მწერალმა დაასრულა პირველ წინადადებაში. ამის შემდეგ კრავიჭამიაზე გვესაუბრება. რედაქტორმა თუ რედაქციამ ფლობერის ფრაზაში **ფრინველი**, რაც ნათქვამია კრავიჭამიას შესახებ, თვითნებურად შეცვალა **ყორნით** და მივიღეთ კიდევ ახალი კურიოზი: **თეთრბუმბულიანი მტაცებელი** (*la bête aux plumes blanches*) ყოფილა **ყორანი**. რა გჭირთ? „**სალამბოსთვის**“ **საკუთარი დაღის დამჩნევის სურვილით ნუთუ ისე ხარო ატანილნი, რომ აზრს სულ არ უწევთ ანგარიშს?!**

განვაგრძოთ: „ხვალ მოვლენ, – ამბობდნენ ბარბაროსები. **[ხვალე ხვალეს მისდევდა“.]** ფლობერის ტექსტი მიუღებელი აღმოჩნდა რედაქციისთვის და ასე შეცვალეს: „ერთი დღე მეორეს მისდევდა“. ფრანგულშია: *Ce sera pour demain! – se disaient-ils, et demain se passait*. არც სახარების მუხლი გაგახსენდათ („ნუ ზრუნავთ ხვალისათვის, რამეთუ ხვალემ იზრუნოს თავისა თვისისა“, მათე, 6,34), არც ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი, არც გალაკტიონის „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“?

ფლობერის ტექსტი – „დარბაისელთ იაგუნდით მოლამაზებული **არგნები ეპყრათ**“. – გადაკეთდა ასე: „... **საკრავები ეპყრათ**“. ფრანგულშია *sceptre*, რომლის ქართული შესატყვისი არის **არგანი**. **ხელარგნოსანი** სახელო (ანუ თანამდებობა) იყო ქართველ მეფეთა კარზე. საბასთან გენახათ: „არგანი – საბჯენი და საყრდენი კაცთა“. **საკრავები** რამ დაგანერინათ არგნის

ნაცვლად? **არგანი** ხომ არ აგერიათ **ორგანში**? თუ ის **არღანი** გეგონათ, თბილისელი კინტოები რომ დაატარებდნენ ეზო-ეზო?

სალამბო მთვარის ქალღმერთის მოსავია და ფლობერი მისი სახის გასახსნელად ხშირად იყენებს მთვარის ხატებას. „*ცის თალის მეორე კიდეში განლობილი მცხრალი მთვარე წამოიწია*“, – ვკითხულობთ ტექსტში. დედანში მისი შესატყვისია *Le croissant de la lune se levait déjà dans l'autre partie du ciel*. **განლობილი მცხრალი მთვარის** ნაცვლად რამ დაგანერინათ **განლობილი მთვარე?! croissant** – ესაა მთვარე, რომელმაც მაქსიმალურად იკლო, დაილია, ამაზე მეტად ველარ დაილევა, ამიერიდან მატებას იწყებს. ქართველებს ამის შესატყვისად გვაქვს მცხრალი მთვარე, განლობილი მთვარე. საოცარია, **განლობილი**, როგორც ჩანს, კორექტურა გეგონათ და **განოლილად** გადაასწორეთ. არც „ვეფხისტყაოსანმა“ შეგახსენათ თავი, არც „ვისრამიანმა“, არც მოგვიანო ხანის მწერლობამ?

„მრუმეში საჭურველი ელავდა“ გასწორდა ასე: **„წყვდიადში საჭურველი ელავდა“**. ჩაგეხედათ საბასთან, **მრუმეს** მნიშვნელობა თუ არ იცოდით: „მრუმე – ესე არს ბნელად საჩინარი, გინა შავი ბინდის მსგავსი“. დავით ჩუბინაშვილი თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში **მრუმეს** ასე განმარტავს: *потемки, тусклый*. მრუმე არ არის **წყვდიადი**. წყვდიადში საჭურველი ვერ გაიელვებს. მეტალის გაელვება ნათლის არეკვლის შედეგია. **გადაკეთების დაუოკებელმა ჟინმა რამდენი უხერხულობა შეგიქმნათ! ეს ჟინი, თორემ წინა ფრაზაში ნათქვამია, რომ ლოტოსის ყვავილისდარი დიდი ლამპარი ანათებდა იქაურობას. წყვდიადი რანაირად იყო?**

ფლობერი კართაგენის მეორე მხედართმთავრის, ჰანონის, სნეულებას აღწერს: „**სახეზე დიდი ღრუ გასჩენოდა, [ათიოდ ნაბიჯით დაშორებული კაცი დაინახავდა მის ხახას].**“

რედაქციამ ფლობერის ტექსტი ასე გადააკეთა: „სახეზე **დალი** დასჩენოდა“. ამ გადაკეთებას ის მოჰყვა, რომ მოსაცილებელი გახდა კვადრატულ ფრჩხილებში მონიშნული წინადადება: **ღრუდან** თუ შესაძლებელი იყო ხახის დანახვა, **დალიდან** ხახის დანახვა შეუძლებელი შეიქნა! **მთავარია, თქვენი სათქმელი ჩართოთ ფლობერის ტექსტში. თუ ვერ მოერგება, უკან ხომ არ დაიხევთ? ფლობერს გადაუკეთებთ ტექსტს!**

თქვენი „ნახმარების“ წყალობით ფლობერს რა უქმად ჩაუარა ჰანონის ავადმყოფობის აღსაწერად აღმოსავლური კარაბადინების შესწავლამ!

ვანალიზებ ამ თქვენს ნაღვანს და სერიოზულად ვფიქრობ, ყოველგვარი იუმორის გარეშე: გუსტავ ფლობერი გარდაცვლილია, „სალამბოს“ პირველი ნახევრის მთარგმნელი კარლო ქილარჯიანი გარდაცვლილია, როგორც ჩანს, მეც არ გეგონეთ ცოცხალი. აბა, ამდენი რამ გაგაბედვინათ?!

განვაგრძოთ: „კატაკომბების მხარეს კედლის ნაწილი ჩამონგრეულიყო“. კატაკომბები რედაქტორმა, რედაქციამ თუ სარედაქციო ჯგუფმა (ეს თვითონ გაარკვიონ, მით უარესი, თუ წიგნს ისე აწერენ ხელს, შიგ რა ხდება, არ იციან.) ამოიღო და მის ნაცვლად *მინისქვეშა თავშესაფრები* ჩაწერა. მაგრამ კატაკომბები არ არის მინისქვეშა თავშესაფრები, კატაკომბები სამარხებია. სხვა საკითხია, რომ მათ იყენებდნენ თავშესაფრად, განსაკუთრებით – პირველი ქრისტიანები. კატაკომბები სწორად არის განმარტებული „სალამბოსთვის“ დართულ შენიშვნებში, რომელთა ნაკითხვა გმართებდათ, მისთვისაც ხომ უნდა გაგეწიათ რედაქტირება.

შემდეგი: ბარბაროსებმა დაასახიჩრეს კართაგენელი ტყვეები და ხაროში ჩაყარეს. მხოლოდ თავი უჩანდათ. ფლობერი წერს: „თავმოკვეთილებს ჰგავდნენ, ... გახსნილი ბაგეები პუნიკურ ენაზე ვაებდნენ“. რედაქციამ *ვაებდნენ* დაიწუნა და გაასწორა: *საუბრობდნენ*. ფლობერთან ასეა: *Ces bouches entr'ouvertes ils s'échappait des gémissements en langage punique. Le gémissement* ნიშნავს ოხვრას, ვაებას და არა – საუბარს.

ჩვენს თარგმანში იყო : „სალამბო და მისი მეგზური ჯიხურში შედიოდნენ, *ცოტა ხნით გადაიჩრდილებდნენ*“. ეს ზმნა არის შესატყვისი ფრანგული დედნისა: *Ils entraient dedans pour se mettre a l'ombre*. სიტყვასიტყვით – „რათა ყოფილიყვნენ ჩრდილში“. ქართულში ამის გამოსახატავად შესანიშნავი სიტყვა გვაქვს: *გადაიჩრდილებდნენ*. რედაქტორმა თუ რედაქციამ შეცვალა: „*ცოტა ხნით შეისვენებდნენ*“. გაუგებარია, რატომ უნდა გაჩენილიყო სურვილი დედნის ზუსტი შესატყვისის შეცვლისა.

ბარბაროსებმა ჯვარს აცვეს კართაგენელი ტყვეები. ფლობერის ტექსტი გვაუწყებს: *[„ყველაზე დიდი ჯვრის თავზე ოქრონული სამხარილღი ელავდა. ჯვარცმულს]* მკლავი არ

ჰქონდა და მხარზე ჩამოსთრეოდა იგი“. აზრი ნათელია: ჰანონს სამხარილლიე მხარზე ჩამოსთრეოდა, რადგან მკლავი არ ჰქონდა. თქვენ ტექსტი ასე შეცვალეთ: **ყველაზე მაღალ ჯვარზე გაკრულს მკლავი არ ჰქონდა და მხარზე ჩამოსთრეოდა**. მივიღეთ უაზრობა: **ადამიანს მკლავი არ ჰქონდა, მაგრამ მხარზე მაინც ჩამოსთრეოდა**. ეს და უამრავი სხვა უაზრობა გუსტავ ფლობერისა და მისი ორი მთარგმნელის სახელით მოჰფინეთ მკითხველ საზოგადოებას.

სამხარილლიემ ქნა ეს ყველაფერი! სამხარილლიე – ესაა ფრანგული *le ruban*, ინგლისური *ribbon*. გარდა იმისა, რომ სამხარილლიე პიროვნების აღმატებულების მაუნყებელია, ამასთანავე იგი მხარილლიე ხმლის გადასაკიდი იყო. ქართულში მისი სინონიმებია აშურმა, ყაბინი, ყანიმი. დღეს მას არ ხმარობენ. მაგრამ სუფეტ ჰანონს ის მხარილლიე ჰქონდა გადაკიდებული თავისი აღმატებულების, თავისი რეგალიის ნიშნად. ჯვარცმის დროს მას დაშლილ-დასნეულებული მკლავი ჩამოეშალა. ამიტომაც, რომ სამხარილლიე **მხარზე ჩამოსთრეოდა**. თქვენ სამხარილლიე ამოაგდეთ ტექსტიდან და ეს გაუგებრობა შექმენით. მე საგანგებოდ არ მიემართე სამხარილლიის რომელიმე ქართულ სინონიმს, რათა სიტყვის აგებულებას თავად ეკარნახა მკითხველისთვის მისი მნიშვნელობა. გარდა ამისა, ფლობერი ჰანონის სამხარილლიეს ფუნქციას აკისრებს სიუჟეტის განვითარებაში: კართაგენელებმა სწორედ ოქროსფრად მბზინავი სამხარილლიით შორიდანვე იცნეს ჰანონი, მიხვდნენ, რომ სწორედ იგი იყო ჯვარცმული, და უსასტიკესი გადანყევტილებები მიიღეს, რამაც წარმართა კიდევ ბრძოლის ბედი.

ამდენი გაუგებრობა გამოიწვია მთარგმნელთა საქმიანობაში ჩარევის, ტექსტის გადაკეთების თქვენმა დაუოკებელმა სურვილმა. ერთი მხრივ, მაკვირვებს თქვენი დაუშრეტელი ენერგია, იოლი საქმე ხომ არ არის 3000-ზე მეტი ცვლილების შეტანა ტექსტში! და, მეორე მხრივ, აზრმიუტანებლად, ტექსტის გაუგებრად, ავტორის ჩანაფიქრის წვდომისა და გათვალისწინების გარეშე რა საფუძველი აქვს თქვენს შემართებას, საიდან ასეთი ენთუზიაზმი?! რამ აგანთოთ ასეთი დაუზარელი და თავგადაკლული, მაგრამ უსარგებლო, უფრო მეტიც, მავნე შრომისთვის?!

ბარბაროსები „ერთმანეთს უჩვენებდნენ დაუქნელ ფრჩხილებს, მათოს დასაკანწრავად რომ მოეზარდათ“. გასწორდა: „ერ-

თმანეთს უჩვენებდნენ **მოზრდილ ფრჩხილებს**, მათოს დასაკანრავად რომ უნდოდათ“. **დაუქნელი ფრჩხილები** რატომ იყო შესაცვლელი? რაკი **მოზრდილი ფრჩხილები** ჩაწერეთ, – **დასაკანრავად რომ მოუზარდათ** – აღარ გამოგადგათ. მის ნაცვლად ჩაწერეთ **რომ უნდოდათ**. ეს მეთოდად გაქვთ ქცეული: **ცვლით სწორად მოხმობილ სიტყვას ან გამოთქმას. ის შეუფერებელი ხდება ტექსტისთვის, არადა, სწორად რომ გამოიყურებოდეს, მოითხოვს სხვა კონტექსტს. თქვენ დაუბრკოლებლივ უქმნით თქვენს ჩასმულ სიტყვას ან გამოთქმას, თქვენი აზრით, შესაფერ გარემოს. ამას სისტემური ხასიათი აქვს. სავალალოდ და სამწუხაროდ, სისტემური ხასიათი აქვს ბევრ რამეს სხვასაც: კადნიერებას, თავდაჯერებულობას, არცოდნას, უპატივცემულობას და რიდის არქონას მწერლის მიმართ. მთარგმნელების მიმართ რიდი რა სახსენებელია?!**

განვაგრძოთ: „ლურჯად მოჭიქული **ამფორები**“ იქცა „ლურჯად მოჭიქულ **ჭიქებად**“. ამფორა თუ არ იცოდით რა იყო, ჩაგეხებათ წიგნს დართულ შენიშვნებში. ნახავდით, რომ „ამფორა არის თიხის ჭურჭელი სიმაღლეში წაგრძელებული ოვალური ფორმისა, ვინოყელიანი და ორყურიანი. მეტწილად ხმარობდნენ ღვინისა და ზეთისთვის“. რაც შეეხება **მოჭიქულს**, ნათელია, მისი მნიშვნელობა არ გცოდნიათ, თორემ ერთ შეცდომას მეორეს რატომ დაუმატებდით?! **მოჭიქული** ნიშნავს **ჭიქურით დაფარულს**. ეს სიტყვები დღეს ცოცხალია. **ჭიქური** არის კრიალა, მოელვარე შენადნობი, რომლითაც ფარავენ თიხის ჭურჭლეულის ზედაპირს, რათა სითხემ არ გაჟლინთოს თიხა. ამას გარდა, მოჭიქული ზედაპირის ესთეტიკურად დამუშავებაც ხდებოდა. ჩვენს საცავებშიც უამრავია მოჭიქული ჭურჭელი და დღევანდელი ქართველი კერამიკოსებიც წარმატებით იყენებენ ამ მეთოდს.

შემდეგი: ბარბაროსები „სახედრებზე, **[კანჯრებსა,] ზებრებსა** თუ **კამეჩებზე ამხედრებულიყვნენ**“. **კანჯარი** ამოგიგდიათ. როგორც ჩანს, სიტყვა გეუცხოვათ. დედანში ჩამხედავი რომ ბრძანდებოდეთ, ნახავდით, რომ *l'onagre* არის გარეული ვირი. გარეულ ვირს ქართულად **კანჯარი** ეწოდება.

ფლობერის ტექსტშია: „უკან ჰქონდა მოგდებული კატის ტყავის **[კაპარჭი]**“. თქვენ **კაპარჭი** წაშალეთ და მისი განმარტება – **ისრების ჩასაწყობი ბუდე** – მიაწოდეთ მკითხველს. დღეს კაპარჭი არავის აქვს ზურგზე მოგდებული, მაგრამ 24 სა-

უკუნიწ წინანდელ ამბებს აღწერს ფლობერი! ასე თუ განვაგრძეთ, მალე მშვილდსა და ისარს, ასევე ბევრ სხვა სიტყვასაც, უნდა შეველიოთ.

კიდევ: ჰამილკარის კარავში მოსალაპარაკებლად წარგზავნილი ბარბაროსები დააცხრნენ გოგრას. დამშეულთა მდგომარეობას ასე აღწერს ფლობერი: „სიხარულის ქვითინს ერთოდა **[ყბების კაპუნი“.**] გადაკეთდა **ყბების წკაპუნად.** სწორი ფორმის მცდარით შეცვლის, ვინ მოთვლის, მერამდენე შემთხვევაა თქვენს ნასწორებ ტექსტში! იძულებული ვარ განვიმარტოთ: „**კაპუნი – ყბათა ყბის, კბილთ კბილზე ტკეცება**“ (საბა); ე.ი. ქართველებს საგანგებო სიტყვა გვაქვს საამისოდ. თქვენ მას ცვლით **წკაპუნით**, რაც არის „პატარა მკვრივი სხეულის (კენჭის, წიკულის ან წვეთის მაგარ საგანზე დაცემის (დარტყმის) ხმა“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული). თქვენ ალბათ **წკლაპუნის** ჩანერა გსურდათ და **ლ** გამოგრჩათ, მაგრამ „**წკლაპუნი** არის ჭამის დროს ენითა და ტუჩებით ბგერის გამოცემა“ (იხ. ისევ რვატომეული). **სწორად გამოყენებული სიტყვის, „კაპუნის“, გასწორებით რა აუტეხეთ საკუთარ თავს?! უნებურად სამი ქართული სიტყვის არცოდნა გამოავლინეთ. რა ძალა გადგათ?!**

ახლა სალამბოს ჩადრს მივხედოთ. „თოვლივით სპეტაკი ფართო აჯილა სთრევდა უკან“. თქვენ **აჯილა** შეცვალეთ **ჩადრით**. საბა განმარტავს: „აჯილა – ქალთ მოსასხამი“. რუსთაველიც უნდა გაგხსენებოდეთ („აჯილოსანი ქალია“). იმას მაინც უნდა დაეფიქრებინეთ, რომ წინა წინადადებაში ფლობერი ასე აგვინერს სალამბოს მორთულობას: „**ძუძუს კერტებს ბადახში უფარავდა**“ (თუმცა თქვენ **ბადახში** მწერალს გადაუკეთეთ **ძვირფას ყელსაბამად**). ჩადრი თუ ჰქონდა მობურული, როგორღა უჩანდა, რომ ძუძუს კერტები ბადახშით ჰქონდა დაფარული. საერთოდ ფლობერს ჩადრი არსად არ უხსენებია კართაგენელთა და ბარბაროსთა სხვადასხვა ტომის ქალების მოკაზმულობაში.

ახლა ფლობერის ერთ აბზაცი: „ცოცხლად დარჩენილნი მკვდრებით იყვნენ, **ჯგუფ-ჯგუფად დაყუწცულიყვნენ**“. ესაა ზუსტი თარგმანი ფრანგულისა: *accroupis par groupes*. თქვენ კი ასე შეცვალეთ: „**ჯგუფ-ჯგუფად დაიარებოდნენ**“. როგორ ახერხებთ, რომ თქვენი ყველა გასწორება დედანს არის აცდენილი?

ამ წინადადებაში **დაყუნცულს** კიდევ ერთი დატვირთვა აქვს: სამი აზვაციის შემდეგ ფლობერი წერს: „უზარმაზარ **ლოდებზე დაყუნცული ყორნები** გაყურებულიყვნენ და თვალს არ აცილებდნენ მომაკვდავთ“. **დაყუნცულს** აქვს სხვა ელფერი, **ჩაცუცქულისგან** და **დასკუპულისგან** განსხვავებული. ამასთანავე აქ გადაძახილია მომაკვდავ ადამიანთა და მათი სიკვდილის მომლოდინე ყორნებს შორის. თქვენ ეს ვერ შენიშნეთ და პირველი **დაყუნცული** შეცვალეთ ასე: **დადიოდნენ**; მეორე კი ასე: „**უზარმაზარ ლოდებზე მდგარი ყორნები**“ (!!)

ჰამილკარმა ნარჰავასს ბარბაროსთა ამოუღელტა უბრძანა. ამას მოსდევს: „ნარჰავასი დაჩახმახდა“. ფრანგულშია: *se précipitait*, ე.ი. აჩქარდა, დაფაცურდა, დაჩახმახდა. რედაქცია ასწორებს: „ნარჰავასმა თავი დაუკრა“. ვთქვათ, **დაჩახმახდა** გეუცხოვათ, ეს არ მიკვირს, მაგრამ საიდან მოიტანეთ „**თავი დაუკრა**“?

განვავრძოთ: „მეომართა [ჩაჩქნის ჯილებილა მოჩანდა]“. გასწორდა: **მუზარადის თავი მოჩანდა**. მაგრამ მუზარადის თავი რაღაა? **ჯილამ** გაგაკვირვათ? ესაა ფრანგული დედნის შესატყვისი: *On n'apercevait que les plums des casques. Les plumes* – ფრთებია, *le casque* – ჩაჩქანი, მუზარადი. რომაელ მეომრებს (მათი გავლენით სხვებსაც) მუზარადებზე ფრთები, ანუ ჯილა (ინგლ. *plume*, რუს. *перо*) რომ ჰქონდათ, – ეს არ უნდა გაგკვირვებოდეთ. **მუზარადის თავმა** არ გაგაკვირვათ და **ჯილა** გეუცნაურათ?

„აკროპოლი ფერადმა [ჩარდახმა] დაფარა“. **ჩარდახი** შეცვალეს: „**ბანებმა** დაფარა“. აკროპოლი ქალაქის უმაღლეს ადგილასაა განლაგებული. ბანები, ანუ ბანიანი სახლების სახურავები, რანაირად გადაფარავდა მას? ფლობერი გვეუბნება, რომ აკროპოლზე ჩარდახი გადაჭიმეს, ჩარდახქვეშ მოაქციეს აკროპოლი, რადგან საზეიმოდ ემზადებიან. ოღონდ მწერალმა უფრო თანამედროვე *la couverture* კი არ გამოიყენა, არამედ *le velarium* – ძველად თეატრალური წარმოდგენებისა და სხვა სანახაობის დროს რომ გადაჭიმავდნენ ხოლმე. ფლობერი ძველ სამყაროს აღწერს და სიტყვასაც შესაბამისს ხმარობს.

„მათოს გული დასწყდა, მისი **ეჯიბი** რომ არ მოკლეს“. რედაქციამ **ეჯიბი** შეცვალა **მამაცი მეომრით**. კვლავ ასწორებთ თქვენი გუნება-განწყობისამებრ.. *Le parlementaire მამაც მეომარს* ნიშნავს თუ სალაპარაკოდ წარგზავნილ პირს?! **ეჯიბი**

არის ზუსტი შესატყვისი ფრანგული დედნისა. ეს არის ზემდგომის მიერ მოსალაპარაკებლად წარგზავნილი პირი. მათოს სურდა ჰამილკარისთვის თავად შეეთავაზებინა ბრძოლა, მაგრამ ერთი ლიბიელი ჩაენაცვლა, მის მაგიერ გაემართა მათოს შეთავაზების გადასაცემად. სწორედ ესაა ეჯიბი. **ეჯიბობა რაკი იკისრა, იგი ალბათ მამაციც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს თქვენი შემოქმედებაა. ფლობერი ამის შესახებ არაფერს ამბობს.**

ერთკუზიან აქლემს **ლურკან აქლემს** უნოდებდნენ ჩვენი მამა-პაპანი. სადაც კი შეგხვდათ **ლურკანი**, ყველგან წაშაღეთ, რამდენიმე ადგილას მაინც გაგეპარათ. რას ვიზამთ, საქარავნო გზა გადიოდა ჩვენს მიწაზე და ერთკუზიანი აქლემის აღმნიშვნელი სიტყვა გვქონდა.

ჰამილკარმა გავაში მახვილი ატაკა თავის ბედაურს და ბარბაროსებისკენ აფრინა. ამას მოჰყვება წინადადება, რომელიც რედაქციამ ტექსტიდან ამოაგდო: **[„ეს იყო პურის კვერებით ნაპატიები ორინგული ულაცი. ცხენი მუხლებს დრეკდა, რათა ადვილად ამხედრებულიყო პატრონი.“]** ზუსტად ამას ამბობს დედანი: *C'était un étalon oryngé qu'on nourrissait avec des boulettes de farine, et qui pliait les genoux pour laisser monter son maître.* ცხენთან დაკავშირებული ამ ეპიზოდით მწერალი ჰამილკარის სახესაც ხატავს, ორი ბანაკის დაპირისპირების სიმძაფრესაც და ბრძოლის ბედის გარდატეხასაც გვიჩვენებს. ბარბაროსები დაიბნენ, კართაგენელებმა გალავნის ბჭეში შეაღწიეს, ბარბაროსები კარიბჭეს მიანყდნენ ... და რატომღაც ისევ გამოტოვებულია: **[„ბჭე არ შეეპუა ბარბაროსთა დანოლას.“]** **ნათელია, რომ რედაქტორმა, სარედაქციო ჯგუფმა თუ რედაქციამ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად ეს ორივე წინადადება, მაგრამ ფლობერს ეკუთვნის ისინი. თქვენ ხომ სიყალბეს სთავაზობთ ქართველ მკითხველს ფლობერისა და ჩვენი, ორი ქართველი მთარგმნელის, სახელით!**

ცოტა რამ „სალამბოს“ ბოლო თავის შესახებაც უნდა გითხრათ: კართაგენი გამარჯვებას ზეიმობს. მთელი კართაგენი უკანასკნელი ბარბაროსის წამების ჟინით არის ატანილი. აღწერილია გრანდიოზული სამზადისი, ქურუმთა დასების საზეიმო მსვლელობა. ხალხი სალამბოს მადლიერია, მან დაუბრუნა კართაგენს ტანიტის რიდე, კართაგენი ზეიმობს ბარბაროსებზე გამარჯვებას, სალამბოს ქორწინებას და მათოს წამებისთვის

ემზადება. **„ღრეობა მთელ ღამეს გასტანდა“**; – ნათქვამია ქართულ ტექსტში. დედანშია: *Le festin devait durer tout la nuit*. სიტყვასიტყვით – მთელ ღამეს უნდა გაგრძელებულიყო. გაუგებარია, რამ ჩაგამატებინათ **ალბათ**, სააღბათო რა ნახეთ აქ, ამ გრანდიოზული მზადების ფონზე რამ დაგანერინათ: **„ღრეობა ალბათ მთელ ღამეს გასტანდა?!“** თქვენ ჩასვით სიტუაციისთვის სრულიად შეუფერებელი და გაუაზრებელი ერთადერთი სიტყვა – **ალბათ**, მაგრამ მან გაამხილა, რომ **აზრს სრულიად არ უკვირდებით. მხოლოდ იმაზე ხართ გამეცადინებული, რაც შეიძლება მეტი რამ შეცვალოთ.**

განვაგრძოთ: მათოს სიკვდილის შემდეგ კართაგენელები სალამბოს „ულოცავდნენ, გამარჯვება შენი წყალობააო, – ეუბნებოდნენ, ტაშს უკრავდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ და მის **სახელს გაჰყვიროდნენ სულმოუთქმელად**“. კართაგენელებს სალამბო მიაჩნიათ მხსნელად, მას განადიდებდნენ; კი მაგრამ, ეს წინადადება რამ შეგაცვლევინათ ასე: **მის სახელს გაჰყვიროდნენ გაგულისებულნი? საკვირველია, აზრს სულ არ უწევთ ანგარიშს?! რა ჰქონდათ სალამბოზე გასაგულისებელი?!**

რომანში დახატულია ბრძოლის გრანდიოზული სურათები და, ბუნებრივია, მეომრები ანტიკური ეპოქის ბერძნულ-რომაულ წყაროებში ასახული საბრძოლო იარაღით არიან აღჭურვილნი. იარაღის უცნობი სახელწოდებებით მკითხველი რომ არ გადაიტვირთოს, ფლობერი ერთი-ორი წინადადებით შემოუძღვება ხოლმე თხრობაში უძველეს საომარ მანქანებს. მაგალითად, **[„ტოლენონი იყო უზარმაზარი მორი, გარდიგარდმო დაჭედებული მეორე ძელზე.“ ბოლოში დამაგრებული ჰქონდა ოთხკუთხა კალათა, რომელში ოცდაათი ქვეითი თავსდებოდა თავის საჭურვლიანად**“. რედაქციამ ეს წინადადება ასე შეცვალა: **„უზარმაზარი მორები მოათრიეს, დაჭედებული მეორე ძელზე, რომელთაც ბოლოში დამაგრებული ჰქონდა კალათა, რომელშიც ოცდაათი ქვეითი თავსდებოდა.“** ერთ წინადადებაში **რომელთაც** და **რომელშიც** ჩაუწერეთ ფლობერს, მწერალს, რომლის შესახებ ძმები გონკურების ნათქვამი – წინადადებაში ერთად ორ ნათესაობით ბრუნვას ვერ ეგუებოდაო, – მოარულ ფრაზად დადიოდა პარიზის ლიტერატურულ წრეებში. **ტოლენონს** დავუბრუნდეთ. მანქანის სახელწოდება რედაქციამ **უზარმაზარი მორებით** შეცვალა. მომდევნო ტექსტში ფლობერი კვლავ ახსენებს ტოლენონს. ამჯერად რედაქციამ მას

საზიდარი უწოდა: „*სხვა მსგავსი საზიდრებიც სასწრაფოდ გამართეს,*“ სხვათა შორის, რომანში **ტოლენონი** ანტიკური ეპოქის ერთადერთი მანქანაა, რომელსაც ქართული შესატყვისი არ მოეპოვება. ასეთი საომარი მანქანა ქართულ ტექსტებში არ დასტურდება. ამიტომ ჩვენს ტექსტში იგი დარჩა ლათინური სახელწოდებით. დანარჩენ საბრძოლო მანქანათა ქართული შესატყვისები დაძებნილია და „სალამბოს“ ქართულ თარგმანში გამოყენებულია.

მაგრამ თურმე საერთოდ არ ყოფილა საჭირო ამ მანქანების სახელწოდებათა ძიება!

ტოლენონი თუ **საზიდრად** გადააკეთა რედაქციამ, – **ურნალს, სამალს, ფილაკვანს** ან საერთოდ დევნის ტექსტიდან, ან ზოგადად **მანქანად** მოიხსენიებს. ფლობერის ერთი აბზაცის მოხმობით შევეცდები ნათელი გავხადო რედაქციის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი: „*მოემართებოდა სამოცი სამალი, ორმოცი ტოლენონი, თორმეტი ურნალი და სამი უზარმაზარი ფილაკვანი*“. ამ წინადადებაში „პალიტრა L“-ის ტექსტში ასეთი სახე მიიღო: „*მოემართებოდა სამოცი ისარსასროლი და ათასი სხვა რამ*.“ რა ამოდ დაშვრა გუსტავ ფლობერი! იგი თავად წერს, „სალამბოს“ სამზადისში 1500 ტომი წავიკითხეო. როგორ ვერ მოისაზრა, რას დაეძებდა ამ საალყო მანქანებს?! „**სხვა ათასი რამ**“ ჩაენერა?!

ტექსტის შეკვეცასა და გადაკეთებას ბოლო არ უჩანს: „*ბარბაროსები ფილაკვანის ღერძს ებლაუჭებოდნენ*“. ამ წინადადებაში **ფილაკვანი** შეცვალეს **გიგანტური მონყობილობებით**. აქ რამდენიმე ნიმუში მოვიხმე. ასეთი ჩარევის მაგალითი უამრავია.

რედაქცია ასევე ვერ ეგუება დასაკრავ ინსტრუმენტთა იშვიათ სახეობებს. ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: **[აახმიანეს წინწილები, ააჯაჯგურეს ჯიმჯიმები, ბობლანს სცეს...]**“ საკრავთა ეს ქართული სახელწოდებანი შესატყვისია ფრანგული დედნისა: *les cymbales, les crotales, les tambourins*. რედაქციამ საომარ მანქანათა პრობლემა თუ მარტივად მოაგვარა ფრაზით – **და სხვა ათასი რამ**, – დასაკრავი ინსტრუმენტებისთვის სხვა გზა მონახა: ნაშალა ის, რაც ფლობერთან და, შესაბამისად, ქართულ თარგმანში იყო, და მის ნაცვლად ჩაწერა: „**აახმიანეს ბუკი და ნალარა (!)**. სამოქმედო პრინციპი ასეთია: რედაქცია რასაც მოისურვებს, იმას ჩაწერს! მერე რა, რომ **ბუკი** და **ნალა-**

რა ჩასაბერი ინსტრუმენტებია, ფლობერი კი ჩამოთვლის და-სარტყმელ ინსტრუმენტებს!

როგორ ცვლით სიტყვას, რომლის მნიშვნელობა არ იცით? კარავში, როცა მათო მიმართავს სალამბოს, – „**შენი ხმა მეყუ-რება წინწილების ხმიანობაში**“, – თქვენ **წინწილა** შეცვალეთ სიტყვით **ხოცვა-ჟლეტა** და მათოს ნათქვამს ასეთი სახე მი-ეცით: „**შენი ხმა მესმის ამ ხოცვა-ჟლეტაში**“. აღარ ღირს იმა-ზე შეჩერება, რომ თქვენ ჩემი თანხმობის გარეშე „**მეყურებაც**“ კი არ უნდა შეგეცვალათ. კიდევ ერთხელ ახსენებს ფლობერი საკრავებს: „**მონწულ კალათაში ეყარა ... [წინწილები, ბობლან-ნი, შიბები]**“. **წინწილები და ბობლანი** ამოაგდეთ, **შიბი** საკრავი არ არის, მაგრამ ისიც ამათ მიაყოლეთ. მათ ნაცვლად ფლო-ბერს ჩაუნერეთ **დაფდაფები**. ნათელია, **თქვენ ვერ ეგუებით ფლობერის უმდიდრეს ლექსიკას, მაგრამ ვინ გიბოძათ მისი ნაწერის ასე ჯიჯგნის უფლება?!**

რაც თქვენ „სალამბოს“ დააწიეთ, მისმა ანალიზმა ორასგ-ვერდიანი ნაშრომი შეადგინა. ჯერჯერობით ამ წერილით შემო-ვიზღუდები. ეს წერილი ვერ იტევს უამრავ სხვა კურიოზს, მაგ-რამ მაინც მინდა ორიოდ სიტყვით გამოვხატო ჩემი გაცემა იმის გამოც, რაც თქვენ ფლობერის აბზაცებს დამართეთ: ერთ აბზაცს ორად ყოფთ, ორ აბზაცს აერთიანებთ, ერთი აბზაცის ნახევარს მეორის ნაწილთან აერთებთ (გვ. 240, 258, 335, 347-348, 350 და ა.შ.).

ვინ გითხრათ, რომ ქართულში ყველა ვითარებაში ზმნა წინა-დადების ბოლოს უნდა იყოს? რამდენჯერ გადასვით ზმნა, რამ-დენჯერ დაარღვიეთ რიტმიც და აზრთა მდინარეც?! ერთი მაგალითი მრავალთაგან: „**კარვები აღწევდნენ ... ბარბაროსე-ბამდე, რომელნიც რკინის ჯაჭვ-ჯავშნით ელავდნენ**“. თქვენ გაასწორეთ: „**კარვები ბარბაროსებამდე აღწევდნენ, რომელ-ნიც ჯაჭვ-ჯავშნით ელავდნენ**“. როგორც ჩანს, რედაქტორი თუ რედაქცია მიხვდა, რომ „**აღწევდნენ, რომელნიც**“ ერთმანეთ-თან მაინცა და მაინც ვერ მეზობლობდნენ, ამიტომ მეორე ნა-წილი საერთოდ მოაკვეცეს წინადადებას. არადა, იგი ზუსტად იმეორებდა დედანს: *tout ruissantes de fer*. ასეთი რამ ხშირად ხდება თქვენს ნასწორებ ტექსტში: „**საყურეებად ჰქონდა წკირ-ზე ჩამოკიდებული ამოჭრეთილი მარგალიტები, რომლებშიც ნელსულნელება ესხა**“. ასწორებთ: „**საყურეებად მარგალიტე-ბი ჰქონდა, რომლებშიც...**“ **განსაზღვრებით დამოკიდებული**

წინადადების წყობაში თუ ვერ ერკვევით, არც იმის გუმანი გაქვთ, რომ სწორად დაწერილი მცდარით არ შეცვალოთ?!

ახლა ცოტა რამ სინონიმების შესახებაც: შემოქმედებითი იმპულსის მოჭარბებამ აქაც იჩინა თავი: სადაც **ხოდაბუნი** შეგხვდათ, **სახნავ-სათესი მიწით** შეცვალეთ, **ლომგული – მამაცი**თ, **მუზარადი – ჩაჩენით, ჩაჩენი – მუზარადით, მურგი – ძაფის გორგლით, ქარაფი – სალი კლდით; სურდა – უნდოდა, ნაუცბათევად – ნაჩქარევად, დამაცა! – მაცადე!** ნაწილაკიც კი არ დააყენეთ თავის ადგილას: **ჰო! ჰო!** გახდა **მიდი! მიდი!** გვერდი არაა, რამდენიმე ასეთი „ჩასწორების“ გარეშე. **საკუთარი ნების დამკვიდრების რა ჟინია ასეთი! მიხედეთ თავს! გუსტავ ფლობერი და ჩვენი თარგმანი რატომ გაიხადეთ თქვენი შემოქმედებითი წვის ასპარეზად?!**

როცა რედაქცია სინონიმებში ვარჯიშობს და მთარგმნელთა მიმართ უდიერ დამოკიდებულებას ამ მხრივაც ავლენს, – ხშირად, ძალიან ხშირად შეცდომას შეცდომაზე ახვავებს. ჯერ სტილის გრძნობის დეფიციტით გამოწვეულ ერთ-ერთ ჩანაცვლებაზე მოგახსენებთ: **ლოყები** შეცვალეს **ღანვებით**. ამით თითქოს არაფერი დაშავებულა, გარდა იმისა, რომ **ამის უფლებაც არ ჰქონდათ მთარგმნელთან შეუთანხმებლად**. ახლა მივხედოთ ამ ცვლილების კონტექსტს: „ღრმა ნაოჭებით დაღარულ ჩამომხმარ ლოყებს შორის წაგრძელებოდათ გალურჯებული ცხვირი, მომჩვარული კანი ასპიტისფერ ჭუჭყს დაეფარა, ტუჩები ჩაყვითლებულ კბილებს შესწებებოდა. ისეთი სიმყრალე ამოსდიოდათ პირიდან, რომ ღრიჭოდ დატოვებული სამარხი ეგონებოდა კაცს. ცოცხალი ლეშები იყვნენ“. ამ კონტექსტში **ლოყები** რამ შეგაცვლევინათ **ღანვებით**. ამავე აზრაცში **ტუჩების შეცვლა ბაგეებად გამოგრჩათ, თუ მოგერიდათ?!**

მაგრამ ხშირად, თქვენ რომ გგონიათ, სიტყვას მისი სინონიმით ცვლით, გეშლებათ, უხეში შეცდომა მოგდით. მაგალითად, **ყოველი მათგანი**, რაც სწორი შესიტყვებაა, შეცვალეთ **ყველა მათგანით**. **ყველა** თუა, **მათგანი** რის მაქნისია? ეს ხომ იშვიათი შემთხვევა არაა, როცა აზრს უაზრობით გვიცვლით.

ბეგთარს სანამ **გამძლე სამოსით** შეცვლიდით, ლექსიკონში ჩაგეხედათ.

გაჩხიკულ თითებს, რომელიც შესაფერ კონტექსტში ზის, რატომ ცვლით **გამხდარი თითებით?**

ლომის ჭანგი რამ შეგაცვლევინათ **ლომის კლანჭად?** **კლანჭი** რომ ფრინველს აქვს, **ჭანგი** კი ლომს, ვეფხვსა და მისთანათ, – რედაქციის მუშაკთათვის ამის განმარტება თუ საჭირო შეიქნებოდა, ვერ წარმომედგინა.

ძელის სიმსხო რომ გაასწორეთ **ძელის სისქედ**, – როგორ გგონიათ, ქართველი **სქელ ხეს** იტყვის თუ **მსხვილ ხეს?**

სიცივემ დაზრინათ ტანში – ამას რით ჯობს: **სიცივემ დაუარათ ტანში?** **ზარი დაეცათ** გაასწორეთ ასე: **შიშში ჩაცვივდნენ...** და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

წიგნს სამი კორექტორი ჰყოლია: ნატალია ჩიმაკაძე, რუსუდან გელაშვილი, ნატა ენუქიძე.

ვერცერთმა როგორ ვერ შეამჩნიეთ მცდარი ფორმები: **ნაპატიები** გადაკეთდა **ნაპატივებად**, **სახეს იხოკავდნენ** – **სახეს იხოკდნენ** (**ავ** თემისნიშნისანი ზმნების უღლებას სკოლაში თუ არა, უმაღლესი სასწავლებლის პირველ კურსზე მაინც ისწავლიდით). ტექსტში **მწყერების** ნაცვლად რომ **მწყერები**, **გოდლები** ნაცვლად რომ **გოდოლები** გაჩნდა, არ უნდა შეგესწორებინათ? **სამოსლის** ნაცვლად ნათესაობით ბრუნვაში დაგხვდათ **სამოსელის**, – **ელ** სუფიქსიანი სახელები რომ კუმშვადია, ეს როგორ გამოგრჩათ? **თავთავიანთში** დეფისი ჩაგვიწერეს, სკოლის მონაფემ იცის, რომ დეფიზი იქ იწერება, სადაც **და** კავშირის ჩასმაა შესაძლებელი. **ეზოსმოდღვარი** რომ გაყვეს და ორ სიტყვად გადააკეთეს, – ამისთვისაც უნდა მიგექციათ ყურადღება. თქვენ ალბათ არ გევალებათ იმის გათვალისწინება, თუ რა ცვლილებებით მოაღწია ტექსტმა თქვენამდე, მაგრამ მცდარი ფორმისთვის ყურადღების მიქცევა არ არის თქვენი მოვალეობა?

ცუდი რამ მოხდა.

ცუდია ისიც, რომ მე ამ წერილის დაწერა დამჭირდა. რაც ამ წერილმა დაიტია, ზღვაში წვეთია. შესაძლოა, უფრო მეტის გამოქვეყნებაც მომიხდეს, თუ ეს წიგნის საქმეს ნაადგება, არამარტო ჩვენი წიგნისას.

არ ვიცი, ჩვენს სინამდვილეში რომელიმე რედაქციას რომელიმე ავტორისთვის, თუ შეუბედავს ის, რაც თქვენ ფლობერს შეუბედეთ; რომელიმე გამომცემლობას რომელიმე მთარგმნელისთვის თუ უკადრებია ის, რაც თქვენ გვაკადრეთ. თან ეს

ყველაფერი ჩაიდინეთ ჩემგან ფარულად. შეგეძლოთ ჩემთან შეხვედრითაც არ შეგეწუხებინათ თავი, მაუსის ერთი დანკაპუნება იყო საჭირო „სალამბოს“ მთელი ტექსტის ჩემთან გადმო-საგზავნად. ჩემი თხოვნის მიუხედავად, თქვენ ეს ფიქრადაც არ გაგივლიათ.

და კვლავ ვიმეორებ: წარყვნილ-დამახინჯებული ქართუ-ლი, ამდენი შეცდომა, ამდენი უვიცობა ჩემი გარდაცვლილი მეგობრისა და ჩემი სახელით მოჰფინეთ საქართველოს!

გულახდილად ვამბობ, თქვენ გამოც მტკივა გული, თქვენი რედაქციის გამოც, „პალიტრა L“-ის გამოც, ქართული ენის გა-მოც, ქართული წიგნის გამოც. არა მგონია, „სალამბოს“ ასეთი სახით გამომცემ რედაქციას გასიგრძეგანებული ჰქონდეს, რა დღეში ჩაიგდო თავი. თქვენ ხომ საკუთარ თავს, საკუთარ გა-მომცემლობას, საკუთარ საქმეს უმტრეთ. ფლობერსა და მის „სალამბოს“ იმდენი ვერ დაუშავეთ, რამდენიც – საკუთარ თავს.

ეს წიგნი, „სალამბოს“ მეხუთე გამოცემა, ჩვენი თარგმნილი ტექსტის აღდგენა-რეაბილიტაციას ემსახურება. ფლობერი ის ავტორია, რომელიც ალბათ ჩემ შემდეგაც გამოქვეყნდება სა-ქართველოში. ჩემი უმორჩილესი თხოვნაა: ოდესმე თუ გაჩნ-დება სურვილი ჩვენი თარგმნილი „სალამბოს“ გამოცემისა, არ გაიმეოროთ „პალიტრა L“-ის ტექსტი, რადგან ეს არც ფლობე-რია, არც კარლო ქილარჯიანისა და ჩემი თარგმანია. **ეს არის ქართული წიგნის გამოცემის საქმეში მომხდარი დიდად სამ-ნუხარო ფაქტი.** ეს დანაშაულია ფლობერის, მისი მთარგმნე-ლებისა და ქართველი მკითხველის წინაშე, რომელსაც წარყვ-ნილი ტექსტი მიაწოდეთ. სიტყვა **დანაშაული** ნუ შეგაკრთობთ, მე თქვენთან სამართლებრივი გზით დავას არ ვაპირებ.

კარგა ხანია მეცხრე ათწლეულში ვარ გადამდგარი. მე სხვა ურთიერთობებს ვარ ჩვეული. ჩემს ნაწერსა თუ თარგმანში არასდროს ჩარეულა რედაქტორი. ბატონმა ნიკა აგიაშვილმა „სალამბოს“ ხელნაწერის კითხვა რომ დაასრულა, ჩემი გაც-ნობა მოინდომა, ვეახლე გამომცემლობაში. მითხრა, არაფერი შემიცვლია, ერთი სიტყვის განირვა მინდა და მთარგმნელის ნებართვა მჭირდებაო. ეს სიტყვა რაკი მაკაროვის ფრანგულ ლექსიკონშიც კი არ არის, არ ღირს მისი დატოვება, ამოვილო-თო. ეს იყო ძვირფასი თვალი, რომლის ქართულ შესატყვისს ვერ მივაგენი. აი, ამ ერთი სიტყვის ამოღების უფლება ითხო-ვა ღვაწლმოსილმა ბატონმა ნიკამ ჩემგან, 25 წლის ახალბედა მთარგმნელისგან.

ახლა კი ქალბატონ თინათინ ასათიანს, გამომცემლობა „პალიტრა L“-ის დირექტორს, მინდა შევუხმიანო.

ქალბატონო თინათინ, მე ერთადერთს თქვენ შეგხვდით. გამომცემლობიდან სხვასთან არავისთან არავითარი შეხება არ მქონია. თქვენ ჩაგაბარეთ CD-ზე ჩანერილი ტექსტი და გთხოვეთ, არაფერი შემიცვალოთ-მეთქი. თქვენი პასუხი იყო: აბა, რა არის რედაქტორის მოვალეობა?

ახლა მე მინდა კითხვა შემოგიბრუნოთ: რაც თქვენმა რედაქციამ გუსტავ ფლობერის „სალამბოს“ დამართა, როგორ მიგაჩნიათ, ეს არის რედაქტორის მოვალეობა?

მანანა გიგინეიშვილი
დაიბეჭდა ჟურნალ „არილში“, 2017 №3

სარჩევი

წინათქმა	3
გუსტავ ფლობერის სალამბო	5
I თავი. ღრეობა	21
II თავი. სიკაში.....	38
III თავი. სალამბო	59
IV თავი. კართაგენის კედლებთან	67
V თავი. ტანიტი	86
VI თავი. ჰანონი	100
VII თავი. ჰამილკარ ბარკა	120
VIII თავი. ბრძოლა მაკართან.....	156
IX თავი. ლაშქრობა	174
X თავი. გველი	189
XI თავი. კარავში.....	201
XII თავი. აკვედუკი.....	218
XIII თავი. მოლოქი.....	237
XIV. თავი ნაჯახის ხევი.....	270
XV. თავი მათო.....	305
შენიშვნები	313
გუსტავ ფლობერის ქართული თავგადასავალი	335